

05
2-73

პრინციპით ყველა ქვეყნისა; შერბილით!

7

114
1925/2

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრის
კანცელარია



404

ქმ 8-9 (16-17)

საგარეო ურთიერთობების მინისტრის
და საგარეო ურთიერთობების
კანცელარიის

აგვისტო და სექტემბერი

თბილისი 1925 წელი

357



სარედაქციო კოლეგია: {
3. ბახტაძე.
8. ქახიანი.
დ. რუხაძე.

გამომცემელი: {
საქართველოს კომუნისტური პარტიის
მთავარ-მართველობა.

05

ერეკლე
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო
რუსეთი
დასავლეთი

დარიალი
ავდარი
მანდარინა*)
დაირა

(ნეოკლასიკური პოეზია)

დაებადე დარიალს მანდარინა დაირა,
ამ დარიალ-მიდამოს ვერვინ დაგედარება,
ავდარია დარიალს, დარიალს ვინ დაიარს,
გადარია მიდამო დარიალის დარებში.

სადაც ქობი მთის ზურგზე კურტანივით აბია,
სადაც ქარი-ანგალი პერანგივით ქანაობს,
იქ ცხოვრება მოვწყინდა, იქ დარდები დარბიან,
იქ ცხოვრება-ლამურა ქობის მურში ბანაობს.

სიმარტოვე გატირებს, წერტილივით დაფიქრდი,
ქობი მოგავს საგიყეს და შენც თითქოს გაგიყდი,
დედამ დაიგვიანა!? ჩქარა კარში გაფრინდი,
თორემ შიში-ზამზარი გაგონებას დაგიშლის.

და ის იყო რახუნით დაიხურე ქიშკარი,
გსურდა ვინი მოგეკლა თავისუფალ ჰაერზე,
დაირბინე მინდორი, მდინარეზე იჩქარი,
დაირბინე მიდამო და მეგობარს დაეძებ.

ზევით? ზევით გზებია, დაბლა მიდის მდინარე,
დაბლა მიდის მდინარე... და ვინ იცის სანამდი?!
შენ დაირა-დაირით მთები გადაიარე,
ზევა შუშაბანდია და მზე — კედლის საათი.

დაუბერა გრივალმა: სიცივეა, სიცივე,
ცაზე ღრუბლის რაშებმა სიარული გამართეს,
მდინარეზე გაგორდა შენი ცივი სიცილი
და სიცილი მოგაედა გაგორებულ კამათელს.

*) მანდარინა — მთიულ ქალის სახელია.



მებადურე თევზაობს—ვაეი ხუჭუჭ-თმიანი,
მდინარეზე შემთხვევით ბადე გადაუარდა,
მდინარე მოდუღუნე და დენდივით მდინარო
მებადურეს უყვარდა, მებადურეს უყვარდა.

დაგინახა შორიდან ფარფალელო, ნაზურა,
თქვენი მზერა-მზიური წყალზე გადაიხიდა,
ვაჟმა ბადე დაკარგა, ვაჟმა წყალი გასცურა,
სიყვარული შეგფიცა და თავს დაბლა იხრიდა:

— „ქალო, ქალო მიყვარხარ, ზიორადა, ლამაზო,
შემიბრალე: ჩემსკენაც შეება გადაისროლე,
შენმა სილამაზუნმა გულზე დანა დამისო,
შენ მიყვარხარ ლამაზო, შენ მიყვარხარ იცოდე!

სახეს ეღვა გაეკრა. ზღვა-თვალეში აღელდა,
შავ-წარბების—ტაიგა მედიდურად მდუმარებს,
მკერდზე ორი ვულკანი კლდის გარეკანს აჩხვედა
და ორივეს ახვევდა აღმზრდიან ბურანებს.

ვაჟმა ფიქრი გაშალა როგორც შავი მახარა
და შიგ სუნთქვის ისროდა დანასაკით აღესილს,
ქრუანტელმა სხეულში ზამბარივით დახარა
და კისერზე მძივებათ მოგეხვია აღერსი.

თვალემ-გატარებულად, ტუჩემ-გადარაზულად,
ცეცხლის ვნება მოსწოვეთ... და მიწაზე დაეშვით...
ლამაზია: სიკოცხლე როცა ტყეში დისცურავს,
ლამაზია: ფოთლებში სიყვარული, თარეში.

ტყე შრიალმა შეშალა: ფრინველებმა იკივლეს...
ტანს შოლტივით ამტვრევდი და სტიროდი წვალეებით...
ყველაფერი გათავდა... კაბა შემოიკრიფე...
და ფოთლებში კანკალით ჩაგივარდა თვალეში.

მოდიოდი დაირით და სიმღერას ჩვეული:
—უნ-და-იოა და-იოა, უნ-და-იოა და-იოა...
შენ როდი გაგახსენდა ღედის რჩევა-რჩეული:
—ნუ დაიარ დარიალს, ნუ დაიარ დარიალს.

ვაჟის ვნებას დაენდე, გახდი ვაჟის საგანი,
კოცნა-კოცნას დაეცა .. და ფიქარზე—ფიქარი...
და ცხოვრება ასეთი, და ცხოვრება სხვაგვარი
შენ პირველად გაიგე, შენ პირველად იცანი.

უცაბელი შეხვედრა ყოფილა უბედური,
შენ დარდივით დადუმდი და დარდებში ვარდები...



შენ როდი გაგახსენდა დარიგება დედური:
— ნუ დაიარ დარიალს, ნუ დაიარ—დარდები.

მოტრიალდი მტირალი... ის ვაფი გაგეპარა,
განშორებამ ისრებით ბედიმედი დაფლითა...
სიყვარული ფარული ფოთლებს ამოფიფარა,
სიყვარული ფარული ფრინველივით გაფრინდა.
გახსოვს? დედას უყვარდი და გირჩევედა მუდარით:
— ავდარია დარიალს, ნუ დაიარ დარიალს...
მოდიოდდი დაირით უმადური—უდარდი:
— უნ-და-ირა და-ირა, უნ-და-ირა და-ირა...

და ის არის ცხოვრებას შენ თანდათან შორდები,
ქობის კარი ურდულით დახურე და... დარაზე...
არ გაგიწყურეს ბედი და... არ დაღუპო მშობელი,
ქალო თავი ლამაზი არ დაიკლა დანაზე.

იმ ხეს მიუახლოვდი, იქ სად ოხვრა შარხია,
სადაც გადაგეხვია მებადურის ხელები,
ვაფი რომ გაიპარა: სიხარული დახვია...
მოწამლული სიცოცხლე შიდის ქლეჭით, ხეულებით.

აქ პირველად დაეცა სიყვარულის ცრემლები
და პირველი „ნამუსი“ ამ ფოთლებში დამარხე...
დღეს, სიცილის შაგიერ, სწუხხარ და იწყებლები,
ძველ სიყვარულს დაემეგ, ძველ სიყვარულს ამალღებ:

— ვაეო, ვაეო სადა ხარ, რომელ არე-მარესა,
რათ დამღუპე საწყალი, ოხვრა რისთვის დამხურე...
ტყის შრიალი მაშინებს, დარდმა დანა დაღესა,
თმაგაშლილი შეშლილი შაე-მდინარეს დაეყურებ.

გაგონდება წარსული კალთებ-შემოხეული,
და წარსულის წამები ნაცარივით დამწვარი,
სიხარული გადახმა კვამლი შემოხეული,
სიხარული გადახმა დაცვარული და მწვანე.

შენ სიცოცხლე არ გინდა, შენ სიცოცხლეს ემდური,
მთაზე ქობი დატოვე, მთაზე ქობი დარაზე...
შენ სიცოცხლე არ გინდა, შენ გახდი უბედური,
თავს: ან წყალში დამალავ, ან დაიკლავ დანაზე.

გახსოვს? გაღმა ბურთივით მოგორავდა ხმაური,
ვის ეგონა: იმედებს ამ ხმაურში შარხავდი,
მკერდზე ვაფი-რიერაფი ჩაიკარ სიყვარულით
და სიტყვი: დროა დაეშორდეთ. მეგობარო, ნახვამდის.



დაშორება... და შორი ვარსკვლავივით გაოცდნა
 მზერა-მზვერი ესროლენ მზესუმზირა დასაველეთს,
 შენ უეცრად გრიგალმა ვაგიტაცა ვაროზი
 და ცის თოკებს დაკიდა დაჭრილ პეპელასავით.

ეხლა ხე ვაზურია ქოლგასავით გაშლილი,
 შენც ოდეს ამ ხესავით ირბეოდი, შეილდობდი,
 მოგონება გაბრუებს... შენ ატირდი ბავშვივით
 და მიდამოს ვახედენ უიმედოთ: მშვიდობით.

გადავარდი მდინარეს და დარიალს შორდები,
 მდინარიდან „დედილოს“ დახმარებას უკივი...
 შენზე ჭობი დაობლდა, შენზე გლოვობს მშობელი
 და კედელზე კიდია ოხერა ახალუხივით.

დაიქარგა სიცოცხლე მდინარეში ნემსივით,
 დაიქარგა სიცოცხლე-ცოცხი გადავარდნილი...
 მოწამეა: აედარი დანპირად ალესილი,
 მოწამეა: ცარიდენ შლილი შეშებანდივით.

დარიალიც აედარმა ვადარია, დამურა,
 დარიალის მიდამოს დარდი გადაეხვია...
 ეს ამბავი დარჩება მთაზე ლეგენდარულად
 და ხმებიან ხეები... და დღეებიც ხმებიან.

მთაზე ჭობი დაობლდა, ტირილს ტომრად ატარებს,
 მანდარინა დაენდო აედარიან დარიალს,
 მანდარინას დაირას დედამბერი ვადარევეს:
 —უნ-და-ირა და-ირა, უნ-და-ირა და-ირა.

დარიალო! სად არის მანდარინა—დაირა,
 ან და იმას ვინ დარდობს: ნუ დაიარ დარიალს,
 აედარიან დარიალს დაირით ვინ დაიარს?
 ...უნ-და-ირა და-ირა, უნ-და-ირა და-ირა...

ტფილისი.

2 აგვისტო.

პ ი რ ი მ ზ ე

■ მზეო, ამოდი გორა გვიბრაო,
ნულარ სტირი, რომ იყო არ იყო,
მოყეე ზღაპარი ლილი ლიბრაო:
გოგო წყაროსთან იწვა რიყეზე.

■ გოგო წყაროსთან იწვა რიყეზე,
ცა პირს იბანდა ნისლის ბელურა,
თითებს სილაში შლიდა პირიმზე,
ქადრის ფოთლები თავზე ეხურა.

■ ქადრის ფოთლები თავზე ეხურა,
მთის მწვერვალებზედ თვალი გაეგდო,
თვალში ცა-ფურუზ ცრემლი ესხურა,
კოკა წყაროსთან ხიდზე დაედო.

■ კოკა წყაროსთან ხიდზე დაედო,
თევზის კერით რომ გოგოს ეტირა,
შორს მდინარეში ლანდი მოდიდო,
მზე ნაპირივით სდევდა მეტივეს.

■ მზე ნაპირივით სდევდა მეტივეს:
ნუ ეფარები ეპ, მაგ წყლის პირას,
სადაც ჩაიწვა შეშის ნაფოტი,
ჩიტმა სიცივით მთები დატოვა.

■ ჩიტმა სიცივით მთები დატოვა.
მზეო ამოდი გორა გვიბრაო,
სტირის პირიმზე, რომ თვე დათოვა,
მოყეე ზღაპარი ლილი ლიბრაო,

წერილი სახრვოს

ეს მოხდა მაშინ,
როცა მთვარე პაპიროსის მიმქრალ ცეცხლს გავდა:
ცა აბოლებდა ღრუბლის ყალიონს
და შორს, სივრცეში ვარსკვლავებს რგავდა.
ეს მოხდა მაშინ:
მაგრამ..... რათ გინდათ!
მე ვიყავ ბავშვი
და მეგონა ჩემი ცხოვრება
პატარა ბინდი,
რომელიც ერთხელ თქვენ გქონდათ თმაში.

თქვენ აღბათ გახსოვთ ბაგრატიის მთაზე,
ხავსით დაფარულ ლოდებთა დუმილს
აქსოვდა ქარი ღრუბლების ხავერდს;
ციცინათულა ტეხავდა ღამეს:
უცებ მითხარით:
„მოდით გავიქცეთ!“
მე გავასწარიით.....
თქვენ გაიღივით, და... მგონი მწარეთ.

თქვენი თვალები შევადარე მე ერთხელ სირბილს;
თქვენ გადახედეთ რიონის ზეითებს:
„ო, თუ ასეა, მაშინ მიფრთხილდით!“
ნითხართ და ჩუნათ იგრეხდით თითებს.

მე მაშინ ვიყავ მოჯამაგირე
და ვიმაღავდით,
ო, თქვენი სახლის ხის შოაჯირი,
მე, ბავშვს, მეგონა კლდე გიმაღაის.
და თქვენს ბავშვებს, ფარდისფერ ქორსებს
ამოსკდებოდა ჩუბჩული ტკბილი:
როგორ მიყვარდით!
ის დრო შორს აოის;
გადამივარდა,
როგორც ბავშვს — ცუდი სიზმარი დილით.

და მიხარია,
რომ სხეებსავეთ არ მოვიხარე.



გწერ ამ სტრიქონებს
გათუილებ კარგო,
ქარში დაკარგულ დღეების აღერსს,
ნუ მომიგონებ:
კრულვას ნუ მესვრი
მხურვალე ფიცით—რომ ველარ გაესებ.

თქვენ ჩამოგშორდით,
როცა ცაზე გააკრეს ვლვა;
როს თვეებს თმებსასვით იშლებოდა ქარში დროშები:
მე გავყევი ლელვას...
თქვენ ჩაგეცვათ ვერცხლის ქოშები;
იდექ გედივით ხის მოაჯირზე,
რომელსაც ბავშვი ვადარებდი კლდე-გიმლიას...
და უცქეროდით მოჯამაჯირეს;
უსებ... შეწუხდით და მიიშალეთ.

იქ ქვევით ღვრიდენ თბილ სისხლის ღვარებს,
თქვენ-კი სობატამ გავიჭროთ ჯაერი.

და ჩამოგშორდით.
ეს მოხდა ისე... უბრალოთ, სადაა...
არც გამიკვირდა:
უცრათ ვიგრძენ თითქოს ტკივილი
და აველაფერა ისევე მოთავსდა.
ველავ ხურდასავით ქუჩა ხალხს ყრიდა,
ველავ ავარებდა ბოროტის სიკვდილი.
ებლა როდესაც ჩემი სამშობლო
მწვიდით მოუსხდა ქარხნებს, სათიბებს;
მე ვავითქიქრე, რატომ დაეშორდი
მას, ვინც მეგონა გზას მიხატებდა:

მე ვიყავ ბავშვი,
მაგონ გულიდან როს სისხლი მჩქეფდა,
როცა ვკიოდით ბრძოლების ქარში;
მინდოდა ძლიერ
გადაგეწვა დღეები ჩემთან.

თქვენ გქონდათ ცეცხლი, თქვენ გქონდათ ვნება,
მაგრამ სად იყავ ძვირფასო მაშინ,—
როცა მჭიროდა ბალისი, გზნება
როცა სიკვდილთან მქონდა თამაში:

ძველ გორაკზე ვარ,
ებლა კი მარტო...
ქვევით ღლიღნი კვლავ მისდევს ურმებს:
იციოთ:
დაეშორდით ერთმანეთს რატომ?
სხვა იყავ თურმე!

ანეჟლი.

(პოეტი—გლეხი)

—დაგხეგია მაგ გარკაბა
აღბათ შრომამ დაკლა ადრე;
შენმა მაჯამ
ბევრი კათა
ეს ბუჩქნარი
ეს სინედლე.
მოუქნიე, რომ რტოები
ზედ უმსგავსოთ მინაბუენი
ჩამოერთუვას
ხეს შედიდურს
ამაშია ძალა შენი.
მოუხშირე ფარცხე-ფარცხე
ველ-მინდორი გადავარცხნე;
ბროლით
შრომით
ამოავსე
ბელელი და უხვი-საძნე.
გადახედე ტყეს ატეხილს
მას ქარხანა შეესია:
როგორც მტერი
გაბრაზებით
ხერხის ბორბალს ატაკტაკებს.
ვინ დაითელის
ფიცრის ნაჭრებს
ამდენ სახლებს
ვინ ააგებს?!

მოუპირე! ემაგ მკერდზე
ბევრი ოფლი გადმოსულა:
მითხარ ბიბი-გენაცვალე
რად დაგკირდა ეგ-ზუზულა?!



ნუ თუ მისთვის
რომ წვიმისგან
შეიფარო მასში თავი
გახსოვს განა?
გასულ წელში
მოსავალი იყო ავი!

დაგხვდია მაგ გარკაბა
ალბათ შრომამ დაკლა ასე
თუ ხათრი გაქ შეისვენე
მოდი! პოეტს შებაასე!

— ოჰო! ეხლა დროც კი არის
დავისვენო.

შეტყვი რასმე?

ყური მივდე, რაც მინახავს
მე თვით გეტყვი, მე მოგასმენ:

— „ბრძოლა იყო, ბრძოლის ცეცხლში

ვნახე ბევრი

გასაჭირი

ბევრი სისხლი დამდენია

მაგრამ იმას აღარ ვტირი—

აღარ ვტირი

ო! იმისთვის

რომ ამ ბრძოლით

გაეიმარჯვე—

შრომით, ოფლით მონაგერი

ხელთ ვივდე და მოვიმარჯვე

დღეს თუ ხედავ ჩემს გარკაბას

მართალია, დამხვდია

მაგრამ დახე ამ ანეულს

როგორ მწყობრად ნაფენია!!—

ვშრომობ ასე, მაქვს იმედი

რომ ნაყოფი გასაღდება,

ეს გარკაბაც სახეს იცვლის

ეს შარვალიც გაახლდება....

და თუ ყოფამ ისე მწარემ—

წარსულ დროში გამატარა,

რომ არ მჭონდა

წარმოდგენა

თუ რა იყო ეს ქვეყანა,

დღეს მოხუცისაც



შენასწავლეს

ანბანი და

• სწორი დათვლა.

ო! ძველი დრო დამავიწყდა

ახალით კი გული გათბა. —

და ამ ველებს

გიწლილ ველებს

გადავირბენთ

ტრაქტორებით,

თვით გაზეთი ასე ამბობს

ასე დადის ჩვენში ხმები,

რომ ელექტრო-სადგურები

ჩვენში ისე აიგება

ეს სოფელი მისი ძალით

განახლდება—განათლდება.—

დღეს გაზეთში

წამიკითხეს

„ახალ სოფელს“ რო ეძახით

ეს ბალახი—მურბუშელა

უნდა აწყო თურმე ფარცხით.

ო! ბევრია შიგ ამბები

ქვეყანაზე თუ რა ხდება

მე ძველი დრო დამავიწყდა

ძველი აღარ მაგონდება!!

ვის უნახავს ჩვენს ყოფაში

ან გაზეთი, ან სხვა რამე—

ლარიზ-ლატაკს გულს გვიკლავდა

წარსულ დღეთა სივარამე,

დღეს კი ასე აღარ არის

შრომა აღის ძღვევის ტახტზე

მუშის—გლების ზედ-იღბალი

გვიწერია ჩვენს დროშაზე!!

*

*

მამ ნახვამდის ჩემო ბიძი —

მოუქნიე, სკვრი ნარდათ

იხლა უფრო შემოიყვარდი

ეს სიტყვები შემოიყვარდა! —

ანეულო! შენს ფერდებზე

ფებ-შიშველი ჩავიბინე

შენ ჯეჯილო! გლების თვალი!

იხარე და იზიბინე!!!

ოქროს კვილი.

ბოლოს, როგორც იყო, თელავიდან ჩამოსულმა მართამ თავისი შვილი თომა მოსტეხა და მამა-დავითის მთაზე აიყვანა. თომა დიდხანს ურჩობდა. არ შეუძლია მოლარეს გართობა: არც დუქან-რესტორანებში ქეიფი, არც კლუბებში ხეტიალი, არც გასართობ ალაგებში გამოჩენა. რას იტყვის გამგე? რას იფიქრებენ სხვებიც? მოქეიფეს და მოხეტიალეს ვერ ვენდობითო. დღეს ან ხვალ ან ლეინო ვაიტაცებს, ან ქალაღდის თამაში, ან ლამაზი ქალი. მერე? რა მოჰყვება ამას? სამსახურზე გულის აკრძება, და სახალხო ფულის გაფლანგვა, დაპატიმრება, თავის. მოკრა და სამუდამოთ შერცხვენა. არა, ისეთი კაცი არ არის თომა შადიშვილი, რომ თავის თავზე ავი სიტყვა ათქმევინოს ან კუდი აფიქრებინოს ვინმეს. ტყუილად არ იტყვიან ხოლმე მოუღრგველ თომამზე: „კაცი კი არ არის, კაცია, კავი!“ ტყუილად კი არ დაარქვეს მიუკარებელ მოლარეს ბერი (თომას დედასთვის არ უთქვამს, რომ ნამდვილად წუწკი ბერი დაარქვეს). ისიც უნდა იცოდეს მართამ, რომ პატროსან მოლარეს ზოგჯერ ათი, ათასს მანეთს მიანდობენ ხოლმე ბანკამდე, ან ბანკიდან თავიანთ სალარიმდე. უფრო მეტიც: ერთხელ თომა ბათუმში გაგზავნეს, ორი დარაჯი გააყოლეს და ოცი ათასი მანეთი ვაატანეს. ერთი სიტყვით, თომა შადიშვილს უმწიკვლო სახელი ატებს ქალაქში და ერთი გავლისთვის ამ სახელს ჩრდილს არ მიაყენებს. ესეც რომ არ იყოს, თომას არა სცალიან: საღამოობითაც მუშაობს; დაუთრებს ათავეებს, ფულსა სთვლის და ლექციებზე დადის. ამასაც თავი დაეანებოთ. უნახავ დედას აქამდისაც გაიყვანდა გასართობად, მაგრამ... მართა ახალგაზრდა დედაკაცს ჰგავს. ჰო, ჰო! ნუ იციანი, დედი! გამოტყვევება ვინმე დაიფიქრებს; ეს დედაკაცი თომას დედად კი არ ერგება, არამედ... ერთი სიტყვით, ქალაქში მართას არაიენ იცნობს, ამიტომ ხელინდელ დღიდან მთელ ქვეყანას ასეთი კორი მოედება: „თომა შადიშვილი გუშინ ქალს დასდევდა მამა-დავითის მთაზე“. წადი და სდიე იმ კორს!

ბოლოს, როგორც იყო, ბუზღუნით მოტყდა და პურტყუნით გაჰყვა. მერე, ჩვეულებრივად, დემილის ბოქლოში დაიდო და თვისივე აჩრდილად გადაიქცა. წელან ბევრი ილაპარაკა თომამ. ათი წუთი მაინც ედავებოდა დედას, — ილბად იმიტომ, რომ თავიდანვე დათმობა ჰქონდა გადაწყვეტილი. უცხო ვინმე, თუნდ ნათესავიც, თომას არც კი აკადრებდა დაპატივებს, რადგან ყველამ იცოდა, რომ ძუნწსა და ახირებულ ბერს პატივობაც კი ეწყინებოდა.

ლამის ათი საათი იქნება. თომა და მისი დედა მთაწმინდის თბეშზე წამოწოლილან და ტფილისს გადმოსცქერაინ. თომა ისეა გახვეწებული უჩვეული გრძ-

ნობებით, რომ მშობელს ვერც კი ამჩნევს. დედის ხმა თუ ვერც კი ესმის. ხან პასუხს არ აძლევს, ხან კი უგულოდ თითო სიტყვას იმეორებს, თითქო გლახას სათხოვარს უგდებდეს:

— ჰო, დედი... არ ვიცი... არ ვიცი მეთქი.

თომამ მართლა არაფერი იცოდა იმ საქმისა, რომელსაც მართა დასდევდა: ლეინის მახანდა, გოგირდის ფასი, შაბიამინის შოვნა, ხილის გასახმოები, წიწილების გამოსაჩეკი, ახალი ჯურის სადღვებელი და ათასი სოფლური წერილობანი, რომლითაც მოლარე და სტუდენტი თხუთმეტი წლის წინად მოსწყდა.

მართას ისეც მსურს გაიგოს: ვისი იყო ეს ალაგები? როდის გაუნდა აქაურობა? სად მიდის აქედან გზა?

— არ ვიცი, დედი. მეც პირველად ამოვედი ამ მთაზე.

ესეც მართალია. თხუთმეტი წელიწადია, რაც თომამ შადიშვილი თბილისში ცხოვრობს, მაგრამ მხოლოდ ეხლა ავიდა მამა-დავითის მთაზე. ეხლაც თვითონ არ ამოსულა: ქალაქის სიციხით შეწუხებულმა დედამ ძლივს გამოიყვანა შეხუთულ ოთახიდან, ბავშვივით ჩასვა ტრამვაის რონოდში და ცუნიკულაოროთ შეჩვეულ ორმოდან უჩვეულ ცაში აიყვანა. გულჩახვეული, განმარტოებული, უნჯი და მორიდებული მოლარე ათიოდე წუთში უცნაურად გარდიქმნა. სანამ ვაგონი აქანებულ აღმართზე მიცოცავდა, უნებური პატიმარი თანდათან ირეცხებოდა, ათი წლის ობისა და ხავისისაგან. მან საღდაც შორს, მთის ძირში დასტოვა სულის მყრალი შმორი და გულის შემკმეღი ეანგი.

შადიშვილს მხოლოდ გაგონილი ჰქონდა, ისიც გაკვრით, არსებობა გასართობ და დასასვენებელ ალაგებისა: ბაღების, რესტორანების, კლუბებისა და ფუნქულაოროს. თომას თანამშრომელნი, სანამ იმის ხასიათს შეეჩვეოდნენ, ზოგჯერ მიიპატიებდნენ ხოლმე თავიანთ მოლარეს სადმე დროს გასატარებლად, მაგრამ მუდამ ერთი სიტყვა ესმოდათ პასუხად:

— არა მცალიან.

თომას მართლა არ ეცალა. დღისით მსახურებდა, საღამოთი კი ლექციებს ამზადებდა და იმედი ჰქონდა, რომ ერთი წლის შემდეგ უნივერსიტეტის დიპლომს მიიღებდა. მაგრამ მართო განუწყვეტელი შრომის ბრალი არ იყო შადიშვილის კარჩაეჭტილობა. მისმა განიზნმა ახირებული დალით აღნიშნა დედის-ერთა: თავის ტოლ-ამხანაგებს ერიდებოდა, სიცილისა სცხვენოდა, სიხარულს გაურბოდა, ხოლო ქალებისა ცუცხლოვით ეშინოდა. ნაცნობი და თანამშრომელნი, რომ ხუმრობას მოჰყვებოდნენ, თომამ თვალებით იღიმებოდა; ქალ-ვაჟებს რომ გაიხსენებდნენ, თომამ ისედაც ვიწრო ტუჩებს კბილებამდე ჩაიკეცავდა; თუ თვითონ თომას დაადგავდნენ ოხუნჯობის თვალსა და ენას, მორცხვი მოლარე აილანძებოდა და სირბილით თავს მშველოდა.

ამხანაგებმა ვერც სმაში აიყოლეს, ვერც ქალაღღში, ვერც სეირნობაში. მერე შეეჩვივნენ, ცოცხალთა სიიდან ამოშალეს, ბერი დაარქვეს და მიივიწყეს. მაგრამ მისი თავი თანამშრომლებს მაინც ხშირად აგონდებოდათ. დღე არ გავიდოდა, რომ ვინმეს მოლარე ბერისთვის „ხვალამდის“ ორიოდე მანეთი არ ეთხოვნა. ბერი გამოკდილი და დაშინებული მოსამსახურე იყო: რადგან „ხვალ“



ან ორიოდე კვირის შემდეგ თავდებოდა, ან ჯამაგირის დარბაზებზე დღეს ამიტომ ერთგულმა მოლარემ ყველას სამუდამოდ მაგრად დაუკეტა საკლავარსო კარი. ამხანაგები, არწმუნებდნენ, ვხვეწებოდნენ და ფიცულობდნენ, მაგრამ შებლ-შეკრულსა და ტუნებნაკეცილ დარაჯს უდრეკი და უღმობელი სიტყვა ჰქონდა. მისი „არა“ ისეთივე მტკიცე და მავარი იყო, როგორც რკინის სალარო, რომელსაც ერთგულ ძაღლივით სდარაჯობდა. გაბუტული და ამრეზილი ამხანაგები ამასაც შეეჩვივნენ და თომას წუწკი ბერი დაარქვეს.

„წუწკი ბერი“ ქვეყნისგან მკვებე გულით და ფიცრის დარაბებით იყო მოწყვეტილი. პატარა სარკმელსაც ფიცარი ჰქონდა აფარებული. თომა იმ ფიცარს გამოაღებდა, მუშტრის პირსახეს თავისს გაშვარ პირისახეს მიაბჯენდა, მისაღებს მიიღებდა, გასაცემს გასცემდა, შერე ისევ ჩაიკეტებოდა და გულმოდგინედ ლექციებს იზეპირებდა. ბუნდოვანი და მშრალი იყო პოლიტიკური ეკონომია, მაგრამ მოლარეს უინი, გამძლეობა და გულისყური თანდათან ყოველივეს სკამდნენ და სძლევენენ.

იმ გალიაში თომას თავისი თავი ბედნიერად მიაჩნდა, რადგან ჯერ ერთი, თავისთვის და ხაზინისთვის არხეინად და გულმოდგინედ მუშაობდა, ხოლო მეორე — იმ საკანში ქალები თითქმის არ აწუხებდნენ. ნაცნობთა და ამხანაგებისთვის რომ ყური მიგვედოთ, „წუწკ ბერს“ ქალებისა იმიტომ ეშინოდა, რომ უძლური იყო, არ შეეძლო. მხოლოდ კოტე ამრიძეს, თომას თელაველ მეზობელს, არ სჯეროდა თომას უძლურება. ამბობდა:

— ჩუში ჭაობი ეშმაკებით არის გატენილი. შეხედეთ თომას მხარბქს, იმის დათვურ თათებს, მორგვის კისერს და გამხდარ პირისახეს. ასეთი ადამიანი უძლური არ უნდა იყოს. აქ სხვა ამბავია.

როცა თომას პატარა სარკმელში ქალის პირისახე წააწყდებოდა და მისი სუნთქვა მოხედებოდა, „უძლური ბერი“ უმაღვე გარდიქმნებოდა: მიმქრალ თვალეში მხეკები ამოცურდებოდნენ, სუფთა ცა ვნების ნისლით აემღვრეოდა, სუნთქვა შეეკროდა და მთელ ტანში იღუმალი ქრეოლა დაუვლიდა. იმ ქალს რომ ფულს უთვლიდა, ან იმისგან რაიმე ქალაღს იღებდა, ხელები ცაცხვის ფოთლებივით უთრთოდნენ, ხოლო ლაპარაკში ხმა ისე უფლეროდა, თითქო გაბზარულს თუჯის ქოთანს არაკუნებენო.

მუშაობა რომ გათავდებოდა, თომა კიდევ ერთ საათს მაინც დარჩებოდა: დავთარებში დღიურ შემოსავალ-გასავალს ჩასწერდა, ორჯერ-სამჯერ იანგარიშებდა, ამდენჯერვე ნაღდს დასთვლიდა, და სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ იმ დღესაც ერთი გროში არ აკლდა, სალაროს კარებს არ მოსწყდებოდა.

მერე ქუჩას სწრაფი ნაბიჯით გაიბრუნდა ხოლმე. თავი მუდამ ჩალუნული ჰქონდა. მაგრამ არც ეს შეელოდა: წამდაუწუმ ქალების გამოწყვილ წვივებს და მრგვალ ბარბაყებს აწყდებოდა. როცა ძლიერი ქარი ჰქროდა, აზღარბებული მოლარე სიმწვაისაგან კბილებს აკრაქუნებდა და ცეცხლმოკიდებული თვალებით ხარბად ევლებოდა დედაკაცების ქვედატანს. თავის აწვეას მაინც ვერ ჰმედავდა: ქალების თვალებისა სცხვენოდა და მათი შიშველი მკერდის, მკლავებისა და ზურგის ეშინოდა.



ოთახს რუსი დედაკაცი ულაგებდა და საკმელიც იმავე დედაკაცს მოჰქონდა. ხნიერი, კუჭყიანი, გასიებული და უწნო რამ იყო, მაგრამ აღიჭურვილი იყო ეშინოდა და სცხენოდა. ზედ არ შეჰხედავდა და იმისთვის ერთს ზედმეტ სიტყვასაც არ გაიმეტებდა.

ქალების შიში თომას ბავშობიდან დასჩემდა. ამის წლისა ძლივს იქნებოდა. მეზობლის პატარა ქალი საბზელში შეიტყუა. ცუდლუტობის დროს ქალის მამამ მიასწრო და თომას წიკვლით ტანი აუჭრელა. დაშინებული, გაწყვილილი და შერცხენილი თომა ერთი თვე თავისს ეზოში ტრიალებდა. ვერც სოფელში გადიოდა, ველარც ტოლ-ამხანაგებს ეკარებოდა. დედამ ძალით გაიყვანა. სოფლის ბიჭებმა მასხარად აიგდეს. სირცხვილისაგან დამწვარი ბაღლი ანჩლობდა და ტიროდა. გაკაპახებული თომა ხშირად უშენდა ქვას და ჯოსს თავგასულ ბავშვებს, რომელნიც ამხანაგის ფათერაკს არ ივიწყებდნენ, მაგრამ ბრძოლა თომას დამარცხებით გათავდა. ნაცემი და დაჭრილი ბავშვი სამუდამოდ დაეთხა და შეშინებულ ლოკოინასავით თავისს ნაჭუჭში შესტვრა.

თომა წამოიზარდა, მაგრამ თანდაყოლილი შიში და რიდი ველარ შოიშორა. გულში ღრმად შერჩა უცნაური რწმენა, ვითომ მისი შორეული მარცხი მთელ ქვეყანას მოედო, ვითომ ყველანი დასცინიან და იმის სახელს ზიზღით იხსენებენ.

გავიდა ხანი. თომა ოც და სამისა შესრულდა, ერთი ეჭიმის ბინის გვერდით ცხოვრობდა. იმ ეჭიმს მოახლე ჰყვანდა. თეთრი, მსუქანი და მზიარული დედაკაცი იყო. თომას რომ რიდი და მორცხობა შეიძინა, თვითონვე მიეტანა და აცახცახებული ვრუხა ქაბუჯი ერთ ღამეს თავისს ოთახში შეიტარია. თვითონვე გაჰხანდა ტანისამოსი და ლოგინში ჩაითარია. თომამ ძლივს გამოჰყო თავი შიშის ნაჭუჭიდან. საწოლის თავი ფანჯარას ჰქონდა მიბჯენილი. ოთახში მთვარე იდგა. თომამ ორივე ხელით გაუწოდა იმ დედაკაცს თვისი უმანკოება. მაგრამ იმავე წუთს მთვარე დაბნელდა. განათებულ საწოლზე გრძელი ჩრდილი ჩამოწვა. ღია ფანჯარაში შალალი და შავი ლანდი აიტუხა. თომა წამოხტა, მაგრამ წელი ველარ აიტანა. როგორც წამოჯდა ტახტის პირზე, ისევ ისე დარჩა. გაბედა და გაიყინა. უნდოდა დაეცვირა, მაგრამ შეკრულ ყელიდან მოკლე და მოწყვეტილი ხრინწი ამოუფარდა. მერე ის ხრინწიც ველარ ამოიღო. ენა მუცელში ჩაუფარდა.

ვინმე ახმახმა ფანჯრის რაფას გადმოალაჯა და თომა ცალიერ ქურჭივით დაბლერტა. მერე კარებისკენ გაჭვიულ დედაკაცს წასწვდა და ქვეშ ამოიღო. ის ლანდი და დედაკაცი ერთმანერთს ისე ჩაებვიენენ, თითქო ვილაც უხილავი თეთრ ზეწარზე შავს საბანს შლიდაო. შიშველი დედაკაცი პერანგიდან ამოძვრა და გასხლტა, მაგრამ ის ლანდი ისევ შავი საბანივით გადაეხურა. თომა ნათლად ხედავდა ამ კოტრიილს, მაგრამ ვერც ხმას იღებდა, ვერც თითს ანძრევდა. ბრძოლის ბავუნიც, ხენეზაც და ღრენაც ესმოდა, მაგრამ შიშის ძაფები ვერ დასწყვიტა და ტახტზე მიჯაჭული ტანი ვერ დასტრა.

დედაკაცი ჯერ ღმუღადა და ხრიალებდა, მერე ისეთი ხმით აბლავდა და აკივდა, რომ თავისი საყვარელიც დააფრთხო. დაფეთებულმა ლანდმა ბურტყუ-



ნით ისეც ფანჯრის ღირეს გადაალაჯა, კიბეზე რახუნის ისტეხის დაკაპრა. სახლში ჩოჩქოლი ასტყდა. ექიმმა და მეფოვემ დამუნჯებულნი და გსქვეყნებულნი თომა თავისს ოთახში შეიტანეს და კუნძივით დასდეს. ერთი კვირის შემდეგ თომა ძუძუმწოვარას დაემზავასა: რამდენიმე სიტყვა ძლიეს ამოიღულლულა, ხელფეხი ძლიეს გაასავსა.

ერთი თვის შემდეგ საესებით განიკურნა, მაგრამ ქალი იმისთვის ცოცხალ ჟინგლალად გადაიქცა. შეტრუსული თომა იმ ჟინგლალს ხარბი თვალებით შესცქეროდა, მაგრამ ვერც სიტყვით და ვერც ხელით ახლოსაც ვეღარ უდგებოდა.

გვერდით ლამაზი მევზობელი ჰყავდა—შავგვრემანი, დაბალი და ფუნთოშა თეკლე. მისი ქმარი ვაქრობდა. სახლში მხოლოდ საღამოზე ბრუნდებოდა, ამიტომ თომა და ის ვაქარი ერთმანერთს იშვიათად მოჰკრავდნენ ხოლმე თვალს.

თეკლე მხიარული და ხარხარა დედაკაცი იყო. მთელი დღე ფუსფუსებდა, ზღეროდა, ბავშვივით ცქმუტავდა და უმიზეზოდ რცინოდა. თომასაც უღიმოდა და ჟუჟუნა თვალებით გულს უჩხვლევდა. მაგრამ თომა თეკლესაც გაურბოდა. იმ დედაკაცის ღიმილი გულში ცეცხლის ქარიშხალს აუტეხავდა ხოლმე, ხოლო წინანდელი, უცნაური შიში პირზე ბოქლომს დაადებდა და შუბლს ნაოკებად უკრავდა.

ერთმანერთს კვირაში ერთხელ შეხვდებოდნენ და ორიოდ სიტყვას ძლიეს მიუგდებდნენ. ღამ-ღამობით თომა შადიშვილი ლოგინში მამლის ყვილამდე იგრიხებოდა და მწვადივით იწვოდა, რადგან მეორე ოთახიდან მკაფიოდ მოისმოდა ცოლქმრული ალერსი, ჩურჩული, ხითხითი და თინიანი ბუტბუტი.

თეკლე მეტრს-მეტად გათამამდა. რაკი თომა არ ამჩნევდა ღამაზე დედაკაცს, აღარც ის დედაკაცი ერიდებოდა მოლარეს. ზოგჯერ საზოგადო აივანზე პერანგის ამარა დადიოდა და ისე დაქონდა თვისი განიერი გავა და ათქვირებული მკერდი, თითქოს ამბობდა: „მეხი კი დაეაყარე შენს ვაჟკაცობას. მამაკაცი კი არა, კუნძი ყოფილხარ, კუნძი!“

თომა მართლა კუნძივით ეგდო აივანის ბოლოში, და უჩინარი ხერხით იხერხებოდა და ხმის ამორებასაც ვერა ჰმედავდა. მაგრამ ერთხელ გაჰმედა.

ერთ დღეს სამსახურიდან დაბრუნდა, ფეხაკრეფით საზოგადო აივანზე გავიდა და კარებშივე მისი დაცა. იქვე, მოაჯირთან თეკლე იჯდა. კაბა თეძოვბამდე ჰქონდა აწეული. მოკლე, მოთეთრო და გატენილი ბარკლები სკამზე მუთაქებივით ელაგნენ. ერთ ფეხზე შავი წინდა მუხლის თავზე წითელი მოსაქვრით ჰქონდა მოვლებული, ხოლო მეორე ფეხი ზედ ჰქონდა გადახებული. და იმ ფეხიდან თხელ წინდას ისე იძრობდა, თითქო მსხვილსა და მოკლე გველს შავს პერანგს აძრობდა.

თომას თვალთ დაუბნელდა. იღუმალი ძალით დაბნულმა ვნებამ შიშის ჯაქვები დამბალ ძაფებივით დასწყვიტა, თოვის წამალივით იფეთქა და გავიყებული მოლარე უმაღ იმ დედაკაცზე მიავდო. ის დააკვდა და მოეხვია მკლავებით და მკერდით ტიკებივით გატენილ ბარკლებს, როგორც წყალში დატვირთულ ორაგულებს. დაფეთებულმა თეკლემ შეჰკივლა, მსუქანი თათი ყურის ძირ-



ში გააწნა, გაუსხლტა, ერთი გადინარხარა და ოთახში შეგუჯუჯავს და რეტიანებულო და დაროქილი მოლარე გაუგებარს ბურტყუნებდა: „დმხველმა შერჩენილს ქალის წინდას ისე სკმუჭნიდა და ათვლიერებდა, როგორც ზეციდან ნამოიარდნილს უცნაურსა და უხილავ ნივთს. მერე გონს მოვიდა. გახევებული შუბლი მოასრისა, შავი წინდა მოწიწებით დასლო სკამზე, ბარბაციოთ თავისს ოთახში დაბრუნდა და კარებისა და დანჯრის დარაბებიც კი მიიკვტა,

მწვევე სირცხვილს უფრო შიში სჭარბობდა. ეხლა კი დაიღუპა თომა შადიშვილი! ხვალინდელ დღიდან მთელ ქალაქში თითოთ საჩვენებელი გახდებდა. გაზეთი „მუშა“ უეკველად გამოსჭიმავს „გარყენილსა და უსინიდისო მოლარეს სამარცხენიო ბოძზე“. ალბად წერილი ასე გათავედება: „გვეყო ამდენი მოთმენა. მოგვაშორეთ თავიდან ურცხვი მაიმუნი, რომლის შიშით ქალაქში ქალს ვეღარ ვაუკლია.“ ნაცნობნი და უცნობნიც მასხარად აიგდებენ. მისი თანამშრომელნი ხითხითთ გასკდებიან: „ვინა სთქვა, წუწუკი ბერი ქალებს ერიდებოა? ჩუმი ენაკი მაიმუნზე უარესი ყოფილაო... ჩვენ მაგისთანა ამხანაგი არ გვინდაო...“ ვინ იცის, კიდევ რას იტყვიან გახარებული მექორე და მოშურე მატრაკვეტები! თომას სამსახურიდან დაითხოვენ. თავმოჭრილ მოლარეს ახლოსაც აღარავინ მიიკარებს. მშოიერი მოკედება დაღდასმული თომა. დაიღუპა, საწყალი თომა, დაიღუპა და გათავდა!

რამდენიმე დღე გავიდა. ადრე გასული თომა მხოლოდ შუალამეს შეიპარებოდა სახლში. საკუთარ ოთახში ფეხაკრეფით დადიოდა და ხველასაც კი იმაგრებდა. გაზეთ „მუშას“ რომ ათვლიერებდა, ხელები უცახცახებდნენ. გაზეთში არაფერი ეწერა. არც სამსახურიდან დაითხოვეს, არც მასხარად აიგდეს. მადლობა უფალსა! ერთხელ კიდევ ასცდა მეხი „გარყენილსა და უსინიდისო მაიმუნს“.

მაგრამ ერთს ვერ ასცდა ჭაბუკობიდან ნამარხულევი მოლარე: იმ დღიდან ისე ღრმად ჩაუჯდა თვალებსა და სისხლში ერთხელ მოლანდებული ბარძაყები, — მოთეთრო, მსუქანი და ტიკებივით გატენილი ორი ბარკალი და ორი წვივი, — თითქოს იმ გაშიშვლებულ დედაკაცს მუდამ თვალწინ ხონჩით ატარებდაო. და იმავე დროს თეკლეს ქურდივით ემალებოდა. მაგრამ ვერ დაემალა. ერთხელ ზნელ კიბზე წააწყდა და ისე გაინაბა, რომ საკუთარ სუნთქვასაც არ გრძნობდა.

— გამარჯვება, ბერო! დამშვიდდი? — მიძახა თეკლემ და ისე გადინარხარა, რომ მისი რახრახი მთელ სახლს მოედო.

თომას ენა დაება და ციფა ერთანტელმა ჩაუბინა. „ალბად არ იცის ის ამბავი, თორემ...“

„ის ამბავი“ ახალი და მიუტევებელი ცოდვა იყო, რომელიც თომამ გუშინწინ ჩაიდინა. იმ დღესაც თომამ ისე გაიხედა თავის ოთახიდან აივანზე, თითქო ქურდობას აპირებდა. გულში არაფერი არ ედო, სანამ თოკზე გადაფენილი თეკლეს საცხალი არ დაინახა. სწორედ თომას ცხვირის წინ განიერი თოვლივით თეთრი და არშინი პერანგის ამხანაგი ეკიდა. ისე იყო გაბერილი ნიაგისგან, თითქო შიგ თეკლეს თეძოები და ბარკლები ელავაო. ისე დააშტერ-



და, როგორც მაშინ თეკლეს ფეხებს. მერე თვალთ დაუბნელდა და მდღე-რად აუფრიალდა, სუნთქვა შეუგუბდა და იღუმალის ღელეებით დაიბნინდა.

უბილავემა ძალამ აივანზე გაიყვანა.

მიიხედ-მოიხედა, კრავინ მოსჩანდა. ხელი გააპარა, ჯადოსანი საცვალი ჩამოიღო, უბეში ჩაიღო, გველნაკებნივით შევარდა ოთახში, კარის და ფანჯრის დარაბები ჩაპკეტა, თითქმის უგონოდ დაეცა ვიწრო ტახტზე და ჩუმი ქვითინით აქვითინდა. წენიანი ძლივს შესვრიძა, პერანგის ამხანაგი წელზე შემოიკრა და ისევ სამსახურში გაიქცა. თეკლეს საცვალი ცეცხლის ქამარივით სწვავდა. იმ საცვალში ქალის ბარკლები ეწყო, რომელნიც თეძობებზე ჰქონდა შემოკერილი ადრულბული სისხლი შადრევანივით სცემდა თავში. ლექციებზე დიაკვანივით კითხულობდა, წანაკითხი უმაღვე ივიწყდებოდა. დღიური ხუთჯერ იანგარიშა, მაგრამ საერთო ჯამი ვერ იპოვნა და თავი თავზე ვერ გადაუბა. დიდ ხანს ვერგაძლო წამებას. ჩინმაში ჩაიქეტა, ქალის საცვალი მოიხსნა, ნაკუწ-ნაკუწად დაპგლიჯა და ჩამოშვებულ წყალს გააყოლა. მერე ისე არხვინად დაუბრუნდა სალარო-საკანს, თითქო წელიდან შხამიანი გველი მოიგლიჯა და გულიდან ქვეყნის ცოდვები ჩამოირეცხაო.

„მადლობა უფალსა!—გაიფიქრა კიბეზე ატუხულმა და კედელზე გაკრულმა ცოდვილმა.—აღბად საცვალის დაკარგვა ვერ გაიგო, ან შე არ მამბრიალებს. მადლობა უფალსა!

ორიოდე თვე გავიდა. თეკლეს ბარკლები იშვიათად ელანდებოდნენ. თომამ თითქმის დამშვიდდა. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა.

ერთხელ თომამ კიბეზე ჩამოდიოდა. რეგისტრატორი მარო კიბის თავზე ვადმოდგა, მოაჯირს ვადმოუყუდა და დაუძახა:

— ბატონო თომამ, ფული მაქვს მისაღები მარკების სასყიდლად. ვთხოვთ დაბრუნდეთ.

— არ შემიძლიან, სალარო დაკეტილია. თუქცა...

სიტყვა უღღარ გაათავა ზევით აიხედა და ისე გახვედა, თითქო კუნად ვადაიქცაო. მეტად ცხელი დღე იყო და მაროსაც აღბად ამიტომ არ ეცვა ის საცვალი, რომელმაც თომამ ერთხელ ცხელი შანთით დასდალა. გახვეებული მოლარე ისე მიაჩერდა მაროს ლაჯებს, როგორც მოხიბლული ჩიტი გველის თვალებს.

მარო კიდევ რაღაცას ეუბნებოდა. მოჯადოებულ თომას აღარაფერი ესმოდა. გაბრუნებული იდგა და, თავვადადგებული, კვლავ ზევით იცქირებოდა, სადაც მარმარილოსაგან გამოკვეთილი ორი წვივი და ბარდაყი იდგა.

მარომ თომას დამუნჯებისა და ამღვრელი თვალების მიზეზი იგრძნო და კაბა ლაჯებში ჩაიქეტა. იმავე წამს მოლარე სამიოდე ნახტომით კიბის თავზე ავარდა და შეწითლებული ქალი ორივე მკლავით ჩაბლუჯა. მარო ჯერ დაიბნა, მერე შეშინდა და შეფართხალდა:

— რა ექნა, რა დაგემართათ?... ხომ არ ვაგვიღიოთ?

მართლა ვაგვიღებულმა მოლარემ ენა ძლივს ამოიდგა, მაგრამ მხოლოდ ერთი სიტყვა იპოვნა:

— მარო... მარო... მარო...



— ხელი გამიშვითო!.. დამანებეთ თავი!.. მზეცო!.. გადმოვხედი
 თომას დაფეთებული ქალი ცვლავ მძლავრად ჰყავდა ჩაბლუკული. ღიზი-
 საგან ბნედიანივით კანკალუბდა და ქადაგავით ბურტყუნებდა:

— მარო... მარო...

— გამიშვით, თორემ დავიყვირებ... გამიშვით მეთქი, თორემ...

დაყვირების მაგიერ ნაწყენ ბავშვივით ასლუქუნდა და დაცალიერებულ
 ტკივით მოეშვა.

თომას თავზარი დაეცა. თომამ ქალი აატირა! იქნება ატკინა რაზე, იქ-
 ნება ხელიც მოსტება, ან ნეკნი ჩაუმტვრია?! ისევ სირცხვილი, ისევ თავის მოკ-
 რა! სამსახურიდან გააგდებენ, იქნება დააპატიმრონ კიდევაც! ეხლა კი მართ-
 ლაც დაილუბა საწყალი თომამ, დაილუბა და გათავდა!

კიბეზე ისე ჩამოქანდა, როგორც დაგორებული გატენილი გულად.

მეორე დღეს მარომ ოდნავ გაუღიმა. დაშინებულიმოლარე იმ დღიდან ისე
 გაუვლიდა ხოლმე უწყინარ რეგისტრატორს, როგორც აღმართზე მიმავალი
 მძიმედ დატვირთული და კისერ მოდრეკილი კამეჩი.

მას შემდეგ თეკლეს მსუქან ბარკლებს ისე ვერ წარმოიდგენდა, რომ
 იმის გვერდით მაროს თბელი ლაჯები და წვივები არ ატუზულიყვენ.

დიდბანს არ ყოფილა ყოყმანსა და არჩევანში. მუთაქასავით სქელმა და
 გატენილმა ბარკლებმა მალე დაჩრდილეს მაროს ჯიშინი კვედატანი.

— ხანი გავიდა. მაროსი და თეკლეს შიში თანდათან შენულდა სამიგვიროდ
 უფრო გაძლიერდა შიში ყოველი ქალისადმი. თომამ ეხლა საბოლოოდ დარწმუნ-
 და, რომ იგი ქალისთვის არ არის ვაჩენილი, ხოლო მისი შესაფერი დედაკა-
 ცი ან არსად არსებობს, ან მისი შეხვედრა უთვალავ ცოცხალ კაბებში ისე
 ძნელია, როგორც ბედისგან დანიშნული კენჭის პოვნა ზღვის ძირში. ამას იქით
 თომამ ქალს ვეღარ მიეკარება. ახლოსაც ვერ გაუვლის, ზედაც ვერ შეხვდავს.
 ალბად მთელმა საქართველომ იცის თომას მარცხი. თეკლემ, მარომ და სხვებ-
 მაც ალბათ ყბაზე აიგდეს უხეში მოლარე და კვევივით ლეჭავენ. ამიერიდან თომამ
 ქალების თვალში ჯამბაზია, ქვეყნის მასხარა და პაპულა.

ბინდ-ბუნდად გრძნობს მორცხვი დედისერთა თავისის ბრალს: თომას არ-
 შიყობისა არაფერი ესმის. ღიმილი, სიცილი, ალერსი, პატივი და გართობა არ
 ეგებრება. მისთვის ქალის გული ისეთი უცნაური, იდუმალი და ბნელი სულიე-
 რია, ვითარცა კუპრი შუალამეში. ნიადაგს არ ამზადებს. არც ხნავს და არც
 სთესავს. ნაყოფს ვერ ამწიფებს და შევახებს მოკრეფას ცდილობს. ისე უვლის
 გარშემო აჩემებულ დედაკაცს, თითქო მას კი ვერ ამჩნევსო. მერე გაგიყვებულ
 ბუღისავით უცებ დაეტაკება, დააფრთხობს, თვითონაც დაფრთხება, ერთი
 თვით ოთახსა და სალაროში ჩაიკეტება და შიშით და სირცხვილით იწვის,
 თრთის და იტანჯება.

გრძნობს თომამ შადიშვილი თავის მორცხვობისა და შიშის ნამეტანობას,
 მაგრამ თავისი ბუნება ვერ დაუძლევია. შიშნაქამ მოლარეს ჰგონია, ვითომ იგი
 ღიმილის მაგიერ ტუჩებს უშნოდ აპრუწუნებს, სიცილის ნაცვლად უბერიოდ
 კრიკინებს, მკლავებს კონკილასავით იჭნევს, ხელებს ბაყაყის თათებივით აფა-
 თურებს და თვითონაც მწვანე გომბეშოს ჰგავს.

ზოგჯერ სარკეში ჩაიხედავს. თითქო არაფერი აქლია. ვეცედე უკნო ზომიერია და ბუნებისაგან მიჩენილ ალაგზე აქვს მიკერებუნი, მაგრამ საარზიოდ რომ დაემზადება და ქალს მიუახლოვდება, სარკეში ნახული სახე უმაღლესი და თვალწინ გაჩაჩხული ვომბეშო და მაიმუნის სახე აეტრუნება.

დაიღუპა თომა შადიშვილი, დაიღუპა! ველარასფერი უშველის; ვერც კობტა ტანისამოსი, ვერც არშიუობა, ვერც გამბედაობა. ქალები შორიდანვე გაურბიან. რამდენჯერმე ძლივს გადურჩა ალიაქოსს, წივილ-კივილს, საქვეყნოდ შერცხვენას და სამსახურის დაკარგვის. არა, ამას იქით თომა ფათერაქს აღარ წააწყდება. მორჩა და გათავდა სახიფათო სიყვარულის ძიებაც და უშნო არშიუობაც.

ესე გადაჭრა რამდენჯერმე სასოწარკვეთილმა თომა შადიშვილმა. მაგრამ იმ ღამეს, მამა-დავითის თხემზე, ერთის მაგიერ ათი ეშმაკი ჩაუძვრა სულში და ათივემ ისე აუკაწრეს შიგნეულობა, რომ გაგუდული მოღარე ძლივს იმაგრებდა კელში მოწოლილ ბლავილს და კლდიდან დაგორების იღუმალ სურვილს.

უთვალავი ვერცხლის სათლებით მოციმციმე ცის გუმბათი უზარმაზარ ბუქი ჩაფხუტევით დასწოლოდა თვალუწვდენ ქალაქსა და მიდამოებს. აღმოსავლეთით სადღაც სამგორის მინდერის ან დავით გარეჯის უდაბნოს ტატრობზე შავი ღრუბელის ზოლმა ნელნელა მოათეთრო კალთა გადიშალა და უშველებელი სისხლიანი კრილობა გამოაჩინა.

მრგვალი მთვარე ცეცხლის ბურთივით ამოგორდა.

ქვეით, თვალუწვდენი ქვაბის ძირში ფერდობებზე და ხეებუცებში მეორეცა—ქალაქი ჩაწოლილიყო: ისიც უზარმაზარი, და უთვალავი სათლებით მოქედილი. იმ საარაკო ჯამიდან იღუმალი გუგუნე და ბუტბუტი მოისმოდა.

შორს, ჩრდილოეთით, ჩამუქებულ ლურჯზე ოდნავ მოსჩანდა მუცინგარის ასფექტილი მოთეთრო ტანი. მცხეთის მხრიდან გრილი ნიავი ჰქროდა.

თხემი გაჩაღებული იყო. ყოველ მხრიდან მოისმოდა ხალხის კრიაშული, არღნების ხრიალი, ზურნის ჰყვიტინი, სიმღერა და დუდუკის ბუტბუტი.

მხოლოდ ესლა ვახისენა, დინახა და გაიგონა ორმოს უჯრედიდან ამოგლეჯილმა თომამ თვისი დავიწყებული ბავშვობა, ვერცხლის სათლებით მოქედილი ცა, სისხლიანი მთვარე, ქალაქის გუგუნე, მზიარული ხალხი, ქალ-ვაფთა კისკისი, ბნელში გათიშულთა ჩურჩული და ერთმანეთში ჩახლართული მკლავები.

გუშინ დედამ მეასეჯერ მოაგონა თომას ცოლის შერთვა. მარტოხელა დედაკაცი აწუწუნდა: ისე არ მოგვედო, რომ შენი ქორწილი არა ვნახოო. თომამ ერთხელ კიდევ დაამშვიდა. ჯერ ერთი, ექვსი თუმნით ოჯახს ვერ შეინახავს. მეორე, ერთი წლის შემდეგ უნივერსიტეტს დაასრულებს, თხუთმეტ თუმნიან ალაგს იშოვნის და ფსიც მეთი დაედება. ენაცვალოს დედის ერთას მართა! მაშინ ოციოდე მზითვიანსა და ღამაზ კახელს მოუფროვებს თავისს ნაწყავლ შეილს. აირჩიოს, ვინც თვალში მოუვა. ვინ ეტყვის უარს მშრომელს, დინჯსა და ფხიშელ თომას!



მართა ეხლაც იმ ქალებზე ფიქრობდა, თომას კი მაროს რაჯენი უტკლეს ბარკლები, თეთრი ორტოტა და ათასი უემური ელანდებოდა. შერე შუბლის წინ ხელი აიჭნია, თითქო ლანდები დააფრთხო, და:

— დედი, წავიდეთ.

— წავიდეთ, შვილო.

კვირა დღე იყო, ამიტომ მამა-დავითის თხემი ხალხით გაიტყდა. ყოველ ათიოდე წუთში ვაგონი სრიალით ამოვიდოდა, ამოსულებს გამოჰყრიდა, წამს-ვლელებს აიკიდებდა და ისევ თავ-თავეჭვე ჩასრიალდებოდა. მიმავალთა რიგში ორასი სული მაინც იდგა. რიგს თვისი კუდი გარეთ მოედანზე გამოეყო. თომამ დედა წინ დაიყენა და თვითონ უკან დადგა.

უკებ ბურგზე ლბილი და თბილი რამ გაეხახუნა. უმაღ მიიხედა და დიდრონს, ღრმად ჩაცვიფნულსა და ჩამუჭებულ თვალებს წააწყდა. ძლივს მოასწრო თვალის გადავლება. შავი, ბულულივით დაყრილი თმა; ოდნავ გამხდარი, სუფთა პირისახე; მჭიდროდ მოკუმული წითელი ტუჩები; ხშირი, გადაბმული წარბები; გრძელი წამწამები და მარცხენა თვალის უბეში მიმალული მუქი ხალი.

შავი და სადა კაბა ეცვა, უსახელო და მკერდამოჭრილი, ხოლო გულის პირის ნაპირებში ჩალაგებული ჰქონდა ორთ ლბილი და თბილი ძუძუ, რომლებიც თომამ წელან თავის ბეჭზე იკრძნო. მარჯვენა ხელში გაშლილი შავი მარათ ეკირა და პირსახეს დინჯად ინიავებდა. თითზე სისხლიანი ლალი ზბრწყინავდა.

თომამ ქალს თვალი გადაავლო. ქალმა ტუჩის უბე აიწია და თომას დაფეთებულ თვალებს ორივე თვალი დაატკერა. მოლარემ უმაღვე პირი მოიბრუნა.

ერთი წუთის შემდეგ მისი ორივე ბეჭი ისევ ლბილი, მოქნილი და ცხელი შანთით დაიდალა. იმავე წამს ბედნიერი მოლარე ჰიანქველების ბუდეში ჩაჯდა. თავით ფეხებამდის ისეთმა საიმურმა და ღიზიანმა ერეოლამ ჩაურბინა, რომ, სიამისაგან დამდნარმა, შემკრთალი თვალები მიღულა და უძირო ოხვრით ამოიოხრა.

რიგში ჩამდგარი ხალხი ტაატით მიიწედა. გაბრუებული თომა კი ისევ გაბნეებული იდგა და ისევ ჯადოსნურ შანთს ელოდებოდა. უცნობი ქალი თავის მკერდს წამ-და-შწუმ ბეჭებზე გაუვლებდა, ხან მარჯენიდან მარცხნივ გაუზელავდა ხან მარცხნიდან მარჯენივ დაუსრესავდა, ხან კიდევ ორივე ძუძუთი მიაწვებოდა და გარინდულ მამაკაცს ორიოდ ნაბიჯით წინ წასწედა.

ცეცხლმოკიდებული და თავჩალუნული მოლარე საამურ ჯოჯობეთში ჩავარდა. აღუღებული სული შეიგუბა და თვითონაც გაინაბა, ნამდვილად კი შეხუთულ ყელში სიხარულის ყვირილი აწვებოდა.

არა, არ დაღუპულა თომა შადიშვილი! არც ისე დასაწუნი ყოფილა, როგორც თვითონ და სხვებსაც ეგონათ. ან აქამდის რად იჯერებდა თომა, ვითომ იგი წყალწალბებული, გონჯი და ქალებისთვის უნდომი ყოფილიყოს? მამ თომაც ვაჭაკი ყოფილა, ალბად იმასაც ჰქონია ეშხი და ძალა, თორემ...

— ოოჰ, ღმერთო დიდებულო, რა ძალა ჰქონია ქალის ძუძუს!

თომამ აქამდის ერთ ქალსაც ვერ აუღულა სისხლი: ვერც მაროს, ვერც



თეკლეს, გერც ათთოდე სხეას. აღბად ისევ თომას ბრალთა. *ბაშკაშვილი*, თომას ბრალთა!

— ბრიყვი, უხეში, თავებდი და უზრდელი ვარ, თორემ... ოოპ, რა ცხელი მკერდი აქვს ამ უცნობს!

თომას რომ ღიმილი შექლებოდა და მოთმინება ჰქონოდა, აქამდის არ იმარბულებდა, არ გაითიშებოდა და ერთს ცუგრუმელას ისიც იშოვნიდა... თუნდ დროებით, სამთოდე თვით, სწორედ ისე, როგორც ებლაა მიღებულთ.

მაგრამ, რაც იყო-იყო! თვისი სიმხდალედ და შიში თომამ წარსულს გაატანა და თვითონაც დაივიწყა, ებლა კი...

— რა ვქნა, როგორი გამბედავი ვინმე ყოფილა ეს ქალი! ამოდენა ხალხი ირევა... იქნება გვხვდავს ვინმე... ოოპ, რა ღბილი და მოქნილი ძუძუები აქვს ამ აღჭაჯს!

აღჭაჯმა ერთხელ კადედ წაჰკრა მწვავე მკერდი სანეტარო ბურანში წასულ თომას და ორი ნაბიჯით წასწია. მერე ისევ ბეჭებზე მთავა და მთელი ტანით ხან მარჯვნივ მიტრიალდა, ხან მარცხნივ მობრუნდა.

არა, თომა არც ისეთი მშისარა ყოფილა, როგორც ადრე ეგონა.

აი, თუნდ ებლავე მოიკრებს გამბედაობას, მიტრიალდება, დაელაპარაკება, ვინაობას გამოჰკითხავს და ხეალ... ან დღესვე...

თავი მიბრუნა და ისევ გულისმქამელ თვალებს წააწყდა. ის თვალები უფრო ჩაშავდნენ, ჩაღრმავდნენ, გაგანიერდნენ და ისე გაეაფარდნენ, თითქოს ორი ორმოდან ორი ცეცხლოდებული ნახშირი ანათებდათ. თომას თვალებში ცხადად ეწერა ტკბილი ტანჯვა, იდუმალი მუდარა, ვინაობის კითხვა და მადლობის აღერსი.

ქალმა თვალი არ მოარიდა. ჯერ ორ ორმოში ჩაყრილი თვალები პირსახეში შეუნათა, მერე წითელი ტუჩები გაიხსნა, გაიღიმა, თეთრი მძივის კბილები გააუღვარა, ტუჩების მარცხენა კუთხეში ერთი ოქროს კბილი გამოაჩინა და შემდეგ მთელი პირსახეზე შავი მარაო შავი ნიღბივით აიფარა.

თომას სიტყვა ხახაში გაეჭედა. გაშეშებული თავი ხელმეორედ მოიბრუნა და შეგუბებული სული ისე ამოუშვა, თითქო სამკედლო საბერველმა ამოიქშინაო. იმავე წამს გაგულული მოღარე ჯიანჭველების ბუდიდან ცხელ თორწენში ჩავარდა: უღმობელმა ქალმა, რომელიც ჯადოსან სულთამსუთავივით მისდგომყო, უქნიდან თვისი მუხლი შეუყარა და მოჭრიდებლად მოუცაკუნა.

თომამ მწვავე სიტკბობისაგან კინალამ შეჰკვილა. მერე ოდნავ ჩაიწია და გახურებულ ბარძაყს მიეკრო.

ნეტა ვინ არის ეს აღჭაჯი? სადაურია? ვისი გვარისაა? გათხოვილი დედაკაცია, ნამარბულევი ქვრივია თუ გაუთხოვარი ქალწული? ქალწული? არა, ვინც უნდა იყოს, ქალწული მაინც არ იქნება. შეიძლება უძღურის ცოლია? მისი ქმარი ან ავად იქნება, ან გამოფიტული, ან მოხუცი, ან დიდი ხნით სადმე გადაკარგული. იქნება ეს ქალი ქვრივიც არის დიდხ ხნით დამწნილებული, მშერი და მწყურვალი? ვინ იცის, იქნება ეს ქალი ქალური სენით, მშურვლებით არის შეპყრობილი? უარესიც შეიძლება: იქნება ქუჩის დედაკაციც იყოს.

— დედი, რომელი საათია? — მოესმა თომას უქნიდან.



უმალ მიიხედა. მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ იმ ქალს უცნობად დედა მოსდევდა. ის ხნიერი დედაკაციც სუფთად იყო ჩაცმული.

— არა, არა! ქუჩის ქალი არ არის. ყველაფერზე ეტყობა, რომ კარგი ოჯახისანი არიან. —

ნეტა კიდევ დაილაპარაკონ. ნეტა ამ ქალის საბელი, გვარი ან მისამართი მაინც ვააგებინა გულტალღიან თომას, რომელმაც სმენა სამართებელივით გაიღესა. მაგრამ ქალები ისევ გაჩუმდნენ. თომამ კვლავ იგრძნო ცხელი შერდი და გიჟური ჟრკოლა.

უკვე შენობაში შევიდნენ და ორ რიგად გავლებულ მოაჯირებს გაჰყვნენ. ამ ვაგონს ვერ მიუსწრებენ, მაგრამ მეორეში უძვეველად ჩასხდებიან. ნეტა ერთ კუპეში ჩასხდნენ, ნეტა არავინ შესწვევითს ის იღუმალი საბელი, უხილაემა განგებამ ასე მკიდროდ შეჭკრა ის მშვიერი ქალი და ბედნიერი თომა.

მაშ რა ჰქვიან ამ ქალს? ვინ არის? სადაურია? გათხოვილია, თუ...

— დედი!

თომამ სული შეიგუბა და სმენად გადაიქცა.

— დედი, ბათუმის მატარებელი ჩამოსული იქნება, არა?

— ჰო შეილო, ჩამოსული იქნება.

— მაშ სანდრო ჩამოვიდოდა.

— ალბად ჩამოვიდოდა, შეილო.

და გაჩუმდნენ. მეტი არაფერი.

ნეტა ვინ არის სანდრო? ამ ქალის ქმარია, ძმა თუ დანიშნული? თომამ ერთხელ კიდევ მიიხედა. ქალმაც ერთხელ კიდევ გაუღიმა, ოქროს კბილი გააბრწყინა და ალექსი-გაბადრული პირისაზე ისევ შავს მარაოს ამოაფარა.

მიუხე-მოუხვიეს და კიბეზე ჩავიდნენ. უცნობნი ისევ თომას ამოუდგნენ გვერდით. ის ქალი ისევ იღიმებოდა, მაგრამ თომას ველარ ეკვრებოდა. ვაგონი გვირაბში შემოკოცდა, ფუსფუსით და ევილ-ხივილით ორმოცი კაცი მარჯვენა კიბეზე გადმოჰყარა, მარცხენა მხრიდან ახალი ორმოცი ჩაილაგა და სრიალ-წრიპინით თავქვე დაეშვა.

ის ქალი და თომა პირის-პირ სხედან და ქვრდულად ერთმანერთს თვალებით სკამენ. ქალის ფეხი თომას ფეხებთან ფათურობს, შავი მარაო შავი ფარდასავით ხან დაეშვება ქალის ოდნავ მოღიმარე პირსაზე, ხან გვერდით გად-აიწევს და ერთი წუთით გამოაჩენს მწვანე თვალებს, შავი ლარივით გაკრულ წარბებს, წითელ ტუჩებს და ბინდში მოვლევარე თეთრ კბილებს, რომლებშიც ერთი ოქროს კბილი ობოლივით ჩარეულა.

მაშ ვინ არის ეს ქალი, ვინ? რატომ ხმას აღარ იღებენ დედა-შეილი? იქნება თომამ მიაგნოს რამეს, — ან სახელს, ან გვარს, ან ვილაც სანდროს ეინაობას.

თუმცა... არა უშავს-რა. სულ ერთია, თომას ეს ქალი ვერ დაეკარგება. აქედანვე დაედგენება და ბინამდე მიჰყვება. დედას ტრამავით გაისტუმრებს, ნ ვითონ კი...

— შეილო, ძალიან ცუდად გავხდი. — კენესის ამ დროს თომას დედა.

ვაგონი განათებულ დარბაზში ჩაძვრა და შესდგა. ყველანი გამოდიან. თო-

მა თავის დედას თითქმის მიათრევს. ის ქალი და იმისი დედა წინ მიდიან. ქალი ხან-და-ხან უკან იხედება. პატარა მოედანზე ტრიამეის წაგონი სდგას.

— ნელა, შეილო, არ შემოძლიან.— ისევე წუწუნებს მართა, ნაბიჯს უკლებს და ვაგონისკენ მიიწევს.

უკლებ იმ ქალმა ვაგონს გვერდი აუხვია და ქუჩა გადასკრა. ცხადია, ფეხით მიდიან. მამა-დავითის მოედანს გადასკრიან და დაიკარგებიან. ჩქარა, თომა, ჩქარა! ნაბიჯს მოუმატე, თორემ სახედო გეკარგება.

— დედი, ფეხით ჩავიდეთ. მამა-დავითის ქუჩა აქვია. აქედან ხუთ წუთში ჩავალთ კავკავაძის ქუჩაზე.

მართა უკვე ვაგონზე აფოფხდა.

— არა, შეილო, ვაგონით წავიდეთ. სიარული არ შემოძლიან.

— დედი, ეხლავე ჩავალთ მეთქი...

ქუჩის გაღმა გაიხედა. მეორე ნაპირზე ის ქალი იდგა. თომას შემოსცქეროდა და მარაოს დინჯად არხევდა. თომა ვაგონის საფეხურზე იდგა და ყოყმანობდა.

— დედი, ჩამოდი. ხელით ჩაგიყვან.

— შეილო...

— აბრძანდით, ამხანაგო, ვაგონი მიდის.

ვაგონი დაიძრა. თომამ ერთხელ კიდევ გაიხედა გაღმისკენ. შუბლშეკრული და პირმოკუმული ქალი გახევებული იდგა. დაკეცილი მარაო და ორივე მკლავი მათრახებივით ეკიდა თქოზე. უკლებ მიტრიალდა და ხუთიოდე ნაბიჯის შემდეგ ბნელ მოედანზე ბნელა აჩრდილივით გაითქვიფა, ბედნიერების ძაფი გააწყდა.

თომა უკანა ბაქანზე იდგა. ერთსა და იმავე დროს კაპასი ბრაზით და მწვავე სევდით ალივსო.

„ბებრუხანაი.. მაჯლაჯუნაი.. რაღა ეხლა მოგიარა შავმა კირმა?!— გულში ილესებოდა დედაზე.— ჩემზეა ნათქვამი: უბედურს ქვა აღმართხედაც მოეწევიაო“.

გული მწარედ აუკვნესდა. ბრაზისგან და სიმწარისგან ატოკდა და აიბურძნა. მერე გაიფიქრა:

„რუსთაველის ხეივანზე ვუყეღავ. იქ სადმე დაფუხვდები და გავყვები.— მერე კონდუქტორს მიუბრუნდა:

— რა ამბავია! ფეხით მიმავალბამაც კი გაგვისწრეს.

პასუხა არ მიიღო. ვაგონი მართლა ტაატით მიცოცავდა. თომა ორივე ხელით ვაგონის კედელს აწვებოდა, თითქო მისი აჩქარება უნდოდაო. სოლოლაკში, გაუგებარ მიზეზის გამო, ვაგონი ხუთი წუთით იდგა. თომა მოუთმენლობის ბრაზით იხჩობოდა:

„რა ვქნა, რა ღმერთი ვაგონწყრათ? ვის ელით? რა მოხდა? გარეკეთ რაღა, თქვე მუქთახორებო თქვენა!“

მოედანზე ძლივს ჩავიდნენ. თომა და მართა უმაღვე მეორე რონოდაზე გადასხდნენ.

— როგორა ხარ, დედი?



ეროვნული
მიჯნაობა

— ეხლა კარგადა ვარ, შვილო.
რუსთაველის ხეივანზე რომ გავიდნენ, თომას თვალებში ორჯერ გაუღიღდა.
ქუჩის ორივე ნაპირს გაფაციცებით აცქერდებოდა და, სულგანაბული, იმ უცხო
ქალს ეძებდა.

ორივე მხარეზე ხალხი რამდენიმე ნაკადად მიდიოდა. ხეივანის ჩრდილებ-
ში ხან ერთი ლანდი დაემზგავსა იმ ქალს, ხან მეორე.

„აგერ, ის არის... მგონი ის არის... აი, ეს ქალიც ძალიან ჰგავს... აგერ,
მოდის, მოდის?“

მაგრამ, რომ დააცქერდებოდა ხოლმე, გული უკვდებოდა. ის ქალი არსად
მოსჩანდა.

ოპერის თეატრთან ჩამოვიდნენ,

— დედი, შენ მარტო წადი. ნუ გეშინიან, არავინ მოგიტაცებს, აგერ,
აქვეა ჩვენი სახლი. მე ერთ ამხანაგს ორიოდე ხიტყვას ვეტყვი და მალე დაე-
ბრუნდები.

— კარგი, შვილო. ნუ დაიგვიანებ.

მართამ ქაქავაძის ქუჩაზე აუხვია, თომა კი ხალხის ნაკადს გაჰყვა და ზე-
ვით წავიდა. ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა და დაკარგულ ბედს გულის ფანცქა-
ლით დაეძებდა.

„ალბად აქეთ წამოვიდა. ქართველების უმრავლესობა ვერაზე ცხოვრობს,
თუ ფეხით წამოვიდნენ, ეხლავე დავეწევი. აგერ, მგონი ის არის“.

გამოუდგა, მაგრამ შორიდანვე იგრძნო შეტკომა. იმ ქალს ვაჟი მისდევდა.
გარდა ამისა, მკლავზე თეთრი მოსახვევი ჰქონდა გადაგდებული და უფრო სრუ-
ლი ტანისაც იყო.

თითქმის მირბის თომა შადიშვილი. ხანგამოშვებით ან წააწყდება, ან
ხელს ვაკრავს უცნობ მავალებს. ბოდიშს არ იხდის, ზედაც არ შეჰხედავს. ას
ნაბიჯზე არჩევს ქალებს. შავ-კაბიანს რომ დაინახავს, გული გაუფართხალებს,
მაგრამ, ოდნავ რომ წამოეწევა, ისევ აუკნენსდება.

ვერის დაღმართს რომ მიაღწია, შესდგა და ოფლი მოიწმინდა. იმ ჯვა-
რედინზე ხალხი ფუტკარივით ირევა.

ნეტა საით წავიდოდა ის ქალი? იქნება ვერაზე გავიდა? ან ვერის დაღ-
მართზე დაეშვა თუ ზევით გორაზე ავიდა? იქნება აქეთ არც კი წამოსულა?
იქნება მამა-დავითის ფერდობზე სცხოვრობს? ან იქნება რუსთაველის ხეივანი
გადასჭრა და კუკიაში გავიდა? მაშ სადა ხარ, თომას საბედოვ, სად?

თომა ვაგონებს აცქერდებოდა. ხალხი თანდათან კლებულობს. შუალამე გა-
დასული იქნება,

თომას თანდათან გული ელევა. ისე გამობრუნდა უკან, თითქო შიგანურ-
ში რალაც ჩაუწყდა, ან ხერხემალი მოეშალაო. ყელში უცნაური ბურთი მოაწევა,
თვალები კინალამ კრემლით დაუსველდა.

აგერ, მარომ და ვიღაცა ვაჟმა გვერდით გაუარეს. ისე მზიარულობენ,
თითქო ჭორწილი ჰქონდათო.

აგერ, ერთი თავჩაღუნული ქალი მოდის. ნეტა საიდან მოდის? რად არის



ისიც თომასავით პირქუში და მარტო იქნება ისიც საბედლოდ ეტყება —
საყვარელთან იყო, ან იქნება ეხლა მიდის მიჯნურთან? —

აი, ახალგაზღვა ჭალ-ვაეთა გუნდი მოდის. მათი კისკისი და ოხუნჯობა ას ნაბიჯზე ისმის. ალბად ამაღამ ერთი ან რამდენიმე წყვილი ერთმანერთს ჩაეხუტებიან და .. ღმერთმა მშვიდობა მოგვეთ! თომას ოქვენი ბედნიერება არა ჰქურს, რადგან იმისი ჯერიც მოვიდა, მართალია, თვისი ხვედრი დაეკარგა, მაგრამ ხვალ ან ზეგ ისევ შეგხვდება სადმე და, ბედის წიგნში ჩაწერილს, სასოებით, ლბენით და მადლობით მიიღებს.

ეხლა თომას აღარ ეშინიან თვისი მორცხვობისა. თამამი ქალი ყოფილა. თვითონვე იპოვნის თომას და გაბედულად ეტყვის:

„გამარჯვება, თომა! მიცანი?“

თომა უპასუხებს:

„გაგიმარჯოს, ჩემო საბედო! გიცანი, რა თქმა უნდა, გიცანი. დიდი ხანია გელოდები. მადლობა ღმერთს, რომ მიპოვნე.“

ის ქალი... მართლა, რა ჰქვიან თომას საბედოს? ელო? ნინო? თამარა? თეკლე? თომამ ოციოდე სახელი ჩამოსთვალა. ისევ თამრო მოეწონა,

მაშ ესე: თამრო თომას ორივე ხელს ჩამოართმევს, თავისი შავი თვალე-ბით გაუღიმიებს და ჰკითხავს:

„მოგწონიარ?“

თომას ზოგი რამ აქვს წაკითხული და გავონილი, ამიტომ უხეშად კი არ დაეძგერება თამროს, არამედ მუხლებში ჩაუფარდება და ეტყვის...

„რომ... მაშ რას ეტყვის თომა თამროს? ეტყვის: ჩემო თამრო, თამარო, თამრიკო!..“

— გამარჯვება, თომა! — შეაწყვეტინა ოცნება კოტე აბრიძემ და გზა გადაუღობა. — კაცო, შენ მართლა ბერი ყოფილხარ. ქუჩაშიც არ გამოდიხარ. პირველად გხედავ ამ დროს, წამო, წყალი დაეღიოთ.

კოტე აბრიძე მდივნად იყო იმავე დაწესებულებაში, სადაც თომა მოღარედ მსახურობდა. გარდა ამისა, თომა და კოტე მეზობლებიც იყვნენ. ორივენი ჰაგვაჰაძის ქუჩაზე სცხოვრობდნენ: კოტე სამსართულიან სახლში, თომა კი იმის გვერდით, უფრო დაბლა, ორსართულიან მოძველებულ შენობაში. მაგრამ ერთმანერთს იშვიათად ხვდებოდნენ.

თომა კოტეზე უფრო ერთგული იყო და სამსახურში ნახევარი საათით მაინც კოტეზე ადრე მიდიოდა, ხოლო იქიდან ისევ ნახევარი საათით მაინც უფრო გვიან გამოდიოდა.

ლალიძესთან შევიდნენ და ხილის წყალი მოითხოვეს. თომა კარების პირის-პირ დაჯდა თვალეები ქუჩას მიაბჯინა.

„ვინ იცის, იქნება თამრომ გამოიაროს. იქნება იქიდან სტუმრად შეუხვია და ეხლა აქეთ შემოუხვიოს. თუ მართლა შემოთ სცხოვრობს, ამ ალაგს გვერდს ვერ აუხვევს.“

— თომა, რამდენი წლისა ხარ?

— ოცდა შვიდისა.

— მერე, შე კაი კაცო, ეგრე უნდა დაბერდე? კაცი ვერსად გნახავს. არც მეგობარი, არც ქალი, არც ღვინო, არც ღუქანი და არც თეატრი.



თომამ ტუჩებით და თვალებით გაიღიმა. ჩვეულებრივად ჩუქურთმის ტუჩებით იღიმებოდა.

— კარგი წყალი ყოფილა. — მოიწონა თომამ შინდის წყალი. — ამას იჭით სალამოობით შემოვივლი და ერთ ჭიქას დაველეგ.

— ამ წყლით უნდა იჭეიფო? მეტი არაფერი?

— ჯერ აქედან დავიწყებ.

თომამ არა სთქვა გამოსეირნების ნამდვილი მიზეზი. ზეალინდელ დღიდან ქუჩაში დაიწყებს სიარულს, აქაც შემოიხედავს და დაისვენებს, მერე ისევ გაივლის, ისევ შემოვა და იმ დრომდის იბეტიანებს, სანამ თამროს არ წააწყდება.

კოტემ ლაპარაკი სამსახურზე გადაიტანა. თომა თითქმის არ უგდებდა ყურს. ქუჩას გასცქეროდა და თამროს გამოჩენას ელოდებოდა.

წყებ მოსხლტა, კოტეს აბაზიანი დაუდლო და გაიქცა.

ქვეით სამი ქალი მიდიოდა. ერთს მალლა აწნული შავი თმა ჰქონდა და შავი კაბა ეცვა. თომამ გვერდით გაუარა, გადაჰხედა და გულში კიდევ ერთი ძარღვიან ჩასწყდა.

მერე მეორეს მოჰკრა თვალი. შორით მიდიოდა. იმასაც შავი ეცვა და თმაც აბურძგნული ჰქონდა. თომამ ნაბიჯს მოუხშირა. ახლოს რომ მივიდა, კაბა შავის მაგიერ ყავის ფერი გამოდგა. ერთი ძარღვი კიდევ ჩასწყდა და ყელში იმოღენა ბოლმა მოაწვა, რომ ნერწყვი შეეკრა და სუნთქვა გაუძნელდა.

ნელის ნაბიჯით გამოზბუნდა, კოტე აბრიძე იქ აღარ იყო, სადაც დასტოვა. იმედ-დაკარგული თომა ჰაეჰაეაძის ქუჩას შეუდგა. ისე მიდიოდა, თითქო იმ კლდიან აღმართს ხნავდაო.

— შეილო, ძალიან დაიგვიანე.

თომამ პასუხი არ ვასცა. მართამ მალე ფშვინვა ამოუშვა. თომა კი კიდევ დიდბანს იხერხებოდა, ოხრავდა და კენესოდა.

თამრო ხან წელანდელივით ბეჭებზე ცხელ ძუძუებს უხახუნებდა, ხან წინიდან ეხუტებოდა, ხან კიდევ თვალებში უცინოდა, მურვალე აღერსით სწავადა, ახრჩობდა და ამტვრევდა.

მეორე დღეს თომა ტყვილად ჩასცქეროდა წიგნებს: ერთი აზრიც ვერ გაიგო და ამონაკითხი ვერ შეითვისა.

ზურგი კვლავ ეწოდა და ქვემოთ ერთი ადგილი სტკიოდა. თვალწინ თამრო ედგა: ნალევრდლოვანი თვალებიდან სხივოსან ნაპერწკლებს ესროდა, წითელი ტუჩებით უღიმოდა, მკერდით ოდნავ ელამუნებოდა და ხანგამოშვებით შავის მარათი შავ ფარდასავით პირსახეს იბურავდა.

თომა სალამოზე სამსახურში მოსვლას არ აპირებდა, ამიტომ დღიური საქმე დღისითვე გაათავა. სალარო რამდენჯერმე დასთვალა. ჯერ თხუთმეტი მანეთი დააკლდა, მერე ოც-და-ზუთი, შესამედ თვრამეტი. მეოთხეჯერ ოცი მანეთი ზედმეტი აღმოაჩნდა. ბოლოს, როგორც იყო, თავი თავს გადააბა და ოცი მანეთი დანაკლისი ჩაიწერა. ეს დანაკლისი პირველი დაუდევრობა იყო პირნათელ მოლარისა.



„ალბად თუმნიანის მაგიერ სამთუმნიანი მივეცი“, — გულსწველია და, თუკა გადნაყოლის დაბრუნების იმედი არ ჰქონდა, მაინც ტიროსა და მძვინვარის გვარი — კოტე აბრიძე, რომელმაც იმ დღეს შეიღო თუმანი მიიღო.

სადილად წენიანი ძლივს შესვრიდა.

— რატომ არ სჭამ, შეილო? — ჰკითხა დედამ და დააცქერდა.

— არ მინდა, მადა არა მაჭეს.

— დილითაც არაფერი გიჭამია. სამსახურში ხომ არაფერი შესჭამე?

— არა, დედი, არაფერი მიჭამია.

— წუხელი კარგად ვერ გეძინა. მთელი ღამე ოხრავდი და ბრუნავდი.

თომამ პასუხი არ გასცა. ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა:

— მამ ხვალ აპირებ წასვლას?

— ჰო, შეილო, წავალ. უსაქმოდ ამ სიცხეში აქ რა მინდა.

— კარგი წადი. იქნება საახალწლოდ გნახო.

ისევ წიგნს ჩაუჯდა, მაგრამ წელანდელივით ვერაფერი გაიგო.

ძილი მოინდომა, მაგრამ ლული ვერ მიიკარა.

„ადრეა. მაგრამ, ვინ იცის, იქნება თამრომ ეხლა გაიაროს სადმე“ — გაიფიქრა გუშინდელ ქალზე, რომელსაც საბოლოოდ თამრო დაარქვა და წამოდგა.

ჯერ რუსთაველის ხეივანი ჩაირბინა და მოედანზე ჩავიდა. ყოველ წუთში ახალ-ახალი რომოდები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, ხალხი ბუჩქით ირეოდა. განიერი ტროტუარი უწინდელი ვაჭრებით იყო სავსე, საკუთარი გასასყიდი და სასყიდი აღარაფერი ჰქონდათ, მაგრამ სხვისი საქონლით მაინც ვაჭრობდნენ და შუამავლობით სულს ითქვამდნენ. უგვარ-ტომო ბიჭ-ბუჭები ჰყიდდნენ ჰაპიროსებს და „ხოლოდნი ვადას“; სხვები ქუჩის ნაპირზე ჩამწკრივებულიყვნენ, უუზარ-მაზარ ქოლგების ქვეშ ჩამსხდარიყვნენ და გაცხარებით ფეხსაცმელს აპრიალებდნენ.

თომამ იქაურობა მოათვალიერა და ისევ რომოდებს დააშტერდა. ხალხი თანდათან მატულობდა. მერე გაიფიქრა:

„თამრო რომ ამ უბანში ცხოვრობდეს, გუშინ მამა-დავითის დაღმართზე ფეხით არ ჩამოვიდოდა. ცხადია: ან მთაწმინდაზე სცხოვრობს, ან ვერაზე. მამასადამე, ისევ იმ უბნებში უნდა ვიტრიალო.“

მეხუთე ნომერს მოახტა და უკანვე დაბრუნდა. მიდიოდა და ქუჩის ორივე ნაპირს გუშინდელივით უთვალთვალებდა. დიდხანს იარა რახრახით და კრიკინით.

— ჩამობრძანდით, ამზანაკო! — მოაგონა ბოლოს კონდუქტორმა.

თომამ მიიხედ-მოიხედა. თურმე უნივერსიტეტთან გასულიყო.

იქნებ თამროც სტუდენტია? იქნება დილას აქ იყო? ვინ იცის, იქნება ეხლაც იქ არის? მართლა, ამ კვირას თავდება ლექციები.

მართალია, თვითონ თომამ კვირაში ერთხელ ან ორჯერ მივიდოდა ხოლმე სალამოს ლექციაზე, მაგრამ, ვინ იცის, იქნება თამროს შეხვდა კიდევაც ოდესმე. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. თომამ შეიხედავს უუზარმაზარ შენობაში, მიივლ-მოივლის და დაბრუნდება.

შეიხედა მთავარ-მოთარა, ყველანი ჩაათვალიერა და დაბრუნდა. თამრო ვერ იპოვნა.



ვერის დაღმართზე თამროს ერთი მიაშზგავსა, დაედევნა. გაეტყუებდა შეხედდა, მაგრამ ის ქალი ხნიერი ვინმე გამოდგა. გამწარებულმა ხარკმა მისტრიალდა. დალილი და აფორიაქებული, გუშინდელივით ლალიძის დარბაზში ჩამოვდა, კოლის წყალი მოითხოვა და ისევ ქუჩას მიაშტერდა.

კოტე ბადრიძემ შემოიხედა.

— გამარჯობა, თომა! შენც შემოეჩვიე, ვანა!

— ცხელა, გავვრილდი და დავისეენე.

— დღეს მე გპატიეობ.. შენი ხარჯით—დაუმატა კოტემ, ცუდლუტურად გაიღმა და ორი ბოთლი ლუდი მოითხოვა.

თომას რამდენჯერმე ჰქონდა ნაცადი უწყინარი ლუდი, მაგრამ მისი გემო ვერ შეიგუა. ეხლა კი გაუგებარი რამ დაემართა. მომწარო ლუდი და მლამე შავი პური ისე ეტკბილა, თითქო იმ სასმელით გაიზარდაო. ნელ-ნელა სვამდა ოქროს ფერ ლუდს და ქუჩას თვალს არ აშორებდა. მერე სთქვა:

— გვეყოფა, გავათავოთ.

— აკი ვითხარი, მე გპატიეობ შეთქი,

და ორი ბოთლი კიდევ მოითხოვა.

— შენ მპატიეობ ჩემის ხარჯით, არა?

— ვგრეა.

— ორი თუმანი გადავყოლე, ორ აბაზს მიბრუნებს—გაიფიქრა თომამ და კოტეს დააკქერდა. მერე ჰკითხა:

— რამდენი უნდა დახარჯო ჩემს პატიეობაზე, ორი აბაზი თუ ორი თუმანი?

— ორი თუმანი, სრული ორი თუმანი.

— ჩემი თუ შენი?

— რა თქმა უნდა, შენი.

— იცი, რომ მოქეიფე არა ვარ, ამიტომ გავულისდი ჩემთან არა?

— ლეინოზე არ გპატიეობ, ვიცი რომ არა სვამ. ქალები დავიპატიეოთ და თითო მწვადი შეგვამოთ,

— ქალები?.. მე?..

თომა, მწვადი, დუქანი და ქალები? არასოდეს! ღმერთმა დაიფაროს მოლარე თომა შადიშვილი, რომ დუქანში შევიდეს, ისიც კოტე აბრიძესთან ერთად, ლეინო და მწვადები მოითხოვოს და ქალებიც დაჰპატიოს!

— მე ფული არა მაქვს.

— მე გპატიეობ, მე.

— სულ ერთია. ლუდიც მეყოფა.

ოლონდაც, სულ ერთია, ვინ დაიჯერებს, რომ ფული კოტემ გადაიხადა ხვალ დილით მთელი თბილისი აყაყანდება. თომა შადიშვილი დუქანში? ქალებთან ქეიფი? ხვალე ისეთს რევიზიას მოახდენენ, რომ... მართალია, თომას სალაროში ისეთივე წესრიგია, როგორც იმის წიგნებში, მაგრამ მაინც... იქვი, ლაპარაკი, უბედობა. არა, არა! გაუცხელებელი თავი რად გაიციხელოს!

— მაშ ჩემთან წავიდეთ. მწვადებსაც ისე მოვიტან და ქალებსაც ისე შემოვიყვან, რომ ერთი სულიერიც ვერ გაგვიგებს.

სულ ერთია, თომა ყაბულს არ არის. ან როდის ნახა კოტემ, რომ თომა ჭალს მისჯდომიყო, ისიც მწვადით და ღვინით?

— იმიტომ არა ხარ ყაბულს, რომ... ჭორიკანები ამბობენ, ვითომ... დავჯერო? მართალია?

თომა ხან ყვითლდება, ხან წითლდება. ბორძიკობს, უწნოდ იღიმება, რალაცას ლულულულებს, ოფლში იწურება და კარებისკენ მიიწვეს, მაგრამ აყბუდე-ბული კოტე არ უწევებს.

— დაჯგჭი, კიდევ მაქვს სათქმელი, შენს ცოდვას კაცის მოკვლა მირჩენ-ნია. აი, შენი ფული.

უბიდან ორი თუმანი ამოიღო და დაუმიტა:

— იცი, რა ფულს გაძლევ?

— ვიცი. დღეს გადმოვყაოლე.

— მართალია. მიგისთანა პატროსანი პირი რომ არ იყო, არ დაგებრუნებდი.

— დიდი მადლობა, ჩემო კოტე, დიდი! შენც პატროსანი ყოფილხარ, თორემ ჩენს დროში... ერთი მითხარი, დაგრაჩა რამე დღევანდელ ფულიდან?

კოტემ ჯიბიდან ორიოდე მანეთი წვრილი ფული ამოიღო და უპასუხა:

— აი, ეს-ლა დამრაჩა.

— რაკი ეგრე ყოფილა, ოთხი ბოთლი ლუდი ჩემის ხარჯით მოითხოვე ეგერგება, პატროსანი კაცი ყოფილხარ. მართლა დანარჩენი ფული რა უყავი?

— დანარჩენი ჩემს ძმას ვასესხე. იმან კი ცოლის დაას ვადასცა.

— სძალის დას? რად დასკირდა?

— ავად არის. ხეალ დილით აბასთუმანში უნდა წაა ულიყო, მაგრამ წუხე-ლის ვაციედა და დღეს ისევე ლოგინად ჩავარდა. მალე მოსულიერდება და წავა.

„სად ვაციედა? როგორ ვაციედა? რა პქვიან?“ — უნდოდა ეკითხნა თომას, მაგრამ შერცხვა, კითხვის მაგიერ ორი თუმანი დაუბრუნა და უთხრა:

— რაკი უფულოდ ყოფილხარ, ეს ფული მოიხმარე. ჯამაგირიდან გამო-გობრი.

— აგრე იყოს. ვინა სთქვა, თომა მიუჯარებელი კაციოა? გულკეთილი კა-ცი ყოფილხარ. მხოლოდ ეგ არის, ქალებისა გეწინიან, თორემ...

„ალბათ მაროს არაფერი უთქვამს— გაიფიქრა თომამ.— სიანს, არც თეკ-ლეს ამბავი მოსდებია ქალაქს. მადლობა ღმერთს, თორემ თავი მომეჭრებოდა. ისიც ტყუილია, ვითომ ქალებისა მეწინიან. მართალია, წარა-მარად არ ვეტა-ნები, მაგრამ თუ გუწინდელი ქალი შემხვდა...“

— როგორც გატყობ, უცოლოდ უნდა დარჩე. — გააწყვეტინა ფიქრი კო-ტემ. — შენ ჭალს არ ეკარები, თითონ ქალი კი არ დაგედევნება.

— რატომ არ დამედევნება? — თომამ თავი დააღუნა და ზურჩულით ჩა-ტყლაბა: — გუწინ ერთი ქალი ამედევნა... შერე დამეკარგა... ვეღარ ვიპოვნე.

— მართალია?

— ღმერთმანი.

— იქნება ქუჩის ქალი იყო.

— არა, პატროსანი იყო. დამეკარგა.

— ეხლა იმ ქალს ხომ არ ეძებ?

— მართალია.

— მართალია.

— მართალია.



1904

1952



პასუხის ნაცვლად თომამ მკერდში ჩაიხიოთხიოთა.

— მითხარი, ვინ არის? იქნება ვიცნობ.

— არც გვარი ვიცი, არც სახელი.

— ქართველია?

— ქართველია.

— მანიშნე მაინც. ბევრს ვიცნობ. იქნება მივხვდე.

— ტანაურილი, გამხდარი, შავგვრემანი, პირსუფთა. დიდი, შავი თვალები და ხშირი, შავი თმა აქვს. დედა ჰყავს.

— მეტი არაფერი იცი იმ ქალისა?

— მეტი არაფერი ვიცი.

კოტემ ჩაიცინა:

— მაგისთანა ქალი თბილისში ათი ათასი მაინც იქნება.

— შავი კაბა ეცვა.

— ყველას აქვს შავი კაბა.

— მშვენიერი თეთრი კბილები და წითელი ტუჩები აქვს.

— ხო-ხო-ხო! მწვანე კბილები და ლურჯი ტუჩები ჯერ არავის უნახავს.

მეტი ნიშანი არა აქვს?

თომას შერცხვა.

— არა... არ შემიწინააღმდეგავს.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, თომა. შენი ამბავი ვიცი: თუ ის ქალი შეგხვდა საღამე, დაურთხები და გაიქცევი. შე შემატყობინე. გავიცნობ და გაგაცნობ.

კოტე გავიდა და ხალხის მდინარეში შეერია.

„მართლა, — მოაგონდა თომას — თამროს ოქროს კბილი აქვს ტუჩების მარცხენა კუთხეში და შავი, პატარა ხალი მარჯვენა თვალის... არა, მარჯვნივ კი არა, ისიც მარცხენა წარბის ძირში, ქუთუთოზე. რა გულმავიწყი ვარ! ნეტა მეთქვა, ვინ იცის იქნება მართლა იცნობს.“

ერთი ქალის ზურგს მოჰკრა თვალი. თეთრი კაბა ეცვა, მიგრამ ტანით თამროს ჰგავდა და თმაც ხშირი, შავი და ზევით ჰქონდა ავარცხნილი.

დაედევნა, ვილაცას მკლავი გაჰკრა, ბოდიში არ მოიხადა, მერე მეორეს წააწყდა, ხალვათი ალაგი ძლივს იპოვნა, იმ ქალს გაუსწორდა და ისე შეუბღვირა პირსახეში, თითქო დატუქსვით ეკითხებოდა: აქამდის სად იყავი, აქ რად დადიხარო?

ის ქალი პირწავარდნილი თამროსა. იგივე თვალ-წარბი, ცხვირი, ტუჩები, ტანი და მიხერა-მისხერა, ხალიც აქვს თვალის ქუთუთოზე, ხალიც! ის არის, ის! თამროსა, თამროს! ღმერთო უშველე თომა შადიშვილს!

თამროს ორგული მეორე დედაკაცს დაელაპარაკა, რომელიც გვერდით მისდევდა. თომამ მარცხენა მხრიდან მოუარა და კბილებში შეჭვდა. შეჭვდა გულის ძარღვი ჩაუწყდა: იმ ქალს ოქროს კბილი არ ჰქონდა.

ქალმა გაოცებით აათვალისწინა ჩაიციებული უცნობი. თომას შეეშინდა, უმალვე თავი მკერდზე ჩამოიკიდა, მოტრიალდა და მიმავლებს ამოეფარა. მერე რუსთაველის ხეივანს — გაჰყვა და ორჯერ დაჰლია, — ჯერ მარცხენა ნაპირს ჩაუარა, მერე მარჯვენას ამოუარა. თამრო არსად სჩანდა.

36
2304



თომას ლუდი მოეკიდა. უჩვეულის ნისლით გაბრუნდა და ოდნავ ნაბიჯიც აერია.

გუშინდელივით რონოდას შეახტა და ვერისკენ წავიდა. არც კი იცოდა, ის რონოდა საით მიდიოდა.

ბინდი ჩამოწვა. ქუჩები უკვე ღამის შუკით იყო განათებული, იქაურობა ხალხით გაიტენა. ისევ გუშინდელივით ცხელოდა. თომა წინა ბაქანზე იდგა და ყველა მავალ ქალს ათვალერებდა. რონოდამ ვერის ხიდი გაიზინა და მარცხნივ მოუხვია; დიდხანს იგორავა კრიკინით და ხრიალით ლარივით გაბმულ ქუჩაში. თომა ხეივანით დაბურულ ქუჩის ნაპირებში ძლიეს-ლა არჩევდა მავალთა პირისახეებს. ალაგ-ალაგ ისეთი ბინდი იდგა, რომ მიმავალნი ღამის ლანდებსა ჰგვანდნენ.

ხალხი შეთხელდა. თომას იმედი შეუსუსტდა. ჩამოხტა და მუსტაიდის ბაღის სივრცისა და ბინდში შთაინთქა. ერთი საათი იხეტიალა უბატრონო ბატონით დაბურულ ბილიკებზე. მერე ისევ გამოვიდა და იმ გრძელ ქუჩას ფეხით წამოჰყვა.

ქუჩებში ხალხი თანდათან კლებულობდა და აქა-იქ გაბნეულ ბაღებსა და კლუბებში იყრიდა თავს.

„ტყუილად მგონია, ვითომ თამრო ქუჩაში უნდა დასეირნობდეს. ვცდები. თამროსთანა ქალი ერთხელ გაივლის ქუჩაში, მერე კლუბში შევა და სალამოს იქ გაატარებს.“ — გაიფიქრა თომამ და ერთ კლუბში შევიდა. მერე დაჰყვა და ათიოდე კლუბი და ბაღი დაათვალერა.

ძალიან ეხამუშებოდა ბაღებში შესვლა და იმოდენა ხალხში შერევა, მაგრამ თამროს პოენის წყურვილმა რიდსაც დასძლია და შიშაც გაჟვანტა.

ზოგან სიწყნარე სუფევდა და ხალხიც ნაკლები იყო, ზოგი ბაღი და კლუბი კი ისე იყო გატენილი დასაცხულ ხალხით, მუსიკით, საზანდრათ, ფუსფუსით და ეივილ-ხივილით, რომ გაბრუნებული მოლარე გამოსასვლელ კარებს ძლიეს-ლა პოულობდა.

ბოლოს, ორი საათის წანწალის შემდეგ, დაქანცული თომა ძლიეს ამოსანსალდა ყაბაზის ბაღის გვერდით და ისევ შოთას ხეივანზე ამოვიდა. დიდ ხანს იდგა გარინდული, ჭეშმევითი წინ და ყოყმანით შესცქეროდა მამა-დავითის მთის მწვერვალს, რომელსაც ელექტრონის ვარსკვლავთა გვირგვინი ედგა. შემდეგ კვლავ თავი ჩაჰლუნა და იმ შთას შეუდგა.

შემე შუა ღამე იქნებოდა, როდესაც ქანცვამოლეული და მოთენთილი მოლარე მთაწმინდიდან დაბრუნდა, ხელმეორედ ლაღიძესთან შევიდა და ლუდი მოითხოვა.

ქიქის ქიქა მოჰყვა და ბოთლს ბოთლი. კუთხეში იჯდა, სვამდა და თამროს ელოდებოდა. მავრამ თამრომ არც იმ ღამეს გაიარა. ლუდს თანდათან სიმწარე დაეკარგა და საამური გემო მიეცა. ზარბაზში ისე შეეპარა, რომ ვერც კი გაიგო. ეს ქუჩაც დაცალიერდა. დარბაზში მარტო თომა იჯდა. ბოლოს, მოსამსახურემ გაახსენა. კარგი იქნა უნდა ჩავატოთო. ლუდით შებრუნებული და ხეტიალით დაქანცული თომა გარეთ გამოვიდა და ბარბაცით შინისკენ წავიდა.

ეძინებოდა, მავრამ რიერაქამდე ვერ დაიძინა. გუშინდელივით ისე ხენეშოდა და ოხრავდა, თითქო ორი საათის სავალი აღმართი სირბილით აირბინაო-



ნუ თუ ვერ იპოვნის თომა შადიშვილი თავისს საბედროსა? ნუ თუ ვერ უშინდელი მოჩვენება მართლა მოჩვენება იყო! ნუ თუ შეათეალა ლანდელი, ეხლაც რომ ლოგინში უწევს და შამფურით ატრიალებს ობოლ მოლარეს, მხოლოდ მოელანდა და მოწყვეტილ ვარსკვლავით შთაინთქა უთაებლო სივრცეში?

არა შეუძლებელია! დაუჯერებელია! თომა უეჭველად მოსტებნის თამროს, უეჭველად. ნთელ ქალაქს გადაატრიალებს, კართ-კარს დაივლის, ყველა სახლებს ჩამოუვლის და, სადაც უნდა იყოს, შინაც იპოვნის. არა, ამდენი ხნის ნალოდინევი თომა ასე ადვილად ვერ გაუშვებს ციდან ჩამოვარდნილ ბედის წყალობას, რომელიც ერთხელ ერგო ბედშავ მოლარეს და მეორედ აღარ განმეორდება.

— ოოჰ, დედიჯან! — ამოიკვნესა თომამ.

მართამ სიბნელეში წამოიწია და თომას ყური მიუგდო. თომა კვლავ მბორკავს, მერე ინაბეზა, ნელ-ნელა ბურანში შედის და ცხად სიზმარს ზედავს: აგურის სქელი კედელი სქელ შინად გადაიქცა. კედლის მეორე მხარეს პატარა ოთახია. იმ ოთახში ყოველივეს ცისფერი აქვს — კედლებსაც და ღბილ ავეჯსაც. კედლის ძირში ვერცხლის ფერი საწოლი სდგას. ზედ მიბნედილი და ფერწასული ქალი წევს. მკერდამდე ცისფერი ატლასის საბანი მხურავს. თავით პატარა შავიდა უდგია. ზედ ქალი სდგას, ისიც ცისფერი აბრეშუმის საჩრდილით ჩამოფარებული.

ბალიშზე დაყრილ შავი თმის ჩარჩოში თეთრი, სუფთა და გაცრეცილი პირისახე ჩაწოლილა. სწორ შუბლზე გაქიშული გრძელი და ხშირი წარბები ზევიდან დასცქერიან ღრმად ჩაცვივულსა და დახუჭულ თვალებს.

გაოცებული თომა ჰხედავს, რომ თვითონაც იმ ქალის გვერდით წევს. მხოლოდ შინის ცივი კედელი აშორებს ორ საწოლს. იმ შინის კედელს ოფლიანი შუბლი მიადო და დააცქერდა. მარცხენა თვალის უბეში მოშავო ხალს მოჰკრა თვალი და სამურად შეერეოლდა:

„ის არის, ის... თამროა, თამრო!“

თამრო ისე შეცვლილიყო ერთ დღე და ლამეშო, რომ თომამ მხოლოდ იმ ხალით მიაგნო ქალის ვინაობას. თამრო გამხდარა, დაღეულა... აღბად ავად არის... ავერ გრძელი წამწამები ძლივს ასწია და ამღვრეული, დანისღური თვალები კერს შიბაჯინა. მერე ტვერფ თმით შემოსილი თავი თომასაკენ მოიბრუნა და თვითონაც ხარბათ ჩაამტერდა აცახახებულ მოლარეს. სწორი და თეთრი გულის ფიკარი ხშირად და მწლავრად უცემს. თოვლივით თეთრი პერანგიდან ორი მოგვალი ძეძუ ამობურთულა. სპალოს ძვლისაგან გათლილი ორი მკლავი უძრავად უდევს ცის ფერ საბანზე. აწეწილი თმა იმ მკლავებსა და თეთრ მკერდზე აბრეშუმის ნართივით უყრია.

დიდ ხანს უცქირვს ერთმანერთს ხარბი გაკვირვებით. მერე თამრომ ნელ-ნელა საბანი კელამდი ამოიწია, თომას თვალებში გაუღიმა და მარცხენა ტუჩის ძირში ოქროს კბილი გამოაჩინა.

„ის არის, ის! თამროა, თამრო!“ ..

თომამ წამოიწია. ორივე ხელი კედელს შიბაჯინა და ისე მიაწეა, თითქოს იმის განგრეცას ლამობდა.



ერეკნული

თამრომაც წამოიწია. იმანაც ხელის გულები და მკერდები კედელს მიახვინა და ზედ დააკედა. ერთმანერთისკენ იწვედნენ, თრთოდნენ და თავიანთი გახურებული სხეულებით თითქო იმ კედლის დადნობას ჭამაობდნენ. მაგრამ მათ შორის აღმართული მინის კედელი ისეთივე ცივი, უღმობელი, უსუსლო და უძლველი იყო, ვითარცა მათი ბედი.

თამროს თითქო ხერხემალი მოეშალა, თითქო კისრისა და მკლავების ძარღვები დაუწყდა. უცებ მოსწყდა, მოეშვა, ნელ-ნელა დაიწია და ისე მიესვენა ბალიშზე, თითქო გული შეუღონდა, ან სული წაუვიდაო.

— უშველეთ!.. კედება!.. დედი, უშველეთ!

— რა იყო, შვილო?.. შვილო თომა, რა დაგეშართა?— ბუტბუტებს გაღვიძებული მართა და სანთელს ანთებს.— შვილო რა დაგეშართა, რა მოგივიდა?

საკელის ამარა თომა საწოლზე ჩამომჯდარა. მთელის ტანით ცახცახებს და შინაქამი თვალებით თავის დედას ისე შესცქერის, როგორც უცხოს.

— ვინა კედება, შვილო? ვის უნდა ვუშველო?

— ის, დედი... ისა კედება,— ბუტბუტებს თომა და შეზლიდან მართოლვარე ხელებით ცივ ოფლს იწმენდავს.— ავიდ არის, დედი... კედება საწყალი... კედება შეთქი.

— ვინა, შვილო, ვინა კედება?

— ვინა კედება?— თვითონაც იმეორებს გონს მოსული თომა.

— რა ვენა, შენ ძილში თითქოს არ იცოდი ბოდვა. ეხლა რა დაგეშართა? აჰა, წყალი დალიე, გონს მოდი... დალიე წყალი, გენაცვალოს დედა შენი, დალიე... დალიე და დამშვიდდი.

დალია და დაწვა, მაგრამ ვეღარ დამშვიდდა. იატაკს მტრედის ფერმა დაჰკრა. მეორე ეზოში მამალმა იყიელა. ალაყაფის კარებმა დაიჯახუნა. გარეთ მეეზოვემ ცოცხი ააფხაკუნა. მეორე ოთახში თეკლეს ქმარი მადიანად ხვრინავდა.

თომა ისევ კედლისკენ მიბრუნდა. თვალები დაბუჟა და ბნელ სივრცეს დააშტრდა. გულით უნდა რომ კიდევ დაინახოს მინის კედელი, ცისფერი ოთახი, ვერცხლის საწოლი, შავი აბრეშუმის ჩარჩო, თეთრი მიღეული პირისახე, ფაფუკი მკერდი, გაშლილი ღიმილი და ოქროს კბილი. მაგრამ მოიფენება ვეღარ დაიბრუნა. ღამის ლანდი დღის შუქში შთაინთქა და დაილია.

გონმოსულს და გამოფხიზლებულ მოღარეს ღონემიზიდილი გული ჩემი კენესით აუკვნესდა:

„ვინა ხარ, ქალო, ვინა?.. სადა ხარ ნეტა, სად?.. ვნახავ ნეტა ოდესმე? იქნება მართლა ავიდა ხარ? იქნება ვეღარ ვნახო? ვინა ხარ მეთქი, ვინ?“

მეორე დღეს თომამ დედა კ ხეთში გაისტუმრა. და იმ დღიდან მისი სული უარესად აიშალა და აჩქროლდა. დღისით თავის გალიაში ფაფარაყრილ მხეცივით დაბორიალებდა, შიშვე ფეხებს თხსავით აბაკუნებდა, ზოლო საქმისათვის მოსულებს ისე უბღვეროდა და უბურტყუნებდა, როგორც გაკოტრებული ვაჭარი შეშაბათე მათხოვრებს.



გაერქვენი

სახელმძღვანელო წიგნები და მოლარე ერთმანეთს გაერქვენი და გაეფიცნენ. წანაკითხი, თავის მავიერ ყელში მისდიოდა და მოზნამულ ჰაერით ეჩხირებოდა, რადგან წაკითხულისა აღარადფერი ესმოდა, წიგნიც შეეჯავრა და შეეზიზლა.

სადილის დრო რომ მოვიდოდა, უცნაურად აცქმუტდებოდა. დასათვლელს საჩქაროდ დასთვლიდა, დანაკლის ყურს არ მიათხოვებდა, შეცდომას არც კი მოსძებნიდა და ქუჩისაკენ გარბოდა. მამაკაცებს ზედ არ შეხებდავდა, ხოლო ქალებს გაღმა-გამოღმა ას ნაბიჯზე ამჩნევდა. დღეს თუ ხვალ თამროს უნდა გამოველო. მაგრამ თომას საბედო ჯერ-ჯერობით არსად მოჩანდა.

სადილი სალაფავსა ჰგავს. უმადო თომა ყოველ ლუკმას ზევიდან წყალს დააყოლებს ხოლმე. დღითი დღე მადა, ფერი და ხორცი ეკარგება, მაგრამ თვითონ ვერაფერს ამჩნევს.

ქალაქი სიცხის ბულში იხრჩობა. ქუჩებს აღმური ასდის. მავალნი კანტიკუნტათ მოსჩანან. სიცხისაგან მეკურტენ იეზიდებიც კი დადუმებულან. აღარც მათი ყაყანი და კინკლაობა ისმის, ქუჩის კუთხეებში ჩრდილი მოუძებნიათ, დაბოცილ თევზებივით გაშოტილან და საკუთარ ოულსა და ოშხივარში იხარშებინან.

ყველა მზეს გაურბის, თომა კი სწორედ ამ დროს ჩამოდის რუსთაველის ხეივანზე, რადგან — „ვინ ოცის, იქნება ეხლა გაიაროს ჩემმა თამრომ“.

ლალიძეს და საკონდიტროს ახალი მუშტარი გაუჩნდათ. ერთ ჭიქა ხილის წყალს მოითხოვს, ან მაწონს დაიდგამს და ორი საათი გაქვაებულებით გასცქერის ქუჩას. შერე ამოიოხრებს და ნაცემ ძალღვით გაიძურწება კარებში, სანამ ვაჭრობა შეწყდება, ის მუშტარი ერთხელ კიდევ შემოიპარება, ლუდს მოითხოვს და იქამდის გასცქერის უკვე დაცალიერებულ ქუჩას, სანამ მსახური არ ეტყვის:

— გთხოვთ... უნდა დავეტოთ.

რუსთაველის ხეივანზე რომ ხეტიალი მოსწყინდებოდა, ვერის დაღმართს დაჰყვება და ხიდზე უთუოდ შეჩერდება.

მტკვარი შუილით და ბურტყუნით აწვება მარჯვენა ნაპირს. ქვეით წყალი უფრო ფართედ მიდის. ზოგჯერ მასზე მთვარის შუქი ვერცხლის მარაოსავით იშლება. მარცხნივ ელექტრონის სადგურის საბოლევ ლუზარმაზარ გარუჯულ ბოძივით ასვეტილა. მისი ბოლი სუფთა ცაზე შავი ღრუბელივით იქარგება.

თომა დიდხანს შეჩერდებოდა ხიდზე, შერე გაღმა გავიდოდა და კლუბებსა და ბალებს დაივლიდა, ხან კი კინოების შესავლებშიც ტრიალებდა.

კოტე აბრძიმე დაფიცული თომა ერთხელ კიდევ მოსდრიკა და ღვინოსაც ისე ადვილად შეაჩვია, როგორც ლუდს. რაკი ნავსი გატყდა, დანარჩენი თავის-თავად დაეშვა და თავქვე წავიდა დღე არ გავიდოდა, რომ ფიცხადებ თომას რამდენიმე ჭიქა არ მოეყუდნა. შერე ბოთლებსაც მოიდგამდა, თან ნაცნობის თვალს ურიდებოდა და ისევ თამროს გამოჩენის იმედს ებრძოდა. დაგვარგა ის ქალი თუ წააწყდება სადმე? ქალაქშია მიმალული თუ სხვაგან სადმე ცხოვრობს? გათხოვილია თუ გასათხოვარი? როგორ გაიგოს თომამ, როგორ იპოვნოს, ან სად იპოვნოს, სად?



დღე დღეს მისდევდა და კვირა კვირას. თამროს კვალს ეძებდა.
ერთხელ კოტემ გაკვირით ჰკითხა:

— ჰა, როგორა ხარ?

— ძალიან ცუდათ. ვერ ვიპოვნე.

კოტემ ჯერ გაკვირვებით შეხედა, მერე ერთი თვის ნაბაასვეი გაიხსენა:

— ჰო, მართლა. აქამდის ვერსად წააწყდი?

— ვერა, ვერსად შეგხვდი.

— ალბად ქალაქელი არ ყოფილა, თორემ აქამდის ასჯერ შეგხვდებოდა.

— აქაური უნდა იყოს. შენ რომ შოინდომო...

— შენ კაი კაცო, შეგთვალა და შეთმინანი ქალი ქალაქში ასი ათასი მაინც მოიძებნება.

— არა, დაიცა, — გაახსენდა უცებ თომას, — მართო შეთმინანი კი არ არის ყური დამიგდე. მარცხენა წარბის ძირში ხალი აქვს. გარდა ამისა, აი აქ — და თომამ ერთ კბილზე დაიდო თითი — აქ ოქროს კბილი აქვს ჩასმული.

კოტე არც კი დაფიქრებულა:

— ხო-ხო-ხო! ოქროს კბილი და ხალი. ვის არ აქვს ეხლა ოქროს კბილი? არა, ჩემო თომა, ოქროს კბილი ისეთი ნიშანი არ არის, რომ მაგ ნიშნით ქალი იპოვნო. გეუბნები, ის ქალი აქაური არ იქნება მეთქი, თორემ ერთ თვეში ათჯერ იპოვნიდი. მინც თუ შეხვდე სადმე, გააყევი და მისი ვინაობა შემატყობინე. გავიცნობ და გავაცნობ, თორემ შენ ქალის გამცნობი არა ხარ. უკეთეს გეტყვი: რაკი აქამდე ვერ იპოვნე, ცხადია, აქაური არ არის მეთქი. ამიტომ ის ქალი გულიდან ამოიგდე და დაივიწყე. მშვიდობით იყავი.

რაო, რა სთქვა? თამრო გულიდან ამოიგდოს?! დაივიწყოს?! ხე-ხე! როგორც ეტყობა, კოტეს ჯერ სიყვარულისა არაფერი გაეგება. ადგილი სათქმელია: გულიდან ამოიგდეო! დაივიწყეო! როგორ ამოიგდოს გულიდან ღეთის ჩასახული შუქი? ან რად უნდა დაივიწყოს ძუნწი ბედის ერთად ერთი ღიმილი? არა, თომა ამას ვერ იზამს. მართას ერთა ჯერ არ გაგიკებულა. ვინ იცის, იქნება ეხლა, აი ამ წუთში თამრო აქვე სადმე დადის... ვინ იცის... შეიძლება...

და გარინდული თომა ადგილიდან მოსხლტდა და ხალხის ზღვაში შთაინთქა.

იმ დაწესებულებას, სადაც თომა მსახურობდა, ანგარიშები ჰქონდა მრავალ დაწესებულებასთან.

ერთხელ მოლარემ უთხრა გამგეს:

— ფულს არ იძლევიან. მიწერმოწერითაც არაფერი გამოდის. ისევ მე თვითონ ჩამოუვლი და ვალებს მოვაგროვებ.

— კარგს იზამთ. დღეში ორი საათი მოანდომეთ მაგ საქმეს.

მოლარემ ბორილის საბაბი იშოვნა. სადაც დაწესებულებას დანიახავდა, გაიფიქრებდა: „იქნება აქ მსახურობს“. და თავჩაღუნული, ახალის იმედით შევიდოდა. იქაურობას დაივლიდა, კარებებს დააღებდა, ოთახებს თვალს მოავლებდა და, გულდაწყვეტილი, მეორე შენობისკენ მირბოდა.

სადილის შემდეგ ისევ კუჩებს დაჰყვებოდა.



ზოგჯერ გული კვლავ მთაწმინდისკენ გაუწევდა და დაღლილ ფეხები თავის თავად შეუდგებოდნენ ზოლზე მამა-დავითის აღმართისკენ. იმედით ასული, კენესით, ოხერით და ბორძივით ჩამოდროდა თავდაღმა. სამსახურში დაუდევრობა მალე შეატყვეს.

ვილაცამ ორჯერ მიაჩეჩა ყალბი ფული.

სალაროს რევიზიამ ათ თუმნამდე დანაკლისი აღმოაჩინა.

ჩაკი დარწმუნდნენ, რომ დანაკლისი მხოლოდ დაუდევრობის შედეგი იყო, იგი ჯამაგირში ჩაუთვალეს და პირველი გაფრთხილება განუცხადეს.

ერთი კვირის შემდეგ უკმები სიტყვა-პასუხისთვის შენიშვნა მისცეს. მისი სამსახურის ბედი ბევრზე ეციდა, მაგრამ საბედოს ძიებაში თავთავვე დაქანებულია მოღარემ თავი ველარ აილაგმა, იღუმალმა ძალამ კისერში რკინის კლანჭი ჩასჭიდა, დაატრიალა და დღითი-დღე უარესად ამორიალებდა. უცდელი ცეცხლით დამწვარი, დარღით გაბრუნებული, დაქარგული საბედოს პოენის გინით გატენილი თომა, ისე დატანტალებდა ქალაქში, როგორც დათვი რომელიც ტყეში დაქარგულ ბელს დაეძებს.

* * *

„ჩემო ძვირფასო, ერთად-ერთო მეგობარო და ერთგულო დაო სოფო!

შენმა წერილმა გამამხნევა, მაგრამ ვერ დამაჯერა. მომაკვდავს მტერიც არ ეტყვის, კედებიო. შენ კი ჩემი ღვიძლი დაა ხარ, ამიტომ შენც ვერ მეტყვი მართალ სიტყვას, რომელიც, უქველია, ენაზე გიტრიალებს. არც მპირდება ის სიტყვა. მე თვითონ დაბეჯითებით ვიცი, რომ ჩემი სიცოცხლის დღენი დათვლილია. მე თვითონ ვხედავ სულთამხუთავს, რომელიც უკნიდან მეპარება და დღეში ერთი ცილით მაინც მიახლოვდება. მე მესპის მისი ჩონჩხის ჩახა-ჩუხი, ვგრძნობ იმის გაყინულ სუნთქვას და არათოლევით ველი იმ დღეს, როცა მისი ცივი კლანჭი კისერში დამწვდება. მე განწირული ვარ და ჩემი გადარჩენა არც ზეკას შეუძლიან, არც მიწას. ჩემი სიკვდილი ჩემთვის ისევე ცხადია, როგორც წერილი, რომელსაც ეხლა ვსწერ, ან ჩემი დედა, რომელიც ეხლა ჩემთვის კვერცხებს ყიდულობს ვათათრებულ ქართველისაგან, ყოველივე, რასაც აბასთუმანში ჩემის თვალთ ვხედავ ჩემი დანჯარიდან: ფიქვით და ნაძვით შემოსილი გორაკი, წყალი, გზა, შეგვითლებული ფოთოლი, ბალახი; უპატრონო მშინიანი ძაღლი, რომელიც წუხელი საზარლად დმუოდა; თეთრი კატა, რომელიც მუხლებზე მიზის, და შავი ყვავ-ყორანი, რომელიც საოცრად გამრავლდა და გაუთავებელი ჩხავილით ისედაც მიღეულ გულს მიწვრილებს. ცხადად ვხედავ ჩემი უსიცოცხლო სიცოცხლის დასასრულს, რადგან, აგერ მხეხუთე თვე მიდის, რაც სიცოცხლე ვებრძვით, მაგრამ ერთი მეათედითაც ვერ დავსწიეთ.

გუშინ ექიმმა აივანზე უთხრა დედას:

„არ დაგიმაღავთ. ასეთი ქლეტი თითქმის განუკურნებელია. დღეში თუნდ ათჯერ მოვალ, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ...“

მისი ნათქვამი გავიგე. და მეც ვიცი, ზედმიწევნით ვიცი, რომ... მაგრამ, ჩემო კარგო, ჩემო კეთილო სოფო, დავანებოთ თავი ჩემს სულთამხუთავს. იმდენის ღირსი არ არის ის პირზევი, რომ მუდამ მისი გახსენებით შენც გული გაგიწვრილო და სიცოცხლე გაგიმწირო. ისედაც თავი მოგაბეზრე წუწუნით.



ეს წერილი რომ დავიწყე, სხვა რამე მქონდა სათქმელი. თან არაფერი მქონია დამალული. ერთი ამბავი მაინც დავიმაღე. ეხლაც შეძნელება ამაზე წერა, მაგრამ მაინც უნდა მოგვურო.

ჟვე ოც-და-სამისა შევსრულდი. მაგრამ სიყვარულისა ჯერ არაფერი ვიცი. შარშან სვიმონი მომწონდა,—ეს შენც იცი,—მაგრამ იმან ტასო შეირთო. შარშანშინ კოტემ გამიბაცა, მაგრამ ბედმა შენი თავი დამახვედრა ჩემს გზაზე. შენ გადამეღობე და კოტეს ძმას სანდროს მისთხოვდი. საყვედურს არ გეუბნები, მხოლოდ ბედს ვუჩივი. ჩვენ რომ კათოლიკეები ვყოფილიყავით, ორი დაჲ ორს ძმას მივთხოვდებოდით, მაგრამ მართლმადიდებელ ეკლესიას ორი ძმისაგან ორი დის შერთვა ცოდვით მიაჩნია. კიდევ კარგი, რომ შენი ვათხოვების შემდეგ თითქმის ორი წელიწადი თელავში ვიცხოვრე, კოტეს დაეშორდი და მისი პიროვნება ხსოვნიდან ამოვიგდე. ეხლაც ბედის მადლობელი ვარ, რომ ჩემს მამინდელ გატაცებას სიყვარულის ცეცხლი არ მოეღო.

შემდეგში ორიოდე სხვაც მომიწონა, მაგრამ ისინიც გულიდან ამოვიყარე, რადგან იმ ორიოდეს მე თვითონ ვერ ჩავუვარდი ჩემთვის დაშულ გულუბში.

საკითხავად ძალიან კარგია შორით ოხვრა და შორით კვენესა. თუ ორნი ოხრავენ ერთმანერთისთვის, იგი თითქმის ყოველთვის ტანსზმული სიყვარულით და შეუღლებით თავდება. მაგრამ თუ მხოლოდ ერთი ოხრავს მეორესთვის, ხოლო მეორეს ეს კვენესა ან არ ესმის, ან იმის გულს არ ჰხვდება, პირველი ორნაირად უბედურდება: ჯერ ერთი, მისი თავმოყვარეობა იჩაგრება და მეორეც—ის სულიერად იტანჯება და ხორციელად აკადდება. ასეთი სიყვარული რამდენჯერმე გამოეცადე და ძალიანაც ვინანე.

ერთი უბეში, მაგრამ სწორი შედარება მაგონდება, თუ ორი კამერტონი რადიო-მიმღები სხვადასხვა კილოზე არიან მომართულნი, ისინი ერთმანერთისას ვერაფერს ვერ გაიგებენ და ერთმანერთს ხმას ვერ მისცემენ. სიყვარულიც ასე ყოფილა შექმნილი. ერთი იქამდე ეძახის უცნობ სულს თავისს კილოზე, სანამ იმის ხმაზე მომართული უცნობი ამ ყვილის არ გაიგებს და პასუხს არ გასცემს. მხოლოდ ამნაირად შეთანხმებულთა შორის იწყება და ვითარდება ნამდვილი სიყვარული.

მე დიდ ხანს ვიძახე, მაგრამ პასუხი თითქმის არავინ ვამცა. ვინც დამიძახა, იმას ჩემი გული ვერ მივაკარე, ვისაც ვეძახდი, ზურგი შემაქცია. მოთმინება გამომელია, რადგან ტანში თითქმის უკუნებელი სენი გამიჩნდა, ხოლო გულში უძღური შიში შემომეპარა.

მუდამ ჩემს თავს ვეკითხებოდი და ეხლაც ვეკითხები: მერგება ოდესმე ჩემი წილი ამ ქვეყნიური სიყვარულისა? მივიღებ ბედისგან ჩემს ხვედრ ბედნიერებას,—თუნდ ერთი წლით, ან ერთი თვით, ან ერთი კვირით, თუნდ ერთი დღით, თუნდაც ერთხელ, მხოლოდ ერთხელ?! ვინ იცის, იქნება ბედნიერებამ ისე გამიაროს გვერდით, რომ სიტყბოების ფრთაც არ გამკრას, ან არ ვამილიმოს, ან კიდევ ზედაც არ შემომხედოს. რა ეჭვა მერე? რა ფუჟო მაშინ? ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, რომ მისი ოქროს თასი ერთხელაც არ მოვიკიდო? იმის-



თვის ვიცხოვრე ოც-და-სამი წელიწადი, რომ სიყვარულს ^{მეცხრეულს} ^{მეცხრეულს} ძლივს მივიღე და მერე დაუღვევი გამოვბრუნდე? რატომ? რისთვის? მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ბედნიერების დასაღვევად არსებობს კაცთა მიერ დადგენილი წეს-რიგი, რომელიც მე ვერ შევესრულე განგების წყალობით? თქვენთვის, გადა-რჩენილებისთვის, ადვილია ან შესაძლებელია წესიერი მისვლა იმ წყარომდე, ხოლო ჩემთვის, მიმავალისთვის არ უნდა არსებობდეს რიგი და კანონი.

იმ დროს მე უკვე შეპყრობილი ვიყავი შავი სენით, ამიტომ რიგი გადა-ვარღვეე და კანონი გადავლახე, რადგან ჩემს რადიო მოძახილს არაფერს აძევა. ეს ამბავი ამ ზაფხულში მოხდა.

იმ დღეს სიცხე აწვეული მქონდა. მეტად ცხელი დღე იყო. ჩემი დასიც-ხული გული გარეთ იწვედა.

ალბად შენი გაგანილი გექნება ერთი მოვლენა: ქლექიანის სქესი უფრო მძლავრად სცემს, ვიდრე ჯანმრთელისაო. ჩემს თავზე გამოვცადე. მართალი ყოფილა.

იმ დღეს მოწამლული სისხლი ისე ამიჩქევედა, ხოლო შერყეული სული ისე შემეხუთა და ამიჯანყდა, რომ მზად ვიყავი ქუჩაში გავარდნილიყავი, უც-ნობ შამაკაცისთვის წამეგლო ხელი და ერთი ღამით სიტყვების, ან თქვენებუ-რად რომ ვთქვა, გარყვნილების მორევეში გადავეარდნილიყავი.

უხილავი ხმები ქურისკენ მემახდენ და უძლეველი სისხლი მიმაკაცისკენ მიმათრევედა. ისედაც პატიმარი ვიყავი. იშვიათად მიშეებდით გარეთ. უპეწ-ლად ვინმე უნდა გამომყოლიყო.

იმ საღამოს, — მახსოვს, კვირა დღე იყო, — მთაწმინდაზე ასვლა დავიჭინე-ღედა ძლივს მოვტეხე. გამოძევა. ავედით.

ნელი, გრილი ნიავი ჰქროდა, ცის მნათობნიც ისე თრთოდნენ, როგორც ჩემი გული. შენი ვარსკვლავი წინანდელზე მეტად კამკამებდა, ჩემი კი თითქო მიმქრალიყო და შენსას დაშორებულყო. ასე მომეჩვენა. ბუნების მშვენიებამ, — უუზარმაზარმა წითელმა მთვარემ, რომელიც საღაღაც შორს ამოგორდა, ასი ათასი სანთლით მოქედელმა ქალაქმა, რომელიც ჯურღმულში ჩაწოლილიყო, გრილმა სიომ, სუფთა ჰაერმა, მოთეთრო ყაზბეგის ლანდმა, მტკვრის ღრმა ხე-ობამ, ხალხის ფუსფუსმა, დუღუკმა, ზურნამ, უცნობთა ლხენამ და სიყვარულმა გაბარებისა და დამშვიდების მაგიერ გულში შავი სევდა ჩამიწვინეს და სული ისე ამიჩქროლეს, რომ ყელში მოწოლილ ქვითინს და კივილს ძლივს-ძლივობით ვიმაგრებდი.

შენობებს და ერიაშულს გავცდით და ჩაბნელებულ მინდორზე გავედით. დედას არ უნდოდა წამოსვლა, რადგან ბნელის ეშინოდა. მაგრამ მე ხმაც არ გავეცი და წავედი. ბუზღუნით წამომეყვა.

რა მინდოდა იმ წყვილადში? რას ვეძებდი იმ უდაბურში? სხვისი სიყვა-რულის ნახვას, სხვისი სიბარულის შეგრძნობას, მათი ბედნიერებით ჩემი სისხ-ლის გაკაპასებას და ისედაც ამღვრეული ენის გაღვსვას.

რასაც ვეძებდი ეპოვნე. ქალ-ვაყები წველ-წველად შედიოდნენ იმ წყვილადში. მეც მივყავი.



ბინდ-ბუხდში ის მინდორი ისე იყო მოფენილი, თითქოა ვრცელმაქა-იქ თითო ტომარა ბამბა გაუბნევიათ, ან თეთრი ზეწრები გაუშლხანო.

წამდაუწმე ვაწყდებოდი ბალახზე გაწოლილ ჩახუტებულებს. ყოველ მხრიდან ისმოდა ვენებიანი ჩურჩული, კინიანი ბუჭბუტი, ჩუმი კისკისი, ხითხითი, ოხერა და ჩიფჩიფი. მოულოდნელ ლანდივით ხან ერთ წყვილს დავადგებოდი თავთ, ხან მეორეს. კურდღლებივით ფრთხებოდნენ. ზოგნი კაბას ისწორებდნენ, ზოგნი მემალენოდნენ, ზოგნი კიდევ ისე ბუზუნებდნენ და იღრინებოდნენ, როგორც ძაღლი, რომელსაც სახრავის წართმევისა ეშინიან.

მიხანს მივალწიე: ისე ავიშალე და ავიფორიაქე ისედაც დაგებებული გული, რომ თავი ველარ დაუჭირე. დარღმა პირი მოიღრღვია და გადმოსკდა. ბნელ მინდორში ჩავიკეცე და შენი ბალდივით აეტირდი. დედამ ძლივს დამამშვიდა.

ფუნჩიკულაორის სადგურთან ჩამოვედით და რიგში ჩავდექით. ჩემს წინ ვილაც ახალგაზრდა იდგა. ებლაც არ ვიცო, როგორ მოხდა: თვითონ მოაწევა ჩემს მკერდს, თუ მე წაეაწყდი იმის ბეჭებს. ორივეს უმაღლე ჩალსავით მოგვედო ვნების ცეცხლი. ისე მივეკარით ერთმანერთს, როგორც ფისის ორი ნაჭერი. ჩემმა რადიო-კვილმა პასუხი მიიღო და ჩემმა სისხლმა ნათესავე იპოვნა.

არ დაგიბალაე: იმ დამეს, სახამ როგონი ვიდექით, მე ვეაფობდი, ის კი ქალობდა. მე ვეტანებოდი, ის კი მიხვდებოდა. მე მოვითხოვედი, ის კი მისრულებდა. ამის მიზეზი რა იყო, დღესაც არ ვიცი. იქნება ის ვაეი ჩემზე გაუბნედავი იყო, შეიძლება სხვა მიზეზიც იყო: მან ვერ გამოიჩინა თაოსნობა, რადგან რიგში იდგა და ვერ მომიბრუნდა.

რამდენჯერმე კისერი მოიღრღვია და შემომხედა. იმის მიბრუნებულ თვალებში მელარაც მოსჩანდა და მადლობაც.

გაუფლიმე. სიტყვას ველოდი. მაგრამ ვერც გამიღიმა და არც დამელაპარაკა. უარესად შევეუტიე ძუძუებით და ფეხებით, მაინც სდუმდა. მხოლოდ იკლაკნებოდა და ოფლში იწურებოდა. წინ ხნიერი დედაკაცი ედგა. ალბად იმისი, დედა იყო.

მხოლოდ ერთი საათი გაგრძელდა ჩვენი ბედნიერი ტანჯვა. ნუ გამეკცხა, ჩემო ერთაფ! მე მხოლოდ ერთი მექა შევესერიპე ნეტარების წყაროდან, მხოლოდ შეასედი მივიღე სრული სიყვარულისა. ჩემს დაავადებულ ტანში ისეთი იდუმალი ერთიამული ასტყდა, ჩემი მოწამლული სისხლი ისე აჩუჩჩუხდა, ხოლო მიღებული გული ისე გამეფსო, გამეტენა საიმქვეყნო სიტყბოებით, რომ ძლივს ვიმაგრებდი კარბ ბედნიერების კვილს, სიცილსა და ქვეთინსა.

ის ერთი საათი ერთი წუთივით დაილია.

ქვეით რომ ჩამოველით, ნე და დედამ ქუთა გადმოვიარეთ და სახლისაკენ ფეხით წამოვედით. რას ვიფიქრებდი, რომ ის ვაეი არ გამოწყვებოდა! იმისი დედა ტრამეის ვაგონზე ავიდა. ვაეი იდგა და თავისს დედას ჩემსკენ ანიშნებდა, —ფეხით წავიდეთო. დედა არ უთმობდა, ვაგონი დაიძრა. ვაეიც ახტა. მოიხედა. ერთხელ კიდევ დავინახეთ ერთმანერთი. მერე სიზმარი გათავდა. ერთმანერთი დავკარგეთ.

მხოლოდ მაშინ ვიგრძენი ნამდვილი ბრაზი. გულ-მკერდი გამიტენა და ყელში მომაწევა. მახჩობდა და მწეწავდა. მაინც ვუძლებდი, რადგან მცირე იმე-



დღე მქონდა: იქნება ჩემმა საბედომ მოუხვიოს, გზა მომიტყუას და ჩემსამართლოს ან ჰავეჭაძის ქუჩაზე დამიხვდეს მეთქი.

განგებ ტაატით მოვდიოდი. ხუთი ნაბიჯის შემდეგ ხუთი წუთით ვისვენებდი. ალბად იმ დროს ის ვაგი ქვემოდ დარბოდა და მეძებდა. არა, ალბად კი არა, ნამდვილად მეძებდა, ნამდვილად! დანარჩენი შენც იცი. გამძლეობა ჩვენი სახლის კიბემდე მყუო. მერე დაგუბებულმა დარდმა და ბრაზმა შადრევანივით ამოხეთქეს.

იმ ღამეს არც მე შეძინა, არც თქვენ მოგასვენეთ. მიზეზი ათასჯერ მკითხეთ, მაგრამ ვერ გითხარით. ვერც გეტყოდით. ეხლაც ძლივს გიბედავ.

იმ დღიდან ლოგინად ჩავვარდი და ველარც ავდექი.

ეხლა ყოველივე ცხადია შენთვის. დედასათვის არაფერი მითქვამს. სანამ ცოცხალი ვარ, ნურც შენ ეტყვი.

ალბად მკითხავ: ის ვაგი რომ გამოგყოლოდა, რას ჩაიდენდი, როგორ მოიტყუოდი?

არ დავიძალავ: მე თვითონ გამოველაპარაკებოდი, ვინაობას გავიგებდი და... არავის და არაფერს არ მოვერიდებოდი. დიად არ მოვერიდებოდი! თუ გამიბედავდა, ავეცებოდი, თუ მომერიდებოდა, მე თვითონ დავედივებოდი და დავიმორჩილებდი. მეტსაც გეტყვი: იმ ღამეს ქუჩაში მოვაცდევინებდი, მერე სახლიდან გავიპარებოდი და იმკაცს თუნდ უძირო ხრამში გადავყვებოდი, ან მარტო მე გადავიბეჭებოდი. სულ ერთია, რა ბედენაა ეხლა ჩემთვის სახელი, პატივი და უმანკობა! რა ოზრად მინდა ან ერთი ან მეორე, თუ ხვალ ან ზევ სამუდამოდ გათავდება ყოველივე: მეც, შენც, დედაც, ის ვაგიც, ჩემი ზღვა-ტანჯვაც და ერთი მისხალი სიზარულიც, შავი თვალეებიც და საუცხოვო თმაც, ხელუხლები სახელიც და შენახული უმანკობაც. ჩემს ჟღერს თვალებს და წითელ ტუჩებს მატლები შესჭამენ, ძძულები დამილპებან, ხელუხლები თქოები და ფეხებიც აყროლდებიან და უბიწო მიწას მოსწამლავენ. მაშ რად შევიინახო, რად? ვისთვის შევახვიო და შევბოქო კანები, პერანგებით, ზონრებით და ზორტებით? გამოგიტყდები: მას აქეთ, რაც სისხლსა და სულში სიკვდილი შემომეპარა, მე აღარ მესმის ცოცხალთა ზნეობა, წესი და კანონი. ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, მაგრამ მე და შენ უკვე სხვა-დასხვა ქვეყნებში ვცხოვრობთ, სხვა-და სხვა ენას ვლაპარაკობთ, ერთმანეთისა აღარაფერი გვესმის. კიდევ უარესა განსხვავებაც არის ჩვენ შორის: შენ ცოცხალი ხარ, ქალაქში სცხვრობ, დადიხარ, ხელ-ფეხი გახსნილი გაქვს, გიყვარს, დიად, გიყვარს და უყვარხარ, სტკეები და თითქმის ყოველ სურვილს ისრულებ. მე კი გვამი ვარ, აბასთუმანის ხევი ჩაჩხირული. ნეტა იცოდევ, როგორა ჰგავს ეს ხევი უუზარმაზრ კუბოს. მალე აქედან პატარა კუბოში ჩამდებენ და... გათავდა უვლაფერი და ყველანი: ჩემი კენესაც, დარდიც, ოცნებაც, შენახული უბიწობაც, დაუღვეველი წყაროც, შენც, დედაც და... ისიც, ის უცნობი საბედოც, რომელმაც ცხელი ლანდივით გამიბრინა მამა-დავითის მთაზე და ისე შემიტრუსა სული და ხორცი, ისე ჩამიჯდა და ჩამესხა სისხლსა და ტანში, რომ მე და ისეკი ერთად ავითქვიფეთ და ერთ არსებად გადავიქციეთ.

ეს უგუნური და უცნაური გათქვეფა და გარდაქმნა მხოლოდ ჩემს დაავა-



დებულ სისხლში და გახურებულ სულში მოხდა. ნამდვილად ვერაფერი უნდა ჰქონოდა, ჩემო სოფო, ჩემო დაო, ჩემო ერთად-ერთო! ვიცი, რომ არ ვაგეცნებო. მამის კლავი დის ბოდვებზე, მაგრამ, გეხვეწები, ნურც გაოცდები და ნურც გამიწყობი. ნუ ჩემო ერთზე, ნუ! ნუ გამკილავ, ნუ გამკიცხავი ვიცი, რომ ვბოდივ, მაგრამ რა გქნა: ბოდვითაც რომ არ ვინუგეშო განწირული თავი და ლანდებით მაინც არ მოვიუბანო გახურებული სული, მაშ რაღა ვქნა, რა?! ჩემის ხელით დავაჩქარო დასასრული: მე თვითონ ვავითხარო საფლავი და ნებაყოფლობით ჩაეწვე? ნუ დამ-ზრახავ: არც საამისო ძალა მაქვს, არც გამბედაობა მყოფის.

მაშ ესე: ისეც ბოდვას მოვეყვები.

ვერ მიმიხვდი? მაშ გეტყვი: ის ვაფი მიყვარს. ჰო, მიყვარს, მიყვარს მეთქი! და ჩემი სიყვარული ასევე უფრო ძლიერია ჩემს სულთანაშუთავზე, რომელიც შევი მოჩვენებასავით ატუზულა ჩემს უკან. იტყვი: სიყვარულის ძალა მეც ვიციო. სცდები. შენი გრძნობა გრილი ნიაფი იყო შედარებით ცეცხლისა და რკინის გრიგალთან, რომელიც იმ დღეს ჩემს გულში ამოვარდა და დღითი-დღე ძლიერდება. შენ რომ გამოგეცადნა ნამდვილი, ჩემებური სიყვარული, აქამდის ათჯერ გადაჰყვებოდი მას. კლექს გადუქრებები, მოვერევი, დავძლევ, მაგრამ ამ გრიგალს რა ვუყო, რა? ერთი თვესაც ველარ გაუძლებ ამ სანეტარო ჭირს, თუ... თუ ჩემს საბედომ არ ჩამიქრო ეს მწვავე ხანძარი, რომელიც მკამს, მღრღნის, მანგრევს.

მაშ... მაინც ვერ მიმიხვდი? მაშ გაიგე ჩემი შორეული მუდარა და დი-ნახე ჩემი გამზნარი ხელები, რომლებსაც ამ სიშორიდან სასოებით მოგაპყრობ: ის ვაფი მიპოვნე და მიმიყვანე. უთხარი: ჩემი დაჲ, ჩემი გასათხოვარი ელო კლექისა და სიყვარულისაგან კედებათქო. ჯერ ცხოვრების შარა გზაზე არც კი გამოსულათქო, უთხარი: ბუჩქნარში ვაემა, ბილიკებში ვაცივდა, დაქლეტდა და კედებათქო. მოაგონე შთაწმინდა. ვინ იცის, იქნება ვარყენილი ვგონივარ. დი-ფიცე და უთხარი: იმის ტანს ჯერ მაშკაცის ხელი არ მიჰკარებიათქო, უცოდ-ველი და უმანკო ქალიათქო. შენი ერთის ნახვით ისეთი სიყვარული ჩაუვარ-და გულში, რომ შიმალული სენი ისეც გამოაჩნდა, ლოგინად ჩავარდა და ვხლა აბასთუმანში კედებათქო. ესეც უთხარი: თუ არ ვნახა, შენი ჯავრი საფლავში ჩაჰყვებათქო. ერთი საათი მაჩუქოს, მხოლოდ ერთი, ერთად ერთი! ნურათერს დაუშლავ. უთხარი ელოს გვერდით მოუჯექი, ორიოდ თბილი სიტყვა მიუგდე, გაულმე და დაბრუნდი თქო. მეტი არაფერი უნდათქო. მერე, როცა მოკედება, იესო ქრისტეს შენს თავს და შენი საბედოს ბედნიერების შევედრებსთქო. ესე უთხარი, ჩემო დაო და შეგობარო. უთხარი და დააჯერე, რომ ჩემი ნახვა უფრო დიდი მადლია, ვიდრე ცხრა ეკლესიის აშენება, ან ცხრაასი ობოლის გამოზრდა. უთხარი: ისეთი უბედური ქალია, ისე იტანჯება, ისე, რომ

გუშინ დაწყებულ წერილს დღეს ვათავებ. წერის დროს ტირილი და ხე-ლა ამიტყდა. ბევრი სისხლი ამომივიდა. ექიმმა წერა ამიკრძალა, მაგრამ მაინც ვწერ, რადგან სათქმელი უნდა გავათავო.

ჩემო კარგო, გულკეთილო, ერთად-ერთო დაჲო და ნუგეშო! იმ კაცის ნიშ-ნები უნდა შეგატყობინო, თორემ ვერ იპოვნი. შუა ტანისაა, სრული, მხარბე-



კიანი, შავგვრემანი, პირისახე გამხდარი. 25—27 წლისა იქნება წვერი გაბარსული, მოკლე ულვაშები. არც სათვალეები აქვს, არც მეტეტი, არც შალი. შავი თმა ზევით აქვს აფარცხნილი. ყურის ძირში პატარა კრილობა აქვს და მარცხენა ხელზე ნეკვფ ფრჩქილი აკლია. მე შალიყო დავარქვი, ნამდვილი სახელი კი არ ვიცი. არც ის ვიცი, სად აქვს ბინა, ისიც არ ვიცი, მოსამსახურეა თუ უსაქმო ვინმე, სტუდენტია თუ ვაჭარი. ნაცნობი ბევრი გყავს. ყველას გამოჰკითხე, ოღონდ ნურავის ეტყვი ჩემს ნაბოღვარს. ხშირად იარე ქუჩებში, შეიხედე და წესებულლებში, უნივერსიტეტში, კლუბებში და კინოებში. იქნება შენ თვითონ წააწყდე სადმე. აი, დედა ისეე მიჯაუღდება, ნუ სწერო. საბრალო დედი! გულს ნუ იწუხებ, ნუ უწყურები შენს ელოს. დაანებე თავი. დეე, ბოღვაში მაინც გართოს საწყალი თავი.

პო, მართლა: ერთი ამბავიც უნდა მოგწერო. მამა-დავითის მთიდან რომ დაებრუნდი, მეორე ღამესაც დიდი სიციხე მქონდა. იმ ღამეს ერთხელ კიდევ ენახე შალიყო. არ ვიცი, ბოღვა იყო თუ სიშარბი. თითქო იქვე, გვერდით, ჩემი ოთახის კედლის უკან იწვა. უცებ ის კედელი მინის კედლად გადაიქცა. ერთმანეთს ცხადლივ ეხედავდით. წამოიწია და კედელს მოაწვა. მეც ავიწიე და იმ კედელს აქედან მივებჯინე. ფრჩხილებით მინას ვკაწრავდით. მე ვეძახდი და ვყვიროდი: «აქა, ვარ! მოდი, მიშველე, წამიყვანე!» ისიც პირს აღებდა, მგონი ისიც შეძახდა, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ გავიგე და ვერც ჩემი გაუაგებინე. შერე რა მოხდა, აღარ მახსოვს. სიციხემ დამძლია და გონება წაშართვა. ისე ცხადად მოხდა ეს ამბავი, რომ ეხლაც მგონია, ვითომ სიშარბი ან ბოღვა კი არ იყო, არამედ ნამდვილი.

წერილი გამიგრძელდა. სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ ძალიან დავსუსტდი. დედაც ჯავრობს. საცაა ექიმიც უნდა მოვიდეს. სოფო, სოფიო! ერთხელ კიდევ გვედრები: შემისრულე უკანასკნელი თხოვნა. ნუ დაიზარებ, ნუ მეტყვი უარს, ნუ ჩამაყოლებ საფლავში ერთად-ერთ ოცნებას, ნუ მათქმევინებ საყვედურს, რომელიც შეიძლება წყველად გადაგეჭკეს. ნუ, ჩემო ერთავ, ნუ: სცადე, სინიღისი მაინც დაიმშვიდე. თუ ვერ იპოვნო, ეგეც ჩემი ბედი ყოფილა.

გებვევი, გკოცნი, გებუტები... ვინ იცის, იქნება უკანასკნელიც იყოს ჩემი კოცნა, წერილი და სალაში.

მოკითხვა და პირკოცნა დედასგან და ჩემგან ჩემს სიძეს სანდროს, კოტეს და შენს დათიასაც.

მართლა, მომწერე, დათიამ ენა ამოიდგა თუ ისევ ძველებურად ლულულულებს? მართლა, ჩვენი ტუფო როგორ არის? ისევ მანდაურობის იკლებს ყვეფით, თუ გაჩუმიდა? ნაღვლობს ჩემს წასვლას თუ დაეავიწყდი?

მშვიდობით, ჩემო სოფო, მშვიდობით!

შენი მომაკვდავი მეგობარი და მოსიყვარულე დაა ელოა.

ცხელი ზაფხული გათავდა და გრილი შემოდგომა მოვიდა. ტაროსი ჯერ არაა, შერე აწვიმიდა და აცივდა.



თომა შადიშვილმა მოშლილი სული, ცხოვრება და შრომის სწავლა ვერ გაითვალა. უნივერსიტეტში სწავლა განახლდა მაგრამ თომამ ლექციას ვერ დასასრულელი დრო ერთხელაც ვერ იხელთა. ფიქრობდა: „დავეწვევი“, და ერთხელაც ვერ გადაფურცლა სახელმძღვანელო. თეკლეს, მაროს და სხვა ქალებს აღარც კი ამჩნევდა. სამაგიეროდ თვითონ თომა შეამჩნიეს ისეთმა ქალებმა, რომელნიც ქუჩებში ატარებენ საღამოებს და იქ ეძებენ ფულს და თავდადასავალს.

მაგრამ თომამ ახლოც არაფერ გაიკარა. თომას მხოლოდ ერთი ქალი უყვარს, მხოლოდ დაკარგულ თამროს დასდევს, რომელსაც ადრე თუ გვიან იპოვნის და შეირთავს.

დროვამოშვებით, ხან დღისით, უფრო ხშირად კი საღამოობით, ქალაქის ბან ერთ უბანში, ხან კიდევ მეორეში თამროს ორეული იმედ-მიღეულ მოლარეს თვალებსა და გულში მოწყვეტილ ვარსკვლავივით ანახდეულად გაუფლვებდა და მაშინვე ხალხის მდინარეში შთაინთქებოდა. და თომას დაბინდული გულიც იმ ვარსკვლავივით გაშუქდებოდა, მაგრამ ისიც უმაღვე დაესილ სანთელივით ჰქრებოდა. ამის შემდეგ ხელახლად აშლილი მოლარე ისე დაჰქროდა დიდი ქალაქის ქუჩებში, როგორც ათი საქმით გატენილი ქუთათელი ებრაელი, რომელსაც მატარებელზე დავეიანებისა ეშინიან.

ზაუხულის დამლევს დაწესებულებას კაცი უნდა გიგეზაენა ქუთაისსა და ბათუმში. თომა გამგესთან შევიდა და შეეხვეწა:

— მე გამეზაენეთ.

მისი საქმე დროებით ბულბულტრის თანაშემწეს ჩააბარეს და თომა გიგეზაენეს. ხუთი დღის მაგიერ სამი კვირის შემდეგ დაბრუნდა,—ხელცალიერი, დაღვრემილი და უწინდელზე უარესად აფორიაქებული.

თამრო ვერც იქ იპოვნა.

საქმის გაკეთების ნაცვლად დღისით იმ ქალაქების დაწესებულებებში დარბოდა და ყველა მოსასახურე ქალებს ათვალისებრად, ხოლო საღამოობით იჭაურ ბულვარებსა, კლუბებს და ყაფხანებში დაბორიალებდა.

ქუთაისსა და ბათუმში რომ თამროს კვალს ვერ მიაგნო, ბათუმიდან ფოთზე გამოიარა, სამტრედიაც მოიბრინა, კიათურაშიც შეიხედა, ხაშურში ერთ შორეულ ნათესაეს ის ქალი აუწყრა და იმავე დღეს ტფილისში დაბრუნდა.

დავეიანებისა და უსაქმოდ სამი კვირის ხეტიალის გამო თომას სასტიკი გაკიცხვა გამოუცხადეს და უკანასკნელად გააფრთხილეს.

თელავიდან მართა ჩამოვიდა და თავისს ერთას მაჭარი, ყურძენი, ტყლაპი და ხილი ჩამოუტანა. თომა დედის ნაჩუქარს არც კი მიეკარა. ყურძენი მალე დაღაპა, ხოლო მაჭარი დადუღდა და ღვინოდ იქცა.

ერთ საღამოს მართას ღვინის დოჭი ცალიერი დაუხვდა. ფერწასული თომა საწოლზე გაშოტილიყო და მღვრიე თვალემა კერისთვის მიეხვინა.

— შეილო, იყო ვინმე ჩვენსა?

— არა.

ეხლა კი დაიჯერა მართამ, რომ თომა მარტო სვამდა. ადრე აროდეს არ უნახავს ნასვამი შეილი. ეხლა კი, რაც თელავიდან დაბრუნდა, ყოველ ღამე



ღვინის სუნი მოსდიოდა. მართას ეგონა, ჩემი შვილი ამხანაგებს ვაჟად გულში უხაროდა კიდევაც. ჰფიქრობდა: იქნება პირიდან ქუში მოიშორას და გული გაიხსნასო. მერე დიეკვიანდა: თომა მარტო სეამსო.

— შვილო, რატომ ვინმე ამხანაგი არავინ დაჰპატიე?

— რა ოხრად მინდა!

— კოტეს მაინც მოიყვანდი.

თომა წამოდგა, დაუფარცხნელ თავზე დაჰყუდებული ქუდი დაუდევრად დაიგდო და ბარბაცით გავიდა.

მართას შვილი თან და თან თავ-თავჟვე მიდიოდა: წვერს იშვიათად იპარსავდა, პირსახეს ოდნავ იპკურებდა, ტანისაშოსს აღარ იწმენდავდა, საქმელს ძლივს-ლა ეკარებოდა და ყველაფერში ზანტი კამჭივით იცოხნებოდა.

დედას დღეში ორიოდ სიტყვის ძლივს მიუგდებდა, ზოგჯერ პასუხსაც არ იმეტებდა, უმიზეზოდ ცხარობდა, თვალი მუდამ გარეთ ეჭირა და საკუთარ ბუდეში ერთ საათსაც ვეღარ ითმენდა. ნაშუადღევს გასული, ნაშუადამევს ბრუნდებოდა და მამლის ყვირილამდე ჰბორკავდა, ოხრავდა და ძილს ძლივს-ძლივით ურიგდებოდა.

— შვილო, რატომ არ ნეტყვი, რა დაგემართა?—ჰკითხა ერთხელ მართან.

— არაფერი.—ჩაიბუზღუნა თომამ.

— როგორ? თუ არაფერი! დედის თვალს არაფერი გამოეპარება. მართალია, არც უწინ ყოფილხარ მზიარული და პირიანი, მაგრამ ეხლა მეტის-მეტე დაგემართა. ტოლ-ამხანაგებს და ნათესაებს მუდამ მოწყვეტილი იყავი, სამაგიეროდ მუშაობდი მაინც. ეხლა კი აღარც ტოლ-ამხანაგებს დაუბრუნდი და მუშაობაზედაც ხელი აიღე. ღვინოს არ იკარებდი, ეხლა კი დღე არ გავა, რომ მთერალი არ დაბრუნდე. ესეც არაფერი. მარტო რათა სეამ, შვილო? რად ჩაგიბვევია ეგ გული? დავიჯერო, ვერავინ იშოვნე? მეც ისე მეტყევი, თითქოს აქ არც კი ვიყო. გული სახლში აღარ გიდგება, მუდამ გარეთ იტყირები და შუადამემდე ქუჭებში დადიხარ. ნეტა რა დაგრჩენია ქუჩაში?

— რა იცი, რომ ქუჩებში დავდივარ?

— ვიცი, შვილო. აკი გითხარი, დედის თვალს არაფერი გამოეპარება მეთქი, ერთი მითხარი, გენაცვალოს დედა შენი, ეის ეძებ ამ ქუჩებში.

— ვეძებ?—გაიკვირვა თომამ და ნაძალადევად გაიღიმა.—ვინ გითხრა, რომ ვეძებ, არავის არ ვეძებ.

— აღზად ეძებ ვინმეს, თორემ... რა ვიცი, ამხანაგები შენ არა გყავს. სტუმრად ან საქეიფოდ არსად დადიხარ, გასართობი არ იცი და ლაპარაკი. მუდამ მარტო დაეხეტები. ცხადია რალაც დარდი გაწუხებს. რადა ხარ, შვილო, ვგრე გულჩახვეული? დედასაც რომ შენი დარდი დაუმალო, მაშ ვილას უნდა გაუშალო ეგ გული? ვინ გიშველის ჩემსავით? ვინ მოგცემს დარიგებას?

თომა შეყოყმანდა, მაგრამ ენაზე მომდგარი სიტყვა უმალ უკანვე დაიბრუნა. „რა ბედენა ჩემი დარდის თქმა: რას მიშველის სოფლის დედაკაცი? სად იპოვნის? როგორ იპოვნის? ვიცი, როგორც მოიქცევა: ათიოდე ქალს დამისახელებს და მეტყვის: აი, შვილო, აირჩიე და შეიერთე“. თომა კი მზეთუნახავსაც



არ შეირთავს, რადგან მისი გული, სული და სისხლიც თამბაქოს ქვეყნებზე-
ლებით, ხალხით და ოქროს კბილით არის გატენილი.

— ვითბრა შენი დარდის ნამდვილი მიზეზი? — ეკითხება მართა,
— შითხარი, დედი.

— შეყვარებული ხარ, შეილო. ვილაც ქალი გიყვარს. მართალია თუ არა?
თომას სიცილი მართასაც იშვიათად გაუგია, ებლა კი...

ხო-ხო-ხო! გამოიცნო მართამ, გამოიცნო! ხა-ხა-ხა? შერე? რომ უყვარდეს
კლდეც, მაგისტოვის დაეხეტება ქუჩაში? მაშ ესეც გცოდინება მართას: ვინ
უყვარს თომას, ვის დასდევს დღე და ღამე ქუჩაში?

— არ ვიცი, შეილო. შენთან გავლილი ქალი ჯერ არავის უნახავს.

— მაშ რად დაედივარ მარტო?

— ან ეი ლაცის დასდევ შორიდან, ან ვილაცის დაეძებ.

ხო-ხო-ხო! ის ქალი დიკარგული ქინძისთავი ხომ არ არის, რომ თომა
ქუჩაში დაეძებდეს. დევნა კი... რა საჭიროა დევნა? ჩვენს დროში ისეთი არ
მოიპოვება, რომ თომამ მოინდომოს და ორიოდღე დღეში ვერ გაიციოს.

— არ ვიცი, შეილო, დასდევ თუ დაეძებ. იქნება იცნობ კიდეცაც, ის კი
ცხადია, რომ შენი დადარდიანობის მიზეზი ქალია. ხანში შედიხარ, შეილო,
ღროა ცოლი შეირთო,

ისეც თავისას გაიძახის ეს დედაკაცი! აქამდე როგორ ვერ გაიგო, რომ
ექვსი თუმნით ოჯახის შენახვა არ შეიძლება. გარდა ამისა, თომას ჯერ სწავლა
არ დაუსრულებია. ორში ერთ-ერთი: ან სწავლა, ან ცოლი.

მართას მართლა ვერ გაუგია თომას შიში და ანგარიში. ცოლი სწავლას
არ დაუშლის. თომამ სწავლა შესწყვიტა. მიზეზი? თომამ არ იცის, განა! მაშ
მართა ეტყვის: მიზეზი ისევე ქალია. თუ უნდა, უფრო ვასაგებად ეტყვის: მიზე-
ზი ან ქალია, ან უქალობა. ნუ იციანი, თომა ნუ! დიად, უქალობაა! უცოლობის
გამო თომას სისხლი აემღვრა. ცოლს რომ შეირთავს, ერთ თვეში განიკურნება.
სისხლი დაეწმინდება, ბორკი დაუცხრება და სულიც დაუმშვიდდება. ნუ დას-
ციინის თომა მართას, ნუ! მართალია, მართა სოფლის დედაკაცია; გაუნათლებე-
ლია, მაგრამ მაინც ნაცხოვრი და გამოცდილი დედაკაცია. თომამ ამ საქმისა
ჯერ არაფერი იცის, მართას კი ოცი და ათი წლის გამოცდილება აქვს. ესეც
რომ არ იყოს, გულზეებს ამ საქმეში ქალაქელებზე ნაკლები ჰქვია არა აქვთ. ნუ
კერპობს თომა ვაქირელი ვირივით, თორემ ინანებს. დაუჯეროს მართას. დედა
ცუდს არაფერს ურჩევს. ქალაქელ ქალებს თომა არ იცნობს, მაშ კარგ ცოლსაც
ვერ აირჩევს. ისევე მართა მოუწახავს. აი, თუნდ მღვდლის ქალი პელო, ოცი
წლისა არც იქნება. ისეთი ფუნთუშა და ეშხიანი ქალია, რომ... ათი მთხოვნე-
ლი მაინც ეყოლება. კარგი სახლ-კარი და ვენახი აქვს. დედის ერთაც არის.
თომა ზედსიძედ შევა. თუ თომას პელო არ მოსწონს, ონიკაანთ მელანაც გა-
ნოადდება. შხითვეი პელოზე ნაკლები ექნება, მაგრამ სილამაზით აჯობებს. თუ
თომა ძალიან განათლებულს ეძებს...

— ეჰ, შეილო, კარგი განათლებული ქალი მყავდა შენთვის, მაგრამ...

— მაგრამ?



— სნეულია, შეილო. ამბობენ, მალე მოკვდებაო. დასწავალი, ტლეკი შეეყარა.

— ეინ არის?

— მათიკიანთ ელო, აი, კურდღელაურში რომ დიდი ვენახი აქეთ.

— კურდღელაურში?.. მათიკიანი?

— ჰო, შეილო. ოც და ხუთი წელიწადი იქნება, რაც ქალაქში გადმოსახლდნენ. თუ არ იცნობ, გაგონილი მაინც გგვჩნება.

თომამ შებლი აიგეტა. დაფიქრდა. მერე თავი გაიქნია და წაიღულულა:

— არა, არ ვიცნობ.

— არც გაგივია?

— არც გამივია.

— როგორ არ გაგივია, შეილო! ორნი არიან: სოფო და ელო. სოფო სანდრო აბრიძეს ჰყავს. არც სანდრო აბრიძეს იცნობ?

— შორიდან ვიცნობ. იმისი ძმა კოტე ჩემთან ერთად მსახურობს.

— ჰო, მართლა... გამივია, აკი მითხარი.

— აი, აქვე, ჩვენი გვერდით ცხოვრობენ.

— მართლა? ჰო და, უფროსი დაიხ სანდროსა ჰყავს. უნცროსი კი დასნეულდა. თუ აქვე ცხოვრობენ, ალბად იმ ქალებს ნახავდი კიდევაც.

— არა, არ მინახავს. გაღმიდან ამ ზაფხულში გადმოვიდნენ ამ ქუჩაზე.

— ჰო, და, ის ქალი კოტეს რძლის დაა არის, არც მე ვიცნობ. ხუთიოდე წლის წინად დამანახვეს. ძალიან მომეწონა. ეხლა, რომ შემხედეს კიდევაც, ვერც კი ვიცნობ. ძალიან კევიანსა და განათლებულს ამბობენ.

— თუნდ განათლებულიც იყოს და ლამაზიც: რაკი სნეულია და კვდება...

— ისე გავიხსენე, შეილო, თორემ ღმერთმა დაგიფაროს ტლეკიანი ცოლისგან. ჯვარი გეწეროს, გენაცვალოს დედა! მაშ ესე, შეილო, ან პელო აირჩიე, ან ონიკიანთ მელანა.

— კარგი, დედი, გავათავოთ. მე ჯერ-ჯერობით ცოლს არ ვითხოვ.

— შეილო, უცოლოდ შენც დასნეულდები, ან ისეთ ქირს გადაეკიდები, რომ...

— არც დავსნეულდები, არც გადაეკიდები.

— მაშ მე მართალი ვთქვი. შენ არჩეული გეყოლება ვინმე.

— შეიძლება.— გაიღიმა თომამ და ქუდს ზელი დააგლო.

— ისევე საძებნელად მიდიხარ, განა!

თომა უკვე გავიდა.

დედის ილღომ ხელმეორედ შიაგნო: მისი ერთა ისევე თამროს საძებნელად მიდიოდა.

* * *

„ჩემო კეთილო, ჩემო უძვირფასესო, დააო და მეგობარო, ჩემო ელაფსი! აგერ ერთი კვირა გავიდა, რაც შენი წერილი მივიღე, მაგრამ დღემდე ვერ გიპასუხე, მიზეზი ის არის, რომ წერილმა პეტრისმეტად ამშალა და ამაფორიაქა.



ქართული

არ ვიცი, ლმერთმანი, საიდან დაეიწყო.

გნაცვალე, ელო, რეებს იწერები? რა დაგემართა? სიკვდილის შიში ჩაგვეარდნია ჩიტის გულში. სულ სიკვდილზე ფიქრობ, გგონია, ვითომ შენი გადარჩენა არ შეიძლებოდეს. ტყუილია, ტყუილი! გაიგე და დაიჯერე, რომ, ორიოდე თვის შემდეგ საპატარძლო კაბას ჩაგაცმევ და იმ ვაქს მიგათხოვებ. ის ვაქი მერე იყოს, ეხლა კი ერთხელ კიდევ გატყობინებ, რომ შენისთანა ავადმყოფი ასი ათასობით მორჩენილა. შენზე ათჯერ უარესებიც გამობრუნებულან. საჭიროა მხოლოდ ორი რამ: უნდა ექიმის დარიგება უნაკლოდ შეასრულო და მაგ ანგელოზის გულიდან სიკვდილის შიში ამოიგვო.

ღედსაგანაც მომივიდა წერილი. იწერება: მართალია სიცხე არ გამოუნღლდა, მაგრამ გამოკეთება მაინც ეტყობაო. ექიმს მტკიცედ სწამს შენი მორჩენა: უთქვამს, მალე ცალ ფეხზე აბტუნდებაო. ტყუილია, ვითომ ექიმს ის სიტყვები ეთქვას, შენ რომ იწერები. დედა მწერს, ელოს ყურმა უმტყუნაო. შენი კვირიმე, ელო, ნუ იგონებ და ნუ აგონებ შენს თავს უცნაურ კორებს და წიშს.

სწორედ ამ შიშის ბრალია შენი გაბედული საქციელიც. არ გზრახავ. რაც მოხდა—მოხდა. მაგრამ არ შესმის, როგორ ვადაეციდე უცნობ მამაკაცს? პირველად შეგხვედრია. ერთმანერთისათვის თითო სიტყვაც არ ვითქვამთ. იმ კაცისა არც სახელი გკოდნია, არც გვარი, არც მავანობა. იქნება ცოლიანია? იქნება ავადმყოფია? იქნებ დამპალია და შენც უნდა დაგაღლოს? ვინ იცის, შეიძლება ქურდიც იყოს, ან კაცის მკვლეელი ან ჯიბვირი! გეუბნები, არა გზრახავ მეთქი, მაგრამ შენი საქციელი მაინც არ შესმის. შენგან ასეთ წინდაუხედაობას არ მოველოდი. შენვე რომ არ მოგეწერა ეს ამბავი, სხვისგან არასოდეს არ დავიჯერებდი. საოცარია! საკვირველია! ღვიძლი დები ვართ, ერთად შევიზარდეთ და, თურმე, ღღემდის არა მცნობიხარ ეხლა ესეც იფიქრე: საცაა აბასთუმნიდან დაბრუნდები. ის ადამიანი სადმე შეგხვდება. შენ დარწმუნებული ხარ, ვითომ ერთის დანახვით იმასაც შეუუყარდი (მართალი უნდა ვითბრა: შენმა ბალღურმა რწმენამ განაბრაზა კიდევაც. საიდან? როგორ? რად ან რისთვის შეგიყვარებდა?). ასე ჰგონია შენს უბიწო ჩიტის ტვინს, იმ ადამიანს-კი სულ სხვა უღვევს გულში. შენმა უმავალითო გამბედაობამ, შენმა გასაოცარმა საქციელმა მამა-დავითის მთაზე, ის ადამიანი ღრმად დაიარწმუნა, ვითომ შენ ქუჩის ქალი იყო. რომ დაგინახავს, აგედევნება და ისე მოგექცევა, როგორც გარყვნილებს ეტყვიან. ან, თუ შენ აღარ მიიკარე, შენს ვინაობას ვაიგებს, იმ ამბავს მთელ ქალაქს მოსდებს და სამუდამოდ დაგლოპავს. სახელის გატეხვის თავის გატეხვა სჯობია. დარჩები შერცხვენილი და გასათხოვარი.

აკი გეუბნები, შენი საქციელი სიკვდილის შიშით არის მეთქი გამოწვეული. იწერები: „რა ბედენაა ჩემთვის სახელი, პატივი და უმანკობა! რა ოხრად მინდა ან ენ ერთი, ან მეორე, თუ ხვალ ან ზევ სამუდამოდ ვათავებდიო“.

არ ვიცი, შეიძლება ეგრეც იყოს, თუ მართლა განწირული ხარ. მაგრამ მეც მანდა ვარ. ტყუილია მეთქი, ტყუილი, ვითომ შენი ღღენი დათვლილი იყოს.



დაბეჯითებით, დანამდვილებით გეუბნები: ორი თვის შემდეგ შენს ქაღალდში ლექურს დაუვლი მეთქი. ამოიგდე ლამაზ თავიდან ეგ საშიშვლო პასაჟი! გენაცვალოს სოფოს თავი! მოიგლიჯე, დაიფიწყე, გააგდე! შენივე ხელით ნუ იკლავ თავს, გენაცვალოს სოფო!

ეხლა იმ უცნობზე: მეხვეწები, ის კაცი მიპოვნეთო. ავიდ რომ არ იყო და წერილის დაწერის დროს სიცხე რომ არა გქონოდა, გავიციანები. ნუ გეწყინება, ელახსი, მართალი უნდა ვითხრა: ეს კი შეტის შეტია! ნაცნობ-უცნობნი ქალაქს უნდა მოვლო და ასიოდე კაცი მაინც ვაპოვინო, რომელთაც... მარცხენა ნიკებზე ფრჩხილები არა აქვთ. წერე ყველას ერთად უნდა მოვუყარო თავი ან თითო-თითოდ შევიყვანო ჩემს ოთახში და ვკითხო:

„ზაფხულში მამა დავითის მთაზე ხომ არა ყოფილხართ? ასეთ-ასეთი ქალი ხომ გინახავთ? რიგში რომ იდექით ჭვეით ჩამოსვლის დროს, ის ქალი უკნიდან ხომ არ ამოგიდგათ და არ გაგეხახუნათ?“

წერე, თუ ასეთი კაცი ვიპოვნე, უნდა ვუთხრა:

„ის ქალი ჩემი დაა იყო. ავიდ არის. აბასთუმანშია. წამომყეთ, ჩემი ხარჯით წაგიყვანო.“

რა თქმა უნდა, მკითხავენ:

„რად, რისთვის? აბასთუმანში რა საქმე მაქვს?“

მეც ასეთი პასუხი უნდა გავცე:

„ელოს ერთი დანახვით ისე შეუყვარდით, რომ... ლამის თქვენი უნახაობისგან მოკვდეს. წავიდეთ, გაჩვენებთ. გვერდით მოუჯდებით და ორიოდ თბილ სიტყვას ეტყვით.“

ის კაცი ან გულში ვაიფიქრებს, ან მკითხავს:

„მარტო ორიოდ თბილი სიტყვა უნდა უთხრა? შეტი არაფერი?“

„შეტი არაფერი.“

„რომ ვაკოცო, ან მაკოცოს?“

მართლა, კოცნა შეიძლება თუ არა? თუ კოცნა შეიძლება, ჩახუტებაც შეიძლება, ჩახუტებასაც კი ბუნებრივად მოსდევს...

უბიწო ხარ, მაგრამ დანარჩენი შენც იცი. გამიწყურები, მასხარად ანიგდეთო. არა, ჩემო ძვირფასო, მე ხუმრობის გუნებაზე არა ვარ და არც შენ გაგიმეტებ სამსახაროდ. მე მხოლოდ ნამდვილი სურათი დავიხატე. ასე, ან თითქმის ასე უნდა შესრულდეს შენი ახირებული თხოვნა, რომელსაც შენვე დაარქვი ზოდვა.

მაშ ასე, გენაცვალოს ჩემი თავი: იმ კაცის ამბავიც და შენი წერილიც მხოლოდ ზოდვა იყო, რომელიც სიცხემ მოგატანა. ხოლო ზოდვა არც თავში რჩება ადამიანს, არც გულში: ნისლივით მოგეპარა და გაგეპარა. მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ ამბავსა და წერილზე ეხლა შენც გეცინება. შენი კირი მე, ელო, მაინც მომწერე, რომ ყოველივე უკვე დაიფიწყე და ის ვაგი გულიდან ამოიგდე.

ნუ გამიწყურები იმის გამო, რომ შენი წერილი სანდროს და კოტეს წაგაკითხე. ორივეს დასაყრდენი უყვარხარ. სანდრო შენი სიძეა, კოტე კი ჩემი მახლია (მაგონდება შენი საყვედური იმის გამო, ვითომ მე, შენ და კოტეს გზა გადა-



გიჭირით. ღმერთმა გაპატიოს!). იმათთან საიდუმლო არც შეგვეტყვიან უნდა გკონდეს. რაც მოგწერე, სამივეს სახელით არის მოწერილი. არც ვიცი, დამურ კოცნას გიგზავნიან და გეხეწებიან, რომ დასძლიო სიკვდილის შიში და დივიწყო მამა-დავითის მოაზრებები. ყველას ისევ შენი კეთილად და ნების ყოფის იმედი გვაქვს.

სახლში ახალი არაფერია. დითია უშენოდ ნოწყენილია. მრავალი სიტყვა ისწავლა. დღეში ხუთჯერ მაინც მეკითხება:

„ელო სად აღი?..“

ტუგოც ყოველ დღე აფხაკუნებს შენი ოთახის კარებს. წვიმებმა გული გაშიწყალეს. ერთ თვეში თუ არ დაბრუნდი, რამდენიმე დღით ამოვალ შენ სანახავად.

ახალი არაფერია ქალაქში. იგერ ორი თვე იქნება, რაც კინოშიც არ შემიხედნია. უშენოდ გული არსაით მიშიწყეს. გენაცვალე, მალე ჩამოდი და შენი ძველებური სიცილი, ლხინი და სიცოცხლე შემოიტანე ჩვენს დაობლებულ ოჯახში.

შენი პირი მე, შენი, ჩემო ერთად! შეასრულე ჩვენ ვედრება: ირხინად იყავი, მტრედის გული დაიმშვიდე, ნუ გაბოროტდები და სულს ნუ აიძვრევდებოდა მოიკითხე. მშვიდობით და ნახვამდის, გენაცვალეთ ყველანი: მეც, დედაც, სანდროც, და მთელი ჯგუფიანაც.

ასი ათასჯერ გკოცნი მაგ უმანკო თვალბში და წითელ ტუჩებში.

შენი, მარად, ათასჯერ შენი.

ხოფიო“.

წინანდელ თომას მისი ნაცნობნი ველარ სცნობდნენ. დაზარმაცდა, დაიბნა, მოეშვა და მოიწალა. სანამ მოზაასე უბრალო ნათქვამს ორჯერ-სამჯერ არ ეტყუა, გაბნეული მოლარე ვერაფერს მიუხედებოდა. ხშირად რამდენჯერმე უნდა დაეძახნათ, რომ შორეულ ფიქრებით გაგუდული თომა გონს მოეყვანათ. უცნაური სიტყვა-პასუხიც დასჩემდა. ვინმეს რომ გამარჯვება ეთქვა, თომა ზოჯერ შეგვიკითხებოდა:

— რაო, რა გინდა?

— გამარჯვება გითხარი, შენ კაი კაცო.

— ჰოოო, გამარჯვება მითხარი?.. ძალიან კარგი... კეთილი და პატიოსანი.

ან კიდევ:

— თომა, ფული მინდა. აი, ორდერი.

— ფული? ჰმ! ფული მეც მინდა, მაგრამ არაუინ მაძლევს. არა მაქვს.

— როგორ თუ არა მაქვს! ხელმოწერილი ორდერს მაძლევ.

— თუნდ ოცი ორდერი მომეცი, არა მაქვს ვეთქი.

მთხოვნელმა იცოდა, რომ სალაროში ფული იყო, ამიტომ მკაცრად შეუტევდა ხოლმე ახირებულ მოლარეს. მაგრამ თომა ნაჩვევი არ იყო ნათქვამიდან გადადგომას. ბოლოს, უცნაური დავა გამგეს ოთახში თავადებოდა.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

— რატომ ფულს არ აძლევთ?

— დამფთხალი მოლარე გაოცდებოდა:

— ფული?.. მე?.. მე ფული მაქვს. მე უარი არ მითქვამს... ეხლავე მივცემ.

სმასაც მოუხშირა. შეზარბოშებული რომ მოვიდოდა, მთვრალი დათვივით უცნაურს ბურტყუნებდა და ჩვეულებრივზე მეტს ლაპარაკობდა.

ერთხელ ანგარიშები გაუსინჯეს და მრავალი დაუდევრობა აღმოუჩინეს. რამდენიმე დღის შემდეგ საღარო ჩამოართვეს და დათხოვნა დაუპირეს. კოტემ ძლივს უშველა. მოანგარიშეთ დასვეს და უთხრეს:

უკანასკნელათ გაფრთხილებთ: თუ არ გასწორდით, თუ დაუდევრობა და ღენო არ მოიშალეთ უმაღლეს დათხოვნილი იქნებით.

კუთხეში მიიბუზა და ისე ჩაქჩინდრა თავი, თითქო კისერზე იმ მაგიდის ოდენა რკინა ჩამოჰკიდესო.

სადილობიდან დიღმდე მაინც მოკლილი იყო და თავისუფალ დროს ისევ თავისებურად ხმარობდა: ქუჩებში აღამებდა, გამვლელებს აშტერდებოდა და დაქარგულ თამროს ეძებდა.

ერთხელ ხაშურელი ნათესავი შეჰხვდა, რომელსაც ზაფხულის მიწურულში ოქროს გბილიანი და თვალხალიანი ქალის მოძებნა დაივალა.

— რა ჰქენი, გენო, იპოვნე ის ქალი?—მოაგონა მივიწყებული საქმე.

— ჰო, მართლა,—მოიგონა გენომ,—ამას წინათ ბორჯომში ვნახე მაგისთანა ქალი: იქაური უნდა იყოს, რადგან სააგარაკოდ მოსული ეხლა იქ აღარავინ არის.

— მაშ წავალ, მაგრამ შენც უნდა წამოიყუე.

— არა მკალიან, გენაცვა. ერთი კვირაზე ადრე აქედან ვერ წავალ.

თომა ერთ კვირას ვერ მოითმენს. შეიძლება ის ქალიც წავიდეს ბორჯომიდან. ეხლავე უნდა გაიქცეს, უნდა მიუსწროს, თორემ სამუდამოდ დაექარგება მიჯნებული საბედისწერო თამროს.

თომა არავის ეთხოვება და მეორე დღესვე ბორჯომში ადის. ქალაქი და მთები განუტყვერტელ ნისღშია ვახვეული. მთელი დღე სწვიმს. ქუჩები, ბაღები და ქალები მოკვითიანო ფოთოლით არის დაფენილი. თომა არაფერს ამჩნევს. სამი დღე აკვაპუნებს ტალახში და უპატრონო ცხვარივით დაბორიანებს სადგურზე, ბაღში, ქალაში, ბაზარში და გორაკზე. ათიოდე ახალგაზრდა ქალს ძლივს ჰხედავს, მაგრამ თამროს ერთი-ც არა ჰგავს. ბოლოს, იმედ-მიღეულისა დაქანცული და დაღვრემილი მოლარე ისევ ქალაქში დაბრუნდება.

მეორე დღეს სამსახურიდან დაითხოვეს.

შვილო სოფო!

გამაგებინე, შენი ჰირი მე, ისეთი რა წერილი მოსწერე ელოს, რომ საწყალი ქალი ესე ააღელვე და ააფორიაქე. შენი წერილი რომ წაიკითხა, ჯერ ხელებით და კბილებით ნაქუწ-ნაქუწად დაჰკლიჯა. მერე ისე ატირდა და აი-



წალა, რომ მე და ექიმმა საღამომდე ძლივს დაეამშვიდეთ. მთელი დღის დილით ჩაიძინა. სულ ჩიოდა: მე იმ ქვეყნისა ვარ, თქვენ კი... ამიტომ ერთმანერთის აღარაფერი გვესმისო. ძალიან გკიცხავდა. ყველაფრით გასუქდა, გაძლა და ყელამდე გაიფსო, ამიტომ ჩემთვის თითის განძრევაც ესარებაო. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ გავიგე, რა აწყენინე ისეთი, რომ, ისედაც სიკვდილის პირზე მისული უბედური ქალი, წუხელი კინალამ ხელიდან გამომეცალა. მომწერე, გენაცვალოს დედა შენი, თორემ მე ჩემი დამემართება. ან საღამოა, გენაცვალეთ, რომ დედა ვიყო და მამაკვდავი შეილის ამბავი არ ვიკოდე?! ელომ დაიფინა, ქალაქში უნდა დაებრუნდეო. თუ არ წამიყვანეთ, თავს მოვიკლავო. არ ვიცი, ღმერთმანი, რა დაემართა, ან ქალაქში რა დარჩა უნახავი. ბევრი ვერჩინეთ მე და ექიმი, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა. ექიმმა ძალაუნებურად ნება მისცა, მაგრამ ერთ კვირაზე ადრე არ გამოუშვებს. ამაზე შევთანხმდით. მანამდე შენი წერილი თუ არ მომივიდა, მანდ მაინც გავიგებ ამ უბედურის ამბავს.

ფულს ნულარ გამოგზავნი, მგყოფა. დაამზადე ელოს ოთახი და ხუთშაბათს საღამოზე სადგურზე დაგვიხვდი. ელომ რომ დაინახა ეს წერილი დამიძახა: „ჩემ მაგიერ მოკითხვა არ შეუთვალოო“. ძალიან შეშფოთებულია. ცრემლს ვეღარ იმაგრებს. სიმწარისაგან ყველაფერს ისვრის. საცვალე და ხელსახოცები დაიგლიჯა. ერთ ღამეში სანთელივით გაკვითლდა და დადნა. ლოგინიდან ვეღარ დგება. მომიკითხე ყველანი. თქვენ მაინც კარგად იყავით, გენაცვალეთ ჩემი თავი.

დედა შენი ანიკო“

* * *

თომა ჯერ არავის უნახავს ისე დაღვრემილი და აფორიაქებული, როგორც იმ დღეს იყო. დილით გასული, სახში მხოლოდ შუალამეს დაბრუნდა. დედა თანჯარასთან იჯდა და გარედ იხედებოდა.

თომა რომ შემოვიდა, მართამ არც კი მოიხედა. თომამ იატაკი ააბაკუნა. მერე ორი ჭიქა წყალი ერთი მოყუდებით გადაჰყლაპა, კედელს დაამტერდა, უფარცხნელი თმა თითებით უარესად აიწეწა და შემდეგ უგზო-უგლოდ ამორიალდა. ბოლოს, თანჯარას ეცა და ორივე ნახევარი გამოაჯახუნა.

— შეილო, ცივა, ზამთარია.—ნელი ხმით მოაგონა მართამ.

თომამ თითქო ვერც კი გაიგო მართას ხმა. თვეწივით პირს აღებდა, და ცივს ჰაერს ქშენით ისუნთქავდა. უცნაური, მიუგნებელი რამ სულს უბუთავდა. მერე ისევ აბაკუნდა, ისევ წყალი დალია, დაწვა და გაინახა. მართამ თანჯარა მიხურა, სანთელი დაავსო და მიწვა. ბნელ ოთახში აღარც თომას ქშენა ისმოდა, არც ფშვინვა. ისე გატვინდა და გახვედა, თითქო სუნთქვა შეეკრა და სიცოცხლის უნარი წაერთო. მისი ტანი თანდათან გამოიფიტა, დაიკრიტა და შემსუბუქდა. უცნაურ ძილის ბურანში შევიდა, მაგრამ იმავე დროს ნათლად ესმოდა თავისი სიფხიზლე. განძრევა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. საწოლი თითქო გამოეცალა და მისი გაბუმბულებული სხეული ჰაერში ჩამოეკიდა. გაიფიტა:



„ოთხი თუ ხუთი თვის წინად ასეთივე ამბავი დამემართა...“
 იმავე წამს მისი ტვინიც შავი ნისლით დაიბურა, თერმომეტრი კი ტყე-
 და რამდენი ხანი იწვა გატერნბილი, სულწასული და გარინდული.

უკვებ იმის თვალწინ მაშინდელი მინის კედელი აღიმართა და ისეც ცის-
 ფერი ოთახი გადაიშალა. იგივე ავეჯი, ნახი, სურათები, ჭალი, საწოლი და...
 ის ქალი, ისეც ის ქალი! თამრო, თომას თამრო!

როგორც მაშინ, თამრომ ეხლაც მოიხვდა. მერე ნელ-ნელა წამოიწია, სა-
 წოლზე დაიხოქა და ჯვარკმულივით მინის კედელს მოეკრა. მაგრამ ეს თამრო
 იმ თამროს აღარა ჰგავს. თეთრი ქალღმერთით სუფთა და გამკვირვალე პირის
 კანი უსწორ-მასწორო ძელებზე ჰქონდა გადაკრული. ნიკაბი და ცხვირი—დამ-
 დნარი და დაწერილებული. ლოცები ჩასწოდა და ჩაჰხეკიყო. ხელები ყვი-
 თელ კელაპტრებივით, დაუწვრილდა, ხოლო თითები იმ კელაპტრებზე სანთ-
 ლის ნამწვებივით ჰქონდა მიკრული. მხოლოდ თმა და წარბები შერჩა უცვლე-
 ლი: სქელი, ტვერი თმა, რომელიც ჩაეარდნილ მკერდსა და მოკუზულ ბეჭებს
 ჰფარავდა, და ხშირი წარბები, რომელნიც ეხლა უფრო გრძლად მოსჩანდნენ,
 ვიდრე მაშინ, მამა-დავითის თავზე.

თამრომ გაცრეცილი და დამდნარი ტუჩები აცმაცუნა და ოქროს კბილი
 გამოიჩინა. და ის კბილი სხვა კბილებში ისე მოსჩანდა, როგორც ორ რიგად
 გაკიბული თეთრი ძელის კრიალესვანში ჩატანებული ყვითელი ქარვის ერთი
 მძივი, ხოლო მისი თვალები ორს კრაქს ჰგვანდნენ, რომელნიც ლამის წყვედია-
 დში ღრმა ორმოებიდან ციმციმებენ.

თამროს თვალებში და ტუჩებზე უსაზღვრო შიში, მომაკვდავის წარკვეთი-
 ლი სასო და უიმედო სევდა იყო გამოკვეთილი. როგორც მაშინ, ეხლაც ორი-
 ვენი კედელს მიაკვდნენ, ერთმანერთს თვალებით ჰპურლავდნენ, დაკლანკინნი
 თითებით კედელს ჰკაწრავდნენ და ტუჩებს აცმაცუნებდნენ, მაგრამ ერთმანერ-
 თის ხმისა ნატამალიც არ ესმოდათ.

თამრომ კიდევ წამოიწია და ცისფერი საბანი გადაიხადა. გადაწულმა
 საბანმა თოვლივით თეთრი პერანგი აქმუქნა თავისს ნაოკებში და გაიყოლა.
 და ქალის შიშველმა თეძომ, ბარკალმა და წვიმმა აბურთვანილი თომა უმალ
 გაჰვლეს და გაახვეს. მაგრამ იმავე წამს თამრომ ორივე ხელი მკერდზე იტა-
 ცა და ისე ამოისუნთქა, თითქო იმ ოხერას სულიც ამოაყოლა. მერე ლოგინზე
 გადაეარდა და გაიჭიმა.

უმალ ყოველივე გაქტრა და ირველიც ისეც განუქტრებელი წყვედიად ჩა-
 მოწვა. და იმავე წუთს იმ წყვედიადში თომას ჩამხჩავლი გმინვა მოისმა:

— კეღება!.. უშველეთ!.. მოკედა!.. მოკვდა!

საწოლზე იჯდა, თრთოდა და ხელებს უტნაურად ასაესავებდა. შეშინებუ-
 ლი მართა თავთ დასდგომიყო და ეკითხებოდა:

— შეილო, თომა, ვინს მოდი... შეილო, რა დაგემართა... ვინ მოკვდა?

დიდხანს შესტყუროდა უახრო და ვაიციბულ თვალებით დედის არეულ
 პირისახეზე. მერე შტბლიდან ოჯელი მოიწმინდა და წაილულულა:



საქართველო

— არაფერი, დედი, არაფერი... რამ წამოგაყენა... დაწვენი...
ძინე.

საბნის ქვეშ ძლივს შესდო თვისი აცხცახებული ტანი და ისე აქშინდა და აქაქანდა, თითქო დიდი აღმართი სირბილით აირბინაო.

* * *

— შეილო, აღარ მეტყვი, რა გემართება?— ერთხელ კიდევ სკადა ორი დღის შემდეგ მართამ თომას გულის გადაშლა.

— არაფერი, დედი, არაფერი,— წაიბურტყუნა თომამ.

— როგორ თუ არაფერი, გენაცვალოს დედა შენი. გუშინ და დღეს მეტიმეტი გემართება. საქმესაც ვეღარ შოულობ. ი მოსაველი რო გავეიღო, ორიოდ თვეს გცოფა. მერე რას იხამ?

— არაფერს, დედი, არაფერს.

— ისევ არაფერსაო. ე ლეინოს რომ შეგჩვიე? სწავლასაც რომ მოსწყდო? თომას რომ დარდი მოაწვებოდა და სათქმელი გამოეღეოდა, ქუდს დაიხურავდა და სახეტილოდ წავიდოდა. ეხლაც ქუდს დაავლო ხელი.

— შეილო, მოიცა. ხვალ წასვლას ვაპირებ.

— წადი, დედი, წადი. მშვიდობით იყავი.

და ისე გავიდა ოთახიდან, რომ უკან არც კი მოუხედინა.

ერთი საათის შემდეგ მამა დაეითის მთახე აფოფხდა. რად, რისთვის,— თვითონაც არ იცოდა. კლდის ნაპირზე გადმოდგა და ხევ-ხუეებში ჩაეარდნილ ქალაქს გადმოჰხედა.

აქ უნდა იყოს, აქ.— ფიქრობდა.— ეიცო, რომ აქ არის, მაგრამ სად? რომელ უბანში? რომელ სახლში? რატომ თვითონ არ მომძებნის? რად მემალნება? თუ არ უნდოდი მაშ რად დამმართა ის ამბავი?.. ავერ იქ... აი აქ*...

ფუნდუკულაგორის სადგურს მიადგა და მატლის ნაბიჯით გაიარა დაბალი კიბე და ხარიხებით მოვლენული დახვეული გზა. უხენი, მალალი და გაკრეცილი შენობა ლეთის ტაძრად მოჩვენა. იმ ტაძარში თამროს სული ტრიალებდა.

„აი, აქ იდგა... აქაც... აი აქაც. აქ იდგა ჩემი თამრო... თამარი... თამარ ქალი... თამარ მეფე... ჩემი დედოფალი და მეფე. ეხლა კი აღარ არის... დამეკარგა. ვინ იცის, სად არის ეხლა. ვინ იცის, ვისა ჰყავს მკვრლით. ვინ იცის, იქნება ავად არის, ან მოკვდა კიდევაც.“

ასრთა ძაფი მახვილით ჩამოსჭრა:

„ტყუილია. ტყუილი. თამროს სიკვდილი მხოლოდ ლანდი იყო, მხოლოდ სიზმარი. და მეტი არაფერი. იმ ლამეს ცუდად ვიყავი... მაგლაჯუნა დამაწვა... უფრო მეწვია თამრო ცოცხალია, ცოცხალი! აქვე უნდა იყოს სადმე, აქვე...“

ვაგონი სრიალით ჩამოვიდა და გაჩერდა, თომამ ქუჩა გადასჭრა და მამა-დაეითის მოედანზე გავიდა. ისე მოაბიჯებდა ტალახსა და წვიპაში, თითქო



გრძელ აივანზე დასეირნობდა. თან ფანჯრებს ათვლიდა. მისი ხელების ქვევით თავის თავს ამშვიდებდა:

„მაშინ ამ გზით წამოვიდა. მაშასადამე ახლო-ნახლო ცხოვრობს... აი, ამ პატარა ქუჩაზე არ გამივლია... არც ამ ვიწრო შესახვევში მიძებნია... ეხლა აქეთ გავუბვიოთ... იჩითაც შევიხედოთ“...

ქუჩები ცალიერი იყო. ზოგჯერ ქოლგით ან უქოლგოთ გაიბუნდა ვინმე. სახლებს წურწურია ჩამოსდიოდათ წყალი. თომა ყოველი სახლის ფანჯრებს ათვლიერებდა და ქვემო სართულებშიც ისე იხედებოდა, როგორც საკუთარ ოთახში.

ბოლოს, თავისს ქუჩაზე გამოვიდა და ნელი ნაბიჯით თავქვე დაეშვა. წვიმამ გადაიღო.

აგერ, თომას სახლიც. იმ სახლის გვერდით კოტე ცხოვრობს. ალბათ ეხლა... ეს რა ამბავია? რად მოუყრია თავი ამოდენა ხალხს კოტეს სახლთან? აგერ, შავი ცხენები და თეთრი ბალდახინი. ალბად ამ სახლში მოკვდა ვინმე.. ეხლა მარხავენ.

ხალხი შეინძრა. ვილაქას გზას აძლევენ. კუმო გამოაქვთ... თომა ზევიდან ნათლად ჰხედავს ყოველივეს.. თეთრი კუმო თეთრი ყვავილებით სავსე. შიგ ქალის თეთრი პირისახე... შავი თმა, შავი წარბები და გრძელი წამწამები ღრმად ჩაყვიწულსა და დაბუქულ თვალებზე. ფაცრეცილი ხელები მკერდზე დაუწყვია და შიგაც თეთრი ყვავილები ჩაუწყვია...

აგერ, კოტე აბრძიეც გამოვიდა და მგლოვიარე მოხუცებული დედაკაცი გამოიყვანა. თომას რაღაც ემცნაურა, შორეული რამ ვაახსენდა. საღლიც უნახავს ეს დედაკაცი. მაგრამ სად? როდის?

აგერ, კოტეს უფროსი ძმა სანდროც გამოვიდა და ამანაც ერთი ახალგაზრდა დედაკაცი გამოიყვანა, ისიც შავებში ჩაცმული და ნამტირალი. იმ დედაკაცმა აქეთ მოიხედა. ქვეით მოშავალი თომა უცებ გაფითრდა და შესდგა.

„ის არის, ის!.. ღმერთო დიდებულო! თამროა, თამრო!“

გული მძლავრად აუფანქვალდა და თვალებზე ბინდმა გადაჰკრა. მერე ხალხში უხეშად შეერია და ერთ წუთში იმ დედაკაცს გვერდში ამოუდგა. მგლოვიარე დედაკაცმა თომას გადმოჰხედა, მერე სანდროს რაღაც უთხრა, კბილები გამოიჩინა და მიბრუნდა. თომა ერთხელ კიდევ მოტყუვდა: არც ხალი, არც ოკროს კბილი! დანარჩენი ყოველივე თამროსი აქვს: თვალ-წარბი, ტუჩები, თმა და ტანადობა. რამდენჯერმე მოსტყუვდა იმ ქალზე თომა! დღეს აღარ მოტყუვდებოდა, მაგრამ შავმა ტანისამოსმა და ნამტირალმა პირისახემ თვალები აუხვიეს. ეხლაც გაფლექულსავეით გამოტრიალდა. მოზღვევებული სიხარულის ტალღა უმაღლესად გაშხამდა.

— თომა, შენც ატა ხარ?

— კოტე, ეს.. ეს რა ამბავია?

— სძლის დაა მომიკვდა.



ერქენშული

თომამ სანუგეშო სიტყვა ვერ იპოვნა. კოტემ ისევ მოხუცებულ დედაკაცს წაივლო მკლავში ხელი და კუბოსთან გაიყვანა.

„უნდა გავეყვე, ვალი უნდა მოვიხადო, თორემ კოტეს ეწყინება“. — გაიფიქრა თომამ და უკვე მიზაეალ ხალხს გაჰყვა.

„მაშ ეს დედაკაცი თამროს რომ ჰგავს, სანდროს ცოლი, კოტეს სძალი ყოფილა. ცოლ-ქმარი ერთად ჯერ არ მინახავს“.

ნაბიჯით მისდევდა და მარცხნივ და მარჯვნივ ჭალებს ათვალეირებდა. უკვე გამოიღარა და ქუჩებით ხალხი გაივსო.

ვერის სასაფლაოზე გავიდნენ და ცხედარი ღრმა და გრძელი საფლავის ნაპირზე დაასვენეს. თომა განზე იდგა, ხალხით შემოხვეულ ცხედარს ძლივს ჰხედავდა და თავისთვის ჰფიქრობდა:

„საწყალი ქალი... უბედური... საბრალო! აღზად გასათხოვარი იყო... ოცი წლისა ძლივს იქნება... ჯერ არ უტოვოვრნია. ვინ იცის, იქნება არც სიყვარული გამოუცდია. საფლავში მიაქვს ქალური ოცნებანი, ლბილი სევდა, ლალი სიცილი და... უმანკო ტანი. უბედური... საწყალი... საწყალი!“

უკვებ კივილმა, კენესამ და ქვითინმა შესძრეს ჰაერი. მერე ქვითინსა და კივილს ლურსმანისა და ფიცრის კაკუნი შეერია. კუბოს სახურავი დააფარეს და დასქედეს და ნელ-ნელა ღრმა საფლავში ჩაუშვეს. აქეთ-იქიდან ყველა თითო მუტა მიწას აყრიდა. და იმ მიწას კუბოს თავზე ისეთი რახუნი გაჰქონდა, თითქო ყავარის სახურავზე ხშირმა სეტყვამ დაუშინაო.

„წესია“, — გაიფიქრა თომამ და შავი წესი თვითონაც შეასრულა. საფლავის პირს მიადგა, ერთი მუტა მიწა კუბოს მიაცარა და გუნებაში დააყოლა „მიწა იყავ და მიწად იქვე“. მერე ნელი ნაბიჯით წამოვიდა, რადგან კივილისა და ქვითინის ხარს ველარ გაუძლო.

ვერის დაღმართს რომ გაუსწორდა, ქუჩა გადაქრა და ეტლს შეეჩება. შიგ სანდრო აბრიძე, იმისი ცოლი და ის ნოხუცებულ დედაკაცი ისხდნენ, რომელიც წელან კოტეს მიჰყავდა. თომამ და იმ დედაკაცმა ერთის წუთით ურთიერთს თვალი თვალში გაუსარეს. ეტლმა უკვე გაისრიალა. თომას გულს უცნაური და იღუმალი სევდა დასწვდა:

„რა გქნა ეს დედაკაცი ვინ არის? წელანდელივით ჰკითხა თავის თავს. — სად მინახავს? როდის? რად დამახსოვდა მისი პირისახე? თუმცა... რად მინდა მგისი ვინაობა?“ და მგლოვიარე მოხუცის ვინაობაც და პირისახეც უმაღ თვიდან ამოიგდო.

კოტე წამოეწია, მკლავში ხელი გაუყარა და დევიარდნილი ხმით ჰკითხა:

— რასა იქ, თომა? ადგილი იშოვნე?

— ვერა, ვერ ვიშოვნე.

— ერთი ბოთლი დავლძოთ, თორემ გული კარგავთ ვერა მაქვს.

— დავლიოთ. მეც ცუდათა ვარ.

სარდაფში ჩაუხვიეს და წითელი ღვინო მოითხოვეს. თითო ჰიქა დალიეს და მეორე დაისხეს.



ქართული

— ის ქალი.. ის საწყალი.. შენი სძლის დაა გასაძინებინებსკა? —
ჰკითხა თომამ ხანგრძლივი დუმების შემდეგ.

— ჰო, გასათხოვარი იყო.

— მაშ... იმისი სულის შესანდობარი იყოს.

და თომამ პურის ნატეხზე რამდენიმე წვეთი ღვინო გადმოლევარა, წითელ-
მა საფურავმა თეთრი ნაკერი სისხლის ფერად შეტლება.

კოტეს თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

თომას დედის ნათქვამი მოაგონდა:

— მართლა, იცი რას გეტყვი: თურმე დედა ჩემს ეგ ქალი ჩემთვის უნ-
დოდა.

კოტე ჯერ დააცქერდა თომას, მერე ჰკითხა:

— იცნობდი?

— არა, ცნობა არა მქონია. დედას უნდოდა თურმე, მაგრამ.., საწყალი,
ხნეული ყოფილა.

დიდ ხანს იუჟნეს. მერე თომამ თავისებურად გაიღიმა და გამოცვლილი
კილოთი უსაყვედურა კოტეს:

— მართლა, რატომ არ მებმარები იმ ქალის პოვნაში.

— რომელი ქალისა? ვისზე ამბობ?

— გახსოვს, რომ ვითხარი: შეგვერემანი, გრძელი წარბები, დიდი შავი
თვალები. აი, აჰ, თვალის ქუთუთოზე მოშორ ხალი აქვს და აი, ამ ალაგას
ოქროს კბილი აქვს ჩასმული.

კოტეს პაპიროსის გადასაგდებად აწეული ხელი ჰაერშივე გაუშვშდა:

— ხალი?.. ოქროს კბილი?

— ჰო, ჰო. ხალი და ოქროს კბილი. ლალის ბეჭედიც აქვს... რა ვქნა,
რად დამაცქერდი ეგრე? ხომ არ იცნობ?—და ერთი წუთის შემდეგ იმედიანი
ლიმილით დაუმატა:—მართლა, ეხლა მომიგონდა: შენი სძალი, სანდროს ცოლი
ძალიანა ჰგავს იმ ქალს. როგორც გატყობ, იმისთანა ქალს უნდა იცნობდე.

კოტემ ჰაერში აწეული ხელი თომას ნიკაპში წაავლო და თავი მოუბრუნა
და მარცხენა ყურის ძირში პატარა ნაკრილობევს მოჰკრა თვალი.

მერე მარცხენა ხელზე დააცქერდა. ნეკის ფრჩხილი მოჭმული ჰქონდა.

— რასა მსინჯავ, შე კაი კაცო!—გაიკვირვა თომამ.—ეხლა გაიგე, რომ
ნეცი გატყვილი მაქვს და ყურის ძირშიც ნაიარევი მაჩნია?

კოტემ პასუხი არ გასცა. გაფითრდა და პირისახე მოიქეშა. ერთი ხელით
შუბლს ისრესავდა, ხოლო მეორეთი ღვინით შეწითლებულ პირის ნაკერს ჰჭე-
ლავდა. და ორივე ხელი ასი წლის მოხუცივით უპართოჯა. კარგა ხანს სდუმდა.
მერე ისევ თომას დააშტერდა და ძლივს ამოიხრიალა:

— ის ქალი... სად... სად გაიცანი?

— აკი ვითხარი, არ ვიცნობ შეთქი.

— სად ნახე... სად შეგხვდა?



— მამა-დავითის თაყუბ. ძალიან ჰგავს მეთქი შენს სძალს, თოზე მოწაო ხალი აქვს და იო, ამ ალაგას ოქროს კბილი უბჭყინავს.

კოტეს ცრემლიან თვალებში ჩააქერდა, მაჯაში ხელი დასტაცა და მუდარით აბუტბუტდა:

— მითხარი რამე... მითხარი... იმაო კოტე! ჩემო კოტე!.. ვხედავ, რომ იმ ქალს იცნობ... ან რაღაც იცი. სთქვი, სთქვი რამე, შე კაი კაცო, თორემ მე.. მე ჩემი დამემართა.

კოტემ შეკმუხნული ზუბლი ერთხელ კიდევ მოისრისა, მოწყვეტილი თავი დაბლა ჩაპქინდრა და ხრინწით წაიბუტბუტა:

— ვერ გიშველი.., ეგეთი ქალი არც მე მინახავს... არსად შემხვედრია.

— უნდა ვიპოვნო,—ამოიკვნესა თომამ,—უნდა ვიპოვნო, თორემ..

— ვერ იპოვნი... ვერსად იპოვნი. ნულარ ეძებ. დაივიწყე.. გულიდან ამოიგდე... ნულარ იტანჯები...

უცებ წამოდგა, ქედს ხელი დასტაცა, თავი მკერდზე ჩამოიკიდა და სწრაფი ნაბიჯით გაიქცა.

თომამ თითქოს ვერც კი შეჰნიშნა ამბანაგის გასვლა. მარცხენა ხელის თითები ცხვირის წინ აიშორავა და წაიბუტბუტა:

— ვითომ ვერ ვიპოვნი?.. დაივიწყე?.. გულიდან ამოვიგდო?..



გაქირვების ტალკვესი

გუბუჯნა რესპუბლიკის სახალხო მსახიობთა
ნაკთვითი კომპლექსი.

კომედია 3 მოქმედებათ.

მოქმედნი პირნი:

1. არუთინ სერგეიჩ სირისკულოვი—ყოფილი მექარხნე—60 წლის
2. ხუსანა—იპისი მესამე ცოლი—28 წლის
3. მართა—ხელზე მოსამსახურე—45 წლის
4. ზლიაძე—სუსანას დეიდაშვილი—30 წლის
5. თავადი ოთარ მურაშიძე
6. ბურჯუა აბგარ პასტერმაჯიანი | არუთინასთან შეხიზნული ინვალიდები
80—80 წლის
7. პირტახია ვიორგი—პასუხისმგებელი კომუნისტი—29 წლის
8. აბდალაძე—საზღვრის უბნის პოლიტკომი—38 წლის
9. არტო—ვაკარი, არუთინას მეგობარი და ყოფილი კომპანიონი—46 წლის
10. ირიცკუბოვი—თერძი—43 წლის
11. შუშანა—არტოს ცოლი—30 წლის
12. უცნობი ახალგაზრდა—გბორგის მეგობარი—26 წლის
13. შევოცე ყლაპიაშვილი—47 წლის
14. კინტო—27 წლის
15. ნატაშა—38 წლის

სხვა მდგმური ქალები და მოხეტიალე მემუსიკენი.

მოქმედება სწარმოებს ქალაქ თბილისში, თანამედროვე ხანაში.



ქართული
ენათმეცნიერება

მოქმედება პირველი.

(სცენა წარმოადგენს სასტუმრო ზალას. მარცხნივ, მარჯვნივ და შუაში თითო კარებია.—ორი ფანჯარა.—მოსჩანს აივანი და ხეები ეზოში.—ზალოში, სხვათა შორის კედლის საათი და საქანებელიცაა.—მორთულობა მდიდრული).

(ფარდის ახლასას მცირე პაუზა).

(სუსანა და არუთინა შემოდის მარცხენა მხრიდან)

სუსანა: (28 წლის ლამაზი და ეშხიანი დედაკაცი.—აცვია სადა, ევროპული ტანისამოსი. საქსოვით ხელში შემოიღობაპარაკებს) აბა მოჰყე!

არუთინა: ახალი ამბავი მინდა გითხრა.

სუსანა: რა ამბავი?

არუთინა: შევადგინე, თავდაცვის ერთგვარი გეგმა!

სუსანა: რა გეგმა?

არუთინა: გადავწყვიტე ჩამოვასახლო აქ ჩემი ქარხნის ყოფილი მუშა, ეხლა კი ცნობილი კომუნისტი, ვიორგი პირტახია.—რას იტყვი?

სუსანა: კეთილი, ძალიან კარგსაც იხამ. მერე და აქვს კი რაიმე გავლენა თავისიანებში?

არუთინა: გეუბნები, ძალიან დიდი ვინმეა მეთქი.—სამაგელი!—ვაპრობისათვის ვაგამზადე და ის კი რა გზას დაადგა! აქამდე როგორც მცოდნე და საჭირო კაცი მოსკოვში ჰყავდათ დაბანდებული. სამშობლოში ეხლახან დაბრუნებულა და უკვე მიუციათ რაღაც დიდი ადგილი. ძალზე განვითარებული და ჰქვიანი ბიჭია.—ის რომ აქა მყოლოდა, ტყაყის ქარხანას უფლად ავაცილებდი რეკვიზიტის! პირველ შეხვედრისთანავე ვუამბე ჩემნი გაქირვება და ვსთხოვე გადმოსულიყო.

სუსანა: გადამალულ ტყაყულზე ხომ არ ჩამოუგდე სიტყვა?

არუთინა: არა!—ეს არც ისე ადვილი სათქმელია! ნელ-ნელა უნდა შევაპარო.

სუსანა: „წითელ ჯანდარზედაც“ ხომ უამბე?

არუთინა: ვუამბე და ეგრე!—ძალიან გაიოცა, და „ენახოთო“ მითხრა.

სუსანა: გადმოსვლაზე რა სთქვა?

არუთინა: უსიტყვოდ დასთანხმდა.—დღესვე გადმოვა.—იცი როგორ მათასებს?—შვილივითა მყავს გაზრდილი. რომ იცოდე რა მშრომელი ბიჭია!—მე შევაყვარე მას გარჯა და მომჭირნეობა, რაც ბევრი ქართველისათვის დღესაც უცნობი ხელია! იმედია ისიც მაღლიერია ჩემით და ამავე დამითასებს.—რას იტყვი?

სუსანა: აკი ვსთქვი, შენი განზრახვა მოსაწონია მეთქი!

არუთინა: იცი, ერთ ადგილას რომ არ ახრჩობდეს, ისე ყველაფერი ჩინებულათ წავა.

სუსანა: როგორ?



არუთინა: მისი აქ შემოსვლა მახარებს და მაშინებს კიდევ **კონკრეტული**
სუხანა: რატომ?

არუთინა: არშოყია!

სუხანა: მე რა რომ არშოყია, პუსტ სებე ნა ზდაროვიე!

არუთინა: ზდაროვიე, ზდაროვიეა, მაგრამ ვაი თუ გაუწყურეს ჩემი გამზენი და
ნამეტანი ერთგულობით კნობკა უღალავო ალაგას დააქიროს! მასთან
გეაროც სიეჭვო აქვს: პირტახია. ანუ პირის გამტეხი.

სუხანა: არა მესმის რა.

არუთინა: ქალო, რა არის აქ გაუგებარი?—მეშინია თავის უნებურათ ხელი არ
შემოგაპაროს!

სუხანა: აბა, რას ამბობ, დაფიქრდი შინც! თუ ჩემი ნება არ იქნება, ეშმაკიც
ვერას დამაკლებს, მით უმეტეს ის ვილაც შენი ნაშაგირდილია და
მასთან კომუნისტი!

არუთინა: ხა-ხა-ხა-ხა! ისე ამბობ, თითქოს კომუნისტი ვინმე სკაპეწი—ბერი
იყოს!—თუ ეშმაკი შეუჯდა, ვერაფერი ვერ გვიშველის!

სუხანა: კარგი ერთი..... ხალხი დავებერებულვართ და რა დროს ჩვენი ამეებზე
ეიქრია?!

არუთინა: სუსიკ-ჯან, თავს ნუ იკატუნებ! შენი ერუანტელის მომგვრელი ეშხი
ვის არ შეაკდენს და არ მოიყვანს იშტაზე!—თოფის წაშლის ხარ-
დაფი ხარ გენაცვა და თუ ნაპერწყალი მოგხვდა,—შწვილობით!..

სუხანა: (კისკისებს)—როგორ გეშინიან, შე საწყალო, როგორ გეშინიან!

არუთინა: მიყვარხარ და მითომ ჩემო წრუწუნავ!—აბა, წავედი!—რაც ვითახარი
კარგათ დაიხსომე და უღვაწებზედაც დაიგრიბე. ფხიზლათ იყავი,
ეშმაკს არა სძინავს!

სუხანა: შენ საით?

არუთინა: ზახარ ზახარიჩთან. რაღაცაზე მეძახის და მინდა ვინახულო.—მაღე
დავბრუნდები.—ის აღბათ მაღე მოვა და ოთახი უტევენთ.—მარ-
თაც მიაშველე! (აეკცებს და გადის აიფანზე.—იქიდან აიენის შუა
კარებით ეხოში და მიეფარება).

სუხანა: (შებრუნდება მარცხნივ კარებით ოთახში).

თავადი და ბურჭუა: (მოდიან აიენის მარჯვენა მხრიდან ხელი-ხელ ჩაკიდებულ-
ნი, ფამფალით.—80-80 წლის ბებრებია. აცეიათ სადა ევროპიული
ტანისამოსი. ორივე თავმოტვლებილია; გრძელი თეთრი წვერებით.
—ბურჭუას თავზე ოსმალური წითელი ფესკა ჰხურავს. თავადი—კი
უჭულოა.—აიენიდანვე წამოიძახებენ ორიენი). არუთინ სერგეიჩი
წაფიდა, არუთინ სერგეიჩი წაბრძანდა! (შემოდიან ზალაში).

თავადი: მოდი მანამ წარდი ვითამაშოთ!

ბურჭუა: ვითამაშოთ, ვითამაშოთ! (ამ დროს მოისმის მეორე სართულიდან ნა-
ზი მუსიკა).

თავადი: ეჭე, ზინოკა!

ბურჭუა: გერმანული სიფაქიზით, ტოჩკა ვტოჩკუ, ტოჩკა ვტოჩკუ!



- თავადი:** მიშ, დღეს ვიხილავთ წითელ მდგმურს, ვნახოთ, რა ვაზაბატონია!
- ბურჭუა:** რას გუუბნებოდა არუთინა, რისთვის გადმოწყავსო?
- თავადი:** გადმოწყავს, რათა დამიფაროს მტერთა იერიშებისაგანო და სასტიკათ გვიბრძანა მის პარტიაზე ცუდი არა ვსთქვით რა.
- ბურჭუა:** მამა უცხოზდა, რაც მე იმან სიმართლის თქმა დამიშალოს! (წუთით ჩაფიქრდებიან და მუსიკას ყურს უგდებენ. ამ დროს ეზოდან აივანზე შემოვლენ პირტახია და მუშა. მუშა აივანზე დალაგებს მოზრდილ მაფრაშას, ტყავის ჩემოდანს და პატარა კალათს.—პირტახია უსწორდება მას, ის თავს უკრავს და მიდის, თითონ კი—პაპიროსს მოუკიდებს. მუსიკა შეწყდა).
- ბურჭუა:** ზინოჩკამ თავი დაგვიკრა! აბა, შევეუდგეთ! (იწყებენ თამაშს).
- პირტახია:** (29 წლის. თმა ბუქუჭა, წვერულვაშ გაპარსული, ლამაზი ბიჭია. აცვია სადა, ევროპული ტანისამოსი.—თავზე ჰხურავს კეპკა. —მუსიკის შეწყვეტისას მეორე პაპიროსს გააჩაღებს და შემოდის ზალაში)—გამირჯობათ!
- ზინოჩკა:** (ოდნავ შეკრთებიან და მიიხედავენ მისკენ) გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ!
- თავადი:** (ჩუმად)—ის არის!
- ბურჭუა:** ალბათ!
- თავადი:** ვინა ბრძანდებით?
- პირტახია:** ამ ოჯახის ახალი მდგმური—გიორგი პირტახია!
- თავადი:** ოდიშელი ქართველი?!
- პირტახია:** დიან, ოდიშელი ქართველი. ნება მიბოძეთ გკითხოთ ვინაობა!
- თავადი:** ქართლის დიდი თავადი, მფლობელი ჯამრავ მიწაწყლისა, მარშალი—წინამძღოლი და გომფეისტერ—კამერგერი ოთარ მურაშიძე, რომელმაც უცხოელებზე მიგვიყიდა—მოგიყიდა მშობელი მხარე, რითაც უბრიკავე სახრიკავად გაგიხადა.—მომაელის გამომქედო, დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე,—გამასამართლე!
- პირტახია:** ისტორიის მიერ უკვე წესაგებულსა და განწირულს არ ასამართლებენ! (ბურჭუა) თქვენ ვილა ბრძანდებით?
- ბურჭუა:** ვერ მიცნობთ?
- პირტახია:** სამწუხაროდ ვერა.
- ბურჭუა:** მე ვარ დიდი ვაჰარ-მრეწველი, მეფე ნავთისა და თუთუნისა.—ბურჯი და სულის ჩამდგმელი სოლოლაკისა, კომერციის სოვეტნიკის ჩინ-ორდენებით დამშვენებული, აბგარ პასტერმაჯიანი. უბედნიერესი კაცი ვიყავი ქვეყანაზე, მაგრამ მოვიდნენ წითელი ეშმაკები და ყველაფერი წამართვეს.
- პირტახია:** ჩამოგართვეს და არა წავართვეს.
- ბურჭუა:** ეგ სულერთია!
- პირტახია:** ჩამოგართვეს და გადასცეს მის ნამდვილ პატრონებს: მუშას და

გლებს.—წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლაც წართმევა იქნებოდა!
(გაივიღ-გამოვიღოს).

ბურჟუა: (თავდას) რეგებს მიჰქარავს, იცი! (გეზათ უყურებს) ეს ვილაცხა, არ მომწონს, გული მიგრძნობს, რომ ჩვენი შეხვედრა სკანდალით გათავდება.

პირტახია: საინტერესოა ვიცოდე, მოქალაქენო, საიდან შეხვედით ერთმანეთს დრო მოკმულ ეპოქის ეს ორი მოსისხლე მტრები: ბურჟუა და ფეოდალი?

თავადი: რეგოლიუციამ შეგვარიგა.—როცა სულ დავდარბიდი, მივაღიქი ამას, და რაკი ესეც გაფუტქენილ-გატყავებულნი დამხვდა, ამისმა კეთილმა ნათესავემა არუთიან სერგეიჩ სირისკულოვმა შეგვეფარა.—თავი მოვაძლეთ და მგონი ქუჩაში გაგვიძახოს!

პირტახია: არა.—ეს არ მოხდება!

ბურჟუა: ჩვენი ამბავი ხომ ვითხარით,—ესლა ინებეთ და მოგვახსენეთ თვით, თქვენ ვინა ხართ, რომელ ლმერთს ეთაყვანებით და ვის მზესა ჰფიცულობთ?

პირტახია: მე პასუხისმგებელი კომუნისტი ვარ, გვართ პირტახია.

ბურჟუა: (გაცეცხლებული) წითელი ეშმაკი! თქვენ იცით რა არის სტაბილიზაცია?

პირტახია: ვიცი!

ბურჟუა: მაშ, ჩვენ კიდევ აღვსდგებით და დაუნდობლათ მოგსპობთ, გაგსრესთ!

პირტახია: დამშვიდდით, ნუ პღელავთ.—მსუქანი კაკი ხართ და გაწყენთ.

ბურჟუა: გაგსრესთ—მეთქი, გულმუნები!

პირტახია: გასრესილს რომ ვინმე გაესრისოს, არ ნახულა ჯერ! დამშვიდდით ბატონებო, პირობას გაძღვეთ მოგათავსოთ ორივენი დავრდომილთა სახლში, რათა სიცოცხლის უკანასკნელი დღენი გაატაროთ მშვიდად და წყნარათ!

ბურჟუა: არ წაველ მე იქ, არ წაველ!

თავადი: ვაიმე, ვაიმე! (ბურჟუას) თურმე ეს იყო ჩვენი ბოლო-კანეცი.—ჩტო დღემალ, მრატ, და ჩტო ვიშლო!

ბურჟუა: ოთარ! წამიყვანე ოთახში! ეს ბაში-ბუზუკი ვიცი ბოლოს მომიღებს. (ადგებიან.)

პირტახია: (ჩადგება შუაში და მიჰყავს).

ბურჟუა: (შეშინებული გეზათ უყურებს ხან ერთს და ხან მეორეს).

თავადი: მოიცა, კაცო! რა ბუზანკალი შეგიძვრა? (მიეფარებიან).

მართა: (გამოდის აივნის მარცხენა მხრიდან და შენიშნავს რა ბარგს, შევა სუსანასთან მარცხნივ ოთახში და ისევ მალე გამოდის იმასთან ერთად) აბა, ნახე!

სუსანა: ბარგი თუ არის, ალბათ იმისი იქნება!

მართა: მერე და თითონ სადღაა?

სუსანა: არაფერი, ამასაც გავიგებთ.—მართლა, მართა, შენც ხომ იცნობ მას?



მართა: როგორ არა, ამ ოჯახს შევებერდი და ვერ ვიცნობ? **მარტა:** ნაწილობრივ არა ჰქონდეს, უნდა იცოდე, ქალბატონო, რა კვიანში და დანატყლი ბიჭია. — მთელი ქარხნის თვალი იყო და ხაზეინიც აფასებდა, თუმცა ხანდახან „ზაპასტოკებსაც“ მოუწყობდა ხოლმე.

სუსანა: რა ნაკლზე ამბობ?

მართა: ქალების მუსუსია ის გასაჭრობი, ქალების მუსუსი! შენ ჯვარი გწერია და თუ ვინმე შეაგულა — შენი მტერია!

სუსანა: ახ მართა, რა სასაცილო რამა ხარ! (ქისკისებს).

მართა: ჰოდა, მართალს გეუბნები შემოგველოს ჩემი თავი! (პირჯვარს გადასწერს და აქეთ-იქით) ფუი ეშმაკსა, ფუი ეშმაკსა, ფუი ეშმაკსა!

პირტახია: (გამოჩნდება შუა კარებში, სუსანას დანახვაზე ოდნავ შეკრთება და შედგება).

სუსანა: (გააღრგოლებს და წამით ერთმანეთს თვალებით ჰგმირავენ).

მართა: აგერ ჩვენი გიორგი! ვენაცვალე ბიჭსა, როგორ დაეაქაცებულა! (გადაჰკოცნის).

პირტახია: სალამი და გამარჯვება ჩემს მართას, სალამი და გამარჯვება! აბა, მართა, ესლა ძვირფასი დიასახლისი გამაკანი!

მართა: (სუსანაზე მიუთითებს) აი, ეს ბრძანდება და ვაიცანი!

პირტახია: (მივა და მავრა ხელს ჩამოართმევს)

სუსანა: (განზე) ახ, ნეტა რა მომდის! (მართას) აბა, მართა, ბარგი შეიტანე ოთახში და ყველაფერი მიალაგ-მოალაგე!

მართა: ეხლავე, ეხლავე! (გიორგის ბარგით მიდის აივნის მარცხნივ).

სუსანა: (სდვას სავარძელთან, ცალი ხელით ზედმიყრდნობილი)

პირტახია: აი, ბედმა სად შეგვეყარა! (ამ დროს თავადი და ბურჯუა აივნიდან ჩუმად ყურს უგდებენ).

სუსანა: როგორ, განა სადმე გინახივართ?

პირტახია: ნუ თუ არ გაგონდებათ?

სუსანა: გამოგიტყდებით, რომ არა!

პირტახია: რამოდენიმე წლის ამბავია. სალამოს ეამს ერთ ვიწრო ქუჩით შინ ებრუნდებოდი, იმ დროს ჩემს წინ კი მისრიალებდა მოძმე ერის ასული ვინმე, რომლის სიტურფემ და ეთეროვანი ტანის რხევამ ალტაცებაში მომიყვანა. ეს იყავით თქვენ. — ვერ მოვითმინე და გესროლეთ სიტყვა სასიყვარულო. ამ დროს, ვიღაც მანდილოსანი მეორე ტოტუარიდან მოგესალმათ და გიწოდათ სუსანა. — ეს სახელი მეც ორჯერ გავიმეორე, ერთი შემომხედდეთ აღგზნებული გიშრის თვლებით და შეიქერით მახლობელ სახლის შესავალ კარებში და მომეყარეთ. — მას შემდეგ, რამდენიც არ გეძებეთ, ვერსად გიპოვეთ. — მალე დაიწყო მსოფლიო ომი, იმას მოჰყვარევილი იყვითა, რომლის ტალღებშიც მეცა ვცურავდი. მიუხედავად ამისა, თქვენი სახე მუდამ მდევდა და, აი, ეხლა, სამშობლოში დაბრუნებულს, მიჯილდოებს



ბედი კვლავ თქვენის ხილვით.—მწვენიერო სუსანა, დაწვეწვე, მართ-
ლა არ გაგონდებით?

სუსანა

სუსანა: არა!

პირტახია: ყოველ შემთხვევაში ნება მიბოძეთ გკითხოთ: როგორ მოხდა, რომ ცოლი გამხდარხართ დამკენარი, ბებერი კაცის?

სუსანა: (ოდნავ ამოიხიბრებს). რას იხამთ, ბედის საქმეა!

პირტახია: არა და არა! ბედმა უკვე გაასწორა თავისი შეცდომა და სულ სხვა-რამ დაგიწერათ, სულ სხვა რამ.

სუსანა: მაგალითად რა?

პირტახია: ისა, რომ ჩვენ ურთ-ერთს ხელი მივსცეთ, ურთ-ერთი ვაბედნიეროთ და მივეცეთ დაუსრულებელ ნეტარებას.—შენ ეტრფი ცხოვრების გაზაფხულს, გწყურიან სიყვარული, გენატრება შვილი და, ყოველივე ეს მომაქვს მე შენთვის ტურფათა მეფავ! (ამ სიტყვებით ენერგიულათ მივა მასთან და ვნებით აკოცებს)

სუსანა: (შეფართხალდება) ახ, რას ჩადიხართ, ახ, რას ჩადიხართ!

პირტახია: (არ უშვებს და კოცნას უმეორებს).

სუსანა: (გაიქცევა და შევარდება ოთახში).

მართა: (შუა კარებიდან) აბა, ბიჭუნა, წამო ოთახში, პატარძალივით მოგიწვევ იგი!

პირტახია: მოვდივარ, მოვდივარ ჩემო კარგო! (წაელენ)

თავადი და ბურჭუა: (შემოდიან თებ-აკრეფით, და შემოილაპარაკებენ) ოი, ოი, ოი! რა ყოფილა, რა ყოფილა!

თავადი. ეს ბიჭი პირტახია, ყოფილა მართლა ტახია!

ბურჭუა: მოხდება მარცხი—მოხდება მარცხი!

თავადი: ექვი არაა! თუ დღეს არა, ხვალ უთუოდ დაეძგერება!

ბურჭუა: ახ, რა ყოფილა, რა ყოფილა!

თავადი: აი, ამისა ჰქვია უდარნი მეტოდი. ეს მაშაძალეები ამ საქმეშიც ნაცადი გზით მიდიან, ყველაფერს ერთი და იგივე ტაქტიკით უდგებოან!

ბურჭუა: დალახეროს ღმერთმა! არც სიყვარულის პროცესი, არც რაიმე თანდათანობა!

თავადი: პროცესი კი არა !....

ბურჭუა: ნისიაც არ ჰყვარებია ყველაფერი წინდაწინ გაინაღდა.

მართა: (შემოდის)

ბურჭუა: მართა, მიმაყენე!

თავადი: მეც, მიმაყენე!

მართა: ოი, ნეტავი როდის მოვრჩები თქვენ მიყენ-მოყენებას! (მიჰყავს ორივე აივნის მარჯვენე).

თავადი: (მართას) ნუ კაპასობ, თორემ ყუმბარებს დაგიშნით!

მართა: იპ, ჯერაც არ გამიგონია! (მიეფარებია).



არუთინა: (შემოდის) ეზოდან აივანზე და გაიხედავს მარცხნივ და მარჯვნივ.
მოსულა ჩემი გაჭირვების ტალკვესი!

პირტახია: (შეეგებება და შემოდის ორივენი ზალაში).

არუთინა: სხვა, ბიუო, მოეწყე?

პირტახია: მართას წყალობით მართლაც რომ ჩინებულათ მოვეწყე!

სუსანა: (გამოდის მარცხნივ ოთახიდან).

არუთინა: (სუსანაზე). ესეც ჩემი კნენია, ხომ ვაიცანი?

პირტახია: როგორ არა, ვაეციანი და დიდათაც ვაეცხარე მით, რომ ღირსეულ-
ლი ღირსეულს შეუღლებია! (არუთინას). მაგრამ ეხლაც რომ უწვი-
ლო დამხვდით, ეს კი არ მიამა!

არუთინა: არაფერია, არაფერია, ესეც მალე იქნება. გული მიგრძნობს; შენი
ბედნიერი ფეხი ამ სიკეთესაც მომიტანს!

უცხო ახალგაზრდა:—(შემოდის ეზოდან აივანზე).

სუსანა: არუთინ, ეილაც უმაწვილია.

პირტახია: (ნიიბხედავს მისკენ). აა, ეს ჩემი ამხანაგია.—უეცკრავად, მცირე ხნით
მიგატოვებთ. (გადის აივანზე და იმასთან ერთად მიდის ოთახისაკენ
მარცხნივ).

ახალგაზრდა: (ეზოში). ეი შენ, ყლაპიაშვილო, აქ მო! (შემოდის ზალაში—
38 წლის ეპიკატია, აცვია ფრენჩი, თავზე ფათახი, შარვალი კობტა
ჩექმებში ატვს ჩაყოლებული).

ახალგაზრდა: (არუთინას). კარგია მოვისწარიო!

სუსანა: (იმის შემოსვლისას გადის აივანზე და მიდის მარცხნივ).

არუთინა: რას მიბრძანებს, ამხანაგი? (შემოდის მეფხოვე—ყლაპიაშვილი, გაიერ-
დება კარებთან და ჩესტს უკეთებს).

ახალგაზრდა: უწინარეს ყოვლისა მე ვადმოვდივარ იმ ორ ოთახში, რომელიც
ეხლახან დაიკალა მეორე სართულში.

არუთინა: ის ოთახი მე სხვას მივაჭირავე და ბევრ გამოვართვი!

პირტახია—ამხანაგი: (მოადგებიან შუა კარებს და ამოეფარებიან.)

ახალგაზრდა: ეს რა ჩემი საქმეა, დაუბრუნეთ უკან, მორჩა და გათავდა!

არუთინა: არ იყაბულეებს.

ბურთუა და თავადი: (ერთ-ერთ ფანჯარასთან სხდებიან აივნის მხრიდან).

ახალგაზრდა: შენატყობინე და მე ვიცი!

არუთინა: ჰოოო!?

ახალგაზრდა: დიახ, დიახ! სხვათა შორის მე მჭირია ერთი ხალიჩა გაღაფიერებუ-
ლი ტახტი, ერთი სავარძელი, პირსაბანი, ექვსი ვენის სკამი და
ერთიც შკაფი. ამას გარდა დილა-სალამოს ჩაი უნდა მომართოთ და
როცა საჭირო იქნება თეთრეულიც დამირეცხოთ.

არუთინა: რაკი თქვენ ჩემი ნახლებნიკი იქნებით, მოდი ბარემ ფასშიც მოვრიგ-
დეთ?

ახალგაზრდა: არავითარი ფასი! ეგენი ჩვენს კარაბადინში არა სწერია!

არუთინა: აი, სკანდალი! ჩემში სწერია, თქვენში არა, როგორ მოვრიგდეთ?!



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

- აბლაძაძე:** (კედლის საათს შენიშნავს). ესეც იქ აატანიინეთ.
- არუთინ:** რომ არ ავატანიინო?
- აბლაძაძე:** მაშინ ავატანიინებენ!
- არუთინა:** ვა! წვითა და ღაგვით დოვლათი მომიქუჭებია, მოდიხართ თქვენ, ვისაც არ გიხნამთ, არ გითესიათ და მეუბნებით, ყველაფერი ჩემიაო!
- აბლაძაძე:** დიახაც რომ ჩემია!
- არუთინა:** ჩემი რაღაა?
- აბლაძაძე:** არაფერი! ყველაფერი მშრომელთ, ყველაფერი კოლექტივის! (ამოიღებს წიგნაკს და რაღაცას იწერს შიგ).
- არუთინა:** (თავისთვის). ვენაცვალე ბიჭებს, ასწორებენ მთა და ბარს! რა ყოფილა ეს საციალიზმი, რა ყოფილა!—ეხლა კი მივხედი, თუ რასთვის იტანჯებოდნენ მეფის კატორღებში!
- აბლაძაძე:** (თავს წამოაყოფს). მაგის პასუხს თავის დროზე მიიღებთ!
- უცნობი ახალგაზრდა:** (გავიდა ეზოში).
- მართა:** (შემოდის და მიემართება მარცხნივ ოთახისაკენ).
- აბლაძაძე:** მოიცა, ამხანაგო მართა, მოიცა, რამე უნდა გითხრა.
- მართა:** (შედეგა). რა გნებავს?
- აბლაძაძე:** წერა-კითხვა იცი?
- მართა:** არა-მეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრა!
- აბლაძაძე:** არა და მალე გეცოდინება! ისე კი შენ ცოტა მორიდებით მელაპარაკე, თორემ ყურებს ავიწვევ. უმაღლეს პარტიულ ორგანოთა უზენაესი დადგენილების თანახმად, ყველა ტვირთშიძიმეთ უნდა მიეაღებინოთ სათანადო განათლება, რომ მტრებმა არა სთქვან ასე და ისეო. კვირაში სამჯერ ივლიან კარდაკარ მოსიარულე ინსტრუქტორები და შეგასწავლიან ქართულ ენაზე მსოფლიო ლიტერატურას, მუსიკას და ცეკვას.
- არუთინა:** (მართას). ოი, საბრალოვ, რა დროს შენი ტანცი-მანცია?
- მართა:** (აბლაძაძეს). ეს კაცი ვიცი გამაგიყვებს დღეს, ნეტა ისეთი რა შევეცოდე ლმერთს, რომ ასე სასტიკად მსჯის! ჯვარი აქა, კუდიანებო ჯვარი აქა!
- აბლაძაძე:** (კმაყოფილებით მართას). რას იტყვი?
- მართა:** თავი დამანებე, არაფერიც არ მინდა!
- აბლაძაძე:** ამხანაგო მართა, მოგაგონებ, რომ ურჩ მოქალაქეთ ჩვენ ძალით ვიმორჩილებთ! უნდა შევიგნო, რომ დღეს შენი დიქტატურაა და მაშასადამე, ყველაფერიც შენია!
- მართა:** იპ! ჩემი კი არა!.. შე ვინ რას მომაშავეებს!
- არუთინა:** მართა! ამხანაგი მართალს გეუბნება, როდი უნდა აწყენინო!
- ხუხანა:** (შემოდის და ჩაჯდება საეარძელში).
- მართა:** იპ! შენ მაინც რამ გადაგრია?
- აბლაძაძე:** (კიდევ ინიშნავს წიგნაკში რაღაცას).



- არუთინა: დედაკაცო! ნუ შეგეკ ჯორზე. შეიგნე, რომ ყველაფერი შენსავე ხელშია. უნდა სიტყვიო, ნამდვილათ კი შენი მხოლოდ ვირის თავ-ფეხია!
- სუსანა: (იციინის).
- მართა: უი, დალოცვილო, შენ გეცინება და ერთი მეცა მკითხე და!
- აბდალაძე: (არუთინას). დამაცა რა დღე გაგიტენო! ამხანაგო მართა, რამდენი წლისა ხარ?
- მართა: (თავისათვის). რას ჩამაცედა ეს წყეული! (იმას) 40-სა.
- აბდალაძე: კმარი გყავს?
- მართა: არა და არცა მყოლია!
- აბდალაძე: არ გყოლია და გყოლება. შევალთ შენს მდგომარეობაში და ვითარცა ვადა გასულს, მიგათხოვებთ მეგზოვე ამხანაგ ულაპიაშვილს!
- ულაპიაშვილი: (მახინჯი და ხნიერი კაცია. ულვაშებზე ხელს გადაისევამს) ისეთი ვარ, ისეთი ჩემმა მშემ, რომ უბ დედასა ყორნისასა!..
- მართა: ოი, ყორანმა გკამოს შე უნამუსოვ, შენა! ერთი უყურეთ როგორ იკიმება! ეს აქლემის ჩლიქი, ეს თხის წვერა და ეშმაკის კუკი.
- აბდალაძე: (მართას) კარგი, ნუ მომართე ენა! (არუთინას) მაშ ასე, რაცა ვსტკვი ასრულდეს და ორ დღეში ყველაფერი მზათ დამხედეს!
- არუთინა: (გადამლაშებულ ზრდილობით გამოიწყობება). ამხანაგო! იქნება კიდევ ინებოთ რამე?
- აბდალაძე: ჯერ-ჯერობით კმარა!
- არუთინა: არა, თქვენ ისეთი მორცხვი ხართ, რომ თუ ძალა არ დაგატანეს ხელსაც არას ახლებთ!
- აბდალაძე: არა მეთქი, გეუბნებით.
- არუთინა: რაკი მზა-მზარეულზე მეყოლებით, მოადით ბარემ დესერტათ ჩემი ლამაზი ცოლიც ზედ მიიყოლეთ!
- აბდალაძე: (შეხედავს სუსანას ვნებით). შეუფერებელი ქორწინებაა. ამის შესახებ მე დაესევამ საკითხს და თუ საჭირო იქნება გაგყრით კიდევ!
- არუთინა: ვა, ე რა ნაღდი ხალხია!
- უცნობი ახალგაზდა და მილიციელი: (შემოდინ აივანზე და გაჩერდებიან პირტახიასთან).
- პირტახია: საბჭოთა მთავრობის ერთგული და მისი სახელის ამწევი—ქვით უკეთესი!
- აბდალაძე: (მიზნედავს თვლები ბრილით და თავისთვის). ეს ვილა ოხერიო! თუ თავი არ მოგძულეხიათ, გადით აქედან!
- პირტახია: (დინჯათ და მტკიცედ). მანდატი თქვენი?
- აბდალაძე: მე ვხედავ, ვილასაც ძალიან ენატრება ერთი ადგილი.
- პირტახია: მანდატი და გვარი თქვენი?
- აბდალაძე: ვინა ხართ, რა თქვენი საქმეა?
- პირტახია: გვარი მეთქი!
- აბდალაძე: მეტის მოთმენაც არ შემიძლიან (იტაცებს იარაღზე ხელს).



პირტახია და უცნობი ახალგაზდა: (დაასწრებენ და რვეულდებენ) ქელში
შესძახებენ). ხელები მალა!

აბდალაძე: (ხელებს მალა ასწევს). მაშ ხაფანგია?

პირტახია: (მილიციელს). გან-იარაღეთ!

მილიციელი: (ჩესტს აფლებს). გემორჩილებით! (განაიარაღებს).

პირტახია: გვარი თქვენი?

აბდალაძე: ბარბაქაძე.

პირტახია: მე კი ვფიქრობ აფერისტ-პროვოკატორი აბდალაძე ხართ!

აბდალაძე: არაფერი შავის მზგავსი. მართალია დღეს მე უბნში ძალით დამი-
მორჩილეთ, მაგრამ მალე ისეთ თავზარს დაგეცემთ, რომ გაჩენის
დღეს იწყებელიდეთ! ჩემს ვინაობასაც მაშინ გაიგებთ!

პირტახია: ამას რა დიდი გამოცნობა უნდა! ან გიგი ხართ ან დიდი ბოროტ-
მომქმედი.—ორივე შემთხვევაში ჩვენი დროის კაპიტან კაპეიტანი.—
მეტად დიდი მზგავსება გაქვთ ვინმე აბდალაძესთან, რომელიც 1905-ში,
ს. დ. პარტიის თვალსაჩინო წევრათ ითვლებოდა და იმავე დროს იყო ახ-
რანგის აგენტიც.—ვინ იცის საზიზღარმა რამდენი მებრძოლი ამხანა-
გი გაუყენა ციმბირს.—როცა გაუგეს, რუსეთს გადაიყვანეს და მის-
ცეს პრისტაობა.—917-ში განახლებული რუსეთის კომისრათ უნახავთ
პეტროგრადის ერთ-ერთ უბანში, და თუ თქვენ მართლა ისა ხართ,
სჩანს ჩვენი მოტყუება შესძელით, მაგრამ, აი, დღეს კოკა გაგიტყდათ
და მით თქვენ სამარცხვინო კარიერასაც ბოლო მოეღო! (მილიცი-
ელს). ამხანაგო! წაიყვანეთ ეს კაცი ჩეკაში ამ ჩემი ბარათით (აძ-
ლევს ბარათს და მიმართავს თავის ამხანაგს). მოდი, არჩილ, გაჭყე
შენც, მერწმუნე ასე ემჯობინება.—მეც მალე მოვალ!

უცნობი ახალგაზდა: (თავს დაუქნევს და გაჰყავთ იმას და მილიციელს აბდა-
ლაძე).

პირტახია: (დამსწრეთ). რას იტყვით, მეგობრებო?

სუსანა: ვაშა, ვაშა! ალტაცებული ვარ, ალტაცებული!

თავადი: ვაშა, ვაშა!

მართა: შემოგველე, შემოგველე! ჩვენო თეთრო გიორგი!

თავადი: წითელო გიორგი, დაფუმატებ მე!

არუთინა: (გახარებული). ვახ, შენი სავეწკობის კირიმე შენი!—გაიხარეთ ხალხ-
ნო, ყოფილა სამართალი, გვეოლია მთავრობა! ურააა!.....



ქართული
ბიბლიოქოცა

მოქმედება მეორე.

(დეკორაცია პირველი მოქმედებისაა. შემოდის ხელი-
ხელ გაყრილი მარჯვენე კარებიდან ბურჟუა და თავადი).

თავადი: (შემოილაპარაკებს). ასეა, ასე!

ბურჟუა: არაფერი მაგის მზგავსი! (სხდებიან). არის და იქნება მხოლოდ დი-
დი რუსეთი. სხვა დანარჩენი ფიქციაა.

თავადი: დიახ, მხოლოდ სულ სხვა რუსეთი!

ბურჟუა: მაგ თქვენ სხვა რუსეთის მოსპობენ, გასრეკენ!

თავადი: ილპიტერი ცხარობს, კული ნიშანია!

ბურჟუა: არ მიიქვამს შე ჟუანასკნელი სიტყვა, გესმის? არ მიიქვამს!

თავადი: ვერც იტყვი! თუ სვირო იქნება ალბათ ამისაც ისინი იტყვიან!

ბურჟუა: გარეშე კერძო საკუთრებისა არ არის პროგრესი, არ არი კულტურა;
ყველაფერი მოკვდება, ყველაფერი გაიყინება; გეკითხები, უჩვენოთ
ვინ უნდა ივაჭროს? ან ვინ ალაღვინოს დანგრეული ქვეყანა?

თავადი: ხომ ხედავ, თითონ ვაჭრობენ!

ბურჟუა: მერე ამის ცოდნა არ უნდა?

თავადი: შენი ცოდნა უნათებთ გზას!

ბურჟუა: გამჭურდეს განა, — ავაზაკები!

თავადი: შენი ადგილი დაიჭირა სახელმწიფომ და ყველა შენი სპეცებიც იმას-
ვე ემსახურებიან. — რა განსხვავებაა!?

ბურჟუა: შედეგი რა იქნება?

თავადი: არ ვიცი. ...

ბურჟუა: საქმეც ვე არის და! იცინის ის, ვინც გაიცინებს ჟუანასკნელი! ქარა-
ფშუტა-რუს-ქართველთაგან ყოველი სიგლაზე იყო მოსალოდნელი,
მაგრამ თუ ჩემს ჭკვიან, შრომის მოყვარე და კონსერვატორ სომეხ-
საც ღმერთი გატყურობოდა არ შეგონა სწორედ!

სუსანა: (გამოდის თავის ოთახიდან მოზრდილი კოლოფით ხელში და დაუდებს
მოხუცებს). აბა, მიირთვით პაპიროსი! გუშინ გიყიდეთ.

თავადი: ჩენო კეთილო ანგელოზო, რომ იცოდე რა კარგ დროს დაგვაპურე.

სუსანა: (გაბრუნდება ჟუან).

თავადი: ერთობ გეასაბუქებენ! გიორგიც ტყავის ტყუერკებს და კომუნარ-
კებს მოგიტანს შალე.

ბურჟუა: მართლა ოთარ! რა გვარია ის ურია, მაწანწალებს რომ ახალი სახა-
რება დაუწერა და წითელი ეშმაკები მოგვისია?

თავადი: კარლოს მარქსი!

ბურჟუა: ო, წაწყმდეს იმისი სული, წაწყმდეს! ილიჩი ვინაა?

თავადი: რუსის აზნაური, დიდი მარქსის დიდი მოწაფე და ოქტომბრის რევო-
ლიუციის ავტორი — შემოქმედი.

ბურჟუა: ვერაფი აზნაური!

თავადი: ნახე ბიჭი, გიტირა დედა თუ არა?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბურჭუა: ხეირი არც შენთვის დაუყრია!

თავადი: მაგდენი არაფერი, იმის მოსელამდი განა შენ არ მომიღე ბოლო?

ბურჭუა: მოვსპობთ, გავსრესთ!

თავადი: დაიჯერე, რომ ძველ რუსეთთან ერთად საუკუნოდ მიიძინეს სოლო-
ლაკის ახვასერებმაც!

მეეზოვე: (ეზოდან შემოდის აივანზე და ზალის კარებში შემოჰყოფს თავს). პა-
პაშებო, არუთინა შინ არის?

თავადი: რა გვარი ხარ ბიჭო შენ?

მეეზოვე: ვერ მიციანი, კნიაზო, რამდენჯერ უნდა გითხრა?

თავადი: ო, მართლა, შენ ხომ ჩვენი მართას კავალერი, დეორნიკი ცლაპიაშვი-
ლი ხარ!

მეეზოვე: (პირს იბრუნებს).

თავადი: მოიცა!

მეეზოვე: (შესდგება).

ბურჭუა: ახ! რა ლამაზია წვეული!

თავადი: ტანადობა და სახე მუხრან-ბატონისა.

ბურჭუა: თავი ზევისისა!

თავადი: თვალეზი არწივისა.

მეეზოვე: (ბრიყულათ იცინის). ისეთი ვარ, ისეთი რომ, უხ დედასა ყორანისასა!

თავადი: აქეთ მოიწი!

მეეზოვე: (მიუახლოვდება).

თავადი: სუდიობას გაძლევენ თურმე, მართალია?

მეეზოვე: (ულვაშებზე ხელს გადაისვამს და იკიმება). შეიძლება ასეც იყოს, სია-
ში მეცა ვარ შეტანილი.

თავადი და ბურჭუა: (სიცილი წასკდებათ).

ბურჭუა: დავიღუპეთ. თურმე მართლა ჰქონია გუნებაში!

თავადი: წაგვწყმიდა ოჯახ-ქორმა, წაგვწყმიდა. (ერთად იცინიან)

მეეზოვე: მაშ, რა გეგონათ ბურჯუებო?

თავადი: პაშოლ ვონ, დურაქ!

მეეზოვე: ტი სამ დურაქი, კოტრი სტარიკა, რიტოროვი კანტორაჯ კაკარუხა
ბოვრაჩი კაკ ვი სმეიტ! პაშოლ—უბირაიცა! ფონ—ქია—ფონ—ქვერე!
(გადის).

თავადი: ზორბათ მოგეცხო და ისიც მგონი ესპერანტოს ენაზე!

ბურჭუა: მეც ასე ვუიქრობ! დეორნიკი და ესპერანტო—რა დიდი პროგრესია!

არუთინა: (აივანზე შემოდის ეზოდან, დაუფეთებული თვალეზს აქეთ-იქით აცუ-
ცებს და გაემართება ჩარცხნივ).

თავადი: ეჰე, მოვიდა ჩვენი ექსპერტი!

ბურჭუა: ყოფილი მესაკუთრე ახლა კი მხოლოდ ექსპერტი! ხა-ხა-ხა-ხა! თუ
ასე ირბინა, ამ უბედურს დაითხოვენ სამსახურიდან!

თავადი: ცოლს ჰყარაულობს, მაგრამ რომ იცოდეს, როგორ დაიგვიანა!?

ბურჭუა: დღეს მგონი სუსანას გული ერეოდა!



თავადი: ეს მე არ ვიცოდით, ვინ ვითბრა?

ბურჭულაძე: მართალი!

თავადი: მაშ, ვაის ამ დროს ჩვენი ხარჯით ერთი წვერი შეგვიძინებთ! აქეთ მოდის!

ბურჭულაძე აბა, ახლა კი ავიბარგოთ. (გადიან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი).

არუთინა: (შემოდის ფეხ-აქრუფით და შემოილაპარაკებს). დაიქცეს, საცია-ლისტებო, თქვენი გაჩენის დღე, დაიქცეს!

მართა: (შემოდის და რა დანახავს იმას, შეკრთება). უი, როგორ შემაშინე!

არუთინა: შეშინა! ესეც რა ნეენი ვინმე გამოიხდა! (პაპიროსს ამოიღებს და უკულმა ჩაიდებს პირში).

მართა: ერთი უფურეთ, პაპიროსი უკულმა ჩაიდო პირში!

არუთინა: (გაჯაფრებული პაპიროსს ისერის). თქვენ გადამიკიდეს ალბათ მალე უარესიც მოუა!

მართა: ეგ რა ამბავია! ვინ შენ და ვინ ასეთი სიანჩხლე?

არუთინა: არა, რაცა ესთქვი ოჯახს არ შეეხება, იქ სამსახურში გამაჯავრეს და შიტომ ვარ ასე გულ-მოსული. მითხარი,—სუსანა შინ არის?

მართა: შინ არის, მაშა!

არუთინა: (მეორე პაპიროსს მოუკიდებს). გიორგია?

მართა: არ ვიცი, ეხლახან აქ იყო და მგონი წავიდა. თუ გჭირია წავალ, გავიგებ.

არუთინა: მოიცა, არ უნდა (საიდუმლოთ) როცა ის აქაა—შენ იმ დროს სადა ხარ?

მართა: სად ვქნები, ხან სად—ხან სად. განა ცოტა მაქვს საქმე?

არუთინა: მე არა გთხოვე, როცა სამსახურში ვარ, ქალბატონს არ მოშორდე—მეთქი?

მართა: უი, გენაცვალე. მე რომ იმას მიუჯდე ხომ დავერჩით მშვივრები? შენ ეი! (თავის ქნევით) რა სხვანაირად ირჯები, თვალი ხომ არ გეცა?

არუთინა: მეცა, ყველაფერი მეცა,—ეშმაკი, ქაჯი, ტურა, მგელი!

მართა: უი, დამიდგეს თვალეზი! მოდი ერთი შეგილოცო: „ქალაშია ქორის ბუდე, კაქკაქს გული დასწყვეტია, ვინც ავი თვალით შეგხედა—თავზე მები დასტეხია“!

არუთინა: კარგი ერთი, წირვა ნუ დააყენე!

მართა: „ჩიტი ლობეზე შემოჯდა, ბიბილო ჩაუშავდაო, ვინც ავი თვალით შეგხედა—გვირგვინი გაუშავდაო“!

არუთინა: (გაეცინება).

მართა: აი, რა მალე მოგარჩინე! (უეცრივ სახეზე ღიმილი მოუფა) მართლა რა გაბარო!

არუთინა: (დაინტერესებული) აბა!?

მართა: დღეს, შენი წასვლის შემდეგ ქალბატონს მთელი საათი გული ერეოდა.

არუთინა: მე თქვენ ავრეთ, თუ კაცი ვყოფილვარ!



- მართა: არა, შენთან ლაპარაკი დღეს არ შეიძლება სწორედ ^{ქართული} _{საზოგადოებრივი} ^{საზოგადოებრივი} _{საზოგადოებრივი}!
- მართა: თუ შედამ ასე იქნება, აიღე და გამოდი ასტავკაში, თორემ გავგეტყუ-
ვით და დამრჩები ცარიელი!
- არუთინა: გამოვალ, გამოვალ! ეხლა სად არის ქალბატონი?
- მართა: ამ ამბავის შემდეგ, წამოწეა და მგონი ჩაეძინა.
- სუსანა: (გამოჩნდება მარცხენა ოთახის კარებში. შუბლი აბრეშუმის ხილაბან-
დით აქვს შეკრული) არუთინ! შენ აჰ, ამ დროს... რას მივაწერო?
- არუთინა: შე ისე, სამსახურის გამო ტყავის ტრესტში ვიყავი და შემოვიარე;
მართამ მახარა გული ერეოდაო.
- სუსანა: ოხ, ნუ ნაგონებ, ვერ წარმოიდგენ როგორ დავიტანჯე! ღმერთმა უშ-
ველოს გიორგის, ღმერთის წყენი მყუაპია და როგორც იყო შედგა.
- არუთინა: გაფრთხილდი, შენ იმან სხვა რამეც არ გაყლაპიოს, თორემ ეს რაა?
სუსანა: კიდევ დაიწვე?
- არუთინა: ვიხუმრე, ვიხუმრე! (ხიზხითებს).
- სუსანა: შენ, ეი! ფრთხილად, თორემ მე ვიცი შენი!..
- არუთინა: ვა, რა ძალიან იმუჭრებით! მართამაც „შენ ეი“ო შემომიბთია. ნუ
ქორტუ შეტკი!—იცი, მართლა, რისთვის შემოვიარე?
- სუსანა: რისთვის?
- არუთინა: გადაშალულ ტყავულზე ფიჭრები არ მასვენებენ და მინდა გავტეხო
ნავის და გადაუშალო გიორგის გული: ან მიშველოს ან წამილოს
ხოჯივანში!
- სუსანა: შენი ბრალია! ადრევე ვეტყუდი და მოისვენებდი!
- არუთინა: ნეტავი შინ არის?
- სუსანა: არ ვიცი! შე რა მისი ყარაული ვარ, თუ გინდა წადი და ნახე!
- არუთინა: ჯან! პასუხიც აგეთი უნდა და... მართლა სუსიკო, ეს გულის რევა
სომ ორსულობას ნიშნავს?
- სუსანა: არ ვიცი, თავი დამანებე!
- არუთინა: ვა, ერთიკ ენახოთ გაის ამ დროს ამიტყვიტინო ორუეხა გოჭი?
სუსანა: ოი, ჯმრებო, ვასწყუდეს თქვენი ჭოჭი, ვასწყუდეს!
- არუთინა: (კმაყოფილი ღიმილით ხელებს ისრესავს) ნახე ბიჭი! (ხიზხითებს).
- პირტახია: (პაპირისით პირში აივნის მზრიდან შემოდის ზალაში და რა დაი-
ნახავს არუთინას, სახტად დარჩება).
- სუსანა: (ჯერ შედის სასადილოში, მერე კი გადის აივნით ეზოში).
- პირტახია: ეს რა ამბავია? რა ძალიან მოუხშირე?
- არუთინა: შე აგერ... ცოტა ხნით... ოჯახის თვალის გადასავლევით...
პირტახია: ბარაქალა!
- არუთინა: სხვა დროს თუ დავეთხოვები, მაშინ ძველ მოვალეებს მივდეგ კვალ
და კვალ!
- პირტახია: აი, პასუხი, სწორი და უტყუარი! კაცო! სამსახურის დროს ვინ მოგ-
ცა უფლება, მოვალეებს სდიო?



პარკინსონის
გონიერებისა

არუთინა: ნეტავი შენ მაინც არ მისიებდე გულს!

პირტახია: მე ვისიებ გულს?

არუთინა: დალოცვილო! რალა მე მტუქსავ! საცა სამართალია, ამ დროს შენც არ უნდა იჯდე შინ!

პირტახია: როგორ?

არუთინა როგორ და ისე; საცაა სადილობა მოატანს და შენ კი აქ არხეინად პაპიროსს აბოლებ!

პირტახია: იმე, იმე! კანტროლს მიკეთებ?

არუთინა: (კარებში გაჩერებულ სუსანას, ხითხითით) ეწყინა ხობონიკას! ეწყინა (უკბად) იმერელო უ!—უი შენ და ბუის კვერცხი!

პირტახია: (გაეცინება).

სუსანა: (გაეცინება) ნეტა რა ემართება?

პირტახია: არ ეიცო სწორედ რა ვიფიქრო!

არუთინა: სუსანა, თუ შეიძლებოდეს, მარტონი დაგეტოვე, გიორგისთან საქმე მაქვს!

სუსანა: ინებეთ! (შედის მარცხნივ).

პირტახია: ნებართვა ავიღია? (პაპიროსს სწევს)

არუთინა: როგორ არა! თუმცა წითელი დერეფტორი ცოტას დაიკყანება ხოლმე, მაგრამ ღმერთი ააშენებს, უარს მაინც არ შეუბნება.

პირტახია: თუ ასე ირბინე, აილებენ და მოგხსნიან!

არუთინა: ბუზსაც ვერ ამიფრენენ!

პირტახია: ალბათ შენი შეეშინდებათ!

არუთინა: ნამა უცხონდათ, ჩემისთანა სპეცები ზეალაც მიუფათ!

პირტახია: იმე, იმე! არა სერგეი! (მივა პაწია მაგიდასთან, ისხამს წყალს გრადინიდან) მერწმუნე, ასეთი გულგრილობით მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ! (წყალს გადააქრავს).

არუთინა: (თავისთვის) აი, დარდი!

პირტახია: რაო?

არუთინა: არაფერი, მე ის უნდა მეთქვა, რომ ამ ნაიბი წესით სახელმწიფო კი არა, საქათმეც კი არ აშენდება!

პირტახია: საქმის კაცი ხარ და ალბათ იცი, რომ თქმულს დამტკიცება უნდა.

არუთინა: მართალია!

პირტახია: თუ მართალია, ინებეთ და ეს თქვენი მოსაზრებანი, როცა კი გენებოთ წერილობით ან სიტყვიერად მოგვახსენეთ.—რა უნდა გეთქვა?

არუთინა: (საიდუმლოთ) დიდი რამ უნდა გითხრა და ყურადღებით მისმინე: სანამ ქარხანას ჩამომართმევდენ—მე ავიღე და მთელი ტყავიულობის მესამედი სარდაფში გადაემალე.—

პირტახია: ყოჩაღ!

არუთინა: შიშით მისკდება გული, რომ გამიგონ დამხვრეტენ უთუოდ.

პირტახია: ალბათ! მერე?

არუთინა: გაჭიჩუჭის ტალკეცსო! უნდა მიშველო და როგორმე კოტრაბანდათ



გამასაღებნიო.—თუ ამას მომიხერხებ, პირობას ვაძლევდი წელი დაგიდო.

გაბაშვილი

პირტახია: (წამოდგება) ვწუხვარ, რომ ნაშაგირდალი დაგვიწყებია.

არუთინა: არა, ნაშაგირდალი რომ ფიცები და ანაყი ბიჭია—ეს მე კარგად ვიცი, მაგრამ მასთან ისიც ვიცი, რომ ის ვაქრული ჭკვითაც დაჯილდოვებულია და იმედია ამ ბედნიერ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს, მით უმეტეს ქართველები ასეთ საქმეებში ყოჩაღები ხართ?

პირტახია: დინჯათ, მოხუცო, მოთმინებდიდან ნუ გამომიყვან!

არუთინა: გიორგი, ნუ ჯიუტობ, —საქმეს ნუ მიჯანჯლებ!

პირტახია: იმ თავითვე რომ დიდი ხათრი არ მჭონდეს შენი, ვფიცავ დედი ჩემის მზეს—ამ თავხედობას არ შეგარჩენდი!

არუთინა: კარგია ერთი, ნუ აზვიადებ!

პირტახია: რა საბუთის ძალით ჰფიქრობ, რომ ყველა ქართველს შეუძლია გახდეს შენი ელიტობის თანაზიარი, ან ეს მართლაც რომ ჩამედინა, ვიქნებოდი კი ღირსი ჩემი ქვეყნის და ჩემი მთავრობის?

არუთინა: დალოცვილო, საცხოვრებელი ჩამომართვით და თუ იქიდან ცოტა რამ შავი დღისათვის შემოვიწახე დიდი საქმეა?

პირტახია: ჩამოგართვა სახელმწიფომ და არა კერძო პირმა.

არუთინა: ძალიანაც დააშავა. მზა-მზარეულზე მოკალათება ვერაფერი ბიჭობაა!

პირტახია: გადაჭრით ვაცხადებ, ტყავები ხვალვე დაუბრუნო მთავრობას. მიდლობა მითხარი თუ ეს დაბრუნება უმარცხოთ ჩავიტარე.

არუთინა: ეს არის შენი უკანასკნელი სიტყვა?

პირტახია: პირველი და უკანასკნელი!

არუთინა: კარგი, ბატონო, რაკი სხვა გზა არაა, ამისთვისაც გმადლობ!

პირტახია. მერწმუნე, ასე ემჯობინება. სამაგიეროთ მე შენ სხვა რამეებში დაგეხმარები—„რაც არ გერგება არ შეგერგება“! (მიდის)

არუთინა: ხაკონიც ასეთი უნდა და! მაშინ როცა ჩემი მე არ მერგება, იგივე ჩემი, სხვას თურმე ჩინებულოდ შეგერგება! ხა-ხა-ხა-ხა!

სუსანა: (გამოდის მარცხენა კარებიდან) მორიგდით?

არუთინა: ვერ გაეტებე, მიგარი გამოდგა!

სუსანა: რაო?

არუთინა: მიბრძანა საქონელი ხვალვე ჩავბარო მთავრობას. დაივიწყა უნამუსომ, დაივიწყა ჩემი ამავი! რას იტყვი?

სუსანა: რა უნდა ვსთქვა? თუ გახსოვს, იმ საქმის ჩადენას იმ თავითვე გიშლიდი, მაგრამ რომ არ დაიჯერე?

არუთინა: რაც მთავარია იმაზე უარი მითხრა, მაშ სხვა დანარჩენს რა თავში ვიხლი!

სუსანა: უმადური არ უნდა იყო... კანონიერების ფარგალში შენ მან დიდი სიკეთე გიყო და თუ ჭკვით იქნები მალე, ალბათ, წინ წავწივენი!

არუთინა: იპ! შენც ამბობ რაღა!



სუსანა: არუთინ! მე ჩემი ვსთქვი და ეხლა როგორც გენებონსა (მეტიხის მითხბ-
ში).

მართა: (ჩაივლის აივანზე მარჯვნიდან).

არუთინა: მართა, ბებრებს დამიძახე!

მართა: ეხლავე!

არუთინა: შანტაეისტი ვირიშვილები! ჭეყანა რომ გაატყავეს, მერე მოაგონდათ
პატიოსნება!

თავადი და ზურჭუა: (წუთის შემდეგ გამოჩნდებიან აივანზე და შემოსვლისას
წემოილაპარაკებენ) გვიბრძანეთ, გვიბრძანეთ, ბატონო ექსპერტო.

არუთინა: ნუ მეძახით მეტყი ექსპერტს, რამდენჯერ უნდა გითხრაო?

ზურჭუა: კარგი, არ დაგიძახებთ.

არუთინა: ამხანაგებო, დღეს დილით ერთობ ხმაურობდით აივანზე, არ მომ-
წონს, მოთმინება მეკარგება...

თავადი: გვაპატიეთ, ბატონო ექსპერტო, მეტს აღარ ვიხმამურებთ!

არუთინა: კიდევ ექსპერტი?

თავადი: უკაცრავად, უკაცრავად! მერე?

არუთინა: ბებერო პლუტებო! შინდა ერთი რამ მოგანდოთ.

ორივენი: მოგვანდეთ, მოგვანდეთ.

არუთინა: ისეა საქმე, რომ ქარხანასთან ერთად შეიძლება მალე ცოლიც დაე-
კარგო.

თავადი: ფუ, კაკოე სვინსტეო!

ზურჭუა: ი ესიაკოე სვოლოჰინსტეო! მერე, მერე?

არუთინა: მერე ისა რომ (თავადს) მეშინია ამ შენმა წითელმა გიორგიმ დღდა-
კაცი არ შემიცდინოს.

ორივენი: შეიძლება, შეიძლება!

არუთინა: ჩემად კაცო! რა ენამ გიყიელათ?

თავადი: გაწითლებულ გიორგისაგან ყველაფერია მოსალოდნელი!

ზურჭუა: უნამუსო! მერე?

არუთინა: უნდა იცოდეთ, რომ ბიჭი გამოტნილი არშიყია და მასთან მეგრელი,
გესმით, მეგრელი!?

ორივენი: ოი, ოი, ოი!

თავადი: კაკ სტრაშნო!

ზურჭუა: კაკ უეისნო!

თავადი: არიქა შემოგვესიენენ, შემოგვესიენენ, ჩქარა თავდაცვის კომიტეტი!

არუთინა: კარგია ერთი, ნუ მისხრობთ!

ორივენი: არა, არა! მერე?

არუთინა: მთელ ქართულ მოდგმაში ესენი ყველაზე ეშმაკი ხალხია!

თავადი: მეგრელი—საქართველოს პულემიოტია!

არუთინა: პულემიოტი კი არა, ზარბაზანი არ გინდა?

თავადი: რა გქნათ თუ კი ეს ასეა!

ორივენი: მერე, მერე?



არუთინა: თქვენ გეძლევათ შემთხვევა გადამიხადოთ სამაგისტრო შინაგან საქმეთა იმის
არ მიუშვებთ ჩემ ცოლთან.

ორივენი: უთუოდ, უთუოდ!

არუთინა: რა უთუოდ?

ორივენი: არ მიუშვებთ!

არუთინა: ჰო, და ასე! უნდა იფხიზლოთ და ჩემს შინ არ ყოფნის დროს მარ-
ტონი არ დასტოვოთ.

ორივენი: არასოდეს, არასოდეს!

თავადი: გასახელებით, გასახელებით!

ბურჭულაძე: ვაძლევთ სიტყვას, რომ როცა კი საჭირო იქნება, ჩვენ სადარაჯოს
არ მოვშორდეთ.

არუთინა: თუ ასე იქნება, მაშინ მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

თავადი: ტყუილა შეგშინებია!

არუთინა: მოდი და ნუ შეგეშინებ: ჯეელი, ლამაზი ცოლი და მის გვერდით
სიცოცხლით სავსე, ახურებული კვიცი!

ორივენი: (იციინიან) კვიცი, კვიცი,.....

სუსანა: (გამოჩნდება კარებში).

არუთინა: (ბებრებს) სსს... სსს... (სუსანას) აბა, სუსიკო, მე წავედი.— შენი დღე-
ვანდელი ამბავი მახარებს, მაგრამ თავი რომ გტყავა, ეს კი არ მომ-
წონს. მართლა, გენაცვალე, სულ რომ შინ ზიხარ ეს არ გარგებს;
რა გიჭირს ჩემს არ ყოფნის დროს ნათესავებში გადაიარო?

სუსანა: რას ამბობ, სრულ ჰკუაზე ხარ?

არუთინა: (გადის).

სუსანა: (ბებრებს) ყავა ხომ მოგართვეს?

ორივენი: როგორ არა, როგორ არა!

თავადი: მგონი უკანასკნელად!

სუსანა: რატომ?

თავადი: გუშინ არუთინ სერგეიჩმა გამოგვიცხადა: ქალაქში შაქარი გამოლეულა
და ამიერიდან ყავასა და ჩაის პრასა უნდა მივაჭამოთო.

სუსანა: (კისკისებს) უხუმრია, უხუმრია. განა არ იცით რა ოხუნჯია?

თავადი: თქვენს პირს შაქარი, ნეტავი ავრე იყოს!

სუსანა: (შედის ოთახში).

თავადი. საწყალი ჩვენი ექსპერტი! რატომ არ ესმის რომ სიკვამლე და სიბერე
ურთ-ერთის მოსისხლე მტერია.

ბურჭულაძე: ღმერთო, ხანდახან რა დურაქია!

თავადი: ახ, რა საბრალოა აპარატ მოშლილი კაცი!

სუსანა: (გამოდის და მიდის სამზარეულოსაკენ მარცხნივ).

თავადი: აფსუსი არ არის ასეთი შახი დედაკაცი ქაკი არუთინას ცოლი იყოს?

ბურჭულაძე: არაფერია, მალე შტეინახს გაიკეთებს და თვით გახდება შახი!

თავადი: არ შეგკამოს ჰირმა! (ნარდს თამაშობენ)

სუსანა: (გამოჩნდება აივნით მომავალი)



არუთინა: (შემოდის იმავე დროს ეზოდან აივანში) გენაცვალე, მამა, მამა, მამა!
მითქვამს, როცა უქეიფოთ ხარ ოთახიდან ნუ გამობრუნდები! მამა!

სუსანა: (კისკისებს) ალბათ გეშინია ბაბაიკამ არ შემეპაოს!

არუთინა: გაიციინე, გაიციინე! დაგიბერავს გამკრავი ქარი და იქნება ბაბაიკა!
(დაბალი ხმით)—ვნააც?

სუსანა: (მკაცრად) არ ვიცი მეთქი, გეუბნები!

არუთინა: ხილაბანდი რათ მოიხსენი შუბლიდან?

სუსანა: ვამიარა თავის ტკივილმა!

არუთინა: ასე მალე? ა

სუსანა: (კისკისებს).

არუთინა: სუსიკო, შენი სიცილი მე ოდესმე ბნელას შემყრის!

სუსანა: ღმერთმა დაგიფაროს! ოღონდ ბნედა ნუ შეგეყრება და სულ არ გავი-
ცინებ.

არუთინა: არა, გაიციინე მხოლოდ...

სუსანა: (გააწყვეტინებს) როცა შენ მიბრძანებ, არა?—რისთვის დაბრუნდა?

არუთინა: დილანდელი უხამსობისთვის დეორნიკი შევახურე.—აბა, წავედი!
(გადის)

სუსანა: (შედის ჯერ სისადილო ოთახში, მერე კი მარცხნივ).

თავადი: დღეს ზინოჩკამ დაარღვია პირობა. ნეტა რა მიზეზია?

ბურჯუა: ქმარმა გადმოშეცა, ორი დღეა საყვარელი არ მოსვლია და ნერვიუ-
ლობსო.

თავადი: მე თუ მკითხავ, ქმარიც ასეთი უნდა!

ბურჯუა: ასეთი ქმარი შეიძლება იყოს მხოლოდ რუსი.

თავადი: ჰო, რუსი თუ მოეშვა, შენი მტერია!

მართა: (შემოდის და შედის სუსანასთან მარცხნივ).

თავადი: მართა ამ ბოლო დროს ძალიან წამოგვისუქდა!

ბურჯუა: საცა სამართალია, ერთი შანტეკლერი მაგასაც არ აწყენდა!

თავადი: ყლაპიაშვილი და მისი ჯანი!

მართა: (ბრუნდება და გამოილაპარაკებს) კარგი, კირიმე, კარგი! (გადის აი-
ვანზე).

ირიკპუხოვი: (შემოდის აივანზე აქეთ-იქით აცეკვებს თვალებს და უქერავს მარ-
ცხნივ) გამარჯობათ! აბა მაჩვენეთ თქვენი ბებრები!

პირტახია: (გამოჩნდება) ეხლავე, ეხლავე! ჯერ აქ შევიხედოთ! (შეიხედავს ზალა-
ში). პატროსანო მოქალაქენო, მოვიდა თერძი, რომელსაც თქვენი
ტანისამოსის შეყვარვა მივანდებ; ზომა უნდა აიღოს და იმედია შეა-
ჩერებთ ნარდის თამაშს!

ორივენი: ბაშ უსტა! ბაშ უსტა! (ნარდს იქით მისწვენენ).

პირტახია: (თერძს) ბაშ, ასე, დანარჩენი ისე, როგორც გითხარით. (გადის).

ირიკპუხოვი: (სიტყვას გააყოლებს) ბატონი ბრძანდებით! (ამოიღებს ქაღალდს,
ფანქარს და სანტიმეტრს და ბურჯუას), აბა, დავიწყოთ.

ბურჯუა: ეს მერე! ჯერ კი-ოთურ! (მიუთითებს სკამზე).



ირიცკუხოვი: რა დროს ოთურია! შევედგეთ საქმეს!

თავადი: ჯერ სიტყვა—მერე საქმე!

ირიცკუხოვი: (უკმაყოფილოდ) ეეე! (ბურჯუას) აბა, გეთაყვა, აბა!

ბურჯუა: ოთურ მეთქი, გეუბნები!

ირიცკუხოვი: ვა, რა ხათაა და! (ჯდება). აი დაეჯექი, მერე?

ბურჯუა: (თავადს) ოთარ! ეს კაცი შართლა თერძი არ გეგონოს!?

თავადი: ჰო, ეხედავ გადაცმული დიდი ვინმეა!

ბურჯუა: ცნობილი დოსტაქარ—პროფესორი ტარარაბუშმია.—თუ დაგადო დანა—გაგფატრავს, როგორც გოკი!

ირიცკუხოვი: კარგია ერთი, მამა გიცხონდათ!

ბურჯუა: მოითმინეთ, მოითმინეთ! (თავადს). განათლება მიიღო ჯერ ჰეიდელბერგში, მერე კი ინგლისში.—იქიდან გადავიდა ინდოეთს და გახდა ფაკირი.

თავადი: მგონი ბუასილის წანალიც მაგან მოიგონა!

ირიცკუხოვი: (წამოიჭრება) კარგია ერთი....

ბურჯუა: მოითმინე, მოითმინე! რა ელეთ-მელეთი მოგდის!

თავადი: აბგარ! არ გაგონებს ეს კაცი მგელს, რომელსაც სახარებას უკითხავდნ და ის კი იწვედა: «გამიშეთ, ცხვარი მთაზე მიდისო».

ბურჯუა: მე რომ მაგის მგლობის ამბებზე მოგიყვე, ვიცი თმა ყალყზე დაგიდგება.

თავადი: მგონი ნიუტონზე კრიტიკაც მაგან დასწერა.

ბურჯუა: რეკვიზიციის შიშით, სარდაფში გადამალული აქვს ასი ბოთლი ნარხანი და იმდენივე ცარიელი ბოჟკა.

თავადი: ჩემის აზრით ეს ინგლისის პოლიტიკური შპიონია!

ბურჯუა: სრული ტეშმარტებაა და ჩვენც მივიღებთ საჭირო ზომებს!

ირიცკუხოვი: (წამოიჭრება).

ბურჯუა: მოიცა, მოიცა! (თავადს) ცოლი რო არ ჰღალატობდეს, რა ბედნიერი იქნება საწყალი!

თავადი: რა გვარი ხარ ბიჭო შენ?

ირიცკუხოვი: ჩემი გვარი რაში მოგინდა?

ბურჯუა: რა გვარი ხარო გეკითხებიან.

ირიცკუხოვი: ირიცკუხოვი.

თავადი: მე მიცნობ?

ირიცკუხოვი: არა!

თავადი: მე ვარ ქართლის დიდი თავადი, მარშალი—წინამძღოლი და გოფიქი-სტერ—კამერგერი ოთარ მურაშიძე.

ირიცკუხოვი: ვააა!

თავადი: ვაი შენ და შავი ქირი!

ირიცკუხოვი: ხა-ხა-ხა-ხა! რა ჯამბაზები ყოფილან და!

ბურჯუა: მე მიცნობ?

ირიცკუხოვი: ვერ გიცნობ!



ბურჭუა: მე ვარ დიდი ვაქარ-მრეწველი, ბურჯი და სულის მამრეწველი. მლოლაკისა, კომერციის სოვეტნიკი აბგარ პასტერმაჯიანი.

ირიკუხოვი: ვაია! რა ამბებია და!

ბურჭუა: გინახავს ჩემი სახელობის სხვა და სხვა სამადლო სახლები?

ირიკუხოვი: (დამცინივ, ღიმილით) მინახავს, მინახავს!

ბურჭუა: გინახავს ხალხში, ხელმწიფის სურათის ვასწეროვ, ოკროს ჩარჩოიანი დიდი სურათი, კომერციის სოვეტნიკის ჩინ-ორდენებით დამშვენებული?

ირიკუხოვი: მინახავს, მინახავს!

ბურჭუა: ვინ არის იგი?

ირიკუხოვი: ალბათ შენ იქნები!

ბურჭუა: (კმაყოფილებით ხელებს ისრესავს) საქმეც ეგ არის და! (უცერივკაცური ხმით) სხვა არაფერი, აღდინეცია დასრულდა! რას დაგიღია პირი!? გასწი!

ირიკუხოვი: წადით, თქვენი დედ-მამის სული..! (გადის საჩქაროდ)

პირტახია: (პაპიროსით ხელში აივანზე სეირნობს).

თავადი: (ბურჭუას) აბა, ეხლა მივეფაროთ, თორემ იმათ მგონი ხელს ვუშლით...

ბურჭუა: მივეფაროთ, მივეფაროთ! (მიდიან ხელი-ხელ გაყრილი).

პირტახია: (წუთის შემდეგ შემოდის საჩქაროდ ზალაში).

ხუსანა: (იმავე დროს ისიც გამოდის მარცხნივ ოთახიდან) ქლივს, ძლივს, ჩემო კოშორავს! (ჩაეკონებიან ერთმანეთს)

პირტახია: (მოხუცეს ხელს და გაიტაცებს ოთახისაკენ).

თავადი და ბურჭუა: (აივანზე მოეფარებიან და სასაცილოთ ზმუკუნებენ).

მართა: (შემოაქვს დარეცხილი თევშები და შეაქვს მარჯვნივ სასადილო ოთახში. მალე ბრუნდება და მიდის სამზარეულოსაკენ).

პირტახია: (გამოდის, მოხუცი მიეფარებიან).

ხუსანა: (კარებში ჩაკოცნის) სიციცხლეე, რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი! (შებრუნდება ოთახში).

პირტახია: (მიდის თავის ოთახისაკენ სწრაფად).

თავადი და ბურჭუა: (შემოდინ ზალაში).

თავადი: უნდა ვითხრა, დიდებული ყარაღლები ვართ!

ბურჭუა: ამდენი შრომის შემდეგ უფლება გვაქვს დავისვენოთ და განვაგრძოთ ნარდის თამაში! (პაპიროსს მოუკიდებენ, მერე სხდებიან და იწყებენ თამაშს).

პირტახია: (გამოჩნდება აივანზე წასასვლელად გამზადებული, პორტფელით ხელში. შემოდის ზალაში და საათს ასწორებს კედლის საათის მიხედვით).

ართონა: (იმავე დროს შემოდის).

პირტახია: (უკან დაიხვეს) ისევ დაბრუნდი?



მარცხენა

არუთინა: რა გქნა თუ კი აქეთ-იქით მაგზავნიან! ჯერ იტყვიან, შემდეგ კი მკაცრად დაგესვენებენ, იქიდან ესპე, ესგე, ვეცე, ესპე, სეპე, ცეპე, ერკაკაში, მერე პროდკომ, პარტკომ სუსნაპ გოსტრაბში; შევიარე გრუზშევიპრომში, ავიარე აღმასკომში, ჩავიარე დაღმასკომში, ვინახულე ნაბრიგი, ატი-ბუტი, უქსი-ბუქსი, მეპო, ნეპო და ჯეპო!

პირტახია და ბებრები: (გულიანად იცინიან).

არუთინა: (ბებრებს) ხმა ჩაიკმოდეთ!

პირტახია: (სიცილით გადის აივნით ეზოში და მიეფარება).

თავადი და ბურჭუა: (იჯავრებენ არუთინას) უქსი-ბუქსი, ნეპო, მეპო და ჯეპო!

არუთინა: კრინტი მეთქი, — გეუბნებიო!

თავადი და ბურჭუა: უკაცრავად, უკაცრავად!

სუსანა: (გამოჩნდება შუბლ შეკრული კარებში). რა ამბავია, რომ არ მასვენებთ?

არუთინა: ისევ შეიკარ შუბლი?

სუსანა: რა გქნა, თუ კი ამტკივდა? (შებრუნდება ოთახში).

არუთინა: რა ფოჭუზია და! მოვდივარ სტკივა, მივდივარ — არ სტკივა! (ბებრებს) სხვა, შინ მშვიდობაა?

ორივენი: სრული სიწყინარე და მშვიდობა.

არუთინა: სერიოზნო?

თავადი: მას შემდეგ აქედან არ გავსულვარ!

არუთინა: ყოჩაღ, ჩემო ბებრებო, ყოჩაღ!

თავადი: თქვენი შიში უადგილოა არუთინ სერგეიჩ! ბიჭი მეტად სერიოზული და თავდაპირილი ვინმეა.

ბურჭუა: საქმის კაცია სიანს; მთელი დღე ზის და მუშაობს.

თავადი: ასეთი გააფთრებული გჭვებით, მართლა ჩაადენინებთ იმას, რაზედაც საწყალი მიჭი, შეიძლება სულაც არ ფიქრობს!

ბურჭუა: აგილია თავი დალოცვილო და ნიშადურ ამოცხებულ მოლასავით აღმა-დაღმა დააქენებ! (თავადთან ერთად ხითხითებს) ვის გაუგონია!?

არუთინა: (გაშტერებული ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს) ვაია!

თავადი და ბურჭუა: ყვაია! (საწინავე იცინიან).

თავადი: უქსი — ბუქსი!

ბურჭუა: მეპო, ნეპო და ჯეპო! (უფრო იცინიან)



მოქმედება მისამე,

(სცენა წარმოადგენს ეზოს. პირდაპირ მოსჩანს ორსართულიანი სახლი. დაბლა ცხოვრობს თითონ არუთიხ სერგეიჩი, მაღლა კი—მდგმურები.—ფარდის ახდისას უცნობი კაცის თიხნელებით მუშებს გააქვთ ეზოდან პირტახიას ბარჯი)

თავადი: (ზის თავის ოთახის ღია ფანჯარასთან და პაპიროსს ეწევა). აბგარი! *(კახიას შიგნით) გამოდო, დღე წაიღეს ბარჯი ხალხურზე.*

ბურჭუა: (გამოდის და ისიც მის გვერდით ჩამოვდება, შუაში უდგათ სანარდო მაგიდა ნარდით.—აცვიათ ყავისფერი შარვლები, მოყვითანო ფეხსაცმელები, „ობმოტკები“, ტყავის ტუფურკები და თავზე კომუნარკები) მაშ, დღეს გვშორდება ჩვენი მფარველი?

თავადი: გვშორდება და, ვერ დაგიფარავ, გული მწყდება!

ბურჭუა: ეს წითელი ეშმაკი ჩვენ ერთობ შეგვიყვარდა, დავიჯერო საშუღამოდ გადაიყვანეს?

თავადი: თითქოს დროებით, ისე კი ვინ იცის!

ბურჭუა: ჩვენ როდის წაგვიყვანენ?

თავადი: ხეალ დილით, თუმცა კეთილი სუსანა ეხლაც წინააღმდეგია, მაგრამ არუთინა უარობს თურმე!

ბურჭუა: საძაგელი! მე გავხადე კაცად და ეხლა როგორ მიხდის!

მართა: (გამოდის სამხარეულოდან და მოემართება ანათქენ)

თავადი: მართა, არუთინა სად არის?

მართა: გიორგის ოთახშია, რალაცაზე ცხარედ ლაპრაკობენ და არ ვიცი კი რაზე.

ორივენი: ოჰო! (მართა შედის ზალაში).

თავადი: იცი აბგარი! დღეს დილით წითელ ჯენტლმენს მზეც ველაპარაკე.

ბურჭუა: რაზედ?

თავადი: მოვიაგონე მოვალეობა და ვციხე თუ რატომ არ მიჰყავს ცოლ-შვილი?

ბურჭუა: რომელი ცოლ-შვილი?

თავადი: დიასახლისი და ის, ვისაც ამ ეამად მუცლით ატარებს.

ბურჭუა: ბიჭოს! ეს ძალიან გაგიბედნია! რა გითხრა?

თავადი: მცირე შეკამათების შემდეგ გაიგო, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით.

ბურჭუა: ვინ იცის როგორ ეწეინა!—მერე?

თავადი: ეს ასეც მოხდებოდა თურმე, მაგრამ ტრადიციის მონა-მორჩილ სუსანას ვერ გაუბედნია ამ ნაბიჯის გადადგმა და მტკიცე უარი უთქვამს, მასთან არუთინას ხათრი და სიბრაღეულოც დიდი ჰქონია. „ჩამორჩენილი ყოფილა და, როგორც ასეთი, ჩემთვის გამოუსადეგარი და ხელის შემშლელიო“ დააბოლაეა მან. სუსანას მიზეზით იძულებული ხდება იცრუოს, რაც მის კაცურ—კაცობას არცხვენს, ამცირებს!



ქართული

არუთინა: (გამოდის გიორგის ოთახიდან და გამოიღაპარაკებს) — ვინაა ეს? (კარებიდან დგას).

თავადი და ბურჯუა: (შედიან ოთახში).

პირტახია: (აცვია შავი ჩოხა — ხალხები, შავი ფაფახი და კობტა, მოკვითანო წულა-საცვეთები, თეთრი მასრები და სადა ქამარ-ხანჯალი) გამოდის კი არა ეს ასეა. რომ არ მივდიოდე, აღბათ, ჩვენ შორის დიდი სკანდალი მოხდებოდა; როგორც ყოველთვის, ეხლაც წრფელის გულთ შემოვედი შენს ოჯახში და შრომაც ვაგვიწიე. — თუ არ განიკურნები ამ უბედურ სენისაგან, იცოდე შენზე ხელს ავიღებ და მერე რაც მოვივა ჩემი ბრალი არ იყოს. ნუ გგონია, მიდის და აღარ დამქირდება.

არუთინა: აბა მაგას რას ამბობ!

პირტახია: მე ჯანი ვიშარდნია, მაგრამ რა მიზეზით შეურაცყოფ იმ უმწიკვლო ადამიანს, რომლის შენდაში ერთგულება ენით გამოუთქმელია. შენი ცოლი ქარაფშუტა ზინა უნდა იყოს, რომ თმა და წვერი გავლუჯინოს!

არუთინა: გიორგი, რაც უნდა იყოს მე შენი გამზრდელი ვარ და ასე არ უნდა გამიმეტო. — შევედი, მივქარე! რა უყოთ, კაცნი ვართ! ზოდი, შევრიგდეთ და პირობას გაძღვეთ აშიერიდან არ გავეიტარო გუნებაში ბოროტი ფიქრი.

პირტახია: დღეს თუ ხვალ მგულლეს მუცელი უნდა ეძრას და იმის მაგივრათ, რომ სიხარულისაგან ცას ეწეოდე, გამომდგარხარ და ასე და ისე...

არუთინა: დიანაც რო მიხარია. უნდა ისიც ითქვას, რომ ეს სიკეთე შენი ბედნიერი ფეხის წყალობაა და თუ კაცი ვარ, არც მე დაგრჩები ვალში!

პირტახია: დალოცვილო, თუ კი ეს ასეა, სულს რაღას მიწიწენი?

ხუსანა: (გამოდის ხალიდან აივანზე) ბატონო გიორგი, რა ამბავია?

პირტახია: დამ ჩემო! ამ თქვენმა ქმარმა ლამის სისხლი გამიშროს და სწორედ არ ვიცი რა გზას დავადგე.

ხუსანა: რა მოხდა არ იტყვიო?

პირტახია: ვინაიდან წასასვლელად გამზადებულს არა მცალიან, დაკითხვა და სათანადო მსჯავრის დადება თქვენთვის მომინდვია!

არუთინა: (ცოლს გაბრწყინებული) სუსიკ-ჯან! ხომ გაიგონე „დამ ჩემო, ამ საბაგელს ყურება აუწიეო“

ხუსანა: მხო გიორგი! გარკვევითა ბრძანეთ რაშია საქმე?

არუთინა: (ამის გაგონებაზე გაბარებული განზე) ვააა!

პირტახია: ამის ახსნა-განმარტება მისვე მოსთხოვეთ! (მევა სუსანასთან და რაღაცას მუნჯურათ ელაპარაკება).

არუთინა: (თავისთვის) დავიწვი, დავიწვი — აშკარაა საწყალი ბიჭი არაფერ შუაშია, კრავია, უმანკო კრავი. „მხო გიორგიო“ „დამ სუსანაო“ — დავიწვი — დავიწვი!

პირტახია: (მობრუნდება) რაც იყო, იყო! გაუსვათ ხაზი; (საათს დახედავს) ორთ



საათი დამრჩენია. ეხლა მცირე ხნით სასახლეში უნდა შევიდეთ, მა-
ლე დაგებრუნდები.

არუთინა: აბა, აბა! ხომ იცი შეფანცქით უნდა გავაპარავაოთ!

პირტახია: ვიცი, ვიცი! (გადის ქუჩაში).

სუსანა: (არუთინას) რა მოხდა თქვენ შორის?

არუთინა: არაფერი! ისე... სამსახურს შეეხებოდა.

სუსანა: ვითომ?

არუთინა: წენმა მზემ მართალს ვამბობ. სუსიკ-ჯან! რა მოგივიდა? რალაც ცუდ
ფერზე შეჩვენები.

სუსანა: არაფერია, გაივლის!

არუთინა: ხუმრობა იქით და იცი, ეს ორსულობა ძალიან მოცუებს.

სუსანა: ვერ გამიგია, რა არის აქ გასაოცარი?

არუთინა: რა თქმა უნდა, არაფერი, მაგრამ როგორც მახსოვს ჩვენ შორის კაი
ხანია საიმისო არა მომხდარა რა.

სუსანა. ალბათ სული წმინდა ჩამიფრინდა! უიჰ! გეცეს იმისი რისხვა!

არუთინა: მაშ, მე ვარ მიზეზი?

სუსანა: მაშ, ვინ იქნება, შე წყეულო!? არ გახსოვს ამას წინად ნასვამმა, რომ
ჩამაცივდი და...

არუთინა: ვახ! ეს რა მესმის? ხედავთ რა ბიჭი ვყოფილვარ! თუ ეს ასეა, მაშ,
რა ოხრად შინდა ი შტეინახია თუ რალაც ჯანდაბა?

სუსანა: ხნიერსა და ბუზულუნა კაცს რომ ჯეილი ქალი გადაეცილება, ასე იცის
მუდამ და რაც მომივა ახია ჩემზე!

არუთინა: კარგი დამშვიდდი, გენაცვალე!

სუსანა: სულელი ვარ რომ მოგიჯექი აქ და თავი მონად ვაგზიხადე.

არუთინა: კარგი-მეთქი, ადამიანო, ეგ სულ სიყვარულის ბრალია, მოდი შეე-
რიგდეთ! (გაიწეეს საკოცნელად)

სუსანა: (უკან დაიხვეს!) იქით დამეკარგე!

არუთინა: ვა! რა ხათია და!

სუსანა: (მიუბრუნდება ქმარს) ადამიანო, რა გსურს ჩემგან ან რით ხარ უკმა-
ყოფილო?

არუთინა: სუსიკ! მითხარ გენაცვა, მართლა ვიყვარვარ?

სუსანა: ქმარი შენა ხარ და სხვა ვინ ოხერი უნდა მიყვარდეს, ჩემო ბებერო?

არუთინა: არა, ბებერს ნუ მეძახი, ეს წყეული სიტყვა გულს მისერავს. აი, მა-
ლე ექიმი მუხამბაში შტეინახს გამიკეთებს და ნახე რა ბუღა ბიჭი
დავდგე!

სუსანა: (ირონიულად ჩაიკისკისებს და უეცრივ მას) მუხამბაში, აი ისა.... ფრან-
გების ტერტერას რომ ჰკავს?

არუთინა: ჰო, დაბალი, ჩასუქებული, თავმოტვლებილი! დალახეროს ღმერთმა
რა მაჯლაჯუნა რამ ყოფილა ეს რეინოსტობა! წამოგაგებს შამფურ-
ზე და იღრიალერ რამდენიც გინდა!

სუსანა: ჩემო ოტელლო! დავიჯერო ისე ძლიერ იტანჯებოდი?



- არუთინა: რას ამბობ, დედაკაცო, ვერა ჰხედავ როგორ ჩაგაღებოქნილი?
 სუსანა: შე საწყალო, შე საწყალო! მერე და რისთვის ან ვისთვის ყოველივე ეს?
 არუთინა: ბარემ ეხლა მეცა ეხედავ მიტარეა იყო, მაგრამ... მართლა სუსიკო, თუ შენც თანახმა იქნები, ერთი აზრი მომივიდა თავში!
 სუსანა: რა აზრი?
 არუთინა: სანამ სხვა შეგვედევნოდეს, მოდი დაცლილ ოთახში გადმოვიყვანოთ დეიდაშენი მარიამი. რაკი ისინი აქ მეყოლებიან მეც მოვისვენებ.
 სუსანა: სიამოვნებით.
 არუთინა: ჯან დღეშკა! ეხლა ერთი შტეინახიც და მორზა!
 სუსანა: (შედის ზალაში).
 ბლიაძე (შემოდის 28 წლის სიმპატიური ყმაწვილია; აცვია სადა, ვერო-პიული ტანისამოსი, თავზე კეპკა და ხელში ტროსტი. ცოტათი ნასვამი სჩანს).
 არუთინა: ოო, ბლიაძე! ჩხირი კედელს, ძლივს არ მოვიდა!
 ბლიაძე: სიძვე, შენა, აბა, გზა—შოდის კაცო, რომელმაც მიირთვა მშვენიერი არტალა და ყელიც კახური წვენით ჩაიკოკლოზინა!
 არუთინა: ლოთობა დაგიწყია, —ყოჩაღ ბიჭო!..
 ბლიაძე: ბაროვ! (ხელს უშერს).
 არუთინა: მოიცა ბიჭო! ნუ მომტეხე ხელი! ოი, ოი, ოი!
 ბლიაძე: (უფრო უშერს) აბა იყვირე: „ქეცეე ნიკოლოზ“.
 არუთინა: ქეცეე ნიკოლოზ, ქეცეე ნიკოლოზ!
 ბლიაძე: აი ასე! (ხელს უშვებს) დღეს დღლით ერთი ტერტერაც ასე ვიყვირე მილიციამ შენიშნა და დაიჭირა. ეინ იცის, საწყალო იქნებ კიდევ გაკრიკეს!
 არუთინა: როგორც სჩანს „ტუტუც-ვრაცობა“ ვერც სომეხმა დედამ აგაცილა!
 ბლიაძე: ხა-ხა-ხა! რა ხალხია! ისევ თავისის არახუნებენ. კაცო, ერთი გაიგეთ რომ გაჯობეთ ყველაფერში, გაჯობეთ.
 არუთინა: ისეც ლმერთი შენ აგაშენებს!
 ბლიაძე: ცამ პირი დაალო, ბედიც კარს მოგვაყენა!
 არუთინა: მაგრამ თქვენმა სიმჩატემ ისევ შორს გაუყენა! (იციინიან).
 სუსანა: (გამოდის აივანზე ზალიდან) ახ, სოსო, ჩემი სოსო!
 ბლიაძე: ახ, სუსანა! ჩემი სუსანა! (ჭკოცნის).
 სუსანა: ფუი, ნასვამი ხარ! არ მომწონს ეს საქმე, არ მომწონს!
 ბლიაძე: ამ ჩემ ფეხებს თუ არ მოგწონს!
 სუსანა: სოსო ჭკვიანიდა!
 ბლიაძე: შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ, სანაქებო დეიდაშვილი მოგივიდა, მიბრძანდი და შეუდექი თავდარიგს (მუცელზე მიუთითებს) ეს რა ამბავია? ვინ არის, ვისია, საიდან მოსულა?
 სუსანა: (უნდა ჩაარტყას ხუმრობით, მაგრამ ის უკან დაიხვეს).
 ბლიაძე: (არუთინას) სიძე ბატონო, დავარდნილი მეგონე და შენ კი რეები ჩაგიდენია!?



საქართველოს
საზოგადოებრივი

არუთინა: უკაცრავად! პრიზი მერგება, პრიზი!

ბლიაძე: (სუსანას სიცილით) ერთი უფურე როგორ შეიფერა! (არუთინას) რაკი ასე გეცასხეულე და ჯიგარიც არ შეირცხვინე, მოდი ერთი ჩაგპროშტო! (კოცნის).

სუსანა: (შედის სახლში).

ბლიაძე: (არუთინას) დაგებარებზე და, აი, გამოგეტხადე, რას მეტყვი?

არუთინა: ერთი საქმე მოგიწყვე, მაგრამ ლოთობა რო დაგიწყია?

ბლიაძე: რა საქმე?

არუთინა: ადგილი გიშოვე და, თუ რიგიანად მოიჭტევი, დღესვე ჩაგაყენებ. ხომ იცი რამდენი სული გყავს სარჩენი!

ბლიაძე: ეგ კი, მაგრამ ჯერ რომ ენევის კონფერენცია არ დასრულებულა?

არუთინა: რას ამბობ, სიციხე ხომ არ გაწუხებებს? რის ვაი-ვაგლახით ადგილი მი-შოვნია, შენ კი რალაც ენეგებაზე გაიძახი!

ბლიაძე: ამას შერე გაიგებ!

არუთინა: კარგი ერთი, ნუ ააფრინე!

ბლიაძე: ნუ, პალოკიმი!

არუთინა: ტი ბრატ ვოტ სუდა (თაეზე მიუთითებს) უმ პალაეი, ლუტე ბუდეტა (თავის ქნევით) რა იყო, რა მოხდა?

ბლიაძე: დიდი ამბები იწყება!

არუთინა: ამბები?

ბლიაძე: ჰო!

არუთინა: რა ამბები?

ბლიაძე: ზღვაში გემები უნახავთ.

არუთინა: ხა-ხა-ხა-ხა! იმანაც შითხრა ახალი იმბაეი. მაშ, სად უნდა ენახათ, ხმელეთზე?

ბლიაძე: არუთინ, ხუმრობის დრო არაა.

არუთინა: ვაიმე! ეს სულ წასულა ჩვენი ხელიდან!

ბლიაძე: აქეთ მოიწი!

არუთინა: ქართველ-სომეხთა წმინდანებო: ნინო და გრიგოლ, აუცხეთ გონებით დარდაკი თავი!

ბლიაძე: მოიწი — მეთქი!

არუთინა! (მოიწივს) მერე?

ბლიაძე: (საიდუმლოთ) მოდიან!

არუთინა: რაო, მოდიანო?

ბლიაძე: ჰო!

არუთინა: ვინა?

ბლიაძე: ისინი!

არუთინა: ვინ ისინი, ნუ ამომხადე სული!

ბლიაძე: ძველი მთაერობა!

არუთინა: (სახე გაბრწყინებული) ვინა, ნიკოლოზისა?

ბლიაძე: ნიკოლოზის კი არა!



არუთინა: მაშ ვინა?

ბლიაძე: (უფრუი ეტყვის).

არუთინა: (უკან დაიხვეს) პაშოლ ქორტი!

ბლიაძე: ეს რა პასუხია?

არუთინა: არ მინდა, არ მინდა!

ბლიაძე: რატომ?

არუთინა: ეორდანია, — ცხაკაია... კაკოი რაზნიც, ორივენი გველს შეუქამია. გვარდიაც მოვა?

ბლიაძე: ალბათ!

არუთინა: არ მინდა, არ მინდა!

ბლიაძე: როგორ თუ არ გინდა?

არუთინა: მოვლენ და კიდევ გაგვრეკენ ყარაიზში შეშის საკრელად! ვახ! რაც მაშინ ვაქრობა დაიხოცა!

ბლიაძე: მაშ, არ გინდა?

არუთინა: არ მინდა შეთქი, გეუბნები.

ბლიაძე: განა საჩხუბრად მოდიანი?

არუთინა: მაშ, რისთვის?

ბლიაძე: მოდიან რათა შერიგდენ და მით შექმნან მთლიანი ფროხტი!

არუთინა: აი მაშინ აგვიშენდება სწორედ ოჯახი, — ცალ-ცალკე რა ხეირს გვა-
ურიან და რომ შეერთდენ, ხომ დაანგრიეს ქვეყანა!..

ბლიაძე: გაბარო?

არუთინა: რა?

ბლიაძე: ჩვენ, ქართველები, ურთ-ერთისაგან განვარდნის ხალხი ვართ და, მა-
შასადამე, არც ისე ბედნიერი რომ მათი შერიგებით ოდესმე გა-
ვიხაროთ.

არუთინა: (გაბარებული) ახ, შე მასხარაე! როგორ გადამიბრუნე გული!

ბლიაძე: (ხელს უჭერს) აბა ერთიეც და, ფარდაც დაეშვება.

არუთინა: ბლიაძე, შე სახე ძაღლო, რას ჩამომეკიდე! კიციე ნიკოლოზ, კიციე
ნიკოლოზ!

ბლიაძე: (ხელს გაუშვებს).

არუთინა: აბა, ბიჭო, მე ერთ ალაგას წავალ, შენ კი რაკი ნასვამი ხარ, წიდი
და მოისვენე. იცი, დღეს გიორგის ვაცილებთ და მასთან ჩვენი ან-
გარიშით, სუსანას მუცელი უნდა ეძრას. მალე არტო და შუშანაც
მოვლენ და დრო გავატაროთ. — მართლა, რა გითხრა, — გიორგის
ოთახში მინდა თქვენ გადმოგიყვანოთ!

ბლიაძე: სულზე მისწრება იქნება! (შედის ზალაში. არუთინა მიდის ქუჩაზე).

კინტო. (კალაით ხელში შემოდის ეზოში) იაიეც, იაიეც!

თავადი და ბურჭუა: (გამოდინ ოთახიდან).

თავადი: რა გვარი ხარ ბიჭო შენ?

კინტო: ვა! კიდევ აქა ხართ მათუსალებო?

თავადი: რა გვარი ხარ მეთქი, გეუბნები?



კინტო: კუუუჯანოვი, გენაცვალეთ აბრაამის წვერებში, რამდენჯერ შენს წით-
ბრაით?

თავადი: მე მიცნობ?

კინტო: გიცნობ და ვერც გიცნობ.

თავადი მე ვარ ქართლის დიდი თავადი, მფლობელი უამრავ მიწა-წყლისა,
მარშალი—წინამძღოლი და გოფმეისტერ—კამერგერი ოთარ შურა-
შიძე.

კინტო: ვა, ვა, ვა!

ბურჭუა: მე მიცნობ?

კინტო: შენც აწყვიდე?

ბურჭუა: მიცნობ თუ არა?

კინტო: დაიწყე და მერე გეტყვი!

ბურჭუა: მე ვარ დიდი ვაჰარ-მრეწველი, მფლობელი უთვალავ სიმდიდრისა,
ბურჯი და სულის ჩამდგმელი სოლოლაკისა, კომერციის სოვეტნიკი
აზგარ პასტერმაჯიანი!

კინტო: ვა, ვა, ვა! შენც რა დიდი ბობოლა ყოფილხარ! იაიც, იაიც!

ბურჭუა: მოიცა, რა გახდა ეგ შენი: „იაიც, იაიც“!

კინტო: კარგია ერთი, ხელი აიღე და! (ვიღაცა ქალს მეორე სართულიდან რე-
გერანსს უკეთებს) მაიმ პაჩტენია მაღამ! იაიც, იაიც!

ბურჭუა: გინახავს, ტფილისს—ბაქო, განჯა—ერევანში ჩემი სახელობის სხვა-
დასხვა სამადლო სახლები?

კინტო: ქალაქელი კვამუნისტი კინტო, ორთაქალის მუღმივი მოქიფე, რა მინ-
დოდა ვანში, ანში, თუნდ ერევანში??

ბურჭუა: გინახავს ზალაში, ხელმწიფის სურათის გასწვრივ, ოქროს ჩარჩოიანი
დიდი სურათი, კომერციის სოვეტნიკის ჩინ-ორდენებით დამშვენე-
ბული?

კინტო: თუ არ დაგიშლია, მინახავს.

ბურჭუა: ვინ არის იგი?

კინტო: შენ ხარ, შენა!

ბურჭუა: (ხელების სრესით) საქმეც ეგ არის და!

კინტო: იყიდით თუ არა?

თავადი: ფარშევანგის კვერცხები გაქვს?

ბურჭუა: ბუს კვერცხები გაქვს?

კინტო: ...აქისუ, აქისუ!.. (გადის.)

თავადი და ბურჭუა: აქისუ, აქისუ (იციინიან)

ბლიაძე: (ზალის კარებთან მომდგარი მათთან ერთად იციინის)

თავადი და ბურჭუა: (მიმხედავენ ბლიაძეს) აა! სანჩო—პანჩო, ჩვენი პანჩო!

ბლიაძე: ვახლავარ, ვახლავარ არქეოლოგიურ ნაშთებს! (ხელს ჩამოართმევს
მოწიწებით).

სუხანა: (ზალის კარებზე მომდგარი) რა ამბავია, რა ყოფა გაქვთ?

ბლიაძე: მოიცა ნუ გვიშლი!



მარკინესული

სუსანა: (გაბრუნდება უკან).

ბლიაძე: (მოხუცებს) სხვა როგორ გიკითხოთ, რასა იქტაჩაფურჩაქაქა?

ბურჭულაძე: ხეალ დილით ჩვენ წაგვიყვანენ დავრდომილთა სახლში.

ბლიაძე: ჩემი აზრით მუზეუმში ემჯობინებოდა!

არუთინა, არტო და შუშანა; (შემოდის კიშკრიდან ეზოში)

ბლიაძე და ბებრები: ააა! ვინც მოვიდა გაუმარჯოს!

არტო: (ბლიაძეს) ოპო! ქალების პოლკონიციკ აქა ყოფილა!

ბლიაძე: (ძირს ჩაეგებება, შუშანას ხელზე ეამბოროება და არტოს ხელს ჩამოართმევს).

სუსანა: (გამოდის აივანზე ზალიდან) ააა! არტო! შუშანა! ძლიეს! (გადაჰკონცის შუშანას).

არტო: (სუსანას ხელზე ეამბოროება).

ბლიაძე: ხა-ხა-ხა-ხა! ერთი უყურეთ გაცოტრებულ ბურჭულას, რა ამბებშია და..

შუშანა: უკაცრავად, ჩემი ქმარი რა ისეთი ვინმეა, რომ ასე დასცინი?

ბლიაძე: ძალიან აგეწო?

შუშანა: სოსო! მიფრთხილდი!

ბლიაძე: არ შეგცოდეს, ბარაშაჯან!

სუსანა და შუშანა (იციზიან) ახ, რა კაცია—რა კაცია!

არტო და არუთინა: (უბოლდ ლაპარაკობენ)

ბლიაძე: (წუთით ისიც მუნჯურად ელაპარაკება ქალებს, შემდეგ ჩადგება იმით შუა, ორივეს წელზე ხელს მოხვევს და მიდიან ზალისაკენ და შუშანას ვიხუმრე გოგო, შე სასიკვდილე, ვიხუმრე მე მხოლოდ ხელზე კოცნის ასე გაიფუტა მაკვირვებს!

არტო: (მიხედავს ბლიაძეს) სოსო! შენ გენაცვალე, ნენი ხორცი აქვს და ძლიერ მაგრათ ნუ მოუჭერ ხელს, ეტკინება!

შუშანა: (ქმარს) ისე დაიწყე?

არტო: (ენის მოქცევით ცოლს) გენაჩაღიე!

სუსანა, შუშანა და ბლიაძე: (შედიან ზალაში).

არტო: აა! პაპაშებს ჩემი სალამი!

თავადი: რა ადრე მოგაგონდით!

არტო: უკაცრავად, უკაცრავად; სხვა როგორ გიკითხოთ?

თავადი: ხეალ დილით ჩვენ წაგვიყვანენ დავრდომილთა სახლში.

არტო: მართლა?

ბურჭულაძე: ჰო! იმან ასე ინება! (განავრძობენ ნარდის თამაშს).

არტო: (არუთინას). მართლა არუთინ! რისთვის ან რამდენი ხნით მიდის გიორგი დასავლეთ საქართველოში?

არუთინა: თითონაც არ იცის, რალაც დიდი საქმეები მიუნდვიათ..

არტო: ახ რა გვიყო, რა ტყავი დაგვაკარგინა!

არუთინა: (ხელს ჩაიქნევს). რაც იყო, გაფრინდა, ველარ დავიჭერთ. (ისმის ზალიდან სიცილ-ქისქისი). (ბლიაძე და ქალები გამოდიან).

ბლიაძე: ბიჭო არტო! ეგ რა ჩაგიდენია გუშინ ექიმთან, ა?



შუშანა: ოი! რაც გუშინ მე ამ საძაგელმა სირცხვილი მაქამა! **გოგონა**

არუთინა: (არტოს). რა მოხდა ან რომელ დოხტორზე ლაპარაკობთ?

არტო: გნაცოვზე.

არუთინა: მერე?

არტო: კაცო! გაგონილი მქონდა, რომ დოხტორ გნაცოვი უშვილო ქალების დი-
დი უსტაბაშიაო და თუ აყოლებს, ის აყოლებსო. მეც არა დევაყოფ-
ნე და მივგვარე ზემი კუჭრუქინა! (ცოლს ენის მოქცევით). გენახა-
ლევ!

შუშანა: კარგი ერთი, ნუ დაიწყე შენებურად!

არტო: ნუ მიშლი გენა, მე რომ ეს ბოღმა არ ამოვანთხიო, ხომ ჩამეჭვა ნაღვე-
ლი მუცელში.

ყველანი: მერე, მერე?

არტო: მერე ისა, რომ მივიყვანე და ჩავაყენე ოჩერედში.—მის საქციელში
ერთი რამ არ მომეწონა: ლამაზ ქალებს დიდხანს სინჯავდა, დანარ-
ჩენებს კი პანტასავით მიიყრიდა ხოლმე.—ბევრი ლოდინის შემდეგ
როგორც იყო ამასაც გამოუძახეს.—ცოტათი შემაქრიალა ტანში და
კაბინეტში შეყვანისას პირჯვარი გადაეწერე.—გავიდა ოცი, ოცდა-
ათი წუთი. დედაკაცი არსად სჩანს; შევიხიდე კუჭრუქანაში და რას
ნახაე! წამოუწყვენია ჩემი შუშაო და ბოშიანად გულის დუმებს უსრე-
სავს (ცოლს). მოგიკვდეს არტო, რა დღეში მყავდი!?

ყველანი: მერე, მერე?

არტო: სისხლი ყელში ამივარდა და შიგ შევარდი. „ვინ ხარ, საიდან მოსულ-
ხარო“ შემოამიტია. მე მისი კმარი ვარ მეთქი, ფუპასუხე. „მერე რა
რომ კმარი ხარ, ვსინჯავდი, ის იყო მივაგენო კვალს და შენ კი ხე-
ლი შემიშალეო“.—არა ძმაო, ამ ნაირი კვალის მიგნება ხელს არ
მაძლევს მეთქი და გამოვიყვანე ცოლი ხალაში!

ყველანი: (იციინან).

პირტახია: (შემოდის ეზოში).

ყველანი: გიორგიც მოვიდა, გიორგიც მოვიდა, ურაა!

პირტახია: აა, მეგობრებო, თქვენც აქა ხართ? (არუთინას). აბა, სერგეინ, ჩქარა
შაფანცკი. „შორი გზა მაქვს გასაფლელი, ცოტაც მეჩქარებო“.

არუთინა: ეხლაე, ეხლაე! (შედის ხალაში, გამოაქვს ორი ბოთლი შამპანიური
ჭიკებით, ძვირფასი სინით, დასდებს აივანზედ სუფრა გადაფარებულ
მაგიდაზე).—მობძანდით!

ყველანი: (ადიან).

არუთინა: ხალხნო! უუსურუოთ ჩვენს გიორგის მშვიდობით მგზავრობა და დღე-
გრძელობა!

არტო: ვენაცვალე სულში! გზასაც დაფულოცავ და ფინანდახადაც გავეგები.—
თუმცა მე და ამ ჩემ კომპანიონს ერთ რამეში გვიმტყუნა, მაგრამ
მინც მიყვარს. ურაა! (სვამენ).

პირტახია. (მიმართავს არუთინას და სუსანას). ნება მიბოძეთ საყვარელნო, ამ



მარკინ ნულნი

გამოთხოვების ღამს გიძღვნათ უგულოთადესი შედეგად მოქმედებებს. გარძნობათა და იშვიათ სტუმართმოყვარეობისათვის.—იყავით ბედნიერი, იცხოვრეთ ტკბილათ.—ამ ჩემ გამზრდელს და პრაქტიკული ცხოვრების პირველ მასწავლებელს თქვენ გაბარებთ დიო სუსანა.—გაუფროთხილდით და უპატრონეთ მას, ნიჭიერს, გონება მახვილს და მეტად ნაზი გულის ადამიანს!

არუთინა: (გულ-აჩუყებული). რა ცეცხლია, რა ცეცხლი! (სუსანას გადაეხვევა).

არტო: (გულ-აჩუყებული). დავდნი კაცო, დავდნი! (შუშანას გადაეხვევა, მაგრამ ცოლი სიცილით გაიქცევა)

პირტახია: (სუსანას). მიუხედავთ სავრძნობი ხნოვანობისა მას უყვარხართ თქვენ, ჰაბუჯური ალტაცებით. თქვენი ვალია დაიფასოთ ყოველივე ეს და ცხოვრება მისი მოქაზმით ბედნიერების შარავანდედით!

არუთინა: შენი ჰირიმე, რა სიტყვა პასუხია და!

პირტახია: მეტად მიმიძმს, ძვირუფასო, თქვენი შიტოვება, მაგრამ ნუგეშით ისა მჩჩება, რომ მალე ჩემს ბედნიერ ფეხზე, ამ ოჯახს მოველინება პაწია არსება, რომელიც იქნება მიზანი და აზრი თქვენი ცხოვრების!

არუთინა და არტო: (გულ-აჩუყებულნი ერთმანეთს გადაეხვევიან).

მლიჩაძე: (პირტახიას). კარგია ერთი, ნუ დააყენე ცრემლის გუბე!

არუთინა: გვაობლებს, გვშორდება!

პირტახია: (დანარჩენებს) გემშვიდობებით თქვენც პატროსანო მოქალაქენო და გისურვებთ კარგათ ყოფნას. (არუთინას). როგორც გითხარით, ხელ დალით აქ მოვა ავტომობილი და ჩვენ მოხუცებს წაიყვანს დაედრომილთა სახლში, სადაც სამაგალითოდ მოგვლიან

თავადი და ზურჭუა: (გამოდიან თავიანთ ოთახიდან).

პირტახია: (იმათ). აბა, წარსულ დროთა ვეტერანებო, გზა დაზილოცეთ, მივდივარ! (მიუახლოვდება).

თავადი: („ჩესტს“ აუღებს). მუდამ მზადა ვარ!

ზურჭუა: („ჩესტს“ აუღებს). მუდამ მზადა ვარ!

პირტახია: აბ, როგორ გიხდებათ კომუნარკები!

თავადა: თითო მალურერიც და...

პირტახია: არა! ის დრო წავიდა.—მშვიდობით!

თავადი: წითელო რაინდო! მიიღე ორი რეპტიკონერის სალაში და კონა (აკოცებს).

ზურჭუა: როცა ჩემი დრო კვლავ დაბრუნდება, მოგნახავ და სიკეთისათვის უზვად დაგაჯილდოვებ! (აკოცებს).

ვევლანი: (იციინან).

პირტახია: (მართას) აბა, მართა, მივდივარ; შოდი ვადამეხვიე!

მართა: მამაზეციერი იყოს, შეილო, შენი მფარველი! (ლოკვას აშობს). „მეუფეო ზეტათაო, სულო ჰეშმარიტებისაო! აპატიე ურწმუნოს შეკოდებანი მისნი და მიანიჭე მას სიკეთე და მადლი! (საერთო სიცილში პირტახია დედაკაცებს ხელს ართმევს, მამაკაცებს გადაჰკოცნის და გადის).



არუთინა: აბა ნახეთ, თუ ეს ბიჭი პირველი კაცი არ გახდეს საქართველოში!
 არტო: ახ, რა ბიჭია—რა ბიჭია მამაძალი! (სუსანას). აბა სუსან—ჯანი. (მუცელზე მიუთითებს). ნეტავი რათ იგვიანებს? თუ იძვრის ბარემ დაიძრას თორემ მე ვიცი მისი!

ბლიაძე: ეხლაე იქნება. აბა, სუსანა! ერთი, ორი,—სანი!

სუსანა: (უეცრივ წამოხტება და მუცელზე ხელს იტაცებს). ოი, ოი, ოი!

მართა: (გამოვიდა ზალიდან და შეუერთდა იმათ).

ყველანი: რა ამბავია რა ამბავია?

არუთინა: (სიყვარულით) სუსიკ! გენაცვა რა მოგდის?

სუსანა: (ბლიაძეს) ეს წვეული გულთმისანია სწორედ. (უეცრად) ოი!

არტო: მუცელი ეძრა ხალხნო, ურაა!

არუთინა: (დაბნეული აქეთ-იქით აცეცებს თვალებს). დავიჯერო მართლა ეძრა?!

სუსანა: მეძრა და ისე ძლიერ რომ.... (უეცრად). ოი!

არუთინა: (გაბრწყინებული). ღმერთო რა ბედნიერებაა, სიხარულისაგან ლამის მე კიდევ ტვინი მეძრას!

სუსანა: ოი, ოი, ოი!

არუთინა: ერთი უეცრეთ რა ამბებშია და!

ბლიაძე: ვერა გამიგია რა, ვინ დინჯი სომეხი და ვინ ასეთი ხტუნვა!

არტო: კომცომოლია, კომცომოლი!

სუსანა: აბა, შეშვიკ, წავიდეთ ოთახში!

მართა: (სუსანას) მოიცა გენაცვა შეგილოცო: მზევ შემოდი ბაგესა, ცხვარს და-გეკლაე მაგესა. სუსანას და არუთინას ნუ დაუფებ მახესა, ამრავლე და აძლიერე ღმისა ფენდე ბაგესა. ფუი ეშმაკსა, ფუი ეშმაკსა, ფუი ეშმაკსა.

არტო: აბა, არუთინ, დატრიალდი შენებურად და ამ გახარებულ გულზე ერთი ლოთიანად წაგვაჭყვიფე!

არუთინა: მოიცა, ერთი მეზობლებს შეგატყობინო! (ეძახის მეორე სართულში). არმენუი, ისკუი, სერაჟუი, თაქუი, ელიყო, მელიყო, მარიყო, თამრი-ყო, ნინოჩკა, ზინოჩკა, ოლიჩკა, მანიჩკა და ნატაშა!

ქალები: (მეორე სართულიდან). რა ამბავია, რა ამბავია?

არუთინა: ეძრა, როგორც იყო ეძრა!

ქალები: ვის ეძრა, რა ეძრა?

ერთი ქალი: რაო მიწა იძრაო? (ხმები: ხალხნო მიწა იძრა, მიწა).

არუთინა: მიწა კი არა, ჩემს ცოლს მუცელი ეძრა!

ქალები: ჰოოო!

არუთინა: ავანგალა, ვანგალა!

ქალები: მოგვილოცნია, მოგვილოცნია!

არუთინა: ვინც მავასებთ, ყველამ უნდა მიიღოთ მონაწილეობა ჩემს სიხარულში და თავისი მობრძანებით გაამზიაროთ ოჯახი ჩემი. ზემი მექნება, ხალხნო, ზემი!



ქართული
 ენის ენციკლოპედია

- ნატაშა:** არუთინ სერგეიჩ, არუთინ სერგეიჩ! როგორ იქნება ასეთი აქტები; ბარემ აიღეთ და ქუჩაც შეჰყარეთ!
- არუთინა:** ერთი ამას უყურეთ და! (იმახ) დალოცვილო, მოკლე ხანში ბარე თორმეტი ამოგიყრია და მე სიბერის ხანს ერთხელ მელირსოს და არა გავიხარო!?? (საერთო სიცილი. ამ დროს შემოდინან ეზოში მოხეტიალე მემუსიკენი).
- არუთინა:** თქვენი ჭირიმე მუსიკანტებო, რა კაი დროს მოხველით. ჩემს ცოლს მუცელი ეძრა და აბა დასტებით ლეკური! ფულები რამდენიც გნებავთ!
- მემუსიკენი:** (ლეკურს დაუკრავენ და გაჩაღდება თამაში, არუთინა იწყებს ცეკვას).
- ბლიაძე:** სიმე! აბა, მიუთამაშე მართას! (მართაც თამაშობს, იმათ შემდეგ ბლიაძე და შუშანა და სხვებიც. სიცილის დროს ბებრები ყველას აპარბებენ).

ფარდა.

ზიზველი წელი

(„ГОЛЫЙ ГОД“)

თ ა ვ ი ო .

(დასასრული)

ბოლშევიკები.

(ტრიპტიხი მეორე)

რამეთუ უკანაში წინ წარმოსდგენ.

ტყავის კურტიკები.

ორდინინების სახლში, აღმასკომში (ყანჯრებზე არ იდგა ბალასინას ყვეი-ლები)—თავი შოიყარა ტყავის კურტიკიანმა ხალხმა, ბოლშევიკებმა.

არხიმ არხიპოვი დღისით აღმასკომში იყო, აღგენდა ქალაღდებს, მერე და-დიოდა ქალაქში, ქარხანაში—კონფესკაციებზე, სხდომებზე, მიტინგებზე. ქა-ლაღდს შუბლშეკერით სწერდა (წვერები ოღნავ ეხუჭუჭებოდა), კალამი ნაჯახი-ვით ეჭირა ხელში. კრებებზე ამბობდა უცხო სიტყვებს, რომელთაც ასე გამოს-თქვამდა: ენგერიულად, ლიტეფონოგრამმა, ფუტკია, ბუჯკტი,—რუსულ სიტ-ყვა მოყუტ-ს გამოსთქვამდა, როგორც მოყუტ. ტყავის კურტიკიანი, პუგაჩოვის წვერებით.—სასაცილოა?—აი კიღვე უფრო სასაცილოა:—არხიმ არხიპოვი გამ-თენის ხანს იღვიძებდა, ფრთხიღად, რომ არავინ გაეღვიძებინა:—იზეპირებდა წიგნებს, კისელეღვის აღგებრას, კისტიაკოესკის გეონომიურ გეოგრაფიას, მეXIX-ე საუკუნის რუსეთის ისტორიას (გრანატის გამოცემა), მარქსის „კაპიტაღს“, ოზე-როვის „საღინანსო მეცნიერებას“, ვეიცმანის „ანგარიშის წარმოებას“, გერმა-ნულ ენის თვითმასწავღებღს—და იზეპირებდა კიღვე გაეკინის მიერ შეღგე-ნიღ რუსულ ენაში ხმარებაში შემოსულ უცხო სიტყვათა პატარა ლექსიკონს.

ტყავის კურტიკიანები.



ერეკნულში

ბოლშევიკები. ბოლშევიკები?—დიახ. ასე.—აი, რა არეს ბოლშევიკები!

თეთრები მარტში წავიდენ. და მარტის პირველ დღეებშივე ჩამოვიდა მოსკოვიდან ექსპედიცია, რომ გასცნობოდენ და ენახათ რა დარჩა ქარხნებისაგან თეთრებისა და ქარიშხლიან დღეების შემდეგ. ექსპედიციაში იყვნენ წარმომადგენლები—**ოტკ. ხმუ**, ლითონთა განყოფილების, გომზის, ცეპტის, ცეპეკაქის, პროზბიუროს, რკი ვეკ და სხვ. და სხვ., და სხვ., ყველა სპეცების სხდომაზე საოლქო ქალაქში დადგენილ იქმნა, როგორც ორჯერ ორი, რომ ქარხნების მდგომარეობა კატასტროფიულზე უარესია, რომ არ არის ნედლი მასალა, იარაღები, მუშა ხელი, სათბობი მასალა,—და ქარხნების ამუშავება არ შეიძლება. არ შეიძლება. მე, ავტორი, ვიყავი ამ ექსპედიციის მონაწილე, ექსპედიციას უფროსი y-x K, ლუკინი იყო. როცა მატარებელზე გაცემულ იქმნა განკარგულება, რომ დაძრულიყო, (მატარებელში ჩვენ რაზემელება დეყავით ვინტოვებით), მე, ავტორს, მეგონა რომ ჩვენ უკანვე გავბრუნდებით, მოსკოვში, რახან არაფრის გაკეთება არ შეიძლება. მაგრამ ჩვენ წაველით—ქარხნებში, ვინაიდან არ არის არაფერი ისეთი, რის გაკეთებაც არ შეიძლებაოდეს, რადგან შეუძლებელია არ გაკეთდეს. წაველით, იმიტომ რომ არა სპეც ბოლშევიკმა კ.-მ სულ უბრალოდ განსაჯა, რომ თუ გაკეთებული იქნებოდა, მაშინ გაკეთებაც არ უნდა, მკლავს კი ყველაფერი შეუძლია.

ბოლშევიკები.

ტყავის კურტკიანები.

„ენერგიული ფუტკია“. აი რას წარმოადგენენ ბოლშევიკები. და—ეშმაკმა წაგიღოსთ თქვენ,—გესმით თქვენ, მეაე-ტკბილო ლიმონადო?!

მალარო ნომერი 3, ტაევევის ქარხანაში. 320 სიღრმეზე, ე. ი. ეერსოს სამ მუოთხედზე მიწის გულში, მიწაში გათხრილ ხერელებს აფეთქებდენ ნალმებით: მიწის მთხრელები მდულარესაეით ცხელ წყალში წელამდე ჩამდგარი სთხრიდენ ხერელებს; მენალმეები ხერელს ნალმით სტენიდენ და აფეთქებდენ, ხერელები 320-ზე იყო მიწის გულში, მკერდამდე ცხელ წყალში. მენალმეს წყალში ხერელი უნდა მოენახა, ჩაყურყუმელავებულიყო, ხერელი ვაზნებით უნდა გაუტენა, ეაზნის ქვეშ მჭეჭავი თუთიის გუტაპერჩის პატრუქიანი საფეთქი ამოვდო—აენტოთ თხლომეტი, ოცი ვაზნა.

ნიშანი ზევით:

— მხადა ხართ?

ნიშანი ქვევით:

— მხადა ვართ.

ნიშანი ზევით:

— ეაფეთქებ.

ნიშანი ქვევით:

— ეაფეთქე ლეთით!

ერთი მეორეზე ინთება პატრუქები, ერთიმეორეზე შიშინებენ, სტვენენ ლურჯი ცეცხლები წყლის ზედაპირზე და ყვინთავენ გულდაპერჩის მილში, წყალქვეშ. უკანასკნელმა ცეცხლმა დაისტვინა და ჩაყვინთა წყალში.—



ჩავარდა პინაში, ნიშანი ზევით:

— ასწიო!

— არის!

და პინა წვიმაში, სიბნელეში, სისინში, წუთში შეიდი საეწი (საზღვარი, რომ არ მოკედდე) მიჰქრის ზევით სიკვდილისაგან სინათლეში. და ძირს სკდება ლალუმი: პირველი, მეორე, მესამე.

მაღარო №3, სიღრმე 320. ნაღმებს ორი აფეთქებდა.

— მზად ხართ?

— მზადა ვართ!

— ვაფეთქებ!

— ააფეთქე ლეთის ზეწვენით!

ერთმა აღრე გაათავა ცეცხლის მიცემა, ჩახტა პინაში. მეორემ უკანასკნელი პატრუქი აანთო (აწიწინდა, ჩაყვინთეს წყალში ლურჯმა ცეცხლებმა), ხელი თოკს სტაცა.

— მარჯვედ ასწიეთ!

მეორეს შეაგვიანდა, თუ მემანქანე აჩქარდა.—წვიმაში, სიბნელეში, სისინში, ავარდა პინა,—მეორე ძირს დარჩა, და უკანასკნელმა აღმა ჩაყვინთა წყალში.

და პირველმა მისცა ნიშანი ზევით!

— შეჩერდი! დაუშვიო ძირს!

პინა შეტოტტმანდა სიბნელეში, გადმოეკიდა წვიმაში.

— ძირს დაუშვიო!

და მაშინ მეორემ მისცა ნიშანი:

— ასწიეთ ზევით!—რა საჭირო იყო მეორის სიკვდილიც?

— დასწიეთ პინა!—ეს პირველი იყო.

— ასწიე ზევით—ეს მეორე იყო.

და პინა შეტოტტმანდა სიბნელეში. ყოველი მათგანი სწირავდა სიკოცხლეს—ძმისათვის, აი აქ, 320-ის სიღრმეში, სადაც სიკვდილი და სამარე ერთადაა.

მემანქანე, აღზად, მიხვდა, რაც ხდებოდა მაღაროში. ელვის სისწრაფით ჩაუშვა პინა და იმავე სისწრაფით ასწია ზევით და მემანქანემ აზოიტანა პინა, ძირს აფეთქდა ნაღმი და იყო სიკვდილი. და ზევით—სამივეს, მემანქანეს და ამფეთქებლებს, პირველსა და მეორეს:—მოუნდათ გადაკვრა! და აი, იმიტომ რომ არ იყო არავითარი რეეოლიუცია,—სად იყო მერე „ენეგერიული ფუტკია“?

ტაყვის კურტკები. ბოლშევიკები.

ორდინინგების სახლში, საღამოთი, საერთო ბინაზე, ფეხებზე გახდილნი, კარგია ჩექმების შემდეგ ფეხების ხელებით დასრესა, ლოგინზე მოკოკეული სინათლეზე, ეგორ სობაჩკინი დიდხანს კითხულობდა ბროშურას და „იზვესტიებში“ თავიარგულმა მეზობელს მიმართა:

— როგორ ფიქრობ, ამხანაგო მაკაროვ, ადამიანის სიკოცხლეს ყოფა ვინ მარტავს თუ იდეა? თვით იდეაშიც ხომ ყოფია?

კიტაი-გოროდი.



ლამით, მოსკოვში „კიტაი-გოროდი“ (ჩინთა ქალაქში) ჩინურ კედლებში, ფილაქანიან შესახვევებში, ეზოებში, ვახის ფანრებში—ქვის უდაბნოა. დღისით „კიტაი-გოროდი“ (ჩინთა ქალაქი), ჩინურ კედლებში ბორგავდა იგი ხალხთა მილიონებით და მილიონ ხალხთა სიცოცხლეებით,—კატელოკებში და ათასნაირსაგანთა, კაპიტალების, ანგარიშების, ტანჯვათა და სიცოცხლეთა მილიონებით—მთლიად კატელოკში, მთლიანად ევროპა ბორტფელით იღლიაში. ლამით კი ფილაქანის შესახვევებში და ქულბაქებში ქრებოდა კატელოკები, და ჩნდებოდა უკაცრიელობა და დუმილი სამარისებური, დაძრწოდნენ ძაღლები, ქვის კედლებს შორის იბეჭტებოდნენ სანათურები, და ზარიადიდნენ ზარიადიდში დადიოდა ხალხი, მეჩხერი, როგორც ძაღლები. და მაშინ ამ უდაბურებაში შესახვევებიდან, ალაყაუებიდან უფრღმულებიდან გამოძვრებოდა იგი: ჩინეთი უკატელოკოდ, ზეციური იმპერია, რომელიც დევს იქ, საღდაც აღმოსავლეთით დიდ ჩინურ კედლებით შემოზღუდული და გასკქერის ქვეყანას ირიბ თვალებით, რომელიც რუსის საღდათის მიზარის ღილებს მოგავს,—ეს ერთი „კიტაი-გოროდი“.

აი მეორეც.

ნიენი-ნოვეგოროდში, კანაინოში, მაკარიეს გაღმა, საღაც მაკარისებურად უზარმაზარი უკანალით ჯდებოდა ხოლმე მოსკოვის დღის ილანკა, ნოემბერში, ენკენისთვის შემდეგ საქონელთა მილიონ ფუთებში, კასრებში, ცალებში, რომელიც გადაცვილი იქნა მანეთებში, ფრანკებში, მარკებში, სტერლინგებში, დოლარებში, ლირებში და სხვა,—ოქტომბრის განაფარდების შემდეგ დაღვრილ ღვინოთა, ხიზალალის, „ვენეციურ“, „ევროპიულ“, თათრულ“, „პერსიულ“, „ჩინურ“ და სპერმატოზოიდის ლიტრთა ვოლგაში,—ნოემბერში, კანაინოში, თოვლში, აკედილ ქარვასლებიდან, დახურულ სავაჭრო ფარდულებიდან, სიმარტოვიდან—იქტირება თვალების მაგიერ საღდათის ღილებით—იგი: ლამური, მოსკოვური და ქვის დიდ კედლებით შემოზღუდული—ჩინეთი. დუმილი. გამოუცნობლობა. უკატელოკო. საღდათის ღილები—თვალების მაგიერ.

ის,—მოსკოვერი,—ღამეებით, საღამოდან დიღამდე, ნოემბრიდან მარტამდე. მარტში ვოლგა გადმოლაბავს ნაპირს, წალკაცს კანაინოს და წაიღებს ჩინეთს კასპიისაყენ.

აი მესამე „კიტაი-გოროდი“.

აი. ხეობა, ნაძვნარი, თოვლი, იქ მოშორებით—პიტალო კედლები, ტყვიისფერი ცა, ტყვიასავით ქარი, თოვლი რბილია, სამი შხრივ ნაძვნარი და სამი დღეა,—უბერავს ქარი: ქარი თოვლს ნიშნავს. მარტი. ნაძვნარში—სოფელი, გორაკებს იქით—ქალაქი, ხეობაში—ქარხანა. არ ხრჩოლავენ ქარხნის ბუხრები, სდუმს ლუმელი, სდუმან საამქროები—საამქროებში თოვლია და კვაი. ირგვ-



ლიე ფოლადის სიჩუმეა. და გამკვარტლულ საამქროებიდან, ყურეჭეჭეჭებიდან და აიაქსებიდან, უროებიდან და კრანებიდან, ღუმელიდან, დანქანებში, ცხატკეც ქალიბებიდან—იციკირება: ჩინეთი, იცინიან (როგორ შეუძლიათ სიცილი!) სალდა-თის ლილები.

იქ, ათასი ეგრისის მანძილზე, მოსკოვში, წისკვილის უზარმაზარმა ქვამ დანაყა, დაფტვა ილდინკა და ჩანეთი გამოძერა ილინკადან. გამოძერა და გა-ფორთხდა...

— საით?!

— მიფორთხდა ტაეეეეომდე?!

— თეთრები წავიდენ მარტში და ქარხანა მარტისად. თეთრები წავიდ-ენ საარტილერიო ცეცხლში გახვეულნი, ჯველა გაიფანტა ტყეებში თეთრი ფა-მის შიშით, მხოლოდ წითელი არმია დაკონკილ მაზარებით, ჯგუფ-ჯგუფად— და ათასობით—აწეებოდა და აწეებოდა წინ. თეთრებს შემდეგ მეტანიქურ ნა-წილში დიდხანს გკიდა ჭაერში ნეკნებით აწეული კაცი ქარში, მალაროებში კი ყელთამდე წყალი იდგა და სტურავდენ შიგ ადამიანის გეამები.—მარტის ქარი ბლაოდა ქარბუქებით და სქამდა თოვლს, ქარხნის ირგვლივ მდებარე ხეო-ბებში და ტყეებში ყოველგან მარტის ქარისაგან შექმულ თოვლში იქა-იქ მოსჩანდა ადამიანის ხელები, ფეხები, ზურგები შექმული არა ქარისაგან, არამედ მგლებისა და ძაღლებისაგან. მარტის ქარში—ობლად—ტყვიამფრქვევე-ლები ისე ტკაცუნობდენ, თითქოს მოხუცი სატკაცუნოთი კედლებზე ზუზუბს ხოცავდა, ოხრაედენ ზარბაზნები.

— მიხობდა ტაეეეეომდე?!

— სტყუი! სტყუი-უი! სტყუ-იი!..

მიუკიბ-მოუკიბავად. ქარხანა აღსდგა საოცარი უბრალოებით, ეკონომიურ აუცილებლობის მეოხებით. წავიდენ თეთრები და დაბრუნდენ შიშისაგან ტყეებში დამალული მუშები და მუშებს არაფერი გააჩნდათ რომ ეკამათ. აი ყვე-ლაფერი. ხელისუფლება რვაჯერ გამოიცვალა,—და მუშებს დარჩათ მხოლოდ დედა—მანქანა. ქარხანაში არ იყო ხელისუფლება,—მუშები კოოპერატიულ არტელში ერთიანდებოდენ. ქარხანაში არ იყო სათბობი მასალა, მალაროები წყლით იყო წალეკილი: ქარხნის ღკან ორდინინების საჯინიბო იყო, იპპოდ-რომის მიწებში ქვანახშირი ამოდიოდა,—ქვანახშირის თხრაც დაიწყეს, კოკსად რომ ექციათ დრო არ იყო, და თუჯის ჩამოსასხმელები ანტრაციტზე გაუშვეს, მანქანები გაოხრებულა იყო,—პირველად სიბარალო აამუშავეს. არ იყო თანხა, რომ მუშებისათვის ხელფასი მიეცათ,—და გადასწყვიტეს ყოველ მუშას თვეში თითო ფუთი თუჯის ზოდი მისცენ, რომლიდანაც შეიძლებოდა გუთნების, ცე-ლების, ნაჯახების ვაკეთება—საქონელზე გადახაცვლელად. ქარხანა—თვით აღორძინდა, თვითგაცოცხლდა.—ვანა ეს პოემა არ არის, ასჯერ უფრო დიადი, ეიდრე ლაზარეს აღდგომა?!—არხიპ არხიპოვი და ერთი ინჟინერი, ცხერის ტყა-



ვის კურტკაში, ასეთი გამოთქმებით—**ტა-რა-რამ** (რევოლუციამა ტარარამში, სკანდალი ტა-რა-რამ, თეთრები მოდიოდენ—**ტა-რა-რამ**, კბილებზე **სტყუი**სა **ტა-რა-რამ**, რვა ხელისუფლება გამოიცვალა—რვა ტარარამი: პირველი ტარარამი მეორე, მესამე, არბიპ არბიპოვი და ეს ინჟინერი დახეტილობდენ, ქარხანაში, საამქროებში, მაღაროებში, კანტორაში კი საღამოთი ადგენდენ **უზარმაზარ** პროექტს—იმუშავებდენ ეალიბების ზომის. მიჰქონდა ქარს მარტენის შავი ბოლი, და შუალამეში ქათქათობდენ უზარმაზარი ქარხნის ღუმლები. საამქროებში გაისმა რკინის ღრქენა, მოკვდა ფოლადის სიჩუმე.—**Магуть «энергично функцировать»!**

ნომუშავე ქარხანათა სიაში, რომელიც ჩვენი შიძვე ინდუსტრიის განმზილველ ექსპედიციას ჰქონდა, ტაეეევო არ იყო აღნიშნული. ექსპედიციამ ტაეეევოში შემთხვევით შემოიარა,—მიემგზავრებოდა ღამით და არ აპირებდა შეჩერებას, შემთხვევით დაინახეს ანთებული ღუმელი და გაჩერდენ და ასე მიავნეს ტაეეევოს ერის ერთად ერთთაგანს...—

— იქ ათასი ვერსის მანძილზე, მოსკოვში რევოლუციის უზარმაზარმა წისკვილის ქეამ დანაყა ილაინკა და ილაინკადან გამოძერა ჩინეთი, ვახოხდა...

— საით?!

— მიბოხდა ტაეეევომდე?!

— **სტყუი! სტყუ-ი! სტყუ-იი!**

ღღასით მოსკოვში, კიტაი-გოროდნი ჯაბაზობდა კატელოკი ფრაკში პორტფელით—და ღამით მის სველიდა: ჩინეთი, ზეციური იმპერია, რომელიც არის იქ ქვის დიდ კედლებში, უკატელოკო, თვალთა ღილებით.—**მერე რა ჯყოთ, —ნუ თუ ჩინეთი დაუთმობს ადგილს პორტფელიან კატელოკს ფრაკში?!**—მესამე ხომ არ მოდის შესაცვლელად, ის, რომელსაც—

— **может энергично функцировать.**

ქარბუქი. მარტი.—**ახ, რა ქარბუქი იცის, როცა თოვლია! შოოიაა, შოოოიაა!.. გვიიუ, გააუ, გაააუ... გვიიიუუ, გვიიიიუუუ... გუუ-უუ... გუ-უუ-უუ!.. გლა-ეებუმ!.. გლა-ეებუმ!.. შოოიაა, გვიიუუ გაააუუ! გლა-ეებუმ! გუ-უუუ! ახ რა ქარბუქია! როგორი ბუქი!.. რა-კა-რგია!..**

ტრიპტიხის მესამე ნაწილი (ყველაზე ნათელი).

ხაბოზე, ვოლგაზე—სდგას კრემლი, წითელ ჩამონგრეულ, შიძვე გაღავნით, რომელიც შეუენილია აწწლითა და ჯინჭრით. უკანასკნელად ნაშენი სახლები აგებულა კრემლში ნიკოლაზ I დროს, ქვით ნაშენი, უზარმაზარი; მრავალფანჯრებიანი, თეთრი და კვითელი,—არიან მოღუშული და ზვიადნი თავის სიძველით. კრემლის ქუჩები მოკირწყლულია უზარმაზარი რიყის ქვებით. ქუჩები მრუ-



დღე შესახვევებით, ქუჩაბანდებით და კუთხეებში—ცალსიებზე, ქუჩებში სწავდა მრავალი გვალვები, მრავალ წლების განმავლობაში—ტიტვედნი მღვდლის მანჯულა ქაფენილებზე.

რუსეთი. რევოლუცია. მოკიოტები სუკივიან: ადამიანივით გულისგამგმირავად, მხეცური სიხარულით. ბინდები. შემოდგომა. კრემლში კოშკებზე მრავლად არიან მოკიოტები. შემოდგომით ბინდები ზუთავენ დედამიწას, როგორც სვია ბუხრის საკვამლეს. ქარი უბერავს კრემლში, მოსახვევებში: გუ-ვუუუ-ზაა-მთაა-რიიაა!... და ხმაურობენ ძველი სახლების სახურავების რკინები: გლაგ-ბუმ!.. ცარიელ ქვატენილებზე ლიბრად დაძრულ ქარში მოდის ვინმე ტუკოსანი. ქარი ანიავებს ყვითელ ფოთლებს. კაცი მიდის ზარიადივზე. სადაც აღებულა საფაქრო ფირმები, ვადს კრემლის ბეჭობზე, სადაც თეთრების არტილერიამ დაანგრა ფილაქანი, და აქ—მეორე ბეჭობზე—სდგას საფადმყოფო ჩაძირული ნესტროვის წმინდანბივით მოხდენილ მწვანე ნაძვებში. კაცი იგი—არხიზ არხიპოვა. შემოდგომის ქარი—ყველაფერს აბუჯურებს, სჩხრეკს, აფრიალებს და ისმის შემოდგომის ქარის ხველებს. საფადმყოფოში კი, ექიმ ნატალია ევგრაფოვნას ბინაში—ნამორების კედლები, კედლებისაგან დგას კვარის სუნი, იატაკი, ლინოლეუმით არის დაფენილი, განიერი დიდი ფანჯრები და ლინოლეუმზე ციალობს დღის მღერია სინათლე. მღერია ბინდები, ოთახში სინათლეა.

— არხიპოვ, დაბრძანდით აი აქ, დივანზე.

— არაფერია, გმადლობ: აქ ვიქნები, ლუმელთან.

არხიპოვს პუგაჩოვის წვერები აქვს, შავი, უხვად აწეწილი,—და შავი თვალები.

— გიმიგონეთ, არხიპოვ, რატომ არასოდეს არ მელაპარაკებით ნამახე. მე მინდა თქვენთან ამაზე საუბარი... თქვენ ხომ შვილი ხართ.

— დიახ. მეც მინდოდა. ძნელია ძირ-ფესვის ამოუხერა. და ამ ფესვებისაგან მტკივა, ძლიერ მტკივა. მაგრამ არაფერია, გამიფლის. ვონება მიკარანებებს რომ ასეც უნდა მომხდარიყო, ცოტა ადრეთ მომკვდარიყო,—მაშ რისთვის უნდა ეტანჯა. ცხოვრება მუშაობისთვის არის საჭირო.

— მაგრამ თქვენ ხომ მარტო ხართ, სულ მარტო!

— დიახ. რას იზამ? მე მუდამ მარტო ვიყავი—მე ყველასთან ვარ, ამხანაგებთან.

ნატალია ევგრაფოვნა წამოდგა, მოშორდა მაგიდას და არხიპოვის გვერდით გაიერდა ლუმელთან.

— მართალი მითხარით, არ გეძნელებათ?

— როგორ არ მეძნელება?—მეძნელება. მხოლოდ კენჯნა რა საჭიროა? მოხუცი ისე მოკვდა, როგორც საჭირო იყო. მე მუდამ ერთ წვერტილს უყურებ და არ ვიტანჯები. ასე უნდა.—არხიპოვმა ორივე ხელებით ნატალია ევგრაფოვნას ხელი აიღო, ნატალია ევგრაფოვნა, სჯობს თქვენ შესახებ მითხარით რამე.

— მე არაფერი არა მაქვს საამბობი.



— მაშინ მე ვიამბობთ. მე ნოლად ქარბნის საწმეები^{საწმეები} და გუგუნი^{გუგუნი} აღმასკომი, რეეოლჟუცია. როცა მამა მოკვდა,—ასე განვსაჯე: შრომა და გარჯაა საჭირო,—მეც ვშრომობ. აი კიდევ რა: მე თქვენთან წინადადების მოსაცემად მოველ, ხელის სათხოვად. როცა ახალგაზრდა ბიჭი ვიყავ ხშირად ვიყავ შეყვარებული და ვცოდავდი ქალებთან. მერე გაიარა. მე ასე ვფიქრობ, შეილები შეგვეძინება. ვიმუშაოთ ერთად, შეთანხმებით. ბავშვებსაც ავლზრდით, როგორც წესია. მინდა, რომ გონიერი შეილები მყავდეს, თქვენ კი—ჩემზე მეტი იცით. მეც ცოტ-ცოტას ვსწავლობ. ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვართ, ჯანსაღნი.—არხიპოვმა თავი ჩაღუნა, ნატალია ეგვრაფოვნას ხელი არ გამოუერთმევია.

— კარგი,—უპასუხა მან შეგვიანებით.—მაგრამ მე ქალიშვილი არა ვარ... ბავშვები,—ხო, ერთადერთი. მე თქვენ არ მიუვარხართ ისე,—იცით...

არხიპოვმა თავი ასწია, ნატალია ეგვრაფოვნას თვალი თვალში გაუყარა, მისი თვალები იყო გამსკვალვლი და მშვიდი არხიპოვმა ნატალია ეგვრაფოვნას ხელი მიუჩვევლად ასწია, ტუჩებთან მიიტანა და აკოცა.

— აი. რა უყოთ მერე რომ ქალიშვილი არა ხართ,—ადამიანი თვითონ უნდა ვარგოდეს.

— არხიპოვ, ასე არ ივარგებს, ასე სითბო არ იქნება.

— როგორ? არ იქნება?—არ მესმის მე ეს სიტყვები.

აკვდა, ლუმელში ნაკვერცხლები ფერვლით დაიფინა,—ლუმელი უნდა დაიხუროს. სასადილო ოთახში. იქაც ნამორების კედელია, თეთრი სფერა გადაუენილ სტოლზე დგას ნიკელის ყავადანი, სინი, საჭიკები. არხიპოვი ფინჯნიდან სვამს, ტყავის კურტკის ქვეშ—თილეთი აკვია. ნატალია ეგვრაფოვნას წითელი ნაქსოვი კოფტა და შავი კაბა, თმები გვირგვინად ადგას. ღინოლეუმი ცოვად ციალებს,—ფანჯრებს იქით მღერია მთვარე ჰკიდია ღრუბლებში, ღამეა,— და მღერია სიცივით ისახება ყინულებზე მთვარე, კედლები, მაგიდა ფეხებით ზევით, ღია კარების სიბნელე და ბნელი ოთახი. მაგიდაზე, სასტუმროში სდგას „სამინისტრო“ ლამაზა.

— ადამიანია საჭირო, სისუფთავე და ვონიერება!

კაბინეტში მთვარის სინათლე გაჟწა ღინოლეუშზე. არხიპოვი ნატალია ეგვრაფოვნას მხარს—შემთხვევით შეეხო, თვალები დაიკარგა სიბნელეში,—ნატალია ეგვრაფოვნა არხიპოვს, ნახად, ქალურ სირბილით მიეყრდნო, და ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა:

— ჩემო ერთად ერთო, ჩემო...

არხიპოვმა არ იცოდა რა ეთქვა, სიხარულით მთლად დაიბნა.

— გესმით—ვიცოცხლოთ, გვრიტო!

მოკიოტები სწყვიეთან: ადამიანივით გულის ვამგმირავათ, მხეცური. სიხარულით „ადამიანი ხედავი ხომ არ არის, რომ ხედაგივით უყვარდეს“. დედამიწა წამოიბურა. ღამე. კრემლი. კვით ნაშენი, დიდი, მრავალ სარკმლებიანი, თეთრი და ყვითელი სიხლები მოღუშულან ღამის უკუნეთში და ზეიადად იცქირებიან



თავისი ძველის ძველობით, უსწორო-მასწორო ქუჩები, ქუჩაბანდები და შენობები და ქუჩები დაფენილია რიყის ქვით და კუთხეებში სდგას ეკლესიები. ტიპური წლები. უკუნეთი. შემოდგომა. მწვანე მთვარე ნელა მიცურავს.

— ჩემო ერთად ერთო, ჩემო...

— ნატალია კაბინეტის სარკმელთან დგას, ცივად ბრწყინავს ლინოლეუმი, ფილოდენდრონები გაიზარდნ სიბნელეში. სარკმელში მთვარის სინათლე ეცემა. დღეს პირველად გაახურეს ღუმელი—ფანჯრებში დაორთქლდა. მთვარის მაცდური სხივები იღვწება, იმსხვრევა დაცრემლილ სარკის ბინაში და დაცრემლილ თვალებში.

— არ გიყვარდეს კიდევ და გიყვარდეს კიდევ. იქნება მყუდროება, იქნება ბავშვები, და—შრომა, შრომა!. ჩემო ერთადერთო, ჩემო! არ იქნება სიცრუე და ტყვილები.

ორდინინების სახლში, საერთო ბინაზე, შიშველი ფეხები, კარგია ჩქმების შემდეგ ფეხების სრესა, ლოვინზე, მოკუნეული ფეხი საბაჩკინი ლამპის სინათლეზე რაღაც ბროშურას დიდხანს კითხულობდა, მოათავა და სთქვა:

— სიმათლე და სიხარული მაინც გაიმარჯვებს! სხვანაირად არც შეიძლება.

არხიპოვი ხმის ამოუღებლად შევიდა თავის ოთახში,—გლაკინის მიერ შედგენილი რუსულ ენაში ხმარებაში შემოსულ უცხო სიტყვათა ლექსიკონში ჩაიხედა—სიტყვა მყუდროება არ იყო მოკცეული.

— ჩემო ერთად ერთო, ჩემო!

თავი VIII.

(უკანასკნელი უსათაურო)

რუსეთი

ჩეხოლაცია

ქარბუმი



დასასრული

უკანასკნელი ტრიკსიხი

ფილადოზილა

ოქტომბერში მგლის ლეკვები, სიდიდით აღარ ჩამოუვარდება კაპას ყუბა-ქებს, სიწყინარე. სადაც ფიჩხი გატკაცუნდა, ხევიდან, სადაც ბეგარაზე გაწვეულნი ჩერნოორჩიელი ბიჭები შეშასა სკრიდენ, დამბალი ხის და სოკოების სუნი მოდიოდა და აშკარა იყო რომ წვიმები გადილებდა: რომ ერთი კვირის განმავლობაში შემოდგომა ჩამოჰღვრიდა ზეციდან ოქროს ზარნიშს და მერე დამდგარი სუსხში წამოვიდოდა თოვლი. შემოდგომის სითბოებში, როცა უინფიან მიწას სუნი აეარდება, მინდვრებზე მოემართება დობრინა-ზლატოპოიას-ნიკიტინი, — დღისით აბჯარი ბრწყინავს ვერხვის სინგურივით, არყის ხეების ოქროს ვარაყით, ცის ლაქვერდით, და ღამით, გახუნებული, მოსჩანს მისი აბჯარი — როგორც სევადიანი ფოლიანი, ჩაენგული შემოდგომის ტყეებით, ნისლებით დანესტილი და მაინც ხმელი, ჰჰირველად დაძრული თოვით მოგუგუნე, და ვარსკვლავებით აბრწყინებული. სუსხია, და მაინც ხევიდან, სადაც ტყეს სკრიდენ, მოდიოდა უკანასკნელი სისოველ და უკანასკნელი სითბო. ოქტომბერში მგლის ლეკვები შორდებიან დედას და მარტო დადიან. მგელი შეტყვა ნაკაფ ტყეს, ჩამქრალ ოდნავ მბეუტავ ცეცხლის ბოლს შორიდან მოუარა, წაქცეულ არყის ხეებთან შეჩერდა და ვასწია მინდვრებისაკენ, სადაც კურდღლები ანეფლებს სთენორჩიე. ჩერნოორჩიეში, ბელლებში სოფლის გოგოებმა დასძახეს ხმა შეწყობილი სიმღერა და ფუკებ ჩაჩმდენ, — და მით შემოდგომის მინდვრებში და ტყეებში გააქანეს რალაც ნაღელიანი. ტყიდან, ხეე-და-ხეე, არინა მოდიოდა ნიკოლასთან, ეგორკასთან. ტყესთან მგელი შემოეფეთა და დამფრთხალი ნადირი ჩირგვებში მიიშალა. არინამ ალბად შენიშნა ნადირი — ჩირგვებში აენთო წვეილი მწვანე თვალი, — არინას გზა არ შეუცვლია, არც აჩქარებულა... ეგორკას ქოხში, იდგა საშემოდგომო სუნი სამკურნალო ბალახებისა. არინამ ცეცხლი გააჩაღა: შინ ჩამოსხმული თაფლის სანთელი ანთო, — ქოხი განათდა, ლაზათიანი, განიერი, გრძელი სკამებით, მოხატულ ღუმელით და ღუმელზე მოსჩანდა ეგორკა — მარჩიელის ფეხის ქუსლები. მაშალმა შეალამის იყილა. კატები იატაკზე ჩამოხტენ. ეგორკა გადმობრუნდა, ღუმელიდან მთლად თეთრად შემოსილი თავი გადმოჰკიდა და ნამძინარეგმა ხრინწიანი ხმით დაიყვირა:

— მოდი? — აა, მოდი, შე ალქაჯო, ვერსად წამიხვიალ, ვერ გამეპარები: ჩემი იქნები, მოგნუსხავ, როკაპო.

— მერე რა იყო, — მოველი! არასოდეს არ მოგწორდება, სულ შენთან ვიქნები, ბრუციანო ქაჯო. გაგტანჯავ, სიცოცხლეს ვაგიმწარებ, ეშმაკეულ სისხლს ამოგწოვ, დაველე. სიკვდილზე მიგაყენებ, შე ბრუციანო ქაჯო შენ!



წიკარში შემფოთებული ფეტკრები ზუზუნობდენ. სანთელითა ვანჯარული ჩრდილები კუთხეებში მიიმალენ და იქ გარინდდენ. მიმალმა ისტქტქტქტქტქტქტქტქტქტ სკამზე ჩამოჯდა, კატებმა იატაკზე ზმორებით გაიარეს, წელში გაიმართენ და არინას კალთაში ჩაუბტენ. ეგორკა ღუმელიდან ჩამოიჭრა—შოშველმა ფეხებმა ტეის ზის გამხმარ ფესვებივით თითებით გაიფლევს.

— მოდი?!—ა-ა, მოდი, ალქაჯო! სისხლს დაეღვე...

— მერე რა გინდა, რომ მოველი შე ბრუციანო ქაჯო! მომნუსხე, დამაბი.

— ფეხრთ გაიხადე, ღუმელზე ადი! ტანისამოსი გაიძვრე!..

ეგორკამ არინას ფეხრთით ჩაიჩოქა, ფებსაცმელს მოუქიჩავე, კაბა აფწია, და არ ვაისწორა უსირკბვილოდ აწეული კაბა არინამ.

— მომნუსხე შე ბრუციანო ქაჯო, მომნუსხე, ზომ! თვითონ შენც მომნუსხე, ბალახები მოვიტანე, წიკარში ყრია.

— მოგნუსხე, მოგნუსხე!.. ვერსად წამიხვალ, ჩემი იენები. ვერსად წამიხვალ, გოგონავე...

აყუფდა ლაფაროში ძალღებნი:—აღბად, მეგლმა გაიარა მახლობლად. და ისევ იყოლეს მამღებმა, მესამედ. ვადაშუალამდა.

შემოდგომის სუსხთან ერთად ჩერნორეჩიეში გლეხებმა ყანებზე მუშაობა მოათავეს და შეძვრენ ქოხებში, — გლეხის სოცოცხლე მიწასთან ერთად იძინებს. დედაკაცები ოჯახობდენ საბძლებში და ბოსლებში, და სოფლის გოგოები ზაფხულის ჯათის შემდეგ, საქორწინოდ გამზადებულნი სეირნობდენ და სალამოობით საბძლებიდან არ ვადიოდენ, საბძელში იძინებდენ, ანთებდენ საბძლის შროლოავ ღუმელებს, მღეროდენ მამლის ყვილამდე, — ცხადია, შეღერებულ ბიჭებიც, დღისით, რომ შეშის საჭრელად მიდიოდენ, სალამოობით საბძლებთან ირეოდენ, დადიოდა მინდვრებში დობრინა, სთესდა პეშეებით მოყინულ ცის ლაქვარდში ხეთრ ვარსკვლავებს (ზოგი მათგანი მიწაზე ეცემოდა;) იწვა მიწა დაღლილი, მუნჯი, — როგორც სევადიანი ფოლადი დობრინას აბჯრისა, ჩაიფნა ფოლადი შემოდგომის ტყეებით, წკრილობს იგი ყინულთა ბალთებით, ცილობს თეთრად უკანასკნელ ნისლებს ობით. სალამოთი სოფლის გოგოები საბძელში ხმა შეწყობილად მღეროდენ, ბიჭები გარმონით მოვიდენ, გოგოებმა საბძელი ჩაიკეტეს, ბიჭებმა კარები ვასტებეს და შივ შეცვიდენ, გოგოები წივილ-კივილით კუთხეებში მიიმალენ, ჩაძვრენ ბზეში, ბიჭები წამოეწივნენ, იქვრდენ, სრესდენ, ჰკოცნიდენ, იხუტებდენ. რუხად ბრწყინავდა საბძლის ღუმელიდან დანაცრებული ცეცხლი, ბოლი თვალებს სწვავდა, ბზე შმაშურობდა.

— Чи-ви-ли, ви-ли, ви-ли, —

Каво хочешь бери! — დასძახა გოგომ კუთხეში ნიშნად დამორჩილებისა. მერე წრე გააკეთეს. დაიპყილვა გარმონმა. გოგოები სასტიკად ფრუტუნებდენ.

Журавли вы длинно ноги,

Не вамли пути-дороги! — აცეკვდენ გოგოები.



ბოლს გარდა, დადგა არეული ბზის, ოფლის და მამლებმა იყივლეს. მიწაზე ვარსკვლავი დაეარდა.

ალექსეი სენიონოვ კნიზკოვ—კონონოვი ულიანკა კონონოვას ბნელ კუთხეში წამოვიწია, იდგა ბზის, ქერისა და თაგვების სუნი. ულიანკა წაიქცა და ტუჩებს მაღაედა, ალექსი მუცელზე მუხლით დააწვა, ხელებს ართმედა, წაიქცა და ხელებით ულიანკას გულ-მკერდს დაეცა, ულიანკას თავი უკან გადუვარდა, —ტუჩები სველი იყო, მლაზე, სუნთქვა ცხელი, ავარდა ოფლის მწარე, ტკბილი და ზარბოზიანი სუნი.

Чи-ви-ли, ви, ли, ви-ли!..

ზლატოპოიას-დობრონამ მოციხული ზეცაში თეთრი ვარსკვლავები მოქვანტა, დუმილში გაწვა დაღლილი მიწა, სოფელს ეძინა, —მდინარეზე, მარჯვნივ ტყეებით, მარცხნივ მინდვრებით და უკან, —მიწაზე განარბოხული ჭოხები, ბრუციან, თეთრი ბისტ გადაკრულ თვალბივით საარკმლებით და მოხუცურად თმა-გადაფარცხნილ ბურღულებით ვასცქერიან მიდამოებს. ბიჭებმა ღამე იქვე მეზობელ საბძელში გაათიეს. მამლის მეორე ყვილზე ალექსეი საბძლიდან გამოვიდა. მთვარე ანათებდა, მიწა დართვილულიყო, ფეხქვეშ ყინული ვატყდა, ხეები ძვლებივით იდგნ და მათ შორის თეთრი ნისლი ოდნავ შესამჩნევად მიფორთხავდა. გოგოების საბძელი იქვე იდგა, სდუმდა, ბზინავდა კალოზე ბზე. და მაშინვე ალექსეის უკან დაიჭრიალა გოგოების საბძელის კარმა და მთვარის სინათლეზე ულიანკა გამოვიდა. ალექსეი სიბნელეში იდგა. ულიანკა დამშვიდებულად მოიხედა, გაშალა ფეხები, შარდზე გავიდა, —შემოდგომის მკუდროებაში მკაფიოდ ისმოდა მიწაზედ წადრევეანად დაცემულ შარდის ჩხრიალი, —ხელი კიბაზე მიზეზიან ადგილას გაიტარა, ორი ნაბიჯი გაჩაჩხულად გაიარა და საბძელში შევიდა. იყივლეს მამლებმა ერთი, ორი, მრავალი. ალიოშკამ პირველად ივნოსა ქალი ამ ღამით, თამაშს ვარეშე.

სალეთიშობლობოდ ორი დღით ადრე, ღამით მოვიდა პირველი, —რამდენიმე საათით —თოვლი. დედამიწა დილას ზაშთრით, ალისფერ აისით შეეგება. მაგრამ თოვლთან ერთად სითბოც დადგა და დღე განაკრისფერდა, როგორც დედაბერი, დარი იყო ქარიანი, უბინაო, დამბრუნდა ისევ შემოდგომა. ამ დღეს სალეთიშობლობოდ ჩერნორეჩიეში მდინარესთან აბანოებს ახურებდნენ. გათენების ხანს ფეხშველი გოგოები თოვლში, კაბა აკარწახებულები წყალს ეზიდებოდნ და მთელი დღის განმავლობაში, ღუმელებს ახურებდნენ. ქოხებში უფროსები ნაკარს ხსნიდნენ წყალში, პერანგებს აგროვებდნ და შებინდებისას მთელ ოჯახობით აბანოს ორთქლში გამოსაშუშებლად წავიდნენ—მოხუცნი, კაცები, მასლები, ვეიჭვილები, დედები, ცოლები, რძლები, ქალიშვილები, ბალები. აბანოებს არ ჰქონდა ჰაერის საწმენდები, ბოლში, ორთქლში, ღუმელის მოწითანო სინათლეში, სიფიროვეში ირგოდნ ადამიანის სხეულები, ქალებისა და ვიეების, ტანს იბანდნ ერთი და იმავე ნაკარ-ტუტით, ზურგს ყველას უფროსი



უზღელდა და წყალის გადასაყვებად ყველა ზამთრის დანესტივს კი-
ვად წამობერებდა ქარში მდინარეზე მიბრუნდა.

და აღიოშნა კნიაზი ამ დღეს გამთენიის ხანს წაევიდა ნიკოლაზე ბრუ-
კიან ეგორკა მარჩიელთან. ტყე გათენების ხანს სდუმდა, დილა ნისლიანი და
შიშის მომგვრელი იყო, და ეგორკა ჯადოქარი ჩურჩულობდა: „აბანოშია, აბა-
ნოში, გუფუნები აბანოში“!.. საღამო დადგა ნოტიო და სუსხიანი, ქარი სტვენ-
და. საღამოთი აღიოშნა კონონოე—აბანოებს უდარაჯებდა. აბანოდან გამოეარ-
და შიშველი, თმავაშლილი, ახალგაზდა ქალი, გაიქცა მდინარისაკენ და იქი-
დან გორაკის კალთით ქობში აირბინა და მისი თეთრი სხეული გაქრა ქობის
ხახადებჩენილ კარებში. ორჯერ გამოვიდა ოხვრით მოხუცი, წყალში ევლებო-
და და ისევ აბანოში ბრუნდებოდა გამოსაშუშებლად. დედას ილიაში აპოდე-
ბული ბაღლები მიჰყავდა მდინარეზე. ულიანკა აბანოში დარჩა, აბანოს მარტო
აღაგებდა. აღიოშნა წიკარს მიუახლოვდა და შიშით აკანკალებული ბუტბუტებ-
და სიტყვას, რომელიც მას ეგორკამ ასწავლა:

— გავჩერდები მე, ლექსეი, ზურგით დასაყვლეთისკენ, პირით აღმოსავლე-
თისკენ, შეეხედავ, ვნახავ, —ნათელ ზეციდან მოჰქრის ცეცხლის ისარი. იმ ისარს
შევედვარები, ისარს მას დავემორჩილები, შევეკითხები: — „საით გაგზავნეს ცეც-
ხლის ისარო?“ — „ბნელ ტყეებში, მერხვე ქობში, დამბალ ფესვებში“ — ჰოი,
შენ ცეცხლის ისარო! გაფრინდი იქით, საათაც გაგზავნო: მოფრინდი შენ ული-
ანასთან, კონონოვის ქალთან, გაჰკვირე მისი ჯიუტი გულ-ღვიძლი, მცხუნვარე
სისხლი, შაქრის ტუჩები, რომ მან იდარდოს, ნაღვლობდეს ჩემზე, მზეზე, გათე-
ნებისას, ახალ მთვარეზე, ქარ-ყინვაში, ზამთრის მოკლე და ზაფხულის გრძელ
დღეებში, რომ მოკნინდეს შე, ლექსეი, სემიონოვს, მეხვეოდეს ჩემდამი ავხორ-
ცობით შეპყრობილი, სიტყვები ჩემი სრული არიან და ჯადოსანი, როგორც
დიდი ზღვა-ოკეანო, მაგარი და მძაფრი, უმაგრესი და უმაფრესი, მტკიცე და
ბასრი ფოლადივითა. უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ულიანკა იატაკს სწმენდა, ხელმარჯვობდა და კუდუსუნზე კუნთები თრთ-
ოდენ. ფუტრად თავში რაღაცამ დაჰკრა, — შელოცამ თუ გააბრუნა? — კარი შე-
აღო შიბნედილი და მორჩილი კარისრაზას მიეყრდნო, ცივი ჰაერი ჩასუნთქა,
შიბნედით გაიღიმა, გაიზმორა, — ყურები ტკბილად ერზოდენ, სასიამოვნოდ ხედე-
ბოდა ცივი ქარი. გორაკიდან დედამ ჩამოიძახა:

— ულიან-კა-ა! მალე-ე! ძროხააა მოსაწველი!

— ა-ხლა-ე-ე! — აჩქარდა, სამიოდვეჯერ სველი ტილო იატაკს დაარტყა,
ნაკვერცხლებს წყალი შეასხა, პერანგი ჩაიცვა, გორაკს აუყვა და მღეროდა უტი-
ფრად.

Не пойду в Озерки замуж,

Не буду ерамница-а!

Не поеду борнивать —

Не буду пылица-а!..



ჩაბნელებულ ბოსელში, ლაფაროს ქვეშ იდგა ძროხის^{ქარქინეულში} ჯვადღოქვეყნა ფუნის თბილი სუნი. ძროხა მოჩილადა იდგა. ულიანკა ჩაცუცქდა, ჩხრიალობდა რძე ქურქელში, ძროხის ცური რბილი იყო. ძროხამ ღრმად ამოიხვნა...

და ხეთიშობლობა დღეს წირვაზე ბნელ ეკლესიაში, გამხდარ ფერებიან და ბნელ სახეებიან წმინდანთა ხატებს შორის ულიანკა ღმერთს ევედრებოდა თავისი უბრალო ქალიშვილურ ლოცვით:

— დედაე ხეთისაო, დაჰფარე მაწა თოვლით და მე ქმარით!

და ამ წელს თოვლი ადრე მოვიდა.

საუბრები.

დადგა თეთრი ქარბუქი, მინდვრები თეთრად გაიგივდა, აივსო ნაბუქებით, აბრჩოლდნენ ლურჯად გლეხის ქოსები. უკვე დადი ხანია, რაც განვლო იმ გაზაფხულმა, როცა წიოვებით, ოთხთვლიან ურმებზე მთელი ოჯახობით, მგზავრობდნენ სამი დღის განმავლობაში, რომ დაეცქიათ და მიწასთან გაესწორებინათ საბატონო სასახლეები და ნაფუძრები, — იმ გაზაფხულზე ერთი ხანძრები ბატონების ბუდე-ბუნაგში და გადაიბუგა ყველაფერი. მერე გააჭრა ნავთი, წუმწუმა, ჩაი, შაქარი, მარილი, საქონელი, ქალაქური ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, — სულის ლაფეაში უკანასკნელად გაფორთხდნენ მატარებლები; სულის დაღვევის წინ აცეკვდნენ კრელი ფულები, — სადგურზე მიმავალი საურმე გზა დაიფინა მრავალძარღვა ბაღახებით.

თოვლი ორი დღის განმავლობაში მოდიოდა. ყინვა დაიწყო, ტყე თეთრად დაიფინა, გათეთრდა მინდორ-ველები, აჩხადნენ კაქკაქები, — ყინვებით, ქარებით, თოვლით გაიყვლიდა ზღატიპობის — დობროინაა, — პირველი თოვლი დაწვა რბილად და მსუბუქად. იმ ზამთარს ერთგულად იქნევედა ქარი შავ-სილაბანდს, ჰყრიდა — სახანდს, ყვავილს, ციებას, — და პირველ თოვლს მოჰყვნიენ მეკუბოვეები. ჩამოიტანეს კუბოები. დღე ნაცრისფრად გადაიბინდა, სხვადასხვა ზომის ნაძვის კუბოები ეყარა ერთი მეორეზე. ზერნორეჩიეში მეკუბოვეები ჯერ კიდევ შორიდან შენიშნეს და ყველაზე უწინ დედაკაციები შეეგებნენ. კუბოები ერთ საათში გასაღდა. მეკუბოვე დედაკაცებს საენიანით ზომავდა. ყველაზე უწინ კუბო მოხუცებულმა კონონოვ-კნიაჰკოვმა იყიდა.

— რა ღირს, ა? — სთქვა მან. — კუბო მინდა ვიყიდო... მეტი გზა არაა, — ქალაქში წასვლა ახლა ძნელია. ჩემი დედაბრისთვისაც მინდა და კიდევ... ვისაც მოერგება.

მაშინ მოხუც კონონოვს ნიკონოვის ცოლი დაედავა, ხელები აასავსავა:

— რა ღირს, ა? რა ღირს?

— ფასი ალბად იცით, კარტოფილზე ვყიდით, — მიუგო მეკუბოვემ.

— ეიცით. მე სამი კუბო მინდა. აორემმოკედები და მერე... მშვიდათ ხარ.

— მართალია, მერე დამშვიდებულნი ხარ, — გააწყვეტინა კონონოვმა. — მოიტა, დედაკაცო, მე უფრო მოხუცი ვარ... აბა, მომიზომე, — რა ზომისა ვარ, მომიზომე.



ქალები კარტოფილისთვის მიბრუნდნენ, მეკუბოვე ზომავდა. მუხის კუბო-
ები ზურგით ამაყად მიჰქონდათ, ქოხში დიდხანს ათვლიდნენ მის შეკარ-
გიანობას, ეზომებოდნენ და მერე გამოჩინებულ ადგილას დგამდნენ წიკარში,—
ზოგი ორს და ზოგი სამს. გაღურჯდა ზამთრულად—მკედარივით, ყინვაში—
თოვლი, განათდა კვარით ქოხნები, უკანა ეზოებში აპრიალდა კარები და მოი-
სმა ქალების ფეხის ხმა,—ქალები თივაზე მიდიოდნენ ხვადგებისათვის. ნი-
კონის მოხუცებულმა ცოლმა მეკუბოვეები სახლში დაიბარა. დინჯად და უსიტ-
ყვოდ ჰყიდდნენ მეკუბოვეები კუბებს,—ქოხში, ცხენების დაბინაგების შემდეგ,
ჩაიზე. ფეხგახდონი და ქამარ შეხსნილი,—შხაირული სტუმრები აღმოჩნდნენ.
ნიკონ ბორისიჩი, მასპინძელი, სოფლის უფროსი, ბალნიან სახით, სინათლეს-
თან იჯდა, კვარს სტეკავდა, მწკრივად აწყობდა, სტუმრებს მასპინძლობდა და
ბაასობდა.

— ახლა, მაინც, თვითონ მარტო... მოკვდები,—კუბოც აქვია. ამბობდა,
მაინც, არეულობაა. საბჭოთა ხელისუფლება—ქალაქებს, მასასადასე, მორჩა და
გათავდა... აი ჩენები მარილისათვის სოლ-ვიჩეგოდსკში მიდიან...

ნიკონოვის ცოლი, ძროხასავით გამობერილ ძუძუებით დგიმ-სავარცხელს
უჯდა და ჰქსოვდა, კვარი იხრჩოლებოდა. ნახევრად სიბნელეში და ბოლში
გახვეულ გლეხების ბალნიან სახეებს ანათებდა (კვარისაგან წითლად ანათებდა
მათი თვალები), ლუმელზე, ერთი მეორეზე იწვნენ დედაკაცები. ლუმელთან კუ-
ბებში ხბო ბლავდა. მოდიოდნენ—მეკუბოვეების სანახავად, ზოგი მიდიოდა—კა-
რებში სიცოცხე შემოდიოდა.

— მატარებელი!—ამბობს ზიხლით ნიკონ ბორისიჩი—მატარებელი!.. ნე-
ტავი მაინც მოისპობოდეს.

— წვალება!

— არაფრად არ გვესაჭიროება,—დაასაბუთა ბაბუა კონონოვმა.—ბატო-
ნებისთვისაა გაჩენილი, საუფროსოდ და სტუმრად წასასვლელად.

— მატარებელი!—სთქვა ნიკონ ბორისიჩმა,—მატარებელი!.. ვცხოვრობ-
დით უმისოდ და კიდევ ვიცხოვრებთ. მა-აჰ! ერთ წელიწადს ქალაქს წაველი,
მთელი დღე საღვურზე ვიყურებოდე, ხუთჯერ მაინც ვაგვხსენი და ისევ შეკარი
ჩემი გულა-ნაბადი:—„რა სანოვავე გაქვს მითხარი, თორემ კონდახს ხომ ხე-
დავ!“ მერე ავძვევრით საზურავზე, წაველით... „მოიცა!—რა მანდატი გაქვს გვა-
ჩენენ!“—რაო მე ხომ დედაკაცი არა ვარ?!—ვაჩვენე რალაც ქალაქი. გული
მომივიდა. თქვენი დედა ასე და ისე, ვეუბნები, ბიჭები მიმიყავს წითელ არშია-
ში, ბურჯების ცხვირის მისანაყავად. ვეუბნები, ჩვენ ბოლშევიკების მომხრე
ვართ, საბჭოების, თქვენ ალბად კომუნისტები იქნებით. ბევრი ვიდავე... მაინც
მეწყინა რალაც...

ღამე, ბუტავს კვარი, იბუტება ნიკონის ქოხის სარკმლები, სძინავს სო-
ფელს, ბობოქრობს, ცა მოღრუბლულა, ქოხში, ნახევრად სიბნელეში, კვარის
ირგვლივ, მახორკის ბოლში სხედან გლეხები, ბალნით შემოსილ სახეებით (წით-
ლად ელავენ თვალები). ბოლავს მახორკა, ბოლში სტურავენ კერის თავებები. სუ-



ლი იხუთება, ორთქლი დგას. დედაკაცები ლუმელის თავზე ჩაწმირბინებულან იქვე-
ქებიან და ნიკონ ბორისიჩი მკაცრად ამბობს:

— კამუნენ-ესტები!.. და ენერგიულ მოძრაობით (კვარის თვალეებში აელვებ-
ბით):— ჩვენ ბოლშევიკების მხარეზე ვართ! საბჭოების მხარეზე! რომ ყველაფე-
რი ჩვენებურად, რუსულად იყოს. გვეყო, რაც ბატონები გვყავდა; ჩვენებურად.
რუსულად! ჩვენ თვითონ!

— ფაბრიკებიდან რომ მოდიან—არაფერია, იარონ, ეარშიყონ ჩვენ გოგო-
ებს, ჯვარი დაიწერონ, ზოგი ხელოსანია. ბატონები კი ისე ავგავოთ...

ქორწილი.

ზამთარი. დეკემბერი. შობის დღეები.

რთვილითა და თოვლით დატვირთული ხეები ბრწყინავენ ლურჯად ილ-
მასებში. ყაყანობს კაქკაკი. და სიწყნარე უზარმაზარი. ნაძვები და ფიჩბი ურია
ჯადოქრული ნოხებივით. ხეთა შორის მღვრია სილურჯეში, შაქრის ქაღალ-
დივით მოხობავს ღამე. ხშირა სულწასწრებული ნაბიჯით გადირბინა კურდღელ-
მა. ირგვლივ ხეთა შტოებში მიმალულან ტრიები და მოწყენილი ნაძვები
ერთი მეორეში გადახლორთულან. წყნარად და შემოფიქრიანებლად ისმის ტყის
ხმაური. ნაკვერცხალივით წითელი მთვარე აიმართა ცაში. ღამე. ცა დაბალია
მთვარე წითელი. ტყე დგას გარინდებული. დაეანგულ ურდულეებივით ხმაურობს
ქარი. ამღვრულ მთვარის სინათლეში მოქნიბლაგად დგანან მობეღილი ფიქვის
შტოები, როგორც უზარმაზარი ზღარბები. ღამე.

და მაშინ ტყის მოშორებულ ადგილებში აღმუედა მგელი, და მგლები იხ-
დიან საკუთარ შობას და მგლების ქორწილს.

დაიღმუელა ზარმაცად და უილაჯოდ ზე მგელმა და ხეად მგლებმა ცხე-
ლი ენებით ალოკეს თოვლი. თამაშობენ, ხტიან, გორავენ მგლები თოვლში, მთვა-
რის სინათლეზე. ყინვაში. ბელადი კი ღმუის, ღმუის, ღმუის.

ღამე: და სოფელში არის შობა, რჩევა, ყინვა, ქორწილის წინ ისმის სიმ-
ღერა:

Чи-ви-ли, ва-ми, ви-ли!

Кого хочешь бери!

და ნაღვლიან ქალური მოძახილით, ქალწულობის სახელით, ცრემლთა
შორის, ქალები:

— Не чаяла матушка, как детей избыть,—

Сбыла меня матушка во один часок,

Во один часок в незнакомый домик.

Наказала матушка семь лет не бывать.

Не была у матушки ровно три года.



На четверто лето пташкой прилечу,
 Сяду я у батюшки слезами залью,
 На родную матушку тоску пагопю.
 Ходит моя матушка по новым семьям,
 Бличет своих детушек—соловьятушек:
 — „Встаньте вы детушки-соловьятушки,
 А и какой то у нас в саду жалобно поет,
 Не моя ль погорькая с чужой стороны“?
 Первый брат сказал:—пойду погляжу.
 Второй брат сказал:—ружье взряжу.
 Третий брат сказал:—пойду застрелю.
 Меньшой брат сказал:—пойду застрелю-ю!—

სახურავზე ცხენია; წიეწიეას მტრედი აზის; სამზითეო ზეწარი, ბალიშის პირები და პირსახოცები—ამოქარგული ყვაეილებით, ბალახებით და ფრინველებით;—და ქორწილი მიდის ისე, როგორც საგალობელი, ამოქარგული გალობით, საუკუნეებით და ადათებით.

ნახატი, სინათლესთან მოხუცი ზის, კვარი ანთია, საგარეო კუთხეში ზის ულიანა მაკაროენა—სასძლო თეთარ სამოსელში, მაგიდაზე სამოვარი დგას და აწყვია ნუგბარი, ირგვლივ სტუმრები სხედან. ალექსეი სემიონიჩი ზის თავის მძახლებთან.

— მიირთვიეთ, ძვირფასო სტუმრებო,—ამას მოხუცი მამა სასტიკად ამბობს.

— მიირთვიეთ, ძვირფასო სტუმრებო,—ამას დედა ამბობს კრძალვით და მედიდურად.

— მიირთვიეთ, ძვირფასო სტუმრებო, ალექსეი სემიონიჩ, —ამას ულიანა მაკაროენა ამბობს აკანკალებული სმით.

— ხომ არ დადიოდი, ულიანა მაკაროენა, ვინმე ბიჭებთან, ხომ არ შეგიცოდავს, გატეხილი ხომ არ არის თქვენი ფინჯანი.

— არა ალექსეი სემიონიჩ... უბიწო ვარ...

— რით ასაჩუქრებთ, საყვარელო მშობლებო, თქვენ ქალიშვილს?

— ვასაჩუქრებთ ჩვენ ქალიშვილს მშობლიური კურთხევით,—ყაზანის დეთიშობლის ბატით...

და ქორწილი, საუკუნეთა განწესებაში, ჩერნორეჩიეში სწარმოებს, როგორც ლიტურგია, —მურუჯიან ქოხებში, ლაფაროებში, ქუჩაში, მინდერებში, ტყეებში, ქარბუქში, დღეებში, ღამეებში: ისმის სიმღერა და საინების წკრიალი, სდღუს ბურაბი, მოხატული და დამშვენებული, როგორც ცხენი სახურავზე, —ლურჯ საღამოებში, რომელიც შაქრის ქალაქს მოაგავს.—ესა და ის თავი ადათის წიგნიდან, ტაევი პირველი და ასე.



ტაეპი 1. როცა ბე დატოვებულია, სახლი ნახული, მაშინ ნეტქმისთან მოაქვთ მზითვი, რომელსაც ნეფე გამოისყიდის, მძახვლები ლოგინს აწყობენ ზეწრითა და ბალიშებით ნამზითვიდან, რომელიც ყვაველებითა და ბალახებით არის ამოქარგული და მაშინ დანიშნავენ ქორწინების დღეს.

ტაეპი 2.

ტაეპი 3.

Ай, мать, мая мать!

Зачем меня женишь?

Я не могу с женой спать,—

Куда ее денешь?!

— Пошли плясать, пятки отвалилися,

Девки-бабы хохотать—чуть не отелилися!..

Ууу! у! Ааз! а!—пляшет изба, как бабенъка ерная, и задом и перед, визжит в небо.

— Знает-ли молодая трубы открывать?

— Знает-ли молодая снопы вязать?

— Знает ли соловей гнездо вить?

— Они люди цоповы, им денежки надобны. Смы-каравай прижите, денежку положите,

— Отмерить холстин двадцать аршин!

უუუ. ააა. ოოო. იიი. ქობში სულს ვერ მოიბრუნებ, ისეა პაერი დახუთული. ქობში მზიარულებაა. ქობში ყვირილია, ჭამა, სმა,—ა-იიხ!..—და ქობიდან ლაფაროში გამოზობიან სულის მოსაბრუნებლად, ოფლის შესაწრობად, აზრებისა და ძალის მოსაქრებად.

ლამე ვარსკვლავები ზანტად ციმციმებენ ყინვაში. ლაფაროში, სიბნელიდან მოდის ნეხვისა და საქონლის ოფლის სუნი, სიწყნარა. მხოლოდ ხანდახან ამოიოხრებს საქონელი და ყოველ ჩარეკი საათის შემდეგ, ზელში ფარნით მოდის აღიოშკას, აღექსვი სიმონიჩის მოხუცი დედა,—ძროხის დასახედავად. ძროხა მორჩილად წევს, ცხვირი ბზეში ჩაურგავს: ხმო აქვს დღეღღეზე მოსაგები. მოხუცი ქალი მზრუნველობით უცქერის, თავს საყვედურით იქნევს, ძროხას პირჯვარს საზავს:—ღროა, ღროა, ღვინიაე! და ძროხა სწუხს. მოხუცი ქალი—ძველ ჩვეულებსამებრ უკანა კარებს ჰაერის გასაწმენდათ აღებს. კარებს იქით გაძარცული ალუბლები სდგას, მოშორებით სარაია და ბილიცი სარაიასკენ, და სიბნელიდან აშზობს ბაბუა:

— თვალყურს ვადვენებ, თვალყურს—უყურებ. ეგორ პოლუკარპიჩს დაუძახოთ, ბრუციან ეგორკა მარჩიელს. სწუხს საწყალი ძროხა, ძლიერ სწუხს.

— გაიქეცი, ბაბუა, წადი, სთხოვე...



საქართველოს
საზღვრო-საზღვრო

— რა უკირს ჩაეირბენ. შენ კი უყურე, ყინავს.

ლაფაროში ბნელა და თბილა. ძროხა ღრმად ხენუნის და ზმუის. მოხუცმა ქალმა გაანათა — გამოჩნდა წყვილი ჩლიქი... მოხუცებულმა პირჯვარი გადიწერა და ჩურჩულობს... ბაბუა კი მიზბის მინდორ-მინდორ ტყისაკენ ეგორკასთან. ბაბუა მოხუცდა, ბაბუამ იცის, რომ, თუ საურამე გზას არ გადასცდი, მგელი არ მოგეკარება, ახლა გაბოროტებული და დამშვეული. ლაფაროში ქვეშ დაყრილ მზეზე ზმუის და კუნტრუშობს სველი ხმო. ფანარი ოდნავ იბეუტება, ანათებს ხარისებს, სახურავ ქვეშ დამყუდრებულ ქათმებს და კუთხეში მიწოლილ ცხვრებს. ეზოში სიწყნარეა, მშვიდობა, ქობი კი გუგუნებს, მღერის, ცეკვავს ათასნაირ ხმაზე და კილოზე.

— ადათების წიგნიდან:

ტაეპი 13 როცა ნაქორწილევი სტუმრები ადრე დაიშლებიან, და ქობში მხოლოდ ნეფის დედა და მძახალი რჩება, ქალ-ვაეის დედები თვითონ გახდიან ტანთ პატარძალს და აწვევენ ნაქორწინო ლოგინში, თვითონ კი ლუმულზე წევიან. და ახალგაზნა ცოლთან მოდის ქმარი, და მის გვერდით წევა ლოგინში, რომელიც ბალახებითა და ყვავილებით არის მოქარგული, და დასთესს ქმარი ცოლსა თვისსა, თესლითა თვისითა, საშოს განპობითა. და ამას ხედავენ დედა და მძახლები და პირჯვარს იწერენ.

ტაეპი 14. და მეორე დილას დედას და მძახლებს გამოჰყავთ ახალგაზნა ცოლი ეზოში და თბილი წყლით განპბანენ, და ნაბან წყალს საჭონელს აძლევენ დასალევად. ძროხებს, ცხენებს, ცხვრებს. და ნაქორწილევი პატარძალი მიყავს ნეფეს და მათ უმღეროიან ჟრცხე სიმღერებს.

— ნაკაფი ხეები დაფარული არიან რთვით და თოვლით და უმოძრაოდ დგანან. ხეთა შორის, მღვრია სილიბრეში, იმტვრევა ფიჩხი, მორბის ქალარა ბაბუა და მღვრია სილურჯეში, მოშორებით, ჰყფეს მგელი. დღე თეთრია და უმოძრაო. საღამოთი ამოვარდება ქარბუქი. ხეა-ლაყ ქარბუქია. და ქარბუქში ღმუიან მგლები.

ტრიპტიხს გარეშე, დასახრული.

დღე თეთრია და უმოძრაო. საღამოთი ქარბუქი — ბოროტი, იანერის. ღმუიან მგლები.

— ქალარა ბაბუა ლუმულზე წეეს, ქალარა ბაბუა უამბობს შეილიშვილებს ზღაპარს ოქროს ვაშლზე: — ირაკრაკე, ირაკრაკე საღამურო! ანუგეშე დედა ჩემი და მამა ჩემი, მე უბედური დამლუპეს, უდაბურ ტყეში, მომკლეს ვერცხლის ფინჯანისათვის, ოქროს ვაშლისათვის * ქარბუქი ფრიალობს ქარის რიდებთ, აყრის ხორბოშელას თოვლისას, სიციფეს. თბილა



ქართული

ღუმელზე, ზღაპარში, რწყილებში, ოფლიან სხეულებში: — „ქვემოთგაშვებ მძიმე ძილისაგან, მაშოვე მე წყალი უკვდავებისა.“ — და მოვიდა იგი ტყეში, გამთბარა მიწა, ყვავილებით აკრელებულ პატარა ბექობზე და შეასხა ლერწამით უკვდავების წყალი და გამოაღვიძა ხანგრძლივ ძილისაგან ასული იგი მზეთუნახავი.* — „ივან ცარევიჩ რათ დასწვი შენ ჩემი ბაყაყის ტყავი, — რათი?!“

— ტყე დგას სანტიკად, უღრანი და მძვინვარე ქარბუქი ასკდება მას, ღამე ტყეებისა და ქარბუქების შესახებ ხომ არ შეუქმნიათ „ბილინა“ იმაზე თუ როგორ დაიხოცნენ მღვებშირები? — ახალი და ახალი მძვინვარება ქარბუქისა ასკდება უღრანს, ვაებენ, კნაფიან, ჰკივიან, ბლავიან დედაკაცურად, გაბრახებული სცემენ დამღვრჩვალნი, მათ კიდევ მოსდევს ახალი მძვინვარება, არ იკლებს, — მატულობს, როგორც გველის თავები — ორი ერთი მოკრილ თავის შავიერ, ტყე კი სდგას, როგორც ილია მურომეცი. —

თარგმ. დენა შენგელიასი

გეზა ნახშირი.

რომანი

წიგნი პირველი.

გეზა ნახშირის სამეფო.

§ 1.

ქალაქი პედრო მთების კალთებზე მდებარეობდა. ეს იყო დუქნებისა და სამეიკიტროების გაბნეული ხროვა; მათგან ყოველი მხრით მიემართებოდნენ კანონებისაკენ ¹⁾ რკინის გზის რტოები, რომლებსაც სურსათი მოჰქონდა მათთვის.

მთელი კვირის განმავლობაში ქალაქს მშვიდად და წყნარად ეძინა, მაგრამ შაბათობით კი, როდესაც მთებიდან მალაროს მუშები ჩამოვიდოდნენ და ცხენებით ან ავტომობილებით ფერმერები მოვიდოდნენ, ქალაქში ისევ იღვიძებდა მჩქეფარე ცხოვრება.

ერთხელ, იენისის უკანასკნელ რიცხვებში, რკინის გზის სადგურზე მატარებლიდან გადმოხტა ახალგაზდა კაცი. ის იყო დაახლოვებით ოცდა ერთი წლის, მას ჰქონდა თხელი, მეტყველი სახის მოხაზულობა და წაბლისფერი ოდნავ ხუჭუჭი თმები.

მას ტანთ ეცვა გახუნებული, მოძველებული კოსტიუმი, რომელიც მან ალბად თავისი მშობლიური ქალაქის ერთ იმ კვარტალითაგანში იყიდა, სადაც ქუჩის ქვაფენილებზე მოვაჭრე ებრაელებს თავისი საქონელი გამოაქვთ გასასყიდათ. მისი ლურჯი პერანგი ქუქუიანი იყო, ხოლო მძიმე ბლტსები კი დიდი ხნის ხმარების კვალს ატარებდნენ. ზურგზე მოკიდებული ჰქონდა ერთად შეკრული გამოსაცვალი ტანსაცმელი და საბანი, ჯიბეში ედო სავარცხელი, კბილის საწმენდი ჩოთქი და პატარა სარკე.

მატარებელში, თუთუნის მოსაწყევ განყოფილებაში, ახალგაზდა კაცი დაკვირვებით უგდებდა ყურს ნახშირის მალაროების შესახებ საუბარს და ცდილობდა მკსსიერებაში ჩაეხებოდა მოსაუბრეთა აქცენტს.

¹⁾ კანონი არის დრიალო კლდეებით შემოფარგლული ღრმა ხევი. კანონები განსაკუთრებით დიდია დასავლეთ ამერიკაში.



მატარებლიდან გამოსვლის შემდეგ მან რამდენიმე ნახევრადსაათში ნისგზის ლიანდაგზე, ხელი ნაცარში გაისვარა და პირისახე ცოცხათი ნახშირის მტვერით შეიმურა. როდესაც სარკის საშუალებით შეამოწმა მტვერზე მოხდენილი ოპერაციის შედეგი, ის გაემართა პედროს მთავარი ქუჩით და ცოცხათ-დენი დაფიქრების შემდეგ, ერთ პატარა დუქანში შევიდა. მან რაც შეიძლებოდა უგემური ტონით მიმართა მოვაკრე ქალს: „არ შევიძლიათ მითხრათ, როგორ უნდა გავიღე ფიჭვნარის მალაროსთან“. შედუქნე, ქალმა შეხედა კაცს, ქალის თვალბუბნით დაეკვირვებინა ნასახიცი კი არ სჩანდა. მან მისკა ცნობა, და ისიც გაემგზავრა ღრუბნით „ფიჭვნარის მალაროს“ კანიონის ძირამდე. იქედან მას მოუხდა კიდევ ცამეტი მილის გავლა ფეხით. დღე მზიანი იყო, ცა სარკესავით მოწმენდილი, მთის პერი სუფთა და ცხოველმყოფელი. ახალგაზრდა კაცი, როგორც ეტყობოდა, მხნეთ იყო განწყობილი; გზაზე მიმავალი მღეროდა, მრავალი კუბლეტისაგან შემდგარ სიმღერას:

მეფე ნახშირი — გივი სულელი,
 მეფე ნახშირი — მივიღეთ ღმერთად.
 მალალ ცოდნათა მან შექმნა შკოლა,
 ო, ქება, ქება ჩვენც შენთან ერთად!
 ო, ლიზა-ანა, გამოდი მალე,
 ბაობობაბის ქვეშ შექია მთვარის
 ო, ლიზა ანა, მე ხარიგანის
 ჩვენს ბედზე ნათქვამ სიმღერის ვმღერი!
 ის მიაჭანებს ბორბლებს, სულელი,
 ის ინდუსტრიის ბორბლებს აჭანებს,
 კამა-სმაზე და შკოლებზე იგი
 ბორბლების ელფერს მალლა აყენებს.
 ო, მერი ჯენი, ჩამოდი ბალში
 მთვარის სზივები აგესხმის ტანზე,
 ო, მერი ჯენი დამიგდე ყური
 სიმღერას გეტყვი მე ხარიგანზე!
 ო, ქება ნახშირს, დოლარებს ქება,
 კბილიან ბორბლებს, სმასა და კამას,
 ჩიბუხს და შკოლას — ყველაფერს ქება!
 ო, ლიზა-ანა გამოდი გარედ,
 ბაობობაბის ქვეშ ანათებს მთვარე.

და ასე სულ დაუსრულებლად, ვიდრე მთვარე უნივერსიტეტის პარკს აშუქებდა. ეს იყო ხარვეზი აბირბული უახრობისა და სერიოზული კითხვების, რომლებითაც თანამედროვე ახალგაზრობა არ ასვენებდა მოხუცებს. სალაშქრო სიმღერისათვის მას მეტად ჩქარი ტემპი ჰქონდა, მიუხედავად ამისა ხოლ უორნერი დრო გამოშვებით ჩერდებოდა, შეპლრიანდებდა თავის სიმღერას ფრიალო კლდეებს, ყურს მიუდგებდა ეხოს და ისეც განაგრძობდა გზას. მის გულში ყვაველობდა ვახაფხული, სიყვარული და ცნობისმოყვარეობა; მასთან ერთად ჯიბე-



ში ცოტაოდენი ხურდაც ეგულებოდა, უკიდურესი შემთხვევისათვის კი ქაშაღში ჩაკრებული ჰქონდა ამ დოლარიანი ქალაქის ფული. ამ დილას რომელიმე ფოტოგრაფს სასწრაფო სურათი რომ გადაეღო მისგან პიტერ ხარიგანის საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიისათვის, ეს სურათი მშვენიერად გამოდგებოდა „მალაროს მუშის სურათად“ ისეთი ექონალის ნომრისათვის, როგორც არის მაგალითად „კეთილდღეობა და კმაყოფილება“.

გზა კი თანდათან უფრო აღმართი და ძნელი სავალი ხდებოდა. მალე მგზავრმა იგრძნო თავისი ფეხსაცმელების სიმძიმე. სიმღერა მიწყდა. როდესაც მზე კანიონს ამოეფარა, მან მიაღწია დანიშნულ ადგილას:—მის წინ გზასა სჭრიდა ალაყაფის კარი და ზედ შემდეგი წარწერა ბრწყინავდა:

„ფიჭვნარის ნახშირის მალაროს“

აქციონერული საზოგადოება.

ამრძო საკუთრება.

ფხვლა აკრძალულია.

ხოლი მიადგა დაკეტილ რკინის კარებს. შეიცადა პატარა ხანს, რომ თავისი ხმისათვის შესაფერი ტონი მიეცა და მიარაყუნა კარებზე ფეხით. გამოვიდა კაცი პატარა საყარაულოდან.

- რა ვნებაეთ?—ჰკითხა მან.
- შემოსვლა მინდა. სამუშაოს ეძებ.
- საიდან ხართ?
- პედროდან.
- სად მუშაობდით აქამდე?
- საწვრილმანო საწყობში.
- რომელში სახელდობრ?
- პეტროსონი და კ-ო უესტერნ სიტი.

ყარაული უფრო მიუხლოვდა ალაყაფის კარს და რიკულში დაუწყო მას თვალღერი.

— ეი, ბილლ!—დაიძახა მან და რიკულში მეორე კაცი გამოჩნდა.—იხ ეს ბიჭი ამბობს, რომ ის საწვრილმანო საწყობში მუშაობდა, ეხლა სამუშაოს დაეძებ.

— სად არის თქვენი ქალაქები?—ჰკითხა ბილლმა.

ყველანი არწმუნებდნენ მუდამ ხოლს მასში, რომ მალაროებში მუშა ხელი აკლიათ, და რამ ამიტომ აქციონერული საზოგადოება ხარბად ებლაუჭება ყოველ გამვლელს; ამის გამო ის ფიჭრობდა, რომ საკმაოა მუშამ დააკაუნოს კარებზე და ის მაშინავე გაიღება მის წინ. ის მტკიცედ დარწმუნებული იყო იმაში, რომ რომელი ლოთიც არ გინდა მალაროებში ადგილს არ იშოვის.

აქ კი არცერთ დარაჯს კარის ვალების სულ მცირე სურვილიც კი არ ემ-



მარტინი

ჩნეოდა. მეორე მათგანი ყურადღებით ათვალისწინებდა მას დაუძრავ სიტყვებამდე. ხოლს ისეთი უსიამოვნო გრძნობა დაეებადა, თითქოს მის გარეგნობაში რაღაც ექვის აღმძვრელი რამ ყოფილიყო. „ჩემი საბუთები თავის რიგზე“, — სთქვა მან. — „შემიშვით, მე დაგიმტკიცებთ ამას“.

მიუხედავად ამისა დარაჯებმა არც კი იფიქრეს ადგილიდან დაძვრა. ისინი ერთმანეთს მისჩერებოდნენ, ბოლოს ბილლმა სთქვა: „ჩვენ მუშები არ გვკირდება“.

— მაგრამ მე ხომ კანიონში განცხადება ვნახე, წამოაძახა ხოლმა.

— ის ძველი განცხადებაა, — უპასუხა ბილლმა.

— მერმე ამის გულისთვის გამოვექარ მთელ ამ გზას?

— უკან დასაბრუნებელი გზა უფრო იოლი გექნებათ.

— მაგრამ ლამდება აგერ უკვე.

— პატარა ბავშვს სიბნელის ეშინია? — დასცინა ბილლმა.

— იცით რა, — უპასუხა ხოლმა, — მცირე სამსახური მიინც გამოიწიეთ. მეც გადავიხდით როგორმე პატივისცემას, ეგებ ლამის გათვვა მიინც მოხერხდეს აქ?

— არაფერი არ არის აქ თქვენთვის, — სთქვა ბილლმა, მიტრიალდა და და წავიდა ისევ საყარაულოში. მეორე დარაჯი კი წინანდებურად იდგა ისევ და მტრულად ათვალისწინებდა მოსულს. ხოლი შეეცადა ვითომც მის მოღობას, მაგრამ სამჯერ მიიღო სულ იგივე პასუხი: „წადით უკან, დაუყვეით კანიონს!“ ბოლოს ხოლი დაწყნარდა, გაიარა გზაზე რამდენიმე ნაბიჯი და დაჯდა, რომ მოეფიქრნა, თუ როგორ მოქცეულიყო შემდეგ.

რა სისულელეა ეს, მართლაც და მართლაც, — ფიქრობდა იგი: გამოაკრა ქუჩის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილებზე განცხადებები, რომ „საჭიროა მუშები“, აფორთხო კაცი ცამეტ მილიან მთიან კანიონზე იმისთვის მხოლოდ, რომ შემდეგ სრულიად განუმარტებლად გააგდო იგი უკან; ხოლი დარწმუნებული იყო იმაში, რომ იქ შიგნით, კარების გადაღმა, საქმას საქმე მოიძებნებოდა მისთვის, და თუ კი შესძლებდა როგორმე ზედამხედველებამდე მიღწევას, ის მოახერხებდა მათ დარწმუნებას. ხოლი ადგა და წავიდა ისევ უკან ქვევით, ვიდრე არ გავიდა გზაზე, რომელსაც კანიონით მიმავალი რკინის გზის ლიანდაგი სჭრიდა. სწორედ ამ დროს მალაროების მიმართულებით ცალიერი მატარებელი მიდიოდა, ვაგონები ხრიალებდნენ და გრგვინავდნენ, ორთქმავალი მძიმე ხენქით მიმობლავდა შეღმართში. ხოლმა გადასწყვიტა, რომ ეს საუკეთესო შემთხვევაა, რათა ბოლო მოუღოს მოგზაურობის გაგრძელების საკითხს.

თითქმის ჩამოხნულდა. ხოლი ოდნავ დახრილი მიუახლოვდა მატარებელს და, როდესაც ის მთლად ჩრდილში მოექცა, ერთი ფეხის დაკვრით მოახტა პირველ შეხვედრილ პლატფორმიან ვაგონს. ავიდა თუ არა, მაშინვე დაწვა იატაკზე და დაიწყო ცდა. მისი გული მაგრად სცემდა.

არ გასულა ერთი წუთიც, რომ მან გაიგონა ყვირილი და, როდესაც პლატფორმის ნაპირიდან გადმოიხედა, თვალი მოჰკრა მისკენ სირბილით მომავალ წელან ალაყაფის კართან მდგომ ნაცნობ ცერბერს, — მას უკან მოსდევდა ბილლი.

— ეი! ჩამოეთრიე მანდედან! — ყვიროდა იგი. ბილი შეხვდა მანდელს, რომელშიაც ხოლი იწვა.

უკანასკნელი, როდესაც შეამჩნია, რომ საქმე წაგებულა, გადახტა მეორე მხრით და მოჰკურცხლა. ბილი უკან დაედევნა და, როდესაც მატარებელმა გაიარა, მეორე დარაჯიც მიეშველა. ხოლი ზემად განავრძობდა სირბილს. მეკარე ცერბერის პირიდან სიტყვების მთელი ნაკადი დიოდა, რომლის გადმოსაცემად არ არის არავითარი საშუალება. მან სტაცა ხელი კისერში ხოლს და გაჰკრა ფეხი, ფეხი შეეხო სხეულის იმ ნაწილს, რომელიც თვით ბუნების მიერ არის დანიშნული წიხლების ასათვისებლად, ხოლმა შეირჩინა წონასწორობა და, შენიშნა თუ არა, რომ მოპირდაპირე ისევ უპირებს ხელის წაღებას, მობრუნდა ისეთი მავარი მუჯღუფუნე შესთავაზა მკერდში, რომ დარაჯი შეტოროტმანდა.

ტყუილად კი არ უსწავლებია ხოლის უფროს ძმას უნცროსისათვის თავისი მუშტების გამოყენება, როდესაც ეს საჭირო იქნებოდა; შემდეგ ხოლმა დაიხია ერთი ნაბიჯით უკან და მოემზადა მეორე მოპირდაპირის დასახვედრად. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნახშირის რაიონში არც ასე პრიმიტიული წესით სწყედებოდა საქმე. მოპირდაპირე შეჩერდა და ხოლის ცხვირის წინ მოულოდნელად რევოლვერის ტუჩი გამოჩნდა. „ასწიე ხელები!“ — გაისმა ყვირილი.

თუმცა ხოლი არ იცნობდა ადგილობრივ ეარგონს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიტყვების აზრი გასაგები იყო მეტად, და მან ასწია ხელები მაღლა იმავე დროს მას ებღღენა პირველი მოპირდაპირე და ისე მავრად ჩაარტყა ცხვირში, რომ ხოლი უმაღლე ქვებზე გაიშხლართა მთელი თავისი სიგრძით.

§ 2

ხოლი მოსულიერდა, როდესაც ლამემ სკელ წყველიადში გახვია ყველაფერი. მთელ ტანში თავიდან ფეხებამდე ის ჰკრძნობდა აუტანელ ტკივილს. ხოლი გადატრიალდა თავის კეის საწოლზე. მაგრამ მალე იძულებული შეიქნა ისევ წინანდელი მდგომარეობა მიეღო ვინაიდან მის სხეულზე არ იყო დარჩენილი არც ერთი მართელი ადგილი. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც კი შეიძლო თავის გასინჯვა, მან მოითვალა მოპირდაპირეთა მძიმე ჩექმებისაგან მის ტანზე დატოვებული თორმეტითოდე კვალი.

ასე დაწოლილი ვაატარა მან დაახლოვებით ორი საათი. ფანჯრის რკინის რიკულში ვარსკვლავები კიაფობდნენ. მისთვის ნათელი შეიქნა, რომ ის საპატიმრო სახლში იმყოფება. მის გვერდით ვილაც ხვრინავდა. მან რამდენჯერმე მიმართა თავის მეზობელს თანდათან აწეული ხმით. ბოლოს ხოლმა რაღაც ბურღლუნე გაიგონა. მაშინ ის შეეკითხა მას: — შეიძლება წყალის დაღვევა?..

— მე შენ გაჩვენებ წყალის დაღვევას, თუ კიდევ გამაღვიძებ! — წაიბოროდლუნა ხმამ. ხოლი ზემად იწვა გათენებამდე.

დილით აღრე, როდესაც მზე უკვე ამოვიდა, საპატიმროში ვილაც კაცი შევიდა. — ადგეით ზეზე! — სთქვა მან და თავისი სიტყვა წიხლით დაასაბუთა.



ხოლს ეგონა, რომ ის ვერ შესძლებდა ადგომას, მაგრამ მან კეფეჩუხელის როგორც იყო.

— ეხლა კი დაანებეთ სისულელეს თავი, — უთხრა საპატიმროს მსახურმა, ჩაივლო ხელი ხელში და წაიყვანა საკანიდან პატარა კორიდორით. იქ იჯდა კაცი მოწითალო პირისახით და ვერცხლის დიდი ღუგვით კურტკაზე.

— აბა, ყმაწვილო, — დაიწყო სავარძელში მჯდომმა — გეყოთ თუ არა მოსაფიქრებლად დრო?

— მეყო, — უპასუხა მოკლედ ხოლმა.

— რა ედება ბრალად? — ჰკითხა ორივე დარაჯს სავარძელში მჯდომმა კაცმა.

— სხვის სამფლობელოში უკანონოდ შეჭრა და დაპატიმრების დროს წინააღმდეგობის გაწევა.

— რამდენი გაქვთ, ყმაწვილო, ფული? — ლაღადებდა შემდეგი კითხვა.

ხოლი ყოყმანობდა პასუხის გაცემაზე.

— სთქვით რაღა! — შეუწყვირა დამკითხველმა.

— ორი დოლარი და სამოცდაშვიდი ცენტრი, რამდენადაც მახსოვს, — უპასუხა ხოლმა.

— ნუ სტრუბოთ, — სთქვა დამკითხველმა. რა ზღაპრებს ლაპარაკობთ თქვენ აქ? — შემდეგ დარაჯებს მიმართა: — გაჩხრიკეთ!

— ვაიხადეთ კურტკა და შალვარი — უთხრა აჩქარებით ბილმმა. — ჩექმებიც.

— იცით რა, ბოლოს და ბოლოს... გააცხადა პროტესტი ხოლმა.

— ვაიხადეთ! — დაიყვირა სავარძელში მჯდომმა კაცმა და მოკუმბა მუშტები. ხოლი დანებდათ.

დაუწყეს ჯიბეების ანობრუნება. გამოჩნდა: საფულე ხოლის მიერ ნათქვამი თანხით, მავარი ჯაყვა, კბილის საწმენდი წოთქი, პატარა სარკე, შემდეგ ორი სუფთა ცხვირსახოცი, რომლებიც უარაულებმა ზიზლით დაათვალიერეს და გადისრაღეს შემდეგ ფურთხით გასერილ იატაკზე.

გახსნეს ფუთა, მიმოაბნინეს სუფთა საცვლები, კოსტუმის სხვა და სხვა კუთვნილება. შემდეგ ჯაყვის საშუალებით ააგლიჯეს ჩექმებს ძირები და გამოარღვიეს კოსტუმის სარჩული. ამ გზით მათ მიიღწიეს ქამარში გამოკერილ ათ დოლარიანს, რომელიც დანარჩენ ნივთებთან ერთად მაგიდაზე დააგდეს. სუბიექტმა ღუგვით განაჩენი გამოუცხადა: „მე ვიტოვებ თქვენგან ჯარიმის სახით თორმეტ დოლარს და სამოცდა შვიდ ცენტს, აგრეთვე საათს და ჯაყვას. თქვენი ჭინკები შეგიძლიათ მიიღოთ უკანვე“ — დაუმატა მან გესლიანი ღიმილით.

— იცით რა, — გულმოსვლით წარმოსთქვა ხოლმა — ეს კი მეტი სმეტია!

— ჩაიკვით, ყმაწვილო, და გაეტოვოთ თქვენს გზას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება პერანგის ამარაც მოგიხდეთ აქედან გაბრძანება.

ხოლი იმდენად გაბრაზდა, რომ მისთვის სულ ერთი იყო, თუნდაც ისე ჩაცმული წასულიყო აქედან, როგორც ის დედას გაუჩნდა. „ვინა ხართ, ბოლოს და ბოლოს, თქვენ და რა უფლებით იტყვიან ასე?*



— მე ვარ ნახშირის წარმოების უფროსი მალაროში, — სტეპანე ნახშირელში მუდლომმა კაცმა.

— მაშასადამე თქვენ ხართ საყოველთაო სათბობი მისალის კომპანიის მოსამსახურე? და თქვენ ჩემი გაძარცვის ნებას აძლევთ თქვენს თავს?

— გააგდე გარეთ, ბილლ, — წარმოსთქვა სამთო უფროსმა, და ხოლმა შენიშნა, თუ როგორ შეიკუმშენ ბილლის მუშტები.

— კარგი, — წარმოსთქვა ხოლმა და ძლივს შეიკავა თავი სიბრაზისაგან. — მომეცით დრო, რომ ჩავიცვა, — და მან კი რაც შეიძლებოდა სწრაფად დაიწყო ჩაცმა, შეჭკრა თავისი ფუთა და მიაშურა კარებს.

— არ დაივიწყოთ კი, — შენიშნა უფროსმა, — გემართეთ პირდაპირ ქვევით კანონით. თუ კიდევ გამოჩნდით აქ თქვენი ფიზიონომიით, მაშინ მე ტყვიით გაუმასპინძლდებით მავ თქვენს ტყავს!

ასე გამოვიდა მზეზე ხოლი ორი ღარიჯის თანხლებით ორივე მხრით. ის იყო იმავე სამთო ვაზზე, მხოლოდ მუშათა საცხოვრებელ ბინებ შორის. შორს მოსჩანდა სამტერევი მანქანის უზარმაზარი შენობა და ვაისმოდა განუწყვეტელი გუგუნე მოტორებისა და ნახშირის ნატეხების, რომლებიც ძირს ეცემოდნენ. ხოლი მიიბიჯებდა ქუჩაში, რომელსაც ჰქმნიდა აქციონერული საზოგადოების სახლების და საწყობების ორი რიგი. კარებთან უსუსუთაო ქალები იდგნენ და მტვერში ქუქუქიანი ბავშვები თამაშობდნენ, რომლებიც მას დაცინვით მისჩერებოდნენ, ის კოკლობდა სიარულის დროს და ბავშვებისთვის აშკარა იყო, თუ რაც შეემთხვა იმას იქ.

ხოლი მოვიდა აქ სიყვარულით და ცნობისმოყვარეობით სავსე. სიყვარული მისში საგრძნობლად შენელდა: აღბად მრეწველობის სფეროში სიყვარული არ შეიძლებოდა ყოფილიყო მამოძრავებელი ძალა. მაგრამ ცნობის მოყვარეობა კი გაცილებით უფრო გაუძლიერდა: რა არის ეს, რასაც ისეთი სიფრთხილით მალავენ მალაროს ზღუდის გადაღმა?

ხოლმა მიმართა ბილლს, რომელმაც გუშინ ასე თუ ისე მიღრეკილება გამოიჩინა თუმორისადმი.

— იცით რა, — უთბრა მას ხოლმა, — თქვენ მიითვისეთ ჩემი ფული, თვალში ისეთი მცეცხლეთ, რომ კინაღამ თვალის კაკალი გამიჭყლიტეთ, სხეულსულ დამილურჯეთ, მაშასადამე თქვენ სავსებით დაკმაყოფილებული ხართ. ამიტომ, ვიდრე სულ მოგშორდებოდეთ, შეგიძლიათ ყველაფერი დამშვიდებით მითხრათ.

— რა უნდა გითხრათ? — წაიბუზღუნა ბილლმა.

— რისთვის მომეტქვით ასე?

— იმისთვის, რომ თქვენ მეტად თავხედი ყოფილხართ. ნუ თუ არ იცოდით, რომ აქ თქვენ ვერ მოახერხებდით გაძრომას?

— ჰო, — შენიშნა ხოლმა, — მაგრამ მე მინდა ვიცოდე სხვა რამ. რატომ მაშინავე არ შემიშვით?

— თუ თქვენ მალაროში სამუშაოს ეძებთ, — ჰკითხა ბილლმა, — რატომ არ სკადეთ ჩვეულებრივი გზით შემოსელა?



მარტინეზული

- შე არ ვიცი ეს ჩვეულებრივი გზა.
 — საქმეც ეგ არის, ჩვენ კი არ გვინდოდა რისკი გავტყუვართ, ჩვენ გვინდოდა გულსათვის. თქვენ არა გქონდათ საქმით კეთილსაიმედო შეხედულება.
 — კი მაგრამ ვინ გეგონეთ, რისი გეშინოდათ?
 — თავი დამანებეთ, ვერ მომატყუებთ.

ხოლი რამდენიმე ხანს ზუმად მიდიოდა და ცდილობდა მოეფიქრნა, თუ როგორ გამოარკვევდა ის ამ საიდუმლოს. — შე ვხედავ, რომ თქვენ საეკვიპო პიროვნებად მიგაჩნევათ, — უთხრა მან, — და თუ ნებას მომცევთ, შე გამოგიტყდებით სრულ სიმართლეში. — შემდეგ, როდესაც შეხედა, რომ თანამგზავრი არ ედავება, დაუმატა:

— შე მოვედი აქ საუნდვერსიტეტო ქალაქიდან, მინდოდა შემეხედა ცხოვრებისთვის და პირადად განმეცადა ყველაფერი. შე მეგონა აქ ბევრ გასართობსა ვნახავდი.

— ჯო — შენიშნა ბილმა, — მაგრამ აქ ნახშირის მაღაროა და არა ფუტბოლის მოედანი.

ხოლმა იგრძნო, რომ მან მოსაუბრის ნდობა მოიხვეჭა: — მითხარით გულახდილად, ვინ გეგონეთ?

— ჰო, კარგი, — წაიბუზღუნა ბილმა, — აქ ირგვლივ მრავალი ავტოტორი დაეთრევა, რომლებიც ცდილობენ მუშების შეკავშირებას, ეს კი ხელსაყრელი არ არის ჩვენთვის. ჩვენი კომპანია იღებს ჩვენი საავენტურების საშუალებით. თქვენ რომ გამოცხადებულიყავით ავენტთან და იმას კი ჩვენთან გადმოგზავნეთ, მაშინ სრულიად დაუბრკოლებლად შეგიშვებდით. მაგრამ თუ ალაყაფის კართან თქვენისთანა ბატონურად გამოიშორული და პროფესორივით მოლაპარაკე ვინმე გამოჩნდება, მას იქ არ უშვებენ. გაიგეთ?

— გაეიგე, — უპასუხა ხოლმა. — პატარა საუბრეს მაინც რომ მაქმევედეთ იმ ჩემი ფულით, ძალიან დაგიმადლებთ.

— საუბრის საათმა უკვე გაიარა. მოიცადეთ აქ მცირე ხანს, ვიდრე ნაძვის წიწვები დამწიფდებოდეს. — ბილმა გადმხარხარა. მისმა ხუმრობამ მას თითქოს უფრო მოუღბო განწყობილება; ამოიღო ჯიბიდან პურის ნაქერი და გაუწოდა ხოლს. შემდეგ გაუღო ალაყაფის კარი და სიცილით გაუშვა გარედ.

ასე გაათავდა ხოლის პირველი გაცნობა „ინდუსტრიის ბორბლებთან“.

§ 3.

ხოლ უორნერი გაუდგა გზას ნელი ნაბიჯით, მაგრამ ბევრი არ გაუვლია. მან მიაღწია კლდიდან გადმოშვებულ პატარა ნაკადს. ხოლს შეეძოო დაელია იგი ისე რომ, ტიფის შეყრის შიში არ ჰქონდა; აქ იწეა იგი თითქმის მთელი დღე, საღამოს დიდი თქვეში მოვიდა, ხოლი შეძვრა კლდის ჭვეშ. მაგრამ ის ვერ აღმოჩნდა საიმედო თავშესაფარი. მალე მისი საბანი სულ ერთიანად დასველდა, და მას მოუხდა არა ნაკლებ გატანჯული ლამის გათევა, ვიდრე წინა დღით. ძილი არ შეეძლო, სამაგიეროდ მას შეეძლო რამდენიც სურდა ეფიქრნა ყოველივე იმის შესახებ, რაც შეემთხვა. ბილმა სთქვა, რომ ნახშირის მაღარო



ფუტბოლის მოედანი არ არის, მაგრამ ისინი ორივე, როგორც წინააღმდეგობაში ხოლო, ტანზე ერთნაირ კვალსა სტოვებდნენ. ხოლო ძალიან მოხარული იყო, რომ, ის მუშათა კავშირის ორგანიზატორი არ იყო.

განთიადზე ის ისევ გაუდგა ყიალით გზას სიცივისა და მისთვის უჩვეულო დამშვივებისაგან დაუძღვრებულნი. დღის განმავლობაში ის წააწყდა სურსათის პატარა ღუქანს. ფული არა ჰქონდა, საკმელის ფასი რომ გადაეხადა, მათხოვრობის კი ეშინოდა. ხოლო შევიდა შიგ და იკითხა, თუ რა ღირს ქლიავი, და გაიგო, რომ გირვანქა ღირს ოცდა ხუთი ცენტი. ფასი მაღალია, მაგრამ ღუქანიც მაღლა მდებარეობდა. თუმცა მხოლოდ შემდეგში დარწმუნდა ხოლო რომ, ფასებისა და ღუქანების მდებარეობის შორის ერთგვარი მიზეზობრივი კავშირი არსებობდა, მაგრამ ფასები მაინც უფრო მაღალი იყო, ვიდრე ეს ღუქანის მდებარეობის სიმალლეს შეესაბამებოდა.

დაზვასთან გვიდა განცხადება: „ვიღებთ ფასში სავალი ხელწერილებს ათი პროცენტის დაქვრით“.

ხოლს გაეგონა რაღაც კანონის შესახებ, რომლითაც აკრძალული იყო ფასის გასტუმრება სავალი ხელწერილებით, მაგრამ მან საჭიროდ არა სცნო ამის შესახებ საუბარის გამართვა, აიღო საჩქაროდ ერთი მუტა ქლიავი, გავიდა გარედ და დაუწყო ჰამა გზას პირას წამოწოლილმა.

საკვები პუნქტისაგან ცოტა მოშორებით, რკინის გზის ლიანდაგთან უფრო ახლოს, პატარა ბაღით ვარსშემორტყმული ქობი იდგა. ის გაემართა იქეთ და ნახა იქ ერთი მოხუცებული დარაჯი. ხოლმა მიმართა მას თხოვნით, რომ მიეცა მისთვის ქობში ღამის გათევის ნება. მან შეამჩნია, რომ მოხუცმა ყურადღება მიაქცია მის ვასიეებულ თვალს, და განმარტა: შე ვეძებდი სამუშაოს მაღაროში, მაგრამ იქ მუშათა კავშირების ორგანიზატორად მიმიღეს.

— ჰო, — წაილაპარაკა მოხუცმა. — შე არ მინდა ორგანიზატორებთან საქმე ვიქონიო.

— მაგრამ შე ხომ ორგანიზატორი არა ვარ? — ეხვეწებოდა ხოლი.

— შე საიდან უნდა ვიცოდე, თუ ვინა ხარო? — შეიძლება თქვენ კომპანიის მამიებელი იყოთ.

— შე მჭირდება მხოლოდ მშრალი კუთხე, რომ გამოვიძინო. თქვენ ხომ ამით არაფერი ზიანი მოგადგებათ, შე რომ ღამის გათევის ნება მომცეთ.

— ეგ ჯერ კიდევ ვინ იცის, — ჯიუტობდა მოხუცი. — თუმცა, კეთილი, დაწვევით თქვენი საბნით აგერ ამ კუთხეში. მაგრამ არ კი შემაწუხოთ თქვენი კავშირების საქმეებით!

ხოლი სრულიადაც არ ფიქრობდა საუბარის გამართვას. ის გამოეხვია საბანში და დაიძინა, როგორც ადამიანი, რომელსაც არ აწუხებს არც სიყვარული და არც ცნობისმოყვარეობა. დილით მოხუცმა მისცა მას პურის ნაჭერი და ორი თავი ნედლი ხახვი. არასოდეს არ უსაუბრნია ხოლს ასეთი მადით. როდესაც მან მადლობა გადაუხადა მოხუცს გამოთხოვების დროს, უკანასკნელმა შენიშნა: — კეთილი, ყმაწვილო. მადლობას გადახდა თქვენგან ის იქნება, თუ ამის შესახებ არაფერს იტყვიოთ სადმე. ვინც თმების გათეთრებამდე იცხოვრა



და მასთან მხოლოდ ერთი ფეხის პატრონია, მისთვის ბოლომდე მსახურს. სულ ერთია მალაროში ამოიხრჩობა ის თუ სამუშაოს დაჰკარგავს.

ხოლი დაჰკარდა, რომ ის გააჩერებს ენას და გაუდგა თავის გზას. ტკივილები დაუამდნენ, და მას თავისუფლად შეეძლო სიარული. გამოჩნდა თერმები. და ხოლს ისეთი გრძნობა აღეძრა, თითქოს ის აი ეს არის ეხლა ისევე ამერიკაში დაბრუნდა.

§ 4.

ხოლს მოელოდა წინ მთელი კვირის განმავლობაში მოხეტის თავგადასავალი, ნამდვილი მოხეტის, როდესაც ის დაეხეტებოდა მოკლებული თავის ათ დოლარიანს, იმ ათ დოლარიანს, რომლითაც მას შეეძლო ბოლო მოელო ყველა ამ დავიდარაბისათვის. მან მოითვალა თავისი მიწიერი ავლადიდება და ჰკითხავდა თავს, ჰგავს იგი კიდევ „პატონს“, თუ არა. გაიხსენა აგრეთვე, რომ მისი ღიმილი ქალების გულს იზიდავდა ხოლმე მისკენ, მაგრამ მოახდენს კი ღიმილი თავის გავლენას ამნაირად გასიებულ თვალთან ერთად? ვინაიდან არავითარი სხვა წყარო შემოსავლისა მას არ გააჩნდა, ამიტომ ის აბღენდა შეხედულებით გულ-ჩვილ დიასაბღისებზე თავისი ღიმილის გავლენის ცდებს, და შედეგებსაც ისეთს მიაღწია, რომ მას იქვე შეეპარა იმ ქენმარტებაში, თითქოს პატროსანი შრომით თავის გატანა აუცილებელი იყოს. ხარკვანზე ლექსის მაგიერ, ეხლა ის ღიღინებდა მოხეტეების სიმღერას, რომელიც მას ოდესღაცა ბავშობის დროს გაეგონა.

„რა საჭიროა მუშაობა, როდესაც ქვეყანაზე ქალები არიან?“

მოგზაურობის მეორე დღეს ის გაეცნო დიდ გზასთან განუჯრელ ორ კაცს, რომლებსაც ხოლი რკინის გზის ბექთან შეეყარა. როცა ისინი ღორის ხორცსა სწვავდნენ. როდესაც გაიგეს მისი თავგადასავალი, მათ ძმურად მიიღეს იგი თავის წრეში და გააცნეს მას მოხეტიალეთა ცხოვრების მთელი საიდუმლოება. შემდეგ ხოლი გაეცნო კიდევ ერთ მოხეტეს, რომელმაც მისცა მას ყველა საჭირო ცნობები ახალ კანიონში მოსახედრად.

ამ უკანასკნელს ეძახდნენ „ჰოლანდიელ მაიკს“; ასეთი სახელწოდების მიზეზების განმარტება მოხეტემ საჭიროდ არ დაინახა. ეს იყო მეტად საეჭვო შესახედავი შავთვალა კაცი. როდესაც ლაპარაკი მალაროებში მუშაობაზე ჩამოვარდებოდა, ის მოსდგებოდა გაათრებულ ლანძღვა-გინებას და წყველას. მან სამუდამოდ მიატოვა ეს მუშაობა, დღე ხოლმე ან რომელიმე სხვა ტუტუცმა დაიკავოს მისი ადგილი, თუ კი ენდომებოდათ. ასეთი წესების გაგრძელება მხოლოდ იმიტომ ხერხდება, რომ ქვეყანაზე ამდენი უტვინო ჩერტი იბადება. ამის შემდეგ „ჰოლანდიელი მაიკი“ მოჰყვა ყოველგვარ საშინელებას მალაროს მუშათა ცხოვრების შესახებ; ის ერთი მეორეზე ასურათებდა მალაროების ზედამხედველებს და საუკუნო კრულებით იხსენიებდა მათ.

— სანამდე ახალგაზრდა ვიყავი,—ჰყვებოდა იგი,—კიდევ მქონდა მუშაობის ხალისი. ეხლა კი ამ ხალისისაგან საბოლოოდ გავიკურნე.

მთლად ეს ქვეყანა, მისი აზრით, გაჩენილი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ



ძალით მოეხევა მისთვის თავზე მუშაობა, და ისიც იკრებდა მისი მუშაობის მალ-
ლონეს, რათა მოესპო და გაენადგურებია ეს საერთო შეთქმულობა მის წინააღ-
მდეგ. ერთხელ, როდესაც ისინი მოუსხდნენ პატარა ნაკადულის ახლო გააღლე-
ბულ ცეცხლს, ხოლმე, თავის შექცევის მიზნით, სეროიზულად დაუწყო მას
მტკიცება, რომ ის არსებითად, იმის გამო, რომ მუშაობა აიკლინოს თავიდან,
გაცილებით მეტს მუშაობს, ვიდრე ისინი, რომლებიც ნამდვილად მუშაობენ.
მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ აწუხებდა მოხეტეს, მისი შეხედულება
მისთვის პრინციპი იყო, რომლისათვისაც იგი მზად იყო ყოველგვარი მსხვერპ-
ლი გაეღო. ერთხელ ის ჩასვეს სამუშაო სახლში, მაგრამ იქაც ცდილობდა თა-
ვიდან აეკლინა მუშაობა, რის გამოც ის სარდაფში დაამწყვდიეს, სადაც ის კი-
ნაღამ მოკვდა წყალის და პურის ამარა მყოფი: იგი მზად იყო აეტანა ყველა-
ფერი, ოღონდ არ ემუშავნა კი. ყველა რომ ისე იტყვოდეს, ამბობდა იგი, რო-
გორც ის იტყვავა, მალე გაგარდებოდა ღდინი ამ ქვეყანას.

ხოლს მოეწონა ეს თავისებური რევოლიუციონერი. მან რამდენიმე დღე
იხეტიალა მასთან ერთად და სულ მალარობის მუშათა ცხოვრებაზე აძლევდა
კითხვებს. კომპანიათა უმრავლესობა მუშებს სააგენტოების საშუალებით იყვან-
და; ასეთ წესს ჰქონდა თავისი ცუდი შედეგები, სახელდობრ: სააგენტოები
იღებდნენ დიდი ხნის განმავლობაში მუშის ხელფასის ნაწილს და ზედამხედვე-
ლებთან ერთად მოქმედობდნენ. როდესაც ხოლმე შენიშნა, რომ ეს წესი ყოე-
ლად უკანონოა, თანამგზავრმა უპასუხა ამაზე: „გაიანებეთ შიგ სისულელეს თავი.
როდესაც იმუშავებთ რამდენიმე ხანს ნახშირის მალაროში, თქვენ დარწმუნ-
დებით, რომ ზედამხედველის სიტყვა არის კანონი“. შემდეგ მოხეტემ დაიწყო
იმ აზრის განვითარება, რომ კანონს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა მაშინ,
როდესაც ერთი იძლევა მუშაობას და მრავალი კი ებლაღებება მას. ხოლმე
ეს შენიშვნა მეტად შინაარსიანად ჩასთვალა, ის სიამოვნებით ეტყოდა მას პო-
ლიტიკური ეკონომიის პროფესორს ხარიკანში.

მათი ნაცნობობის მეორე დამეს იმათი „ჯუნგლი“ აღმოაჩინა პოლისმენმა
ექვსი თანაშემწით, — სწორედ ამ დროს იყო მიღებული სასტიკი ზომები, რათა
რაიონი მოხეტეებისაგან გაეწმინდათ, ან აეჭულენათ ისინი, რომ ემუშავნათ
მალაროებში. ხოლის ამხანაგმა, რომელსაც ყოველთვის ფხიზლად ეძინა, ისარ-
გებლა სიბნელით და მოუსვა. ხოლი გაჰყვა მას უკან და გადარჩა მხოლოდ ერთი
ხერხის წყალობით, რომელსაც ხშირად ხმარობენ ფუტბოლში. სანოვაგე და
საბნები დარჩათ, მაგრამ ეს გარემოება როდი აწუხებდა „პოლანდიელ მაიკს“;
მან ეს დანაკლისი აინახლურა იმით, რომ გზადაგზა საბუღარს კრუხი ააძრო,
რათა ღამე ტკბილად გაეტარებია, ხოლო მეორე დღეს თეთრეულობა ჩამოხსნა
თოკიდან. ხოლი შეექცა ქათამს, ჩაიცვა მოპარული საცელები და ამგვარად
შეუდგა თავის ახალ კარიერას.

ხოლოს ხოლი დაშორდა „პოლანდიელ მაიკს“ და დაბრუნდა პედროში.
მოხეტე ეუბნებოდა მას, რომ მედუქნეებს ყოველთვის ჰყავთ მეგობრები მალა-
როებში და ისინი დაეხმარებიან მას სამუშაოს შოვნაში. ხოლი შეუდგა გამო-
კითხვის ყველგან და უკვე მეორე მიკიტანმა ითავა მისთვის სარეკომენდაციო



ბარათის მიცემა თავის მეგობართან ნორტ-ვალში*) იმ პირობით, რომ, თუ ხოლი სამუშაოს მიიღებს, ეს მეგობარი ყოველ თვე თითო დოლარს დაუტერს მას ჯამაგირიდან. ხოლი დასთანხმდა და შეუდგა აღმართს მეორე კანიონით: წასვლის წინ მან შესკამა ერთი ბუტერბროდი ლორით, რომელიც მან დიდი ბევრნის შემდეგ ერთი ფერმერისაგან მიიღო ხევის ნაპირას. როდესაც ის შიად-ვა საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის მეორე ალაყაფის კარს, მან წარადგინა თავისი წერილი, რომელიც დაწერილი იყო ვინმე ო'კალაბახანის სახელზე. უკანასკნელსაც, როგორც ეს შემდეგ გამოირკვა, სამიკიტნო ჰქონოდა.

ყარაულმა ბარათის წაუკითხავად შეუშვა ხოლი და ისიც დაუყოვნებლივ შეუდგა მისთვის საჭირო პირის ძებნას, ო'კალაბახანმა სურვილი გამოსთქვა დამარების, მაგრამ მოსთხოვა იმ დოლარის ვარდა, რომელიც მას მეგობრის სასარგებლოდ უნდა გადაეხადნა, კიდევ ერთი დოლარი თავისთვის პირადად. ამაზე კი ხოლი არაფრის გულისთვის არ თანხმდებოდა, იეპტრეს დიდხანს; ბოლოს, როდესაც მოემზადა წასასვლელად და დაემუტრა, რომ ამ ამბავს ის ზედამხედველს განუცხადებს, მიკიტანი დასთანხმდა ნახევარ დოლარზე.

— თქვენ იცნობთ მალაროს მუშაობას?—ჰკითხა მან.

— მე მასში ვაეიზარდე.—უპასუხა ხოლმა, რომელიც უკვე საკმაოდ გამოიცადა.

— სად მუშაობდით?

ხოლმა ჩამოუთვალა რამდენიმე მალარო, რომლის შესახებ მას ცოტა რამ გაეგონა მოხეტისაგან. თავის თავს მან უწოდა ჯო სმიტი იმ მოსაზრებით, რომ ასეთი სახელი უთუოდ იქნება მალაროების უმეტეს ნაწილის სიებში. ერთი კვირის განმავლობაში ამოსულმა წვერმა სულ გამოსცვალა იგი, ხალხი მისი ენა კი გამდიდრდა რამდენიმე მაგარი გინებით, მიკიტანმა მიიყვანა ხოლი მალარო № 2-ს ზედამხედველთან, მისტერ ალექ სტონთან, რომელმაც მაშინვე მისცა მას კითხვა:

— თქვენ შეგიძლიათ ჯორების მოვლა?

— მე ბოსელში ვმსახურობდი,—უპასუხა ხოლმა,—და ცხენების მოვლაც შემიძლია.

— ჯორები სულ სხვა რამ არის, —სთქვა ზედამხედველმა.—ერთ ჩემს მეგობარს მუცელმა დაუწყო ტეხა, არა მგონია, რომ ის კიდევ გამოდგეს რამესთვის.

— მომეცით ვსცადო—წამოიძახა ხოლმა.—მე შეეეგუები მაგ სამუშაოს როგორმე.

ზედამხედველმა აათვალთვალა ჩაათვალთვალა ხოლი.

— შესახედავით გეტყობათ, რომ უნდა გამოდგეთ. გაძლევთ თვეში ორმოცდახუთს; თუ კმაყოფილი დავრჩი თქვენი მუშაობით, ორმოცდაათამდე აგიწევთ.

— კეთილი. როდის შეუდგე მუშაობას?

— უკეთესი იქნება ეხლავე დაიწყოთ. სად არის თქვენი ბარგი?

*) ნორტ-ვალდი—ჩრდილოეთის ხევი.



— აი ყველაფერი, რაც მე მაქვს,—და ხოლმა მიუთითა ეჭვიანულად მოპარული საცვლებით, რომელიც მას ხელში ეჭირა.

— დააგდეთ აქ კუთხეში,—სთქვა ზედამხედველმა, შემდეგ უცერად გაჩერდა ხოლის წინ და შეჭრა წარბები:

— თქვენ ითვლებით რომელიმე მუშათა კავშირის წევრად?

— ო, რა თქმა უნდა არა!

— და არც არასოდეს ითვლებოდით?

ზედამხედველის თვალები გამოხატავენ რწმენას იმაში, რომ ხოლი ალბად სტუდის, მაგრამ მათ მაინც შეუძლიათ ჩახედვა მისი სულის საიდუმლო კუთხეებში.—თქვენ უნდა დაიფიცოთ ამაში, ვიდრე მუშაობას შეუდგებოდით.

— კეთილი,—სთქვა ხოლმა,—მე შემიძლია დავიფიცო.

— ამის შესახებ მე ხვალ მოგელაპარაკებით, დღეს კი თან არა მაქვს საკირო ქაღალდები. რა სარწმუნოებისა ხართ, სხვათა შორის?

— მე ვარ „მეშვიდე დღის ადვენტიტი“.

— ღმერთო ჩემო, ეგ რაღა არის?

— საშიში არაფერი.—უპასუხა ხოლმა.—საქმე იმაშია, რომ მე უფლება არა მაქვს ვიმუშაო შაბათობით, მაგრამ მაინც ვმუშაობ.

— კარგი, მხოლოდ აქ მაგის ქადაგი არ დაიწყოთ. ჩვენ გვყავს ჩვენი საკლთარი მქადაგებელი, ის დაგიჯდებათ თქვენ ჯამაგირიდან გამოორცხულ ორმოცდაათ ცენტად. ეხლა კი მოდიით და ჩაგწერთ.

ასე დაიწყო ახალი ცხოვრება ხოლისათვის.

§ 5.

ჯორი, როგორც ყველამ იცის, ცოდვილი, ურწმუნო არსებია, ბუნების შეცდომა, რომელისაც მას თვითვე სცხენია და ამიტომ არ აძლევს ნებას, რომ გამორავლდეს. ხოლის განკარგულებაში მყოფი ოცდა ათი ჯორი გაიზარდა ისეთ პირობებში, რომელთა შემწეობით შესაძლებელი იყო მათი ცუდი ზნისა და მიდრეკილების გაძლიერება და გაუარესება. ხოლი სულ მალე მიხვდა, რომ მისი წინაპრის „მუცლის ტება“ შედეგი იყო, არც მეტი არც ნაკლები, მუცელში წიხლის კერისა, და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქ უადგილოა ყოველგვარი დაფანტულობა და ფიქრში გართობა, თუ მას სურვილი აქვს თავიდან აიშოროს ასეთი საშიში სწეულება.

ჯორები თავის სიცოცხლეს მიწურების წყვილიაღში ატარებდნენ; მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ავად გახდებოდნენ, მათ ამოათრევდნენ მზეზე და მწვანე საბალაბოზე. ერთ ჯორს საბეზად ერქვა „დაგო-ჩარლი“; ის შეაჩვიეს საღეჭავი თამბაქოს ჭამას და მაღაროს მუშების ჯიბეებიდან მის ამოძრობას. რადგან პირუტყვი არ აფურთხებდა თამბაქოს წვესს, ამიტომ ის ხშირად ავადმყოფობდა და, მოლოს, გადასწყვიტა სულ გაენებებინა თავი იმ პირის გასატკბობი საშუალებისათვის. მიუხედავად ამისა, მაღაროს მუშები, რომლებმაც კარგად იცოდნენ ჯორის სისუსტე თამბაქოს წინაშე, ხშირად დაუწყებდნენ ცდუნებას „დაგო-ჩარლის“, და ისიც ხანდახან ველიარ გაუმაგრდებოდა ამ ცდუნებას. ხოლმა მა-



ლე შეიტყო პირუტყვის ეს პატარა ზნეობრივი ტრადიციები და მას მისი მსხვილი სამუშაო დღის განმავლობაში გული შესტკიოდა ჯორზე.

დილით ადრე ეშვებოდა ის პირველივე ბადიით მაღაროში, სწმენდავდა, აჭმევდა თავის ჯორებს, და ეხმარებოდა იმათ შეკასმაზე. როგორც კი მიწყნარდებოდა შორით ჯორების უკანასკნელი ფეხის ხმა, ის შეუდგებოდა ბოსლის დაგვას, ჰკერავდა მოსართავეებს და ასრულებდა ყველას ბრძანებას, ვინც კი იმაზე უფროსი იყო.

ჯორების გარდა ყველაზე უფრო აწუხებდნენ მას „რონოდის ბიჭები“. მას როგორც ახლად მოსულს, ათასნაირად ამასხარავენდნენ, მით უმეტეს რომ ის მთლად დაბალ მოსამსახურედ ითვლებოდა, და ამ ბაღღების თვალში ჯორების მოვლა სასაცილო და საპარცხეინო მუშაობა იყო. ეს იყო ყოველნაირი ეროვნების ხროვა სამხრეთ ვერაპიდან და აზიიდან. აქ იყვნენ პრეტელსახიანი თათრებიც, შვედგერმანი ბერძნებიც, პატარა იაპონელებიც ეშმაკური თვალეებით და ბევრი სხვა. ისინი ლაპარაკობდნენ რაღაც მათ მიერვე შექმნილ ენაზე, რომელიც შესდგებოდა უმთავრესად ინგლისური გინებისა და სხვა და სხვაგვარი სიბინძურისაგან. ტალახი, რომლითაც საეცე იყო მათი სულები, მზის სინათლეზე დაბადებულსა და აღზრდილ ხალხს ყოვლად წარმოუდგენელია ეჩვენებოდა. ისინი უკავშირდნენ თავიანთი დედებისა და ბებიების სახელებს ყოვლად საზიზღარ მოქმედებებს, არ ინდობდნენ არც ქალწულ მარიამს—ერთადერთ მითოლოგიურ სახეს, რომელსაც ისინი იცნობდნენ.

ბოლს უჩნია იმ მაღაროს ზედამხედველმა, რომელშიაც ის მუშაობდა, ვილაც რემინიციისთან დაბინავება. როდესაც მან უკანასკნელ ბადიასთან ერთად შატოვა მაღარო, მას უჩვენეს მკრთალად განათებული სახლი, სახლის პატრონმა, მსხვილმა რუსმა, აუხსნა, რომ ოცდაშვიდ დოლარად თვეში მის შეუძლია მიიღოს მისგან საქმელ-სასმელი და ერთი საწოლი ოთახში, სადაც უკვე რვა ბუშა სტოპირობდა. ხოლის ხარჯები ეხლა შემდეგში გამოიხატებოდა: ბინის ქირის გარდა, ერთ დოლარ ნახევარი მიჰქონდა მიკიტანს, ორმოცდაათი ცენტრი მაღაროს მღვდელს, ერთი დოლარი ექიმის სასარგებლოდ, ორმოცდაათი ცენტრი აბანოთი სარგებლობისათვის, ორმოცდაათი ცენტრი უნდოდა დაზღვევას სიკვდილის ან სხვა უბედური შემთხვევისაგან. სულ თვიური ჯამგაირიდან რჩებოდა თოთხმეტი დოლარი. ამ თოთხმეტი დოლარით მას შეეძლო შეეყრა ტანსაცმელი, დაოჯახებულიყო, ესეა ლუდი, ეწია თამბაქო და ევლო მაღაროების მეპატრონეთა ფილანტროპიული დაწესებულებებში—შკოლებში და ბიბლიოთეკებში.

ვახშამი უკვე გაათავებული ჰქონდათ, როდესაც რემინიციისას მივიდა. იატაკს ისეთი სახე ჰქონდა თითქოს იქ პიკნიკი მოეწყობათ კაცის მჭამელ ველურებს. დარჩენილი საქმელი ცივი იყო, როგორც ყინული. ამ დაწესებულების სასადილომ, რომელიც საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიას ეკუთვნოდა, მოაგონა ბოლს სახელმწიფო საპატიმრო, რომელიც მან ოდესღაც მოინახულა იქ ჩემად იდგა გრძელ მწკრივებად დარაზმული ხალხი და სჭამდა კალის ჯამებში რაღაც წვეინს ქონით. აქ, მართალია, ჭურჭელი არაჩვეულებრივად სქელი ფაიფურის თევზებისაგან შესდგებოდა, მაგრამ წვეინი და ქონი იგივე იყო. მი-



უხედავად იმისა, რომ ხოლი ძალიან მწიერი იყო მუშაობისას, მაინც ძლივს გადაულაპა საჭმელი. კვირა ერთადერთი დღე იყო, როდესაც ის დღის სინათლეზე სადილობდა. მაშინ ყოველ თავს ჯარივით ეხევიდნენ ბუზები, და ხოლი ასეთ შემთხვევებში იგონებდა ერთი ეკიმის ფრაზას, რომ ბუზებს გაცილებით უფრო უნდა უფროთხილდეს კაცი, ვიდრე ბენგალიის ვეფხებს.

რემინიციის დაწესებულება აძლევდა ხოლს საწოლს და მწერების საცნაო რაოდენობას, საბანი კი არ ეკეთვნოდა, ხოლო უსაბნოდ ამ მთიან რაიონში თავის გატანა ყოველად შეუძლებელი იყო. ნავახშივეს მას მოუხდა ზედამხედველთან მისვლა, რომ მისი შემწეობით კრედიტი მიეღო კომპანიის ქარხნის დუქანში. ცოტაოდენი კრედიტი მისცეს, მით უმეტეს, რომ მთავარ ინსპექტორს ამით უმსუბუქებოდა ხოლისათვის სამუშაოდან თავისუფალი წასვლის საშუალების მოსაზრება. რა თქმა უნდა, არ არსებობდა ისეთი კანონი, რომლის ძალით შესაძლებელი ყოფილიყო მისი დაკავება ვალის გამო, — მაგრამ ხოლმა კარგად იცოდა საკუთარი გამოცდილებით, თუ რა მცირე მნიშვნელობას აძლევს კანონს სამთო წარმოების რომელიმე უფროსი.

§ 6.

უკვე სამი დღე მუშაობდა ხოლი მიწის სიღრმეში, სადილობდა რემინიციისთან და იქვე ნადირობდა მწერებზე. და აი დადგა კვრთხეული კვირა დღე. ხოლის განკარგულებაში რამდენიმე თავისუფალი საათი იყო, რომლის განმავლობაში მას შეეძლო დამტკბარიყო მზის შუქით და დაეთვალიერებინა ნორტეალი. ეს იყო გაფანტული სოფელი, რომლის პატარა-პატარა სახლები მთელი მილის მანძილზე მთის კანიონს მიუყვებოდნენ. სოფლის შუაგულში იდგა უზარმაზარი სამტერევი და ელექტრონის სადგური მაღალი მიწებით. იქვე ახლო იმყოფებოდა კომპანიის სამსახლო საწყობი და რამდენიმე სამიკიტნო. აქ იყო აგრეთვე რამდენიმე დაწესებულება, რემინიციის დაწესებულების მავგარი, და ორ ან ოთხ ოთახიანი ხის ბარაკების გრძელი მწკრივები; ზოგიერთ მათგანში რამდენიმე ოჯახი იფარავდა თავს. შემდეგ, სადაც აღმართი იწყებოდა, მოთავსებული იყო შკოლა და კიდევ ერთი პატარა ერთსართულიანი სახლი, რომელიც ეკლესიის მავიერობას ეწეოდა; მღვდელი, რომელიც აღიარებდა იმავე სარწმუნოებას, როგორსაც საყოველთაო სათბობი მასალის კომპანია, უფასოდ სარგებლობდა ეკლესიით. ეს ისეთი შეღავათი იყო, რომ ის შეებარბებოდა მიკიტნებს, რომლებიც დიდ საიჯარო გადასახადს აძლევდნენ კომპანიას. მიუხედავად ასეთი შეღავათისა, ნახშირის შტატებში ზეცა ყოველთვის მარცხდებოდა ჯოჯობეთთან ბრძოლის დროს, რაიც, რა თქმა უნდა, აღამიანის ბუნებაში თანდაყოლილ ბოროტებას მოწმობდა.

სოფელი გამეღვლეებზე ყოველად უნუგეშო შთაბეჭდილებას ახდენდა. ირგვლივ ამართულიყო გეოლოგიური ეპოქების ნაკეთებით აქრელებული უდაბურა მთები. ამ კანიონებზე მზე ადრე ჩადიოდა; თოვლი ადრე ჩნდებოდა შემოდგამით; ყველგან ბუნება თავზე ლოდით დასწოლოდა აღამიანს, და ისიც იღუპებოდა მისთან ბრძოლაში. თვით სოფელში კიდევ უფრო მეტი უიმელობა სუ-



ფედა—სიტლანქე და გამხეცება. იყო ბოსტნების გაშენების კენტი, მაგრამ კვამლი და კვარტლი ჰკლავდა ყოველვარ სიციხლეს: გამატონებელი ფერი შავი ფერი იყო. ყველგან ნაცრის ზვინები, მათულები და ცალიერი კონსერვის კოლოფების მთები იდგა, რომელთა შორის კუქყიანი კვარტლით გასვრილი ბავშვები თამაშობდნენ.

იყო სოფლის ნაწილი, რომელსაც სახელად ერქვა „ბლოკშტატი“. აქ ნაცარტუტის გორაკებ შორის უფლება ეძლეოდა ზოგიერთ უღარიბეს უცხოელს დაედგა თავისთვის პატარა ქოხი ძველი ფიცრების, თუნუქისა და ზეთწასული ქაღალდისაგან. ასეთ ფაცხაში ცხოვრებაზე ქათამიც კი არ დასთანხმდებოდა მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მათგანში ათი-ათორმეტი სული იყო შეზინული. ნაცრით და ძონძებით დაფარულ საწოლებზე ეძინათ ქალებს და კაცებს. ირგვლივ დალოდადნენ ბავშვები ხატლებივით; მათ მხოლოდ დაფხრეწილი პერანგები ეცვათ და მოურიდებლად უჩვენებდნენ ზეცას თავისი ტანის შიშველ უჯანარს. ამგვარი სახით თამაშობდნენ ალბად გამოქვაბულში მცხოვრება პირველყოფილი ადამიანის ბავშვები, ფიქრობდა ხოლი, და მისი გული ზიზღით ივსებოდა. ის აქ სიყვარულით და ცნობისმოყვარეობით სავეც მოვიდა, მაგრამ აქ განელდა მასში ერთიც და მეორეც, როგორ შეეძლო ფაქიზი ნერვების პატრონ ადამიანს, რომელიც იცნობდა ცხოვრების საუკეთესო, უნაზეს მხარეებს, ესწავლა ამ ადამიანების სიყვარული მაშინ, როდესაც ისინი შეურაცხყოფას აკენებდნენ ყველა მის გრძნობებს, როდესაც ეს ხალხი სიმყრალე იყო მისი ცხვირისათვის, საზიზღარი ღრიალი ყურისათვის და მახინჯთა კრებული თვალისათვის? რა გააკეთა მათთვის ცივილიზაციამ? რის გაკეთება შეეძლო? რისთვის იყვნენ ისინი გამოსადეგი, თუ არ იმ ბინძური მუშაობისათვის, რომელსაც მათ ძალით ახვევდნენ აქ თავზე? ასე მტყუყვლებდა მასში ანგლო-საქსის ზედიადობა, როდესაც უცქეროდა იგი ამ ხმელთაშუის ბრბოებს, და მას ზიზღსა ჰგვრიდა მათი თავების ფორმაც კი.

მაგრამ ხოლი არ ნებდებოდა ზიზღის გრძნობას და ნელა, თანდათან ყველაფერს სულ სხვა თვალებით დაუწყო მხერა. ჯერ ის გაიტაცა მალაროების თავისებურმა ჯადოსნობამ. ეს იყო ძველი მალაროები, ნამდვილი ქალაქები, რომლებიც გვირაბებივით ეწყვენ მთების ვულში; მთავარი გზები მრავალი მილის მანძილზე შიდიოდა წინ. ერთხელ ხოლმე თავი მიაწვება მუშაობას, მოგზაურობა რომ მოეწყო ერთ „თოქზე მავალთან“ ერთად, და ამგვარად მან მთელი თავისი არსებით აითვისა ამ ბნელი ლაბირინტის უსაზღვროება, თავისებურობა და სრული უდაბურობა. მალაროში № 2 ფენები ეწავენ ხუთი გრადუსის კუთხით; ცარიელი რონოდები მისდევდნენ მალლა დაუსრულებელ თოქს, საცხენი კი თავისი სიმძიმის დაწოლით მიექანებოდნენ ქვევით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ტორმანებისადმი უნდა ყოფილიყო მიქცეული; ხანდახან ზდებოდა, რომ რონოდა მოსწყდებოდა და მაშინ მიწაში მუშაობის ყოველდღიურ საშიშროებებს კიდევ ახალი საშიშროება ემატებოდა.

ხშირად ნახშირის ფენს ოთხიდან ხუთ ფუტამდე ჰქონდა სისქე; ეს იყო ბუნების სისასტიკე, რომელიც აიძულებდა მუშებს შეეფარდებინათ თავისი სი-



მალე მდაბალი თაღებისათვის იქ, სადაც ასალი ნახშირი შემდეგ იმის შემდეგ, რაც ხოლმე დაჯყო იქ რამდენიმე ხანი, მისთვის 'გასაგები შეიქნა თუ რისთვის ჰქონდა ამ ხალხს ყოველთვის თავები წახრილი, ზურგები მოღუნული და ხელები დაკიდებული, როგორც მიიმუნებს, ხანდახან საჭირო ხდებოდა ღროს გაკეთება და შემდეგ ნახშირის აფეთქება წამლით; ასეთ შემთხვევაში მალაროს მუშას უხდებოდა გვერდზე წოლა და ისე მუშაობდა, ამას კი თან მოსდეგდა სხვა ფიზიკური შედეგები.

როგორც ეს ასეც ხდება ყოველთვის ადამიანის ცხოვრებასთან უფრო დაახლოვებით გაცნობის შემდეგ, ზიზი თანაგრძნობად შეიცვალა.

აქ არსებობდა სრულიად განცალკევებული რასა მიწის ქვეშ დაბუდებული ვნომებისა, რომლებიც კომპანიამ პირადი სარგებლიანობის მიზნით ჩაყარა აქ და დააბა მაგარი ბორკილებით. ზემოთ, შუქში გაბანილ კანიონზე, მიექანებოდნენ შორს ნახშირით დიტვირთული ვაგონების გრძელი წყებები; ეს ნახშირი მიეწოდებოდა შორეულ ქვეყნებში, რომელთა შესახებ მალაროს მუშებს არაფერი არ ვაუგონიათ, ნახშირი ააწოდებდნენ ინდუსტრიის ბორბლებს, რომლის ნაყოფს ეს მუშები თვალთაყ კი ვერ დაინახებენ; ნახშირი მოქსოვს ბრწყინვალე აბრეშუმს მალაი წოდების ქალთათვის. გამოჰყვითს თვალისმომჭრელ ძვირფასეულობას და სამკაულებს; გააქანებს რბილსაწოლიან ვაგონების მიერ ქარაბუქის უდაბნოებზე და მთებზე, გააცურებს სასახლეების მზგაეს გემებს ცივი ქარბუქის ქვეყნებიდან მოელვარე ტროპიკულ ზღვებისაკენ. ხოლო აბრეშუმში ჩაქმული, სამკაულებით მორთული მალაი წრის ქალები სქამენ, სვამენ, დაიძინებენ, მოისვენებენ რბილ ბალიშებზე—და მათ იმდენადვე მცირე წარმოდგენა ექნებათ წყვილიადის საბრალო ქმნილებებზე, როგორც ამ უკანასკნელებს იმათ შესახებ. ზოლი ფიქრობდა ყოველივე ამის გამო [და, ჩაიკლა რა გულში ანგლო-საქსური ბუნების უკადრისობა და სიამაყე, გამართლება მოუძებნა ყველაფერს, რაც კი ზიზლის მომგვრელი იყო ამ ადამიანებში—იმით ბარბაროსულ მაჩაბლელილ ეარგონს, მკებნარიან ბინებს, მათ ნახევრად ტიტველ ბავშვებს.

§ 7.

დიდმა დრომ გაიარა მანამდე, სანამ ხოლმე თავისუფალი დღე იშოვა, რომელმაც ცოტადენი ცვლილება შეიტანა მის მონოტონურ მუშაობაში. მალაროში № 2 გაფუქდა ვენტილიაცია. ხოლი მიხვდა ამას ძლიერი თავის ტკივილით; გარდა ამისა, მუშები მოსდგენ ჩივილს, რომ მათმა ლამფებმა მკრთალად დაიწყეს მოკიდება. და აი, როდესაც საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო, გაიცა ბრძანება, რომ ჯორები ზევით ამოეყვანათ.

ეს იყო მეტად სასერიო საყურებელი. ხოლის საყვარელი არსებების აღტაცება, როდესაც მათ მზის შუქი დაინახეს, აუწერელად კომიკური იყო. შეუძლებელი შეიქნა მათი დაკავება, ისინი წებოდნენ ნაცრით დაფარულ ქუჩაზე და გორადნენ ზედ სიამოვნებით; როცა გარეკეს ისინი სოჯლის განაპირას, სადაც ნამდვილი ბალახი იყო მოსული, მათ დაიწყეს თამაშობა ისე, როგორც შკოლიდან სასერიონათ წაყვანილმა ბავშვებმა.



საქართველო

და აი, ხოლს გაუჩნდა რამდენიმე თავისუფალი სეკუნდა: [ჩსკ] უკლებლად იყო, უკმა ცნობისმოყვარეობით სავსე და ამიტომ აიარა ზემოთ კანიონით, მთების დასათვლიერებლად. როდესაც საღამოს ეამს უკან ბრუნდებოდა, მისი ერთფეროვანი ცხოვრება მალაროებზე მოულოდნელად ნათელი ფერადი სხივით გაწუქდა. შემთხვევით ის მოხვდა რომელიღაც ეზოში; ვიღაც ახალგაზდა ქალმა, რომელიც თოკიდან სარეცხსა ხსნიდა, ცნობისმოყვარეობით შეხედა მას. ლამაზი ქალი, მალალი, ღონიერი, ოქროსფერი თმებით, იმ წმინდა, ცოცხალი სახის ფერისა, რომლითაც ბუნება აჯილდოვებს მათ, ვინაც მუდმივი წვიმის ქვეყანაში სცხოვრობს. მას შემდეგ, რაც ხოლი კანიონში მოვიდა, ეს იყო პირველი ლამაზი მოვლენა, რომელიც მას თვალში ეცა და, რა თქმა უნდა, დაინტერესდა კიდევაც მით. ხოლს ეგონა, რომ მას უფლება აქვს უცქიროს ახალგაზდა ქალს შანამდე, სანამ ქალი მას უცქერის, და აზრადაც არ მოუვიდა, რომ თვითონ ის წარმოადგენდა არა ნაკლებ სასიამოვნო მოვლენას, — მთის ჰაერმა მისი ლოყები გააღვივა, მზიარული თვალები გაუბრწყინა, ხოლო მთის ნიავე კი წაბლისფერ თმებს ურხევდა.

— ალოო! — წარმოსთქვა ხოლის ქალმა ტკბილი ხმით, რომელშიაც აშკარად ისმოდა რაღაც ირლანდური.

— ალოო! — უპასუხა ხოლმა ქალიშვილს მისივე ტონით და შემდეგ უფრო ჩვეულებრივი კილოთი დაუმატა: „მაპატიეთ, რომ ასე შემოგვივარდით ეზოში“. ქალის დიდი თვალები ფართოდ გაიხსნა. — „გაიარეთ“, წარმოსთქვა მან.

— მე დიდი სიამოვნებით დაფრჩხობდი აქ, — შენიშნა ხოლმა. — ისეთი მშვენიერი სურათია მშის ჩასვლის.

— მე მივდგები გვერდზე და მაშინ თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იქნება მისი ყურება.

ქალმა აიღო თეთრეულის ნაწილი და ჩაყარა კალათაში.

— არა, — შენიშნა ხოლმა, — ეხლა ისე ლამაზი აღარ არის, ფერადები ჩაიფერფლა.

ქალი მოტრიალდა და შეხედა მას: — გეყოფათ. მე ბავშვობიდან მაჯავრებენ ჩემი თმების გამო.

— ეს ალბად შურიტ, — სოქვა ხოლმა და მიუახლოვდა, რომ უკეთ დაეთვალა იერებინა მისი თმები. ისინი ოდნავ დახტუტუტებულ კულულებად ეფინენ მისი შუბლის გარშემო და ეს სიამით ავსებდა ხოლის დეკორატიულ გრძნობას. უკან კი თმები შიშველ ნაწინავად ეშვებოდა წელამდე. ის ხედავდა ქალის ღონიერს, მუშაობას შეჩვეულ მხრებს, მათ აკლდა რომანტიული სინაზე, რომელიც ახასიათებს საერთოდ მიღებულ წარმოდგენას ქალის სილამაზის შესახებ, მიღებულად იმისა, მათში იყო ერთგვარი ვაგეცური მოხდენილობა. მას ეცვა ტანთლურჯი ვახუნებული ჩითის კაბა. სამწუხაროდ ის არ იყო საკმაოდ სუფთა, ხოლო ერთ ბეჭზე გაბეულიც იყო და შიგ ხორცი მოსჩანდა. ქალის თვალბში, რომელიც ხოლს აკვირდებოდა, ჯიუტობამ გაიფლავა. მან გადაიღო მნარზე თეთრეული და დარჩა იმგვარად მთელი საუბრის განმავლობაში.

— ვინა ხართ თქვენ? — შეეკითხა ის უცბად ხოლს.



- მე შენთან ჯო სმიტს, ვმსახურობ მეგზინიბეთ მალაქაში.
- რას აკეთებდით იქ ზევით, ნება მომეცით გკითხოთ?— და მან შეხედა ფრიალო კლდეს, საიდანაც იმის წინ ხოლი ქვებთან ერთად ჩამოვარდა.
- მე მინდოდა დამეთვალაიერებინა ჩემი სამეფო.
- თქვენი რაო?
- ჩემი სამეფო. ეს მიწა კომპანიას ეკუთვნის, მაგრამ სანახაობა, ლანდ-შაფტი ეკუთვნის ყველას, ვისაც კი უყვარს იგი.
- ქალმა ცოტა უკან გადაიგდო თავი.— სად შეისწავლეთ თქვენ ვერე ლაპარაკი?
- სხვა ცხოვრებაში, მანამდე, სანამ მეგზინიბე გავხდებოდი, მაგრამ მე არაფერი არ დამეიწყენია და აქ ბრწყინვალეების შარავანდდით მორთული მოვედი..
- ქალი ერთი წუთით დაფიქრდა ვაეის სიტყვებზე და შემდეგ მის სახეზე ღიმილი გამოჩნდა:— ეს უძველად იმგვარად ისმის, როგორც ლექსი. სთქვით რამე კიდევ.
- O, singe fort, so Süß, so feil *)—წარმოსთქვა ხოლმა დეკლამაციით გერმანულ ენაზე. ქალის სახეზე განცვიფრება გამოიხატა.
- ნუ თუ თქვენ ამერიკელი არა ხართ?— შეეკითხა იგი. ხოლმა ვაიციანაუტხო ენაზე ლაპარაკი ნორტ-ვალში კულტუროსნობის ნიშნად როდი ითვლენ ბოდა.
- ეს მე რემინიციკის მდგმურებისაგან გავიგონე,—უთხრა მან თითქოს ბოდიშის მოსახდელად.
- ჰო! თქვენ იქ სადილობთ?
- მე დადივარ იქ დღეში სამჯერ, მაგრამ არ შემიძლია გითხრათ, რომ ბევრსა ვსჭამდე. შესძლებდით თქვენ, მაგალითად, სულ ქონიანი ცერცვის ქამის?
- რა თქმა უნდა, არა,— ვაიციანა ქალმა,— მე ბებერი ქართოფილის ქამაც მკვოფა.
- შე კი მეგონა, რომ თქვენ ვარდის ფურცლებით იკვებებოდით.
- კარგი, გეყოფათ, ბოლოს და ბოლოს, თქვენ ალბად ბლარიისტონის თვის ვიკოცნიათ *).
- თქვენ თავებლობას იწყებთ, მისტერ სმიტ, მე აღარ მინდა ყური და გვიგდოთ.—ის მიტრიალდა და საქმიანი სახით თეთრეულის ჩამოსხნას შეუდგა მაგრამ ხოლის ვაგდება არც ვერე ადვილი საქმე იყო. ის კიდევ უფრო მიუახლოვდა მას.
- როდესაც ევშებოდი მთიდან, მე ვიხილე რალაც ვადოსნურად ლამაზი. იქ ზევით სიმკაცრეა და უდაბურობა, და აი მე მოვხედი კურთხეულ მხარეში, სადაც მზე ანათებს. აქ ველური ვარდი ჰყვავოდა. და მე გავიფიქრე: „ვარდები დელამიწის ყველაზე უფრო მივარდნილ კუთხებშიაც კი ჰყვავიან“.

*) ი, იმღერე კაფე, იმღერე ტაბლად, ნაზად.

*) ქვა ბლარინის სასახლის ციხის კედელში, იორკის საგრაფოში, არლანდაში, არის რწმენა, რომ ის, ვინც ამ ქვას აკოცებს, გამოქნილი ფარისველი გახდება.



— ისევ ლექსი! — წამოიძახა ქალმა. — მერმე რატომ მარტო უნდა იყავი თან ის ვარდი?

— ერთ ლექსში არის ნათქვამი: დასტოვე ველური ვარდი თავის ბუჩქზე, ის იქ იყავიღლებს კიდევ, თუ მოსწყვეტ, მალე დაქვენება.

— ეგ კიდევ ვინ იცის. ღამით შეიძლება ქარიშხალი ამოვარდეს და ფურცლები დაავლიჯოს, ხოლო თუ მოსწყვეტდით და დასტებებოდით მით, მისი დანიშნულებაც შესრულებული იქნებოდა.

რამდენად გრძობდა ხოლი თავის გონებრივ სიძლიერეს მასთან შედარებით, მაგრამ ეს გრძობა იზნეოდა განცვიფრებაში მარადიული საიდუმლოების წინაშე. შეგნებულად თუ შეუგნებლად, მან მოიპოვა მასზე პირველი ქალის გამარჯვება, მან შემოკვა მამაკაცის ფიქრები და აავსო იგი ცნობის მოკვარებით. რა სურდა რომ ეთქვა ანით ნახშირის ბასეინის ველურ ვარდს?

იმავე დროს ველური ვარდი დამშვიდებით აკეთებდა თავის საქმეს და სრულებით არ ეპარებოდა ექვი იმაში, თუ რა მნიშვნელოვან აზრს ატარებდა მისი სიტყვები. ფაქიზად აღზრდილი ქალის პირში მათი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ერთი იქნებოდა — გამოწყვევა,

მაგრამ ამ ქალის ნაქრისფერ თვალებში სიმჩატის კვალიც კი არ სჩანდა, იქ მხოლოდ ფარული სევდა იყო მოთავსებული, რას ნიშნავდა ეს ნაღველი ასეთი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე არსების მზერაში და სიტყვებში? ეგებ ეს მისი რასის მელანქოლია არის, რომელიც ირლანდიის ძველ სიძლიერებში გაისმის? ან თუ ეს ახალი, თავისებური მელანქოლიაა, დასაუღეთ ამერიკის: ნახშირის მაღაროებში დაბადებული?

მისი სახის მოხაზულობაშიც, ისე როგორც მის თვალებში, იყო რაღაც გამოცნობი. ნაქრის ფერი თვალები მოთავსებულიყვნენ მკვეთრად მოხაზულ მოწვეო წარბებ ქვეშ, რომლებიც სრულებით არ შეესაბამებოდნენ თმების ფერს. ტუჩებიც მკვეთრად და თითქმის სწორად ჰქონდა მოხაზული, ასე გეგონებოდათ, თითქოს ისინი წითელი ფერადით იყვნენ დახატული. ყველაფერი ერთად, როდესაც ის დაკვირვებით მიაჩერდებოდა ვინმეს, აძლევდა მას ცოცხალს, გამოუცნობ მეტყველებას, თამამსა და ოდნავ ჯიუტ იერს. როდესაც ის იღიმებოდა, ტუჩები უფრო რბილ ფორმას იღებდნენ, თვალები გაუხდებოდა სვედიანი და თითქმის მუქი. ეს ახალგაზრდა ირლანდიელი ქალი სწორედ რომ მიმზიდველი იყო, მაგრამ მისი გამოცნობა კი ადვილი საქმე არ იყო.

§ 8.

ხოლმა ჰყითხა მას სახელი. ქალმა უპასუხა, რომ მას ეწოდება მერი ბარკი და შენიშნა: „თქვენ აღზად აქ დიდხანს არა ხართ, თორემ აუცილებლად გაიგონებდით რამეს“ „ქერა მერის“ შესახებ. ასე მიხმობენ ჩემი თმების გამო“.

— თქვენ მართალი სიტყვით, მე აქ არა ვარ დიდხანს, — უპასუხა ხოლმა, — იმედი მაქვს, რომ დიდხანს დაეარები — თქვენი თმების გულისათვის. ნომცემთ ნებას, რომ ვინახულოთ როგორმე, მისს ბარკ?

ქალმა არაფერი არ უპასუხა და თავის სახლს შეხედა. ეს იყო სამი ოთა-



ხისაგან შემდგარი შეუღესავი ხის ქოხი, მას მეტისმეტი მოფრთხილება ექნებოდა. ირგვლივ მტყვარისა და ნაცრის ზვინები იდგა. ის, რაც როდესმე ღონე ყოფილა, სულ დანგრეული იყო, დარჩენილ ფიქრებს კი, როგორც ეტყობოდა, შეშად იყენებდნენ. ფანჯრებში მინები ჩაღვნილი იყო, სახურავზე სახელდახელოდ შეკეთებული დაზიანებული ადგილები მოსჩანდა.

— შემოძლია მოვიდეთ?—აჩქარებით გაიმეორა ხოლმე თავისი კითხვა იმ შეშით, რომ ქალს არ ეფიქრნა, თითქოს ის მეტად კრიტიკულად ათვალეიერებს მის ბინას.

— მობძანდით—უთხრა ქალმა და ასწია თეთრეულით საევე კალათი. ხოლი წივიდა და შველა შესთავაზა, მაგრამ ის ხელს არ ამოიღებდა კალათს. ქალს მაგრად ეჭირა თავისი ტვირთი და ჯიუტი სახით უტკვროდა ხოლს, ბოლოს წაილაპარაკა: „მოსვლით შევიძლიათ მოხვიდეთ, მაგრამ გაფრთხილებთ, ბატონო სმიტ, რომ ეს ადგილი უბედურია. ამას თქვენ მალე გაიგებთ მეზობლებისაგან.“

— არა მგონია, რომ მე ვინმე თქვენს მეზობელს ვიცნობდე.

მომჯადღებლობა ისმოდა ხოლის ხმაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქალის სახეს ჯიუტი მეტყველება არ შორდებოდა. — მაინც გაიგებთ თქვენ ამას, ბატონო სმიტ, გაიგებთ იმასაც, რომ მე მაილა მიჭირაეს თავი, და ეს ნორტ-ვალში არც ისე ადვილი საქმეა.

— თქვენ არ გიყვართ ეს ადგილი?—ჰკითხა მან. ხოლი მეტად გააოცო იმ ეფექტმა, რომელიც მისმა უბრალო ზრდილობის გულისთვის თქმულმა სიტყვებმა გამოიწვიეს. თითქოს სეტყვის ღრუბელმა დაჰფარა ახალგაზრდა ქალის სახე.

— მე მძავს იგი. ეს არის ყოველგვარი საშინელებისა და ეშმაკების ბუდე. ცოტაოდენი რჯევის შემდეგ ხოლმა ჰკითხა:—შემდეგში, როდესაც მეორედ მოვალ თქვენთან, თქვენ მომიყვებით მე იმას, რაც ვსურდათ იმ სიტყვებით გეთქვათ, ხომ?—და გაწითლებულ მერის კვლავ დაუბრუნდა მისი მომხიბლავი ღიმილი.

— შემდეგში, როდესაც მეორედ მოხვალთ, მე აღარ შეგაწუხებთ თქვენ ჩემი მწუხარებით. მაშინ მე შევიჭურებები „ზრდილი მანერებით“ და, თუ მოისურვებთ, ჩვენ შეგვეძლება გავისიგინოთ.

რემინიციისკენ დაბრუნებული ხოლი განუწყვეტილად ფიქრობდა გზაში ახალგაზრდა ქალის შესახებ, მაგრამ არა მარტო იმის შესახებ, თუ რა სასიამოვნო საყურებელია ის, ან თუ რამდენად გასაოცარი მოვლენა იყო იგი ამ ყოველად უნუგემო კუთხეში; ის ფიქრობდა იმის პიროვნების შესახებ, რომელიც მას ვერაფრის გზით ვერ გამოერკვია—სეგდა, რომელიც აწვა მის გულს, ველური ჯიუტობა, რომელიც ერთბაშად იღვიძებდა მასში, როგორც კი ხოლში მცირეოდენი თანაგრძნობა იჩენდა მისდამი თავს, —რამდენად მოღობა ის, როდესაც ხოლმა დაიწყო, თუნდაც ისეთი ბანალური ფრაზებით, მსატგრული ენით ლაპარაკი. საიდან იცოდა მან ლექსების ამბავი? მისთვის აუცილებელი იყო რაც შეიძ-



ლება მეტი ცნობები მოეკრიფა ამ ბუნების სასწაულზე, ამჟამად კარდის შესახებ, რომელიც ფრიალო კლდის ძირში ჰყვავოდა.

§ 9

მეოი შარკის ერთი თქმა, რომ ნორტ-ვალი საშინელებათა ბუდეა, ხოლისთვის მალე შეიქნა ნათელი და გასაგები. მან ბევრი ამბები გაიგონა ამ ქვესენელის ხალხისაგან და იქამდე მივიდა, რომ შიშისაგან თრთოლვას დაიწყებდა ყოველთვის, როდესაც მას ბადიით მიწის სიღრმეში უხდებოდა ჩასვლა.

მალაროს იმ ნაწილში, სადაც ხოლი მუშაობდა, იყო აგრეთვე ერთი თემბ-მაგარი, ნუწივით მოყვანილი თებლების მქონე კორეელი, სახელად ხო, რომელიც მუშაობდა იქ როგორც „თოკზე მავალი“. მის მოვალეობას შეადგენდა რონოდების ვრძელი რიგის გატარება კორიდორებში. „თოკზე მავალის“ სახელწოდება იმიტომ წარმოიშვა, რომ ის მოძრაობის დროს მძიმე რგოლზე იჯდა, რომელსაც თოკი ჰქონდა მიბმული, ერთხელ კორეელმა წინადადება მისცა ხოლს გაეელო მასთან ერთად. ხოლი დასთანხმდა, თუმცა ამით ის ერთნაირად ხიფათში ავდებდა, როგორც თავის ლუქვა პურს, ისე საკუთარი ორგანოების სიმართლეს. კორეელმა ზომ იკოდა რამდენიმე სიტყვა, რომლებსაც თვითონ ის ინგლისურად სთვლიდა, მაგრამ ხანდახან ზოგიერთი ამ სიტყვების გაგება მაინც შესაძლებელი იყო. მან მიუწვირა მიწას თითი და დაიკვირა რონოდების გრო-ალში: „დიდი მტვერი“. ხოლმა დაინახა ნახშირის მტვერის ფენი სისქით ექვს დიუმიამდე. კედლებზედაც იმდენი მტვერი იყო, რომ ადვილად შეიძლებოდა თავისი გვარის წარწერა ზედ. „დიდი იფეთქა!“ — სთქვა თოკზე მავალმა. როდესაც უკანასკნელი რონოდები მივიდნენ დანიშნულებისამებრ, კორეელი, რომელიც მათ გამოზრუნებას უცდიდა უკან გასაყოლად, ხელების ქნევით ცდილობდა აეხსნა ხოლისათვის ის, რასაც გულისხმობდა იგი ამ სიტყვებში. „რონოდა ტვირთი. ბუჰ! იფეთქა, როგორც ჯოჯოხეთი!“

ხოლმა იკოდა, რომ ამ მაღალ ადგილებში მთის ჰაერი მეტად მშრალი იყო. ეხლა მან ისაც შეიტყო, რომ მთის ჰაერის ასეთი თვისება, რომელიც ქვეყნის ყოველი კუთხის ავადმყოფთათვის ს ი ც ო ც ხ ლ ე ს ნიშნავს, მათთვის, ვინც თავის მუშაობით ავადმყოფებს სითბოს აძლევს, ნიშნავს ს ი კ ვ დ ი ლ ს. ჰაერი, რომელსაც უშვებდნენ მალაროებში უხარმავარი მანქანების საშუალებით, იელინთებოდა ყოველგვარი სინესტიით და სპობდა მას. ნახშირის მტვერის სქელი ფენი იმდენად მშრალი ხდებოდა, რომ საკმაო იყო ნიჩაფის ერთი გაკვრა, რომ აფეთქება მომხდარიყო. აი იმიტომ ამ მალაროებში გაცილებით მეტი ხალხი დაიღუპა, ვიდრე სხვებში.

სიღამოზე, ხოსთან მოგზაურობის შემდეგ, ხოლმა ჰკითხა ჯორების გამრეცს ტიმ რაფეტის, ნუ თუ არსებობს აფეთქების საშიშროების ამრიდი რაიმე საშუალება. არის რაღაც-რაღაც, უმისუხა ტიმმა; კანონი მოითხოვდა მალაროების მოფენას დანაყოფი აგურით, მაგრამ მის ახსოვდა მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთად ერთი შემთხვევა, როდესაც კანონის მოთხოვნის გამო პრაქტიკაში გატარდა. მალაროების საინსპექტორო დათვალიერებისათვის რამდენიმე



„მსხვილი მხეცი“ მოვიდა, და მათი მოსვლის წინ ყველგან მომძვინვარებულნი მალე მად აგური. მაგრამ ეს მოხდა რამდენიმე წლის წინად, იმის შემდეგ კი მოსაძვრკვევი აპარატი სადღაც იდო მიჩქნალული და მის შესახებ კრინტსაც არავინ სძრავდა.

იმგვარსავე მდგომარეობაში იყო მზრჩოლაეი გაზის საწინააღმდეგო ზომების საქმე. ნორტ-ვალის მალაროები განსაკუთრებით ბევრ გაზებს შეიცავდნენ. ძველ მალაროებში ისეთი მყარალი სუნო იდგა, თითქოს იქ ინახებოდა მთელი ქვეყნის საბუდრებიდან ამოკრეფილი ლაყე კვერცხები; გოგირდის წყალბადი ყველაზე უფრო უკოდველი გაზი იყო, რომლის შესუნთქვაც მალაროს მუშას უხდებოდა. გარდა ამისა ხდებოდა აქა იქ „აზოტის ორთქლი“, სუნს მოკლებული და ჰაერზე უფრო მძიმე; საკმაო იყო ერთი წერაქვის ჩარტყმა ნახშირის რბილსა და მსუქან ფენში, რომ იმავე წაშს განათვის უფლდებოდა აუარებელი დაგროვილი გაზი, რომელიც უამრავი საღუენების განმავლობაში უკვდიდა მისთვის განწირულ მსხვერპლს. ხდებოდა ხანდახან, რომ მალაროს მუშა უეცრად დაიძინებდა მუშაობის დროს, და თუ მისი თანაშემწე ახლოს არ იქნებოდა, ან თუნდა ერთი წუთითაც დააგვიანებდა მიშველებას, ის იღუპებოდა. ყველაზე მეტ საშინელებას იწვევდა ეგრედ წოდებული „გაზის შადრევანი“, რომელიც ანადგურებდა მთელ მალაროებს და ასობით ადამიანებს.

შესაძლო კატასტროფების თავიდან ასაცილებლად არსებობდა „ხანძარის ინსპექტორი“, რომლის მოვალეობას შეადგენდა მალარეობის შემოვლა, გაზების სათვის თვალყურის დევნება, შემოწმება იმისა, თუ რამდენად რიგზე სწარმოებს ვენტლიაცია და წესიერად მუშაობენ ჰაერის საქაჩაეი მანქანები, თუ არა. ის ვალდებული იყო შემოვლა მოეხდინა დილით ადრე, კანონი მოითხოვდა, რომ არავინ არ წასულიყო სამუშაოდ მანამდე, ვიდრე არ მოვიდოდა პატაკი, რომ ყველაფერი რიგზეა. მაგრამ რა უნდა ექნათ, თუ ხანძარის ინსპექტორი დროზე ვერ გაიღვიძებდა დილით, ან მაგრად დათერებოდა? არ შეიძლებოდა რომ მოეთხოვათ კომპანიისათვის, რომ მას ათასობით დოლარები დაეკარგა ამის გამო. ამიტომ ადგილი ჰქონდა ხოლმე ასეთ შემთავებს: მუშებს გამოუძახებდნენ სამუშაოდ, და ისინიც ბურღულნი და წყვეა-კრულნი ჩაეწებოდნენ მალაროში, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მათ აღარ შეეძლოთ მუშაობის გაგრძელება ძლიერი თავის ტკივილისაგან და ითხოვდნენ ზევით აყვანას. არა ერთხელ ობერ-შტივერი უარს ეუბნებოდათ თხოვნაზე, რადგან ეშინოდა, რომ სხვებიც მოინდომებდნენ შიშისაგან წასვლას.

ანალოგიური კატასტროფა მოხდა ერთი წლის წინად. ეს უამბო ხოლს სადილზე ერთმა ჯორების გამრეტაგანმა, ახალგაზრდა კროატმა. ეს მოხდა ასე. მუშები, რომლებსაც სხვებზე უმაღ უხდებოდათ ჩასვლა, დიდ უარზე იდგნენ. ვილაცამ ქვევით ცეცხლი აანთო და მოხდა საშინელი აფეთქება. მოკვდა რვა კაცი. აფეთქების ძალა არაჩვეულებრივი იყო; რამდენიმე კაცი ისე მაგრად შეახალა მალაროს კედელსა და ასაყვან ბადიის შუა, რომ იძულებული შეიქნენ მათი გვამები ნაპერ-ნაპერ გამოეღოთ იქიდან. კროატი ირწმუნებოდა, რომ კატასტროფაში დამნაშაენი არიან იაპონელები, მათ არ უნდა მიეცეთ მალაროებ-



ში თავისუფლად სეირნობის ნება, ვინაიდან თვით, ეშმაკი^{საქართველოში} შექმნილს თავი შეაკავებინოს სადაც მიჩქმალულ იაპონელს თამბაქოს მოწვევისაგან.

ამგვარად ხოლი თანდათან იკებდა, თუ ჩისტვის ითვლებოდა ნორტ-ვალი საშინელების ბუდედ. ბევრი, ძალიან ბევრ რამეს იტყოდნენ ძველი მალაროები, რომ მათ ლაპარაკი შეეძლოთ! როდესაც ხოლი ადევნებდა თვალს სამუშაოზე აჩქარებით მიმავალ მუშებს, მას აგონდებოდა, რომ სახელმწიფო სტატისტიკის თანახმად, ყოველ ათას მუშაზე უწევს ცხრა იუცილებელი სიკვდილისათვის განწირული, ხოლო დაახლოებით ოცდა ათი კაცი ათასში სამუდამოდ სახიზრდება. და მათ იცოდნენ ეს, იცოდნენ გაცილებით უკეთ, ვიდრე სახელმწიფოს ყველა სტატისტიკოსებმა; მაგრამ ისინი მიდიოდნენ მაინც სამუშაოდ! ეს იზრი იმდენად აოცებდა ხოლს, რომ მას თავიდან ვერ მოეშორებინა იგი. რა იყო ეს უძლიერესი ძალა, რომელიც მიერეკებოდა ხალხს სამუშაოზე? მოვალეობის გრძობა? ესმოდათ მათ, რომ ადამიანთა საზოგადოებას ესაჭიროება ნახშირი და უნდა ეინმემ ითაოს ეს „ქუქუიანი მუშაობა“, რათა დააკმაყოფილოს იგი ნახშირით? ეგებ ისინი თავს ინუტყეშებდნენ ოცნებით რაღაც დიადი, მშვენიერი მომავალის შესახებ, რომელიც აყვავდება, როგორც მათი ცუდად დაფასებული შრომის შედეგი?

ან ეგებ ისინი, არც მეტი არც ნაკლები, სულელები, ლიპრები არიან და ბრმად ემორჩილებიან სხვებს, ვინაიდან მათ არც ნებისყოფა გააჩნიათ და არც გონება, რომ სხვაგვარად მოიქცენ. ცნობისმოყვარებამ შეიბჰყო ხოლი, მას უნდოდა ჩაეხედა სულის სიღრმეში ამ უნერ და მოთინებით საესე შრომის ლაშქართათვის, რომლებიც მთელი საუკუნეების განმავლობაში იძლეოდნენ სხვების განკარგულებაში თავის თავს.

ხოლმა თანდათან ისწავლა ხალხის ცნობა, ის უკვე აღარ უტყუროდა მათ ისე, როგორც მასას, რომელიც ღირსია ან ზიზლის ან შებრალეების, არამედ როგორც პიროვნებათა რიგს, სადაც ყოველ პირს აქვს თავისი ხასიათი, თავისი საარსებო ამოცანები და კითხვები სრულიად იმგვარად, როგორც მზიან ქვეყანაში მცხოვრებლებს. მერი ბარკი, ტიმ რაფეტი, ყორველი ზო და კროტი მადეფი—ყველა ეს პიროვნებები ერთი მეორეს მისდევდნენ ხოლის თვალთახედვის წინ, იღებდნენ ცოცხალ გამომეტყველებას და აღძრავდნენ მასში სიბრალულს და ამხანაგურ გრძნობას. მართალია, ზოგი მათგანი გლახაკი იყო, მახინჯი სულით და ხორკით, სამაგიეროდ სხვები ახალგაზრდები იყვნენ, მათ გული იმედით უძგვრდათ და შიგ ამბოხების ნაპერწკალი უღვივოდათ.

იყო მაგალითად „ანდი“ ახალგაზდა ბერძენი. მისი სახელი ნამდვილად ანდროკულო იყო, მაგრამ ვინ მოაზრებდა მალაროებში ასეთი სახელის გამოთქმას? ხოლმა ის პირველად ქარხნის დუქანში შენიშნა; მან ყურადღება მიაქცია იმის ლამაზი სახის მოხაზულობას და ფართო თვალების ტანჯულ გამომეტყველობას. ისინი გამოელაპარაკენ ერთმანეთს. როდესაც ანდიმ გაიგო, რომ ხოლს მალაროებში არ გაუტარებია მთელი თავისი სიცოცხლე, არამედ უნახავს ზოგი ერთი რამ ქვეყანაზე, პირდაპირ ერუანტელის მომგვრელი მღელვარებით დაიწყო ლაპარაკი. ის მთელი თავისი სულით მისწრაფოდა სიხარულით და



თავდასავალით სავსე სიცოცხლისაქენ, — ხოლო იმავე დროს ღვთისაგან მას დღეში ათი საათი ნახშირის ფენთან ჯდომა, — უგრებში ნახშირის რახრახი, ცხვირში ნახშირის მტვერი — და თითებზე შიფერის ნაჭრების ამოკატევა ნახშირიდან. ის იყო ერთი მრავალ „ნახშირის ბიჭთაგანი.“

- რატომ არ წახვალთ მერმე აქედან? — ჰკითხა ხოლმა.
- ღმერთო ჩემო! როგორ უნდა წავიდეთ? მე მყავს დედა და ორი და.
- მაშა?

აქ ხოლმა გაიგო, რომ მაშა მისი იყო ერთი იმ დაღუპულთაგანი კატასტროფის დროს, რომელთა გვაშენების ამოღება ნაქერ-ნაქერ მოუხდათ მალაროდან. ეხლა შეიღწა დაიკავე მაშის ადგილი, და იქნება მასთან მიჯაჭული მანამდე, ვიდრე მისი საათიც არ დაჰყარავს.

— მე არა მსურს, რომ მალაროს მეშა ვიყო! — უვიროდა ახალგაზდა ბერძენი, — მე არა მსურს დავიღუპო!

ანდომ მოკრძალებით დაიწყო თათბირი ხოლთან, თუ რა საქმეს უნდა მოჰკიდოს მან ხელი, რომ გადასწევიტოს ოჯახის მიტოვება და ქვეყნად ბედნიერების საძებნელად წასვლა. ხოლი ცდილობდა მოეგონა, თუ ამ სანატრელ თავისუფლების ქვეყანაში რა ასპარეზე უნახავს მას შვედურმანი ბერძენის ბიჭები ფართო ნალვლიანი თავლებით.

ბოლოს და ბოლოს მან ვერაფერი მოიგონა უკეთესი, თუ არა ფეხსაცმელების მწვენიდელის ან სასტუმროში სამზარეულოს ბიჭის ხელობა: — ჰო, მაგრამ ნაჩუქარს მსუქანი „პადრონი“ წაიღებს.

ანდი დადიოდა შკოლაში. ისწავლა ინგლისური კითხვა, მასწავლებელი აძლევდა მას საკითხავ წიგნებს და კურსალებს ილუსტრაციით. მაგრამ ეხლა მისთვის ილუსტრაციები ცოტა იყო, მან მოისურვა ნამდვილად ენახა ის, რაც სურათში იყო გამოხატული. აქ, სხვათა შორის, ხოლმა გაიგო ერთი იმ დაბრკოლებათაგანი, რომლებთანაც მალაროების პატრონებს უხდებოდათ ბრძოლა; ისინი აგროვებდნენ მორჩილი ყმების ხროვას ოცი — ოცდაათი ეროვნებისაგან, ისეთ ხალხს, რომელსაც მოწონა უკვე ძველ-რბილში ჰქონდა გამაჯდარი. ამ ხალხის შეილებმა კი, უმზგავსოდ მოწყობილი ამერიკული შკოლების მეოხებით ისწავლეს ლაპარაკი და, ასე ვასინჯეთ, კითხვაც ინგლისურად. ამ გზით ისინი მეტად განათლებული ხდებოდნენ თავისი დანიშნულებისათვის და საკმაო იყო ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე აგიტატორი გამოჩენილიყო და ეშმაკიც მაშინვე აიწვევებდა ჯაჭუს. ამიტომ ყოველ ცალკე მალაროებს ჰყავდა კიდევ სხვაგვარი ხანძარის ინსპექტორი, რომლის მოვალეობას შეადგენდა მალაროებისთვის აეცდინა სულ სხვა აფეთქება — მთავადი ვაზის აფეთქება კი არა, ადამიანის სულის აფეთქება.

ამ მოვალეობას ნორტ-ვალში ასრულებდა სამთო წარმოების უფროსი ჯეფ კოტონი. ის სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, ვიდრე იმის თანამდებობის კაცს შეჰყურის, — გამხდარი, თითქმის მალალი წრის შეინარებით, ფრიაკში გამოწყობილი უფრო დაძლომატი გვეგონებოდათ. ის როდესაც უწყაყოფილო იყო რითინე, მისი პირი საზიზღრად დაიშანტებოდა. მას თან დაჰქონდა ექვსხაზიანი თოფი. როგორც კი ჯეფ კოტონი გამოჩნდებოდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო ასა-



მარტინელი

ფეთქებლად მომზადებული, მაშინავე გაძვრებოდა, რომ სჯდნის მტრურობით აფეთქებულყო. ასე მიუღობდა მშვიდობა და წესიერება ნორტ-ვალში. თუ რას ემყარებოდა ეს მშვიდობა და წესიერება, ამის დანახვა შეიძლებოდა საღამოობით შაბათს ან კვირას, როდესაც აწყენარებდნენ დამთვრალთ, ან და დილ-დილობით ორშაბათს, როცა მათ არუკდნენ საწოლებიდან და წიხლის კვრით გაამხნევებდნენ მუშაობის დასაწყებად.

გარდა ჯეფ კოტონისა და მისი თანაშემწის ბუდ ადამსის, რომლებიც გარკვეულ ნიშნებს დაატარებდნენ და რომლებსაც ყველა იცნობდა, იყვნენ კიდევ მრავალი სხვა თანაშემწენი; ამ უკანასკნელებს არ ჰქონდათ არაერთიანი ნიშნები და არც სურდათ, რომ ეს ამბავი სხვებსა სცოდნოდა.

ერთხელ საღამოს, ბადიით ზევით ასვლის დროს, ხოლმა შენიშნა კროატ მადვიგს ქარხნის ღუქანში არსებულ მაღალ ფასების შესახებ და ძალიან გაუკვირდა, როდესაც პასუხად მიიღო მაგარი ფეხის კვრა. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ის სივარდით წავიდა, მადვიგმა აუხსნა თავისი ტკევა: „ეს წითური ბიჭი, ეს გეს... უფროზილდი მას. ის კომპანიის მაძიებელია“.

— მართლა თუ? დაინტერესდა ხოლი.—საიდან იცი თქვენ ვა?

— ვიცი, ეს ყველამ იცის.

— მაგრამ მას სრულებით არა აქვს კუთვნილი სახე.—შენიშნა ხოლმა, რომელსაც მაძიებელზე შერლოკ ხოლმის მიხედვით ჰქონდა შედგენილი წარმოდგენა.

— მისთვის სრულებითაც არ არის საჭირო რომ კუთვნი იყოს. ის წავა მხოლოდ ზედამხედველთან და ეტყვის: „ჯო ბევრსა ლაყობს, ის ამბობს, რომ ქარხნის ღუქანში მას ატყუებენ“. ხომ ყოველ მტერს შეუძლია ამის მოხერხება?

— რა თქმა უნდა,—დაეთანხმა ხოლი.—მერმე კომპანია აძლევს რამეს მას ამის გულისთვის?

— მას აძლევს ზედამხედველი, ათრობს არაყით, შეიძლება ფულსაც აძლევდეს. შემდეგ ზედამხედველი მოვა თქვენთან: „თქვენ ჩემო ძმაო, ძალიან გრძელი ენა გაქვთ, წაეთრიეთ აქედან!“ გაიგეთ?

ხოლმა გაიგო.

— შემდეგ თქვენ მიდიხართ აქედან დაბლა კანიონით და ცხადდებით, შეიძლება, სხვა მაღაროებზე. ზედამხედველი გეკითხებათ: „სად მუშაობდით?“ თქვენ უპასუხებთ: „ნორტ-ვალში“. ის ამბობს „თქვენი გვარი?“ თქვენ: „ჯო სმიტ“. ის: „დაიცადეთ“, შემდეგ გადის გადაათვალიერებს ქაღალდებს, დაბრუნდება და გეუბნებათ: „თქვენთვის სამუშაო არ არის“. ის გეუბნებათ: „თქვენ ძალიან გრძელი ენა გაქვთ, წაეთრიეთ აქედან!“ გაიგეთ?

— თქვენ ფიქრობთ, რომ შავ სიას აწარმოებენ?—შეეკითხა ხოლი.

— დიას, შავ სიას. ხოლო თუ თქვენ რაიმე ცუდს აიკვირებთ, კრინტს დასძრავთ „მუშათა კავშირების შესახებ“—„მუშათა კავშირების“ ხსენების დროს მადვიგის ხმა ჩურჩულად გადაიქცა,—მაშინ დაგზავნიან ყველგან თქვენს ფოტოგრაფიას, და თქვენ ვერ იშოვით სამუშაოს მთელ შტატში. როგორ მოგწონთ თქვენ ეს?

§ 11.



არ გასულა ძალიან დიდი ხანი, და ხოლს გაუჩნდა შემთხვევა თვალი ეღვენებინა ჯაშუშობის სისტემის გაცხოველებული იმუშავებისათვის, და აქ მან მიიღო ცოტაოდენი წარმოდგენა იმ უდიდესი ძალის შესახებ, რომელიც მიგრეკებოდა ამ უენო, მორჩილ ლაშქრებს სამუშაოზე. ერთი კვირა დღეს დილით ის დაეხეტებოდა თავის ძმაკაც ტიმ რაფერტისთან ერთად; ტიმი იყო გულკეთილი ახალგაზდა, მეოცნებე ცისფერი თვალებით და კვარტლით შემურვილი სახათ. ისინი მიაღდგნნ სახლს, სადაც ტიმი სცხოვრობდა, და ამ უკანასკნელმა სთხოვა ხოლს შესულიყო მათსას და გასცნობოდა მის ოჯახს. ტიმის მამა იყო წელში მოხრილი, მუშაობისაგან გაძვალტყავებული კაცი, თუმცა მის ძარღვიან სხეულში ჯერ კიდევ ბევრი ჯანი იყო — პროდუქტი მრავალ თაობითა, რომლებმაც მალაროებში მუშაობას შესწირეს თავიანთი სიცოცხლე. ის ორმოცდაათი წლისაც კი არ იყო, მაგრამ ამხანაგები მას „მოხუც რაფერტის“ ეძახდნენ. მან ცხრა წლის ბავშვმა დაიწყო მუშაობა მალაროს ბიჭის თანამდებობაზე; ის უჩვენებდა ხოლს ალბომს წინაპრების გახუნებული ფოტოგრაფიული სურათებით, „ძველ სამშობლოდან“.—ნაღვლიანი ნაოკებიანი სახის ხალხი, ისინი ისხდნენ უძრავი და გასწორებული.

დედა ხმელი ქალი იყო, ჭაღარა და უკბილო, მაგრამ კეთილი სახის. ხოლს მოეწონა ის, რადგან მან იცოდა სახლის სუფთად შენახვა. ხოლი დაჯდა ზღურბელთან, მას გარს შემოერტყენ პატარა რაფერტები, კვირა დღის გამო ახლად დაბანილი სახეებით. ხოლი ართობდა მათ ათასნაირი თავგადასავლის მოყოლით, რომელსაც ის კლარკ რესსელიდან და მაინ-რიდიდან იღებდა. ამის გამო მას სთხოვეს მონაწილეობა მიეღო მათ საუბრეში, მისცეს სუფთა ჩანგალი, დანა და ერთი თევში ცხელი აორთქლილი ქართოფილი ღორის ხორცის ორი ნაჭრით. ეს მას იმდენად მოეწონა, რომ მაშინავე იკითხა, არ შეიძლება, რომ მიატოვოს მან რემინციკი და აქ გადმოსახლდეს.

მისის რაფერტიმ თვალები დააქყიტა.

— რატომ არა სთქვა მან. მაგრამ კარგი უნდა რომ მაგის ნება მოგცენ.

— რატომ?—კითხა ხოლმა.

— ეს ცუდი მაგალითი იქნებოდა სხვებისთვის.

— მაშ მე ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ვყოფილვარ რემინციკისთან ვიცხოვრო?

— არის მთელი ექვსი პანსიონი, რომლებიც კომპანიას ეკუთვნის,—სთქვა დიასახლისმა.

— მაინც რა უნდა მოხდეს, რომ დავბინავდე თქვენსას?

— თქვენ მიიღებთ ჯერ გაფრთხილებას, შემდეგ თქვენ ანგარიშს გაგისწორებენ, შეიძლება ჩვენაც.

— მაგრამ ბლოკშტატში რომ იღებენ მდგმურებს რამდენიც უნდათ?

— ოჰ, ისინი უცხოელები არიან! მათ არავინ ყურადღებებს არ აქცევს და როგორც მოეხერხებათ ისე სცხოვრობენ. თქვენ კი რემინციკიდან დაიწყეთ და თქვენი გადასვლა საშიში იქნება მათთვის, ვინც თქვენ იტყვიან გადაგიტყუებს.



— შე ვხედავ, — გაიცინა ხოლმა, — რომ აქ ყველგან საშეშრევეთა უკვლია.

— უმკვეთლად. ნიკ ემენსი დაითხოვეს იმისთვის, რომ მისი ყოველი კრძებს ქვევით კანონში ყიდულობდა. ბავშვი ავად ჰყავდათ, და ის ნარეცი, რომელსაც ქარხნის დუქანში ჰყიდიან, არაფრად არ ვარვა. მე ვუთქვამ, ისინი ცარცს ურევენ შიგ, ყოველ შემთხვევაში ძირს ყოველთვის რჩება თეთრი ნალეტი.

— განა ყველა ვალდებულია დუქანში იყიდოს?

— შე მგვონა თუ თქვენ აღრეც მუშაობდით მალაროვებში, — შენიშნა მოხუცმა რაფერტიმ, რომელიც აქამდე ჩემად უკვდებდა ლაპარაკს უფრს.

— ვმუშაობდი, — სთქვა ხოლმა. მაგრამ იქ არ იყო მთლად ასე ცუდათ საქმე.

— შე ძალიან მინდა ვიცოდე, სად იყო ეგ, რომელ ქვეყანაში, — შენიშნა მისისის რაფერტიმ. — შე და ჩემი მოხუცი მრავალი მძიმე წლების განმავლობაში სულ ამოად ვეძებდით რაიმე უკეთესს.

აქამდე საუბარი სრულიად ჩვეულებრივი ტონით მიმდინარეობდა, ეხლა კი უცებ თითქოს რაღაც ჩრდილი ჩამოეფენია, შიშის ჩრდილი. ხოლმა შეამჩნია, თუ როგორ შეხედა ცოლს მოხუცმა რაფერტიმ, შეიკრა წარბი და ანიშნა რაღაც. მართლაც და, რა იცოდენ მათ ამ კარგად გამოშინარალი ახალგაზრდა მოსულის შესახებ, რომელიც ასე მოხერხებულად ლაპარაკობდა და რომელსაც ამდენი რამ ენახა ქვეყანაზე?

— ჩვენ სრულებით არ ვჩივით, — სთქვა მოხუცმა. მისმა ცოლმა კი საჩქაროდ დაუმატა: „ნახშირის ბასეინში რომ ხელზე მოვაჭრენი შემოეშვან, მე მგონია, მათ დისასრულიც კი აღარ ექნეთ. ჩვენ აქ ისევე კარგად ვვექცევით, როგორც ყველგან“.

— მუშის ცხოვრება ძნელია ყველგან, ეს სახუმრო საქმე როდია, — სთქვა მოხუცმა.

როდესაც ახალგაზრდა ტიმმა ც მოისურვა თავისი შეხედულების გამოთქმა, ის ისეთი აშკარა შიშით ჩააჩუმეს, რომ ხოლს გული ეტკინა და საჩქაროდ საუბარის თემა გამოსცვალა.

§ 12

იმავე კვირა დღეს, საღამოთი, ხოლი დაპირებისამებრ მერი ბარკთან წავიდა. ქალმა გაუღო მას შესავალი ოთახის კარი და, მოუხედავად იმისა, რომ მისი ნივთის ლამაზ სუსტად ანათებდა, ხოლს მაშინავე რაღაც სინათლე და სითბო მოეფინა გაღებულ კარიდან. „აღლო!“ სთქვა მან სრულიად ისე, როგორც მაშინ, როდესაც ხოლი მის ეზოში მიეხეტა მთიდან. ხოლი შეჰყვია ქალს ოთახში და მხოლოდ ეხლა შენიშნა, რომ სინათლისა და სითბოს შთაბეჭდილება თვითონ შერისაგან გამომდინარეობდა. როგორ ცოცხლად და ფაქიზად გამოიყურებოდა! ძველი ლურჯი ჩითის კაბა სუფთათ გაუთოვებული იყო, ახალ ლურჯ საკერავს დაეფარა წინანდელი გაბეული ადგილი.

ვინაიდან სამი ოთახიდან, ორი აუცილებლობის გამო, საწოლ ოთახებად იყო გადაქცეული, ამისათვის მერი თავის სტუმრებს სამზარეულოში იღებდა.



ერთად ერთი, რითაც კი შეეძლო ახალგაზრდა ქალს დაემშვენებინა თავისი ბინა, ეს იყო სისუფთავე. ხის იატაკი სუფთად იყო მორეცხილი, კედლები და გახეტილი ჩაინიკი ლანგარზე ელავედნენ. ოთახში იყო მერის და ჯენნი, პატარა შავთმიანი ხმელი ვოგონა, მკრთალი, შეშინებული სახით, და ტომი, მრგვალთავიანი პატარა ბიჭი, რომელიც ათიათასს იმგვარსავე მრგვალთავიან, სახედახორკლილ ბავშვებს ჩამოჰკავდა. ბავშვები ისხდნენ თავის სკამებზე გასწორებული, როგორც სანთლები, და, ცოტა არ იყოს, მტრულად მისჩერებოდნენ სტუმარს. ხოლს ეჩენია, რომ საერთო წმენდისა და მილაგების დროს არც ბავშვები იყვნენ ალბად დავიწყებული და, ვინაიდან დანამდვილებით არავის შეეძლო ეთქვა თუ როდის მოვიდოდა სტუმარი, ამიტომ, აშკარა არის, ისინი ყოველ საღამოს განიცდიდნენ დაბანის არა სასიამოვნო პროცედურას. ხოლს ადვილად შეეძლო წარმოედგინა, თუ რა ოჯახურ სცენებს ჰქონდა ამის გამო ადგილი და რა თავაზიანობას მოკლებული შენიშვნები გაისმოდა მერის „ახალი შეგობრის“ მიმართ.

ისე სჩანდა, თითქოს მთელი ეს ბინა რალაც შიშის მოლოდინში იმყოფებოდა. მერიმ არა სთხოვია ხოლს დაჯდომა და თვითონაც ფეხზე იდგა მის წინ გამორეცხვილ მღვთმარებაში.

ხოლმა მიმართა ბავშვებს რამდენიმე აღერსიანი სიტყვით, ქალმა მაშინვე მისცა ხოლს წინადადება: „ხომ არ მოვიყვანოთ სისრულეში განზრახული გასეირნება, მისტერ სმიტ?“

— სიამოვნებით, — უპასუხა ხოლმა და იმ დროს, როდესაც მერი გატეხილი სარკის წინ ქუდს იხურავდა, მან ღიმილით უთხრა ბავშვებს ორი სტრიქონი ლექსი:

ო, მერი-ჯენნი, ბილიკზე გამო,
მთვარე ანათებს თოვლივით თეთრი.

ტომი და ჯენნი მეტად მოკრძალებული იყვნენ რომ ეპასუხნათ ხოლისათვის: „აქ მთვარე სრულებითაც არა სჩანს“.

ისინი გამოვიდნენ ქაზიდან. სასიამოვნო იყო მთვარის სინათლეზე ზაფხულის თბილ ღამეში სეირნობა, განსაკუთრებით სოფლის განაპირას, სადაც უფრო ნაკლებად სჩანდა დაღლილი ხალხი თავიანთი ბინების წინ და მყვირალა ბავშვები. სეირნობდნენ მთვარიანში სხვებიც წყვილ-წყვილად. ყველაზე უფრო მიიმე დღის მუშაობას არ ძალუძს, როგორცა სჩანს, გამოსწოვოს ადამიანში ძალა იმდენად, რომ ის არ დანებდეს ზაფხულის ღამის ჯადოსნობას.

ხოლს, რომელიც საკმაოდ მოღლილი იყო, არაფერი არ სურდა ინაზე მეტი, რომ ევლო აი ასე და დამტკბარიყო სიჩუმით. რაც შეეხება მერი ბარკს, მას უფრო დაახლოვებით უნდოდა თავისი იდუმალი თანამგზავრის გაცნობა.

— რა თქმა უნდა, დიდი ხანი არ არის, რაც თქვენ მაღაროებში მუშაობთ, მისტერ სმიტ, — შენიშნა მან.

— როგორ მიხვდით თქვენ ამას?

— თქვენ ისე არ გამოიყურებით, ისე არ ლაპარაკობთ, თქვენ სულ სხვა



ხართ, ვიდრე სხვა დანარჩენები აქ. არ ვიცი, როგორ ვსთქვამთ მას, არის რაღაც ისეთი თქვენში, რაც მიძღვლებს მე გაიხსენო ლექსები.

თუმცა ხოლს ცოტა არ იყოს ესამოვნა მერის ასეთი გულუბრყვილო თქმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას არ უნდოდა გაეგრძელებინა საუბარი თავის პიროვნების შესახებ. მან ხელი სტაცა სიტყვის „ლექსები“. „მე წამიკითხავს ზოგიერთი რამ, — სიტყვა ახალგაზდა ქალმა. შეიძლება მეტი, ვიდრე თქვენ ფიქრობდეთ“. უკანასკნელ სიტყვებში ხელახლა გაისმა მისი წინანდელი ჯიუტობა.

ხოლმა დაუწყო მას გამოკითხვა და გაიგო, რომ, ისე როგორც პატარა ბერძენმა ანდომ, მერიმაც განიცადა ამერიკელი სახალხო სკოლის, ამ ტენის გამომამუხიზლებელი დაწესებულების, გავლენა. მან ისწავლა კითხვა, ახალგაზდა კვლევითი მასწავლებელი ქალი ეხმარებოდა მას და ხელს უწყობდა წიგნებით და ტურნალებით. ამგვარად მან ხელს იგდო ძვირფასი საგანძურის გასაღები, ჯადოსნური ხალხია, რომლის საშუალებით ის შესძლებდა მთელი ქვეყნის შემოყრენას, — ასე მხატვრულად გამოსთქვა თავისი აზრი თვით მერიმ. — მის მიერ წაკითხულ წიგნთა შორის იყო აგრეთვე „არაბული ზღაპრები“. წვიმიან ამინდში მერი ჩვეულებრივ მიჯდებოდა ოთახში მუდრო და სინათლიან ადგილას, სადაც მას ხელს ვერ შეეშლიდნენ ბავშვები, და შეუდგებოდა კითხვას.

ჯო სმიტს წაკითხული ჰქონდა იგივე წიგნები, რაც მერის, და ამან მოახდინა ქალზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება, ვინაიდან წიგნები ძვირი იყო და ძნელი საშოვარი, მერიმ უამბო ხოლს, თუ როგორ შემოიღობინა მან მთელი ნორტ-ვალის მოსახლეობა ახალი ჯადოსნური ხალიჩების სანათობოგობლად. როგორ მოახერხა მან ლონგველის „ლექსთა კრებულის“ შოვნა, რაღაც ამერიკელი მოთხრობის, რომანის „ღვივთ კომერცილის“ და დასასრულს, რაც ყველაზე უფრო შესანიშნავია — რომანის „Гордость и предрасеудие“ ბედის წერის საშინელი თავაში, — ნაძალადევი, სანტიმენტალურად ათრთოლებული ახალგაზდა ქალი, ჯერ აუსტენი ველური დასაუფეთის ნახშირის ერთ მაღაროზე ერთგვარი თავგადასავალი როგორც თვითონ ჯენისათვის, ისე მერისათვისაც.

როგორ აითვისა ის მერიმ? — ეკითხებოდა ხოლი თავისათვის. სტკებოდა იგი, წერილობანი ნოქარი ტალებივით, იმგვარი სცენებით, სადაც წყალ-წყალა ფერადებით აღწერილი იყო ენაყოფილი ცხოვრება? და მან გაიგო, რომ მერის საშინლად მოუკლა რომანმა გული. ეს შორეული სამყარო მისი თავისუფლებით და სისუფთავით, სადაც აღაშინებნი ლანახად და ღირსეულად სცხოვრობდნენ, მისთვის როდი იყო შექმნილი: მერი სცხოვრობდა მაღაროებზე სარეცხით საგსუ გობზე მიკრული. მის შემდეგ, რაც დედამისი მოკვდა, კიდევ უფრო გაუარესდა ყველაფერი. მისი ხმა, როდესაც ის ჰყვებოდა ყოველივე ამას, როგორღაც გაქვავდა და დაჭარბა ბევრა. არასოდეს არ გაეგონა ხოლს ახალგაზდა ხმაში ასეთი ყოვლად უიმედო გამწარება.

— თქვენ მხოლოდ ამ კუთხეში სცხოვრობდით? — ჰკითხა ხოლმა.

— მე ყოფილყარ კიდევ ორ სხვა მაღაროზე, — უბასუხა ქალმა, — ჯერ გორდონში, შემდეგ ისტერნ-რანში. თუმცა, ისინი ერთნაირი არიან ყველანი.



ეროვნული
გაზეთი

— ქალაქებში ხომ არ შეგხვედრიათ ყოფნა?
— დავდიოდი ხოლმე წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ. ერთხელ შერი-
დანში მე ვნახე, როგორ მღეროდა ეკლესიაში ერთი ქალი.

მერი გაჩუმდა ერთი წუთით, ის მოგონებაში წავიდა, შემდეგ უცხად მისი
ხმა გამოიკვალა და ხოლმე იგრძნო თითქოს ქალმა სიბნელეში ჯიუტად გა-
დიგდო თავი უკან.

— მე არა მსურს თავი მოვაბეზროთ ჩემი ტკივლებით. მე კარგად ვიცი,
თუ რამდენად მოსაწყენია სხვებისათვის ასეთი ამბავის ყურის გდება—ეს მე
თვითონ გამოვსცადე ჩემო მეზობელ ქალზე, მისის ცამბონზე. ოქვენ ხომ არ
იცნობთ მის?

— არა, უპასუხა ხოლმე.

— მხოლოდ ღმერთმა უწყის, თუ რამდენი საზრუნავი აქვს იმ საწყალს.
ქმარი არაფრად ეარგა, ლათობს ვაბშით. გარდა ამისა, მას ჰყავს თერთმეტი
სული ბავშვი, ეს მეტად ბევრია ერთი ქალისათვის, ხომ დამეთანხმებით ამაში?
მან ჰკითხა ეს ისეთი გულუბრყვილობით, რომ ხოლს არ შეეძლო არ გას-
ცინებოდა. კი,—დაეთანხმა ის,—მეც ავრე ვფიქრობ.

— მე მგონია, ის რომ ნაკლებ სჩვიოდეს, მეტი სურვილით დაეხმარებო-
დენ მას. თანაც ის ყოველივე ამას ჰყვება რალაც ნაბევრად სლავიანურ ენაზე,
რომელიც არავის არ ესმის. და აქ მერი მოსდვა მთელი რიგი სასაცილო ამ-
ბების მოყოლას მისის ცამბონისა და სხვა უცხო ენაზე მოლაპარაკე მეზობლე-
ბის შესახებ, რომლებიც ისე საოცრად ამაბინჯებენ ირლანდურ დიალექტს.
ხოლის ახრით მისი იუმორი გულუბრყვილო და საუცხოვო იყო, და ის ცდი-
ლობდა სვირნობის დანარჩენი ხნის განმავლობაში ხელი შეეწყო მერის მხი-
არული განწყობილებისათვის.

§ 13.

მაგრამ, როდესაც შინ ბრუნდებოდნენ, მათ უსიამოვნება შეემთხვათ. იმათ
უკან ფეხის ხმა გაისმა. მერი მიტრიალდა. შემდეგ ხელი წაავლო ხოლს სახე-
ლოში, წასწორჩულა, რომ განუმეხულებულიყო და წაათრია იგი სიღრმეში ჩრდილი-
საკენ. მათ გვერდით ბობლვით გაიარა წელში მოხრილი მამაკაცის ფიგურამ.

კაცმა რომ გაიარა, მერიმ სთქვა: "ეს მამაჩემია, როდესაც ის ასეთ
მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა შ ი ი მ ყ ო ფ ე ბ ა, უმჯობესია, რომ მთლად არ დაიწა-
ხო მას. ხოლს ესმოდა სიბნელეში ქალის აჩქარებული სუნთქვა.

მას აი თურმე რა აწუხებდა ასე ძლიერ მერის,—აი ის დარდი, რომელიც
მათ სახლს დასტრიალებდა თავზე და რომელიც ქალმა გაცივრით უხსენა მას
საუბარში მათი პირველი შეხვედრის დროს. და ხოლი სწრაფად მიხვდა ყველა-
ფერს,—მიხვდა, თუ რად იყო მის სახლში ისეთი მოწყენილობა და სიცალიერე,
რისთვის არა სთხოვა მერიმ დაჯდომა მას ცოტა ხნით. ხოლი ჩუმად იდგა მის
წინ და არ იცოდა რა ეთქვა. და ვიდრე ის მოგონებდა შესაფერ ფრახას, მე-
რემ წამოიძახა: „ო, როგორ მგზობლება ოკალახანი, რომელიც ჰყიდის მამა-
ჩემს ამ საძაგლობას; მას აქვს სახლი, სადაც ის სჯამს რამდენიც უნდა, მისი ცო-



ლი აბრეშუმის კაბებს იცვამს, კვირაობით წირვაზე დადის მხამუნთა მუშის ქალის წინ ამაყად სწევს ცხვირს მალლა! ხანდიხან მე შებატებო სსტკსტსტს, რომ მოველა ორივე!

— მანდედან ბევრი არაფერი გამოვა, — უპასუხა ხოლმა.

— ჰო, მეც ვიცი, მათ ნაცვლად სხვები გამოჩნდებიან. საჭიროა უფრო მეტი გაკეთება, ღონდა გამოსცვალოს კაცმა საერთოდ მთელი აქაური წესები: საქმის დაწყება კარგი იქნებოდა იმათგან, ვისაც ო'კალახანი ფულს აძლევს ამის გულისათვის.

მაშ ასე, მერის სული პირველ მიზეზის გამოჩნრეკას ცდილობდა. ხოლი კი მის სულიერ მოძრაობას ხსნიდა სიარცხელით ან შიშით იმ სასტიკი შეხვედრის წინაშე, რომელიც შესაძლებელია მოელოდა მას სახლში დაბრუნების დროს ხოლ უორნერის ბუნებაში სნობიზში ჯერ კიდევ ღრმად იყო ფესვგადგმული, და ის მეტად გააოცა უბრალო მაღაროს მუშის ქალის სულიერმა ქვეყანამ. და დღესაც, ისე როგორც პირველი შეხვედრის დროს, სიბრაღელის გრძნობა მასში ცხოველი ინტერესით შეიცვალა.

— მოელეხა ხომ ოდესმე ბოლო ყოველგვარ ღოთობას, — სთქვა მან.

წინად ხოლს აზრადაც არ მოსვლია, რომ ის შეიძლებადა ყოფილიყო მაგარი სასმელების აკრძალვის მომხრე, ეხლა კი ის უფერად დარწმუნდა ამაში.

— თუ ეხლავე არ მოელის ამას ბოლო, ეწიშობ, რომ გვიანლა იქნება. გული ღონდება, როდესაც ეუცქერი, თუ როგორ ბრუნდებიან შინ ახალგაზნდა მუშები, მთვრალეები იმდენად, რომ ფეხზე გაჩერებაც კი აღარ შეუძლიათ.

ხოლს ჯერ კიდევ არა ჰქონია შეითხვევა ვასცნობოდა ნორტ-ვალის ცხოვრების ამ მხარეს.

— პატარა ბიჭებსაც ჰყიდიან არაყს?

— რა თქმა უნდა. ვის რა ესაქმება? განა პატარა ბიჭის ფული იმგვარადვე არ არის, როგორც დიდის?

— შე ვფიქრობდი, რომ კომპანია...

— კომპანია სცემს იჯარით სამიკიტხოვებს, ყოველივე დახარჩენი მას არ ეხება.

— კი, მაგრამ მაღაროს მუშების შრომის უნარიანობა უნდა ნიშნავდეს რამეს მათთვის თუ არა?

— მუშებს ისინი ყოველთვის იშოვიან რამდენიც უნდათ. ვისაც არ შეეძლება მეტი მუშაობა, მას ვაადგებენ, მორჩა და გათავდა.

— განა ვერც ადვილია მკოდნე მუშების შოვნა?

— ნახშირის ამოღებას ბევრი ცოლნა არ უნდა, გაცილებით მეტი ცოლნა და ნიჭია საჭირო იმისათვის, რომ შენი ძელები მრთელი შეიჩინო, მაგრამ, თუ ვინმე დამიტყრევს ძელებს, — რა ესაქმება კომპანიას ხვეისი დამტყრეული ძელების?

ისინი ვიადგენ ქოხს. შერი ჩემად იდგა ერთ ხანს, შემდეგ უცბად სთქვა: „მე ისევე ჩივილს მოვსდები, მაშინ როდესაც მე თქვენ „ზრდილ წესებს დაგპირდით“. მაგრამ ხდება ყოველთვის რალაც ისეთი, რაც მე ხასიათს მიფუქებს. —



ის სწრაფად შეტრიალდა და გაიჭკა სახლში. ხოლმა დაიკვირდა, ხანს, ვგებ ისე დაბრუნდესო, იფიქრა. შემდეგ, როდესაც შეხედა, რომ შერი აღარ ბრუნდებოდა, წელა გაუდგა ქუჩას.

ის მეტად დაღონებული იყო, ასეთ მდგომარეობას იგი პირველად განიცდიდა ნორტ-ვალში. აქამდე ის ახერხებდა გვერდზე დგომას, განმარტობას. საშუალება რომ ჰქონებოდა მიუტკრძებლად ედევნებინა თვალი ამ ქვეყნისათვის. დღეს საღამოს კი მერის სიბრაღულმა ის მეტად შორს წაიყვანა. ხოლს უნდოდა, რა თქმა უნდა, დახმარება გაეწია მისთვის, რომ მერის ეშოვნა სამუშაო უფრო ნაკლებად შეპაძრწუნებელ პირობებში, მაგრამ მას ერთი საკითხი სტანჯავდა: რამდენია ასეთი ახალგაზდა ქალები კიდევ ნახშირის მალაროებზე, ლამაზები, სიცოცხლეს მოწყურებულნი, მაგრამ სიღატაკით და ალკოჰოლის პრობლემით ჯვარზე გაკრულნი?

ვიღამაც გაუარა ხოლს გვერდით. დაუქნია თავი მთვარის სინათლეზე და რაღაც ანიშნა ხელით. ეს იყო პატივცემული მისტერ სპრეგი, ეშმაკის ოფიციალური დამწყენარებელი ნორტ-ვალში. წარსულ შაბათს ხოლი პატარა თეთრ ეკლესიაში იყო, და იქ მოისმინა მან ზნეობის დამრიგებელი ქადაგება, რომელშიაც უხვად დიოდა ქრავის სისხლი და მრევლს განმარტება ეძლეოდა იმის შესახებ, თუ სად ან რა გზით იქნებიან ისინი დაჯილდოებული მათი ამგვარი ქირ-ვარამის გამო.

რა საშინელი დაცინვა და გამასხარავება ისმოდა ყოველივე ამაში! უცველია, რომ ოდესღაც ხალხს ღრმად სწამდა ეს მოძღვრება და მზად იყო კოცონზე ასულყო მისი გულისათვის. ეხლა კი არაფერ არ მიდიოდა კოცონზე—პირიქით, კომპანია იძულებდა ყოველ მუშას მიეცა თავისი ხელუფასის ნაწილი ამ მოძღვრების საქადაგებლად. როგორ შეეძლო თუნდაც ყველაზე უფრო უმეცარ ერთგულს სარწმუნოებისას ექვი არ შეაპარვოდა თავის საკუთარ სასოებაში, როდესაც ასეთ წეს-რიგს ხედავდა იგი? სადღაც ზევით ამ დივიდენდის გადამხდელი უზარმაზარი მანქანის, ეგრედ წოდებული საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის თავზე, უნდა ყოფილიყო მოთავსებული რაღაც ქაჯის მაგვარი არსება, რომელიც ასეთ ბრძანებას აძლევდა თავის ქვეშევრდომ მღვდლებს: „ჩვენ გვჭირდება იმყო—მომავალი დაგვიტომია თქვენთვის! ჩვენ ვინდა სხეულები—სულები კი თქვენს განკარგულებაში იყოს! უქადაგეთ მით ზეციური ცხოვრება, ან რაც გსურდეთ,—იმავე დროს ჩვენ მათ მიწაზე გაეაძრობთ ტყავს!“

ამ ქაჯური პროგრამის თანახმად პატივცემულ მისტერ სპრეგს შეეძლო ენადგურებია რამდენიც სურდა არაყის ღემონი, მაგრამ არც ერთი სიტყვით არ იხსენიებდა იგი საიჯარო შემოსავალს სამიკიტნოებიდან, არც ადგილობრივ პოლიტიკოსებს, რომლებიც კომპანიის სუბსიდიით და მაგარ სასმელთა გაყიდვიდან შემოსული თანხით სცხოვრობდნენ. სდუმდა ის აგრეთვე თანამედროვე ჰიგიენის მოთხოვნილებათა შესახებ, რომელიც ალკოჰოლის მიმზიდველობის მთავარ მიზეზად სთელის დაქანცულობას; გამოთქმა „სამიწველო ლოთობა“ უცნობი იყო საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის მღვდლებისათვის.

როდესაც უფროს უგდებ ასეთ მოძღვრებას, უნებურად მსმენელებს რაღაც



უსხეულო ქმნილებებად წარმოიდგენ, მაგრამ არასოდეს არ შეგუბნებულა ის აზრი, რომ თვით მოძღვარი პატრონია სხეულის, და ეს სხეული იკვებება საზოდოთი, რომელიც იმ დაჭირავებული მიწების დაქანცულობის და დამშვევის პროდუქტია, რომლის ხელმძღვანელად და გზის მაჩვენებლად ის არის დაყენებული.

§ 14.

ამ სისტემის მსხვერპლნი უმეტეს შემთხვევაში მეტის-მეტად დაშინებულნი იყვნენ, ისინი მხოლოდ ჩურჩულით თუ გაბედავდნენ მათ მიმართ ჩადენილ უსამართლობათა შესახებ ლაპარაკს. მაგრამ იყო მაინც ერთი ისეთი ადგილი, სადაც მათ არავითარ შემთხვევაში არ შეეძლოთ ვაჩუქება, სადაც საშინელი დამბრკვევის და დამბრკვევის გრძნობა უსპობდა მათ ყოველგვარ შიშს. ეს იყო კუცხლის წამკიდებელი ფოკუსი მაღაროებზე, ცენტრალური ძალთაშოში, ანუ, სხვა სიტყვები რომ ვინმაროთ, უმაღლესი სამსჯავრო, სადაც ნახშირის ყოველ მუშას ელოდა განაჩენი, რომელიც ჰპირდებოდა მას ან კეთილდღეობას, ან შიმშილსა და აუტანელ ტანჯვას.

ეს განმტკირთავი პუნქტი იყო, სადაც მაღაროდან მოსული ნახშირი აიწონებოდა და დაიწვრებოდა. ყოველი მაღაროს მუშა, როდესაც გაათავებდა ის თავის სამუშაო დღეს, ამყვანი ბაღიდან გამოსვლის უმაღლე, იქ მიეშურებოდა. იქ ეკიდა ფურცელი, რომელზედაც ეწერა მუშის № და აღნიშნული იყო მის მიერ დღის განმავლობაში ნახშირით დატვირთული რაოდენების წონა. და ყოველმა მუშამ რაც გინდ უმეცარი არ უნდა ყოფილიყო იგი, იმდენად მაინც იკიდა ინგლისური ენა, რომ წაეკითხნა ფურცელზე აღნიშნული ციფრები.

ხოლმა თანდათან გაიგო თუ როგორ დრამებს ჰქონდა აქ ადგილი. მუშებზე უმეტესი ნაწილი ვაკვრით შეხედავდა ფურცელს და ჩუმად ფეხების თრევით გაემართებოდა სახლისაკენ. სხვები რალაცას ლულულულებდნენ ცხვირ ქვეშ თავისთვის, ან ხმა მალლა ებურდლუნებოდნენ ერთმანეთს თავიანთ ბარბაროსულ ეარგონზე. ხუთ მუშაში ყოველთვის იყო ერთი ისეთი, რომელიც ინგლისურად ლაპარაკობდა, და არ ვაივლიდა ისე საღამო, რომ რომელიმე მათგანი მოთმინებიდან არ გამოსულიყო და მუშტები არ მოეღირა ზეცისათვის ან ამწონავისათვის, — რა თქმა უნდა, მის ზურგს უკან. გაანახლებული მუშის ირგვლივ იკრიბებოდა მისი ამხანაგების ხროვა, რომელიც უერთდებოდა იმის პროტესტებს. როგორც არ უნდა იყოს, თვალში ეცემოდა კაცს ის გარემოება, რომ იმ დროს ყოველთვის გამტკირთავი პუნქტის ახლოს სამთო წარმოების უფროსი ტრიალებდა.

ერთხელ, ერთი ასეთი სცენის დროს, ხოლმა პირველად მიაქცია ყურადღება მიკე სიკორიას, მოხუც პალარა სლოვაცს, რომელმაც თავისი სიცოცხლის ოცი წელიწადი ამ ოლქის მაღაროებში გაატარა. მიყენებული შეურაცხყოფის ღრმა სიმწარით სუნთქავდნენ მიკე სიკორიას სიტყვები, როდესაც ის ხმამალა იძახდა ნაანგარიშვე ციფრებს: „უხრამეტი, ოცდა ორი, ოცდა ოთხი, ოცი! გესმით?! და მერმე ეს ჩემი წონა არის? თქვენ გინდათ დამარწმუნოთ მე, რომ ეს ჩემი წონა არის?“



— ეს თქვენი წონა არის,— ცივად უთხრა ამწონავემა.
 — მაშინ, გეფიცებით იუდას, რომ თქვენი სასწორი სტყულის! შენდღეო
 რომოდებს, ეს დიდი რომოდებია, გაზომეთ ისინი— შეიდი ფუტი სიგრძე, სამ
 ნახევარი სიმაღლე, ოთხი სიფართე! და თქვენ ამტკიცებთ ამის შემდეგ, რომ
 ნახშირის წონა მათში ოცია მხოლოდ?

— თქვენ არ ტვირთავთ ისე, როგორც რიგია,— შენიშნა ამწონავემა.
 — მე არ ვტვირთავ ისე, როგორც რიგია?— გაიმეორა ძველმა მალაროს
 მუშამ; და მისი ხმა უცხად შესაბრალისად ათრთოლდა, თითქოს ის ამ სიტყვე-
 პით უფრო შეურაცხყოფილი დარჩა, ვიდრე გაბრაზებული.— თქვენ იცით, თუ
 რამდენი წელიწადი ვმუშაობ მე მალაროებში და თქვენ ამბობთ, რომ მე ნახ-
 შირის დატვირთა არ ვიცი? მე ვტვირთავ ისე, როგორც მალაროს მუშა, და
 არა როგორც იაპონელი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს მალაროების შესახებ.
 მე ვაწყობ ნახშირს, ვეზიდებთ მას როგორც თივას. მე ვტვირთავ ისე, როგორც
 რიგია— დიას!— და მოხუცმა უჩვენა მოძრაობით, თუ როგორ აკეთებს ამას!
 — შეხედეთ, აი, ტონა ზევით, ტონანახევარი ქვევით. თქვენ კი მეუბნებით,
 რომ მე მაქვს სულ ცხრამეტი, ოცი!

— ეს თქვენი წონა არის,— აღუფოთებლად წარმოსთქვა ამწონავემა.
 — მაგრამ, ბატონო ჩემო, თქვენი სასწორი სწორედ არ უჩვენებს, მე
 თქვენ გეუბნებით, რომ მე ყოველთვის მქონდა ჩემი წონა: მე ვტვირთავდი ორ-
 მოცდახუთს, ორმოდაექვსს; აი ჩემი თანაშემწე, ჰკითხეთ მას, თუ მართლს
 არა ვლაპარაკობ. აბა, სთქვი, ბო!

— უმ-მ-მ-მუჰ, სთქვა ბომ, ზანგმა, რისი შეტყობა თუმცა ძნელი იყო ნახ-
 შირის მტყერის გამო, რომელიც მის სახეს ჰფარავდა.

— მე ვერ ვშოვობ თავის გამოსაკვებას კი! ყვიროდა მოხუცი სლოვაკი,
 სმა მისი თრთოდა, მისი ჩამქრალი მოშავო თვალები ვედრებს გამოხატავენ.
 — როგორ ფიქრობთ, რას ვიღებ მე? ორმოცდაათ ცენტს დღიურად, რომლი-
 დანაც მე უნდა ვაძლიო საქმლისა და ბინის ფასი, ღვთის რისხვაც დამტე-
 ხია თავზე! აი როგორ ვდგევარ თქვენს წინაშე, ღმერთს გეფიცებით, მე ვიღებ
 მხოლოდ ორმოცდაათ ცენტს! მე ვთხრო ნახშირს და ვერ ვაკეთებ ჩემს წონას.
 მე არაფერი მაქვს, არაფერი! თქვენი სასწორი სტყულის.

— წაეთრიეთ,— უთხრა ამწონავემა და შეაქცია მას ზურგი.

— მაგრამ, ბატონო ჩემო,— შეჰყვირა მოხუცმა მიკემ, და მთელი მისი
 სული დაიდვარა სიტყვებში,— რა არის ჩვენი სიცოცხლე? მუშაობ როგორც
 ვირო, და არაფერს კი არ იღებ. მე ვსწავებ ჩემს საკუთარ წამალს— ნახევარ
 დოლარად დღეში,— რას იტყვით თქვენ ამის შესახებ? ამტვირო, თხარო— და
 არაფერი კი არ მიიღო ამისათვის! თქვენს წინაშე სდგას, გეფიცებით იუდას,
 ლატაკი აღამიანი, რომელსაც სხეული სასიკვდილოდ დაჰქანცვია, სისხლი აღარ
 არის მტეი! თქვენ შიმშილით სულს მიხუთავთ, გეუბნებით მე თქვენ! უნდა
 ვსჭამო რამე თუ არა?



— წაეთრიეთ აქედან, დაგწვევლათ ღმერთმა! — დაუღრღინა მისი კამწონაგმა: თუ კმაყოფილი არა ხართ, ითხოვეთ ანგარიში და მოსწყდით აქედან. ჩააჩუმეთ ეგ ყრონტი, თორემ მე თვითონ ჩაგიჩუმებთ, თუ კაცი ვარ.

მოხუცი სულერთიანდ აკანკალდა, დაიხია უკან და გაჩუმდა. ის კიდევ იდგა ერთ წუთს ტუჩების ნერვიული კენჭით, შემდეგ მიკეს ბეჭები მოიხარა, ის მიბრუნდა და წავიდა მძიმე ნაბიჯით; მას თან გაჰყვა მისი თანაშემწე ზანგი.

(გაგრძელება იქნება).

თარგმ. კ. კიკინაძისა.

კრიტიკა, მხატვრობა
≡≡ და მემუარები ≡≡



გარკისტული პრისონის პრინციპები.

ჩვენი მოძღვრება არ არის დოგმა — ის არის სახელმძღვანელო მოქმედებისათვის-ო, — სიტყვა მეცნიერული სოციალიზმის ერთმა დამაარსებელთაგანმა, ეს სიტყვები მით უფრო უნდა გვახსოვდეს დღეს, როდესაც ცხოვრება ყოველ წუთში აყენებს ახალ-ახალ საკითხებს, ყოველ წუთში ჰქმნის ახალ მდგომარეობას, როდესაც „ჩვენს სიტყვებში და სტატიებში არ არის უბრალო გაეუორება იმის, რასაც ლაპარაკობდენ წინა დროის კომუნის შესახებ.“ (ლენინი). მარქსიზმი არ იძლევა არავითარ დამხადებულ რეცეპტებს, რომელიც ვარგოდეს ცხოვრების ყოველ შემთხვევისათვის. და გაუგებრობა იქნებოდა მოგვეჩვენა ასეთი მხა-მხარეული რეცეპტი მარქს-ენგელსის ან ლენინ-პლენხანოვის ნაწერებში. მაგრამ რამდენათ უსარგებლოა რეცეპტის ძიება, მით უფრო მნიშვნელობა ეძლევა მარქსისტული მეთოდით სარგებლობას.

მარქსისტული კრიტიკის პრინციპები ერთ-ერთი მხარეა ამ მეთოდის...



დღეს ჩვენ განვიცდით კრიტიკულ უგზოობის ხანას. უდიდესმა საზოგადოებრივმა გარდატეხამ შექმნა იდეოლოგიურ ჯგუფების უდიდესი სიჭრელე-აზიტომ კრიტიკას მიეცა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ამას კომუნისტური პარტიის მეცამეტე ყრილობა თავის რეზოლიუციაში ბუკვდითი სიტყვის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს:

„აუცილებელია შევქნათ გამოწრთობილი პარტიული კრიტიკა, რომელიც გამოჰყოფს და დახმარებას გაუწევს ნიჭიერ საბჭოთა მწერლებს, ამასთანავე მოუთხოვს მათ შეკდომებზე, რომელიც გამომდინარეობს საბჭოთა წესწყობილების არა საქმარისად გაგებისაგან; აგრეთვე ხელს შეუწყობს მწერლებს დასაძლიონ ბურჟუაზიული აზროვნება („предвзвешки“).

ზედმეტია მტკიცება — იმისა, რომ პარტიულ ყრილობის ეს დადგენილება არ არის განხორციელებული ცხოვრებაში, დროა კი ეს მდგომარეობა გამოვასწოროთ, იდეოლოგიურ ფრონტზე კრიტიკის როლი უდავოა უდიდესია. პროლეტარული რევოლუციის შვიდი წელი საქმარისია იმისათვის, რომ დაედგათ იდეოლოგიურ გამძლეობაზე და სოციალურ შეფასების მტკიცე საფუძველზე, ჩვენი დროის იდეოლოგიური სიჭრელე ამას განსაკუთრებით მოითხოვს.



როგორი გზა უნდა აირჩიოს ჩვენი დროის კრიტიკამ? — მარქსის კრიტიკა. მაგრამ არსებობს კი ასეთი გზა? — ზოგიერთების აზრით ასეთი გზა არ გვაქვს მოცემული მარქსისტულ მეცნიერებაში. ამ აზრის მიმდევრებს დავეთანხმებოდით მაშინ, რომ ისინი ამბობდნენ: რომ დეტალურად დამუშავებული მარქსისტული მეცნიერება ლიტერატურის შესახებ არ გვაქვს. მართალია, მარქსისტულ მეცნიერებაში ხელოვნების, ლიტერატურის პრობლემებს თავისი დამუშავებით თითქმის უკანასკნელი ადგილი უჭირავს. ამ სფეროში ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ისეთი მწყობრი და დამუშავებული მარქსისტული სისტემა, როგორც გვაქვს მეცნიერების სხვა დარგებში. ეს აიხსნება სრულიად გასაგები მიზეზებით... მაგრამ აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ ძირითადი პრინციპები, ძირითადი საფუძველი ხელოვნების, ლიტერატურის, კრიტიკის მარქსისტული გაგებისა არ გვქონდეს მოცემული, პირიქით ის უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული და მნიშვნელოვანად დასაბუთებულია, გ. პლენანოვის, ლ. ტროცკის, ვ. ვოროცკის, ფრ. მერინგის და სხვ. მარქსის-კრიტიკოსების საყურადღებო შრომებმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს მარქსისტული კრიტიკის პრინციპებს.

როგორია მარქსისტული კრიტიკის პრინციპები? — დიალექტიური და მატერიალისტური, რას ნიშნავს ეს?

ამ კითხვას უდიდეს სიღრმით და გარკვევით უპასუხებს გ. პლენანოვი, რომელმაც კლასიკური ფორმულიროვკა მოგვცა მეცნიერული ესთეტიკის, მეცნიერული კრიტიკის საერთო პრინციპების:

„მეცნიერული ესთეტიკა არ აძლევს ხელოვნებას არაეითარ მიწერილობას; ის არ ეუბნება მისა: შენ უნდა ატარებდე ასეთ და ასეთ წესებს და მიდგომებს. ის კმაყოფილდება ზედამხედველობით იმაზე თუ როგორ წარმოიშობიან სხვა და სხვა წესები და მიდგომები, რომლებიც ბატონობენ სხვა და სხვა ისტორიულ ეპოქებში. ის არ აცხადებს ხელოვნების მუდმივ კანონებს. ის ცდილობს შეისწავლოს ის მუდმივი კანონები, რომელთა მოქმედებითაც განისაზღვრება მისი ისტორიული განვითარება; ის არ ლაპარაკობს: „საფრანგეთის კლასიკური ტრადედია კარგია და რომანტიული დრამა არაფრად არ ვარგა.“ მისთვის ყველფერი კარგია თავის დროს; ის არ არის გატაცებული ხელოვნების სწორედ ამ სკოლით და არა სხვით! და თუ ზოგჯერ მასში აღმოცენდება მზგავსი გატაცება, მაშინ ის ყოველ შემთხვევაში არ ამართლებს მათ ხელოვნების მუდმივ კანონებზე მითითებით, ერთი სიტყვით, ის ობექტიურია, როგორც ფიზიკა, და სწორედ ამიტომ ის მოკლებულია ყოველგვარ მეტაფიზიკას“ (И. Плеханов, том X, გვ. 192). მკითხველი, რომელიც გულდასმით ჩაუყვირდება ზევით მოყვანილ სიტყვებს, — მიხვდება რომ, გ. პლენანოვის ეს საერთო ფორმულა აყენებს ლიტერატურისადმი დიალექტიურ მიდგომას. ლიტერატურულ კრიტიკის სფეროში პლენანოვის შეურიგებელი მტრები იყვენ სხვა და სხვა სახის იდეალისტები, რომლებიც მხატვრულ ნაწარმოებს იხილაედენ „მუდმივ“, „აბსოლუტიურ“, მორალურ ან ესთეტიურ ნორმათა თვალსაზრისით. გ. პლენანოვი უმარტავს მათ, რომ არ არსებობს მუდმივი ნორმები, რომელიც ნებას გვაძლევდეს ვამჯობინოთ რომანტიზმს კლასიციზმი, სიმბოლიზმს-ჟულტურიზმი,

ქართული

ან, პირიქით: თითოეული ამ მიმართულებათაგანი ამოცნდება ისტორიულ-სოციალურ საფუძველზე, და მეცნიერული, მარქსისტული კრიტიკის ამოცანაა გამოარკვიოს ეს საფუძველი. მაგრამ ველურობა იქნებოდა გვეფიქრა რომ, მარქსისტ-კრიტიკოს ლიტერატურულ მიმართულებათა ისტორიულ გამოკვლევის ფარგლებში არ ჰქონდეს შეფასების უფლება, მაგ. რეალიზმი წარმოადგენს კანონიერ, ისტორიულად განსაზღვრულ, ლიტერატურულ ფაქტს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ამ მიმართულების მიმდევარი მწერალი სდგას თავის სიმაღლეზე, როგორც მხატვარი.

მარქსისტულ კრიტიკის ამ საერთო პრინციპს გ. პლენანოვი კიდევ უფრო აფართოვებს, აღრმავებს, შლის თავის შემადგენელ ნაწილებათ. „მა 20 лет“-ის ცნობილ წინასიტყვაობაში ის შემდგენაირად აბასიათებს მარქსისტ-კრიტიკოსის ამოცანებს:

„მე ვიზიარებ იმ შეხედულებას, რომ საზოგადოებრივ შემეცნებას განსაზღვრავს ყოფა. ადამიანისათვის, რომელიც იზიარებს ასეთ შეხედულებას, ცხადია, რომ ყოველი მოცემული „იდეოლოგია“,—აგრეთვე ხელოვნებაც და სახვითი ლიტერატურა, —გამოხატავს რომელიმე საზოგადოების, ან თუ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ საზოგადოებასთან, რომელიც დაყოფილია კლასებათ,—რომელიმე საზოგადოებრივ კლასის მიწრაფებებს და განწყობილებებს; ადამიანისათვის, რომელიც ამ შეხედულებას იზიარებს, აგრეთვე ცხადი უნდა იყოს ისიც რომ, ლიტერატურული კრიტიკისი, რომელიც იწყებს ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოების შეფასებას—უპირველეს ყოვლისა უნდა არკვევდეს იმას, თუ, რომელ საზოგადოებრივ(ან კლასიურ) შემეცნების მხარე გამოიხატება ამ ნაწარმოებში... როგორც მატერიალისტური მსოფლმხედველობის მომხრე მე ვიტყვი, რომ კრიტიკის პირველი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოცემულ მხატვრულ ნაწარმოების იდეა ხელოვნების ენიდან გადაიტანოს სოციალოგიის ენაზე, რათა ნახოს ის რასაც „შეიძლება ეწოდოს მოცემულ ლიტერატურულ მოვლენის სოციალოგიური ეკვივალენტი“ (Г. Плеханов, том XIV, გვ. 183).

ასეთი განსაზღვრა აუცილებელია: ასეთი ანალიზის მეოხებით ჩვენ ვგებულობთ, რომ მოცემული ნაწარმოები შეიქნა ასეთი და ასეთი კლასიური ფსიქოლოგიის საფუძველზე; ჩვენ ვსაზღვრავთ თუ რა საზომით ეს ფსიქოლოგია, ეს გრძნობები, აზრები და განწყობილებანი შეეფარდებიან მთელი საზოგადოების ინტერესებს ყველაზე უფრო მოწინავე კლასის სახით, მოცემულ ისტორიულ ხანაში. ასეთი გზით ჩვენ შევიცნობთ ადგილს, როლს, განვსაზღვრავთ მოცემულ ნაწარმოების ღირებულებას, მხატვრულ განსაზოგადოებრივობას მიმდინარე საზოგადოებრივ ბრძოლაში. მაგრამ რა სიზორეზებაც არ უნდა მიდიოდეს ამ მხრით ჩვენი ანალიზი, ის მაინც არ არის საკმარისი, ჩვენ მართო მით ვერ შევსძლებთ განვსაზღვროთ ნაწარმოების მხატვრული ღირებულება. ამიტომ მარქსისტმა-კრიტიკოსმა ეს პირველი მოთხოვნ ნიღება უნდა შეავსოს მეორე მოთხოვნელებით—მოცემული მხატვრული ნაწარმოები ამავე დროს აუცილებლათ უნდა შეფასდეს ესთეტიური თვალსაზრისით:

„მიისწრაფის ნახოს რა მოცემულ ლიტერატურულ მოვლენის საზოგადო-



ქვემოთაა

ებრივი ეკვივალენტი, მატერიალისტური კრიტიკა ლაგუნიძის კრიტიკის პუნქტების თუ არ ესმის, რომ საქმე არ შეიძლება განისაზღვროს მარტო ამ ეკვივალენტის ნახვით, პირიქით, სოციოლოგიამ არ უნდა დაუხუროს კარები ესთეტიკას, არამედ ფართედ უნდა გაიღოს ის მის წინაშე. ყოველ ებოქის მხატვრული შემოქმედების განსაკუთრებულებანი ყოველთვის მტკიცე მიზეზობრივ კავშირში იყო იმ საზოგადოებრივ განწყობილებასთან, რომელიც მასში გამოიხატება ყოველ მოცემულ ებოქის საზოგადოებრივი განწყობილება კი განისაზღვრება მის დამახასიათებელ საზოგადოებრივი ურთიერთობით, ამას საუკეთესოთ გვიტყვიებს ხელოვნების და ლიტერატურის ისტორია. აი, რატომ ყოველ მოცემულ ლიტერატურულ ნაწარმოების სოციოლოგიურ ეკვივალენტის განსაზღვრა დარჩებოდა არა სრული, და აქედან, არა სწორი იმ შემთხვევაში თუ კი კრიტიკოსი გვერდს აუხვევდა მის მხატვრულ ღირებულების შეფასებას. სხვა გვარათ, რომ ვსთქვათ მატერიალისტური კრიტიკის პირველი აქტი არა თუ უარყოფს მეორე აქტს, პირიქით საპირივებს მის, როგორც თავის აუცილებელ დაბადებას.* (იქვე, გვ: 189).

ესთეტიური შეფასება ხელოვნებაში შეფერდება ლოგიურ შეფასებას მეცნიერებაში. ესთეტიური შეფასება ჩვენი გავებით არ წარმოადგენს ცვილიბრისტიკას, მშვენიერებას მშვენიერებისათვის და სხვ. ნაწარმოების ესთეტიური შეფასება ნიშნავს: განესაზღვროთ თუ რამდენათ მხატვრულადაა შესრულებული მოცემული ნაწარმოები, თუ ფორმა რამდენათ შეფერდება წინააღმდეგობას.

იგულისხმება, რომ ყოველივე ეს უდავოა, მარქსისტული გაგებით. მაგრამ, როგორც ცნობილია, ბევრი რამ რაც ორტოდოქსალურ მარქსისტისათვის უკამათოა, — შეტად საკამათოა quasi-მარქსისტებისათვის, რევიზიონისტისათვის. ეს შეეხება, როგორც პოლიტიკას, ფილოსოფიას, ისევე ლიტერატურულ კრიტიკას. შორს, რომ არ წავიდეთ მაგალითისათვის მივმართოდ ს. დვუდარიანის წერილებს, რომელიც მოათავსებელი იყო „მნათობი“-ს ფურცლებზე. ის სწერს:

„ხელოვნების დაფასება არ შეიძლება კლასიურ, პოლიტიკურ ინტერესების მიხედვით. შესაძლებელია, რომ „რევოლიუციონური სულით“ გაელენთილი ნაწარმოები ვერ ვარგოდეს ხელოვნებად; და რეაქციონერმა ხელოვანმა გაგრძნობინოს ნამდვილი ესთეტიური სიამოვნება“ („მნათობი“ № 7—8—1924 წ. გვ: 398).

„მარქსს შესაძლებლათაც და აუცილებლათაც მიანდა დამოუკიდებელი ესთეტიური მიდგომა ხელოვნების საკითხებთან, დამოუკიდებელი იმ მხრით, რომ პოლიტიკურ-პარტიული მოსაზრება არ უნდა აბღენდეს გავლენას ამ მიდგომაზე. („მნათობი“ № 1(9)—1925 წ. გვ: 244).

„ხელოვნებაში არის ღირებულება, რომელიც არ ემორჩილება განსაზღვრულ დროის და სივრცის კანონებს, რომელიც თან არ მიჰყვება განსაზღვრულ საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმავლობას“ („მნათობი“ № 7—8—1924 წ.



ასეთი შინაარსის ციკატემბის მოყვანა მრავლად შეიძლება. ეს დედ-რიანის წერილებიდან, მაგრამ, ვფიქრობთ, მკითხველი ამ ცენტრული-თლად გაიგებდა თუ როგორ ესმის ს. დედარიანს ხელოვნების საკითხები, თუ როგორ ეწინააღმდეგება ს. დედარიანის მსჯელობა ხელოვნების შესახებ გ. პლენანოვის კლასიკურ ფორმულებს, მაშინ, როდესაც ის ცდილობს ყოველივე გაასაღოს მარქსის სახელით...

ს. დედარიანი კლასიკური მომენტების გარკვევის მაგივრათ ხელოვნებაში ეძებს „საერთო-საკაცობრიო“ ღირებულებებს, რომელიც „არ ემორჩილება განსაზღვრულ დროის და სივრცის კანონებს და, რომელიც თან არ მიჰყვება განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობის წარმავლობას“ („მათობი“— № 7—8—1924 წ.) განა ეს რევიზია არაა პლენანოვის ე. ი. მარქსისტული ეს-თეტიკის? თავისი „მარქსისტული“ აზრებით ს. დედარიანი მატერიალისტურ თვალსაზრის ლაღატობს და პირწმინდა იდეალიზმის საფუძვლებზე დგება. გ. პლენანოვის მარქსიზმთან და დიალექტიკასთან შედარებით ს. დედარიანის „მარქსიზმი“ ნაბიჯია უკან იდეალიზმისაკენ და ექველავებული.

არ იქნება ინტერესს მოკლებული შევადაროთ ს. დედარიანის მიერ ხელოვნების ნაწარმოებების „საერთო-საკაცობრიო“ შეფასებას უდიდეს მარქსისტის ვლ. ლენინის შეფასება ლევ ტოლსტოის. ა. ლენინმა ლ. ტოლსტოის მი-უძღვნა ორი წერილი: „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლიუციის სა-რკე“ და „ლ. ნ. ტოლსტოი“. რას ეძებდა ლენინი ტოლსტოის შემოქმედებაში? საერთო-საკაცობრიო შემოქმედებას?—არა, ლენინი მასში სულ სხვას ეძებდა:

„ლ. ტოლსტოი დიდია, როგორც გამომატველი იმ იდეების და განწყო-ბილებების, რომელიც შეიქნა მილიონ რუსის გულბობაში ბურჟუაზიულ რევო-ლიუციის იერიშების დროს რუსეთში. ტოლსტოი ორგინალურია, რადგანაც მის შეხედულებათა შეჯამება, რომელიც საზარალოა, როგორც მთელი, გამოხა-ტავს ჩვენი რევოლიუციის თავისებურებას, როგორც გლეხ-ბურჟუაზიულ რე-ვოლიუციის“.

როგორ შორს არის ეს მსჯელობა ს. დედარიანის ტიპის „მარქსისტის“ მსჯელობისაგან...

არა ნაკლებ უსარგებლო იქნება „საერთო-საკაცობრიო“ ფსიქოლოგია ვეძიოთ მხატვრულ ნაწარმოების მომქმედ პირებში. გ. პლენანოვის კატეგორი-ულ შენიშვნის თანახმად „მომქმედ პირთა ფსიქოლოგია იმითმ პოულობს ჩვენს თვალში უდიდეს მნიშვნელობას, რომ ის არის მთელი საზოგადოებრივი კლასების ან ყოველ შემთხვევაში ფენების ფსიქოლოგია.“ მომქმედი პი-რები საინტერესოა რა რამოდენიმე ერთმანეთის მშგავსი გარეგანი ნიშნებით, არამედ სწორედ იმ განსხვავებით, რომელიც ახასიათებს მათ როგორც კლასების წარმომადგენლებს. მომქმედ პირთა ფსიქოლოგიისადმი კლასიკური მიდგომის პრინციპი სრულიად შეესაბამება მეცნიერული ფსიქოლოგიის ახალ დებულებებს

„ადამიანთა ფსიქოლოგია—ო, —სწერს აშხ. ა. ზალკინდი - თანამედროვე რთულ და ღრმა დიფერენციაციულ საზოგადოებაში უკიდურესად სოცია-ღურია: არ არის არც ერთი ორგანო, არც ერთი ბიოლოგიური ფუნქცია, რო-



მარქსიზმი

მელიც მტკიცეთ არ იყოს შეკავშირებული ადამიანის სოციალური უწყობილობასთან. თანამედროვე ადამიანი არა თუ მარტო შეიმცნობს თავის თავს, არამედ სუნთქავს, ამუშავებს საჭმელს, მოძრაობს, არა როგორც ადამიანი საერთოდ, არამედ, როგორც წარმომადგენელი განსაზღვრულ საზოგადოებრივ გჯუფის, რომელიც ჰქმნის განსაზღვრულ სოციალურ კლასიურ ნიშანს მის ყველა ფუნქციებზე, მის ყველა რეფლექსებზე—ნიშანს კლასიურ ფიქიოფიზიოლოგიისა (ორგანიზმის კლასიური რეფლექსები).

როდესაც ნაწარმოების კლასიური ბუნება განსაზღვრულია, როდესაც შესწავლილია ნაწარმოების ესთეტიური მხარე „მხოლოდ ამის შემდეგ ისმის საკითხი ნაწარმოების მთლიანი შეფასების შესახებ. როგორი საზომი აქვს ამ შეფასებას? რით განისაზღვრება ნაწარმოების საერთო ღირებულება. ამაზე გ. პლენანოვი სრულიად გარკვევით უპასუხებს:—ის განისაზღვრება იმით თუ რამდენად საზოგადოებრივ მნიშვნელობისაა ნაწარმოები, ის იდეები, რომელიც საფუძვლად უდევს მას. თუ მაგ. მხატვრულ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს უმნიშვნელო, წვრილმანი გრძნობები და იაფფასიანი იდეები, თუ მისი შინაარსი მოკლებულია ყოველგვარ სიღრმეს, მაშინ ასეთი ნაწარმოები, ცხადია, არ შეიძლება იყოს მხატვრული ის შეიძლება იყოს კარგათ გაკეთებული, მოხდენილად აშენებული, იყოს დროის მშვენიერი გასართობი საშვალემა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ხელოვნებაა.

ყველა ეს პრინციპები, დებულებები მარქსიზმის თავსაზრისით უკამათოა. ეს არის ის აუცილებელი მინიმუმი, რომლის გარეშეც შეუძლებელია შესაფერისად გავერკვეთ ლიტერატურულ მოვლენებში.

დიმიტრი უაზგებოს და ალექსანდრა უაზგებოს ბიო- გრაფიის გასაღები.

(გაგრძელება *).

თავი მოცდაათე.

ამავე 1866 წ. 20-ს თიბათეც სტეფანწმინდას ანბავი მოვიდა მიხეილ ყაზბეგის მიცვლისა და დიდი და პატარა დადაცურდა.

მთაში, იმ დროს, მეტის-მეტი შემაეიწროებელი ჩვეულება იკოდნენ: გავიადებული ხარჯი მკვდრის დამარბვის დროს. კირის უფლებს, შუბლების მიუხედავთ, იმდენა ზორავის მომზადება სკირდებოდათ, რომ იმ ზრუნვა-ფაცურაში თავიანთი მწუხარება ავიწყდებოდათ და მხოლოთ ესლა იყო იმათი საზრუნველი: ცოცხლები დაედოთ... ჩემი მამა-ბიბა მთის შვილები იყნენ და ყველა მთის ჩვეულებას დიდის სიმტკიცით მიზღვედნენ.

მამაჩემმა, როგორც ოჯახის უფროსმა დიდის სისწრაფით შეამზადა ურემი და კაცები კავკავში გასაგზავნათ, საიდანაც სამზადისი უნდა მოეტანათ. იმათ გაგზავნის შემდეგ ეხლა სხეანიირ მზადებას შეუდგა: კარგა ბლომით ცხენოსნებით ფასანაურისკენ წავიდა ცხედრის შესაგებებლათ. ქალებიც არ დავრჩით უსაქმოთ: შავები შევიკერეთ, შემთხვევის შესაფერათ ოთახები შევამზადეთ, როცა შეეიტყეთ ცხედრის მოახლოება, წინ შევეგებენით და როგორც შეეფერებოდა იმის ხარისხს და მდგომარეობას—ისე შემოვასვენეთ თავისივე სახლში.

აქ დროს არ დაეკარგავ მთის ჩვეულების აღწერით, რადგანაც მთაში შემოღებული დამარბვის წესს-რიგი, მწერალის ნიკიერის კალმით არის აწერილი „ელგუჯაში“ (იხ. „ელგუჯა“ 226—233), მხოლოდ ჩაურთობ იმას, რაც სანდროს მოქმედებას და იმის ხასიათს გავაიცნობს. მოჩუბარიძე ხომ ჩვენის საუბრის საგანია და იმას უნდა მივყვეთ ფეხ და ფეხ. აქამდენ ბალოი, ამ დღიდგან ყმაწვილ კაცათ უნდა აღვიაროთ და მაშასადამე მეტი ყურადღებაც უნდა მივაქციოთ; ეხლა იმისი ქცევა ცოტა არ იყოს გარემოების საკადრისათ უნდა ავწონ-დაეწონოთ.

სანდრო და ძალუა წინა დღით მოვიდნენ სტეფანწმინდას. ჩვენ შევეგებემით, მოუწყინეთ; ძალუამ ხმით იტირა, მოგვაგონა ბიბა-ჩვენს რა სახით უყვარ-

*) იხ. „მნათობი“ № 4 (12)

გზრნალი „მნათობი“ № 8 (15)



დით და განმეორდა ყველა ის სცენები, რაც ყველას ჩვენგანს მატარებელ უნახავს.

სანდრო ამ დროს თავისებურად მზიარულად და უდარდელად გამოიყურებოდა, მთის ჩვეულებას სანდრო დასცინოდა და ანბობდა: „ბიძა ჩემი (ე. ი. მამაჩემი) რომ მოთავე არ იყოს, მე ნებას არ მივსცემდი, რომ ეს მხეცური ჩვეულება ანუ სხვა და სხვა ნაირი მთაში დაკანონებული წესები აესრულებინათ; „მათრახით ტყავის გაძრობა, თავბარში ცემა ველური ადამიანის მოქმედებას მიემზავსება და დრო არის ჩვენშიაც მოისპოს, ბიძი ჩემის ხათრი რომ არა მქონდეს, ამ **მოტირალეზს** ყველას დავითხოვდი; ამ გვარი წესები სულ უნდა მოისპოს“.

ამისთანა შეხედულებას აღიარებდა სანდრო იმ დროს, როდესაც მოტირალი ხალხი იმის წამის ცხედარს დასტიროდა.

ბიძა ჩემის გვამი მთელი კვირა შინ ესვენა და მთელის ხევის სოფლებიდან **მოტირალიზს** მოხელა არ შეწყვეტილა. მოხვევს გარდა ქისტები, ოსები, ჩერკეზები შოაწყდნენ სტეფანწმინდას და ყველანი თაეთაის წესს ასრულებდნენ. ზოგი ერთი ჩვეულება შარტლა რომ შესაზარია!.. წარმოიდგინეთ ვაეკაცი საკინძ ჩამოწყვეტილი, საყელო ჩაწყული, დაკუზული, რომელსაც მარცხენა ხელი თვალზე დაფარებული აქვს და მარჯვენა ხელით კი მათრახს კისტრში იცემს! მათრახს და მერე როგორს: ხელის სიპტეე მოქნილის ლეგდის მათრახს, რომელსაც თავისივე ფიჩხები აქვს ბოლო გამოხანსკულები!.. (იხ. „ელგუჯა“) ამ საინკვიზიციო იარაღით ვაეკაცი კისტრიდგან ბეჭებადნენ ტყავს იძრობს... ორიოდ დაკვრის შემდეგ აბურცებულის კანიდან თქრიალით სისხლი გადმოზღდის და ამ სახით საშეჯერ უნდა შემოუაროს ცხედარს; მიდის ნელის ნაბიჯით, სვენ-სვენებით, ასე რომ უქანასკნელათ რომ ვიანგარიშით ორმოცდა ათს მათრახს მანც მიიკრავს.

მანამ ცხედარს დამარხავდნენ, ჩვენ ქალები მუდამ იქვე ვტრიალებდით, რადგანაც მომსვლელ ხალხის თვალში ტირის უფლები საჭირო მორთულებას შეარდგენენ: ამისთანა მძიმე მდგომარეობიდან სანდრო ხშირად გამოგვიხსნიდა ხოლმე: მეორე ოთახში გაგვიხმობდა ვითომდა საქმისთვის, მაგრამ შესასვენებლად კი.

სანდრომ ეხლაც გაგვიწვია თავის ოთახში, ჩაგვიჯდა შუა და სრულებით სხვა საგანზე მზიარულად გვემუსაიფებოდა. ჩვენც, ტირის უფლება დაგვაიწყნა და მზიარულათ დაეუწყეთ რალაც საგანზე ლაპარაკი, ამ ლაპარაკის დროს შემოგვესმა: „სოლეები სატირლად მოვიდნენო! სანდრო უცებ გაჩუმდა, უსიტყვოთ წამოდგა და კარი გაიარა. ჩვენ იმის გასვლას არაფერი მნიშვნელობა არ მივეციით და გვეგონა ჩქარა დაბრუნდებოდა. არ გამოვიდა ხუთი ვტისი წამი, შეიქნა მოძრაობა და ერთი მეორეს გარდასცემდა: „მათრახით მოდის!“ „ვიანაა?“ „სანდრო, სანდრო!“ ჩვენც ვაკვირებულეები წამოცვივდით და მივმართეთ იმ ოთახს, სადაც ცხედარი ესვენა. მე და ჩემი და გასტერებით ხან სანდროს უფრებდით და ხანაც ერთმანერთს... გულ გადაღვდილა, საყელო ჩაკეცილი, მოკეზული სანდრო ცხედარს გარს უვლიდა და მათრახს ძალზე იცემდა!.. ნინო და-



ქიკალეებულნი, თავპირში ცემით წინ მიუძღოდა, ძალზე ჩემს მხარეს მუხრუჭილი, წინანდელზე უფრო თავგამოდებული ხმითა ტიროდა და დიდს უხარიათ ცხედარს ჩასძახოდა: **სანდროს თავგანწირულებას და დიადს მწუხარებას.** მაყურებლები ერთიანთა ატირდნენ და საერთო ვაი ვაგლახი გამართეს. მარტო მე და ჩემი და არა ვტიროდით... სანდროს მოქმედება კი ძალიან გვიკვირდა!..

სანდრო ძლივს მოაშორეს კუბოს, დიდის მადლობით და ქება დიდებით შემოიყვანეს მეორე ოთახში კისერ დასიებული, დასისხლიანებული.

ჩვენ ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულიყავით, გაშტერებით უყურებდით და ათასჯერ ვეკითხებოდით რათა ქნა ეს საქმე?..

— უმაწვილო, შენ ჭბრალთ თავპირში ცემასაც უშლიდი, ამისთანა ჩვეულებასა სძრახავდი და ეხლა რას ვხედავთ, შენ თვითონვე მათრახით შემოუარე?!..

— მართალია, მათრახით ტყავის გადაქრობა—დიდი მხეცობა არის!... მაგრამ, მე ასე მოვიქეცი ხალხის გულისთვის: ასე რომ არ მოვქცეულიყავ, იტყოდნენ: მამის სიკვდილი უხარიახო. ეხლა კი დარწმუნდნენ, რომ მამა ჩემს ღირსეულადი ვგლოვობ... დედა ჩემის და ნინოს თვალში ხომ გავიზარდე; აღემაღლდი!—დაუმატა ღიმილით ალექსანდრემ.

შემდეგ შიაც ძალიან ხშირათ, ჩვენი საყვარელი სანდრო ისე მოიქცეოდა ხოლმე, რომ **სიტყვა—საქმე** არ ეთანხმებოდა. ამისი დასასაბუთებელი მაგილითები ბევრი ვიცი, მაგრამ ყველაფერს კაცი ვერ ჩამოსთვლის.

დავასაუღავეთ საწყალი ბიძა ჩემი და ერთათ ერთს შემეკვიდრეთ, სახლის უფროსათ დირჩა 18-ის წლის ჩვენი მარად დაუფიწყარი მოჩხუბარიძე.

ახლა დიმიტრი და იმისი ანბავი გავიხსენოთ დიმიტრი 27 წლისა დაბრუნდა შინ, რადგანაც უქეიფობდა, ერთი წელიწადი მეტი შინ დატრიალდა, სტოგრობდა ჩვენს მიყრუებულს სოფელში. ჯალაბი ბევრი გვეყვანდა, იმ დროს ბატონ-ყმობა იყო და რასაკვირველია გვემსახურებოდნენ. აქ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ერთი 18—19—წლის ლაზათიანი ფუნჩულა გოგო მუდამ თავს დასატრიალებდა, ემსახურებოდა და ეს ყოველად საქმარისი იყო იმათის დაახლოვებისათვის. დიმიტრის აზრების წინააღმდეგი არ იყო შთამომავლობით და სწავლით თავისზე დაბალთან შეკავშირება. ხშირათ იტყოდა ხოლმე: სხვა ტომის ქალს მე თავის დღეში არ შევირთავ, ჯვარის წერისაც წინააღმდეგი ვარ, რადგანაც ჯვარის წერა თავისუფლების დამარხვით მიმჩნია; ჯვარ დაუწერლათ კი ქართველი ქალი ძნელათ თუ მიჰყვება მამაკაცს... საზოგადოთ მე ისეთი პატივის მცემელი ვარ დედაკაცისა, რომ რომელის წრისაც უნდა იყოს ის დედაკაცი, რომელთანაც შევკავშირდები. ჯვარს თუმცა არ დაეიწერ, მაგრამ ხელსაც არ ავიღებ, სათამაშოსავით არ მომწყინდება...

როგორც სიტყვა ისე აასრულა კიდევ!

ჩვენ შევეჩვიეთ დიმიტრისთან საღამოებით დროს გატარებასა, კითხვასა და აზროვანს სჯა-ბაასას; შემდეგ შევამჩნიეთ, რომ თანდათან თითქოს ხელიდან გვეცლებოდა. ჩვენ პირველ ხანებში ვერც კი მივხვდით მიზეზს, თუ დი-



მარკინეშვილი

მიტრიჩი რა თ მოუხშირა საღამომებით ჩვენი თავის მიწებებზე და ვისთან ატარებდა დროს? შემდეგში კი, როცა ძიძა-გამდღელებმა კრეცით და იგავით ლაპარაკი დაიწყეს, მაშინ რაღა დიდი თავის ხეთქვა უნდა, — ჩვენც მივხვდით რა ანბაიცი მოხდა. მამა ჩემსაკ აზრი აიღო, მაგრამ არც ისა და არც არავინ სხვა დიდს მნიშვნელობას არ აძლევდნენ იმათ კავშირს: ყველას ვგონა, რომ ეს შემთხვევა დიმიტრისთვის **დროებითი დროს გატარება იყო. ბატონის შვილისაგან თავის გოგოსთან** დროს გატარება ება ვის რა თ გავუკვირდებოდა? მაგალითები ბევრი იცოდნენ, ბევრჯერ გავეგნათ რომ ამა და ამ ბატონმა თავის გოგოსთან პატარა ხანს დრო გაატარა და შემდეგ სხვას მიათხოვაო. აქაც ისევე მოხდებოდა: წავა სამსახურში, ტასოს, თავის კავშირს დაივიწყებს, ცოტა რასმე აჩუქებს და ქმარს შერთავს. ასე ფიქრობდნენ მთელი ჯალაბობა. მაშანემი ძალიან დაკრძალვით ინახავდა შინაურ გოგოებს და შვილებივით უფროთბილდებოდა. ტასოს როცა ფეხშიშობა დაეტყო, მაშინ ყველანი შინაურები შფოთვით ელოდნენ მამა-შვილ შორის განხეთქილებას. — მამა-შვილი კი ერთმანერთს მხოლოდ ებუტებოდნენ. მამა-შვილის უსიამოვნოების გამოთქმა, რაღაც სხვანაირი, თავისებური იყო: მამა ჩემი ჩიბუბის წიგვს უხშირებდა, უსიტყვოთა ხეწმავდა, ჩვენს ოთახში რომ შემოვიდოდა ჩვენს ძმანე გავკრით დაიწყებდა ლაპარაკს; წყრომის კილოთი იტყოდა: **თქვენი ძმა** სანადიროდ წაივიდა, **თქვენ ძმას** უთხარით, **თქვენმა ძმამა** სთქვა და სხ. და სხ. ჩვენ მაშინ მივხვდებოდით, რომ მამა გაჯავრებულია დიმიტრიზე. მამას და დიმიტრის შორის უსიამოვნოება ჩვენთვის სამწუხარო იყო, მაგრამ იმათი შერიგება კი ფრიად სასაცილო! ჩხუბი თითქო ნაძალადევი იყო, ორივენი შემთხვევას თითქო ეძებდნენ და თითონვე ჰქმნიდნენ. მაგალითს ვიტყვი: მამას ძალიან უყვარდა შინაური არაყი და სადილ-საუზუმის დროს ყოველთვის მიირთმევედა ხოლმე, დიმიტრიც ეწყობოდა. როდესაც ზღვანათ მოუვიდოდა კარგი არაყი, უძველად, დიდის ზრუნვით დიმიტრის შეუნახავდა, მხოლოდ ისე კი, რომ სხვას არ შეემჩნია ეს ზრუნვა. მამა ყოველთვის შემთხვევას ეძებდა დიმიტრის გამოლაპარაკებოდა, იმასთან ერთათ ესაუხმა და მოუსვენრობას ვეღარა მალავდა ხოლმე: უნდოდა დიმიტრის დაძახება, მაგრამ ვერ ეხერხებოდა. უფრო მეტჯერ ჩვენს ოთახში ჰპოვებდა ხოლმე შემთხვევას: მისთვის, რომ თავისი ღირსება არ დაემციოებინა, ვითომ და უცერად შეხედებოდა ჩვენს ოთახში შემოსულს, ჯერ გაჩუმდებოდა, მერე საერთო ლაპარაკში მიიღებდა მონაწილეობას, შემდეგ საუბრებზე მივიწვევდა ყველას, დიმიტრის უსიტყოდ დაუსხამდა არაყს, თითონ დალევდა და შეაქებდა, რომ გემრიელი არაყი გამოუხდია ნათლიდენას, მიტკა მოწიწებით იღვა ამ დროს, მანამ მამა არ უბძანებდა არც დაჯდებოდა და არც ჰიჭას ახლებდა ხელსა, შემდეგ ერთმანერთს ნელნელა, შეპარვით დაუწყებდნენ ლაპარაკს. რამდენიმე წუთის შემდეგ თითქოს მოულოდნელად ლაპარაკი გაჩაღდებოდა, მოსაუბრენი გამზიარულდებოდნენ და ერთმანერთს აღტაცებით და ტკბილათ შეკუთრებდნენ. მე და ჩემი და ამისთანა სანახაობით დამტკბარნი ერთმანეთს დიმიტრით გარდავხედავდით და თითქოს ზურგიდან საპალნე მოგვხსნესო ისეთს შევბას ვერგნობდი ხოლმე!



საწყალს მამას მეტის-მეტის სასოებით უყვარდა დიმიტრი და მისი შვილების წუთებში სრულიად ბედნიერათა გრძნობდა თავის თავს! ზეპირად დიმიტრისა ცხელი უყვარდა მამა და დიდით პატივსაც სცემდა... მაგრამ რა უნდა ექნა, რითი უნდა დაემტკიცებინა! **ხამსახურში** შესვლა დიმიტრის გზიდან გადახვევად მიიჩნდა (ესეთი შეხედულება ჰქონდა მე-60 წ. სტუდენტს); ტასოს გაწბილება და შემდეგ უნუგეშოთ თავის დანებება,—უპატიოსნებათ მიიჩნდა. დიმიტრი, ორ წყალ შუა გრძნობდა თავის თავს და აღარ იცოდა რითი და როგორ დაემშვიდებინა თავისი საცოდავი მამა.

როდესაც ტასოს ფეხმძიმობა ძრვიელ დაეტყო და იმათი კავშირი ყველასათვის აშკარა გახდა, მაშინ დიმიტრიმ მოახერხა ძიძა-ნავთელას მეოხებით სხვა სოფელში გასტუმრება. როდესაც ტასო თავისი ბარგით ს. კარკურის გზას გაუდგა, მაშინ დიმიტრიც ვითომ სანადიროთ, რამდენისამე საათის შემდეგ ცხენით წავიდა. მამა შვილს შორის ბუტიაობა უფრო გახშირდა მაშინ, როდესაც დიმიტრი რამდენიმე დღე სულ აღარ დაბრუნდებოდა ხოლმე სოფლიდან.

დიმიტრი თანდათან უფრო და უფრო გრძნობდა თავის უხერხულ მდგომარეობას, ხშირათ დაფიქრებული დაიარებოდა და კიდევცა ჰქონდა მიზეზი დაფიქრებისა! ჩქარა მამა უნდა გამზადრიყო და ის კი ხელკარიელი უნდა შეჰგებებიყო! ცოლ-შვილის გამოკვებას სურსათი უნდოდა და იმის შოვნას ფული...

ამხანაგები დიმიტრის თბილისისაკენ იწვევდნენ და სხვა დროს, რასაკვირველია, დაუყოვნებლად გაიჭრებოდა, მაგრამ ეხლა... როგორ უნდა მოეწყო თავისი ახალი მდგომარეობა? ბატონის ბრძკალებს თავისი სატრუო გამოსტაცა, მიანიჭა სრული თავისუფლება და თავის თავად ცხადია, რომ უნდოდა უბრუნველს და სწორე გზაზე დაეყენებანა. ამ გაქირების დროს დიმიტრის ერთ ერთი ფიქრი ასულდგმულედა, რომ **ბატონის ყმა**, ხელზე მოსამსახურე გოგო, რომელსაც თავისი-თავი სულით—ხოცვამდენ სხვის კეთონილებად ეგონა, ის ადამიანი, რომელსაც სიზმარშიც არ ესიზმრებოდა **თავისუფლების სხივები**, ეხლა ის სრულიად გაანთავისუფლა და თავს-თავამდენ აღამაღლა! დიმიტრი სრულის იმედით მოქმედებდა და სიამოვნებით მიისწრაფებოდა რომ ტასო პატიოსანი მუშა-დედაკაცი დამდგარიყო, ამასთან იმედი ჰქონდა, რომ ფიზიკურათ მრთელი დედაკაცი, მრთელს შეილებსა შობავს, თავისი ძუძუთი გამოჰკვებს და მამასადამე მრთელს ვეაშში, მრთელი სული აღიზარდება! ეს წარმოდგენა ათრობდა, თვალ წამტაც სურათათ მიიჩნდა!..

დიმიტრი, როგორც პატიოსანი, განვითარებული ადამიანი ცდილობდა, რომ ტასოში გოგო ბიჭური ქცევა და ხასიათები აღმოეფხვრა, კეთილ ნაყოფიერი ნერგი ჩაერგა, კაცობრიობის გამასპეტაკებული თესლი დაეთესა. დიმიტრის სწამდა, რომ ტასო ჯერეთ უმანკო, კეთილი ნიამდავი იყო და ყველა კეთილი იმაში აზიბინდებოდა. ამ სასიამოვნო მიზანის შისახწვევად დიმიტრის თავისი თავი და ცოდნა არა შურდა, ტკბილის საუბრით, ბევრის კეთილის მაგალითით ამდიდრებდა უეცრს არსებას. მაგრამ... სავალალოდ ტასო მდიდარი ბუნებისა არ გამოდგა, მაღალი იდეები ვერ შეითვისა და დიმიტრის შრომა და მისწრაფება,—ჩალათაც არ დაათესა... ტასოს კეუვა გონება სხვა ნაირათა



სჭრიდა, სხვა არშინით ზომავდა თავის ბედნიერებას. ტასო დიდხანს ვერ გამოირკვა იმ ტკბილის ოცნებიდგან, რომელიც ბედმა არგუნიანს სწავაჩვენა. ხაირათ ყოყონაზმა, თავი სხვანაირად მოსწონდა იმან შესძლო და დაათრო თავისი მიმზიდველობით თავისი ბატონის-შვილი. გუშინ გოგო, მოსამსახურე, — დღეს ქალბატონათა გრძნობდა თავის თავს! გუშინ ყმა იყო, ქალბატონი ჰყვანდა, რომელსაც ემსახურებოდა, პირს იბანინებდა, სარეცხს ურეცხავდა; თავისი საჭმის ჯილდოთ მოელოდა მხოლოდ მოწონებას, აწიკომ პირმოთნეობით შეჰყუებდა თავის ბატონს... ეს გუშინ იყო! დღეს იღვიძებდა ნებიერთ, ლამაზის და ყმაწვილის ბატონის-შვილის გვერდით, აღარავის შეიძლო იმისი დატუქსევა, არა, ეს არა კმარა... თითონვე ვახდა დამუქსველი, მბრძანებელი.. აბა სწორეთ ეს მხარე იყო იმისი ბედნიერების გვირგვინი, ეს უაღერსებდა იმის თავმოყვარეობას! თავის ამხანაგებს, გოგო-ბიჭებს ისევ სხვის მფლობელობის ქვეშა ზედაკედა, ისევ მოსამსახურეთ დარჩნენ და იმას კი ბედმა თავისუფლება არგუნა!.. დიმიტრის დიდი ღირსებანი: იმისი ჰკევა და მიმართულება, ტასოსთვის მოუწოდებელი იყო, იმისთვის მეტი ტვირთი იყო...

აი სწორედ ეს მხარე ვერ იანგარიშა კარგმა და ჰკევიანმა დიმიტრმა!.. იმისმა მკერამეტყველებამ ვერ გასჭრა ტასოზე, რომ შეეთვისებინა ის ჰკეშმარტება, რომ დიმიტრის თავის ტასო ბუნებრივი, სიყვარულით შეკავშირებული ცოლი იყო და თუ დიმიტრი ჯვარის წერაზე უარსა ჰყოფდა, მხოლოდ იმისთვის, რომ ეს იმის იღვეებს ეწინააღმდეგებოდა... ტასო კი კანონიერებას ეძებდა.

ეს იყო დიმიტრის ჰბატუობის გატაცება და როგორც ბოლოსა ვნახეთ, ამ გარემოებამ ჩაფერულა იმისი კარგი თავი.. ამნ ვაბა აბლაბულაში, დიმიტრის ცხოვრებაზე დასაღუპავათ იმოქმედა...

ბევრის ყოყმანის და ფიქრის შემდეგ დიმიტრი თბილისს წავიდა; მამას ძრიელ იამა იმისი წასვლა და იმედები დაუბრუნდა.

— მადლობა ღმერთსა, დიმიტრი თავის სწორამხანაგებში გაერევა, საჭმეს გაიჩენს რასმე და გაერთობა. აბა აქ რა უნდა ვაკეთოს? მეც ვემარჯარ შინაკაცათ დარჩენილი. — გვეტყოდა ზოლმე მამა.

დებსაც გვიხაროდა დიმიტრის ტოლ ამხანაგებში გარევა და მოუთმენლად ევლოდით თბილისიდან იმას ანბავს. ჩვენც იმედი მოგვეცა, რომ ამხანაგების ნახვა, იმათი მაგალითი დიმიტრიზე ინოქმედებდა და დაუბრუნდებოდა თავის ჩვეულებრივ შრომას.

დიმიტრი თბილისში მიდგა — მოდგა, თავის მდგმოიარება, ალბათ, ასწონდასწონა და წერილით შეგვატყობინა, რომ სამსახურში შევიდა!

ჩვენი პატივცემული პოეტი ი, ჰკევაძე იმ დროს დღუშეთის მახრის მამარიგებელ მოსამართლეთ იყო. იმასთანვე ემსახურებოდნენ რამდენიმე დიმიტრის ამხანაგები და სწორედ აი ამ საზოგადოებას დახარბდა და მამის დიდი ხნის სურვილი შეასრულა.

შინაურებმა არ ვიცოდით რა სამსახური იშოვნა და არც ვკითხულობდით. შინ როცა დაბრუნდა თან მოიტანა გულზე გასაკეთებელი სუდებნი პრისტავის.

ნიშანი, თავისი ბრტყელის ჯაჭვით და მამის დასამშვიდებლად სტოლზე დადო. მამას უხაროდა და ბაშვივით ხელში ატრიალებდა! ჩვენი ერთგული ლილა ანდრია და სხვა სოფლის კაცები ხემწიეთის წყალობას ულოცავდნენ. დიმიტრის ეკინებოდა და იმეორებდა: „ძლიეს, საწყალი მამა არ ვასიამოვნე“ — ო!

მე არა ვამიგებოდა რა, რა სამსახური იყო სუდებნი პრისტავობა: რა მოვალეობა ჰქონდა? და რა უნდა ემოქმედნა? ვხედავდი მამიჩემის სიამოვნებას და მეც ვსიამოვნებდი!.. ერთხელ მეც ავიღე ეს უცნაური, ტლანქი ნიშანი და გულმოდგინეთ შინჯვა დაუწყე: ძვირფას ნიშნათ მივიჩნიე, ზედ წარწერას კითხვა დაუწყე და უახროთ ხელში ვატრიალებდი. შემოვიდა დიმიტრი და სიცილით გამომიგლაპარაკა:

— შენც როგორ გიხაროდა ძმის ბედნიერება... ძვირფასია განა? უთუოთ ოქროსი გვონია...

— მაშ რისა არის? შენი სიკეთე რათ არ გამეხარდებდა. შითხარი გენაცვალე: ეს ნიშანი ჩინების მაგიერია? სხვები რომ თავიანთ სამსახურის ნიშნებს ზედ ატარებენ, შენი ნიშანი ხან ერთსა და მეორე სტოლზე რათა გდია? დაკარგვისაც არ გეშინიან?...

— ვისთვის რა გამოსადეგია თითობის ჯაჭვი...

— თითობისა?! განა თითბერია?..

— ჰაი, შენ კუდიანო! ალბათ ოქრო გეგონა და იმიტომ ხელში ატრიალებდი, სარტყელათ წელზე ხომ არ გინდა, შემოსაკრავად?..

— ცოტა ხანს ვიოხუნჯეთ და შემდეგ ვკითხე:

— ერთი შითხარი ჩემო კარგო, რაში მდგომარეობს შენი სამსახური და ან როდის და რა შემთხვევის დროს გაიკეთებ ხოლმე შენ ჯაჭვს?

დიმიტრის სახეზე რაღაცა ღრუბელმა გარდაურბინა, წარბებ შეკრულმა უსიამოვნო კილოთი სიტყვა:

— მამას სიბრალულით, იმ სურვილით გატაცებულმა, რომ საწყალი, მოხუცი მშობელი ვასიამოვნო, ვიტყვირთე ის მოვალეობა, რაც ჩემის შეხედულების წინააღმდეგია და მაშაშადამე ჩემთვის ძნელი ასასრულებელი სუდებნი პრისტავის მოვალეობა ის არის, რაც მე მეჯავრება: ვალის და ვახშის პატრონს, ისეც შევიწროვებულს, უნდა ოჯახში შეუვარდე და რაც რომ აბადია წავართვა, და გაუყიდო... შეუწყალებელი და შეუბრალებელი უნდა ვიყო, მაშინაც კი, როდესაც გულსაკლავს სიღარიბეს ხედავ... მაშინ ეს ჯაჭვი უნდა გულზე შეკიდოს, ნიშნათ ჩემის უგულობისა... მე ჩქარა დავანებებ თავსა, ჩემი საქმე არ არის ამ გვარი სამსახური....

დიმიტრიმ ამისთანა მსხვერპლი შესწირა მამის სიამოვნებას და მამამაც მაგიერი ვადაუხადა: ანდრიას შუამავლობით ნება მისცა ტასო სტეფანწმინდას ჩამოეყვანა.

თუმცა ამისთანა საგანზე ღაპარაკის დროს ჩვენ, ქალებს არ დავგვისწრებდნენ ხოლმე, მაგრამ მაინც უფრო მოვკარ ანდრიას და მამის ღაპარაკს.

— ნიკოლოზ, დალოცვილო, შოიგონე შენი ყმაწვილობა? კარგი, იკმარეთ ამდენი უსიამოვნობა: ნება მიეცი ტასოს სტეფანწმინდას ჩამოეყვანის, დამშვი-



დღით და ყველაფერი წყენა დაივიწყეთ. დიმიტრი იმას თქვამდა: „საბჭოებს და როდემდინ უნდა იაროს სხვის კარებზე?!“. აი, სახლები ბეჭდით და სოციალისტების ერთი კუთხე მიეცი, ისინი თავიანთი ცალკე იცხოვრებენ, თქვენ რას მოვიშლისთ? პატარა ბაღი ჰყავსთ, ხომ ვერ გადაადგებენ... მიტაცე სამსახურს უფრო გულს დაუდებს, როდესაც ეცოდინება რომ ცოლშვილი დაბინავებული ჰყავს. კაცია, სცხენიან შამი შენის თავით გებეწებ: ნულარ უჯაჭრდები შიტკას, ნურც შენს თავსა სტანჯავ და ნურც იმასა!..

ჩვენს ახალსა და ძველ ვალაქანს შუა, ძველი შენობა იდგა; შენობა ჩვენ სახლზე ზურგ შემობრუნებული იყო, თითქოს შემომწყარალოიო. აი, სწორედ ამ სახლში დააყენეს ტასო. მაშა ჩემი ისე იქცეოდა თითქოს იმითი არა იცოდარო, იმით შესახებ არაფერი ეინტერესებოდა, მაგრამ რაღა თქმა უნდა, რომ ისა პატრონობდა თავის შვილის უკანონო ოჯახს.

ჩვენ, დღემსა სიამოვნებით დაუყვავეთ პატარა როსტოვის, ვკონილით და უალტრსებდით ფუნჩულა, ლურჯთვალა ბიჭსა, მაგრამ რადგანაც მამისა დიდი ხათრი გვქონდა, იმას არ ვაჩვენებდით. ერთხელ სასაცილო საქმე დაგვემართა! როსტომა პატარა გოგოს მამის ჩუმათ ამოვაყვანიეთ და იმისი ტიტინით შავექცოდით. ამ სიამოვნების დროს მამი ჩვენის ფეხის ხმა მოგვესმა. ჩვენ ერთმანეს შევხედეთ, თითქო რჩევა ვკითხეთ როგორ მოვექცეულიყავით, რადგანაც ერთი კარგის მეტი არა ჰქონდა ჩვენს ოთახსა და მამაც სწორეთ იმ კარებიდან მოდიოდა; სხვა ველარა მოეხებრებეთ რა და საჩქაროთ ჩვენს ქვეშავებში ორ ბალიშს შუა დაემაღეთ. მე მსწრაფლათ კარებში მივეგვებე, ვსკდილობდი როგორმე შემეფერებინა და ბალკონზე გამეწვია ლაპარაკით; მამასთან ლაპარაკის დროს გული მისკდებოდა ბაშეს ტირილი არ მოერთო. მაგრამ ჩვენდა სასიამოვნოდ საწყალი ბაშე, ისრე ჩუმათ იყო ორს ბალიშს შუა, თითქოს იგრძნო, რომ ნებეირობის დრო არ ჰქონდა. ვაგვაკვირვა ბაშეის ამისთანა მორჩილებამ და შემდეგ ბევრიც ვეცინა.

აი ასე ვმალავდით იმ ბაშეს, რომლის მოვლენა მამამაც კარგათ იცოდა, მაგრამ ძველებურს კაცს, თავისი ბატონურის შეხედულობით რას უზამდით? თითონაც უყვარდა ბაშე, უყვავებდა მხოლოდ ჩუმათ, ისე რომ არავის დაენახა, თითქოს სცხენოდა... ალბათ ერთხელ ნათქვამი სიტყვა, ვედარ გადაეთქვა.

თავი მეოცდაოთხე.

აქ იწყება ახალი ხანა სანდროს ცხოვრებისა. როდესაც მამა მოუკვდა, ის დარჩა ოჯახის პატრონათ. სანდროსთვის ახალი საქმე იყო მეოჯახობა, ის პირველ ხანებში ახალ საქმეებში ძრიელ გაერთო, ახალ ცხოვრების ინტერესმა ამოყვეს თავი ასე რომ სწავლას სრულებით თავი დაანება.

მოწყობილ ოჯახს გარდა, სანდროს ერთი კარგი შემოსავლიანი დუქანი დარჩა, რომლის ჭირას წელიწადში 600 მან. იღებდა. სანდრომ პირველი მეოჯახობა იმითი დაიწყო, რომ დაითხოვა მოიჯარადე—მედუქნე და თითონ ჩადგა დახლში!.. ამ მოქმედებამ ყველანი ვაგვაკვირვა, ძალუა ჩემმა ბევრს იტირა: მამა ჩემსა სთხოვა დაარჩევ, მაგ საქმეს თავი დაინებოსო არ ეყადრებო.



და სხვ. მაგრამ სანდრომ ბიძასაც აღარ გაუგონა და დღე დამაგრებულ ღამეში მივიტოვებოდა. ძნელი მისახლოები იყო: 18-ს წლის იმის მდგომარეობაში ნერვოზი უმაწვილმა კაცმა, პირველთავე ღუქანში ვაჭრობას რათ მიიქცია ყურადღება და სხვა რასმე რატომ არ მოჰქიდა ხელი?... კითხვაზე, ამის პირდაპირ პასუხს არა-ვის გვაძლევდა და „ჩემი საქმე, შე თითონ ვიცო“ გასძახოდა. ყველი, ერბო, ცხვრები, პური ვითომდა გასასყიდათ შინიდან ღუქნისკენ მიჰქონდათ და ამით ოჯახს ბარაქას უწყვეტდნენ. ამ გვიარის არა ნორმალურის ვაჭრობის შედეგი ის იყო, რომ რამდონიმე თვის შემდეგ (ნგონი შემოდგომიდან გაზაფხულამდენ გასტანა) უსახსრობით ღუქანი დასაკეტი გაუხდა. აქ გამართლდა ქართული ან-დაზა: „ქართველის ღუქანი და სომეხის ვუთანი“; იმისი მხლებელი ბიჭები ღუქნის პატრონებათ გახდნენ, ფულიც შეიძინეს და სანდრო კი გააგე და ღუქნის პატრონი ღარიბდებოდა.

მართლა, რომ სანდროს ცხოვრება, მიმართულება და ზასიათი, იმ თავი-თვე როგორც საინტერესოა, გასაგონათ, ისე მნახველთათვის მიუხვედრელი იყო.

ბუნებით ჭკვიანი, მოხერხებული იყო, მაგრამ ყველა იმის მოქმედებაში, ქცევა-ში რაღაც ოინობა, თვალთმაქცობა გამოითქმოდა და ძალიან ხშირათ ის ადამიანი რომელიც ამ წამს ჭკვიან, სანდო კაცათ აღიარებდა, ის ხვალ გაკვირვებულ, აზრებ დაფანტული სხვანაირათა სცნობდა; ბევრი მინახავს იმისაგან ნოხიბლული და როცა დაჰკვირვებია, ზიზლით უკუტყუული!.. ამის დასამტკიცებელი მაგალი-თები ბევრი ვიცი, რომლებს ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და მოუხერხებლად მიმაჩნია.

სანდროს მეტის მეტათ უყვარდა და ეხერხებოდა სხვის მოხიბლვა, ან კი-დეე მოტყუება: სხვანაირათ ერვენებოდა ადამიანს, გამოეხუნჯებოდა ისე, რო-გორც მასკარადებში შემოღებულია ნიღაბ ჩამოფარებულებისათვის. ერთს ნი-მუშს მოვიხსენიებ.

ჩვენ, შინაურები, სანდროს მეღუქნეობას შეეჩვიეთ, ასე რომ იმის გა-ქონილს ტყაბუქს (ნამდვილს ვანობა!) აღარ ვამჩნევდით, სტუფანწმინდულებმაც კარგად შეიგნეს იმისი ახირებული, თავისუფალი ზასიათი და რაც უნდა მოე-მოქმედა—აღარავის უყვირდა, მაგრამ სხვა ტომის კაცზე კი საკვირველს ზღაპ-რულს შთაბეჭდილებას მოახდენდა ხოლმე.

იმ დროს ერთი აკადემიკოსი ინჟინერი დაიარებოდა ხოლმე ჩვენსა. ამ უცხო ტომის კაცს, თერგი თავისი სიგჟით და თავხედობით ბევრს საქმეს უჩენდა და მაშასადამე ბევრს ფულსაც აგებინებდა, იმას ებარა კაცკაციდან მღუთამდენ სამხედრო გზა-ტყეკილი, სიარულის შემთხვევა ბევრი ჰქონდა და ისიც ემაწვილ და მრთელი ვაგაკაცი, მუდამ დაიარებოდა. სტუფანწმინდას ხში-რათ მოდიოდა და რაღა თქმა უნდა ჩვენს ოჯახს ვერ აუხვევდა. შუა ტანის კაცი იყო, ჭერა, ლამაზი შეხედულებისა, სულ მუდამ მხიარული და მოძრავი. კობტა, სუფთათ ჩაემული, მუდამ სერთუკ-ეკსილობანდებით (ვოენი ინჟი-ნერი იყო) მოკაზმული; კარგათ გახდილი, მშვენიერი მოლაპარაკე, მნახველზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა. მამაჩემი ძალიანა სწყალობდა და ისიც ჩვენი



ხშირი სტუმარი იყო ხოლმე. ერთს დღეს გვესტუმრა დედაჩემი შემდეგ მხიარულის მუსაიფით წაყვებით გასასეირნებლათ. რადგანაც ცხელი ზაფხული კავკასიიდან ამოვლილი, ჩვენ ვარჩიეთ სტანციისკენ ვავლა და ჩვენის ხელით მიღება წიგნებ-გაზეთების. ჩვენი გზა სწორეთ სანდროს დუქნის წინ მიდიოდა.

ჩვენ შორიდანვე შევნიშნეთ, რომ სანდროს დუქნის დერეფანზე მედუქნე იდგა, გააოხილი ტუპუქით, ქუდის ჩაჩით, თმა გაწეწილი, პირდაუბანელი; ერთს ტუტყიანს ხელში პაპეროზი ეჭირა და სწევდა, მეორე ხელით დონიჯი შემოეყარა და ვილაც გლენს, რომელიც იქვე დერეფანზე ყალიონის წევით ჩამომჯდარიყო, ელაპარაკებოდა. ეს მედუქნე იყო ალექსანდრე ყაზბეგი, რომლის ნახვამ და გარეგანმა შეხედულებამ ჩვენ სრულებით არ გაგვაკვირვა, რადგანაც ჩვენი ბიძაშვილი არა ერთხელ გვენახა ამ გვართ მართლში. ვინც სანდროს იცნობდა (იცნობდნენ და ახსოვდათ მრავალთ) იმთავით არ ვაუკვირდებოთ და მოიგონებენ სანდროს ბინძურობას.

ჩვენი თანამგზავრი მე და ჩემს დას შუა გვიდგა და ჩვეულებისამებრ ხელების შლით დიდის ალტაცებით რალაც მხიარულს ანბავს გვიანობდა; ჩვენც ვატაცებულები ლაზათიანის მოთხრობით გულმოდგინეთ ყურს უგდებდით. საზოგადოთ როგორც წლოვანებით ისე გარეგან შეხედულებით ჩვენის კავალრის საკადრისი დაშვებით და საერთო გარმონიის არ ვარღვევდით.

როდესაც მივახწიეთ დუქნის დერეფანთან ამ მედუქნემ არც დონიჯი მოიშალა და არც პაპეროზის წვეას დაინება თავი, იმ დროს როდესაც იქვე მჯდომი გლეხები ფეხზე წამოდგნენ და პატრიისკემით ქუდი მოიხადეს, ტუპუქიანი (ნამდვილათ!) მედუქნე კი თამამათ გამოიყურებოდა და ქუდის მოხდის მაგივრათ (როგორც ჩვენი კავალერი მოელოდა) თამამათ შენობით დაგვიწყო ლაპარაკი. ჩვენც იმავე ეილოთი პასუხი მივეციით. უნდა გენახათ ვაშტერება ჩვენის კობტა კავალრისა!.. შეჩერდა... ჯერ მრისხანეთ მედუქნეს შეხედა, მერე ჩვენ ხან ერთს ხან მეორეს შემოგვხედდა, კიდევ შეხედა, კიდევ შემოგვხედდა და რალაც გამოურკვეველს მდგომარეობაში ჩავარდა... მე და ჩემი და ვერ მივხვდით მიზეზს და გავკვირდა ჩვენის კავალერის ასრე უცებ მხიარულია გუნების შეცვლა და უცნაური ტყვეა. მხიარული და მშვიდი სახე ჩვენის კავალრისა გვიკვირდა უცებ რათ შეიქუშა? უყურებდით და ვხედავდით, რომ ვაკეცხლებული თიანჭოს მზად იყო დუქანში შევარდნილიყო და იქიანა დაეღწა, მაგრამ ვერ ვხედავდით მიზეზს და გავკვირებულები შეესტკეროდით. მაგრამ, თუკა ჩვენ, ქალები ვერ მივხვდით გაჯავრების მიზეზს, სანდრო კი თურმე მსწრაფლად მიხვდა და როგორც ბოლოს დაინახეთ ამ უცარს ქარიშხალს თავისთვის სასურველი მიმდინარეობა მისცა. სანდრო აუტყარებლათ, იმავე პოზით ჩამოვიდა დერეფნის კიბეზე, ჩვენს კავალერს არათუ ვერაღებდა არ მიაქცია და ჩვენ ხელი გადმოგვხვია, ორიოდ ტუპილი სიტყვა გვითხრა, გავვემასხარა და დაგვაბარა, რომ თუ იმის სახელზე წიგნი იყოს ისიც წამოვიღოთ. მანამ სანდრო ჩვენ გვეალერსებოდა დუქანის დერეფანზე მყოფი გლეხები მოწიწებით იდგნენ და დამშვიდებით გვიყურებდნენ. ყველა ამის მნახველმა, ჩვენმა კავალერმა ველარა მოახერხა რა, გამ-



ტერდა, ვაქცივდა!... და მგონი ფიქრიც ველარ მოიკრიფა, თავის თავს დამარცხებულათა გრძნობდა. იმის გაშმაგებას ჩვენ მაშინ შიშობრად უწერდალღობა, როცა სანდრო დექანში შევიდა, და ჩვენ ისევე ჩვენს გზას დავადექით.

ჩვენს კავალერს საუბრის ძაფი შესწყვეტიყო, გონება დაჰფანტვიყო და ლაპარაკს ველარ აჩერებდა. ჩვენს კითხვაზე, რომ ასე უცნაოთ რამ შესცვალა იმისი მზიარული გუნება, იმან საყვედურით გვიპასუხა, რომ ჩვენმა დღევანდელმა ქცევამ და შედუქნის თამაშობამ ისე აამღვრია, რომ კარგა ხანს გონზე ველარ მოვა.

— ხა, ხა, ხა!... როგორ თუ შედუქნის თამაშობამ? განა იმ შედუქნეს არ იცნობთ?

— მე შედუქნებთან ცნობა-მეგობრობა თავის დღეში არა მქონია და შეკდეგშიაც იმედი მაქვს, რომ როცა საქმე გამიჩნდება ჩემს ბიჭს გავგზავნი დექანში და მე ხვეენა-ალერსს არ დაუწყებ მიკიტანს!.. გვითხრა მრისხანეთ ჩვენმა კავალერმა.

რასაკვირველია, ჩვენს კავალერს დიდი იმედი ჰქონდა, რომ იმისი სიტყვა-დარიგება ფლუტთ არ ჩაივლიდა და ჩვენს სოფლებს გაუნათლებელ ქალებს გვასწავლიდა თუ შედუქნე მიკიტანთან როგორ დავგეჰირა თავი. მაგრამ უფრო მეტი გაოცებული მაშინ დარჩა ჩვენი ნაცნობი, როდესაც თავის ბრძნულ დარიგების პასუხათ ჩვენი ატეხილი სიცილ-კასკასი გაიგონა! ჩვენ მხოლოთ ახლა მიუხედავთ ჩვენის კობტა კავალრის უცნაურის წყრომის და გამხეცების მახეშს, სანდრო მართლა ღირსებით შედუქნე ეგონა და დიდათ ითაკილა, რომ იმის დაშეხს გაუთამაზდა! ჩვენ ისე სასაცილოთ მივიღეთ ეს შემთხვევა, რომ ატეხილი სიცილით თავი ველარ შევიკავეთ და მიუხედავათ ალაგისა სტანციამდენ კასკასით ჩავიარეთ. რამთენსაც ჩვენ ვიცინოდით იმთენს ის უფრო შტერდებოდა და ჩვენ იმისი გაშმაგება მეტათ სასაცილოთ მივგანდა.

— რა ვქნა, ამდენა ხანს ჩვენსა დიარებით და აქამდინ არ იცოდით, რომ ჩვენ ძმებს გარდა ბიძაშვილიცა გყავს? გვითხე ჩვენს გარისებულს კავალერს.

— როგორ არა, ვიცი რომ თქვენა გყვანდათ ღნერალი მდიდარი ბიძა და იმის დარჩა ერთი ვაჟიშვილი, რომელსაც თურმე ფუფუნებაში ზდიდა. მაგრამ აქ რა შუაშია თქვენი ბიძაშვილი?

— კიდევ მივირის, რომ ამოდენა ხანი ამ გზაზე დიარებით და ალექსანდრე ყაზბეგს არ იცნობთ? ნუთუ ჩვენს ბიძაშვილს ნება არა აქვს, რომ თამაშათ მოგვეტყეს და არავისგან არ გაიკიცხოს?! მეც მეწყინა, რომ ჩვენი კავალერი იმთენათ მიუხედავად გამოდგა, რომ უბრალო შედუქნე, შუადლისას, საჯაროთ ხვეენას არ დაგვიწყებდა და ჩვენ სიამოვნებით არ მივეგებებოდით იმის ალერსს.

— მე თქვენ მოგახსენებთ იმ შედუქნეზე, რომლის ქცევამ ამ ათი წუთის წინთ ისე აამღვრია, რომ ისევე თქვენი რომ არ შემრცხვენიყო, კბილებს დავამტვრევდი! ისეთმა თრთოლვამ ამიტანა, რომ კინალამ დექანში შეუარდი და



ცვირპირი დაუგაღე... მაგრამ თქვენმა იმისადმი აღერსმა ~~და მსგავსებულ~~ გლეხების მოწიწებით ყურებამ, აარალი შემხსნა, მიწისთან გამსწორებას მოგახსენებთ იმ **მეაღუქნეზე**, რომელმაც ჩვენ ევროპიელების შეხედულებით, ჩემს დამებს ამიდა მისცა და დასჯის ღირსი იყო.. მაგრამ დროს კიდევ ვიპოვნი რომ მაგ ბრიყვს მურტალს მედღუნეს ჭკუვა ვასწავლო!.. თქვენ კი დალოცვილო, თქვენი ბიძაშვილისას მეკითხებით ვიცნობ თუ არა? ის თუმცა არ მინახავს მაგრამ ვიცი კი რომ კარგად გაზღული ყმაწვილი კაციო.

— გირჩევთ რომ არ შეეცადოთ იმ მედღუნის სწავლას, ძვირიათ დაგიჯდებათ! ეგ მედღუნე ჩვენი ბიძაშვილია, ალექსანდრე ყაზბეგი, სწორეთ ის ყმაწვილი, რომელიც ეხლა დიდის სიმპატიით მოიხსენეთ.

მე არ შემიძლია ავწერო ჩვენი კავალრის განცვიფრება და გაშტერება: ისევ მარდი და მოძრავი კაცი, ციბრუტივით დატრიალდა და უსაზღვრო გაკვირების აცხადებდა... რამეთინიმე წუთი ერთსა და იმავე აზრს და სიტყვებს დავტრიალებდით: ჩვენ ვარწმუნებდით რომ მედღუნე—ალექ. ყაზბეგი იყო, და ის კი იმეორებდა **НЕ МОЖЕТ БЫТЬ!**.. და რამდენათ უფრო მეტს ვლაპარაკობდით ამ საგანზე იმეთნათ უფრო სასაცილო ხდებოდა ჩვენი ურწმუნო კავალერი.

ამ გვარი ბაასით სტანციამდე მივახწიეთ, მივიღეთ წერილები, ნაცნობებს შევხვდით, ზოგი რამ ახალი ამბები გავიგეთ და დამწვიდებულები შინ დაებრუნდით. დაგვაფიწყდა ჩვენს კავალერთან ბაასი; იმისაც ახალის შთაბეჭდილებით და ფიქრებით გართულს დავიწყებოდა წელანდელი აღილება და ჩვეულებრივ მხიარული (შეგვირიგდა) მოგვდევდა შინათკენ. როგორც მოუახლოვდით ჩვენს ეკლესიას და შინისკენ უნდა შევეტრიალებულიყავით გალაგნის კარებიდან გამოგვეგება სანდრო და პირდაპირ ჩვენთან მოვიდა. ჩემი სანდრო მორთულიყო! თავიპირი დაებანა, ქოჩორი გადაეგარცხნა, მშვენიერათ შეკერილი ახალი შტაკი ტანისამოსი ჩაცევა, თავის შესაფერის მოდის შლაპით, თვალბზე პენსნე გაეკეთებინა და ლამაზი შარვალ-წალებით მორთულიყო, ხელში ლამაზი წყკლა (ტროსტიკი) დაეჭირა და მხიარული ღიღინით მოეშურებოდა ჩვენკენ. მოგვეგება აღერსით, ზდილობიანათ თავი დაგვიკრა, ორივეს ხელებზე გვაკოცა და სტანციიდან ამოტანილი წერილი მადლობით გამოგვართვა. ჩვენი კავალერი მოწიწებით იღვა, როგორც უცნობი.

— მგონი თქვენ ერთმანერთს არ იცნობთ? ეს არის ჩვენი ბიძაშვილი ალექსანდრე ყაზბეგი, ესენი (სანდროს უთხარიით) ბატონია ჩვენი კარგი ნაცნობი. გთხოვთ ერთმანერთს იცნობდეთ!

სანდრომ, როგორც შეზგეროდა გაზრდილს და საზოგადოებაში ნამყოფს ყმაწვილ კაცს, ლაზათიანათ თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა. მაგრამ უნდა გენახათ ჩვენი საწყალი ნაცნობი!.. იღვა გაშტერებული, შესტკეროდა სანდროს, შემოგვეტკეროდა ჩვენა, ფერი ეცვლებოდა და ველარა ეწამებინა რა.

ჩვენ ამ შემთხვევაში მსწრაფლათ მივხვდით იმის გაშტერების მიზეზს და საჩქაროზე მივეშველენით, რომ გამოგვერკვია უცნაურის ოცნებიდან.

— თქვენ მგონი კიდევაც გიკვირსთ და არა გჯერათ, რომ ეს ყმაწვილია



წელანდელი მედუქნი— მიკიტანი?! დიხ, ეს გახლავსა! ნულარ შრეკრებთ ამის წელანდელს გარეგან შეხედულებას: ეს არის ალექ. მიხეილის მე უბნევი, ჩვენი ბიძაშვილი, გთხოვთ იცნობდეთ!

ჩვენი სტუმრის მოძრავი სხეული, სიცოცხლით სავსე მარდი თვალენი, ტრიალებდენ და ცმუკავდენ: კიდევ გვიყურებდა, კიდევ გვათვალეოებდა და მერმე ველარ მოითმინა და გაჯავრებულის კილოთი წამოიძახა:

— მგონი დღეს თქვენ ყველამ პირობა შეჰკარით რომ მე გამაგეოთ!? როგორ შეიძლება, რომ ადამიანმა $\frac{1}{2}$ საათში ასე ფერი და შეხედულობა იცვალას? ტეატრებში სადაც წინათვე ყველაფერი მომზადებულია, იქაც მეტი სისწრაფე არ შეიძლება. არა, არ დაგვიჯერებთ! თქვენ მე მასხარათ მიგდებთ, მამრიყვებთ იმიტომ, რომ შემდეგ დამცინოთ! სწორეთ კამედიურათ სასაცილოთ გამოგყვართ... სწორე მოგახსენოთ, მე თქვენგან არ მოველოდი!..

ჩვენ შეგვაწუხა ჩვენის ნაცნობის საყვედურმა და კარგათაც ვგრძობდით, რომ მართლა ძნელი დასაჯერებია იყო ის, რაც ჩვენმა სტუმარმა თვალთ ნახა მაგრამ რას ვიქნოდით, რომ ნახული იყო კეშმარიტება! სანდროც მოგვეშველა იმით, რომ თავის დუქნის ეპრობაზე ორიოდ სიტყვა გვითხრა: კარებამდინ მიგვაცილა და გამოგვეთხოვა.

— ჩვენ ვალვანში შევედით, სადაც მამა ჩემი ჩვენს ლოდინში ბალკონზე ბოლთასა სცემდა და ჩიბუხის წვეას უხშირებდა. ცოტა დაევიგვიანეთ და მამა ჩვენი მოუსვენრათ გზისკენ გამოიყურებოდა.

— ნიკალია გაბრიელი! თქვენ გამომიხსენით ამისთანა ოცნებისაგან! თქვენ ამიხსენით მნიშვნელობა საკვირვლო სანახავისა, რომელიც ამ სეირნობის დროსა ვნახე... მე ჩემს დამებს შევსწამე სურვილი ჩემი მასხარათ აგდებისა, თუ შემცდარი ვარ თქვენ, მხოლოთ თქვენ შეგიძლიანთ ჩემი დარწმუნება, რომ რაც ეხლა ოინი ვნახე, ის განგებ ჩემს გასაბრიყვებლათ არ არის შეთხუხული?..

ამ სიტყვებით მიუახლოვდა მამის, ორივე ხელი დაუქირა, ნიშნად დიდის თხოვნითა, მისთვის, რომ სრული სიმართლე ვაეგო.

— რა მოხთა?—გაკვირვებით მამა გვეკითხებოდა—რაზედ ავიწყოთებით სტუმარი? საწყენი ხომ არა უთხარით რა?

ჩვენ დაწერილებით მამას უამბეთ—რასაკვირველია სიცილით—ის, რაც ჩვენს სტუმარს ვაუვირდა და როგორც მოხდა სანდროსი და იმის გაცნობა. ამას დაემატეთ, რომ ჩვენი სტუმარი არ გვერწმუნება რომ ტყაპუქიანი მედუქნი და კობტათ ჩაცმული ლახათიანი ყმაწვილი კაცი ერთი და იგივე პირია, —ალექსანდრე ყაზბეგი.

მამა ჩემმა ბევრი იცინა და სტუმარი ძლივს დაარწმუნა სინამდვილეზე.

ჩვენი სტუმარი ხელეგსა შლიდა და ბუტბუტით იმეორებდა: „დენერლის შვილი, მდიდარი, ყმაწვილი, ვახდილი და მედუქნი? Не понимаю!!“

ამ შემთხვევაზე ბევრჯელა გვეკონდა ლაპარაკი:

— სანდროჯან, როგორ მოახერხე ისე უცებ ტანთ გამოცემა? ან რაში მოგავონდა მიკიტანს უცრათ გაბატონება?—გვითხავდით ჩვენა.

— თქვენმა კავარელმა ისეთის მრისხანე თვალთ შემოხვდა, თითქოს ის



იყო უნდა მოვარდნიყო შესამუსრავათ! მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს მზღვრებლის მიზეზს: ითაკილა, რომ იმის დაშვებთან ვილაღ მედღუნე თამაშად ჩქვეყნად იმის რაინდული შეხედულება დავამცირე ჩემის ქცევით, და მოვიწადინე ნუგეშის ცემა: თქვენ როგორცავე მომშორდით, წინათკენ გავეშურე საუკეთესო ტანი-სამოსის ჩასაცმელათ, მინდოდა დამერწმუნებინა, რომ მაგისტანა კობტა ყმაწვილები საკადრისი ტანისამოსიცა მაქვს. რადგანაც მე ზიზლით შემომადედა, მეც მოვიწადინე იმისი სასაცილოთ ავღება. ხომ ნახეთ: კინალამ კი გადავრიე და!..—სიცილით ანბობდა სანდრო.

ძალუა ჩემი ხანდროს მედღუნეობას ძალიანა სწყუხდა: ყველა ნათესავს და ნაცნობებს ეხვეწებოდა, რომ დაეშალა სანდროსთვის ამისთანა მოქმედება, მაგრამ ეს ცდა სულ ფუჭი იყო. ბევრჯერ ცრემლით ებვეწებოდა, არცხვენდა, აყვედრებდა, რომ იმის მამის შვილს, გამოჩენილის ნათესაობის პატრონს (ეს შეეხებოდა მარტო ძალუას ნათესაობას, რომლებითაც ამაცობდა კიდევ) არ შეეშენის მაგარი შურტალი, საქმე, მაგრამ სანდრო თავისას არ იშლიდა.

— რა წყალში გარდავარდე, რა მოუგვარო? ვუბნებოდა ძალუა თავის ერთგულს ნინოს, — ლამის არის მტრის გულსად გამხადოს? თუ ცოლს არ შევერთავ, სწორეთ დაეღუბები. მარტო სანდროს ცოლის შერთვა გამომიბრუნებს ოჯახს და მხოლოთ ეს არის საშუალება...

ძალუა ამ აზრის განხორციელებას სიფრთხილით მაგრამ გულს მოდგინეთ შეუდგა. მისწერა თავის ძმას, რომ კარგი ქალი რასაკვირველია გვარიშვილი და მზითვიანი, სანდროსთვის საცოლოთ გამოერჩიით და მიწერა-მოწერაში დაასახელეს კიდევ, ის ქალი რომელიც სასძლოთ უნდოდა. რადგანაც სანდრო ცოლის შერთვის სურვილს არ აცხადებდა, ამის გამო მოიაზრეს, რომ საქმე რამე გამოეჩინათ სანდროსთვის და ცოლის შერთვა შეეპარებინათ.

ძალუამ ამ აზრით მშვენიერი დრო შეურჩია: სწორედ იმ დროს როდესაც სანდროს მედღუნეობა მოსწყინდა და უსარგებლობაზედაც დარწმუნდა, ძალუამ რაღაც ვექსილი გამოიხაზა, (ერთს თავადს—ბიძი ჩემის ფული მართებოდა) და შვილს უთხრა:

— დედა გენაცვალოს შვილო, შენის მეტი პატრონი არავინა მყავს, წადი შვილო გორში და ამ ვექსილში დასახელებულს თავადს ამავე ვექსილის ძალით ფული გარდაახნდევენე. ბიძაშენთანაც შეიარე, ნახე შენი ნათესაობა, გაერთობი, შენც ისიამოვნე და ისინიც ასიამოვნე.

სანდროსთვის აშკარად გასეირნება დროს-შესაფერი იყო და სიხარულით დათანხმდა. დუქანი ბიჭებს ჩააბარა და გაემგზავრა თავის დედის ძმისკენ, სადაც საცოლოს უმზადებდნენ. ამ საქმის შესახებ, საინტერესოა იმის ჯიბის წიგნი, სადაც თითონა (ინახება წ. კ. საზოგადოებაში) სწერს: თუ როგორ დაახწია თავი ცოლის შერთვას და როგორ გამოიქცა. აი რა სიტყვებით მოგვითხრობს:

— „ამ დროს ჩემი მასპინძელები იქამდინ მივიდნენ, რომ დაიწყეს პირდაპირ ჩემთან ლაპარაკი იმ ქალის შერთვაზე და მითხრეს გარდაწყვეტით, რომ თავს აღარ დამანებებენ. ჩემი მდგომარეობა სასაცილოზე უარესი იყო. მაგრამ



მე ვიყავი კაცი ცხენსა და იარაღს შეჩვეული, ამასთან ბიჭი მუცელმცემად გულადი და გამოცდილი, რომელსაც შევატყობინე ჩემი მდგომარეობა რჩევით დაედევით (?), რომ ზვალ დილით დაეკაზმოთ ცხენები, გამოუცხადოთ რომ შინ მიედღივართ და თუ ვინმემ გაბედა ჩვენი დაყენება—ძალით გავიკეთოთ გზა. როგორც ვთქვით ასე კიდევ ავასრულეთ, ბევრი ეცადნენ, ბევრი მიჩაჩიეს, მაგრამ რაკი ჩვენი გარდაწყვეტილება და შეურყვევლობა ნახეს მაშინათვე თავი დაგვანებეს და სწორეთ გითხოთ კარგიცა ჰქნეს, ამიტომ რომ მართლა თუ ძალა ებმარებინა ვისმე, მე და ჩემი კაცი თავებს არ შევიშურებდით და კიდევ სხვ. და სხვ.

ეს მოვონება ეტყობა, სანდროს მწერლობის დროს არის დაწერილი და მე გაზვიადებული მგონიან: თუმცა მართალია, სანდროს დედას დიდი სურვილი ჰქონდა რომ, შვილისთვის ცოლი შეერთო და იმისმა ძმამ მოინდომა თავისი დის ხურცილი აღესრულებინა, მაგრამ მაინც იარაღით გზის გაკვეთა სრულებით არ დასკირებია სანდროს. მე ეს ამბავი მომყავს მხოლოდ მისთვის, რომ იმის დროის ვითარებანი აღვნიშნო.

თავი მეოცდარვა.

1867 წ. ზაფხული განსაკუთრებით სასიამოვნოთ გაგვატარეთ: ჩემი ძმა ფილო საზაფხულოთ მოვიდა სოფელში და იმისმა მოსვლამ ფრიად სასარგებლოდ მოაწყო ჩვენი ცხოვრება. ეს ისეთი ხანაა ჩვენი ცხოვრების, რომელსაც დღესაც, სიბერის დროს, ალტაცებით მოვიგონებ ხოლმე და ჩვენას ყმაწვილობის ხაუკეთესო დროთ მიმაჩნია. აქვე იწყება სიმპატიური ხანა სანდროს ცხოვრებისა და საერთოთ ჩვენი ზნეობრივ და გონებრივ წინწაწვივისა.

ამ ზაფხულს განსაკუთრებით აზროვნათ მოვაწყეთ ჩვენი ცხოვრება: ვკითხულობდით, წაკითხულზე ვბაასობდით და ამ გვარად სწავლა-ვარჯიშობით ეატარებდით უფრო მეტს დროს. ჩვენ თუმცა რიცხვით ბევრი არ ვიყავით, მაგრამ აზროვნად დროს ვატარება კი დიადი გვქონდა! ჩვენს საზოგადოებას შეადგენდა: სანდრო, ფილო, ჩემი და ოლგა, ვიქმანი მამიდაშვილი სონა და მე. არვიცი საიდგან, მაგრამ საკითხავი წიგნები საქმარისათა გვქონდა, სანდროს მაშინ აღედრა სურვილი რუსეთში წასვლისა, რასაკვირველია სასწავლებლიდ, სანდრომ თავის დუქანს და სხვა წვრილან საქმეებს თავი დაანება და მუდამ ჩვენთან ატარებდა დროსა; ის უფსკრული რომელიც ხელოვნურათ იმისმა დედამ შეჰქმნა ჩვენ შორის, თითქოს თანდათან ჰქრებოდა და ჩვენ უახლოვდებოდით ერთმანერთს. ძალუას არ მოსწონდა სანდროს ჩვენთან დაახლოვება, თავისებურათა ცდილობდა ყოველნირი დაბრკოლება, ლობე-ყორე შეექმნა, მაგრამ ამოდ: სანდრო ჩვენ აღარა გეშორდებოდა. ბევრჯელ ძალუა ჩემი ველარ მოითმენდა და ვეისაყვედურებდა კიდევ, რომ „აღარც დედას და აღარც ოჯახს უურადლებას აღარ აქცევს და მუდამ ჩვენთანა გდია.“ ჩვენ მოპატივეს არ უგზავნიდით, მაგრამ გულით კი გვიხაროდა, რომ სანდრო ჩვენსა ხშირათ მოდიოდა და ამით ჩვენს პატარა საზოგადოებას წვერი ემატებოდა.

ფილო წლოვანებით თუმცა ჩვენზე უმცროსი იყო, მაგრამ რადგანაც კოდ-



ნით მეტი იყო (მგონი მეშვიდე კლასში იყო 1-ს გიმნაზიის კლასში) პროფესორივით შევეყრებდით. ფილო ვახდა მეთაური ჩვენი პატარა წრისა, იმან ვაგვიწვია მზრუნველობა, რომ სასიამოვნო დროსთან სასარგებლოც შეგვეთანხმებინა და სოფლის ცხოვრება აზროვანი და ნაყოფიერი გაგვეხადა.

ერთხელ გვითხრა:

— მოდით სალიტერატურო საღამოები ვაგმართოთ ხოლმე: ხმა მაღლა ვიკითხოთ და რიგრიგით რეფერატები ესწეროთ!

ჩვენ ყველანი ალტაცებით მივეგებებით ფილოსაგან გამოთქმულს აზრს. პროგრამაც თითონვე შეგვიდგინა, წასაკითხს წიგნებსაც და რეფერატის ტემასაც ისივით ვაძლევდა. გაჩაღდა საქმე!..

რადგანაც მე და სანდროს უფრო გვეკვირებოდა რუსულის ენაზე ვარჯიშობა, ამის გამო ჩვენც იყო უფრო დიდი ყურადღება მოპყრობილი: არჩეულს სტატიებს რიგ რიგათ ვკითხულობდით, წაკითხულს გეარჩევინებდნენ და რეფერატით წარგადგენდით ხოლმე; ამასთანვე რასაკვირველია, ჩვენი აზრი და შეხედულობა ამა თუ იმ საგანზე, საჯაროთ ე. ი. ჩვენის პატარა კრების წინაშე უნდა დავგვეცვა. ამ ბედნიერს დროს ეხლაც ალტაცებით ვიგონებ! მახსოვს კარგათ თუ ჩემი პირველი რეფერატი როგორ დღესასწაულებრ, დიდის ანბით წავიკითხე! ნამეტნავათ პირველი საღამო, დიდი დღესასწაული და ზემი იყო ჩვენთვის!! ჩვენი დიდი დარბაზი ხწავლის ტაძრით მოვკაზმეთ: შუა დავდვით დიდი მრგვალი მაგიდა, გარს სკამები შემოუწყეთ, სადღესასწაულოთ გაეაჩაღეთ, შუაში ფილო ჩავისვით და ჩვენ გარს შემოუსხედით!... ესკდილობდით რომ ბაშურათ არ დაგვეკირა თავი; დინჯათ მოვტკეულთყავით, ხან და ხან ჩვენი გიჟმათი სონა კი ვაგვაკინებდა ხოლმე, მაგრამ ისევ მალე დაუბრუნდებოდით ხოლმე ჩვენს საყვარელს და სასარგებლო საქმეს. ისეთის ალტაცებით შეუდევით სალიტერატურო საღამოების გამართვას, ისეთ ნაირათ ვაგერთობოდით ხოლმე, რომ არა ერთხელ ვაგვეთენვია ღამე და მამისაგანაც საყვედური მიგვიღია: „რა არის ამდენი ყბედობა“ო!...

საკვირველათა ბრუნავს ადამიანის ცხოვრება და იმისი ვითარება... მე, ეხლა, ამ სტრიქონების წერის დროს, 40 წლის შემდეგ, ამ საკვირველის დროის წარმოდგენით თითქოს გონება და გრძნობა ვადამიხალისდა ისე მესიამოვნა მოგონებაც კი, მაგრამ სანდროს დღიური წინ მიღვეს და მიკვირს: ის ამ საგანებზე დროზე არას ანბობს. მით უფრო მიკვირს, რომ თავის პაწია ჯიბის წიგნში როგორც ეტყობა თავის ავტობიოგრაფიისთვის დაწერილში, სადაც იგონებს თავის ყმაწვილობას, აღზრდას, სწავლის სურვილს, გვიანბობს თავის ამხანაგთან მიწერ-მოწერის ანბავს და კიდევ სხ. და სხ. წერიაწინებს... და ამ საკვირველს დროს კი ივიწყებს!.. მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორეთ ამ დრომ, ამისთანა აზროვნება დროს-გატარებამ სასწაულებრ იმოქმედა სანდროზე. სანდრო ისეთი გატაცებული იყო იმ დროს, ჩვენთან დროს გატარება იმდენათ ესიამოვნებოდა, რომ დღეა როცა ვანგებ ვალავნის კარებს ჩაკეტვინებდა, მისთვის, რომ სანდრო ჩვენსა არ ამოსულიყო, ის მაშინ ვალავნის კედლებზე ბობღვით ამოდიოდა და ვათენებამდინ დროს ჩვენთან ატარებდა.



სწორეთ ამ დროს გარდასწყვიტა სანდრომ რუსეთში წასვლას და სწავლის განგრძობა.

ძალუა ჩემი, რალა თქმა უნდა, რომ დიდის ოხვრით და წუწუნით დასთანხმდა სანდროს რუსეთში წასვლაზე. ან კი რა უნდა ექნა? ხედავდა, რომ ცოლი ვერ შერთო, შინაც ისე არ იქცეოდა, როგორც იმას უნდოდა: ხან მედუქნეთ დადგა, ხან მიეცხვარეთ. შიშობდა დედა, რომ უარესი სხვა არა მოეზდინა რა და დასთანხმდა თავის საყვარელის შვილის რუსეთში წასვლაზე, რომ ამით მოაშოროს ოჯახისთვის უღირსს შრომას. მაგრამ... გაკირებაში და საგონებელს ჩაეარდა ძალუა კეკე! წვერიანი ხტუნებები ძილს უფრთხობდნენ, იმათი ვაულებნისა სანდროზე მეტის მეტათ ეშინოდა და რუსეთში წასვლას ხომ ეს ხიფათი აუცილებლათ ნოსდივდა!.. სიყვარულით გამსჭვალულმა დედამ ბევრის აწონ-დაწონის შემდეგ დაულოცა სანდროს გზა, მაგრამ მუდარით კი მიმართა: დიდხანს რუსეთში არ დარჩეს, სტუდენტებს არ აძვეეს და უთუოთ ვოენი სამსახურში შევიდეს. მისთვის რომ თავისი მანის ღირსეული შვილი გამოვიდეს. დედა-შვილი შეუდგნენ მზადებას.

ვისთვისაც მოხზუბარიძის წასული საინტერესოა ის, აღბათ, არ დაიზარებს და ფეხ და ფეხ მიჰყვება იმის აღზრდას და შემდეგ ცხოვრებასაც; ვინც დაინახა იმის ოჯახში გაბატონება, იმისთვის ადვილი წარმოადგენია თუ სტუდენტში დასწრის გაღივან-დარბაზში რა სირბილი და აღიპოთი იდგა, სანდროს რუსეთში გაგზავრების დროს! დედა და გამდელი დიდი სულის კვეთებაში იყვნენ: აკერვინებდნენ არეცხინებდნენ, აცხობინებდნენ და ყველა ეს ხდებოდა დიდის სიჩქარით და განსაყურებულის ზრუნვით, დიდი და პატარა ყველა ფათურობდა, დარბოდა და გასძახოდა! „სანდროს სიცოცხლემ არა მკალიან, სანდროს რუსეთში ვისტუმრებო.“ ძალუა ჩემმა ლოცვას და სადღესასწაულო პარაკლისებს მოუხშირა: ყოველ დღე ეკლესიაში დადიოდა და ცრემლით ღმერთს ავედრებდა თავის ნუგეშს აღექსანდრეს. ბევრჯელ შემხედრია თვალზე ცრემლიანი ეკლესიიდან მომავალი; შინ რომ მოვიდოდა იქაც არ ისვენებდა: ხეთი-შობლის ხატს სანთელს უნთებდა და ხელზე აღპყობილი ავედრებდა თავის აღექსანდრეს. შეუთქვა ღმერთს: მინამ სანდრო ბინამდენ მივიდოდა ყოველ საღამოს ფეხშიშველა სამჯერ ეკლესიისთვის უნდა შემოეარნა. ამ აღთქმას მუყაითათ ასრულებდა.

ჩვენ, იმისმა ბიძაშვილებმა განვიზრახეთ სანდროს კავკავამდენ გაცილება. აქ ჩემ თავს ნებას მივსცემ ერთი სასაცილო, მაგრამ იმ დროის სოფლის ცხოვრების დამახასიათებელი გარემოება მოვიხსენო.

როდესაც ყმაწვილმა ხალხმა გარდაესწყვიტეთ კავკავს წასვლა სანდროს გასაცილებლად და მამისგან ნებართვა მივიღეთ, მაშინ დაეფათურდით ბარგის ჩასალავებლად. მაგრამ... დაბრკოლება ბევრი შეგვხდა: ჩვენი სოფლური მორთულობა საქმარისი ვერა ვსცანით, რომ ცოტათიაც არც ლაზათიანათ ჩაცმული გვეგრძნო ჩვენი თავი. თუმცა სხვა და სხვა წერიმან ნაკლულებას ადვილათ შეურიგდით, მაგრამ, მაგარი ეს იყო, რომ სუფთა საცვალი იმდენი აღარ ამოჩნდა ჩვენს კამოდში, რამდენიც გვეჭირებოდა და არც გამრტეხი გვეყვანდა: სწორეთ



ის დრო იყო, როდესაც გლეხების განთავისუფლების შემდეგ მათსა-
ხურეები შემოგვეყვანინენ; მამაჩემს იმდენი შეძლება არა ჰქონდა, რომ მზარეუ-
ლები და მრეცხელები ჯამაგირით დაეჭირა და ჩვენ თითონვე ვცოდვილობდით.
ვის არ მოეხსენება მაშინდელი ქალების აღზრდა: შინ რა როგორა კეთდება
ბატონის ქალები არ საჭიროებდნენ თვალყური ედევნებინათ და ამის გამო
ხელ უპყვანი და უმეცარნი დაერჩიათ! კუჭის სამსახური უფრო ადვილათ შესა-
სწავლებელი ყოფილა: ერბოვერცხი, ხავეწი, ხარშო, რძისფლავი და სხვა ამ-
გვარი შინაური საქმელები შევისწავლეთ და ამითი იოლად მივდიოდით, მაგრამ
სარეცხის რეცხვას კი ვერ ვახერხებდით. იმ დროს, როდესაც სანდროს ათო-
ბით და ოკობით მზრუნველები გარს ეხვია, აქ ჩვენ არავინა გვეყვანდა სარეცხი
ვისთვის დაგვერეცხინებინა. შიშა უფრო შევწყუხდით; რომ ეს გარემოება გვიხ-
დებოდა შინ დარჩენის მიზეზათ. რადგანაც სხვა მზრუნველი ჩვენ არა გვეყვან-
და, მე და ჩემმა დამ გარდავსწყვიტეთ შეგვეპირეთა ჩვენი ძალღონე და შევედგო-
მიყავით სარეცხის რეცხვას.

ერთი სოფელი უფიცი მოჯამაგირე გვეყვანდა, რომელმაც შეშის დაპობის
და ძროხების ნახარში გარეკის მეტი არა იცოდა რა და აი სწორედ ამ მოჯა-
მაგირეს სამყოფო სახლში კერასთან წყალი შემოვადგმევინეთ, მივიდგით გობები
და დაეწყეთ რეცხვა!...

მამა ჩვენი, ჩვენი ყურებით იტანჯებოდა და ბოლთასა სცემდა: თავის
დამცირებელ მიიჩნდა თავის ქალების ამგვარი ეჭუშობა. ველარ მოითმინა და
კენესა-ოხვრით გვითხრა:

— მოაკვლათ მამა! აბა როგორ უნდა შესძლოთ სარეცხის რეცხვა?.. ვაი
შენს ნიკოლოზსა!..— დაიქრა შეტლზე ხელი და გატრიალდა.

ჩვენ სიცილით აღერსით გვინდოდა ვაგვექარწყლებინა იმისი მზრუნველო-
ბით გამოწყვეული წუბილი. ან კი როგორ განიტკუვნებოდა: მთის კაცი, ბატო-
ნობაში აღზრდილი თავის ქალებსა ხედავდა ისე შევიწროვებულს მდგმოიარე-
ობაში, რომ სარეცხის დამრეცხივ ალარა ჰყავდათ; ვთაკილებოდა ეს გარემოება
მით უფრო, რომ ამის მიზეზსა ხედავდა თავის ქონებრივ დაქვეითებაში და ეს
გარემოება ჰქეჯნიდა იმის თავმოყვარობას, ამცირებდა იმის ბატონობის წარ-
მოდგენას. ჩვენ, ყრუწილი ხალხი უფრო სხვა თვალთ უყურებდით ამ გვარს
მუშაობას და ვამშვიდებდით:

— მამაჯან, რა გვიშავს? ჩვენი გოგოებიც, ჩვენი თანა ადამიანები იყვნენ,
რომლებიც გვირეცხავდნენ ხოლმე, იმათაც არ იცოდნენ და ისწავლეს. ჩვენც
ვისწავლით, შევეჩვევით ეჭუშობას!

ჩვენს მშობლებს ჩვენი სიტყვები ვერ ამშვიდებდნენ; ის მაინც ჩიბუხის
წვეს და ოხვრით თავის ქნევას უხშირებდა და მოუსვენრათ შემოგეტრიალებ-
და. ჩვენ კი ყმაწვილურის უნარით, სიცილ-კასკასით ერთმანეთს ვაჭებდით,
ვინ უფრო კარგათ და ჯანიანათ დარეცხსო ამაში ვეცილებოდით ერთმანეთს
და ლაზათიანათაც ვიწუწუბოდით!...

საქმე გააზლდა! მაგრამ რადგანაც გვეგონა, რომ დიდს საქმეს ვარიგებდით
ამითი, მგონიან სასაცილო სანახაეები ვიქნებოდით. ფილო ჩვენთან იღვა, გეშეე-



ლოდა: წყალს გეაწედიდა, ქვაბს უკიდებდა და სხ. შემდეგ მან ჩინოვანი სიცილე წახალისდა: იძრო თავისი ბლუზა, ჩამოიტანა დიდი სპილენძის ზედაპირი და ჩვენ შუა, მკლავებ დაქირავებულმა დაუწყო რეცხა თავის პარუსინის ბლუზას. ჩვენ შივისცივიდით, ვსთხოვეთ რომ მთელი სარეცხის დარეცხა ჩვენთვის დაგეზბებინა. მაგრამ არა ქნა: „Разделение труда!“ გასძახოდა.

ამ გვიარდ ერთმანეთი წაეპქეხეთ მუშაობაზე, თუმცა შესრულების ღირსებაზე არა მეთქმის, მაგრამ ჩვენს სიხარულს კი სიამოვნებით აღვნიშნაყ, როდესაც საქმე დაბოლოებული ვნახეთ... ალტაცებაში მოვედიო!

1867 წ. ოქტომბრის დამლევს სანდრო რუსეთში გაემგზავრა. შეგებული ეტლი რომ კარებზე დაინახეს, ძალუა კეკე და გამდელი ნინო დაფათურდნენ, მოსამსახურებმა სირბილი შეტყნეს: ბარგი გაჭკონდათ, ეტლში აღაგებდნენ და სხ.

— შეილო, დედის შენის თვალის ჩინო, არა დაგავიწყდეს რა! — თვალკრემლიანი ძალუა შესტრიალებდა სანდროს.

— შენ გენაცვალოს ნინო, თბილათ ჩაიციკი! — ეხვეწებოდა გამდელი და თანაც თვალებს იწმენდდა.

ღეთისმშობლის წინ სანთლები ენათ, ეკლესიის კარები ღია იყო და მღვდელი შემოსილი ელოდა, (კარზედ გამოსულას ვერ ბედავდა, რომ არ შეკფეთებოყო). ყველანი რომ შევიკრიბებით გამოსალმების წამს ძალუამ წაწოიძახა: — ყველანი დასხედით!..

იქ მყოფნი ყველანი ვინც საღ იღვა, იქვე ჩაცუცქდა, სიხუმე ჩამოეარდა.

— ადექი შეილო, დედი შენის გვირგვინო! — უკამანდა ძალუამ — ღმერთი იყოს შენთან!..

წამოდგა სანდრო და სხეებიც აიშალნენ. დედამ ხატი გარდშოილა, კრემლით დალოცა, ხატს ამთხვევინა, პირჯვარი გადასწერა, ჩაიკრა გულში და ბევრი იქვითინა... აქ რასაკვირველია სხეებმაც ბანი მოსცეს და გამართეს ლოცვა კურთხევით კრემლით და წუწუნით გამოსალმება. ამასაც არ დააჯერეს: სახლიდან რომ გამოვიდით დედა — გამდელმა სანდრო ეკლესიაში შეიყვანეს, აქ მღვდელმა ჯვრითა და სახარებით დალოცა, შემდეგ მამის საფლავთანაც მიიყვანეს და მრავალ ნაირის გამოთქმით გზა დაულოცეს. შემდეგ ამისთანა ცერემონიისა ჩასვეს სანდრო ეტლში, ჩვენც მაყურბებით გვერდს მოუსხედით, მზიარულის ცმუტვით დაიძრნენ ფოსტის ცხენები და ვაგუაქანეს კავკავისაყენ.

ძალუა ჩემს არ იამა ჩვენგან სანდროს გაცილებდა: ველარ მალავდა თავის უსიამოვნოებას და წყრომის კილოთი ათასჯერ გვიმოკრებდა: „სანდრო მგზავრია, თავის საქმეზე მიდის, თქვენი აკვირება რაში ეტირება!?“

მე ზემოდ რამდენჯერმე აღვნიშნე, რომ ძალუა ჩემი არ გვენდობოდა: მუდამ ისა ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ჩვენ სანდროს ყველა ურიგოზე წაეპქეხებდით და მით უფრო ეწინაოდა ჩვენი და ჩვენის ვაჟუნისა, რადგანაც წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ჩვენ ძალიან უყვარდით და დავვიჯღრებდა კიდევ... კიდევ ვინ იცის რასა და როგორა ფიქრობდა ჩვენ და სანდროს ერთობაზე... ღმერთმა მიიტყოს საწყალ ძალუას, მაგრამ ღიდათ კი სკდებოდა: სანდროს



ბუნებას თითონ მშობელიც კი ვერა სცნობდა არამც თუ სხვა დასაბუთებულ და ნა-
ზი და ფაქიზი გარძობები ხომ თითონვე დაუბნო...

ჩვენ სანდრო გავაცილეთ კავკავამდინ, იქ ორი დღე დაერჩით: რადგანაც
მაშინ რკინის გზა არ იყო მოსკოვამდინ უნდა ფოსტით წასულიყო; ორ კვი-
რამდინ გზაზე უნდა დარჩენილიყო, სხვა და სხვა სტანციებში, სხვა და სხვა
ხალხთან ლაშქები უნდა გაეთევენბინა და ამისათვის ურჩიეთ საგზაო ფული ცალ-
კე შეინახნა. თხოვნაზედ დაწყებულდა და ჩემის ხელით 800 მანეთამდინ ახა-
ლუხის უბის ჯიბეზე გამოუტყრე და ამით გზაზე ამოვარდინისაგან ან დაკარ-
გვისაგან უზრუნველ ვყავი. (ამ უმნიშვნელო გარემოების ცოდნა შემდეგში სა-
ჭირო შეიქნება).

გავისტუმრეთ ჩვენი სანდრო და ჩვენ კი შინისკენ დაებრუნდით.

პირველ ხანებში ძალუა ძალიანა სწუხდა სანდროს მოშორებას: ლოცუ-
ლობდა იმისთვის, ჭალაღდა შლიდა იმაზედ და მუდამ თვალი გზისკენ ეჭირა:
იქნება ვინმე მნახველი შემოვიდესო!

დიდი სახემწიფო გზა ძალუას კარებ წინ გადიოდა, მგზავრების მიმოს-
ვლა—მუდმივი იყო და ძალუასაგან გაგზავნილი ბიჭი მიბრბოდა და მიბრბოდა!
ძალუას ქცევაში და სულის კვეთებაში საკვირველი და გასაკიცხი არა ხდებო-
და რა: მოსიყვარულე დედას შვილის ანბის გაგონება ესწრაფებოდა, აქ რა
იყო გასაოცარი?! მაგრამ... ეს ჩვეულებრივი ყველასთვის გასაგები გარძობის
გამონახტა ხდებოდა ისეთის არა ჩვეულებრივი კომიზმით, რომ უნებლიეთ ადა-
მიანს სიცილს მოგვირდა და მგზავრებს ხომ საშინლათ ეუცხოვებოდათ, საზღაპ-
რო გარემოებათ მიაჩნდათ. მაგალითს მოვახსენებთ:

როგორცვე რუსეთიდან ამომივალ ეტლს დაინახავდა—და ეს ხომ მუდმი-
ვა ხდებოდა—მაშინვე თავის ერთგულს სოლომონა ბიჭს აფრენდა სტანციისა-
კენ სანდროს ანბის შეხატყობად. სოლომონა გარბოდა უქუდოთ, მარტო ახა-
ლუხით, სარტყელსაც გზა-გზა ირტყავდა. მივიდოდა ოფელში გაწურული და
მინამ ცხენებს გამოსცელიდნენ და მგზავრები ისადილებდნენ, იმათ ეტლს გარს
უვლიდა, იმათ ელოდა და იმდენს იტრიალებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, რომ
რითიმე მგზავრის ყურადღებას მიიქცევდა და მაშინ დამტყრეულის რუსულის-
ენითა ჰვითხავდა:

„Наши Сандро не видали?“

— Кто тако? Ваши Сандро?“ ჰვითხავდა სიცილით მგზავრი.

— „Наши Сандро?! Генерала сын. Белая червеса, желтый архалух,
не видали?!..“

ამ გვარი კითხვა მგზავრს აცინებდა, იკვირებდა; ზოგი მგზავრი ზდილო-
ბიან პასუხს მისცემდა, нет-ს ეტყოდა მაგრამ ზოგი კი იმახვილებდა. ეს ნაამ-
ბობი იქნება ვისმე მოგონება ეგონოს, მაგრამ ვითხოვ ნდობას, რწმუნებას.

ყაზბევში მცხოვრებნი ყველანი შევეჩვიეთ სოლომონას სირბილს. თუმცა
ჩვენც გვაცილებდა ამისთანა საშუალებით სანდროს ანბის ცოდნა, მაგრამ ძა-
ლუას ვერავენ უბედავდა ეთქვა, თუ რამდენი კომიზმი იყო იმის ქცევაში...
ერთხელ ერთმა ლაღმა მგზავრმა მოატყუა და იმისმა დაცინებამ ძალუა განჭ-



ყურნა ამ გეარის საქციელისაგან. ეს ასე მოხდა: ერთ დღეს, ჩინური-გაილი-
ქანმა ამოიარა და ძალუამ ჩვეულებისამებრ სოლომონა უკან დასაღწენა.

— წადი ბიჭო ეგებ სანდროს ანბაფი გაიგო რამეო!

მაშინ სოლომონა სირბილით დაეშვა სტანციისკენ და დილიჯინის პასაჟი-
რებს კითხვა დაუწყო. იმათ ზოგმა პასუხი მისცეს, გაიციინეს ზოგმა კი ყურად-
ღებაც არ მიაქცია, ან ვერ მიხვდა სოლომონას კითხვას. სოლომონა აღარ ეშ-
ვებოდა და ფარებასავით დასტრიალებდა მგზავრებს, როცა მგზავრები ეტლში
სხდებოდნენ, ერთი ყმაწვილი კაცი, აღბათ მასხარა და ხუშარა გამოელაპარაკა
სოლომონას:

— „Что ты хочешь знать? каго тебе надо?“

— Генеральна спрашивает:

Наши Сандро не видали?

— Какой Сандро? кто такой? სხვა და სხვა კითხვები მისცა.

— Наши Сандро Москву поехал, белая черкеска, жолтый орхалух,
не видали?.. გაიციინების და მოაზრების შემდეგ ცნობის მოყვარე სოლომონა
მგზავრმა დააკმაყოფილა.

— „Как же, видел! Когда я по железной дороге из Москвы выезжал,
тогда в поезде подозревал жолтый архалух, белая черкеска. Встретились,
через окно поклонились!.. Кланяется Вам всем, здоров!.. უთბრა და დილი-
ჯანი მხიარული პასაჟირებით დაიძრა.

სოლომონასაც ხვითქი გადაზდღოდა—მიიჭრა შინა:

— ქალბატონო! სანდრო კარგად არის, მოგვიკითხო, ერთმა მგზავრმა
მითბრა! უნახავს და მოკითხვა დაუბარებია!..

— ოხ! ლეთის მშობელო დედაე!..—შეიძრა ტახტზე ძალუა—ღმერთო შენ
გამიბედნიერე ჩემი ალექსანდრე! შიანბე ბიჭო, კარგათ არისო?

— დიახ ქალბატონო, თურმე ეს ყმაწვილი პქეთეკენ მოდიოდა და სანდ-
რო კი ამ დროს, ის იყო მოსკოვს მივიდა თურმე, ერთმანეთი დაუნახავსთ,
და დაუბარებია, ჩვენები მომიკითხეთო!..

სოლომონასა სჯეროდა სინამდვილე ნაამბობისა და გულუბრყვილოთ გა-
დასცემდა ქალბატონს: თავის დღენი რკინის გზა არ ენახა, არ ევლო და აღ-
ბათ ვერც წარმოედგინა, რომ მაგვართ მოკითხვის დაბარება შეუძლებელია.

ძალუას თითონაც არას დროს არ ევლო რკინის გზით და ამის გამო სო-
ლომონას ვარდმოცემა ერთბანათ სჯეროდა და შემდეგ კი როცა უფრო მკო-
დნეთ და გამოცდილებმა აუხსნეს რკინის გზის ვითარება, მაშინ ღიმილით წარ-
მოსთქვამდა ხოლმე:

— რა მიუქარავს იმ პრიყესა?! აღბათ სასაცილოთ აუვდია...

ამ გეარმა მდგომარეობამ გასწია სანდროს პირველ წიგნამდენ, რომელ-
მაც ახალი მოძრაობა გამოიწვია: ძალუა ჩემი ყველას უკითხავდა, ყველას სიხა-
რელის ცრემლით უანბობდა თავის საყვარელის სანდროს წიგნის შინაარსს.

რასაკვირველია ყველა დედას უყვარს თავისი შვილი, ყველას უნდა ჩქარა



მშვიდობის ანბანი გაიგონოს, მაგრამ ესე უსამხლოთ სიყველეულე ვლუქებრივ —თაყუანება, უეჭველია იშვიათი უნდა იყოს და მე ხომ არ მამა ჩემსაა

პირველს წერილში სანდრო დიდს იმედებს სწერდა: მპირდებოდა კარგად სწავლას, კარგს კაცობას და შემდეგში აღუთქვამდა დიდს შემწეობას. ძალუა ჩემი უბით ატარებდა ამ წერილს, ისე ხშირათა კითხულობდა, თითქოს ზვირათა სწავლობსო, სულ მუდამ იმისი ფიქრი და გონება, იმის ლოცვა-კურთხევა, —სანდროსკენ იყო მიმართული. სანდროზე ზრუნვა და ფიქრი სიგიჟემდენ ჰქონდა მიხწეული: არამცთუ თითონ ყოველ წუთს იმაზე ფიქრობდა, ყველა მოსაუბრესთან იმაზე ლაპარაკობდა, ისე გაიტაცებდა ზოლზე უაღრესს წერტილამდენ მიხწეული სულის კეთება, რომ თავის თავად მარტო, ხმა მალა და იწყებდა თავის წარმოდგენებზე ლაპარაკს და ამას გარდა სადაც ქალაღის ნაგლეჯსა ნახავდა, უთუოთ თავას სურვილების მისწრაფებათ გაღეკსავდა.

იმის ლექსებში თუმცა პოეტური და საგანგებო არა არის რა, მაგრამ მაინც ინტერესს არ არიან მოკლებული, როგორც გამოიხატეველნი ძალუას სულიერის მდგომარეობისა. რამდენსამე ნიმუშს ვადმოკცემთ.

„შვილო სასურველო და სამოთხეე ჩემის სულისა,

„ჩემს დაწყურულელულს გულ ეფონო შენის ხილვითა.

„შენი პატრუტი დაწერილი როსმე ვიხილე,

„მაშინ გრძნობითა და ცრემლითა მის დავეკონე.

„ესთხოვე ხეთაებას... (ველარ გაფარჩიე)

„ესთხოვე მაცხოვარს და ცრემლითა მის წავეცდრე:

„მთარველად მყვანდეს, შემწეე გექნას თვის დიდებისა;

„კვალათ მიჩვენოს თავი შენი კეთილ შევებითა,

„და შეისმინოს თხოვნა ჩემი ცხელის ცრემლითა.

„მაშინვე წაყელ მამის შენის საფლავს ვახარე,

„რომ კვლავ მოგივა დიდებითა, მე ეს ვახარე

„მამა-პაპათ სანუგეშო შვილი იქნება,

„ნულარ იქმუნავს სული შენი, ისე იქნება.

„თითქო სამართ შეე მომესმა ხმა სიამისა,

„ისიც იქიდან გაკურობეგდა, იყოს ბედნიერ!

„თქვენ კი იხარეთ ურომანეთთან, მე მიწათ ვიქმენ.

„ნუ დაივიწყებთ ჩემს სულსაცა, ჩემო იმედო,

„საფლავსაც მოდიოთ და მნახეთ კეთილნო სულნო!

„ურთხელ მეც ვიყავ ბედნიერებით აყვავებულნი

„გარს მებეკოდნენ წვრილნი შეილნი, სამოთხის

„ნერგნი (სანდროს შთამომავლობას თუ იგულისხმებენ?)

„ლომისა მზავსი, ქმარი ჩემი, ქველის მოქმედი.

„მეც სიამოვნით ვატარებდი დღეთა და წამთა,

„მათ შემუდველს, რალა მქონდეს სოფლური დარდო?..

როგორც ძალუა კეკეს ვიცნობთ და იმის მისწრაფებათ, აქ საცხებით იხატება სანდროს შესახებ იმისი ფიქრები და სურვილები: სანდროს დიდ ხანს



სიცოცხლე, იმისი დიადი წარმატება, კარვის და მდიდრის თანამშრომლობა-შვილის შერთვა, იმისი შეილების ნახვა და იმათი ცქერით დატყურობა მდიდრულათ და ფუფუნებით ცხოვრება—აი სწორეთ ეს იყო სანდროს დედის მისწრაფება და ბრწყინვალე იდეალი!..

ამისთანა მისწრაფებით გაელენათილის დედის სურათს კიდევ ის უღფერიც უნდა დაერთოთ, რომ ძალუა ამაყობდა როგორც თავისი შთამომავლობით, ისე წარსულის ცხოვრებით. როდესაც ამ ძალუს თვისება—სურვილს დავადასტურებთ არ გავგვივირდება იმისი სულის კვეთება და მეტის-მეტე წადილი, რომ სანდრო სამხედრო სამსახურში შესულიყო; ეს სურვილი დიდი ხანია სასიამოვნოთ უღიტიწებდა, რადგანაც ყოველივე დიდება ბრწყინვალე მუნდირითა ჰქონდა წარმოდგენილი და ვარეშე ამისა სხვა რამ არააათ მაჩინდა, დღე და ღამე მთელის თავისი არსებით ამაზე ფიქრობდა და გულმოდგინეთა ცდილობდა, რომ სანდროშიც აღეძრა სურვილი ამ გვიარის წინსვლისა;

აქ ვათავებთ სანდროს ყმაწვილობის ანბავს; ამას მოჰყვება იმის სიკვბლეს ანბავი. აქამდენ რაცა ვსთქვი—თვალთ ნანახი იყო, ამას იქით კი ნახულს გარდა ვავიწროვას უნდა მივაქციოთ ყურადღება და ნამეტნავად იმ წერილობითი მასალას, რომელიც იმის სიჭდილის შემდეგ შეგვჩრჩა.

ჩამოყალიბება დააპირა ჩვენმა სანდრომ! როგორც დაეინახეთ, უახრო და უფუნურმა აღზრდამ, უფარვისმა თესლმა, რომელიც მშობლებმა დისთესეს—ებლა უხვი ნაყოფი გამოიღო.

დიდის იმედებით იყო ძალუა ჩემი მთელი სამი თვე და შემდეგ კი რადაც მოუსვენრობა დაეტყო, რადგანაც სანდრომ ძალიან უკლო წერილების წერას და რაცა მოსწერდა ხოლმე მაშინაც შემაწოთოთებელი ანბები მოჰქონდა იმის წერილებს: სანდრომ ჩქარა და დაეინებით დაუწყო დედის ფულის თხოვა! წასელის დროს არ ვიცი დედა-შვილი როგორ და რა პირობით შეთანხმდნენ: თვეში რამდენი მანათის ვაგზავნას შეჰპირდა დედა, ან რამდენი თვის შემდეგ უნდა მიეშველებინა ფული? მაგრამ ეს კი აშკარა იყო, რომ ძალუა ჩემს ფულის მოთხოვნა, მოულოდნელად, მეხივით დაეცა!.. როგორც ძალუა ჩემმა გამოსთქვა და ეხლა ამ ხელწერილებიდანაცა სჩანს, რომ დედამ სანდროს 800 მანეთი იმ ანგარიშით გაატანი, რომ ის თვეში 50 მანეთზე მეტს არ დახარჯავდა; ეხლა კი სანდრომ, მოულოდნელად, სამი თვის შემდეგ ფული მოსთხოვა და ეს ძალუს ღსხეაროვით გულს ეცა. თუმცა ჩვენ გვიმალავდა თავის შეწუხებას, მაგრამ გამდელ ნინოსთან კი ხშირათა წწწუნებდა და ამასთან ვანიზრახა კოტათ შეეკვეებინა თავი და ფულის ვაგზავნა დაეგვიანებინა.

პირველ ხანებში, მომავლის პედნიერების იმედებით აღფრთოვანებული ძალუა თავის სევდებს ღექსებით იგერებდა და ხშირათ იმეორებდა:

„მიწა უძრავი ილახვის, ცა ბრუნვით მგზავრობს დიდებით,

„მგზავრობა კაბუკს ალომებს, საუასეს მისცემს კიდებით.

„ზეს თუ ძალ ედვას ვანძვრანი, მკეთილს ვარენავს რიდებით,

„ვერც ხერხი ვასკრის ნარბევსა, ვერც კულის პირი მიდებით.

1868 წ. დედა-შვილის მიწერ მოწერის საგანი სულ ფულია და იმათი ურთიერთშორის მოქმედება, სიტყვიერი პრძოლა იმაზე ტრიალებს. რადგანაც



იმათი წერილები შეადგენენ საუკეთესო, ნამდვილს მასწავლებელს ჩვენს რაზმს მიემართოთ იმათ და ამითი კემწარიტი, შეურყეველი აზრი შეადგინოთ იმათი მოქმედების დასაფასებლათ.

ჩამდენიმე იმათი წერილი ჩემს მავიდაზე მიწყვია, რომლებიც მშვენივრათ ასურათებენ სანდროს და იმის დედის შორის კავშირს და ურთი-ერთობას.

სანდრომ კარგათ იცოდა დედის იმისადმი უზომო სიყვარული და იმისი სუსტი მხარე: დედა სანდროს სურვილს წინ ვერ აღუდგებოდა და ამითი სანდრო სავსებით სარგებლობდა. როგორც დავინახათ ძალუამ თავი ძრიულ შეივიწროვა მით, რომ 800 მან. შეილს ერთიანათ ვაატანა და ამასთან მოსამზადებლათაც, რალა ჩიჩინი უნდა, ოც თუმანზე მეტს დახარჯავდა. ეს—როგორც სჩანს დედამ მოსაზრებით მოახდინა, რომ ეგონა შეილი გაუფუთხილდებოდა და ზომიერათ დახარჯავდა ფულსა, და ეხლა კი, სამის თვის შემდეგ დაჯინებით ფულსა სთხოვდა. ძალუამ იგრძნო შეცდომა და შემდეგისთვის გახედა გამაგრება, მაგრამ... აქ მგონიან სჯობდეს, რომ იმათივე წერილები ავალაპარაკოთ და იმათ წერილებს ხომ ჩვენგან დახასიათება არ ეჭირებათ, რადგანაც თითონვე მკვრამეტყველობენ.

სამწუხაროდ შედარებით ცოტა წერილები შეგვრჩა, დაუხედავათ იმისა, რომ ძალუა სანდროს წერილებს განძივით ინახავდა; დედის სიკედლის შემდეგ ყველა ქალაღლები შეილის ხელში გადავიდა და ამის გამო ბევრმა ველარ მოაწია ჩვენამდენ. მაგრამ რაც შეგვრჩა, ისინიც ფრიად კარგათ დაასურათებენ იმათ გარემოებს და წადილებს.

ალექსანდრე თავის დედასა სწერს:

საყვარელო დედა!

მე ყოველივე თქვენი მოქმედება განსაკვიფრებლად მიმაჩნია! აგერ ხუთი თვე შესრულდა მეექვსეში ჩავდეგით, რაც ოთხის თუმნის მეტი არ გამოგიგზავნია. ერთი ეს შემატყობინე რითი უნდა ვიცხოვრო? თქვენი მოქმედება ვერ გამოვიჩინო რას ჩადით.

უკეთუ ამ წიგნის უკან ჩემს ფულს არ გამომიგზავნით, ესე იგი ანგარიშით იცოდა ერთს თუმანს, აქ საცა იქნება ვიშოვნი ფულებს და წამოვალ, რა გავაკეთო, რისთვის დავრჩე უკეთუ ფულს არ გამომიგზავნით. არა, ერთი რასა ფიქრობთ თუ ღმერთი გწამსთ ერთი შემატყობინეთ.

ბძახით ხუთი თუმანი ბევრი არისო, ამა როგორ? აი თვეში რა გვეხარჯება: 25 მან. სადილი და ოთახი, 5 მან. ჩაი და შაქარი, 3 მან. სანთელი, თვეში ორი მინეთი წალებისთვის უნდა გადაიდოს ერთი თუმანი წიგნები, დარჩა ხუთი მანეთი, ეგეც ან ბულკს იყიდი, ან რძეს, ამა რალა რჩება ერთი მითხარი, ჩტარა შემატყობინე მიგზავნით ფულს თუ არა“. ა. ყახბეგი.

ჩვენ არ ვიცით ამისთანა შრისხანე წერილზე რა პასუხი მიუვიდა სანდროს. ჩვენ კიდევ ვპოულობთ ამ გვარსავე წერილს, სხვა წინა-დადებით: დედისა სთხოვს თავისი პენსია სანდროს სახელზე გარდიტანოს. წერილებში ერთი საერთო ნაკლღლება არის: თავის დღეში წერილს რიცხეს არ დაუსვამდა, ასე



რომ მარტო აზრით უნდა მივხედეთ, რომელი ბარათი რომელია დაწერილი.

აი სანდრო რასა სწერს:
საყვარელ დედავ!

„აგერ ექვსი თვე შესრულდა ველი ფულს და ოთხი თუმნის მეტი არა მამსვლია რა. მე განსაცვიფრებელია მიმიჩნია თქვენი მოქმედება, მისთვის, რომ თქვენ ძალიან კარგათ იცით ჩემი აზრი და სურვილი: (მე განვიმეორებთ) მე აქ მოვსულვარ სასწავლებლით და არა თუ ფულის მოსაგებათ. ერთი ესა ჰკითხეთ (მე კოპიოებს სინამდვილით ვიღებ) თქვენ თითონ, თქვენს თავს: კაცს, რომელიც ისე უკან არის დარჩენილი, როგორც მე, შეუძლიან კიდევ ისწავლოს და თავისი თავიც გამოჰკვებოს? თქვენის გამოისობით კინაღამ პეტერბურგში სასწავლებელში შესვლას მოვსკდი და ილაჯი რომ გამოწყდა გიორგისთან მიველ და ვსთხოვე, რომ დეპეშა მოგწეროს, ჩვენს დეპეშაზე პასუხი მივიღეთ, რომლის მიზეზითაცა ეს ჩემი პასუხი მოგწერო დეპეშით კი არა წიგნით, რადგანაც ბევრი მაქვს სათქმელი ბევრი მაქვს. (წერილები გადმომაქვს ისე, როგორც არიან დაწერილები და სადაც რა ნიშანი უზისთ კოპიო ნამდვილთან—სწორია). ჩვენ მოგწერეთ რომ ოცდა ათი თუმანი გამოგვგზანა. მე გწერდი იმის ძალით, რომ ექვსი თვე არის ფული არ მამსვლია და იანგარიშეთ თვეში ხუთი თუმანი რამთენი გამოვა? ოცდა ათი თუმანი ვანა? მასკვენ (?) მე ოცდა ათის თუმანი დგან მე მივიღე ოთხი თუმანი, მე იმ ოთხს თუმანს ანგარიშში არ ვადგებ ამიტომ, რომ ყოველისფერი დაგირაგებული მაქვს და მარტო სარგებელი რვა თუმანი არის, უნდა მივსკე. თუმცა ეგ რვა თუმანი თქვენ უნდა გადაგებადით რადგანაც მე დაეგირაგე თქვენის გამოისობით, ე. ი. თქვენს გამო, მაგრამ მე ოთხი თუმანი ვიკმარე. მადლობა მითხარით თქვენ კი ჩვიდმეტის თუმნის მუტს არ მიგზანით. (დედის სიაში არის ჩაწერილი: 1868-ს წ. მარიაპოლის თვის 29-ს აღექსანდრეს გაუგზანე 170 მანეთი) მე ოთხის თუმნისთვისაც თავი დამინებებია ანგარიშით ცხრა თუმანი კიდევ მერგება, რისთვის არ მიგზანეთ? არა, ერთი რომ დაგიკრეფიათ გულზელი რას ჰფიქრობთ? იცით რა მოვალეობაში დგებით? ყველაზე უპირველესი ეს არის, რომ კაცი, რომელსაც გაეხსნა გონება და აქამდის დაბმული თვალები ძლიერ აებნოლა, დადვა სიმართლის გზაზე და თქვენ ასე ურევთ ასე ურევთ გზასა, რომ შემშლით არ მოგკვდეთ უნდა ყველაფერს თავი დავანებო. აქამდენ მიჩინარემ ძლიერ ვავიღვიძე და თქვენ კი თქვენის მოქმედებით ლამის არის დამაძინოთ ისე ხელმეორეთ; და თუ კიდევ დამეძინა ე. ი. დამეკარგა სურვილი სწავლისა, ძნელად და მომივლის. ეხლი შეეხედოთ სხვა მხრით, ე. ი. მატერიალურათ. მე მაქვს შეძლება, თქვენ არ მიგზანით, გარდა ამისა რომ არ მიგზანით დღეს ხვალობით და რაღაც ზღაპრულის ლექსებით მატყუებთ, მეც რასაკვირველია გიჯერებთ. და სწავლის მუტს არას ვაკეთებ. მეც მოველი დღეს და ხვალ, ამ მდგომარეობაში ზამთარს მოვსწრო ხომ გამაყინავდა; თქვენ იჩენება ეს სიტყვით ხუმრობა გგონიათ, მაგრამ როდესაც სანდრო ლაპარაკობს ამისთანა საქმეებზე, დამიჯიროთ, ის არ იხუმრებს. თქვენ სრულებით არ გენდომებოდათ და ძალიან ადვილათ შეიძლებოდა, რომ



ჩემი მკვლევლები გამზნდაროყავით. მე ვანა ვავებდედე რომ ეს^{საქმეები} კარგებარ, არა მე დარწმუნებული ვარ ძალიან გიყვარვართ, მაგრამ ეს^{საქმეები} ნიშტამ მოვდისთ ამ ცხოვრებაში გამოუცდელნი ხართ. ახლა გთხოვთ ეს წიგნი რა წაშს მოგივიდესთ ცხრა თუშანი გამომიგზანოთ, მისთვის რომ ჩვიდმეტო თუშანი არა მყოფდნის.

„ეხლა თავი დავანებოთ წარსულს და მოვიფიქროთ მომავლისთვის. წარსულს ვეღარ დავებარუნებთ, მხოლოთ ვეცადნეთ რომ ეს აღარ გამეორდეს. აბა მოვიფიქროთ როგორ ეჯობინება.— მე ამასა გთხოვთ და ვამჯობინებ კიდევ, რომ თქვენი პენსია აქ ვადმომცეთ. რადგანაც აღარც მე და აღარც თქვენი მისი ფიქრი არ გვექნება, რომ ან მშიერი ვიქნებით და ან მწყურვალი. თუ რომ ეს აზრი აასრულე დიდათ და დიდათ დამავალებთ და დიდს სიყვითეს მიზამთ და ექვ თუ არ იზამთ ამას, მაშინ თვეში ხუთს თუშანს ნაკლებ ვერ ვიცხოვრებ. ისიც თუ ყოველ თვე და თვე დროზედ მამიგა. მომწერეთ ეხლა რომელი გირჩენიათ პირველი თუ მეორე. თუ რომ არც ერთს არ იზამთ მაშინ მე მრჩება ორი გზა: ან შინ მოვიდე, რომელსაც რაც უნდა იყოს არ ვიზამ და ან არა და ზღვის სამსახურში შევიდე და დავშორდე ყოველს ჩემს-ნათესავს და მიწაწყალს. ზღვის სამსახურში თუ შეველ ჯამაგირს დიდს მომცემენ. ეხლა თქვენ თითონ მოიაზრეთ და შემატყობინეთ. მამიკითხე ნინო, ბარბარე, სალომე, პავლე, იავო, როსტომა, სოლომანი და სხვანი, ძალიან, ძალიან მიმიკითხე და დამიკოცნე დედუსე და გოგიტა თავიანთის სახლობით.

(შესანიშნავია, რომ არც ერთს წერილში სანდრო ჩვენ არ გვახსენებს, და ეს მხოლოთ იმითი აიხსნება, რომ დედას ამითი ასიამოვნოს). ლუკამ სრულებით დამივიწყა თუშკა ევ იმედი არა მკონდა შაინც.

დავითები შენი სიკვდილამდი მონა და

შევარებელი შვილი ა. ყაზბეგი დაგიკოცნი ხელებს.

იდვილი წარმოსადგენია, თუ ამგვარი წერილები რა შთაბეჭდილებას მოახდენდნენ, რა სახით მოუწამლამდნენ სიცოცხლეს საწყალს ძალუა კეკეს.. სანდრო რომელსაც დედა აღმერთებდა, რომლის სიცოცხლის და ბედნიერებისთვის ყოველს წაშს ლოკულობდა, რომლის მოშორებითაც დნებოდა და იმის ნახვას სულის-კვეთებით ელოდა, ისა სწერს: „მოგკვდები მშიერიო, წაველ ზღვის სამსახურში და ჩემს მიწ-წყალს, ნათესავებს მოვშორდებიო“ და სხვ. და სხვა. წარმოვიდგინოთ ამ სიტყვების ვამგონე, გულით და სულით მოსიყვარულე მოხუცი დედა და იდვილათ მიხევედებით, რომ უკანასკნელს საშუალებას იმპარებდა, სულამდინ ხელს ჩაიწვდიდა და მიეშველდებოდა. თავის ერთათ ერთს ნუგეშს საყვარელს აღექსანდრეს!. სანდრომ კარგათ იცოდა თავისი დედის ხასიათი, იმისი სანდროსადმი უზომო სიყვარული და იმიტომ შეუბრალეებელის ხელით ეხებოდა იმ მგრძნობიარე სიმებს, რომლების კლერით ისე ატრიალებდა ხოლმე დედას, როგორც თითონა სურდა.

მკონი შეცდომა არ იქნება რომ, ესთქვა: სანდრო ვანზრახ აზვიადებდა თავის ჭონებრივ შევიწროებას. ვინც დედა შვილის მიწერ მოწერას გულდადებით წაიკითხავს, ის დამეთანხმება, რომ სწავლის მსურველს და ამასთან კარგის



ზნეობის მქონე კაბუცს, ვინც ფლანგვის და გადაკობებულს სანდროს შინადა-
მოუდგება—იმისთვის ის ფული რაც სანდროს შინადას გადაეცემა, სანდროს
წაღს მანც ასანდროვებდა, სანდრო, რომ ვანზრახ აშინებდა დედას ვითომდა,
თავისი კონებრივი ვაჭირვებით, ამას თითონვე აღიარებს თავის უბის წიგნში:
ასე რომ არ მოეჭყეულეყავი, დედა საკმაო ფულს არ გამომიგზავნიდიო, თი-
თონ ძალუას ქალაქდებშიც არის ანგარიში: რა დროს რამდენი ვაუგზავნიო
სანდროსთვის (სამ წელიწადში 5.000 მან. არის მოხსენებული) ასე არის თუ
ისე სანდროს შინაც ვერ გავამართლებ: მეტის მეტათ უგულოდ ექცევა დედას!..
მეცარს წერილებსა სწერს, უსაყვედურებს, არ ერიდება მოხუცის არც წყენას
და არც შევიწროებას. საზოგადოთ აღამიანი ყმაწვილობაში უფრო მეტჯერ
მგაძნობიარე და შემბრალებელია: ოჯახის შევიწროებას მოერიდება და ვან-
საკუთრებით ეს მოეთხოვება სწავლისთვის გატაცებულს სტუდენტს. ჩვენ ამ
ნაზს გრძნობას ვერა ვხედავთ...

თუკია ძრიულ თავს ვეკაებებ, რომ ჩემს შემოთარგლულ წრეს არ გადავი-
ბიჯო: მშრალი ფაქტის გადმოცემის დროს, ჩემი საკუთარი აზრი და შეხედუ-
ლობა, ამ საგანზე, არ წარმოვსთქვა და ეს საფუძვლით მკითხველს—გამგონს დავა-
ვლო, მაგრამ აქ უნებლიეთ ჩაიქარგა ჩემი გულის წყრომა! რა გაეწყობა!.. არ
შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ ოკდასამის წლის კაბუცი, თავის მალმერთებულს
დედას მეტის მეტათ უგულოთ და მეცარათ ეპურობა! შეუბრალებლობს დი-
დის მჭერ-მეტყველობით, მოგინილის გარემოებათა აღწერით, შეუბრალებლობათ
აპობს დედის გულს! მისთვისა სწნავს ხელოვნურათ სხვა და სხვა გარემოებათ,
პირში სწვდება, რომ უკანასკნელი ლუქმა—პენსია უნდა გამოვლიჯოს!..

ამისთანა მოვლენის დასასაბუთებლად ორიოდვე წერილი, რომ არ შეგერ-
ჩენიყო მაშინ ვერც კი ვინმე გაპხედავდა ამ გვარის დაუჯერებელის ანბის გა-
მოთქმას. ცილის წამებად მიიღებდა.. ეხლა კი ცხადზე უცხადისა.

დაუხედავათ მონობისა და დიდის სიყვარულისა, რალაც სასწაულით დე-
და არა სთაწნადება თავის პენსიის სანდროზე გარდატანას (არ ვიცი რამითენს
იღებდა თვეში) სანდროს თითონაც უკვირს დედის გამაგრება და ღვარძლია-
ნათ იხსენებს თავის სიძეს ფურ შანს, რომელსაც აბრალებს დედის გამაგრებას
(იხილე სანდროს ჯიბის წიგნი). ვინც უნდა კოფილიყო მიზეზი, ჩვენთვის სულ
ერთია: ჩვენ ვხედავთ, რომ ამ შემთხვევაში სანდროს კოკი აღწუთ არ დაჯდა,
დედამ თავი შეიმაგრა და პენსია სანდროზე არ გადაიტანა. ძალუას ჩვენთან ამ
საგანზე რჩევა და ლაპარაკი თავის დღეში არა ჰქონია, და დღესაც არ ვიცი,
სიიდან მოიკრიფა ამოდენა ძალ-ლონე რომ სანდროს სურვილს წინა აღუდგა?!
ჩვენ მხოლოთ ძალუას წუწუნით და ლექსების აზრით ვიცოდით, რომ სანდროს
უზომო ფულის ხარჯვით ყმაყოფილი არ იყო. როდესაც დამწვიდებოდა და
თვალწინ წარმოუდგებოდა თავისი ღამაში აღურსანდრე, მაშინ ფიქრით მიახ-
ლოვდებოდა, წყენა დავიწყებოდა და აღურსიანს წიგნს მისწერდა: წიგნს ხომ
ფოჭტით გავზანიდა მაგრამ კიდევ და კიდევ თავის საყვარელს სანდროზე ფიქ-
რობდა; აიღებდა ქალაქდის ნაგლეჯს და თავის ფიქრებს გაღეჭავდა.

„სანდროს წიგნი როს მამივა სიხარულით ავეყავდები.“



„ხან წიგნს ვკოცნი განმადგებით, ხან ცრემლით ღმერთს ვევედრებდი.
 „დავიბოქებ მაცხოვრის წინ ხელ-აღპყრობით, ვევედრებდი
 „რომ მამვენოს სიხარულით აღექსანდრე ბედნიერი;
 „მტრის გულისად არ გამხადოს, აღმიდგინოს სახლი ჩემი,
 „კვალად ვნახო დილის ვარდი, სუნელებით აღესებული.
 „მიხაკი კი და ყარინბილი, თან შემოჰყვეს ვარე რტყმული
 „იასავით გაბიბინდეს ეხვევოდეს წერილი შეილი.
 „მაშინ მწარეთ რა ვიქნები, ბედნიერებით აღესილი.
 „იმიდი მაქვს ღმერთი მისმენს, სიხარულსა მომივლინებს.

კიდევ დასწერა:

„როს მაგონდება სანდროს ცელქობა,
 „ხტომა სირბილი და თამაშობა,
 „მოხუცი ფიქრით ვეალერსები
 „ხან ვეჭუბები და ხან ვეხვევი.

ამ გვარად, სულ მუდამ სანდროს ფიქრში და აღერსში იყ. თურო მტკი-
 ცე ცოდნისთვის თუ რა სახით ეთაყვანებოდა აღექსანდრეს, ჩვენთვის საინტე-
 რესო იქნებოდა, იმისგან სანდროსთან მიწერილი წიგნების წაკითხვა, მაგრამ
 სამწუხაროთ, მხოლოთ ერთმა წერილმა მოახწია ჩვენამდენ. თუ რა სახის თე-
 შეწირული და მოსიყვარულე დედა ჰქვანდა სანდროს, აი ამ ნიმუშით შეგვიძ-
 ლიან დაერწმუნდეთ.

14 ნოემბერს 1869 წ.

სტეფანწმინდით

ჩემო სიცოცხლეც და სიხარულო

შვილო აღექსანდრე!

მოგეხვევი აღზნებულის დედაშვილურის სიყვარულით და დაგიკოცნი
 ურიცხვით მშვენიერს სახეს და მოგილტაცე შვილო შენის დაბადების დღეს.
 ვსთხოვ დედაშვილობის განჩენს ღმერთს მრავალს და უმრავლესს წელიწადს
 დაესწრო ყოვლის ბედნიერებით სიმარბოლით და კარგის კაცობით. ჩემო ნუგე-
 შო და სიხარულო შვილო აღექსანდრე, ვმადლობ და კვალადაცა მადლობას
 ესწირავ ყოვლის შემძლებელს ღმერთს, რომ ეხლა ღვთის მოწყალებით ოცდა
 ხამის წლის კმაწვილი კაცი შვილი მყევხარ! გენაცვალის შენი მშობელი შვი-
 ლო, თუცა დიდს ტანჯვას ვითმენ, შენთვის ყოველს მწუხარებას და ტანჯვას
 ვიტვირთებ, მაგრამ შენის წიგნის დაგვიანება კი მკლავს. რა არის შენს კეთილს
 ვულს ვენაცვალე, რომ ამთვის წიგნებსა გწერ და ერთის წიგნის პასუხი არ
 მომწერე. არ ვიცი რა მიზეზია? არც ამ მუხრანსკის ვალისასაც არას პასუხსა
 მწერ, ოთხმოც თუმანსა მთხოვს, შენი გექსილი აქვს. გვედრები შვილო, რომ
 ყოველი შენი ანბავი მაძწერო და შეიბრალო შენი შეწუხებული მშობელი. ან
 შენი სწავლისა რა ჰქენ? ვგზემენია დაიპირე თუ არა? ან რას აპირებ? ან შვი-
 ლო მაგთენს ვალს რომ იღებ, რახედ ხარჯამ? განა არ იცი, რომ შენს ოჯახს



არაფერი შეძლება არ აქვს რა, პირში სულს ვიძრობ და ისე მგინჯან... რა შეპოსავალი გვაქვს შენი პირივე. ვერას მოგწერ ამის მეტს... ღირს სი-
ღარიბეში ვარ გეფიცები ყოვლად ძლიერ ღმერთს და აბა ვალი საიდან ვარ-
დავიბადო? რაც პენცია მაქვს ამას შენ გიგზანი და სხვა არა მაქვს რა შემო-
სავალი. ეკლიანიდან კაპეიკი არ შემოსულა წელს, ახალ გზაზე დადიან. რა ვქნა
მიტკა ყურს არას უგდებს არც ვაცსა გზანის როცა ზაფხულია და იქარგება
ყოველი შემოსავალი მამულისა, აკლებინა ქვეყანას, რა ვქნა რალი მოგწერო
შვილო, მეც შენის გულისთვის ვიტანჯები, რომ კიდევ როგორმე მტერმა ისე
დაინახოს, რომ ოჯახი მაქვს, ვინამ შენ მოეშველები შენს სახლს, ამასა გთხოვ
მეტს ხარჯვას ნუ გაჰყვები თორემ სახლს დაღუპამ შენმა სიხარულმა. ვალათ-
ვერა ვშოვობ ოთხმოც თუმანს, გირაოს ვატარებ. არ მინდა რომ შეიტყოს ვინ-
მე, რომ მაგდანი ვალი აგლია. ესლა ოჩხოტის მამულში, თუჯიანთ მამული
რომ გეტონდა გირაოთ ოცი თუმანი იმაში გამომბარავეს, ათს თუმანს ესლა შენ
გიგზანი. ღმერთი მამიცია შენთვის თავდებათ და მამიშენის სულს გეფიცები,
რომ უკაპეიკოთ დავრჩი ყოველის ნაკლებებით. გეხვეწები, გევედრები რიგიანით
მოაქცე! სწავლის ბეჯითი იყავ, შენს ტოლსა და ამბანაგებში შენც უკან ნუ
დარჩები. შენის მშენიერის თავის პირივე ნუ გახდი შენს თავს და შენს სახლს
მტრის გულისათ!.. მაიკოცხლე შვილო, თვეში ერთხელ შენის წიგნით, ყოველი
შენი ანბავი შემატყობინე. ჩემი სიკოცხლე შეიწირე არამც თუ მე შეძლება
მექნება, რომ ოღონდ ნურას დამიბალამ, ოღონდ თვეში ერთი წიგნი მამწერე.
შენი ანბავი შემატყობინე შენი პირივე გეხვეწები ცრემლით შენი მშობელი,
წიგნი მამწერო და ესეც მამწერო რა მიზნია შენი ამთენს ხანს წიგნის მოწ-
წერლობა? ესეც მამწერე მართლა ცოლს ირთავ? ისე ღმერთმა შენი თავი გა-
მიბედნიეროს, როგორც მე გამახარებ მაგითი, მაგრამ ამას კი გთხოვ რომ კარ-
გი იყოს და მტრის გულისათ არ გახდე.—ჩემს ლეჩქასაც ვაფიცი შენთვის, თუ
კი შენ ყოველს შენს ანბავს დაწვრილებით შემატყობინებ. კიდევ მოგეხვეცი
და კეთილს გულს დაგიკოცნი შენი ბედნიერების ღვთის წინაშე მთხოველი
დედა ელისაბედ ყაზბეგისა...

წინო დიდის საყვარულით პირსა გკოცნის და გილოცვენ ერთობ შენი
ხალხი შენს დაბადების დღეს...

აჰა მკითხველო ნიშუში ტკბილის დედის წერილისა! აჰა ნიშუში თავ გან-
წირულის სულის კვეთებისა! დედები ყველასა გყოლია, მაგრამ ბერს არა
გგელირსებია ამისთანა ტკბილი წერილების მიღება. აბა დააკვირდით რამთენი
ღრმა საყვარულია მოთავსებული, რამთენი სათნოებაა გამოთქმული ამ მკირე
ბარათში?! ამასთან არც ერთი საყვედური, არც ნამცეცი აჩრდილი წყრომისა!...
თავ განწირული დედა სთხოვს რომ შვილმა ყველაფერი უთხრას, ნურას
დაუშაღავს. თუმცა ატყობინებს თავის ქონებრივ შევიწროებას, მაგრამ მაინც:
ლეჩქას ვაფიცი და შენ კი არას დაგაკლებო, ოღონდ შენ კი სწორე ანბავი-
შემატყობინო!.. რაც აბადია ცოტა არის თუ ბერი — უგზავნის, ვალბესაც უხ-



დის... ყველა ამას დედა არ უსაყვედურებს, მხოლოდ უფრო უსაყვედურებს. შენს თავს ნუ დალუბავ კარგათ მოიქეციო!.. განა მიეტყუებოდა ჩემი წლის ყმაწვილს (გონება გახსნილს სტუდენტს!) ამისთანა გრძობით საესე წერილი მიიღოს და იმისმა სვინდისმა არ გაიღვიძოს?!.. განა შეიძლება რომ ყმაწვილს აღამიანს გული არ აუტოკდეს და სპაგიეროთ შეგობრობა და აღერსი არ აღიაროს იმის წინაშე, ვინც **ცრემლითა სთხოვს: მართალი მითხარო!**.. „მეოცხლე შეილო, თვეში ერთხელ შენის წიგნით, ყოველი შენი ანბანი შემატყობინე!“ მოხუცი დედა უღალადებს, სანდრო კი პასუხს არ სცემს და როცა მოსწერს, მაშინაც ფული და ფულიო!.. ამას კიდევ მრავალს მკვებე საყვედურს დაამატებს. ერთს აღურსიანს სიტყვას არ აღირსებს... მე ზედმიწევნით ვიცი, რომ ძალუა კეცე რასაც ამ წერილში სწერს, სულ მართალს ანბობს. ძალუა კეცესთვის არ მოიპოვებოდა იმისთანა მსხვერპლი, რომელსაც სანდროს კეთილდღეობას არ შესწირავდა!

იმისთანა ტუბილი სიტყვები, როგორც ეხლა ჩვენ ამოვიკითხეთ იმის დედის წერილიდგან სანდროს გულს არა ზედებოდა და დასცინოდა კიდევ; სანდროს ამ დროს მხოლოდ ფული უნდოდა! ძალიან საინტერესოთ მიმანია იმის ჯიბის წიგნი, რომელშიაც რამდენიმე ფურცელი გაუმსია იმ დროს მოგონებით, რომელსაც ეხლა მე ვებები. აქ უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც ეტყობა, ეს შენიშვნები რომლებზედაც მე ვაითითებ ბოლოს დროს არის დაწერილი, მგონია იმ დროს, როდესაც; მწერლათ ცნობილ იქნა. როგორც ეტყობა სურვილი ჰქონია აღწერა თავისი სწავლისა, მოგზაურობისა და სხ. და სხ. ანბები, მაგრამ ჩვეულებისამებრ, ყველა ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტია, შეუსრულებელი საზოგადოთ ეს ნაკლი სპირსი იმის დაწყებულს ანბებს, ლექსებს და სხ. როგორც პოეტი ამშვენიერებს თავის თავზე ვადასავალს და როგორც მსახიობი ეფეტებით ამსებს. აი როგორ ასევიადებს თავის ქონებრივ შევიწროებას და რა სამახსარაო მხარეს გვიჩვენებს, რომელიც სრულებით არ ეთანხმება იმის დედის წერილებს და ვაგზავნილს ფულის ნუსხებს:

სანდრო სწერს თავის ჯიბის რვეულში:

თავი მეოცდაცხადი.

„გაიარა თვემ, გაიარა მეორემ, მოახწია იმ დღენაც, როდესაც ფული უნდა მომსვლოდა, მაგრამ მე აღერსიანი წიგნების მეტი არა მომდიოდა რა, დაერჩი სრულიათ უფულოთ. გამოუცდელი, მოუმზადებელი ამგვარის ცხოვრებისათვის. მე ვიდევ ერთს ჩემს მეგობარს სტუდენტთან ერთათ, უფ. ბ. რომელიც მედიკი იყო და ამ წელიწადს ათავებდა. ის იყო სტუდენტდიანტი და თვეში 25-ს მანეთს იღებდა. დაერჩით ამ 25-ს მანეთზე მე და ჩემი ამხანაგი ბ. თავის დღეში არ შეუმჩნევია, რომ მე იმას უშლი და ის ჩემთვის ვიწროვდება რაშამე მაგრამ წარმოიდგინეთ ეხლა თქვენ ჩემი სატანჯველი, როდესაც კი წარმომიდგებოდა კაცი რომელიც ოთხის წლის განმავლობაში დაეჭვია და მოეწყო თვეში 25-ს მანეთის ხარჯვას, ერთბაშათ შუაზე ცუდა ეს ხარჯი, ამ გვართთ გაიარა ოთხმა თვემ, ყოველ შინუტს მოველოდით ფულსა და ჩვენ კი გროში



არ მოგვდიოდა, ერთი იმ წიგნების მეტი, რომელსაც ამხედრებდნენ ჩემთან ტრფიალით. მოახლოვდა ზაფხული, დაევირავეთ შუბები, მეტი ტანისამოსი წინათვე გვეჭონდა დავირავებულნი და გამოსყიდვის ნებაც კი გვეჭონდა დაკარგული.

ერთს დღეს ვსხედვართ დალონებულნი, როდესაც ფოჩტალიონმა შემოალო კარება ჟუ. ყ. აბეველინია. (კობიოსთან ნამდვილია) სიხარულით წამოვსცვივდით და გამოვართვი, უკანასკნელი ორი შაური, მთლიან ჩვენი სიმდიდრე იმას მივეცი. დავხედეთ რალაცა იყო დაბლაჯნილი და მას უკან 5 მან. იჯდა გამოვივრდა 5 მანეთს ვინ გამოვიგზავნიდა მეტი? მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი რომ უთუოთ 500 მანეთია და ფოჩტაში აჭარების გამოისობით ნოლები დავიწყებიათ. რადგანაც ფოჩტაზე ძალიან შორს ვიდგეით ავიყვანე ჩასაჯდომი, დავბატონე ჩემი ამხანაგიც და წავედით ფოჩტაში. მივედით, ვადმოგვიღეს წიგნი და ერთმა იქ მოსამსახურემ თითით მიჩვენა სად უნდა დამეწერა, ლათობისაგან გაბუბებულის ხნით მითხრა: Пишите, посылку на 5 руб. получил да сн.

„ოქვენს მტერს მოსწყდეს წელი, რომ ჩვენ წელი მოგვწყდა! მაგრამ მაინც მე ის აზრი მომივიდა, რომ იტენბა ისეთი რამ იყოს, გავიღვა მაინც შეიძლება და მაშინ ამ ობერს მეფაიტონეს მაინც გაუსწორდებით. მივეცი გასცხადება და ვადმომიღეს რალაცა პარკი, რომელშიაც ჯობებსავით რალაცა იყო გახეული. საჩქაროთ გავვლიჯე ტილო მოუთმენლის ხელებით და წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, რომ ჩურჩხელები კი ვადმოცვივდნენ! შევხედეთ მე და ჩემმა ამხანაგმა ერთმანერთს და ამ დასალონებ შემთხვევაზე ფრუკნი წავგვსქდა და შინამდე სულ სიცილით მივდიოდით. არა და წარმოიდგინეთ კაცის მდგომარეობა, რომელიც ოთხი—ხუთი თვე ფულს მოელის ყოველ დღევე. საშინელს შევიწროვებაში არის ამ ხნის განმავლობაში, მეჩვე დარწმუნდება, რომ ძლივს მიაღწია ამთენის ხნის ლოდინის შემდეგ თავის საწადელს და აქ ესეთი შემთხვევა! ფულის მაგიერათ ჩურჩხელები... არა უკაცრავათ მარტო ჩურჩხელები არ იყო, აი ჩურჩხელებთან რა წიგნი იყო:

„ჩემო ორთავ თვალის სინათლევ შეილო!

როდის მალირსებს ღმერთი კიდევ შენის მშვენიერის ტუჩების დაკოცნას და შენის თვალთ დანახვას. შეილო რა არის ამთენს წიგნებსა გწერ და ერთგან შენს ანბავს არ მატყობინებ. შეილო შენი მამისა და დედის გვირგვინო შეილო. ნეტამც არის კიდევ ღმერთმა მალირსოს შენი ყოფუნა თვალების დანახვა. როგორ დაევაკაცდებოდით, შენ კი შემოგველოს დედის შენის თავი შეილო. ოხ რა მწელი ყოფილა ასე შორს ყოფნა საყვარელის შეილისაგან. ჩურჩხელებს გიგზავნი, მაგრამ ბევრი კი არა ჰამო შენ შენ კი გენაცვალოს დედა შენი, არ გაწყინოს,.. ამ გვარის ალერსებით არი გამხებული ერთი თაბანი, მეორეზე დიფყობა დარიგება და ჩემის წიგნის პასუხი, რომელშიაცა ესთხოვ, რო თავისი პენსია ვარდმოეცა ჩემთვის რათა თვე და თვე სწორეთ მიმელო ფული...

„რა ექნა შეილო, რა საოხროთ მინდა თუ კი შებადება რამე, თუ არ შენთვის, მაგრამ შენ გენაცვალოს შენის დედის ორთავ თვალის სინათლევ, აქ ისე მიჩვენე, რომ არ გამოვიგზავნო, თორემ მანდ დაგტყუებენ და დარჩები



ცარიელი... ვაი თუ მართლა ვგრე მოვიხდეს და ჩემთვისაც შექმნა ეს შენც ვერა იგრძნო რა... ამერე კიდევ დარწმუნდება, რომ ფულს მჭაჩაძე მჭაჩაძე ზავნის ამასთან ხეუწნა, რომ გაუფრთხილდე. გესმისთ?! მომეტებულს ხარჯს გაუფრთხილდე მაშინ, როდესაც ხუთი თვე გროში არ მომსვლია.

„მას უკან მწესრ, ამ კვიანიურს რჩევას აძლევს გამოცდილი ნასწავლი კაცი, შვილი მინისტრს ფინანსოვისა, ერთი სიტყვით ჩვენი სიძე ფურმანი, რომელსაც შეგქამა თავის აუარებელი სიმდიდრე, გამოეგდოთ სამსახურიდგან და ჩამომდგარიყო ჩვენსა, რომ ეგების ჩემის დედისთვის დაეტყუენა რამე ჩემს იქ უყოფნელობაში. რაკი ამ აფერისტის სახელი გაეიგე და იმისი შეძრომა დედა ჩემთან, იმედი გარდავიწყებოც საქმის კარგათ წასვლაზედ. კაცმა ვინც ოცი ათასი თუმანი შეგქამა ორს სამს წელიწადს, იმას ჩემი შემოსავალი რას ეყოფოდა და მესმოდა რა მიზეზით დედა ჩემს ფული ვერ მოეხერხებინა გამოსავლანათ. ხუმრობა კი არ არის ცამეტის სულის შენახვა სახლში ამ გვარი ხალხის როგორიც იყო უფ. ფურმანი, „მინისტრ ფინანსოვის“ შვილი როგორც ეძახოდა დედაჩემი. უნდა მოეხერხებინა რამე, საცა იყო ამხანაგებში ვიშოვეთ და მივეციოთ მეფაიტონეს“.

ეს სიტყვები სინამდვილით გადმოვიღე სანდროს ჯიბის წიგნიდან, ჩემის აზრით ეს მაშინ არის დაწერილი როდესაც მოჩუბარაიძის ნიჭით საფე მწერლობის სახელი გაისმა საქართველოში; ზოგი რამ ამ ჯიბის წიგნში ომიანობის ანბავია და კიდევ ზოგი რამ იმისთანა, რომელიც ამტკიცებს ჩემს აზრს; ეტყობა განუზრახავს თავის ბიოგრაფიისთვის მასალა დაეტოვებინა.

სანდროს ჯიბის წიგნში ნაამბობი ქონებრივი შევიწროება გაზვიადებულია. მოსწავლე სტუდენტს, თავის ნორმალურის ცხოვრებისთვის რაც ხარჯი ეჭირება ყველასთვის ცხადია და მაშასადამე ადვილი გამოსაანგარიშებია ისიც, რომ სანდროს მართო სტუდენტურად—შრომისთვის რომ მოეწყო თავისთვის ცხოვრება, დედისაგან რაც ფული მიზღიოდა იმდენათ საკმარისი იყო, რომ ცხოვრების გარდა საკოხტაოთაც დარჩებოდა! მაგრამ სამწუხაროთ ის თურმე სხვა, გზას დაადგა: მდიდარი ცოლის შერთვა ზღომნებია და ამ ენებით მოკლეს, რასაკვირველია ბევრი ხარჯიც დასჭირდებოდა... მაშ ერთი მიბრძანეთ: ასე მოკლე ხანში ჯიბე ხომ არ დაწვეა, რომ ასეთს სასოწარკვეთილებას ეძლევა. თავისი ოჯახის გარემოება ავიწყდება, დედის მდგომარეობას უფრს არ უგდებს და ახირებით, შკაკრად ებრძვის, რომ დედამ თავისი უკანასკნელი ლუკმა შვილს გადასცეს?!.. არა, კიდევ განვიმეორებ, რომ კეთილ გულის ქაბუჯი, სვინდისიერი ყმაწვილი კაცი რაც უნდა გაჭირება ჰქონდეს ასე შეუბრალებლით არ მოექცევა თავის მშობელს!..

ჩემს მაგიდაზე აწყვია სანდროს ქალაღები ძალუასაგან ანუსხული ბარათები: თუ რა დროს და რამდენი გაუგზანა სანდროს ნივთები ანუ ფული. ეს საბუთები ღირსია ყურადღებისა, ამ საბუთების ძალით თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სანდრო რუსეთში ყოყენის დროს ქონებრივ გაჭირვებაში არ არ უნდა ყოფილიყო, მით უფრო, რომ როგორც თითონ აღიარებს თავის ჯიბის წიგნში, ისეთი კარგი ამხანაგი ჰყოლია, რომელიც თავის სტებენდიის



25 მანეთით სცხოვრებდა და ამ ფულით სანდროსაც შემწობას აძლევდა!... მაგრამ დაუხედავით ამისთანა საგულისხმო მავალითისა ჩემი საქმეებზე ვფიქრობნებით ვალეებს იღებს და დედას კი ახლევინებს ე. ი. იმისი თამასუქები დედასთან იგზავნება და ის უკანასკნელ ღონის ძიებასა ხმარობს და იხდის. ამასაც არა სჯერდება სანდრო: დედას ემდურის რომ თავისი პენსია სისრულით სანდროს არ გადასცა, ემდურის კიდევ იმათაც ვინც იმის დედას ურჩია: პენსიაზე ხელს ნუ აიღებ, მშვიდი ნუ დარჩებიო!...

იქნება სხვა დროს უტრადლებს ღირსადაც არ ჩაგვეთვალა ამისთანა ანგარიშების აღნუსხვა, მაგრამ ეხლა ამ გარემოებას მით უფრო გულწოდვინით უნდა დავაკვირდეთ, რომ ამ მოქმედებით მკაფიოთ იხატება იმისი მურტალი ზნეობრივი მიმართულება. ამ სურათებით თვალწინ გვეშლება იმისი დედის წინაშე გულტვაობა ფუქსავატობა და სიტყვისა და საქმის ერთმანეთთან მიუყენებლობა... ამასთან როგორც ვხედავთ თავისაგან მიზანში ამოღებულის საქმის შესასრულებლად არა გვარს მოქმედებას არ ერიდება და ეს ის ჭაბუკი რომელიც იდეების მუშაობა გვებატება!...

მე კიდევ მკითხველს გარდმოვეცემ ერთს შესანიშნავს სანდროს წერილის პირს, რომელიც ზედმიწევნით არის გარდმოღებული და თავისი შინაარსით აკვირებს აღამიანს!.. ზემოთა ესთქეი დედა შვილს ვერ იცნობდა მეთქი: მართალია! მაგრამ სამაგიეროთ ამისა შვილი — დედას ზედ მიწევნით იცნობდა და შესანიშნავის სისწორითა ჰქონდა შესწავლილი იმისი სოსტი მხარეები. ეს წერილი მშვენივრათ გვიხატავს, თუ რანაირის ჯოჯოხეთურის მოაზრებით შებოქა თავისი დედის შედიდურება, მიხვდა იმის განუსაზღვრელს სურვილს დიდებულთა წრეში სანდროს ჩადგომის და სიმდიდრის შოვნის. სანდრომ ამ წერილის შეთხუზებით შორს შეედევლობა გამოიჩინა: მიხვდა სიყვარულით აღვსილი დედის გული შეიპყრო, დაათრო, ტკბილის ლულუნით დაამშვიდა და აზრით სავეს დედაკაცს დააფიქვდა ყველანაირი მოაზრება. ამ საშუალებით სანდრომ მიაღწია თავის მიზანს: ფული უხდოდა და მიიღო კიდევ!..

აი, ამ შესანიშნავის წერილის პირი!

„ათასჯერ ბოდიშს ვითხოვ, საყვარელო და დაუფიწყარო დედაე, რომ აქამდე ჩუმათ ვიყავ და ჩემი დაწერილებული ანბავი ვერ შეგატკობინე. ვფიქვავ ყველა ციურს და მიწიულს, რომ ჩემი გული და გონება მხოლოდ იმ აზრში აიღის, როგორ მოვაგვარო და მოვახერხო საქმე ისე, რომ ამ თქვენს სიბერეში, მოგვეთ მშვიდობიანი ცხოვრება, პატივი და დიდება, როგორც შეეფერება თქვენს შთამომავლობას. ხელის დაქერით ამ აზრს მოსდევს, აზრი ჩემის ოჯახის ამაღლებისა, რომელიც გსურთ თქვენცა. დამიჯერე მუდამ დაუფიწყარო დედაე, რომ მხათა ვარ ყოველთვისინ ჩემი თავი მსხვერპლათ მოგიტანოთ თქვენა და ზემოხსენებულის აზრების აღსრულებას. აქამდისინ ჩემი საქმეები იმ მდგომარეობაში იყვნენ, რომ ჩემი სიტყვები არაფერი სანუგეშო იქნებოდნენ ეხლა კი შემიძლიან წარმოვსთქვა თავამაღლებულმა, რომ ჩემი აზრები თავდება და ძლივს ჩემს ბებერს დედას და ძველს ოჯახს ავაყვავებ იმ ბედნიერებით რომლითაც ჰყვოდა მამის ჩემის და პაპის ჩემის დროს. ეხლა საქმეები იმ



მდგომარეობაში არიან, რომ ყოველს ჩემს კეთილს მყოფს შეეძლოდათ ჰქონდესთ იმედი ჩემზედ; ნამეტნავათ შენ ჩემო მარტო ერთო წათესაო, შენა ჩემის მამის სახსოვარო!..

წიგნი თავისით არის მცირე ხმაურობა, მცირე სიტყვები იმასთან, რაც ჩემს გულში ტრიალებს,—გახსენი და ნახვე ამავე კარტინებს მხოლოთ გაჩილებულს პატიოსანის ნათელით, წმინდისა, როგორც მთის დაუფლელი ბროლი და ცისკარის ალიონი, თეორი და პატიოსანი როგორც უპირველესი ყაბიყი ზამთრისა,—უმტვერო, სპეტაკი და პატიოსანი, მუდამ ფარული უწმინდობისაგან, მიხეილ მთავარ ანგელოსის ძალით. მაინც მაგის ფრთას უფარავ ყოველთვისიანი ჩვენი ოჯახი იმ უბედურების და დასანგრევის ქარებისაგან, რომლებიც რამთენჯერმე დასტრიალებდნენ თავზედ, ჩვენს ოჯახს. დიდება ნაგის სახელს! დიდება მაგის ძალას!.. მუდამ ყველა კეთილის სურვილში დამხმარებელს.. საკვირველმა სიხმარმა გამომიყვანა იმ მდგომარეობიდან, რომელსაც ეძახიან დაეარდნას, მხნეობის დაკარგვას. «ვითომც ყაზბეგში ვიყავ, ჩვენს ეკლესიაში, აქა ვლოცულობდი და ცრემლითა ვსთხოვდი, რომ რაღაც საქმე აესრულებინა ჩემთვის ღმერთსა (ეს იყო ის დრო, როდესაც გავიციანი ღენერალე გრაფი ჩერნიშოვი—კრუგლიკოვი თავისი შეუდარებელის ქალით მოსკოვის პატიოსანთ საბრანიაში). ვითომ მთავარ ანგელოზმა გამიწილა თავისი ფრთა და მითხრა: «დედის შენის ლოცვა მივიდა ღმერთამდის, რომელმაც შეიწყალა იმისი მდგომარეობა და თხოვნა. ვასწი და ჩემი ფრთა არ გაგიშვებს თავის მფარველობიდან». წამოვდგეი რაღაც კეთილს გუნებაზედ და ვიხიტათ წაველ-აქ ქავკავაძეები არიან ორნი ძალიან მდიდრები რუსის ქალები ჰყავსთ ცოლებათ. იმათთან რომელთაც ძალიან უყვარვარ და ყველა საქმეში ხელს მიმართამენ. ჩერნიშევი—კრუგლიკოვი იქ იყო, თურმე ერთი ქავკავაძიანთაგანი ისეთი დაახლოებული მეგობარი ყოფილა, როგორც ძმა, რასაკვირველია ქალიც იქ იყო. რასაკვირველია მივესალმე, როგორც სახლის პატრონებს, რომლებიც ის იყო, სოფლიდან მოვიდნენ და საშინლად გაეხარდათ ჩემი ნახვა,—ისე ჩერნიშოვის—კრუგლოვსკის თავისი ქალით. სულ მესამე დღე იყო რაც ვიციობდი უკანასკნელებს. საბრანიაში წარმადგინა იმათთან ერთმა ჩემმა ნაცნობმა ყმაწვილმა კაცმა კნიაზ გალიცინმა. მე რასაკვირველია ვსთხოვე ქალს კადრილი, რომელზედაც მივიღე სრული თანხმობა, მაგრამ იმისმა მშვენიერმა სახემ და ტანმა კინაღამ აქვე არ დამათრო. ქალმა შემამჩნია მზიარულიათ იყო და მითოვა, რომ ვიარო იმათსა. კიდევ რამდენჯერმე ვიტანცავეთ ერთათა, წავედით თავ თავის სახლში. ამ შეხვედრის უკან ყოველთვისინ ვემზადებოდი, რომ ვიხიტი გამეკეთებინა, მაგრამ როგორღაც ბერსა ვფიქრობდი, არ ვიცოდი როგორ მივსულიყავ ქავკავაძეებთან რომ ვნახე იმან გამომიყვანა ფიქრიდან და შევიწროვებიდან. აქ სუყველანი სადილათ დაერჩით და პირობა შევყარით, რომ საღამოზე ტეატრში ერთათ წავსულიყავით, კაცები ვიყავით კრესლებში და ქალები ლოფაში. პირველი აქტის უკან სამს ქილოან ვადაველ ლოფაში და მთელი ტეატრი მხოლოთ იმის ყურებაში ვგავატარე. თავისუფალ დროში კი ლაპარაკი არ გაწვეტილა ჩვენში. აქედან ჩაეარდა საძირკველი ჩვენის დაახლოვები-

სა. ტეატრი როცა დაიწალა და სტუმრები წაეიდნენ, მე ქაჯაყაძისთან წავედი ვახშმათ. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მდგომარეობა არაეის არ შეუმჩნევი, მაგრამ ვახშმის წინათ ერთმა ქაჯაყაძის ცოლმა გამიყვანა ცალკე ოთახში და პირდაპირა მკითხა: „ძალიან გიყვარს გრაფის ქალი?“ მე საშინლათ გავწითლდი. ბოლოს ლაპარაკი იმითი გათავდა, რომ მითხრა ძალიან მდიდარი არის, მაგის მეტი არაეინა ჰყვეს მაგის მამას. ეხლა აქვს მშითვათ დანიშნული ოცი ათასი თუმანი და მამის სიკვდილს უკან დიდი მამული და ფული დარჩება. ნახეთ გაიკანით ერთმანეთი და თუ მოგეწონება საქმე შეიძლება! ისეც მოხდა. მეორე დღეს გაუყეთე ვიზიტი, მერე კვირაობით დაეიწყე სიარული, მერე უფრო ჩქარ ჩქარა, ამობაში საშინლათ დაეახლოვდით. ერთს დღეს ქაჯაყაძეებთან მოიყვანა ქალი მამამ და თითონ ისეც წავიდა; იმ საღამოზე მეც იქ მიველი. მე ვსთხოვე ქალს დაეკრა ერთი სონატა ფორტოპიანზე, რომელიც მე მომწონდა ძალიან. ქალი გამოვიდა და დაუწყო ფორტოპიანის კლავიშებს გადარბენა. მე კედელზე მიყუდებული გულ-მღელეარებით უყურებდი ქალს. აქ უნდა ავიწერო იმისი სახე, რომელსაც ისე დამიმონდა და ნება აღარ მომცა თავისუფალი აზრისა. მშვენიერის მალალის ტანისა, ამყურათ ამალღებულის შვერდი სუნთქავდა იმ სუნთქვით, რომელიც ამტკიცებს მკირე მღელეარებას. მშვენიერს თეთრს უმტვერო პირისახეზედ ეშლება ვარდსაეით სიწითლე, ტურჩები აღისფერს მარჯანსაეით მომღელეარე, პატარები და მუდამ მოციანარი. ნიკაპი მრგვლათ მოყვანილი, ცხვირი სწორე და რიგიანი პირისახეხსთან. მშვენიერი დიდი ლურჯი თვალეები, მოელეარე თითქო ცეცხლი ეს არის უნდა ამოხდესო, რომელსაც იფარაეენ გრძელი მშვენიერი წამწამეები. ზემოდან მშვენიერათ წამოსდგომიან შეილდსაეით მოხრილი წარბეები, მალალი შუბლი და ხუჭუქი თმეები, ამზგაეხებენ ანგელოზს. დაუდარებელი გრაფინიას მშვენიერი თითეები, გრძელი და თეთრი როგორც ბროლი უფრო მშვენიერდებიან აღისფერის ფრჩხილეებით. უკანასკნელის ანზის დროს თეთრს უმტვერო ტანისამოსში მარქალის ლენტეებით სორთული და თმა გაშვებული ლოყნეებით. არა, არ შემძლიან ავიწერო იმისი მშვენიერება, ეს არის ციური უმანკობა! ამასთან სიკეთე იმისი, რომელსაც სამღვარი არა აქვს!... ეს იჯდა და უკრავდა ფორტოპიანს, მე სრულეებით დამაეიწყდა ჩემი თავი და მივარდი ხელზე საკოცნელათ სიტყეებით. „ნინო მიყვარხარ, ნუ თუ არა გრძნობ ამ ანბაეს“ ცოტათი შეკრთა ამ სიტყეებზედ, გაწითლდა მაგრამ ხელი არ წამართვა. მე დაუწყე ლოშენა და კიდევა კკითხე: უყვარეარ მეცა თუ არა? ამაზე მიპასუხა მღელეარეებით: „ისე როგორც ჩემს სიციობლეში არაეინა მევარეობა“ ამის უკან წამოდგა და ჩემს გულზე გადმოდო თავისი თავი. ერთმანეთი გვესმოდა ორთაე. მე მიჭირა ერთი ხელით იმისი ხელი და ეკოცნიდი, მეორე ხელი შემოხვეული ტანზედ, აღზნებულის თვალეებით უყურებდი პირის სახეში. წარმოიდგინე ჩემი ბედნიერი მდგომარეობა იმ წამს. ქალი, რომელსაც თითქმის ლმერთათა ვთვლიდი, ქალი რომლისაც თითქოს მეშინოდა, რომელთანაც ვერა ვებდაედი მეტის სიტყვის თქმას—ეხლა იყო მოკრული ჩემს გულთან, იმისი ხელი მეჭირა ხელში და ეკოცნიდი იმთენს რამთენიცა მსურდა! ქალმა, რომელსაც გრაფეებიც დახდევდნენ, თავადებიც, ლენერლებიც და სხეებიც



ამოარჩია კაცი ბევრით სხვებზე ღარიბი, ბევრით სხვებზე უკეთესი. ბევრით სხვებზე უარესი! ჩემს სიხარულს არა ჰქონდა სამზღვარი. ამ მდგომარეობაში მოგვასწრო ქვეყანის ცოლმა, რომელმაც ნამდვილის მგებობრულის მხიარულებით მოგვილოცა. მაშინვე ყველამ შეიტყვეს, რომ მე და ნინოს ერთმანეთი გვიყვარს და გამოუცხადეთ სიყვარული. ყველამ თვითნულათ მოგვილოცეს. ორის საათის განმავლობაში ვიდრე მამა მოუვიდოდა ნინოს, მარტოკები ვისბედით ერთს ოთახში, რომელშიც სიჭუმეს დაშლიდა ხოლმე ალერსიანი სიტყვები და გატაცებული ცეცხლით სავსე კოცნა. ორმა საათმა გაიარა ჩქარა ნამეტნავათ ამ დროში და მოვიდა მამა, რომელსაც ქვეყანა ელაპარაკა. შეგვატკობინეს, რომ მამა თანახმა არის და თითონ მოდის გასტინაში, რომელშიაც გამოველით. შემოვარდა მამა და ცრემლიანის აღვლევების თვალებით ჯერ ქალი დაკოცნა მერე მე. მერე ცოტა ხანს უკან მითხრა: „აი შეილო, აღვიბედა ჩემი ქალი კეკელუკობაში და სიყვარულში, ჩემი სიცოცხლე გამიტარებია იმაში, რომ იმ ცოტა დღეების უკან რაც მე დამარჩა სიცხოვრებლათ, ჩემმა ნინომ იმავე მხიარულობაში გაატაროს. ღმერთს უნდოდა, რომ მე ჩემს სიბერეში შენ გამოგჩენოდი პატრონათ და ნინოს საყვარლათ.“ ამ დროს გამოართვა ხელი ქალს და მე, შეიერთა და სთქვა: „აი ჩემი ქალის ხელი, ოცი ათასი თუმანი აქვს მზითვით და მაგის გარდა როცა მოგვდები სულ თქვენი იქნება. ნინოს მშვენიერება და კეთილი გულობა არის შენთვის უკეთესი სიმდიდრე.“ „ღმერთმა ისე გავაბედნიეროსთ, როგორც ჩემი ბებერა დაფრთხილი გული სთხოვდეს.“ ეს სიტყვები... (სიძველით ვეღარ გაირჩევა ე. ყაზ.) შამფანსკის პრობკების ხმალობამ და რამეთენსამე მინუტს უკან ყველამ მოგვილოცეს ბედნიერება.

ახლა ამ მდგომარეობაში ვარ, არაეინ სხვებმა ჯერ არ იცის რა, შობის მესამე დღეს დიდი ბალი ექნება ჩერნიშოვ—კრუკლიკოვს, რომელშიაც გამოცხადებენ აშქარა სასიძოთ. მაქვს იმედი, რომ თქვენი ლოცვაც არ მომაკლდება, ამ სრულს და ნამდვილს ბედნიერებასთან, რომელზედაც თქვენი ნება დართვაც უნდა ჩქარა შემატყობინოთ, კიდევ გავიმეორებთ და დაგარწმუნებთ, რომ რამეთენსაც ჩემს სიამოვნებაზე ვფიქრობ, იმდენს თქვენზედა და ჩემს ოჯახზედ. ეხლა უნდა გითხრათ, რომ ჩემი მდგომარეობა იმ მიმართულებაში არის, ამ საქმის დაშლა და ჩემი უბედურება ერთი იქნება... დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ძნელი იქნება ჩემი გამოცხადება შენთან, რომ ამ საქმისთვის ერთი ასი თუმანი(ხახს მე უსვამ.) მაშინდება. გეფიცები პატრონის სიტყვას, რომ უკეთესი შეიძლებოდეს როგორმე სხვა მხრიდან შოვნა, მე შენ არ შეგაწუხებდი. აქ ყველანი მიყურებენ მეც, როგორ შეძლებულს კაცსა და უკეთეს სომხებისაგან ეისებზე, მაშინვე ხმა გავარდება და შენი მტერი. ქვეყანაში მძლევენ მართალია ფულს, მაგრამ იმათიკა მტხვენთან. არც იმათ უნდა შეიტყონ ჩემი მდგომარეობა. იანვრის გასულს ქორწილი იქნება და მაშინა ნახავ რა პატივით გადავიხდი მაგ ხელის გამართვას. ანგარიშში მიიღე აგერ იანვრიდან რა მომსვლია აქ ფული

(აქ სამწუხაროთ მთელი სტრიქონი სიძველით ისე გახუნებულია, რომ აღარ ირჩევა. ე. ყაზბ.) უთუოთ ასი თუმანი გამომიგზავნეთ. ამასთან გამომიგზავნე მე-



ქედი პრინცმა ალბერტმა რომ მაჩუქა და შენი ბროჯა თუ... ჩვენთვის, რომ ნიშნათ მიესცე. ესენი ყველაფერი ჩემთვის ისე საჭირო არის, როგორც ქვეთ-მყოფისათვის წამალი. უკეთუ ესენი არ გამომიგზავნენ, ჩემი საქმე საშინლად გაძნელდება, მაგრამ თუ სულ ჩაიფუშა გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ ზემს თავს აუტყებ რასმე. ვიცი საყვარელო დედაე, რომ როგორც ძნელი უნდა იყვეს ფულისა და ბროშკის გამოგზავნა, ჩემს დაზღუბვას არ მოინდომებ... დაგიკოცნი იმ ტკბილს ძუძუებს, რომელნიც ყოველთვისინ მახარებდნენ ხოლმე და გთხოვ უმეპველათ გამომიგზავნო ნივთები და ფული, შენი სიკვდილამდენ ა. ყაზბუგი.

იი მკითხველო პასუხი იმ სიყვარულით სავსე დედის წერილისა სადაც უღალადებს: „სწორე მიიხარ, ნურას დამიშალავ, ლეჩაქს გავყიდი და შენ გამოგვგზავნო! ნოემბრის 14-ს 1859 წ. დედა ამ სიტყვებსა სწერს და იმავე წლის დეკემბერში ამისთანა ზღაპრული პასუხი მოსდის! ამ წერილის შინაარსი ისე ნათლად გარდმოგვცემს 23-ს წლის ქაბუკის გარეცხილის ზნეობის ნიბუშს, რომ აღარაფრ.ს დამატება აღარ ეჭირება. ცხადათა სჩანს თუ რისთვის უნდოდა ბებრი ფულები და მამასადამე იმისი კონებრივი გაქირება, მოსკოვში ყოფნის დროს—დასაჯერებელი არ არის. კაცი ერთხელ რომ სიცრუეეს ჩაიდენს თანდათან რომ კიდევ და კიდევ განიმეორებს, მაშინ ზნეობით ეცემა და იმისი ქცევა და სიტყვები საეჭვო ხდება.

ჩვენც ამ შემთხვევაში გაფრთხილებულები უნდა ვიყვნეთ და რადგანაც მხოლოდ სიმართლეს ვეძიებთ—ყველა გარემოებას უნდა დავაკვირდეთ.

თავი მორცდათე.

ეს ზემოხსენებული წერილი, პირველი სიტყვიდან უკანასკნელამდენ განგებ მოგონილი—სიცრუეე, (გარდა ცოლის შერთვის წადილისა) საყვირველის ცოდნით არის შეთხუზული. ამ წერილის დამწერმა ზედმიწევნით იცოდა დედის უსამზლო სურვილი, რომ სანდროს ეშოვნა სიმდიდრე და დიდკაობა, ამასთანავე კარგი საცოლო, რომელიც შეადგენს დედამთილის სიამაყეს და ქმარს ააყვავებდეს სიმდიდრით.—ეს იყო დედის მისწრაფება, სულის კვეთება! ამისმა მცოდნემ სანდრომ ყველაფერი მოიასხრა: გრაფის, ლენერალის მდიდარი ქალი, ანგელოზებრს მშვიდი და მშვენიერი, კარგად გაზდილი და ყოველის ღირსებით სავსე—სანდრომ დედას დაუხატა თავის საცოლოთ.

სანდრომ ზედმიწევნით იცოდა, რომ დედას ამით აღტაცებაში მოიყვანდა, თავის-თავს დაავიწყებდა!.. „თუ ეს საქმე ჩაიფუშა, მოიშალავ, თავს მოვიკლავო“—ეს სიტყვები კარგათ იცოდა, რომ დედის გულს ელდათ და ვარაშათ ეცემოდა.. თავისი წარმოდგენილ ბედნიერების განსახორციელებლად ასი თუმანი და დასახელებული ნივთები მოითხოვა (რომელსაც ძალუა 2000 მან. აფასებს). დედამ, რომელიც დაჰპირდა „სილარიბეში ვარ, მაგრამ ლეჩაქსაც გავყიდი და შენ გამოგვგზავნო“ იმ დედას რა აღუდგებოდა წინა, რომ ყოველი ღონისძიება არ მოეხმარა, ტყავი არ გაეძრო და სული ეშმაკისათვის არ მიეყიდა ფულის საშოვნელად თავის საყვარელს შვილს არ მიშველებულიყოს!.. მით უფრო, რომ ქორწინების შემდეგ, რომელიც ერთი თვის განმავლობაში მოხდებოდა, შვილი



პირდებოდა ვალის ერთი ათად გადახდას, ამალღებას და ყუველგ მესტი იდე-
ლის აღსრულებას!.. სანდრომ მშვენივრათ ამოიღო მიხანში თავისი ყველა მე-
დიდურება და განსაცვიფრებელის სისწრაფით განგმირა თავისი ურჩი დედის
მოაზრება და გაფრთხილება, რომ სანდროს ბეჭერი ფული არ დაეხარჯოსო.

სანდრომ ძლევა-მოსილათ გაიმარჯვა და მიიღო დედისაგან უკანასკნელი
სახსარი, უკანასკნელი შერჩენილი ნივთები და ქონება... ამ გავზენამ გამოაცა-
რებია ოჯახის ვერცხლუელი და ავეჯეულობა, რომელიც ჯერ დააგირავეს და
შემდეგ ველარ გამოიხსნა და ჩალის ფასათ გაეყიდათ.

როდესაც ზემოხსენებულმა წერილმა სტეფანწმინდამდე მოაღწია, ძალუამ
გახსნა, სიჩქარით და კანკალით დაიწყო კითხვა; როცა გადაიკითხა ის ალაგი,
სადაც სანდრო ცოლის შერთვის და თავის ბედნიერებასა სწერდა, მაშინ ცრე-
მლი ველარ შეიმაგრა დაუძახა თავის ერთგულს ნინოს და ცრემლის და ღვთის
შიერ ღალადებით გარდაუკითხა საკვირველი, სამოთხის მქადაგებელი წერი-
ლი. დედამ და გამძღელმა ერთმანერთი გადააქოცნეს, ერთმანერთს მიულოცეს
სანდროს ბედნიერება და სიხარულის ცრემლი აფრქვიეს. ძალუა ჩემი წამოიჭრა
ტახტიდან დაეცა მუხლზე ღვთისმშობლის ხატის წინ, აიღო პატარა საოჯახო
სახარება, თხოვნითა და სასოებით ემთხვევა, სანთლები აანთო ხატების წინ და
დაიწყო ლოცვა. ბიძა ჩემიც არ დაივიწყა სიხარულის დროს: იმისი სურათი
გვერდით დაიდო, თითქოს იმასაც სიხარულში მონაწილეუთა ხდიდა.

ძალუა ჩემი თითქოს აიტაცა სიამოვნებამ: სიჩქარით ლაპარაკობდა, ლო-
ცულობდა და ყველა შემთხვევაში ტიროდა.

— წადით — ეუბნებოდა ბიჭებს — დაუძახეთ ჩვენს მღვდელს, რომ ეკლესი-
ის კარები გააღოს და მიხვილ მთავარ ანგელოზის წინ პარაკლისი გადაიხა-
დოს!.. ვენაცვალე ჩვენს მთავარ ანგელოზს, იმის მადლს ამოუფარებია ფრთებს
ქვეშ ჩემი ალექსანდრე და ჩემი ლოცვა შეუსმენია!..

— წადით, ჩქარა! შეატყობინეთ ძიძებს, ქალებს და ყველა მოკეთებს;
რომ ამისთანა ბედნიერება ეწვია ჩემს ოჯახს!.. ღმერთო შენ გამიბედნიერე ჩე-
მი ალექსანდრე!..

მე არ შემიძლია ავწერო ის გადარევა, სირბილი, თავების ხეტქვა, რაც
იმ დღეს ჩვენს ოჯახში მოხდა! თავშიშველა მოსამსახურეები გივებივით დარ-
ბოდნენ და ერთმანერთს, ახარებდნენ: „შენი სამახარობელო მე, სანდრო ცოლს
ირთავს, დანიშნულა“!.. სოფლიდან ძიძები ჩამორბოდნენ თავიანთ გაფარფარებულ
საგულის კალთების სწორებით, მანდილების დახურვაც ვერ მოესწროთ და აღელ-
ვებულებს ხელით მიჭპონდათ და გზა და გზა იხურავენ, ვინც ხელავდა ამის-
თანა ალიაქოთს, კითხულობდა რა მოხდაო? და ყველას ერთი და იგივე პასუ-
ხი ეძლეოდა: სანდრო დანიშნულაო!.. გლეხები ქულებს იხდიდნენ და პირ-
ჯვრის წერით იმეორებდნენ: „ღმერთმა გააბედნიეროს, თავისი დედის გულისა
წყოსო“!..

ერთი სიტყვით არ ვიცი რას შევადარო ეს სიგიჟემდინ მიხწეული სიხა-
რული? სიმართლესთან ახლო იქნება, რომ შევადარო ისევ სანდროსვე დაბა-
დებს!..



ჩვენ მყუდროთ ჩვენს ოთახში ვისხედით, როდესაც ჩემი ძველი მეგობარი სალომე შემოვიარდა და სიჩქარით წარმოსთქვა: „ქალბატონო! გთხოვს ჩქარა მობრძანდითო!“... ჩვენი ყურადღება მიიქცია იმის სიხარულით ამოკვრებულმა ლოყებმა, მაგრამ რადგანაც გვეგონა, რომ აღრესის დასაწერათ ან სხვა რამ საქმისთვის გვეძახოდა ძალუა, ჩვენ არ ვჩქარობდით საქმის თავის დანებებას. სალომემ შეგვაძინა ამგვარი სიხანტე და მოუთმინლათ, სიჩქარით—სხაპასხუპით გვითხრა:

— ქალბატონს სანდროს წიგნი მოუვიდა, ცოლს ირთავს! გრათის ქალია, დიდი მდიდარი, ლამაზი! ჩქარა მობრძანდით, ქალბატონი ლამის სიხარულით გარდაიბრის! ჩქარა, ჩქარა თქვენი ჭირიმე!..

მანამ გოგო ამ ამბავს სხაპასხუპით გვიამბობდა, ჩვენ წამოუცვივდით კიდევ, მაგრამ მანამ ჩვენ წამოდგომა მოვასწარიით, გოგო უკანვე შირბოდა და უკანასკნელს სიტყვებს გზა-გზა იმეორებდა. ჩვენც გატაცებულები უცარის სასიამოვნოს ანბით, ჩავეპერით ძალუასთან მანამ იმის კარებამდენ მივახწიეთ ბევრმა გაგვისწრო წინა, ბევრი ერთმანერთს შეეჯახა; ისე თავგანწირულებით ყველანი მივესწრაფებოდით, თითქოს პირველათ მიმსვლულს, მართლა საწინაო გვერგებოდა!.. ჩვენის შესვლის წამს ძალუას ოთახი წარმოადგენდა შემდეგს სურათს: ღეთის მშობლის წინ კელაპტრები ენთო და ძალუა ჩემი ხატის წინ დაჩოქილი იდგა; ნინო, ძიძები აგრეთვე სხვა მოსამსახურეებიც, რომელთაც ოთახი გაემსოთ, ყველანი მუხლ მოდრეკილნი იდგნენ. ძალუას ხელები აღეპრო და ხმამაღლა ლოცულობდა: „ღმერთო შეწყალე ჩემი ალექსანდრე და გამიბედნიერე! შეისმინე ჩემი ცრემლით თხოვნა და მოუვლინე დღეგრძელობა! ნუ გახდი მტრის გულისათ, მოუვლინე შენი მფარველობა“ და სხვა და სხვა. რა ლოცვაც მოაგონდებოდა, იტყოდა და მასთან მდღლარეობას აბნედა.

ჩვენც შევსცივდით.

— შეილებო!—შემოგვღრიალა ძალუამ—ჩემი ალექსანდრე ცოლს ირთავს! მოდით, თქვენც შეუერთეთ თქვენი ლოცვა ჩემს ლოცვას და ერთათ ვსთხოვოთ ღმერთს იმის დღეგრძელობა და ბედნიერება!..

ჩვენც გარდმოგვეცა საერთო სიხარული, ჩვენც მზიარულათ ეიკრიკებოდით, მაგრამ ზედმიწევნით არ გვესმოდა მიზეზი ამისთანა საერთო გადარევისა სანდრო ცოლს ირთავს? ძალიან პატროსანი, მაგრამ ეს ალიაპოთი და გადარევა რაღა არის? ჩვენ ისეც არ გვენდობოდა ძალუა ჩემი და ეხლა იმათ ტაშხე რომ არ გვეშუშპრნა სხვანაირათ ჩამოგვართმევედა და ამის გამო ჩვენც ავეცივით ვაკოცეთ, მიულოცეთ და ღმერთს მადლობა შევესწირეთ. მაგრამ რა იყო და როგორ მოხდა?—არა ვიცოდით რა. ის წერილი, რომელიც ეხლა წაიკითხეთ: ძალუას მაგრა ჩაეკრა გულში და თვალცრემლიანი წამ და უწუმ ჰკოცნიდა.

— აი შეილებო რასა მწერს ჩემი ალექსანდრე! გრაფი, ლენერალი, ჩერიშევი—კრუგლიკოვის ქალს ირთავს! დიად მშენიერს, ფრიად მდიდარს, საგანგებოთ გაზდილს და დიდის არისტოკრატის ქალს!..

წიგნი ჯერ მოგვეცა წისაკითხათ, მაგრამ ჩქარა ისეც გამოგვართვა და თითონვე აღელვებულის ხმით ხმამაღლა წაიკითხა. ჩვენს გაღაფანში ყველას



სულდგმულს აქ მოეკრიფათ თავი და ყველანი სმენათ იყენებულსა და ქველები. მსმენელები სულ განაბულები დიდათ გულმოდგინეთ უკდებდნენ უკონსა, სადაც უფრო გულს-მოსახდომი სიტყვები იყო მსმენელები წუწუნებდნენ და სანდროსა ლოცავდნენ დედის შორჩილების და სიყვარულისთვის.

კიდევ და კიდევ განვიმეორებ: ეს წერილი, რომელიც ეხლა თვალწინ მიძევს,—საკვირველია!.. საკვირველი მოვლენა იყო—იმისი მოგონება და შეთხზვა, საკვირველი იყო იმისი შემოქმედობა და აგრეთვე საკვირველი იყო იმისი შედეგი!..

ძალუ ჩემს შხა ფული არა ჰქონდა, როგორც ეხლა ყველამ ვიცით, და რაღა ჩინინი უნდა, რომ ასის თუმნის გავზავნა ისე სისწრაფით—გასაქირი იყო იმისთვის.

— ქალბატონო, მიეშველე, სანდროსა—ეღუნებოდა ნინო და მოსვენებას უკარგავდა ისეც დაფიქრებულს დედას.—ხუმრობა არ არის, არ ჩაუშალო, მაგისტანა ბედნიერი სანატრელი საქმე! ქალი შეპყვარებია და თუ არ დაქორწინდა თავის-თავს აუტეხს რასმე... ნულარ ავკიანებ ფული მიაშველე.

— რა ვქნა ნინო, საიდან მოვახერხო ასის თუმნის გავზავნა?—გულნატკენი ძალუ შესჩიოდა თავის ერთგულს გამდელს—უნდა ვერცხლეული წავილო კაეკავში დაევირაო, მეტი ღონე არა მაქვს! ცოტა ხნით დაევირავებ, ღმერთია მოწყალე, თითონვე ქორწილს შემდეგ გამოიხსნის.

— ჰო ქალბატონო, ხუმრობა არ არის, არ დაუკარგო სანდროს მაგისტანა საოჯახო ნივთები! ცოლს რომ მოიყვანს, ვენაცვალე, იმანაც ნახოს, რომ სანდროს კარგი ოჯახი ჰქონია; თავის სიმდიდრესთან რძალმა, თქვენი სიმდიდრეც ნახოს,—ასე სჯობიან!..

თათბირი დიდხანს არ დასჭირდათ დედას და გამდელს: სანდროსაგან დანიშნული დრო დიდის ბაღისა ჩერნიშოვის—კრუელიკოვის სახლში, როდესაც სანდრო სასიძოთ უნდა გამოეცხადებინათ—ახლო იყო, და ნიშანი უნდა დროთი მისელებო!

რამეთესამე დღეში ძალუ მოემზადა ვლადიკავკაეს წასასეღელათ; თან წაიღო დასავიარავებლათ საოჯახო ვერცხლეული, რომელიც კარგათ ბლომათა ჰქონდა, თავისი საყვარელი ბროშა, ხემწიფის ნაჟუქები, მშვენიერი და ძვირფასი, ბრილიანტის ბეჭედი რომელიდაც პრინცი—ალბერტის ნაჟუქები. ეს ბეჭედი ძალიან ლამაზი იყო: კარგათ მოზდილი მსხვილი და სწორე ბრილიანტის A-ნი იჯდა ლავევარდ მინანქარზე თითქოს ალექსანდრესთვის იმისი სახელის მონოგრამა განგებ შეეკეთებინათ—ისე ყალიბში მოდიოდა.

— მართლა რომ მშვენიერი და დიდვაციური ნიშანია!—ანბობდა ძალუაც და უკანასკნელათ ხელში ატრიალებდა ნივთებს, ეს ბროშა ერთხელაც არ მიხმარია, შეხედე დედაკაკო, რა მშვენიერი იაგუნდია! სწორეთ ბროწეულის ფერია!..

ღმერთმა გააბედნიეროთ, მეც იმათზე უკეთესი არავინ მეგულება!.. და ყველაფერი იმათთვის მინდა.

ძალუამ თავისი ვერცხლეული ბანკში დაავიარავა ოთხმოც თუმნათ. ყვე-



ლამ ვიცი, რომ ბანკებში გიროს ნახევარ ფასათაც არ იძლევიან და მასა-
სადამე უნდა ვიფიქროთ რომ ორასის თუმნამდინ ვერცხლეული იქნებოდნ! ეს
ვერცხლეული, როდესაც გამოხსნის ნება დაკარგეს, ისე ოხერ ფასად იყიდებო-
და, რომ თითონ ბანკში მოსამსახურეებს შეესყიდნათ, კავკავში მცხოვრებელმა
ერთმა ჩემმა ნათესავმა ქალმა მითხრა: „გულით მინდოდა რამეთინიმე ნიეთი მე-
ყიდნა, მაგრამ არავის შეატყობინეს და მოხელეებმა თითონვე დაიტოვეს“. მასა-
სადამე სასარგებლო ყოფილა იმათი ყიდვა.

ზემოხსენებული ნიეთები და ოთხმოცი თუმანი ფული (მეტი ვერ მოა-
ხერხა) ძალუამ საჩქაროთ გაუვ ზანა სანდროს და თითონ რამეთინიმე მანეთით
ძლივს მოახწია სტეფანწმინდამდე.

ამ დროს ძალუას ფული თუმცა არა ჰქონდა, მაგრამ იმედები კი ბევრი!
ბედნიერების მქადაგებელ წერილს ნაწილებივით გულზე ატარებდა და უნდა
ვიფიქროთ, რომ მხოლოთ ამისთანა ზრუნვა იყო მიზეზი, რომ ასე ცოცხლათ,
ხელუხლებლათ მოახწია ჩვენამდე. ეს წერილი დროებას რომ შეემუსრა, მაშინ
მე ვერ გაგებდავდი ამის ხსენებას, რადგანაც შინაარსის ზეპირათ გარდმოცემა
შეუძლებელი იყო, და არც არავინ დამიჯერებდა. ძალუა ჩემი წერილს როცა
წაიკითხავდა და კმაყოფილებით სავსე, ქარვის კრიანოსანს მარცვალ-მარცვალ
ჩააგდებდა, მოციანარის სახით თავის ფიქრებს გალექსავდა ხოლმე:

- „დედაო ხეთისავ შემობრალე ცოდვილი ქერივი
- „და აღმისრულე ესე თხოვნა გულის სურვილი.
- „თვალთ ცრემლის დენით, მუხლ მადრეკით შენ გვევღრები,
- „შენს ტებელ ძეს სთხოვე, შემობრალე კეთილ ცხოვრებით:
- „შალირსე სანდროს ბედნიერის წიგნისა მოსვლით!
- „შენს ტებელ ძესა ვსთხოვ, მის ჯვარს-ცმასა, წმინდას აღდგომას:
- „შალირსოს პასექს ჩემის ძისა ქორწილის სმენა,
- „მადიდებინო შენი წმინდა დღესასწაული,
- „დედაო მღვთისავ შეისმინე თხოვნა ცოდვილის:
- „მეავ ბედნიერი ჩემის ძითა და სიხარულით.
- „კვალად მაჩვენე აღექსანდრე ცოლით და შეილით!...

აი კიდევ ლექსი იმავე დროისა:

- „ქარტა მივიღე მე ჩემის ძისა,
- „ანბავი იყო სიხარულისა;
- „გული განათლდა შეწუხებული
- „ღმერთსა შევსწირე მადლობა სრული!
- „სიხარულისა ცრემლსა ვაფრქვევდი:
- „ხან ღმერთს ვედრებდი მხურვალის გულით,
- „ხან წოგნს ვკოცნადი ტრფიალებითა,
- „ელოცავდი ჩემს ძეს სიხარულითა.
- „ნებასა მთხოვდა ცოლის შერთვისას,
- „მწერდა მაჟურთხე ტებელის გულითა,



„კურობევის მთხოვდა სიყვარულით!
 „ესთხოვ დედას მღვთისას ცოდვილი ქერივი,
 „და ვევედრები ცრემლით ფრქვეული:
 „დედაო მღვთისაჲ, შეშწვე ობლისაჲ,
 „იშუამდგომლე შენს ტკბილ ძესთანა,
 „რომ ბედნიერ ჰყოს ძე ჩემი სანდრო!
 „აკურობე დედაჲ შენ მეუფისაჲ,
 „და შემობრალე ცოდვილი ქერივი
 „და აღმისრულე ესე წადილი:
 „მაღირსე ხილვა მე ჩემის ძისა
 „ცოლით და შვილით სიხარულითა.

იმ დროს მთელი ძალუას ფიჭვი და გონება მოსკოვისკენ იყო: იქ გვლემბოდა შეყვარებული და ბედნიერი სანდრო, იმის საცოლო და მაშასადამე ეს წარმოდგენა ასულდგმულეზდა. გატაცება სიგიჟემდე იყო მიხწეული: სადაც ქალაღდის ნაგლეჯს დაინახავდა, სულ თავის ფიჭვებს ასურათებდა. აი ნიმუში, რომელსაც კაცი ვერ გააჩივებს ლეჭათა სურდა დაწერა თუ პროზით, მით უფრო ძნელი გამოსარკვევია, რადგან ნიშნები არ უზის:

„დედაო მღვთისაჲ შემობრალე ცოდვილი ქერივი მაქმარე ტანჯვა კმუნვა ოხვრა ვაგებით მოთქმა შენს მსასოებელს მომიღვინე ბედნიერება კეთილნი დღენი მიანიკე ჩემს ობოლს ძესა უნუგეზოს უთვისტომოს უცხოის მხარეს შენს ნეტი შემწე და მფარველი არავინა ჰყავს ობოლს ამას გვევედრი შენს ტკბილს ძესთან იშუამდგომლო რომ მეღირსოს მე აღეჭსანდრეს ნახვა ბედნიერ აწ წიგნით მისით გული ჩემი დაატკბო დედაჲ მღვთისაჲ უბიწოვო **გსახოვებ შენა**“ და სხ. და სხ.

ამ გვარის მღვლღვარებით, ლოდინში გაატარა ძალუამ ერთი თვე, ორი, სამი..... გაატარა წელიწადი და ნანატრი ვერ აუსრულდა: არც ოძალი ნახა თვალით, გაგზავნილი ფულეები და ნივთები—შეიქამა, დაიკარგა. სინამდვილე აფხიზლებდა; სანდროს ანბავი აღირ მოზღდიოდა, თითონ ძალუა ბერდებოდა და უძლურდებოდა, კაეშანი ემატებოდა... ტირილს და ვაეზას მოუბწირა.

თან და თან ბურანიდან ერკვეოდა, თვალები ეხილემბოდა, სინანულში შედიოდა, მაგრამ თავს არ უტყდებოდა, გარეშე პირებთან არას ანბობდა. ვისაც რუსეთიდან მოსულსა ნახავდა, მაშინვე ჰკითხავდა: „იცნობთ გრაფსჩერნიშოვსკრუგლიკოვს? ვინ არის, ან რამეთენი სიმღიდრე აქეს“? და სხ. და სხ. მაგრამ უბრალე იყო: იმ გამოჩენილის კაცისა არამც თუ მცნობი, გამგონეც ვერავინა ნახა! გაშტერებული იყო, თუ როგორ მოხდა, რომ ამისთანა მღიდარს და გამოჩენილს კაცს არავინ იცნობდა და იმისი სხელი არ გაეგონათ, ვეღარ ისვენებდა: მისწერა თავის სიძეს ფურმანს; რომელსაც დები და ნათესაეები მღიდარები ჰყვანდა (მღიდარი—მღიდარს ყოველთვის იცნობს). მომწერეთ, გაიგეთ: „ვინ არის ჩერნიშოვი—კრუგლიკოვიო?“ მაგრამ, ვერა და ვერა, ვერაფერი ვერა გაიგორა! „რა უყო ჩემმა შვილმა ნივთები?“—კენესოდა ძალუა—ვის მისცა, რომ უკანვე გამოვართვაო?“ ისე მიიცივალა, საწყალი ძალუა, რომ ამ გამოცანისა ვერა შეიტყო რა.



რადგან მეტად გავრძელდა ანბავი და აღარ მინდა უკანმდე დაქრუნდემ იმ დროის ჩვენის ოჯახის მდგომარეობას, ამისთვის ცოტა წინასტრბენ და უტყუვი, რომ ძალუამ დიდის ტანჯვით და სიღარიბეში ვაატარა თავისი უკანასკნელი წელიწადები.

ძალუა ჩემი სანდროს ლოდინით დაქანცული, სიმდიდრეზე და დიდუცობაზე იმედ გარდაწყვეტილი, მარტოკა დატოვებულათა გრძნობს თავის თავს და ვაებით და მწუხარებით იმეორებს:

- ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერებით აღყვავებული
- ეღემის ნერგი, წერილნი შეილნი გარს მეხვეოდნენ,
- ლომის მზგავსი, მშვენიერი მეუღლე ჩემი:
- ტკბილ-მოუბარი და კეთილი ქველის მომქმედი.
- მეც მათთან ვიყავ სიყვარულით აღტაცებული,
- მეც შეგხაროდი მათს მშვენიებას, ვარდის შლილობას!
- როს მაგონდება ბედნიერი წარსულნი დრონი,
- ხოვრით და ქმუნვით თვალთ ნაკადნი გადმომდის ცრემლნი...
- გული მიკენის ათასისა ლახვარ დასობით,
- ველარა ვპოვე სამკურნალო დამწვარის გულის.
- ღღენი მეღევა, ჭბედურსა, ვაების მოთქმით...

ძალუა კეკეს ლექსები იპიტომ მომყავს რომ იმათში მშვენივრათ იხატება, მისი სულიერი მდგომარეობა, რომელზედაც გარდა გამდელის—ნინოსი, არავისთან არას იტყოდა ხოლმე: „მტერი არ გავახაროვო“ იძახდა; მაგრამ სიციცბლის მიმდინარეობას ვერ შეაყენებდა და ფაქტები, ფაქტებდა რჩებოდა!...

თითქმის მთელმა წელიწადმა ვაიარა; ძალუას ფიქრები და მდგომარეობა ვერ გამოიჩევა. ამ დროს ძალუა კეკესთან სცხოვრობდა იმისი უმცროსი ქალი ფურმანის ცოლი, რომელსაც თავისი ქმრისა და სანდროს წერილი მოუფიდა. სანდროს წერილი კვლავინდებურათ შესანიშნავია, თავისი ბრძანებლობის კილოთი: ვითომ დედას კი არა მოურავს უბრძანებს, რომელიც ვალდებულია ბრძანება აასრულოს.

სანდრო თავის დასა სწერს: „მოვდივართ და მოვდივართ, მაინც ვერ მოგვიხწევია თქვენამდის!“ შემდეგ ამისა სწერს: „ებლა უნდა მოგწერო რამდენიმე სიტყვა, რომლებიც უნდა გადასცე დედას:

- 1) ჩემს მოსელამდენ უთუთთ იზოენოს 200 მანეთი.
- 2) კარეტა და ეს ფული გამოგზავნოს კავკავში.

საქირო აღარ არის, რომ ვსთქვათ რამე იმაზე თუ ამის გამგონე ძალუა როგორ შეშფოთდებოდა, რა გუნებაზე იქნებოდა?.. მაგრამ ადამიანი ისე არის გაჩენილი, რომ მწუხარების დროსაც ვამაზნევებელ მხარეებს ამოაჩენს ხოლმე: **სანდრო** ავით მყოფი მოჰყვანდა სიძე ფურმანს, ვალეებით მოდიოდნენ და ფულისა და კარეტის ჩაშველება ექირებოდათ. ამან ვამაზნევა ძალუა კეკე, დაფათურდა: ვაუგზავნა რამდენიც მოეთხოვნათ ფული და კარეტა. ამას და გარდა სანდრო რამდენიმე ხანი დარჩა კავკავში საწამლებლათ და ძალუამ ექიმს 15 თუმანი მისცა (ასე ანბობს თითონ ძალუა თავის ანგარიშებში.)



ამგვარად სანდრო რუსეთიდან დაბრუნდა 1870 წ. ^{სანდრო მათეოვი} და მო-
შლილი...

აქ მე ბოდიში უნდა მოვიხადო ფურმანის მეუღლესთან, რომ იმისი წე-
რილიდან ორიოდ სიტყვა უნდა ამოვკრიფო, მხოლოდ იმას რაც სანდროს შა-
ეხება: ეს ჩვენთვის ძრიელ საჭიროა, რადგანაც ეს წერილი ამტკიცებს და გვი-
სურათებს სანდროს შინ დაბრუნების ფაქტსა და ზოგიერთს გარემოებას გვიხ-
სნის. მე ზემოთა ვსთქვი, რომ სანდროზე ლაპარაკი და ახრის წარმოთქმა,
მხოლოდ წერილების ძალით, საბუთებით უნდა მოხდეს, იმედი მაქვს მომე-
ტივება!

ზემოთ მოყვანილს სანდროს ბარათზევე ფურმანი სწერს:

Успелка 23'го октября 1870 г.

Приписываю несколько слов к письму Самш... (სანდროსი)
. чтобы предуведомить тебя о скором моем приезд-
е. Все что только можно было сделать—я сделал. Желание твое, мой м-
илый друг и мамаша исполнено.—Сандро едет со мною, за что ст. души
благодарю Бога.—Едем мы правда на долгах, но все таки приедем даст
Господь.*..

Около 1-го Ноября непременно будем. Приготовьте все нужное. Пре-
дупреди мать,—воздержаться не только от упреков,—но даже от излиш-
них вопросов. Попроси ее от меня сделать это для общей пользы..

ამით ვათავებ სანდროს რუსეთში ყოფნას. სამი წელიწადი დაჰყო სან-
დრომ რუსეთში და იმის ცხოვრების დაწვრილებითი ამბები—იმის ამხანაგებს
ჩემზე უფრო კარგათ ეცოდინებათ. მე მხოლოდ ის ვიცი ზედმიწევნით: ვერც
ცოლი შეირთო, არც საზღვარ გარეთ ყოფილა, როგორც ზოგი ერთ ფურნალ-
გაზეთებში აცხადებდა, დაბრუნდა სტეფანწმინდას ძალზე ნაქეიფარი, გამზდა-
რი და ავით-მყოფი. ზოგი ერთი ნაცნობები ასე გარდმოგვცემდნენ: მოსკოვში
საუკეთესო სასტუმროში ვნახეთო, დღიურათ დაქვრილი რისაკი კარზე ედგაო,
ხელზე მოსამსახურეები და მეკარეები მდიდარ კნიაზათ უწოდებდნენო, ქეიფსა
და უსაქმურობას მისდევდაო და სხ. და სხ.

„ღმერთი კჳლეით იცნესო“ ქართული ანდაზა გვეუბნება—აგრეც უნდა ყო-
ფილიყო: სამ წელიწადში დედისაგან 400 თუმნამდე ფული მიიღო, ამას გარდა
რამდენისამე პირისაგან ასი და ორასი თუმნობით ფული ისესხა და დაბარჯა
(ვეკსილები დედასთან მოჰქონდათ) ყმაწვილი კაცი ალბათ, ყმაწვილურათ, უსაქ-
მურათ ხარჯავდა ფულსა, რითაც შეარყია თავისი ზნეობა და ფიზიკური ძალა.
დედა-შვილი ვალში ჩავარდნენ. ყოველ წელიწადს ემატებოდათ ზარალი: ეცი-
დებოდათ ცხვარი, მსხვილფეხი საქონელი, შემოსავლიანი დუქნები, მიწები და
სხ. და სხ. სახლის ავეჯეულობა. რაც მოკალეებმა მოასწარეს ყველაფერი გაუ-
ყიდეს და თითონაც ძალზე ეშურებოდა: საჩქაროდ ჰყიდდა ყველაფერს!..

ამრიგად გაჰქრა ის სიმდიდრე, რომელმაც დიდი, გაზვიადებული მითქმა-
მოთქმა გამოიწვია სანდროს უკანასკნელი სიცოცხლის დროს; აიგავა სანდროს

ოჯახი, რომლის მოხუცებული დედა, მოკუნტული ტახტზე დახვეწილად იჯდა:

„ბედნიან მიმუხბოლა! შენმა სევმა არაოდეს არ გამიღიმა,

„დღე დამაკლო, გულს სევდა მომიხშირა...
 „არვინ მივის, რომ ნუგეშ მცეს—ვითმინო.

„ნაღვლით სავსე გული აღარ ვიტყინო,

„ვის შევჩივლო, ვის რა უთხრა რა შინდა?

„გაპირებულს ყოველთვის შევლა უნდა...
 „ობოლი ვარ, არვინა მყავს პატრონი,

„გზა დაეკარგე, არვისთან ვიარები;

„როს მარტო ვარ,—ვაეზის უფსკრულს ვგდივარ,

„გულს მოკლულსა, არა რა მიხარიანი!..
 „თუმც ბევრი მყავს ნათესავნი, ნაცნობნი,

„ჩემს სახლშია ბევრჯელაც უღზენიათ;

„თუმცა ბევრი მყავს ძვირფასნი ნათესავნი
 „საქართველოს მკვეთ შთაშობავალნი.

„არვინ მშველის, არც მამა არც ნათესავი,

„მტრათ გარდიქცნენ ჩემი ლეიძლი ვინც არი,

„და დაამბეს ჩემი სახლი და კარი...“

(პირველი ნაწილის დასასრული)

ჩემი სოფრების გზაჯ.

გაგრძელება*)

XIV.

ყმაწვილმა, თანამდებობაზედ დანიშნულმა, მეტის ხალისით მოვეცილე ჩემს საქმეს. მახალისებდა ის, რომ „მარშიროკეას“ და სალდათების მიბრუნება-მობრუნებას ვიკავი დაშორებული. ჩემს სახელოსნოში, რომელიც მე ვებარა სალდათების შემადგენლობაც განსხვავებული იყო. ესენი იყვნენ ქარხნებში, იქვეში, ნამუშევარი ახალგაზდობა, ზეინკლები, თოფ-იარაღის კეთების მკოდნე ხალხი; იყვნენ დურგლებიც—ესენიც სხვა ცხოვრების ნაწახი და ნაჩვევი. აქ მუშაობა ძალა-უნებურად გვაერთებდა ყველას, ურთი-ერთობაში შემოჭონდა უფრო ახლობლობა, სადაობა და შემქმედროება. მეც ავეყვი ამით მუშაობაში, შევიცერე ლურჯი ბლუზა და ნელა-ნელა ვეჩვეოდი ზეინკლურ მუშაობას. ყმაწვილს მებალისებოდა მუშაობა, ჩემ ხელქვეით სალდათებს კი, უხაროდათ, რომ მე მათთან ამხანაგურათ შეჭირა თავი—მუშაობაშიაც და ლაპარაკშიაც. ამით წაბალისებულნი მოხელე-სალდათები იმ დაგვიარად მუშაობდნენ, რომ სახელოსნო სამაგალითოთ მოეწყო.

— ჩვენი სახელოსნო ძალიან გამოიცვალა!—ლიმილით ამბობდნენ სალდათები.

გამოიცვალა, მართალია; მაგრამ თან დაყოლილი სენი მაინც ძნელი დასაძლევ იყო. სახელოსნოში მოხელე-სალდათების ჯგუფის უფროსი მყავდა ახალგაზდა ზეინკალი-სალდათი ჟურავლიოვი; საოცარი კარგი მუშა, საქმის მკოდნე, დაულაღავი, მშვიდობიანი, მაგრამ უბედური მსმელი. შაბათს ნასადილევიდან ორშაბათს დილამდის ჟურავლიოვი ალარ არსებობდა ამ ქვეყანას; ნულა იკითხავედი მის ამბავს, იგი ამ დროს რეგულიარულად უგრძნობი მივრალი იყო, ერთხელ, ორხელ უთხარი რომ აშორებოდა ამისთანა სამარცხვინო საქციელს, მაგრამ იგი გაჩუმებული მოისმენდა ხოლმე ჩემს დარიგებას, ერთ სიტყვასაც არ იტყოდა და ისევ მოსულ შაბათს უგრძნობელი მთვრალი იყო, პირდაპირ აშკარა იყო, რომ საცოდავი ვერ ვრეოდა თავის ჩვეულებას და მისი აცილება თავიდან მისთვის ყოვლად შეუძლებელი იყო. მეცოდებოდა საწყალი და, რომ რამე

*) იხ. „მნათობი“, № 7 (15)



არ ჩაეღინა ამ დროს, დავალეზული მყავდა მეორე სალდათუღმბელე, მესტი ამ-
ხანაგი გულოშნიკი თვალყური ედევნებინა ჟურავლიოვისთვის და სახელოსნო-
დან არსად გაეშვა, — რამე ხიფათს არ გადაყროდა მთვრალი კაცი.

ერთ დღეს, შავი ორშაბათი იყო, სახელოსნოში მისულმა ვერ დაეინახე
ჟურავლოვი. ვიკითხე, მითხარეს რომ ეს არის ახლა აქ იყო. უცაბედით თანჯა-
რაში გავიხედე, რა დაეანახე! — ჩემი ჟურავლიოვი დგას ქუჩის მეორე ნაპირას,
ბანკალობს, ეტყობა ძალზე მთვრალია. გაეაქციე სალდათები და შემოვაყვანე
სახელოსნოში; უთხარი ახლავე დაეწინათ და ყური ევდოთ — არ გაპარულიყო.

— ვაშე ბლაგოროდიე, ხაჩო ვი მენია არესტუეტე, სეგოდნია პრაშონი
დენ, — ეი მნე დოღენი პროსტიტ, ინაჩე ია ვამ ტოფე ნე პროშჩუ! პუსტიტე
მენია, — ალაპარაკდა ჩემი ჟურავლიოვი. ყველას შეგვეკდა სიცილი. ის ისევე გაი-
ძაბოდა.

— ნიკომუ ნე პროშჩუ, ნიკომუ! — ი ვამ ნე პროშჩუ, ვაშე ბლაგოროდიე,
ნე პროშჩუ! იყვირა როცა საწოლ ოთახში ეუბრძანე შეეყვანათ და კარი გამო-
მკეტნათ.

მეორე დღეს გამოფხიზლებული ჟურავლიოვი თავ-ჩალუნული, გამწარებუ-
ლით მუშაობდა, მისალმებაზე აწია თავი და მომღიშარს რომ შემომხედა დარც-
ხეგნილმა ისევე ჩალუნა თავი და გაცხარებით მოუსვა ქლიბი საქლიბავს. საცო-
დაეს ერცხეინებოდა თავისი უხნეო ჩვეულების, მაგრამ იგი ისე ჰქონდა შეთვი-
სებული, რომ ვერასჯნით ვერ სძლედა და ამ მშვენიერ მუშას პირდაპირ ანად-
გურებდა. სამი წელიწადი ვინახე იგი, სანამ სამსახურის ვადას გაათავებდა,
და როცა სამსახურ გათავებული სახლში მიდიოდა, თვალაცრემლებული გამო-
მეთოვა, მადლობა მითხრა და გულმუხურვალეთ დამლოცა.

მეორე შტედელი, რეშეტნიკოვი, კი დამელუბა სრულიად მოულოდნელად.
დევის მზგავსი მოყვანილობით, ხალისიანი, მშვენიერი მუშა-სალდათი იგიც არა-
ყის მონა იყო; ყოველთვის ვაფთრახილებდი, რეშეტნიკოვ, არ დაითვრე — უბე-
დურებაში არ გაგვიფოს იმ ოხერ არაყმა; რეშეტნიკოვიც, მაგარი ნებისყოფის
ადამიანი თმენულობდა ცოტ-ცოტარას სეამდა; მაგრამ ერთ დღეს საწყალი გა-
დასკდა და დაითრო ისე, რომ ერთი უბედურობა ატემა. მისცეს პასუხის გება-
ში. სასამართლომ არ აპატია მორიგი აფიცრის გალანძღვა და მიუსაჯა დისციპ-
ლინარული ბათალიონში ორი წლით გაგზავნა. ეს საშინელი სასჯელი იყო.

— არაფერია... აეიტან... იქიდანაც ბრუნდებიან ადამიანები! ამბობდა
დამწუხარებული რეშეტნიკოვი.

ორი წლის შემდეგ, სასჯელ მოხდილი, იგი დაბრუნდა, მოვიდა ჩემთან.
თავდაპირველში ვერც კი ვიცანი ისე იყო საბითაც გამოცვლილი. შემეცოდა
შემთხვევის მსხვერპლი და გულითად მუსაიფში გაგებით.

— ოჰ, რა უბედურება გამოვიარე, რა უბედურება გამოვიარე, ვაშე ბლა-
გოროდიე! რა ვნახე, რა გამოეცადე! დაწვევლილმა არაყმა მიყო ყველაფერი!
ფიცი დავეცი აღარ მიფეკარო! ჩემი მაგარი ჯანით ავიტანე ბათალიონის სას-
ტიკობა, თორემ სხვებსავეთ მეც სულ დავილუებოდი, ოჰ, რა გამოეცადე, რა



გამოეცადე, ვაშე ზლაგაროდიე! და ამას ამბობდა ისეთი კეთილი გული დუღდა რომ მესმოდა.

კოტა ხნის შემდეგ სამსახურის ვადაც გაუთავდა საცოდავს და სრულიად გამოცვლილი, ცხოვრების ხალისს დაკარგული დაუბრუნდა თავის ოჯახს.

ულმობელი სასტიკობა მრავლად სპობდა ამ ცხოვრების სიხალისეს და ასახიჩრებდა ადამიანს.

ერთხელ ბანაკათ ვიდექი ზაფხულზე ზღვის ნაპირას. საღამოს მაცადინობით დაღალული საღდათები, ნავახშმეეს, მიყრილნი იყვნენ კარვებში. მაგრამ ფელდფებელმა ჩამოიარა ახლად გაცემული ბრძანებით როტებში, მივიდა თავის მეორე როტაში და ბრძანება გამოუცხადა. ერთ კარავიდან შენიშვნა მოესმა. ასწია კარავის ფარდა და შეუწყრა შემნიშვნელს, იგი მისი თანასოფელელი; მისი გულითადი მეგობარი—ამხანაგი იყო.

— უბირაისა კ ჩორტუ ს ტვიომ პრიკაჟომი და ჩეფულებისამებრ დედა შეაგინა.

— დურაკ! მიიძახა ფელდფებელმა და მოითხოვა ბრძანების შესრულებას ახლაცე შესდგომოდნენ, ჩამოუშვა ფარდა და მეორე კარავთან აფიცური დაუბედა.

— შენ დედის გავინებენ და ვითომ არაფერიო ხმასაც არ იღებ! რა ფელდფებელი ხარ აბა?!.. შეუტია სახტად დაჩენილს მორიგე აფიცრმა— მე ყველაფერი გავიგონე! ახლაცე მომიყვანე ის შენი მაგინებელი!

შეღვა საქმე. ეფრეიტორმა, აღარ მახსოვს მისი გვარი, წინააღმდეგობა განაცხადა გაცემულ ბრძანების ასრულებაზედ და უშვერი სიტყვით გალანძღა მორიგი ფელდფებელი. სამსახურის ასრულების დროს.

ყოველი ღონე ვიხმარეთ რამდენიმე აფიცრებმა ეფრეიტორი უბედურებას გადაგვეჩინა; ვამტკიცებდით, რომ აქ ამხანაგური ლაპარაკი იყო, რომ ასე ფორმალურად საქმე არ დაიყენებოდა, მაგრამ ვერავითარმა ზერხმა ვერ გასჭრა და ეფრეიტორი სასამართლოს ქვეშ მოყვა, რომელმაც მიუსაჯა დისციპლინარული ბათალიონი; ფელდფებელს კი ჩამოერთვა ფელდფებლობა, რადგან იქაცე ვერ მიიღო გამლანძველის წინააღმდეგ საჭირო ზომა და ამით გამოაშკარავა თავისი სისუსტე.

ამგვარ ფორმალიზმის გამო, ამ ულმობელ სასტიკობის გამო ბევრი არა თუ უბრალო, უმწეო ჯარისკაცი იჩაგრებოდა, მახინჯდებოდა და იღუპებოდა—აფიცრობაც მრავლათ იყო ამით რიცხეში.

ჩვენთან მსახურობდა ერთი იაკობაძე, ვანო. ზემოთ მყავს ის ნახსენები ერთ ადგილას. ღარიბი ოჯახის შვილი, დაბადებიდანვე გაჭირებაში ყოფილი, გაჭირვებით იმოდენი ისწავლა, რომ სემენარიის ორიოდე კლასი გაიარა, შემდეგ უსაღსრობის გამო ჯარში შევიდა მოხალისეთ, „ვალნოპრედელიაიუშნათ“ დიდის წველების შემდეგ გამოცდა ჩააბარა საიუნკრო სასწავლებელში და მიღებულ იქმნა კიდევ. დიდის გაწველებით როგორც იქნა დასძლია სწავლა და დაათავა სასწავლებელი პოდპრაპორშჩიკის ღირსებით.

პირველი მისი შეხვედრა ახალ უფროსთან არა თუ ვერ იყო ხალისიანი—იგი



მისი გულის მომკვლელი იყო. ნაწილის უფროსს არ მოეწონა მან ნაწილში და-
ნიშნული სააფიცრო კანდიდატი არც ლაპარაკით—კულდატ ლისაშვილიმ კუ-
სულს, — არც შეხედულებით; იყო შავი, მოკაცული ცხვირით გამხმარ პირსახე-
ზედ, წერილი თვალზეთ.—ძალიან გულუხვია ჩვენი მთავრობა, რომ არავეისთვის
არ იშურებს სამ გირეანქა პურს! (საღდათის ყოველდღიური უღლფა), დაფრი-
დებულად მიიხალა პოლკოვნიკმა იაკობიძეს, როცა იგი მას წარუდგა, გამოეცხა-
და. თავათ ეს პოლკოვნიკი ვერაფერი შეილი იყო, მაგრამ შეეძლო დაუსჯელათ
დაეჩივრა ადამიანი და არ დაერიდა ამას; გაშრა იაკობიძე; ნაწვევი ტანჯვას ეს
შეურაცყოფაც იტანა, ხმა არ ამოიღო, პასუხი არ გაცა იყვია უფროსს, მაგრამ
გულში კი ჩაიმაზა ეს ყოვლად შეუწყნარებელი, დაუმსახურებელი მოქცევა მისი
პიროვნებისადმი. შეუდგა უხალისო სამსახურს უხალისოთ მყოფი. ცხოვრებისა-
გან გატანჯული იგი ახალ ადგილასაც გატანჯულათ ცხოვრობდა თავის მცირე
ჯამაგირით, რომლითაცა რჩენდა თავის მოხუცებულ დედასაც. გულჩათხრობილი,
იგი ვერავის უახლოვდებოდა და ზედმეტი პუნქტუალიზტი სამსახურის ასრულე-
ბაში მეტად აბეზრებდა თავს საღდათებს. აფიცრებთანაც ვერ ქონდა კარგი
განწყობილება—გულმოდგინე აღმასრულებელი სამსახურის ხწირად უსიამოვნობას
იწყევდა ამხანაგებში და სალაპარაკოთ ხდიდა უბრალო რამესაც. ამგვარი უსია-
მოვნო ლაპარაკი ხწირი იყო მისა და მისი გუნდის უფროსის შორის; ეს უკა-
ნასქნელი ძალზედ ქვეა თხელი ადამიანი იყო; სამსახურის არა ესმოდა რა—თავი
კი დიდ მკოდნეთ მოქონდა, დარიგებას დარიგებაზედ ხარჯავდა მარჯენი და
მარცხენი; თან ყოველ თავის ხელქვეითთან მეტად სასტიკი და ყოველივე სხეი-
სი შეცდომის შეუწყნარებელი გამსჯელი. რასაკვირველია, იაკობიძე და მისი კა-
პიტანი პროტოსოვი ვერ მორიდებოდენ და მუდამ ჩხუბში იყვნენ. აფიცრო-
ბაშიც იგი ისე ცხოვრობდა როგორც წინად—განმარტოებულად, არავის არ ეკა-
რებოდა; ყაზარმა, სამსახური და თავისი ბინა—ერთი პატარა ოთახი. თუ სალ-
დათი საღამს არ მისჯებდა (ხელს ქუდის კაზიროკთან არ მიდებდა), ერთ ალი-
აქოთს ასტეხავდა ხოლმე; ამ ნიდავზედ და საღდათებს რომ ესასტიკებოდა,
მრავალი უსიამოვნობა ზედებოდა ამ ადამიანს. დამოლოს საქმე იქამდინ მივიდა,
რომ ერთმა გუნდის უფროსმა დიდი საყვედურები მიარტყა იაკობიძეს. მოუვი-
დათ დიდი ლაპარაკი, რომელიც დასრულდა იმით, რომ გუნდის უფროსმა უთხ-
რა სააფიცრო სასამართლოში განვიცხადებ შენს ყოველივე საქციელსო.

— შეგარცხვინე თუ ასე არ ქნაო! მიიძახა იაკობიძემ.

შესდგა საქმე. იაკობიძე სააფიცრო სასამართლოს მისცეს. სასამართლომ
საქმის გარჩევის შემდეგ გამოუტანა განაჩენათ ჩაგონება (კანონით „ენუშენიე“).
აღლევებულმა იაკობიძემ ვერ შეიკავა თავი, მოსამართლეთ მიიძახა:

— ესაა თქვენი სამართალი?! და პირისაზეში მიადფროთბა თავმჯდომარეს.
თავმჯდომარე სახტად დარჩა; წვევები იქით-აქეთ გაიფანტნენ.

შეატყობინეს ნაწილის უფროსს მომხდარი ამბავი. იაკობიძე დააკავეს,
ჩამოართვეს იარაღი და დაატუსაღეს. შედგა ახალი საქმე, სააფიცრო სასამართ-
ლოს თავმჯდომარის მოკმედებითი შეურაცხყოფა სასამართლოს წესის აღსრუ-
ლების დროს.



საწყალ იაკობიძეს, თავის სიცოცხლეში გაუხარებელს მასტერს სამჯელი მოელოდა. გამომძიებელი იყო თავიდან ფეხებამდინ ფორმალისტ-მოსწელე, მაგრამ რალაც ბედათ ამ გამოძიებაში ვასაოცარი გრძნობიერება გამოიჩინა. მას ერთობ გაეზადა როცა შე ჩვენების ჩამორთმევის დროს უთხარი, რომ იაკობიძე არა ნორმალური პიროვნებაა, რომ ამაში ბრალი ედება იმ გარემოებათ, რომელშიაც მიმდინარეობდა მისი ცხოვრება; აუწყრე ეს ნატანჯი ცხოვრება, არ გამოიჩინებოდა ის შეუარაცყოფა, რომელიც მას მიაყენა ნაწილში გამოცხადებისას ნაწილის უფროსმა, მისი ვულნათხრობილობა, ცხოვრებისაგან გამოწვეული ყველასთან უნდობლობა და ჩანერგილი აზრი, რომ ყველა ემტერება და დასციანის და ამგვარი ბევრი რამ, რაც ვიცოდი მისი ცხოვრების შესახებ. ვინეორებ, ბედათ გამომძიებელმა ამდაგვარი ჩვენებანი ხელზედ დაიხვია და გამოძიება ისე წაიყენა, რომ იაკობიძე ფსიქიატრიულ საავათმყოფოში მოაქციეს შესამოწმებლათ და იქ დაკვირვების შემდეგ მხოლოდ სამსახურიდან დაითხოვეს, როგორც ავადმყოფი და მცირე პენსიაც დაენიშა.

ასეთი სამწუხარო სურათები იშლებოდა ცხოვრებაში გამოსვლის პირველ დღეებიდან, მაგრამ ახალგაზღვრი ენერგია არ მალატობდა და იმედიანობას არ ვკარგავდი და ვმუშაობდი გატაცებით.

ერთობ გამახარა იმ შემთხვევაში, რომ სამოსწავლო ჯგუფში („უჩენნაია კომანდა“) დამნიშნეს თოფ-იარაღის მასწავლებლათ. ჯგუფში თავშეყრილნი იყვნენ წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზდა ჯარისკაცები და ამათი მაცადინობით კვირაში ორჯელ-სამჯერ საგრძნობი სარგებლობის მოტანა შეიძლებოდა მათი განსავეითარებლათ. შეიძლებოდა მხოლოდ მშრალათ შეგესწავლებია ჯარისკაცებისათვის თოფის ნაწილების სახელები, თოფის დაშლა, აწყობა, მოვლა, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ სინიდიის დაწყნარება. სამსახურის აღსრულებაში საჭირო იყო მიდგომა სამუშაოსთან ისე, რომ სარგებლობა მოეტანა ამ შრომას. მეც ამ გზას დაეადგე.

ბედათ წინა ხანებში მე შევიძინე ახლად გამოსული თარგმანი, ტელიორის „ანტროპოლოგია“. წიგნის თავში მოყვანილმა პირველყოფილ ცხოვრების აღწერამ, იარაღების — საოჯახო და სანადირო-საბრძოლველი იარაღის აღწერა მშვენიერ მასალას იძლეოდა შემედგინა ერთნაირი პროგრამა, გამეცნო ჯარისკაცებისთვის თუ როგორი იყო პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება, როგორ საზრდობოდა იგი, რას ხმარობდა თავის თავის შესანახავად — ერთი სიტყვით გამეცნო მათთვის პირველყოფილი კულტურა და მისი განვითარება შემდეგ. გვემა შევადგინე რამოდენიმე ხნის მუშაობის შემდეგ ისეთი, რომ იარაღის განვითარებას გადავაბი ადამიანის განვითარების ისტორია.

ამ გვეგმით შველდები მეცადინეობას. პირველ გაკვეთილიდანვე ჯგუფში მოსწავლეებს აშკარათ ეტყობოდათ, რომ მონაყოლით მეტად დაინტერესდნენ და გაფაციცებით ყურს მივდებდნენ. მეც მეტად შემახალისა ამან და ამ გაკვეთილებისათვის საგანგებოთ ვემზადებოდი, ვარჩევდი ყოველ სიტყვას, რომ რაც შეიძლებოდა მარტივად და მსმენელთა გასაგები ენით ვადამეცა მისაწვდენი ცნობები.



მეშინოდა არ აეკრძალათ ჩემთვის ამგვარი გაკვეთილების მიღება. მაგრამ ბედმა ჯგუფის გამგე აფიცური შევაჯერე ამგვარი ცნობების სარგებლობაში და მას არაფერი წინააღმდეგობა არ გაუწევია ჩემთვის.

ისმენდნენ ლექციებს დიდის ყურადღებით, ზედ ეატყობდი რომ დიდათ დაინტერესდნენ და მოკლე ხანში ჩვენ შორის გაიბა ერთგვარი ურთიერთობა, ჯარისკაცები ხალისით მხვდებოდნენ, დაახლოვებულათ მესაუბრებოდნენ. ამან მეც გამაიკოცხლა და დიდის ხალისით მივდიოდი ხოლმე ჩემს გაკვეთილებზე.

ყმაწვილს მახალისებდა, რომ ინტერესი აღუძარი ჩემს მსმენელებს და მიხაროდა, რომ სარგებლობა მომქონდა, ესეთი მდგომარეობა ენერჯიას მმეტებდა და გამზადებული ვიყავი მეწრომნა და მემაცადინა დაუსვენებლად.

ამგვარი განწყობილება ხანდახან სადავიდარაბო საქმესაც გამიჩნდა ხოლმე.

ნაწილის უფროსად გყავდა ახალგაზდა პოლკოვნიკი, გარუსებული სერბიელი, ვუსართა პოლკში ნამსახური აფიცერი — კაცი თავისებური, მეტად ახირებული პიროვნება. ძმა იაპონიაში ელჩათ იყო, ცოლათ ვარანცოვ-დაშკოვის გაჭრილი ქალი ჰყავდა. ამის წყალობით ბევრი რამ მისი ახირება შერჩენია ზოლმე, მაგრამ ერთ დღეს რომ ეანდარმი გააროზგვინა თავის ჯარისკაცებს — ეს აღარ აბატეის და პოლკიდან გამოირიცხეს: ამის ზედ დაერთო ისიც, რომ მან გუსარის მენტკი (ერთგვარი სამკაული, ლამაზი ბოჩხასავით კისერზედ ჩამოსაკიდებელი), როცა გუსარების ფორმა გააუქმა ალექსანდრე მესამემ, მან ზეიმით დაასაფლავა და გამოეთხოვა. იგი გამოირიცხეს გვარდიიდან და გადაეყვანეს ფეხოსანთა პოლკში. შემდეგ რამოდენიმე წლისა ცალკე ნაწილი მისცეს, ჩენი და ჩვენთან განაგრძობდა თავის ახირებულ მოქმედებას.

ერთ დღეს მიმიხმო და გამომიცხადა:

— აბა, ძვირფასო პარტიკო, ერთი პატარა ზარბაზანი უნდა მიშოვოთ, თქვენ აქ გყავთ ნაცნობები მუსულმან ქართველებში, იმათ აქვთ მორჩილა ზარბაზანი, ამ რამაზანის დროს რომ ისერიან ხოლმე — მოელაპარაკეთ, ეგებ დამითმონ და საქნაო ფულს მიეცემ. ზარბაზანი მინდა რომ საღამოს ზორი ზეიმით იყოს ხოლმე.

მე უთხარი რომ ზარბაზანს არ გაყიდინათქო რადგან მაგიერს ვერ შეიძენენ და ის კი ძლიერ სკირიათ რამაზანის (მარხულობის) დროს ნიშნის მისაცემათ საღამოობით საკმლის ჰამის დროის აღსანიშნავათ.

— აბა არტილერიის უფროსთან გამიგეთ, შეიძლება იმათ ჰქონდეთ მორჩილა ზარბაზანი.

არტილერიის უფროსმა ბევრი იცინა როცა მივედი მასთან და გადავეცი შევიჩის (ჩენი პოლკოვნიკის გვარი იყო) დანაბარები.

— ჯერ ის რომ მორჩილა ზარბაზანი მე არა მაქვს და კიდევ რომ მქონდეს, სათამაშოთ როგორ მიეცემ იმ თქვენ ახირებულ უფროს ზარბაზანს! მითხრა.

— აბა მილის ნაჭერი უნდა ვიშოვოთ და უნდა გავაკეთოთ პატარა ზარბაზანი! როტშილდის ქარხანაში უსათუოთ იშოვება ასეთი ნაჭერი და მიშოვეთ უსათუოთ. ზარბაზანი უნდა გავაკეთოთ!.. თქვენ უნდა მომიწყუოთ ხელი — სხვა



ვერაინ მომიხერხებს ამას. უსათუოთ ზარბაზანი უნდა გავაყუროთ და სალაშქრო-ობით ვბრძვით ხოლმე და შემდეგ საღამოს „ზორი“ მოყვება მუსიკით! უსათუოთ უნდა გამოიკეთოთ ჩვენი სახელოსნოში! თუ მასტერმა ვერ გამოიკეთა—სამსახურიდან დაეთხოვე იცოდეთ, ასე გამოუცხადეთ!

მოხუცი მასტერი ძლიერ შეწუხდა და შემეხვეწა დაეხმარებოდი და რამე გზით გასაჭირიდან გამომეყვანა.

— მილის ნაქერს კი ვიშოვი, მაგრამ რა რიგათ მოვაწყო სასროლით—ეს აღარ ვიცი!.. მიშველეთ, მეხვეწებოდა შეშინებული „მასტერი“.

რომ თავიდან ამეცილებინა ასეთი ახირების შესრულება პოლკოვნიკს უთხარი, რომ მილის ნაქერის გარდა საჭიროა სპილენძი, მისი გადადნობა, რომ შემდეგ მისი უკანა ნაწილი მიექაზრაკოს მილს. რომ გადასადნობათ ტივლებია საჭირო რაც ბათუმში არ იშოვება—ერთი სიტყვით გაუძნევე საქმე, მაგრამ იგი თავისას არ იშლიდა; მოგვაყარა სპილენძი—საბერველ დასაგრები გადაარჩია და უფარგისნი დაამტკრევინა, გამოიწერა ორი ტიგელი პეტერბურგიდან და მომიყარა ყველა ეს სახელოსნოში.—ა, რაც მითხარით ყველაფერი გაქვთ ახლა და აწი თქვენ იცით! უსათუოთ უნდა გამოიკეთოთ ზარბაზანი! უსათუოთ!

რალა გზა იყო მეტი—ავიღე არტილერიის სახელმძღვანელო და დიდის წვალუბის შემდეგ შევადგინეთ ზარბაზნის გეგმა. მოკლე ხანში სასურველი ზარბაზანი მზათ იყო. ტყვიის მაგივრათ პროპკით იტენებოდა; დაემაზადეთ ვაზნები, დაემაგრეთ პატარა ხის ნაშორზედ და ერთ საღამოს გამოვიტანეთ ეზოში და გავსინჯეთ ჩვენი ზარბაზანი. იგრიალა ჩვენმა ნახელოვნებმა, იგრიალა ისეთნაირი სიმძლავრით რომ ჯერ შეგვეშინდა ყველას და შემდეგ შეუჟავებულნი სიცილი აგვიტყდა.

ქუჩაში და ახლო-მახლო მცხოვრებთ ეგონათ რომ სახელოსნოში აფეთქება მოხდაო, მორბოდნენ შეშინებულნი; სახელოსნოს წინ მოხუცი გენერალი ცხოვრობდა—კაცი გამოგზავნა გასაგებათ უბედურება ხომ არ მომხდარა რამეო. როცა შეგროვილმა ხალხმა გაიგო რაშიც იყო საქმე და ნახა ჩვენი ზარბაზანი, დაიწყეს სიცილი. ხრიალში წამოგვადგა თავზე პოლკოვნიკი.

— რატომ უჩემოთ გაისროლეთ პირველათ! მითხრა მან.—მაგრამ არაფერი... აბა ერთი კიდევ ვბრძვით! ერთი კიდევ!

იგრიალა ხელახლა ზარბაზანმა.

— ერთი კიდევ! წამოიძახა გახარებულმა შევიჩმა და როცა ასრულდა მისი სურვილი, მეცა და ჯერ მე გადამეხვია და შემომძახა:

— ძვირფასო პარუჩიკო! ყოჩაღ, ყოჩაღ!

მერე მოეხვია მასტერს.

— ახლა კი შევირგდით მე და თქვენ! მიიძახა მას.—აბა ერთხელ კიდევ გავისროლოთ და შევინახოთ ჩვენი ზარბაზანი!

იგრიალა ხელახლა ზარბაზანმა. შევიჩის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მოგროვდა აუარებელი ხალხი, ერთი ხითხითი-სიცილია; ყველას სწაღია თვალი შეველოს უცნაურ მანქანას.

— დღეისათვის კმარა! კმარა! — შესძახა შევიჩმა ხალხს — უმჯობეს შევიჩმა იქნება (პარადი) მობრძანდით მაშინ!

მახლობელ დღეებში ხელმწიფის დღესასწაული იყო. ნაწილის ადიუტანტისაგან წერილი მივიღე, რომ ნაწილის სამართველოში გამეგზავნა ზარბაზანი და თერთმეტი ვაჟი. როცა მოედანზე საზოგადო შეიჩმა (პარადი) დასრულდა, შევიჩმა მისი ნაწილის ერთი გუნდი წაიყვანა და დააყენა სამართველოს წინ. უბრძანა ადიუტანტს გამოეტანა ზარბაზანი, გუნდს თოფები სალამის მისაცემათ დააკავებინა და შეიქმნა სროლა. თერთმეტჯერ გასროლის შემდეგ აუარებელი ხალხი შევროვდა; შევიჩმა სასამართლოს კიბეზედ იდგა და სიამოვნებდა.

გავარდა უკანასკნელი ვაჟი.

— შემდეგამდი! შესძახა პოლკოვნიკმა ხალხს — დღეს კმარა! მობრძანდით! ამგვართ ერთობოდა და სხვასაც აერთობდა ეს ახირებული პოლკოვნიკი და თავის ახირებაში ზომას ზედმეტად რომ გადადიოდა ამას ყურადღებას არც კი აქცევდა.

ალექსანდრე მესამე ჩამოდიოდა საქართველოში. ბათუმში უნდა დასწრებოდა სობორის ბალავრის კურთხევას. ამისთვის საგანგებო შეიჩმა იყო დანიშნული; ჩვენი ნაწილიდან ერთი გუნდი იღებდა მონაწილეობას ამ შეიჩმაში. რომ განსხვავებული იყოს მიეცა ჯარისკაცებისათვის, შევიჩმა მთელ გუნდისთვის შეაკერვინა განსხვავებული ქუდები და გასაოცარი განიერი შარვლები; გამოიწერა პეტერბურგიდან ულვაშები; ეს ულვაშები მანქანით მივრღებოდა ცხვირში; საჭირო იყო შეჩვევა ბია სატარებლად, რადგან მანქანა უღიტივებდა ცხვირის ნესტოებს და სანამ არ შეჩვეოდა კაცი დიდხანს ვერ იტეებდა მას. ამიტომ ამ ულვაშებს უკეთებდნენ ჯარისკაცებს, და აწვევდნენ მის ტარებას. თელი დღეები გადიოდა იმაში, რომ ჯარისკაცს ცხვირში დაუმარებდნენ ამ ულას და იგი თითო საათობით დადიოდა ამ გაკეთებულ ულავით. შეიჩმის დღეს ასეთ გამოწყობილ გუნდს საოცარი შეხედულება ქონდა და ყველა გარეშეს აკვირებდა. მეფემაღალს ვიპატივებდა ყურადღება და დიმილით თქვა:

— რა ყოჩაღებს მოუყრია თავი ამ ნაწილში!

კარგი რომ ხელი არ შეუხვია რომელიმე ულავიანისათვის თორემ თელი ეს ბუტაფორია თავზედ დაატყდებოდა მის მომწყობს.

ამას არ დაჯერდა ახირებული პოლკოვნიკი და დაიჯინა რომ, როცა მეფე ალექსანდროვის ბლიდან, სადაც მას უნდა დაერგო ნაძვის ხეები, გამოვიდოდა და იქვე მყოფ ჩვენს ბანაკში შემოადგამდა ფეხს — უნდა შეხედროდნენ იმ სათამაშო ზარბაზნის სროლით. ეს, რასაკვირველია, მასხრობას დაემზავებოდა და ერთი უბედურება მოხდებოდა. ურჩიეს შევიჩმა ესეთი განკარგულება მოეხსნა, მაგრამ იგი თავისაზედ იდგა. უბედურების ასარიდებლად აცნობეს ვისთვისაც საჭირო იყო, რომ მეფე ჩვენი ბანაკისაკენ არ გაეტარებინათ თორემ სკანდალი მოხდებოდა. ცნობა მიღებულ იქმნა და მეფე სხვა გზით გაიყვანეს ბალიდან. შევიჩმა დარჩა ცარიელზედ, დიდაო გულდაწყვეტილი, რომ არ ელირსა მისებური შეიჩმით მიელო მეფე.

ამ ორ წელიწად ნახევრის განმავლობაში იგი რომ ჩვენს ნაწილს უფრო-



სობდა სულ ამგვარ ახირებულ ამბებში იყო; შემდეგ, როცა ირცელის ცენტრში გადის ვანაგრობდა ამგვარათ მოქმედობას—არ იშლიდა რადგან მფარველათ ყავდა იმ დროს მიქელთა-მძლე გრაფი ეორონცოე-დაშკოვი, რომლის გაზრდილი ცოლათ ჰყავდა მას.

შევიჩის შემდეგ მოგვივიდა ნაწილის უფროსათ გვარდიის პიელოესკის რაზმიდან ახალგაზდა პოლკოვნიკი, მეფის ამაღალი ჩარიცხული. ეს სულ იმას ფიქრობდა რა მოემოქმედა ისეთი, რომ ყურადღება მიექციათ მასზედ და მიუღო ცალკე უდიდესი ნაწილი მიეღო.

— რამე ისეთი უნდა მოგაწყუთ რომ გავაქვიროთ ჩვენი უფროსები! მითხრა მან ერთბელ.—თქვენ მირჩიეთ!

— სალდათების კლუბი მოაწყვეთ! უთხარი.

— კლუბი?!—გაკვირვებით სთქვა.—კლუბი! კლუბი კი არა და საჩაიე კი... საჩაიე კარგი იქნება! ცოტა ჩაფიქრების შემდეგ სთქვა მან.

— საჩაიე იყოს! შიგ იქნება ყველადერი რაც ჯარის კაცს სჭირია იად ფასებში, იქნება კაპიკიანი ჩაი-შაქარი, ცხელი წყალი უფასოთ, სათამაშო მაშკები და ამგვარები. ხანდახან ხორო იმღერებს, ვინმე წაიკითხავს, შესდგება კონცერტის მავგარი რამე... ეს ძალიან კარგი იქნება და ჯარის კაცებზედაც კარგით იმოქმედებს, კარგ გავლენას მოახდენს. მოახდინეთ განკარგულება—და ასეთი კარგი რამ სულ მოკლე ხანში მოწყობა! უთხარი.

— თქვენ უნდა მიიღოთ ეს თქვენ თავზედ!.. თქვენ უნდა მოგანდოთ ამის სისრულეში მოყვანა! მითხრა პოლკოვნიკმა.

— დიდის სიამოვნებით! მიუვუგე.

მე მეხატებოდა ისეთი რამე მოწყობილიყო რომ ჯარის კაცი კახარბულ ცხოვრებას ცოტაოდნად მაინც დაშორებულიყო. შევეუდექი მუშაობას და მოკლე ხანში მოვაგვარე საქმე. მოგაწყვე საეაქრო რომელშიც იშოვებოდა ბახართან შედარებით დაკლებულ ფასებში ყოველგვარი მასალა, კაპიკიანი ჩაი-შაქარი, სხვა და სხვა სათამაშოები და ვასართობები. ჯარის კაცების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, საჩაიე მუღამ სავსე იყო ხალხათ; ჯარის კაცი აქ სულ სხვანაირად გრძობდა თავს, სულ სხვა იერი ეძლეოდა. ნეც მიტაცებდა ამას რომ ებედავდი და ვედილობდი რაც შემეძლო საჩაიე კლუბს დამემზავებინა. ახლა მე მქონდა ჩემი სახელოსნო, სამოსწავლო გუნდი და ეს პატარა კლუბი სადაც ჯარის კაცს სხვანაირად ეხედებოდა, სხვანაირად ვუდგებოდა და მიტაცებდა ის რომ ჯარისკაცებს ჩემთან სულ სხვანაირად ევირათ თავი, არ გამიზობდნენ და ხალისიანათ მესაუბრებოდნენ ხოლმე. ამხანაგ აფიცრებშიც ვიშოვე ორიოდ თანამგრძობი, რომელთაც სწადდათ ცოტაოდნათ მაინც გავეცოცხლებინათ იმ დროინდელი კახარბული მძიმე ცხოვრება.

ამ დაუწყნარებელ მუშაობაში ვიყავი გართული, რომ ჩემდა გასაოცებლად გადამევიდა ერთი ახლად გადმოყვანილი აფიკერი და ჩემზედ გულმოსულმა პატაკი შეიტანა, რომ მე პოლიტიკურათ არასაინებდო პირი ვარ და რუსის მოძულე. საქმე გამოძიებაში ჩავარდა. ნაწილის უფროსი საოცრად აიღელდა. მას ის აწუხებდა, რომ თუ დამინტიკიდებოდა ბრალდება—მას შენიშნას მისცემდნენ



თუ როგორ ვერ შენიშნა თავის ხელქვეითს ამგვარი რამ და ესაუბრებოდა. ზომა არ მიიღო; ამით მისი წინსვლა დაბრკოლდებოდა. პატაკის წინაშე ერთი ნერვებ აშლილი თავმჯავარი პიროვნება იყო. იგი ხელში ჩაიგდო მასთან ერთად ჩვენს ნაწილში რუსეთიდან გადმოყვანილმა ახალგაზნდა აფიცრმა, რომლის ადგილი უფრო მონასტერი იყო ვიდრე სამხედრო ნაწილი. ეს იყო ცნობილი იოანე კრონშტადელის მოწადე, პომბედონოსცევის მათაყვანებელი, გულშეწოვალე მლოცველი; სახითაც უცნაურად გავდა პომბედონოსცევი. იყო გამსჭვალული რუსის ბატონობის იდეით და სძულდა ყოველი არა რუსი. აი მან განაზრახა ნერვებ აშლილი აფიცერი შეეტანა ჩემზედ პატაკი; დაარწმუნა რომ მე ცუდი გავლენა მაქვს ჯარის კაცებზედ, რომ თეცს ვლალატობ, რომ საჭიროა ჩემი გაძევება სამსახურიდან. გამოსაძიებლად გამოგზავნეს პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ჭკრივოშინი. თელად ამხანაგობამ ჩემდა სასარგებლოდ მისცა ჩვენება. ჩვენმა პოლკოვნიკმა მიმიხმო და შემეხვეწა არ გადამეტანა საქმე სასამართლოში ცრუ დაბრალებისათვის.

— თქვენ ყველამ გავამართლეთ!.. მშენებრად დავახასიათეს ყველა თანამოსამსახურებმა—თქვენ გამართლებული იქნებით, რა თქმა უნდა, — ჩემთვის კი ვარგი არ იქნება რომ უჩივლოთ და მოითხოვოთ ხეოსტოვის (პატაკის შემტანი) დასჯა. გთხოვთ დაინებოთ თავი, ნულარ გამოგვიღებთ!.. შეიქმნება ერთი მიწურ-მოწურა... ყველაზედ მეტად მე შეეხება!

კარიერისტი პოლკოვნიკი ისეთი საცოდავი იყო ამ დროს, რომ მე შეეცოდა და სიტყვა მივეცი, რომ ჩემს დამხმელებელს არ უჩივლებოქო.

მესამე წელიწადზედ ამ კარიერისტს აღსრულდა მისი სურვილი—მას მისცეს მთავარი გუნდი, ჩვენ დავეინიშნეს საიუნკრო სასწავლებლიდან პოლკოვნიკი, ვინმე ტროიციკი, კაცი უფრო პედაგოგი ვიდრე სამხედრო პიროვნება. იგი თითქმის ყურადღებას არ აქცევდა ჯარისკაცს, საქმე ქონდა და ახლოს იდგა აფიცრობასთან, მაგრამ აფიცრობა გაურბოდა რადგან ხედავდა რომ იგი ეშმაკი ადამიანი იყო და ყველასთან თაღლითობდა. ამას უფრო აინტერესებდა სამხედრო კლუბი, წარმოდგენები კლუბში რომ იმართებოდა აფიცრების მიერ და ლექციები. წარმოდგენების ხელმძღვანელობა მე მქონდა მონღობილი და მოკლე ხანში რიგობნი დასიც შევადგინე აფიცრთა და მათ ცოლყვს შორის. აფიცრთა კლუბიდან წარმოდგენების მართვა რამდენიმე აფიცრმა გადაიტანეთ კაზარმაშიც. პოლკოვნიკი ხალისიანათ შეხვდა ჩვენს განზრახვას და ხელი მოგვიწყო ამაში. ვიწყეთ დრო გამოშვებით კაზარმაში ჯარისკაცთაგან შემდგარ დასის მიერ წარმოდგენების მართვა. საჩაივს ახლა ეს გასართობიკ მიემატა. ჯარის კაცები ძრიელ შეხალისდენ ამ წარმოდგენებით და ერთი წარმოდგენა რომ დათავდებოდა, იხვეწებოდენ მალე შემდგვი გავვემართა. ჩვენც კი რაც გავვეწყობოდა უსრულდებდით ნატურას რა კი ვხედავდით, რომ ამას კაზარმაში გამოცოცხლება შექონდა.

პოლკოვნიკმა იცოდა თუ რა შრომა მხედებოდა მე, მაგრამ თუ მიმატებდა საშრომს თორემ არ მკლებდა. ახლა ლექციის წაკითხვა დამაკისრა აფიცრთა საკრებულოში. ენერგია იყო და ხალისი—წინადადება სიამოვნებით მივი-



ღე. იმ ხანებში იბეჭდებოდა ბლიოსის წერილები „მომავალ წმინდას“ „მომავალი ომი“ ავიღე რეფერატის სახელით: მოუყარე ყველა წერსიტყვას და მუყათით მუშაობის შემდეგ შევადგინე მოხსენება. მოხსენებაში იყო მოყვანილი სამხედრო ტეხნიკის განვითარების ამბავი, რას მოითხოვდა ეს ტეხნიკა ე. ი. რა რიგით უნდა გაზრდილიყო ჯარების შემადგენლობა, ამის გადასაყვანი, საკვები ხარჯები, მილიონიან ჯარების შენახვა, მოვლა; შეტაკების დროს მსხვერპლთა გადიდება და ამგვარები. რა გავლენას იქონიებდა მომავალი ომი მოჩუბარ მხარეების ეკონომიურ მდგომარეობაზედ. სურათი გამოვიდა მეტად მძიმე, შავბნელი. შევემხადე რაც გამეწყობოდა რიგაანათ შემსრულებელნი ჩემი მოხსენება. მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მრავალათ შეგროვილ აფიცრობაზედ. როცა მოხსენება დაეთათვე პოლკოვნიკი მოვიდა ჩემთან და ღიმილით მითხრა:

— მაგვარ სურათებს ნულა მოუყვებით აფიცრობას—გამხნეების მაგიერად ისინი შიშს მიეცემიან! ეს გახვიადებული ნახატია!

მძიმე შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად ტროიკკიმ მოიწვია ერთი საპიორის კაპიტანი და მის გაიკეთებინა მოხსენება სათაურით—ნეტაკ სტრაშენ ჩორტკაკ ეყო მალითეუტ. მომხსენებელი ოცნებათ სახავდა სამხედრო ტეხნიკის განვითარებას და მასზედ აშენებულ მომავალ ომის საწარმოებას. სინამდვილემ მალე დაანახა ყველას სად იყო სიმართლე!

ამ ხანებში მოხდა ის ახალი განქარგულება, რომლის ძალით ქართველი ჯარის კაცები უნდა აეროთ რუსებში. წინად ჩვენგან სამსახურში გაყვანილნი მსახურობდნენ: ქართველები—ქართულ რაზმებში, სომხები—სომხთა რაზმებში. ესეთი წესი მოიწალა და ყველა სამსახურში გაყვანილნი ერთმანეთში აურის—ეროვნებას აღარ უყურებდნენ.

ჩვენ ნაწილში ამ ახალი წესის გამო მოვიდა ერთი პარტია ოხურგეთის მახრიდან. ჯარის კაცებათ გამოწყეული ახალგაზდები ერთი მეორეს სჯობდნენ შეხედულობით. რუსულის მცოდნენი ნაკლებად ერივნენ. დაანაწილეს გუნდებში და ჩააბარეს სასწავლათ ეგრედწოდებულ „დიადკებს“. პირველ ხანებში თითქო ყველაფერი კარგათ იყო; ორი თვის შემდეგ კი არასასიამოვნო ამბავი მოხდა. ერთი დილას თითქმის ყველამ მიატოვა ნაწილი და გაიპარნენ. შეიქმნა ერთი გამოძიება, გამოკითხვა რატომ მოხდა ასეთი რამ, მიწერ-მოწერა. ერთი კვირის შემდეგ ყველანი უკლებლივ დაბრუნდნენ. დაინიშნა გამოძიება იმის განმოსარკვევად. თუ რამ აიძულა ისინი ასეთ მოქმედებაზედ ასე თავშეყრილად. გამოძიება მომანდევს მე.

მოუყარე ყველას თავი და სათითაოდ დავკითხე ვაკცევის მიზეზი. ყველა იმას ჩიოდა რომ ენის უკოდინარობის გამო უძძიმდათ მეტის-მეტათ სწავლა-მეცადინობა და უკიდურესათ წვალდებოდნენ.

— ბატონო! მითხრა გამწარებით ერთმა მათვანმა, გვარათ მუხამარიამ—ბატონო, რუსული არ ვიცი, არ მესმის არაფერი; დამიდგება წინ ჩემი დიადკა საველიფევი, რალაცას შეუბნება, რალაცას აღმათ მასწავლის, მე კი არაფერი მესმის, ვდგვარ გამტერებული, გაყურყეებული; ჩემს გულს ვასკდები, ისიც ილღება



და გაჯავრებული მიყვარის და მიძახის: დურაკ, დურაკ! დურაკ! დურაკ! რუსული რომ არ ვიცი იმითმ? აბა ქართულათ დამელაპარაკოს,—მაშინ გავიგებთ ვინაა უფრო დურაკი მე თუ ის! ველარ გაუძელ ამდენ ვინებას. რაში მატყობს დურაკობას—რუსული რომ არ ვიცი?—ქართულათ მელაპარაკოს და ჩემს დურაკობას მაშინ გავიგებს! ვეიქცევი კი არა, ვინ იცის რას იფიქრებ კაცი!

ეს ისეთი გამწარებით წარმოსთქვა ამ ბიჭმა, ისეთი გაცხარებით რომ თან შემეცოდა, თან უნებურად მეციხებოდა და სიცილით უთხარი:

— ახლა დაწყნარდი, მუხაშარია! სავეოიევი აწი ველარ გაგიბედავს დურაკის დაძახებას. იმას კარგათ გაჯორავენ გარწმუნებ!

— დათვია, ბატონო, დათვია! კიდევ კამ რომ დედა არ შემოუგინებია თორემ იქავე გავათავებდი. ჩემს თავს გავსწირავდი. გვიშველეთ რამე, ბატონო! ნუ დაგვლუპავთ! წამოიძახა მუხაშარიამ.

— კი, კი! ნუ გეშინიათ!.. შენ! ფირცხალაიშვილო, შენ რა გაგიჭირდა? შევეკითხე მეორეს.

— ბატონო, რუსული არ მესმის: ჩამაყენებენ მწკვრივში, რალაცას მიბრძანებენ, ვერ ვასრულებ და მაგინებენ. დიადაკამ თოფით დამაყენა, მოვიდა გუნდის უფროსი, დამიწყო ლაპარაკი, რალაცას მიწყობოდა ვატყობდი; ვიდექი გაყურეკებულნი, მერე ნოვინდომე მენიშნა, რომ არაფერი მესმის მის ნათქვამიდან და მარცხენა ხელში რომ თოფი მეკავა, ჩაშვებული მაჯგენა ხელი გავაქნიე—მიწოდოდა მენიშნა რომ არაფერი მესმისთქვა, გაჯავრდა, ამიყვირდა, რატომ ინძრევით და ხმას კი არ იღებო და ნაკახანიაში ჩამავდო. ეს პირველად არ ყოვილა!.. რა ექნა აღარ ვიცი.., მინდა მალე ვისწავლო რუსული, მარა რომ ვერ ვერევი!.. ნამეტანი გამიჭირდა და გაქცევა დავაპირე! სანამ რუსულს ვისწავლიდე სულს ამომახდენენ და გამათავებენ! შეწუხებით მითხრა ფირცხალაიშვილმა.

— ნუ გეშინია, პარმენა! აწი, იმედია, ისე აღარ შეწუხდებით!.. მაგრამ თქვენც მეცადინი იყავით... თავი არ შეირცხვინოთ, სხვებს არ ჩამორჩეთ! ნუ შეშინდებით! ვამხნევებდი უზომოთ შეწუხებულ ახალგაზღვებს.

გაქცეულებს მოენდომებინათ მთავრობასთან მისელა თხოვნით, რომ ქართულ ნაწილში გადაეყვანათ ისინი, მაგრამ მშობლებს გადაეთქმევინებინათ ეს განხრახვა და ერჩიათ ისევ დაბრუნებულყვენ და ყოველადე გაჭირვება მოეთმინათ რაც იმ ოთხ წელიწადს სამსახურში შეხედებოდათ.

დაწერილებით სიტყვითაც მოუყვი პოლკოვნიკს რაც მოვისმინე და წერილობითაც წარუდგინე. ბედათ პოლკოვნიკი შევაჯერე და არც ერთი გაქცეულთაგანი, უკან დაბრუნებული, არ დაუსჯია და გუნდის უფროსებს უბრძანა სხვანაირად მოპყრობოდნენ მათ და ყოველი ზომა მიეღოთ მათთვის სამსახურის სიმძიმე შეემსებუტებინათ.

შემდეგ წელში მოკვივიდა პარტია ახალგაზღვობის სამურზაყანოდან და ართვინის ოლქიდან. სამურზაყანელები ნამდვილი ნადირებოვით იყვნენ. მათ არც ქართული ესმოდათ, არც რუსული, მეგრელები ჩვენ არ გყავდა და საოცარ გაჭირვებაში ვიყავით უფროსებიც და ხელქვეითებიც პირდაპირ საწვალბელები



რამ იყო ჩვენთვისაც და იმათთვისაც. საფიქრებელი იყო ამ წყაღებულ ვადისა-
ჩენათ თუ ყველანი არა, მეტი ნაწილი არჩევდა გაქცევას ტან-მანქანაში კყოველ-
გვარ ზომის ვლტებულობდით, რომ მდგომარეობა შემსუბუქებულყო და გაქცევის
აზრი მომსპარეო მათ შორის.

ერთი ამათგანი, გვარათ მახსოვს ჭორთუა, საოცარი მოხდენილი შეხედუ-
ლობის ბიჭი იყო, საოცარი მაცადინი, მაგრამ დიდ გაქირებებაში იყო—არაფე-
რი არ ესმოდა რასაც ველაპარაკებოდით.

— მე გლახა, გლახა! გულდაწყვეტით მითხრა მან ერთხელ როცა ორივე
დავიღალეთ მაცადინობის გაუგებრობით.

— არა; არა, შენ კარგი... ჭკირი კოჩი, ჭკირი! ხალისიანათ ვუთხარი.

— არა, გლახა! და მან მანიშნა ხელის ქნევით რომ წუხდა თავის გაუგებ-
რობას.

ამ გვარ წვალეებაში გაიარა წელიწადმა. წლის ბოლოს რამოდენიმე ქარ-
თულიც შეისწავლეს და ცოტაოდნად რუსულიც, მათ გასამზნეებლად და შე-
სახლისებლად რისკებდაც წაყვდით—ვითხოვეთ ნაწილის უფროსთან ესენი შეე-
ბუღებაში გაემვით. საშიშარი იყო რომ თუ ყველა არა რამდენიმე არ დაბრუნ-
დებოდა და სახლში დარჩებოდა. ჩამოვართვით პატიოსანი სიტყვა, რომ უკლებ-
ლივ ყველა დაბრუნდებოდნენ დანიშნულ დღეს და გამოცხადდებოდნენ სამსა-
ხურში. გახარებულვინა პატიოსანი სიტყვა, მოგვეცეს ოღონდ კი ჩვენი სახლკარი და-
გვანახეთო რამდენიმე დღითაც და სამსახურს შევაკვდებითო. წაეიდნენ ყველანი,
დაყვეს ორი კვირა თავიანთ სახლებში და დანიშნულ დღეს ორი დღის ვადა-
ცილებით ჩამოვიდნენ ყველანი. იმ ორ დღემ გვაფიქრებინა რომ წასულვინა თა-
ვიანთი სიტყვა დაიფიწყეს და ვადიფიქრეს დაბრუნება,—შეეწუხდით, მაგრამ
როცა ორი დღის შემდეგ ყველანი დავიანახეთ ძრიელ გავგებარდა. დაგვიანების
მიზეზი ის ყოფილიყო რომ ოქტომბერში გემს გამოესწრო მათთვის და რომ მოცე-
მული სიტყვა აესრულებინათ ოქტომბრიდან ფეხით წამოსულიყვენენ ყულევაშინ
(რედუტ-კალე) და აქ ეშოვათ დიდი ფილუკა და მით მოვიდნენ ბათუმში.

ხელის შეწყობამ ისე გაატარებია მათ მათი სამსახური, რომ არც ერთი არ
გაქცეულა და ოთხი წლის შემდეგ ისე გამოიცვალნენ, რომ კაცი ველარ იცნობ-
და ვისაც პირველ მოსვლაზედ ენახა.

— ჩვენი დედ-მამა ტიროდნენ როცა აქეთ მოვიდოდით, მაგრამ ახლა
მეტის მეტად უხარიათ ჩვენ გადასხვაფერულათ რომ გვხედავენ. მხეცები
ვიყავით, ახლა კი კაცები ვბრუნდებით სახლში თქვენი წყალობით... ბევრმა შე-
გვიბრალეთ; მოგვიარეთ და კაცს დავგამზავესეთ. ჩვენ და ჩვენი შშობლები თქვენს
სადღეგრძელოს სმაში ვართ და მუდამ ვიქნებით! გვითხრა ერთმა იმათგანმა,
აბაშიამ, გამოთხოვებისას როცა სამსახურ გათავებულები მიდიოდნენ სახლში.
ყველამ ჩინებული ქართული იცოდა უკვე, განსაკუთრებით ამ აბაშიამ, რუსუ-
ლიც საკმაოთ ეხერხებოდათ. ჭორთუამ რუსული ვერ დასძლია, მაგრამ ქართუ-
ლი გვარიანათ შეისწავლა.

— ხომ ვითხარი, ბიჭო, ჯგირი კოჩი იქნები თქვა! უთხარი.



— კილამ გავიქეცი, ბატონო, კილამ... და წაებდებოდი კანტარის მღვდელს, ბატონებო! მზიარულათ შემოგვძახა ქორთვამ.

სამი წლის შემდეგ ნაწილის უფროსი გამოგვიცვალეს. ახალი უფროსი იყო მეფის კარზედ საყარაულო გუნდში ნამსახური, ქართველი თავადიშვილი ვ.-ძე: ახალგაზდა პოლკოვნიკი. ქართულს გაჭირვებით ლაპარაკობდა. ისიც თუ გავსა-
კიბო მიადგებოდა მაშინ წამოისროდა ორიოდე სიტყვას. იგი იყო კანტარის მღვდელი, თითქმის გარღსებული, თითქმის გადაგვიარებული: კანტარის კაცი შიკის მოყვარული. სამსახურისათვის თავს დიდათ არ იწუხებდა, მხოლოდ ერთ-
ლი ნაცნობებში, რომელნიც მრავლად შეიძინა მოსვლისთანავე.

— აბა ერთი კარგი წარმოდგენა და შემდეგ კარგი მზიარულ საღამო! მე-
ტყოდა ხოლმე, რადგან საკრებულოში წარმოდგენების მართვა ჩემთვის იყო ჩემს ხელმძღვანელობას იყენებ შეჩვეულნი. საღამო მთავრდებოდა ვაზნით, რომელი მელზედაც ვ.-ძეს მუდამ აუარებული ნაცნობობა ყავდა მიპატივებული ხოლმე. თავითაც ერთობოდა და სხვითაც ართობდა.

ერთხელ მითხრა მოხსენება წამეკითხა აფიცრთა საკრებულოში, არ მი-
უარებია და რამდენიმე დღის მოსაზრების შემდეგ გადავწყვიტე მოხსენების საგ-
ნათ ამელო იაპონიის ისტორია და იმ დროინდელი მდგომარეობა.

იაპონიას იმ დროს ძირელ ნაკლებათ თუ ვინმე იცნობდა, მასზედ მეტად
ბუნდოვანი წარმოდგენა ქონდათ, ის კი უკვე მოძრაობას იწყებდა და ქვეყნის
სალაპარაკით ხდებოდა. მოუყარე აუარებელ მასალას თავი და შევადგინე მოხ-
სენება: იაპონიის გეოგრაფიული მდებარეობა, ეტნოგრაფიული ცნობები, მოკ-
ლე ისტორიული ცხოვრების აღწერა, იმდღეინდელი მდგომარეობა და დაბო-
ლოს სამხედრო წყობილება და ჯარების შესახებ ცნობები.

მოხსენება მსმენელთაგან დიდის ინტერესით იყო მოსმენილი, მხოლოდ
ვ.-ძეს არ ესიამოვნა; ამას აშკარად ვატყობდი, თუმცა ჩემთვის ეს არ უთქვამს.
არაფრათ ჩამიგდია ეს უკმაყოფილება-მე მიხაროდა, რომ მსმენელები დავაინტე-
რესე და ამ მოხსენებაში აეშორდი აბდა-უბდა შეტაკების აღწერას, როგორც ეს
ჩვეულებათ ქონდათ ხოლმე აფიცრთა საკრებულოებში მოხსენების ვაკეთე-
ბაზედ.

არ მიმიტყვევია ვ.-ძის უკმაყოფილად დარჩენისათვის უურადლება და შევე-
ცადე ჩემს შემდეგ მომხსენებელი აფიცერი ამეყოლებინა და წაეკითხა კორეის
შესახებ მოხსენება.

— რა ჯანდაბაა ეს კორეა, დათიკო?! რა უნდა წაეკითხო-არც კი ვიცი სა-
დაა ეს დიდებული ქვეყანა?!... მითხრა ჩემმა ამახანაგმა.

— მე შეგიდგენ მოხსენებას თელათ—ოლონდ შენ წაიკითხე კარგათ... რა
გინდა მეტი!

— კარგი თუ კი შენ შემიდგენ, კარგი!

მოვნახე მასალები და შევუდგინე მოხსენება. მსმენელებმა ისევ ინტერესით
მოისმინეს, მხოლოდ ვ.-ძეს ისევ არ მოეწონა, უკმაყოფილო დარჩა და მომხსე-
ნებელს უთხრა:

— მაგისთანა თემებს თავი ვაანებეთ! აქ სამხედრო საკრებულოა და სამ-



ხედრო პირები ვიყრიტ თავს... რა ჩენი საქმეა კორეა დე ამგვარებელს უთხრა მან მომხსენებელს.

მე იქვე ვიდექი და ვთქვი:

— რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ კორეაზედ?... თელი ქვეყანა ახლა იაპონიაზედ და კორეაზედ ლაპარაკობს?

— ილაპარაკონ! ჩვენ კი სამხედრო პირები ვართ და სამხედრო საქმეებზედ, სამხედრო მოქმედებაზედ უნდა ვლაპარაკობდეთ!

— საზოგადო ცოდნაც გვჭირია! მართო მხედრები ზომ არა ვართ! ვთქვი. პოლკოვნიკმა ერთი სხეანაირად გადმოიხედა ჩემსკენ და შემომიტია.

— კობია! გთხოვთ ამგვარ ლაპარაკს თავი ანებოთ! სიტყვა მოჭრილათ წარმოსთქვა და გაგვეშორდა.

შემდეგი მოხსენება დაევალო ერთ პორუჩიკს, რომელმაც ალღო აუღო მოთხოვნილებას და წაიკითხა მოხსენება თუ როგორ დაეცა ლამით მტრის ერთი გუნდი ჩენი გუნდის ნახევარს და როგორ შამაკურათ ამ უკანასკნელმა ბნელ ღამეში მოიგვრია მრავალრიცხოვანი მტერი და გაფანტა იგი დიდის ზარალით. ნაწილის უფროსმა, როცა მომხსენებელმა გაათავა თავისი მოხსენება, დიდი მადლობა გადაუხადა და დემონსტრაციულათ ხელი ჩამოართვა.

ზოგიერთებს გვესმოდა რას ნიშნავდა ეს და ვის საწინააღმდეგოთ იყო მომართული ესეთი მოქმედება.

ბრაფრათ ჩამიგდია ასეთი მიხვეული გზით ჩემი გაკიცხვა, მეცინებოდა კიდევ; მე კარგათ ვიცოდი რომ ზოგიერთებს მეტად არ მოსწონდათ ჩემი აზრები, ჩემი შეხედულება სამხედრო სამსახურის შესახებ, რასაც მე არ ვშალავდი; გულახსნილათ, თამამად ვლაპარაკობდი. არ ვიშლიდი ამას, რადგან ნათლად ვხედავდი რომ გაულენა მქონდა ბევრ ჩემს თანამოსამსახურეებზედ, განსაკუთრებით ახალგაზნდა აფიცრებზედ, რომელთ შორის ბევრი პატივისმცემლები მყავდა. თვით ჩემს გუნდში (ამ დროს მე უკვე გუნდს ვმეთაურობდი) იღბლად საოცარი თვისების აფიცრები მოხედნენ. ერთი რუსი იყო, სიცოცხლით სავსე, საქმის მკოდნე, ფხიზელი გონების პატრონი, სალდათის მოყვარული; მეორე გარუსებული გერმანელი—საოცარი გულკეთილი პიროვნება, დაულალავი მოსაქნარე. მონარქისტული გრძნობით გამსჭვალული, მაგრამ ყურადღებით გვისმენდა და გულდადებით გვეკავამათებოდა ხშირად. მესამე სომეხი, თბილისელი კამოევი: ეს იყო ჩემი მესაიდუმლე, ჩემი ნამდვილი ძმა; მისი ნამდვილი მეგობრული ახლობლით ბევრი შემხვედრე გამწარება დამიძლევია და გამიტანია. მე ვიცოდი, რომ სტიოპას (ასე ვეძახდით) უსომოთ ვუყვარდი და ჩემთვის თავს გაიმეტებდა თუ კი ამას გარემოება მოითხოვდა. ამ პირობებში მე რომ ვიყავი ისეთი მეგობარი უძვირფასესი იყო. ლიტერატურული აღტაცების მოყვარე, პოლიტიკური აღლეგებისაგან გამოწვეული აზრების მონაწილე, ახალი წიგნი, ახალი რამ მოუღენა, — გულახსნილათ, გულდათ თავის აზრის გადაშლა—ყოველ ამაში დაუშორებელი იყო ჩემთან ჩემი სტიოპა; გადამეტებულ ერთგვარ გატაცებაში გაუნელებივარ და მომდგარ გაჭირვებაში გაუმხნევებე ვარ. ცხრაას ხუთში იგი მუდამ თან დამყვებოდა, არ მშორდებოდა, მუდამ მათრთხილებდა, რომ რაიმე ხიფათი არ მომსდევ-



ბოდა და არ ჩავარდნოდი ხელში ამისათვის გაიზაღებულ ვინმე უხელოვანს. ერთხელ რამოდენიმე ჯარისკაცმა ვამაჩერეს და ლაპარაკი გააბეს მიწის შესახებ; შეკითხებოდნენ—როგორ იქნება მიწის საქმეო; ესენი რუსები იყვნენ. აქედან სხვა საკითხებზედ გადავიდნენ; ლაპარაკის დროს ჯარისკაცები თანდათან ნატულობდნენ; მოგროვდა დიდძალი ჯგუფი. კითხვას-კითხვებზედ იძლეოდნენ. მეც, შეხალისებულო, ვაძლევდი შესაფერისს პასუხს. ერთ შეკითხვებზედ საკვიროდ გამისდა ინგლისის ისტორიიდან მოყვანა თუ როგორ მოკვეთეს თავი კაროლ კარლ მეორეს. ვატყუებით მოლაპარაკეს ვიღაცამ სერთუკის კალთა დამიწია,—მოვიხვედ სტიოპა კამოევი დგას ჩემს უკან.

— რას ამბობ, დათიკო! აერიდე! ქართულია წამოიჭრულა მან.

— რა გაუფრთხილებელი ხარ! რამოდენიმე ხნის შემდეგ შეუბნებოდა იგი, დავაბეზლებენ და ერთ უბედურებაში ვაგხვეყენ! ნუ შობი მაგას—რამდენი ოხერიია—შენ გულწრფელათ ელაპარაკები და ის კი არ დავზოვავს და დავგლუპავს! ძვირფასია ამნაირ ამხანაგის გვერდით ყოლა განსაკუთრებით იმ გაწამაწიის დროს, რომელშიაც მე ვიყავი ცხრაას ხუთში და ექვსში, რაზედაც ჰქვეით შექნება ლაპარაკი.

მეოთხე აფიცერი—უკრაინელი იყო; ყმაწვილი, ნამდვილი დევი მოყვანილობით, ფხიზელი, გულწრფელი ადამიანი. ბედმა ამათ შემყარა და ჩვენი მუშაობა გუნდში სულ განსხვავებული იყო ეიდრე სხვა გუნდებში; მოქცევაც ჯარისკაცებთან განსხვავებული იყო; ჩვენი გუნდის ჯარისკაცი ადვილათ გამოირჩეოდა; აფიცერთანაც უფრო თამამი მოლაპარაკე, უფრო ხალისიანი და მზიარული. დასჯა მოესპეთ—უბრალო შენიშვნა საქმარისი იყო მიგვეცა რომ შეცთომა არ გამეორებულიყო.

— ანგელოზები... შეუმცდარი ანგელოზები გყოლიათ! ღიმილით მითხრა ერთხელ ნაწილის უფროსმა, როცა გადაშალა საშტრაფო წიგნი და ვერ ნახა ჩაწერილი დასჯილი ჯარისკაცი.

სწავლა, წვრთნა ჯარისკაცების, განსაკუთრებით ახალ მიღებულ ჯარისკაცებისა ისე გეჭონდა მოწყობილი, რომ სულ მოკლე დროში უკვე შეთვისებული ჰქონდათ საკვირო ცოდნა და ეს ისეთი გზით, რომ სრულიად არ ღალატდა მას და არ ბეზრდებოდა. ზოგიერთები ჩვენ გუნდს ეძახდნენ რევოლიუციონერი როტაო.

ასეთი იყო თუ ისეთი ჩვენი სინიღისი დაკმაყოფილებული იყო მით, რომ ჩვენი გუნდის ჯარისკაცები კარგათ გასწავლულნი იყვნენ, კარგათ გრძნობდნენ თავს, იყვნენ მაცადინნი და ჩვენთან დანდობილნი.

ზოგიერთებს არ მოსწონდათ ჩვენგან საქმის ასე დაყენება, მაგრამ ამას უურადლებას არ ვატყუებდით. ნაწილის უფროსი არც მიშლიდა ასეთ მუშაობას, არც მიტებდა. მითმენდა, მაგრამ იმ მოხსენებების შემდეგ, იმ შენიშვნის შემდეგ, ველარ მოითმინა და ვითომ იშოვა დრო ჩემდა გასაკილავად.

გუნდების გამოცდა იყო დანიშნული. გერი მოვიდა ჩემ გუნდზედ. ჯარისკაცები ხალისიანათ იყვნენ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ უყელაფერი კარგათ იქნებოდა შესრულებული; და ასედაც იქმნა; მწყობრათ, შეუსწავლათ, ლაზა-



თიანათ ტარდებოდა ყოველი ვარჯიშობა. დაბოლოს პატარა ადამიანები-
შის მიტანა გუნდით. ეს ისე მკვირცხლად, ისეთი სიცოცხლით იყო შესრულე-
ბული, რომ მის შეხედვას არა სჯობდა რა.

შეხალისებული გუნდი, ყიჟინიან ურას ძახილით შეჩერდა დანიშნულ ად-
გილას და მწყობრში ჩაეყენე პოლკოვნიკის მისაღებათ.

— ყოჩაღები ხართ, ძმებო! შესძახა მან ჯარისკაცებს—ყოჩაღები ხართ და
კიდევ უკეთესი იქნებით, როცა თქვენი გუნდის უფროსი გამოიცილება და სამ-
ხედრო საქმეში გაიწაფება!

წამოისროლა ეს სიტყვები, მიიღვა ჭედთან ხელი და გასწია მოშორებით
მდგარ შემდეგ გუნდთან.

გაოცებულმა თვალი გაეყაოლე მიმავალს. ერთხანს გაშტერებული ვიდექი
ერთ ადგილას, მერმე გამოვერკვიე და გუნდს თავისუფლება მივეცი.

მწყობრში მდგომი აფიცრები გარს შემომეხვივნენ. ხმას, არც ერთი
არ იღებდა.

— ბრიყვი! წამოვიძახე უნებლიეთ.

— რა სისულელე წამოისროლა!.. უაურე სად გიკბინა! გულდაწყვეტით
თქვა ერთმა. გამშრალი, ხმა ამოუღებლად ვიდექი.

— შავ სისულელეს ენანებებ! არაფერი! ვუთხარი აფიცრებს და გავე-
შართეთ გუნდისკენ.

ჯარის კაცებსაც აშკარად ეტყობოდათ უკმაყოფილება, რომ პოლკოვნიკ-
მა ასე ბრიყულათ, მაღლობის მავიერ, შეურაცყოფა მომაცუნა.

მეორე დღეს დილით ჩავიციე მუნდირი და ნაწილის სამართველოში მი-
ვედი. ადიუტანტს უთხარი მოეხსენებინა პოლკოვნიკისათვის, რომ მისი ნახვა
მინდა.

— რა გნებაესთ? შემეკითხა პოლკოვნიკი მის კაბინეტში რომ შევედი.

— მინდა გავიგო ვის უნდა გადავაბარო ჩემი გუნდი! უბასუხე.

— როგორ გადავაბაროთ გუნდი? გაკვირვებით შემეკითხა იგი.

— დიახ, ვის უნდა გადავაბარო ჩემი გუნდი—იმიტომ რომ სანამ თქვენ
იქნებით ჩვენი ნაწილის უფროსათ მე გუნდს არ ვემეთაურები!

— ეს რას ნიშნავს?.. ნაწილის უფროსი მე ვარ და მე ვიცი ვინ უნდა
იყოს გუნდის უფროსი!.. სამსახურს მე ვაკარგულებ!

— სამსახურს თქვენ აკარგულებთ—ეგ თქვენი უფლებაა, მაგრამ ჩემს თავ-
მოყვარეობას მე ვუფლი და თქვენ არ შეურაცხავყოფინებთ მას!.. მე ჩემს სამსა-
ხურს ვვიდი და თავმოყვარეობას კი არა!

— ვინ მოგაყენათ მერე შეურაცყოფა?.. ვინ შეეხო თქვენ თავმოყვარეო-
ბას? გაკვირვებით წამოიძახა მან.

— თქვენ! და ეს თქვენ ისე გეადვილებათ, რომ არც კი აძლევთ ანგარიშს
თქვენს სიტყვებს!.. და სწორედ იმიტომამა საჭირო თქვენგან წორს ყოფნა! კუმ-
ტად მიუგე.

— როდის, სად შევებე მე თქვენს თავმოყვარეობას?

— აღარც კი გახსოვთ!.. თქვენ გუშინ გუნდის გამოცდის შემდეგ ჯარის-



კაცებს მიმართეთ: თქვენ ყოჩაღები ხართ ძმებო და კიდევ უკეთესი რამებით, როცა თქვენი გუნდის უფროსი გამოიკლება და სამხედრო საქმეში გაიწოთენება. ეს შეურაცყოფა არ არის?! თუ ჯარისკაცები საქმეზე იყვნენ—მათი გამწოთნელი და ხელმძღვანელი ასე ვასაკილაფია? ვინ გახადა გუნდი საქმეზე? — რას ამბობთ, რას ლაპარაკობთ?! წამოიძახე მან—როდის იყო ამისთანა რამე?

— საქმეც ამაშია! ამიტომ უნდა გერიდებოდესთ ხელქვეითი!.. კაცს შეურაცყოფა მიაყენეთ, არხეინათ მიტრიალდით და გაშორდით და იქვე დავიწყებას მიეცით რაც ჩაიდინეთ!.. მე კი მოსვენება იღარა მაქვს... იმ წუთებიდან ვლელავ, ვლელავ იმიტომ რომ სრულად უსაფუძვლოდ უსამართლოთ მოინდომეთ ჩემი თავმოყვარეობის წელახვა იმ ანგარიშით, რომ ვგ შეგრჩებოდათ. თქვენ გინდოდათ ჩემი დამცირება ჩემს ჯარისკაცებთან, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეთ... დიახ სრულიადაც ვერ მიაღწიეთ, — იმიტომ რომ ჩემი გუნდის ჯარისკაცები მე თქვენზედ უფრო კარგათ მიცნობენ. თქვენ თქვენი თავი შეურაცყავით მათ წინაშე. მე უციო რამ ვაძულებათ ასე მოქცეულიყავით ჩემ მიმართ! თქვენ არ მოგწონთ კლდიაშვილი, მისი შეხედულობა სამხედრო სამსახურზედ, საზოგადოთ მისი აზრები, რომელს იგი არ მალავს და გულახდილათ ლაპარაკობს, არ მოგწონთ მისი მოქმედება, ამაში მხარს ვაძლევენ რამოდენიმე პირი—და თქვენ მოინდომეთ ჩემი მორჯულება მით, რომ შეურაცყოფას მაცენებთ! რას ვშვებთ მე იმისთანას რომ ენება მომქონდეს? თუ აფიცრისათვის შეუფერებელ რაქვს ან ვამბობ, ან ვმოქმედობ — რომ არ მივიზიზვიართ და არ მოვილაპარაკნით ჩემთან? გეუცხოებათ ჩემი ლაპარაკი? რომ არ მიცნობთ რატომ მკილავთ და ზურგს უკან მკიცხავთ?!... ამას წინაღ მე თქვენ პატაკი წარმოგიდგინეთ, მორიგე შედარებაზე ჩერნიავესკიმ, მორიგე აფიცერს თუთუნით რომ მოპარა. თქვენ პატაკის წაკითხვაზედ სთქვით, ეს მე გადმომცეს—რა გუნდის უფროსია ამისთანა პატაკებს რომ იწერებაო! პატაკი უკან დააბრუნეთ, არც კი მოინდომეთ გაგეგოთ თუ რატომ დაიწერა ის პატაკი; დაკმაყოფილდით ჩემი ავად ხსენებით. ავად მომიხსენიეთ პირი, რომელს არც კი იცნობდით კარგათ—მე კი როგორ მოვექმეცი თქვენს პიროვნებას?—მე შეგკრიბე გუნდი, გამოვიყვანე ჩერნიავესკი და უთხარი:

— უმაღლე ბედს რომ ჩვენი ნაწილის უფროსი გულკეთილი კაცია, შეგებრადა და ისე არ დაგსაჯა როგორც ღირსი იყავი. მაგრამ იცოდე ეს იყოს პირველი და უკანასკნელი შენი შეცთომა! მე ვსაბავთ როგორც გულკეთილ, შემბრალებ ადამიანს — თქვენ კი ნამდვილში სულ სხვა ხართ... თქვენ ადამიანს ზერელეთ ეპყრობით. ვინ უფრო მალა დგას ჩვენ შორის! — გაცხარებით მივაძახე. თქვენ არათ მიგაჩნიათ ადამიანის თავმოყვარეობის წელახვა, ამას მე გეუბნებით — ბევრს კი გულში აქვთ ჩამარბული მიყენებული თქვენგან შეურაცყოფა!.. მე ვერ გაეჩუმებულვარ, ვერ ჩამიმარბავს გულში... თქვენ უნდა გერიდოს თავმოყვარე კაცი... ამიტომ მოვედი გავიგო ვის უნდა გადავცე ჩემი გუნდი, რომ თქვენთან დაშორებით ვიქნე!

ეს ისეთი გაცხარებით წარმოვსთქვი, ისეთი გულწრფელი აღელვებით, რომ



პარკინსონი

ვ-ძეს სიტყვა არ შეუწყვეტინებია ჩემთვის, დამაცალია დამაბრუნებელი სიტყვები წამოიძახე, იგი გამოეჭანა ჩემსკენ, გადამეხვია და აღელვებულმა მითხრა:

— დაეიდ სამსონიჩ, მაპატიეთ ძვირფასო!.. ჩემს გამოუცდლობას მიაწერეთ... დაივიწყეთ! პატიოსან სიტყვას გაძღვეთ არა თუ თქვენ, არც სხვა ვინმე ჩემგან უკადრის სიტყვას არ გაიგონებს! დამივიწყეთ, ძვირფასო!.. დამივიწყეთ! მართალი ხართ, ვერ გიცნობდით!

ჩემი თანამოსამსახურე აფიცრები გადაციცებით ელოდნენ გაეგოთ თუ რითი დათავდა ჩემი და ვ-ძის ლაპარაკი. მე დაწვრილებით გადავეცი ყველაფერი და სიტყვა ჩამოვართვი რომ არავისთვის ეთქვათ ამის შესახებ რამ.

— მე არ მინდა სხვებთან ვიდღესასწაულო ჩემი გამარჯვება.. არ მინდა შევლახო ვ-ძის თავმოყვარეობა რომ ბოდიში მოიხადა ჩემთან! ეს მის კეთილდამიანიობას ამტკიცებს... მის გამოფხიზლებას და ეგ საქმარისად უნდა ჩაითვალოს!

მართლადაც, ვ-ძემ აასრულა თავისი სიტყვა.—რაც ხანს ის ნაწილის უფროსათ იყო არც ერთ აფიცრს და არც ჯარის კაცს მისგან შეურაცხყოფელი სიტყვა არ გაუგონია, ცუდათ ხსენება არავის სმენია.

გუნდში ისევ განვაგრძობდით ჩვენს მუშაობას, ჩვენი სისტემით. ემართავდით დიდ უქმეებზედ წარმოდგენას, ხან სალამოს კონცერტიული განყოფილებით, რომელშიც მონაწილეობას მხოლოდ ჯარის კაცები ღებულობდნენ;—ვინ თავისებურად ვიოლინოზედ უკრავდა, ვინ მღეროდა, ვინ ამბობდა მოკლე ამბებს, ლექსებს და ამგვარებს; კონცერტიულ განყოფილების შემდეგ კი ცეკვა. ცეკვავდნენ ჯარის კაცები აფიცრების ცოლებთან და ქალიშვილებთან, რომელნიც ბლომათ ესწრებოდნენ ამ საღამოებს, აფიცრები ცეკვავდნენ ჯარის კაცების ცოლებთან; ვინც ამაში მონაწილეობას არ ღებულობდა მათთვის იყო ჩაი, პური, თბილი, მწესუმწირას მარცვალი (სემიჩკა), ძეხვი, ყველი და ამგვარები. ჯარისკაცს ვერ იცნობდი ამ საღამოებზედ ისეთნაირად სხაფერდებოდა. მთელი ნაწილის ჯარის კაცები გაფაციცებით მოელოდნენ მხოლოდ როდის გაიმართება მესამე გუნდში საღამო; ჩვენი გუნდის ჯარის კაცებს თავი მოქონდათ, რომ ამგვარი რამეები მხოლოდ ჩვენ გუნდში იმართებოდა და ეწუბოდა, ეს ამყარებდა განსხვავებულ ურთიერთობას ჩვენსა—აფიცრებსა და ჯარის კაცებს შორის. მახსოვს ერთხელ ერთი ახალგაზდა ჯარისკაცი (ნალივაიკო) ტლანქი ბიჭი ვერ ახერხებდა მაცადინობას და ატირდა.

— რა გატირებს, ბიჭო? მიაძახა მისმა მწერთნელმა უკრაინელმა აფიცრმა.

— რას ტირი, ბიჭო? შევეკითხე მეც, მტირალი რომ დაეინახე ნალივაიკო.—რა გატირებს?

— ვერ ვახერხებ ვარჯიშობას!.. პორუჩიკსაც ვაწუხებ. ჩემს თავისაც ბრუხვენიო! თქვა მან აცრემლებულმა და ეს ისეთი კილოთი, რომ ჩვენ ვაგვაციანა კიდევ.



— ნუ გეშინია, ნუ, ნალივიაკო... ნუ სწუხარ—იი აბა თუ არეულებულიო.
ტირილი რას მოგეხმარება!

გავეხუმრეთ საწყალს, მოვაწმენდინეთ ცრემლები და მანაც თავგამოდებით განაგრძო მაცადინობა. შემდეგში, როცა იგი გაეარჯიშდა და გვარიანი ჯარისკაცი გახდა, ხანდახან გაეახსენებდით თუ როგორ ქვითინებდა იგი თავის უბეშობას რომ ვერ სძლედა და იგი გულიანათ იცინოდა ამაზედ ხოლმე.

ჩვენ მივალწიეთ იმას, რომ ჩვენი ჯარისკაცები სრული ნდობით იყვნენ ჩვენთან და არ გვერიდებოდნენ.

აღდგომა ღამე იყო. წირვა გათავდა და ნაწილის უფროსმა ვაქემ მიგვიპატივა გასახსნილებლად თავის სახლში. ყველა თავშეყრილათ მივდივართ.

— ბატონო! მესმის ჩემს უცან ხმა,—ბატონო, მომიბინეით! ჩემი გუნდის ჯარისკაცი, კვაჭაძე.

— რა ამბავია, კვაჭაძე? შევეკითხე გაკვირებულმა.

— ბატონო გამიშვი სახლში!..

— ბიჭო შენ არ მოხელი გასაშვებში, ამას წინად იყავი შვეებულებაში... რაც რიცხვი ნაბრძანები იყო წაყიდნენ ყველა!..

— ვთხოვთ, ბატონო! გაქცევაზედ ვარ, გუფიცებით! ჩემი პატარა ბიჭი ხვალინდელ კაი დღეს არ ჩვეიხუტო, მოგვედები კაცი! გამიშვით! უცნაურად აღელვებულმა წამოიძახა მან. — გამაზარებიეთ ოჯახი!.. ველარ ვისვენებ! გუფიცებით გვეიქცევი ისეთ გუნებაზედ ვარ! ნუ გამაქცევთ, გამიშვით თქვენი ჭირიმე! ერთი საათი მაქვს დრო. — მატარებელზედ მივასწრებ!

— სხვებს ეწყინებათ, ბიჭო... იმათაც კი სურთ წასვლა.

— არ ეწყინებათ... მე მოველაპარაკე! მიშველეთ და მერე თავს შევაკლავ სამსახურს!

— კარგი, კარგი, დაწყნარდი! აგერ ეთხოვ ნაწილის უფროსს და თუ გაგიწეა...

მივედი პოლკოვნიკთან, ეთხოვე გაეშვა ესეც რამოდენიმე დღით შვეებულებაში, რომ ბიჭი ისეა არეული, რომ ეს არის ვადირვეა თუ უარი მიიღოთქვა. დათანხმდა.

— გასწი, მაგრამ იცოდე სამ დღეს იქით აქ უნდა იყო უთხარი.

— თქვენი თავი მიცოცხლა ღმერთმა! შემომძახა გაბარებულმა კვაჭაძემ, თქვენ მხიარულათ გაცოცხლათ უფალმა!.. თქვენ გაუთენეთ აღდგომა ჩემს ოჯახს და ჩემს ცოლშვილს!.. მივასწრებ მატარებელს! წამოიძახა და კოხტა, სიცოცხლით საესე ბიჭი გაქრა ღამის სიბნელეში.

— შვიდობით ბრძანდებოდეთ! ღმერთმა მრავალი კაი დღე გაგითენოს! შემომძახა.

ერთი გურული ახალგაზდა მოხედა ჩემს გუნდში, სურებელი პარმენა კეკელიძე, კოკლობს, ცალი ფეხს ვერ აღგამს ქუსლით მიწაზედ. დამწვარი მაქვს ფეხიო და მის შემდეგ გაფუჭებულია—ველარ ვხმარობ ფეხსო, მითხრა შეკითხვაზედ; კომისიამ გამსინჯაო, მაგრამ სამსახურისაგან არ გამანთავისუფლესო, მიმიღესო. კომისიებში ხშირად უყურადღებოთ სტოვებდნენ ავადმყოფობას. ეს



ვიკოდი, და ვიფიქრე შეიძლება ეს კეკელიძეც ერთი ასეთი კულტურული მოღვაწის მსხვერპლითაა და რამოდენიმე დღის შემდეგ მივიყვანე ჩემი მკვლავი ექიმთან.

— პიოტრ მიხაილოვიჩ, შენი ჭირიმე გულდასმით გაუსინჯე ამ ბიჭს ფეხი — შეიძლება კომისია შეცთა და შეცთომით იცნო საეარჯისათ.

ექიმა გასინჯა, დიდხანს უტრიალა, იქით-აქეთ; ვაიცინა.

— ჰო!

— ტყუა!.. არაფერი ნაკლი არ აქვს! იგონებს! სიცილით მითხრა.

— ბიჭო, კეკელიძე ფეხი კარგად გჭონია! — მივუბრუნდი კეკელიძეს. — დაადგი გაბედულათ ფეხი!

ბიჭი გაშტერებული იყო.

— გესმის... ექიმი ამბობს რომ შენს ფეხს არაფერი ნაკლი არ აქვს... გესმის თუ არა?

— მტკივა ბატონო!.. დამწვარი მაქვს! სიტყვა გაწყვეტით წაილაპარაკა.

— მოსცხეთ ერთი კარგათ და ნახათ თუ არ გადართოს სატკივარმა! — სიცილით თქვა ექიმა.

ბიჭი ატირდა კიდევ. რამჯენიმე დღის შემდეგ ისევ მივიყვანე მეორე ჩემ კარგ ამხანაგ ექიმთან.

— თუ გიყვარდეს ერთი გულდასმით გაუსინჯე ამ ბიჭს ფეხი... ირწმუნება რომ წამხდარი აქვს ქუსლი და ფეხს მიწაზედ კარგათ ვერ აღვამს ამის გამო... უნახე, შენი ჭირიმე. შეიძლება მართალი იყოს, ეშმაკმა იცის ნაგის თავი — მგონი ცუდლუტობს!

ფეხი საღი აღმოჩნდა.

— ა, ბიჭო, ეს ახლა მესამე ექიმი ამბობს რომ ფეხი კარგათ გაქვს... ცუდლუტობ და ის არის! არ გაგივა არაფერი — არ გაგანთავისუფლებენ!.. ტყვილა იწვალე თავს! დაადგი ფეხი კარგათ! შევეუტიე.

ბიჭმა ისევ იწყო ტირილი.

— მაგ ტირილით ვერაფერს ეწვევი, — გეუბნები სწოროთ იარე და ცუდლუტობას თავი დაანებე!

— მტკივა, ბატონო!.. მტკივა! წაილაპარაკა ისევ აცრემლებულმა.

— გასწი გუნდში!.. უველა გეუბნება რომ არაფერი არ გიჭირს... რომ იგონებს!.. შენ შენსას არ იშლი? — იყავი ეგრე... ეგდეს გუნდში!.. საბაგელი რამ ყოფილხარ, სინდის დაკარგული... და აგერ შენ ამხანაგებთან გეუბნები: როგორც გინდა ისე იყავი.. მე დღეიდან ისე გიყურებ თითქო არც კი იყო ჩემს გუნდში... მე სინდისიან ბიჭებთან მაქვს საქმე და ცუდლუტებს მე ზიზლით ვუყურებ!

ვერ ვადასწორებდი ფეხი კეკელიძეს. ერთ დღეს მითხრეს რომ ნათესავეები მოუვიდა და ჩემი ნახვა უნდათ. მოვიდნენ — ერთი ძმა და მეორე ბიძა. დაბალი, მოწიწებით თავის დაკვრა. მოკლე წუწუნის შემდეგ ბიძამ ამოიღო უბიდან დაკეცილი ქალაღი და გამოამიწოდა. გავშალე, წაივითხე — მეზობლობა ამოწმებს რომ პარმენა კეკელიძეს ფეხი აქვს დამწვარი, გაფუჭებული და ამ ცალ



ფეხს ვერ ხმარობს, დაკოკლებულია: ორმოცამდე ხელის მომწვერე დაჯვეს
ქალაღდი, გაუწვდინე მომცემს და უთხარი: ბიჭოსიქიქიქი

— ახლავე გაქრით ამ ქალაღდიანთ აქედან, თორემ დავატყვინებ თქვეხს თავს და ვი-ვეუთი გაგისტუმრებენ ბათუმიდან, რომ ცუღლუტობთ, იტანჯებით, ცუღლუტობას აჩვეთ სხვასაც და სწორი დარიგების მაგიერათ საძაღლობას ასწავლით!.. ეს თქვენი ნათესავეი კაცი აქ ექიმებს გაეასინჯე და მის არაფერი სატყვიარი არ აქვს!.. ახლავე დაიკარგეთ აქედან და არაფინ ვაბედოს ამგვარი მოწმობებით აქ ფეხის შემოდგმა, ეხლავე დაიკარგეთ!

ჩალუნეს თავები შუამდგომლებმა და თავიანთ ქალაღდით ხმა ამოულ-ებლად გაშორდენ გუნდის ბინას.

კეკელიძე მართლა დაეგდო გუნდში—კოკლობით დადიოდა. კარგ დღეებზედ პატარ-პატარა ჯგუფებით, რიგ-რიგობით, შევებულემა ეძლეოდა ჯარის კაცებს სახლში წასასვლელოთ. მოვიდა ჩემთან ჯარის კაცი, ჩემი გუნდის, კეკელიძის მეზობელი.

— ბატონო, პარმენა კეკელიძე გთხოვთ გოუშვათ სახლში იგიც!.. მითხრა მან.—თავით ვერ მობედა თქვენიან მოსვლა და თხოვა და მე შემებვეწა!

— ფეხი რომ ტყივა?.. სურებამდინ რა ეიყვანს და ჩამოიყვანს ამ რამოდენიმე დღეში?!.. დეიკარგოს იქით! უთხარი.

— გოუშვით, ბატონო!.. ეგებ ქე გამოუსწორდეს მ—შვილს ფეხი, სახლშიც დაარიგებენ! სიცილით თქვა ბიჭმა.

— დარჩება სახლში... პირს აქეთ არ იზამს!..

— ვაბედოს მაი და ვაყურებინებთ სეირს!.. ჩვენ ჩამოგიტორვეთ სურებიდან კი არა ჭადაც რომ ვადიშალოს იქიდან, გოუშვით, ბატონო, ჩვენ ყველა გთხოვთ!.. ეგებ შერცხვეს თავის თავის და გამოსწორდეს!.. მითხოვა შუამავლად მოსულმა.

გოუშვი. გუნდში თავის დროზედ დაბრუნდა, მაგრამ ფეხი არ გაუსწორებია, ისევე კოკლობდა. კოკლი ჯარისკაცი რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო?!.. თელი ოთხი წელიწადი იკოკლა მან; სამსახური კოკლობით გაატარა და კოკლობით წავიდა სახლში. შეიძლება, მართლა წამხდარი ქონდეს ფეხი და ვერ ხედებოდნენ ექიმები, ხანდახან ვიტყოდით ზოლმე გუნდში!

გაიარა რამოდენიმე თვემ სამსახურ ვათავებული კეკელიძე რომ სახლში წავიდა. ერთ დღეს კაზარმებიდან მივდივარ ქალაქში. გზა უნდა ვავეირო რკინისგზის საბარგო სადგურთან. ორთქლის ნატარებლები კივიან, სტვენენ, მიათრეე-მოათრევენ ვაგონებს; აქა იქ დარბიან მეისრეები ერთგვარი სტვენით და მოკლე სანიშნის ფრიალით; აგერ ერთმა მეისრემ შარდათ გაირბინა ჩემს ახლოსა. ვაეჩერდი ვაკვირვებული.

ბიჭოს!.. ჩემი პარმენა კეკელიძე!

— კეკელიძე! მივაძახე. მან გადაასწორა ისარი, გაუშვა ორთქვაელი და მოირბინა ჩემთან.

— კეკელიძე, ძალიან მარდათ დატყიხარ!.. მოვირჩა ფეხი? სიცილით მივმართე. იგი იღგა ჩემ წინ, მომჩერებოდა ხმა ამოულეებლად.



— რამ გავისწორა, ბიკო, ფეხი? თელი ოთხი წელიწადი წინ კვლავი და ახლა რა რიგად დაბტინარ, ა?!.. ვანუშვორე.

— უჰ, ბატონო! ნულა გამახსენებთ!.. თქვენთან ისეთი შერცხვენილი ვარ, რომ ყოველთვის გერიდებოდით, თქვენი შეხვედრა სიკვდილათ მიმანდა—მე რომ თქვენთან საქმე მომივიდა, რა რიგათ უნდა დაგნახებოდით... ჩემი ცოდვა მიეცათ იმათ ვინც მე მაშინ იმ გზაზედ დამაყენა!.. მეც დამაგლახავეს და ყველას ჩემი თავი შეაძულებინეს! შეწუხებით წარმოსთქვა კეკელიძემ.

— აბა იგონებდი.. ხომ!

— დამარიგეს ჩემიანებმა განთავისუფლდებო. არაფერი გამივიდა... შემცხვა და ვამჯობინე შერცხვენილად დარჩენას ყველაფერი ამეტანა და სასაცილოთ არ მიმეცა ჩემი თავი არავისთვის. ოთხი წელიწადი დაგლახებულნი დაედოდი ამისგამო! ჩემი ცოდვა მიეცეთ ჩემს დამრიგებლებს!.. ბრიყულათ ავეყვი და კარგათ გადაშხდა ამისთვის! აწი-კი აღარ მომივა ამისთანა რამე... ცულულეტობით საქმე არ გაიტანება!.. თქვენთან ვერ მოვებდე სირცხვილით მოსულა ბოდიშის მოსახდელათ... გაგაწვალეთ ყველა ჩემი უსაქციელობით... თქვენ კიდევ შემიწახეთ, თორემ სხვას რომ ჩავეარდნოდი ხელში ვინ იცის რა მომივიდოდა!.. მაპატივე ბატონო!..

ფუსმენდი მის შეწუხებულ სიტყვებს და ვიციწოდო.

— მაშ ახლა რკინიგზაში მსახურობ?

— კარგათაც მიყურებენ! მხიარულათ თქვა მან.— თქვენთან შევირცხვინე ოღონდ თავი!.. მაპატიეთ! წამოიძახა მან.

— იცოცხლე, პარმენა! ნურც მაგ შენს თავმოყვარეობას, ნურც შენს სინიღისიანობას ნუ დაკარგავ! იყავ კარგათ! გულხალისიანათ შეესძახე და გავშორდი.

აქამდისინ ჩვენ მოგვდიოდა ნაწილის უფროსებათ ახალგაზდა პოლკოვნიკები, უმეტეს შემთხვევაში გვარდიიდან; რჩებოდნენ ორ-სამ წელიწადს და შემდეგ გადადიოდნენ უფრო დიდ ნაწილებზედ. ახლა კი მოგვივიდა შეხნიერებული პოლკოვნიკი, ნამდვილი წარმომადგენელი იმ ჯური აფიცრებისას რომელთ ემახოდნენ „ღრმა ფეხოსნებს“ (გლუბოკაია პეხოტა)—ეს ჯური იყო დამყარებული სასტიკ ფორმალიზმზედ, დისციპლინაზედ და გარეშე სამსახურისა არა სწამდათ რა. ამას ზედ ემატებოდა კიდევ ის, რომ ახალი ნაწილის უფროსი იყო ჩუხონელი, არა რუსი და ყოველნაირად მაცადინობდა დაეფარა ეს მისი არარუსობა. თავი მოკონდა იმით, რომ ხელმწიფის მასწავლებელი იყო თოფის ვარჯიშობაში მის შემკვიდრეთ ყოფნის დროს; როგორც შემდეგში გავივით მისი მასწავლებლობა იმაში გამოიხატა თურმე, რომ ერთხელ სადღაც საზაფხულო ბანაკში თოფი გაუსწორა ყმაწვილ შემკვიდრეს სროლის დროს. ამას თვლიდა მასწავლებლობად და ამ შემთხვევას უბედნიერეს წამათ თავის სიცოცხლისას. ძველი ფიზიკურათ, მეტი გონებრივითაც, მას სწამდა მხოლოდ რუსობა და ყოველი არა რუსი მხედველობაში მისაღები არ იყო და არ უნდა არსებულიყო. მას დიდათ ეოცია, როცა მის მოწინავე პოლკოვნიკის გამო-

სამშვიდობებელ ვახშამხედ სუფრახედ მრაველთა მიერ დასძინეს. მან კი უხარულად აღხსნეს რომ ეს ასეთი ჩვეულება იდგილობრივ მცხოვრებში.

— ზენ რუსეთის ქვეშემოდონი ვართ და რუსეთის ჩვეულებებს უნდა მივსდევდეთ! თამამად წამოისროლა მან და ამითი ის გამოიწვია, რომ სიმღერა უფრო ხმიანი შეიქმნა და დაუსრულებელი.

რაც დრო გადიოდა ეს „ღრმა ფეხოსანი“ თან და თან იჩენდა თავის ობსკურანტობას; ეხებოდა ათასნაირ საკითხებს, სჭრიდა ყველას სამხედრო თვალსაზრისის მიხედვით. ეხებოდა ლიტერატურასაც—რასაკვირველია თავისებურად, თავის საზომით. მაგალითად ტურგენევი ძრიელ ეჯავრებოდა—სულ სიყვარულზედ წერსო ამბობდა; რყენის ახალგაზღობასა და ამიტომაც ნებას არ აძლევდა, უკრძალავდა თავის ქალიშვილს, მეშვიდე კლასის მოწაფეს ეკითხნა ტურგენევი.

როგორც იქნა დავითანახმეთ ჩვენს სამხედრო, საკრებულოში გამართულ იყო გოგოლის დღესასწაული, რამაც დიდებულათ ჩაიარა; მაგრამ მტკიცე უარი მივიღე როცა უთხარი რომ გეწადა შეუკოვსის დღესასწაულიც ვაგვემართა.

— შეუკოვსკი.. შეუკოვსკი მაინცა და მაინც არაფერი მწერალი იყო და რუსეთისათვის ზოროტების მეტი არა მოუტანია რა მის მოღვაწეობას—მან აღზარდა ალექსანდრე შორე, შეათვისებინა მაზარალებელი აზრები, მისი წყალობით წამოიზარდნენ ისეთი პირები, რომლებმაც არ დაინდვეს განსვენებული კეთილი მეუფე; მისი გავლენის ქვეშ მიეცა თავისუფლება ფინლიანდიას,—ახლა რომ გვიძნელებს საქმეს; კილამ პოლონეთიც დაეკარგეთ—ეს ყველაფერი შეუკოვსკის გავლენისაგან მომხდარი ამბავია და მისი საპატივეც მო დღესასწაული კი არა, დასაგმობი კრებებია საქირო!.. მისი ლიბერალობის ნათესისაგან ჯერ კიდევ შეეწუხდებით! არა, არა... დავიწყებას მიეცით მისი სახელი, მისი ხსენება!..

როგორც ზემოთ ვთქვი ქალიშველს უკრძალავდა ტურგენევის კითხვას—არ გაირყვნესო, თავით კი იმდენად გარყენილი იყო, რომ სახლში, ცოლის გვერდით, მისგან დაჩაგრულ, საწყალ არსების გვერდით, გუვერნანტკას სახით ყავდა მეორე ქალი, ვითომ შეთვისებული ღირიზი ქვრივი, რომლის შვილი საოცარი მზგავსება იყო მისი; სასტიკი მხედარი, დესპოტი იყო თავის ოჯახში და ხმის ამოღების ვერაფერ უბედავდა ოჯახში. ეს ყველაფერი გამოაშკარავდა შემდეგნი და ამიტომაც ასე ვუვები ამის შესახებ; ვუვები ამასთანვე იმიტომ რომ დავიწყებას ვერ ვაძლევ თუ რა ტიპის ხელში ვიყავით მოქცეული და ვისგან გვბეზობდა ხელმძღვანელობა და კანტროლი. რა კანტროლი შერე?!.

ახალგაზდა აფიცრმა, გვართ ნეიმანმა, შეირთო ცოლი. რამოდენიმე ხნის შემდეგ გაუზნდათ შვილი. პოლკოვნიკმა (გვარი მისი იყო მერტენგერენ) გამოიანგარიშა თუ როდის დაიწერა ნეიმანმა ჯვარი, როდის დაიბადა ბავში და გამოარკვია რომ ნეიმანს კავშირი ქონია საციოლესთან ჯვარის დაწერამდინ. მერტენგერენმა წინადადება მისცა ნეიმანს სამსახურიდან გასულიყო, რადგან მან შებღალა ზნეობა. გვეოცა ასეთი საქციელი ნაწილის უფროსის და ნეიმანს უთხარით სამსახურიდან დათხოვნის განცხადება არ შეეცანა არასგზით. ასეთი ანგარიშები, ასეთი ჩარევა ინტიმიურ ცხოვრებაში, დასჯა—ეს რაღაც უცნაური



ერეკნული

რამ იყო ჩვენ მოვთხოვეთ ნეიმანს უყურადღებოთ დაეტოვებინა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნა რადგან ეს უკვე ყველას გვებებოდა—უმგებო ბრძანების აღსრულება იქნებოდა დაკანონება მერტენგრენის შეუწყნარებელ თვალსაზრისისა. თავდაპირველად მაგრათ იღვა ნეიმანი, შემდეგ კი შეშინდა და იმდენათ გაფთხა, რომ როცა პოლკოვნიკმა უბრძანა სახელმწიფო ბინა დაეცალა, რადგან მისი ცოლის ყოფნა სხვა აფიცრების ოჯახებთან სათაკილოა, — იგი აიბარგა და გადვიდა ახალ ბინაზედ. ამას არ დაჯერდა უფროსი და ნეიმანი აფიცროთა სასამართლოს პასუხის ქვეშ მოაქცია—ესე იგი უნდა გაგვეგდო ნეიმანი საშხაზრიდან. პოლკოვნიკმა მიიწვია სასამართლოს თავმჯდომარე და დარიგება მისცა; ამან ჩვენ გადაკვრით გვაცნობა, სასამართლოს წევრებს, რომ პოლკოვნიკს სურს ნეიმანი გაქვევებულ იქნას, როგორც ზნეობა დაკარგული პიროვნება. სამმა წევრმა წინააღმდეგობა გამოვსთქვით და თან პოლკოვნიკის გაკიცხვა ეიწყეთ ისე, რომ თავმჯდომარე იხვიწებოდა რაც გინდათ განაჩენი გამოიტანეთ, ოღონდ შეგვეწყვიტა ლაბარაკი პოლკოვნიკის წინააღმდეგ. სამმა ორის წინააღმდეგ გაეამართლეთ ნეიმანი. მეტის მეტი გაჯავრებული იყო პოლკოვნიკი ამ განაჩენით, მაგრამ ისე ეპურობოდა საწყალ ახალგაზნდა აფიცერს, რომ იძულებული გახდა ჩვენი ნაწილი მიეტოვებინა და სხვაგან გადასულიყო.

ერთმა აფიცერმა რამდენიმე ინდაური შეიძინა და ეზოში გაუშვა. პოლკოვნიკმა აფიცერს უბრძანა მამალი ინდაური დაეცლა, რადგან დედალს გაფხვირილი ეფაფხურებო, ამას უყურებენ ქალიშვილებიო და ცუდი გავლენა აქვთ მათზედაო.

ასეთი იყო ეს ჩვენი მეთაური, ჩვენი მწვრთნელი, ჩვენი ხელმძღვანელი, რომელიც ღალადებდა, რომ ყოველივე ხელისუფლება ღვთისაგან არის დაწესებული, რომ მეფე დედამიწაზედ ღვთისაგან დაყენებულია, ყოველივე უფლება მინიჭებული აქვს უფლისაგან და მეფისაგან ეს უფლება გადადის ყოველ იმაზედ ვისაც მეფე აღპურავს ამ თუ იმ ხელისუფლებით. ამ ფილოსოფიას ხშირად კადაგობდა იგი და გულმოადგინეთ უნერგავდა ყველა თავის ხელქვეითს. მისი სიტყვიდან გამოდიოდა რომ იგიც იყო ღვთაებრიობის მონაწილე, რადგან იყო ხელისუფლების წარმომადგენელი.

მართლმადიდებლობა და რუსი— ამის გარეშე არაფერი არ უნდა ყოფილიყო რუსეთის სახელმწიფოში.

ერთხელ, რალაც პარაკლისის შემდეგ, მღვდელმა მოინდომა ნაკურთხი წყლის შხურებით ჩამოვლა გუნდების. მინდორში ედგევართ. გუნდებში ებრაელებია და მუსულმანები. ვუბრძანეთ ჩვენ-ჩვენ გუნდებში მწკრივიდან გასულიყვნენ და უკან დამდგარიყვნენ რათა აგვერიდებინა წყლის შხურებას. პოლკოვნიკმა დაინახა ეს და იყვირა ჩამდგარიყვნენ მწკრივში, თავიანთ ადგილას.

— ეს ებრაელები და მუსულმანები! უთხარით.

— მერე რა?.. რა ნება აქვთ ერიდონ წმინდა წყლის შხურებას? გთხოვთ ფიზლათ უყუროთ საქმის. მწკრალათ გადმოგვძახა, ჩააყენა ყველა მწკრივში და მღვდელმაც გულმოადგინეთ ამხურა წმინდა წყალი და არიდა სამთბევთ ჯვარს ებრაელებსაც და მუსულმანებსაც.

გასაოცარი გულმოდგინებით უნერგავდა ყველას, რომ რუსეთის გმურებაში ყველა რუსია და რუსი უნდა იყოს.

არ დამავეწუდება რაც ამ პოლკოვნიკმა ჩაიდინა ერთხელ ახალმოყვანილ ჯარისკაცების ოაზი თვის სწავლის დამთავრების გამოცდაზედ.

ოთხთვიანი სწავლის დამთავრებული ახალგაზდა ჯარისკაცები გუნდ-გუნდებით გვყავდა დაყენებული მინდორში. გამომცდელი, ეგზემენატორი-პოლკოვნიკია რასაკვირველია.

მივიდა პირველ გუნდის ახალ ჯარისკაცებთან. თოფის ვარჯიშობის შემდეგ მისცა სხვა და სხვა კითხვები. დაბოლოს კითხა:

— ვინ ხარ შენ?

ებრაელმა მიუგო: ებრაელიო. პოლკოვნიკი გაჯავრდა და მიაყვირა:—დურაკ!... კაკოი ტამ ვერეი?!.. აბა შენ—ვინ ხარ შენ?

შეეკითხა მეორე ებრაელს. ეს მიუხვდა პოლკოვნიკს და ხმა მაღლა, თამამად შესძახა:

— რუსი!

— რასაკვირველია რუსი!... რუსი... ეს კარგათ უნდა იცოდე რომ რუსი ხარ!

ახლა ვადვიდა მეორე გუნდის ახალგაზრდების გამოსაცდელად. რამოდენიმე კითხვის შემდეგ ისევ შეეკითხა:

— ვინ ხარ შენ?

მწკრივის მეორე რიგში იდგა ჯარისკაცი როსტომაშვილი.

— ვინ ხარ შენ? ვადუძახა მას პოლკოვნიკმა.

— როსტომაშვილი!

— დურაკ!—მე გეკითხები შენ ვინ ხარ?.. გესმის თუ არა!

მიაყვირა პოლკოვნიკმა. ჯარისკაცი გაშრა შიშისაგან.

— მე შენ გეკითხები ვინ ხარ შენ?

— არმიანინ! მიუგო გაუბედავად როსტომაშვილმა.

— კაკოი ტამ არმიანინ?! .. გდე ტვოია როდინა დურაკ!

ბიჭი დაიბნა, ხმას ველარ იღებდა. პოლკოვნიკმა მძლავრათ მიაყვირა:

— ია ტებია სპრაშივაიუ, დურაკა—გდე ტვოია როდინა, სლოვიშ ტი!...

გდე ტვოია როდინა?

— გორი! წაილულულა როსტომაშვილია.

— კაკოი ტამ გორი?—ია ტებია სპრაშივაიუ—გდე ტვოია როდინა! არ ეშვებოდა გაჯავრებული პოლკოვნიკი.—ნუ!

როსტომაშვილმა მიაშტერა თვალები პოლკოვნიკს და ნუს შეძახებზედ წამოიძახა:

— არმენია!

— არმენია!.. იყვია პოლკოვნიკმა.—არმენია?! კაკოი ტამ არმენია... ეტო ჩტო ტაკოე კაპიტან უსპენსკი (როსტომაშვილის გუნდის უფროსი) გესმით რას ამბობს ეს თქვენი ჯარისკაცი? ვინ ასწავლა მას ეს არმენია?... სად გამოიხაზა ამან არმენია?... ეტო ჩტო ზა ნოვოსტ! გდე ტვოია როდინა, დურაკ, გდეპ!



დამთხალი როსტომაშვილი იდგა გაშტურებული, გამზრბლი

— ვინ ეტყვის მას სად არის ამის სამშობლო, ვინ არის

— მე შემიძლია! მოისმა ხმა და პირველი გუნდის ახალგაზღვებიდან წა-
მოიჭრა წავგვრემანი ჯარისკაცი.

— ნუ!... სკაეი ემე! პოლკოვნიკმა უკმაყოფილებით მიაპყრო თვალი—არ
ესიამოვნა ეტყობოდა რომ მის წინ ებრაელი იდგა. აბა უთხარი! კუშტად
უბრძანა პოლკოვნიკმა.

— მეგის სამშობლო რუსეთია და იგიც რუსია! თქვა ებრაელმა.

— რასაკვირველია! წამოიძახა პოლკოვნიკმა.—რასაკვირველია?

სამშობლო რუსეთია და შენ, დურაკო, რუსი ხარ, რუსი! მმ, არმენია!—
უყურეთ ერთი!... შენ შეიძლება მამა გყავდეს სომეხი, დედაც სომეხი იყოს,
მაგრამ შენ რუსი ხარ... დიახ. რუსი, რუსი!... არმენია!... კაპიტან უსპენსკი აწი
ალარ გაევიგონო ასეთი სისულელე!... ეს ვაებატონი კი დასაჯეთ, რომ გადაი-
ვიწყოს მისი არმენია!... ია ტებე პოკაეუ არმენიუ!

გამოსაცდელ ჯარისკაცებს დაუარეს აფიცრებმა და გააფრთხილეს რომ
პოლკოვნიკის შეკითხვაზედ თუ სად არის სამშობლო ანა და ვინ ხარ—ეპასუხ-
ნათ რუსეთი და რუსი ვარო.

მებუთე გუნდის ახალ ჯარისკაცებში მოქცეულიყვნენ რამოდენიმე ყირგი-
ზი და ბაშკირი;—ამობუსკული პირისაბის ძვლები, წვრილი, მიჭურტული თეა-
ლები.

— ვინ ხარ შენ? მიმართა ერთს ამათთაგანს პოლკოვნიკმა.

— რუსი! იყო პასუხი.

— რასაკვირველია! კმაყოფილებით წამოიძახა პოლკოვნიკმა.—

შენ? შეგკითხა მეორეს.

— რუსი! წარმოსთქვა ძლივს, შეშინებულმა ყირგიზმა.

— რა ასე გაუბედავით ამბობ... თითქო გერცხვინება—თუ უნდა ვიხა-
როდეს, რომ რუსეთში ხარ და რუსი ხარ!...

ასეთი შეკითხვით მიმართა დანარჩენებსაც და რა ღებულობდა პასუხათ
რომ რუსები ვართო, პოლკოვნიკი კმაყოფილი დარჩა და გუნდის უფროსს უთხ-
რა-ეტყობა გიმაკადინიათ და საკმაოთ შეგვითვისებიათ მათთვის მათი ვინაო-
ბაო. უკმაყოფილო დარჩა მხოლოდ იმაზედ რომ ჯარისკაცები ვერ უგებდნენ
შეკითხვაზედ თუ საიდან წარმოსდგება მეფის ხელისუფლება და როგორ გად-
მოდის ღვთაებრივი ძალა, ღვთისგან მეფისათვის მინიჭებული, ყოველ მის მიერ
დაყენებულ მოხელეზედ. ეს თავის გულისწუხილი გამოცემულ ბრძანებაშიაც გა-
მოსთქვა და აეალებდა გუნდის უფროსებს ეს დანაკლისი გაესწორებინათ—
ღრმით შეეთვისებინათ ჯარისკაცებისათვის მეფის ღვთაებრიობა, მისი ხელის-
უფლების ღვთაებრიობა და აქედან ყოველი მოხელის უფლების ღვთაებრიობაც.

ეს ბრძანება ისეთი გამოვიდა, რომ უფროსმა გენერალმა როცა იგი წაიკითხა
მოიწერა, რომ ბრძანება არ გაეკრელებულიყო ნაწილის გარეთ; მისი მოსპობა
ამ გონიერმა გენერალმა როგორიც ის იყო (გვარად სოკოლოვსკი) ვერ უბრ-
ძანა, რადგან ადვილად შეიძლებოდა დაბრალებოდა არა კეთილსაიმედობა.



რუსობას უნერგავდა გულმოდგინეთ ოლქის მხრუნველი (პოლონელი) ცნობილი იანოვსკის ნაცვალი. ასეთ ინცინდენტს ქონდა ადგილი მისი ბათუმის ერთ-ერთ ჩამოსვლაზედ ბათუმის საქალაქო სასწავლებელში. ერთ კლასში მან მოიხმო მოწაფე და შეეკითხა:

— ვინ ხარ შენ?

— აქარელი! მიუგო მოსწავლემ.

— აქარელი, აქარელი—სხვა არაფერი? ბავში დაიბნა.

— თათარი! თქვა გაჩუმების შემდეგ.

— თათარს აქ რა უნდა? მოლუშვით წარმოსთქვა ზეადსკიმ.

— მუსულმანი ქართველი! გაისწორა მოწაფემ.

— შენ არ გკოდნია შენი ვინაობა!... მოიტა ხელი!

მოწაფემ ხელი გაუბედავით გაუშვირა. ზეადსკიმ მოჰკიდა ხელში ხელი, გადუბრუნა აღმა ხელისგული და ზედ დაადო მარჯვენა ხელის მაჩვენებელი თითი. ბავში გაშტერებით მისჩერებოდა.

— გაიმეორე ჩემთან: მე ვარ რუსი!.. მე ვარ რუსი!.. რუსი! რუსი! და ბავში რომ თრთოლვით იმეორებდა: მე ვარ რუსი, ზეადსკი ხელისგულზედ უკაქუნებდა თავის მაჩვენებელ თითს.

— ახლა ხომ გაიგე ვინცა ხარ?!... დაიმახსოვნე კარგათ და სხვასაც გააგები!... გესმის! ჩასძახა მან შეშინებულ ბავშვს.

ამ გზით აძლიერებდნენ რუსეთს, მაგრამ ცხოვრება თავისას შეგბოდა!

ბათუმში, საოცარი სისწრაფით გაზრდილი, ვაფართოვებული დულდა და გადმოდიოდა, რომ იტყვიან. მის მცხოვრებთა თითქმის ნახევრობას შეადგენდა ქარხნების მუშები. აუარებელი მუშა იყო როტშილდის ქარხანაში, შემდეგ მანთაშევის ქარხანაში. ცხოვრობდნენ ისენი თვით ბათუმში, ბევრი ევრედ წოდებულ გოროდოკში, უმეტესობა როტშილდის ქარხნის გადაღმა—ბარცხანაში, აქ თითქმის მხოლოდ ქართველობა იყო, სოფლებიდან აყრილი და ბათუმს შემოხიზნული ელემენტი. აქ ზოგმა იყიდა, ზოგმა იჯარით აიღო მიწა და გამართეს მოსახლობა. ბარცხანა იმდენათ გაიზარდა, რომ მთავრობამ აქაურებს მამასახლისიც ამოარჩევია და სამმართველოც დააწესა.

თავსეყრილმა მუშებმა ნელ-ნელა ერთგვარი ორგანიზაციის შემოღება იწყეს. ხელმძღვანელები ამისათვის ბათუმში ბლომათ მოიპოვებოდა—მესამე დასელები დღე-დღეზედ აძლიერებდნენ თავიანთ მუშაობას აქ მათ ყავდათ უფროსი ხელმძღვანელები როგორც იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლის მასწავლებლად მყოფი ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, საშა წულუკიძე; ხშირად მოდიოდა ნოე ყორდანი, რამდენიმეჯერ იყო ფილიპე მახარაძე. ამათ იმდენი ახერხეს, რომ ქალაქში ვახსნეს საჯარო ბიბლიოთეკა—სამკითხველო, რომელსაც მოუგროვეს მრავალი წიგნები და უწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს. სამკითხველო ნურიაში იყო და მუდამ სავსე იყო მკითხველი ხალხით. სამკითხველოს გარდა, დიდი მაცადინობის შემდეგ გაიხსნა საკვირაო სკოლა ბარცხანაში. აქ როტშილდის ქარხანას ქონდა ავტობული ფიცრული მუშების სასადილოსათვის და აქ გაიმართა საჯარო სკოლა. რა თქმა უნდა ეს მოგვარდა დიდი მაცადინობის



და გაპირვების შემდეგ. სკოლის პასუხმგებელ გამგეთ იყო მღვდელი სიმონ თოთიბაძე. როგორც იქნა მთავრობა დასთანხმდა თოთიბაძის გამგებლობაზედ, დართო ნება იმ აზრით, რომ მღვდელი უფრო საიმედო იქნებოდა. თოთიბაძე ახალგაზდა მღვდელი იყო, გულწრფელი, განვითარებული, თანამედროული მოწინავე აზროვნების პიროვნება. ამ თვისებებმა ბევრი სიმწარე გამოაცდევინეს მას, მაგრამ იგი მუდამ მაგრათ იღვა თავის პოზიციაზედ და ამიტომაც დიდი პატივისცემა ქონდა დამსახურებული, ნამეტურ ქართველობაში. მის პასუხისმგებლობაში გახსნილი საკვირაო სკოლა მან დაუქვემდებარა ისიდორე რამიშვილს, ჩხეიძეს და მის ამხანაგებს და ისენი განაგებდენ სკოლას. სკოლაში აუარებელი ხალხი დადიოდა. სწავლის გათავების შემდეგ იმართებოდა ერთგვარი საუბრები. რამდენიმეჯერ ვყოფილვარ ამ სკოლაში და ყოველთვის გაოცებული ვარზობდი როცა ეხედავდი რა ხალხით, რა გატაცებით ეკიდებოდნენ, ევლებოდნენ ამ სკოლას ეს ხალხი, რომელიც საღამომდი ქარხანაში მუშაობდა, საღამოს საღვთომზედ მიიზბენდა და ისევ, დაუსვენებელი, მორბოდა სკოლაში. საკვირაო ერთკა სკოლას, მაგრამ მაცადინობა კვირა დღეების გარდაც იყო.

უთახმოება ქარხნების, ნამეტურ როტშვილდის, მართველთა და მუშების შორის წინათაც ხდებოდა ხოლმე, მაგრამ ამ ხანებში უფრო ხშირი ხდებოდა და უფრო ღონიერი, უფრო მძლავრი. მუშებს უფრო ყვდით დამრიგებელნი, ხელმძღვანელები და ამიტომ აბურხებდნენ უფრო შეკავშირებულ მოქმედობას, საერთო მოთხოვნების გამოცხადებას.

მუშების დასაშინებლად როტშვილდის ქარხნის მთავარმა მართველობამ გამოაცხადა რომ ქარხანა გადატანილი იქნება ბათუმიდან ფიფიში (ავსტრიაში). ამან რასაკვირველია დიდი მღელვარება გამოიწვია არა თუ მარტო მუშებში, ბათუმის მცხოვრებლების შორისაც. სამხლვარ გარეთიდან ჩამოსულ ფირმის წარმომადგენელთან მივიდა მუშების დეპუტაცია კარლო ჩხეიძის მეთაურობით. ფირმის წარმომადგენელი (არ უნდა ვცდებოდე მგონი-როტშვილდის სიძე ეფრუსი) აცხადებდა, რომ ამ დაბოლო ხანებში ისე ირჯებიან მუშები, რომ ქარხანას აღარ შეუძლია თავი მოუაროს ყოველივეს რაც შიგ ხდება და ამიტომ იძულებული ხდება ფირმა ან სხვაგან, სამხლვარ გარეთ, გადაიტონოს ქარხანა ან და სულ დახუროს იგი, თუ მუშები განაგრძობენ მათგან დაწყებულ მოქმედებას.

მოკლე ხნით ქარხნის მართველობა და მუშები მორიდდნენ, მაგრამ მალე ისევ ატყდა უკმაყოფილება. წინადყოფილი მობერებულ ქარხნის მართველი, ინჟინერი ზოოდლოვსკი, აღარ იყო—გადიცვალა; მის ადგილზე ჩამდგარი ახალი ქარხნის დირექტორი ვანშეიდტი, ვერ იყო შესაფერისი თავის ადგილის კაცი. მუშებისაგან წარდგენილი მოთხოვნილებას მან არ მიატვია ჯეროვანი ურადლება; მუშებმა აკეთეს მუშაობა. ვანშეიდტმა განცხადება გამოაქრა, რომ დანიშნულ დღეს ვინც სამუშაოზედ არ გამოცხადდება—დათხოვნილი იქნებაო. ჩაერია ბათუმის გუბერნატორი. მან მოითხოვა აღმინისტრაციისათვის იმ მუშების გადაცემა, რომლებმაც ქარხნის მართველს წარუდგინეს მოთხოვნილება და მეთაურობდენ ვაფიცვას. სანამ ეს არ იქნებოდა სისრულეში მოყვანილი ეკრძა-



ლებოდათ ქარხანაში მუშაობის დაწყება. რამოდენიმე დღის ყოყმანის შემდეგ ამ ჩარევით, შეწინებულმა ქარხნის მართველობამ დაასახელა ზედმეტი მუშა, რომლებიც გუბერნატორმა დაუყონებლივ დააკავა და დაატუსაღა ბათუმის ციხეში; დანარჩენებს ებრძანათ მუშაობას შესდგომოდნენ. ამან გაამწვავა, გაართული მდგომარეობა. მუშებმა არა თუ უკან წაიღეს თავიანთი წინანდელი მოთხოვნის ლევა, უარესად აღელდნენ მათი წარმომადგენლების დატერის გამო და ახლა ზედ დაუმატეს—დაკავებული, დატუსაღებული მუშები დაუყონებლივ გაენთავისუფლებინათ. მოთხოვნილებას ურადლება არ მიიქციეს. მუშები აღელდნენ. აღელვებულებმა გასწიეს ციხისკენ, სადაც ისხდნენ მათი წარმომადგენლები და რამოდენიმე ასი კაცი მიიჭრა ციხის კარებთან და აღელვებით მოითხოვდნენ დატუსაღებულების გამოშვებას.

მოსულმა ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განუცხადა მუშებს რომ ეგ შეუძლებელიაო.

— აბა, ჩვენი... ყველა ჩვენი დავაკავეთ!.. ერთიანთ! იყვირა ხალხმა. ციხის კარებთან აღარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ვერავითარი მუქარით ვერ გაეფანტეს, ვერ აიძულეს ხალხი დაშლილიყო. აცნობეს გუბერნატორს. გუბერნატორი დროიგინი მოვიდა და როცა მუშებმა მიიძახეს დატუსაღებული გამოუშვითო, მან უარით უბასუხა და თან მუქარით დაემუქრა სასტიკი ზომების მიღებას, მუშები უფრო აღელდნენ; ადგილიდან არ იძროდნენ. გუბერნატორმა მოითხოვა ჯარი.

მოვიდა მორიგი გუნდი ჯარისკაცების. გუნდის უმფოსი იყო კაპიტანი ესტატე ანთაძე.

მუშები ისევ თავიანთ ადგილებზედ იდგნენ, ახმაურებულნი. გენერალი დროიგინი კიდევ შეეცადა დამუქრებით რომ ძალას იხმარდა, ხალხი გაეფანტა, მაგრამ უქმი რჩებოდა მისი ბრძანება—განკარგულება მისცა გუნდი მუშებს გარს შემორტყმოდა და ყველა დაეტუსაღებინა.

დატუსაღებული ოთხასზედ მეტი მუშა ჯარისკაცებით გარს შემორტყმული წაიყვანეს ეგრედ წოდებულ პერესილნი პუნკტში, აქ იყო მრავალი კახარმები და ამ კახარმებში შეყარეს დაკავებული მუშები, როგორც ზევით ვთქვი, რიცხვით ოთხას კაცზედ მეტი.

ამ ხანებში, ყოველთვის, ყოველ დღე, ინიშნებოდა თითო გუნდი საეინიცობო შემთხვევისათვის. ამ დღეს ჩვენი ნაწილიდან უნდა ყოფილიყო მორიგი გუნდი და სწორეთ ჩემი გუნდი იყო მორიგეთ. ნაშუადღევად ჩვენ გამოგვიცხადეს მზათ ცყოფილიყავით და სალამოს ბრძანება მოგვივიდა—გვითხოვდნენ პერესილნი პუნკტზედ—უნდა გამოგვეცვალა იქ ყოფილი გუნდი და საყარალოში ჩავმდგარიყავით. გამოვიყვანე გუნდი—გამოუტყადე მიღებული ბრძანება.

— იმედია ყოველ ბიფათს გადავრჩებით და ბედნიერათ დავბრუნდებით, ძებო!.. მივმართე ჯარისკაცებს.—მარჯვით!.. წინ, წინ!

უკვე კარგა დასაღამოვებულია. წინ მივდივართ სამი აფიცური—ხმა ვაკმენდილი; არ ისმის ლაპარაკი არც ჯარისკაცებში. ეტყობა რომ ყველას აწუხებს ფიქრი რომ შესაძლებელია ცუდი რამ შეგვემთხვას, ცუდი რამ მოხდეს.



არა სისიამოვნო საქმეზედ მივიდიოდით, ამას ყველანი გვერდით და გულდამძიმებულნი, გარინდული მივილაჯებოდით.

მივედით პუნქტზედ. აქ დაგვხვდა ციხის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ლენინი.

— დავედ სამსონიჩ! გამოცვალეთ ახლავე ანთაძის გუნდი... მე ვიცი ამაღამ დაკავებულები ღობეზედ გადახტომით თავიანთ სახლებში გაიპარებიან. მაგრამ დარწმუნებული ვარ დილას უკვე აქ იქნებიან! გაეცით ბრძანება, რომ თოფი არ ესროლონ როცა შენიშნავენ ღობეზედ გადახტომას!.. თუ რამე სალაპარაკო გახდეს მუშებთან, აი აგერ მათი წარმომადგენელია, კატენკო, მოიხმეთ და სხვებთან ერთად მოილაპარაკებთ. გთხოვთ მეტის თავაზიანობით მოექცეთ აღილებულ ხალხს—ცოტა რამე კმარა რომ უბედურება მოხდეს ამოდენ ხალხში!.. კატენკო! მიუბრუნდა იგი იქვე მდგარ მალალ, განიერ მხარ ბეჭიან მუშას—კატენკო, თქვენ იცით როგორ თავდაპერილათ იქნებით! აბა ასე! იმედი მაქვს ყველაფერი მშვიდობიანათ იქნება! და გაგვშორდა. ლენინი გენერალური შტაბის პოლკოვნიკი იყო, ახალგაზდა, მეტად რიგიანი პიროვნება.

დამავიწყდა მეთქვა რომ როცა ციხეზედ მოსული მუშები დააკავეს და პუნქტზე წამოიყვანეს, ციხიდან გამოიყვანეს დაკავებული მუშების წარმომადგენლებიც და გამოაყოფეს პუნქტზედ.

კახარმების ეზოში ფუსფუსობდა აუარებელი მუშა; ყაყანობდნენ, ისმოდა ვაცხარებული ლაპარაკი, ზოგან სიცილიც ისმოდა, ზოგან სიმღერაც.

შამოვიარე ეზო. ვანუშეორე ყარაულათ ჩაყენებულ ჯარისკაცებს ბრძანება თოფი არ ეხმარათ არავის წინააღმდეგ და შევედრი საყარაულო ოთახში. აქ უკვე იცხლი გაეჩაღებინათ, რადგან ციოდა, მარტის პირველი დღეები იყო. მიუჯექი ცეცხლს; ლაპარაკი არ ხერხდებოდა; ხანდახან ერთერთი თუ წამოიძახებდა ხოლმე—ოჰ, მშვიდობიანათ გაებრუნდებოდით აქედან ერთი! და ისევ სიჩუმე.

ლამემ მშვიდობიანათ ჩაიარა. გათენდა. გამოვედი საყარაულო ოთახიდან; ეზოში წყლის მიღებთან მუშები პირს იბანენ.

— ოჰ, ანთელავა!... გამარჯობა! როგორაა საქმე... ბიჭები ხომ არ გაპარულან? ეს ანთელავა ახალგაზდა განვითარებული მუშა იყო, შნოიანი წარმოსადგევი ვაჟ-კაცი. იგი ერთი წარმომადგენელთაგანი იყო მუშების და დიდი გავლენა ქონდა მუშებში. მას მე წინადაც ვიცნობდი.

— ყველა აქ არის!... რაღა გეიპარებიან!... ვინც ღამე სახლში გაათია უკვე მოსულა! ღიმილით მომიგო მან.—რა გვაქვს გასატყვევი?... რას უნდა გავექცეთ!?... ბატონო, იმათ ვინც აქ ღამე გაათია ჩაი არ დაუღვევია და ხომ მოგეხსენებათ მუშა დაგვეულია დილით ჩაი უნდა დალიოს გთხოვენ უბრძანოთ ჩაი მიაცენ! პოლიციამ, რომელსაც დავალებული ქონდა დილა აღრიხანათ ჩაი მიეცათ დაკავებულუბისათვის ნამეტანი დააკვირანა ამით და ძლივს, როგორც იქნა, ჩაჯინების შემდეგ, დააკმაყოფილეს მუშები.

იქნებოდა მეათე საათი რომ პუნქტზედ გუბერნატორი, გენერალი დრია-



ვინი მოვიდა. მან დაიარა ეზო, შემდეგ მოუყარა თავი მუშებს და შეეცდნენ, რომ არაფერი გინდათო.

— ვაგვიშვით! მოისმა რამოდენიმე ხმა.

გენერალმა ამახედ არა სთქვა რა და თავისით განაგრძო.

— სადღიათ თქვენ მეოთხედი გირვანქა ხორცი გერგებათ, მაგრამ მე უბრძანე ნახევარ-ნახევარი გირვანქა მოგკენ... პური ორი გირვანქის მაგიერ—სამი მოგეცემათ!

შეიქნა ერთი სიცილი.

— ამით გვაწყნარებს ვითომ?!... მოისმოდა,—არ გვინდა თქვენი წყალობა ხორცი... სახში ვაგვიშვით!... მუშაობა გვინდა!

გენერალი ისევ სადილის შესახებ განკარგულების გაცემაში იყო, რომ პოლიციელმა მოიპოვინა და მოახსენა გუბერნატორს—როტმილდის ქარხნიდან მუშები მოდიან პუნქტისკენ.

— შეჩერდით! უყვირა გენერალმა მოსულებს, როცა ისინი მოახლოვდნენ. მოწინავეები შეჩერდნენ და უკან მომდევნ ხალხს გადასძახეს შეჩერებულიყვენ. შეწყდა სიმღერა.

— რა გინდათ? მიმართა მოწინავეებს გუბერნატორმა.

— გაანთავისუფლეთ დაკავებული ჩვენი ამხანაგები... თუ არა და ჩვენც შეგვყარეთ მათთან ამ კახარნებში! მიუჯო შავ ჩოხიანმა მუშამ, გოგობერიძემ (სახელი არ მახსოვს) რომელიც მოუძლოდა მოსულებს.

— თქვენ რისთვის უნდა დაგაკავოთ?..... ტყვილა მოგიყრიათ თავი გირჩევიათ დაიშალოთ! უთხრა დრიაგინმა.

— ჩვენ აქედან უნდა არ მოვიცვლით სანამ ჩვენი ამხანაგები დამწყვედულნი იქნებიან! იყვირეს მოწინავეებმა.—ჩვენ უნდა მოგვისმინოთ! შეიქნა ყვირინა.

— ილაპარაკეთ რუსულაით! თქვა გუბერნატორმა.

— რუსული რა ვიცით!... წამოიძახეს რამოდენიმემ.

— ხომ გესმით რუსული! უთხრა გენერალმა.

— ტვინი გვერყევა... სად ვეძიო მე რუსული სიტყვები ჩემი ცეცხლის გამოსათქმელათ! უცნაური ხმით წამოიძახა წინ წამომდგარმა მაღალმა მუშამ—იმ დროს სახელგანთქმული მოჭიდავე გლდანელის ძმამ.

გუბერნატორმა თარჯიმნათ მიიწვია მის გვერდით მდგომი პოლიციის ბოქალელი. ხალხმა იყვირა არ გვინდაო; გუბერნატორმა მეორე პოლიციელი მიიხმო—ამაზედაც იყვირეს არ გვინდაო.

გოგობერიძემ წამავლო ხელი, წამაყენა გუბერნატორის წინ და წამოიძახა:—ეს იქნეს თარჯიმნათ!... ეს იქნეს! მაგან გვითარგმნოს!

— იყოს, იყოს! იყვირეს მოწინავეებმა. შევლდექი თარჯიმნობას. მუშები ჩიოდნენ თავიანთ ცუდ მდგომარეობაზედ ქარხანაში, რომ ხმის ამოღებისათვის დაიპირეს და ციხეში ჩააგდეს მათი წარმომადგენლები და აღბათ ქარხნიდანაც გააძევებნენ, რომ ამას ვერ მოუტოვებდნენ ამხანაგები და თხოულობენ გაენთავისუფლებინათ დაკერილები და ყურადღება მიექციათ მათ მდგომარეო-



ბაზედ. გუბერნატორმა უპასუხა რომ მას არ შეუძლია გამოუშვას ყველაფერი, რადგან მან უმილღეს მთავრობას მოახსენა ყველაფერი და განკარგულებას და მოითხოვა მუშები დაშლილიყვნენ, რომ მოსულ განკარგულებას დროზედ შეატყობინებდა მათ. მუშებმა მიუგეს ამაზედ, რომ ზოუციდიან აქვე განკარგულების მოსვლას თბილისიდან.

— აქ შეიძლება უწყესობა რამე მოხდეს! თქვა გუბერნატორმა.

— ჩვენ აქ უწყესობის მოსახდენათ არ მოვსულვართ!... ჩვენ აქ უიარაღოთ ვართ! გავვსინჯონ თუ რამე იარაღი გვაქვს!... ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით სანამ ჩვენი ამხანაგები დამწყვედულნი იქნებიან! გაიძახოდნენ მუშები.

— თქვენო აღმატებულებავ, ნამეტანი ბევრი ხალხია მოგროვილი... ეგებ ბრძანოთ კიდევ ერთი გუნდი ჯარისკაცები გამოგაწვიოთ! ხმადაბლა წაულაპარაჲა გუბერნატორს მოსულმა პოლიციის ბოქაულმა.

— გამოიწვიეთ საჩქაროთ! უბრძანა გუბერნატორმა. მე კარგად ვესმოდა ამათი ლაპარაკი, რადგან გუბერნატორის გვერდით ვიდგე.

კახარმებთან და ელექტრონის სადგურის გადასახვევი გატენილი იყო ხალხით. კახარმების ზედა სართულიდან გადმომდგარი იყვნენ დატერილი მუშები, ბევრი ღობეზედ გადმომჯდარნი იყვნენ. საოცარი ხმაურობა, ყაყანი, ყვირილი.

უცრათ ხმაურობამ შესამჩნევთ იმატა. ელექტრონის გადასახვევიდან ადვისს ქუჩაზედ გამოვიდა მოსული გამოწვეული გუნდი. გუნდი მოიყვანა ანთაძემ. ამ უკანასკნელის დანახვაზედ ეზოში მუშებმა შექმნეს ყვირილი. საოცარი ყვირილი მოისმა ჩვენს უკანაც. დაიწყო არგეა.

— დაწყნარდით!... დაწყნარდით!.. არაფერია! დაწყნარდით! მიმართეს წინა მდგომა მუშებმა, მზგრამ ერთი თვალის დახამხამებაში ყველაფერი აირია. შეიქმნა წარმოუდგენელი ყოყინი, ყვირილი; ეძგერნენ მარჯვენით ფიცრის ღობეს; სეტყვასავით ეფინება ფიცრების ნამტვრევები, მიწის კოლბოხები, წვრილი კენჭები.

მე გაეშორდი გუბერნატორს და მივაშურე ჩემს გუნდს, ეზოში რომ იდგა. გაეჭრდი ჭიშკართან. პირდაპირ ჯოჯოხეთი შეიქმნა. რა მოხდა? რამ გამოიწვია ეს?—არავინ იცის.

უცრათ გაეარდა რევოლვერი. ერთი... ორი... სამი! ეს შარვაშიძის ეზოდან იყო. კიდევ ერთი და გავარდა თოფი, არც საეაღდებულო სიგნალი—ივრილა ხალკმა.

— პომენშე კროვოპროლიტია! მხოლოდ ეს წამოიძახა გუბერნატორმა, რომელიც ანთაძის გუნდთან იდგა.—პომენშე კროვოპროლიტია! იმის მაგიერათ რომ სიგნალის მიცემა ებრძანებინა და არა უსიგნალოთ დაეწყო სროლა.

სახარელი კივილი, წივილი!... აირია ყველაფერი! გარბიან გონება დაკარგულები შიშით, ელეტენ ერთმანეთს. დაკარიელდა აქაურობა. ქუჩა მოფენილია დაქრილებით, მოპაკდავებით და მოკლულებით. სისხლში გდიან დევი ახალგაზდები ზოგი უძრავათ, ზოგი სიკვდილს ებრძვის; გულშემზარაჲი კენესა დაქრილების, სახარელი სურათია.

გუნდმა ჩაიარა და გავშორდა იქაურობას. მე მივიღე ბრძანება ქუჩა შე-



უკრა, არავინ გარეშე ყოფილიყო. ერთ-ერთ აფიცერს (სლენიშკის) ნიკოლაძე ეხოლან გამოეყვანა ჯარისკაცები და ქუჩაში დაეყენებინა, თავში და ხელში. როცა ამან ჭიშკარს გადმოაბიჯა, გამოვიდა ქუჩაში ლეკვით შედგა. იმრო ჯიბიდან ცხვირსახოცი და აკრემლებულ თვალეზზედ მიიღარა. სანახაობა სწორედ საზარელი რამ იყო.

მოიყვანეს ეტლები, დროგები მკედარ—დაჭრილების წასაღებათ. სისხლით მოთხვრილ ადგილებს აყრიდნენ მიწას; ეტლების ბორბლებით იზილებოდა ეს ადგილები და საზარელი რამ სანახავი იყო ეს გასისხლიანებული მიწის ცომები.

გულადუღებული, თვალცრემლიანი ვუყვებოდი ჩემს გარეშემო შეყრილ ჯგუფს, თუ როგორ მოულოდნელად მოხდა ასეთი საშინელი ამბავი.

— ახლა ტირი?! პატიოსანი კაცი რომ ყოფილიყავი აქ არ იქნებოდი! მომესმა უკანიდან. ამის მოქმელი ვიღაც დედაკაცი იყო.

ადულდა გული უარესად.

— შეგარყენა გამჩენმა! მივაყვირე.—მხეცო! შეუბრალებელო! გესმის შენ შენი სიტყვები?!

გაგონილმა სიტყვებმა რეტი დამასხა... ჩემი გუნდიდან ერთი ტყვია არ გაეარდნილა, ათრთოლებული, გონება დაბნეული, თვალცრემლიანი ვიმეორებდი:—შეუბრალებელო.. შეუბრალებელო!

— ხმა!... ვის ეტბნები მაგას, სულელო!... გაჭრი აქედან! შეუტრეს დედაკაცს, დედაკაცი გაჭრა, მე კი დაჩაგრული მისი სიტყვებით ვიდექი გაშტერებული!

— დაწყნარდით, დავით!.. ნუ მიიღებთ გულთან ახლოს... არ იცის ვის ეტბნება მაგისთანა სიტყვებს! მამშვიდებდნენ ჩემთან მდგომნი. მაგრამ გული გადაშტეტებით დულდა მწარე სიტყვების გაგონებით.

ღიახ, რა მინდოდა მე ამ რიგებში? რატომ ვხდები მოწმე ამგვარი საშინელებისა, ამ საზიზღრობისა! ო, რა ტანჯვა გამოვიარე!

გარეტებული დავდიოდი თელი საღამო; მიჩლუნგებული გონება აღარ მუშაობდა.

საღამოს თავი მოიყარეს პუნქტზედ თელმა ადმინისტრაციამ—გუბერნატორმა, პოლიცემისტორმა, მისმა თანაშემწემ, ქარხნის დირექტორმა, ოლქის უფროსმა, მოვიდა ჩვენი ნაწილის უფროსიც პოლკოვნიკი და კიდევ რამდენიმე სხვა.

მუშები კაზარმებში ისხდნენ, ხმა გაკმენდილნი, გარინდულნი. თავმოყრილი უფროსობა დილაში პუნქტზედ იყვნენ. ეშინოდათ მუშები არ გამოსულიყვნენ. ღამემ წყნარად გაიარა. დილასაც აგრეთვე სიწყნარე იყო. მუშები გადაწერეს და გაუშვეს.

ნაწილის უფროსმა მითხრა გუნდი კაზარმაში წამეყვანა.

— სიმღერიო! დაუმატა მან.

— ეგ შეუძლებელი იქნება! მივაძახე მე გაოცებულმა.



— ბრძანება გაქვთ მიღებული... უნდა შეასრულოთ! *მშვენიერად — მომიპირა*
 მან და გამშორდა.

ვაცნობე უნცროს აფიცრებს მიღებული ბრძანება და დაუმატე რომ—
 სიმღერით გუნდს არ წავიყვან და თუ რომელი მათგანი თანახმაა ბრძანების—
 გაპყვეს გუნდს. ორივემ უარი განაცხადა.

სწორედ ამ ლაპარაკში რომ ვიყავით ცხენით მოგვიახლოვდა ციხის უფ-
 როსი, კომენდანტი, გენერალი საკოლოვსკი.

— თქვენო აღმატებულებავ, ნაწილის უფროსი, პოლკოვნიკი მერთენგრე-
 ნი გვაიძულეს გუნდი კაზარმაში უსათუოთ მღერით წავიყვანოთ! უთხარი
 აღელვებულმა.

— როგორ მღერით?!... რა დროს მღერია?!... რა სასიხარულო საქმე მოხ-
 და რომ ქუჩებში მღერით იაროთ?!... ხომ არ შეშლილა! არაფერი მაგდაგვარი
 არ იქნეს!

გუნდი გაუშვი. მე კი მივედი პოლკოვნიკთან და უთხარი.

— გუნდი წავიდა, კომენდანტმა აკრძალა მღერა.

— გასაკვირვებელია! უცმაყოფილოთ, წაილაპარაკა მან.

დაქანცული, ნერვებ აშლილი მივედი საბლში. დამწუხრებულნი შემხედნენ
 ხმაამოუღებლად.

თვალწინ მიდგა ოდესის ქუჩა მოფენილი შეტაკების მსხვერპლებით... ყურ-
 ში მიწვივა დედაკაცის სიტყვები!... უღონოდ დავეგდე, ბედის მაწყვეარი, რომ
 ამ წრეში მომაქცია.

მეორე დღეს მოხსენება წარვადგინე იმის შესახებ თუ რა შეხვდა გუნდს
 მორიგეობის დროს. ნაწილის უფროსმა დამიბარა და როცა მივედი მითხრა
 რომ ჩემს მოხსენებაში ბევრი რამ არ არის შეტანილი, არ არის აღნიშნული
 თუ რამდენი ჯარისკაცი დაიჭრა...

— დაჭრილი არავინ ყოფილა! უთხარი.

— როგორ არ იქნებოდა!... უსათუოთ იქნებოდა! გაიგეთ გვარები და
 ჩაწერეთ!

— არავინაა დაჭრილი, მე კარგათ ვიცი! მიუგე.

— ეგ არ შეიძლება!... გამოიკითხეთ ხელახლა!... არ გაქვთ მოხსენებული,
 რომ მე მოვედი პუნქტზედ და დარიგება მიიღეთ ჩემგან.

— თქვენ მოხვედით როცა უკვე ყველაფერი გათავებული იყო.

— საქმე იმაში კი არ არის როცა მე მოვედი—წვენით წამოიძახა პოლ-
 კოვნიკმა—მოვედი როცა შემეპლო!... ნუ გავიწყდებათ ეს შემთხვევა სასამართ-
 ლოში იქნება გარჩეული და თქვენი მოქმედება გამორკვეული იქნება დაწერი-
 ლებით... ყოველ თქვენს მოქმედებაში პასუხს მოგთხოვენ თუ რამდენათ შეას-
 რულეთ ყველაფერი ტაქტიკური მხრით!...

ეს პირდაპირ წამება იყო.

— მე აეთა ვარ და გთხოვთ გამანთავისუფლოთ! უთხარი და წამოვდექი.

— წაიღეთ ეს მოხსენება და როგორც გითხარით ისე შეივსეთ და ახალი
 წარმოადგინეთ! მითხრა.



წავიღე მოხსენება; ახალი დაწვერე—მივემაცე მხოლოდ, როგორც ესაუბრის პოლკოვნიკი მოვიდათქო სხვა არაფერი. პოლკოვნიკი ძრიელად გაფორმდა, როგორც მერმე ვადმომცა ადიუტანტმა და გაჯავრებით წამოეძახნა: ნიაციმანებენ ანგარიშს მის მოქმედებაში... ნახაეს!..

ერთი კვირა ვეგდე ნერვებ აშლილი, როტშვილდის ქარხნიდან ჩემს ბინაზედ მოვიდა ერთი მუშათავანი—მოსე ბაბილოძე, ჩემი ამბის გასაგებათ—გეითხრეს ავით არისო და ამხანაგებმა დამავალეს მენახეთ და თქვენი ამბავი გამეგოო.

მახლობელ დღეებში, როცა ავდეტი, შეგხვდი ნიკ. იმნაძეს, ანთაძის გუნდის აფიცერს. ლამაზი კაცი ახლა უცნაური სანახავი იყო—სახე გამოცვლილი, უცნაურათ გამოიყურებოდნენ ზისი ახლა ჩავარდნილი თვალები. წინად ხალი-სიანი მოლაპარაკე, ახლა შეწუხებით ამბობდა სიტყვებს.

— რას ერჩიან, საწყალ ესტატეს (ანთაძის სახელია) მითხრა მან.—რას ერჩიან, საღაც დაინახავენ ქუჩაში უფეირიან, ლანძღავენ, აგინებენ! მე ვასროლიე... როცა სროლა დაგვიწყეს—მე გადავძახე მას—ესტატე ხომ ხედავ ტყვია დაგვიშინეს, ნება მომეცი ვესროლო, მან შეშინებულმა, ნება დამართო, ისროლო! და შეიტქმნა ის უბედურება, რაც მოხდა! დასწყევლოს ღმერთმა, ბედი არ ქონია! კიდევ კარგი, რომ ბევრმა ზევით ისროლა, თორემ წინ რომ ესროლათ მაშინ იქნებოდა ამბავი!..

— ესტატე! მივმართე ერთხელ ანთაძეს—ესტატე, ამბობენ ვითომც შენ ანნის ჯვარზედ წარგადგინეს, მართალია ეს?

ანთაძემ თავი გააქნია და მწუხარებით მომიგო.

— დასწყევლოს ღმერთმა!.. რა ჯანდაბათ მინდა ანნას ჯვარი იქნება თუ სხვა!.. ნეტავი ჩემი მოხუცებულება არ გამწარებულოყო და ამ უბედურებაში არ ჩავვარდნილიყავი, მე რომ ჩავვარდი!.. მადლობა ღმერთს—ასეთი იღბალის კაცი ვყოფილვარ!

ოზურგეთში სახლი ქონდა მას—ერთ დღეს ცეცხლი მისცეს და დაუწვეს. გულწრფელათ სწუხდა იგი თავის განწარებულ მოხუცებულობას; მწუხარებამ გულის გაგანიერება გამოიწვია და თავის ბედის მოტირალი გამოათხოვა ამ სოფელს.

(გაგრძელება იქნება).

სსოპრეგა და ხალოვნაგა

1. ხალოვნაგის ადგილი და დრო.

ჩვენი პარტია—კომუნისტური პარტია—არის ერთად-ერთი პარტია სოციალისტურ რევოლიუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის ამოცანების საბოლოო გადაჭრისა. ისტორიის მიერ ეს დავალება მხოლოდ მას აქვს დაკისრებული. პროლეტარიატის მეთაურობით მსოფლიოს ყველა დაჩაგრულ კლასების და ნაციების ჩაბმა ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში, მისი ბატონობის დამხობა და ამავე პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი დიქტატურით—სოციალიზმში—ე. ი. უკლასო საზოგადოებრივ წყობილებაში თანდათანობითი გადასვლა—აი, ის გზა—რომელიც აღებული აქვს კომუნისტურ პარტიას და, რომელიც არის ერთად-ერთი—დასახელებულ მიზნის მისაღწევათ—ისტორიის მიერ მოცემული გზა. და აქედან ცხადია: ყოველგვარ საკითხებს და მოვლენებს იგი, —კომუნისტური პარტია,—უდგება ამ ამოცანის თვალსაზრისით: ესა თუ ის საკითხი, თუ მოვლენა—ხელს უწყობს ამ გზით სვლას, თუ უშლის, ეხმარება და ძალას მატებს—დაჩაგრულ კლასებს, დამონებულ ნაციებს მათ ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ, თუ არა, მოკლეთ: სასარგებლოა რევოლიუციისათვის—ნამდვილ პროლეტარულ, კომუნისტურ რევოლიუციისათვის—თუ არა სასარგებლო?

ყოველივე მოვლენის შეფასების, ყოველივე საკითხის გადაჭრის დროს—კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს ამ საზომით: რევოლიუციის და სოციალიზმის გასამარჯვებელ გზის სარგებლიანობის თვალთახედვის საზომით. სხვა საზომი მის არა აქვს და არც შეიძლება პკონდეს.

ამავე საზომით უდგება იგი ხელოვნების საკითხებსაც.

და, აი, აქ ირკვევა:

რევოლიუციის გამარჯვება—დამარცხების საკითხებში ხელოვნებას: ე. ი. შატერულ ლიტერატურას, მუსიკას, ქანდაკებას, თეატრს და სხვა—არ უკავია პირველ-ხარისხოვანი ადგილი; რევოლიუციის გამარჯვება თუ დამარცხება მნიშვნელოვანად არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ სასწორის რომელ ჯამს ამძიმებს ხელოვნება: გამარჯვების თუ დამარცხების. ეს ასე არის და აქედან ცხადია, თუ რა ხარისხის ადგილი, პოზიცია შეუძლია დაიკავოს ხელოვნება—ლიტერატურამ რევოლიუციის ფრონტზე და რევოლიუციის მეთაურ კლასის და პარტიის ყურადღებაში: ეს ადგილი, ვიმეორებთ, თავის მნიშვნელობით არ იქნე-



მა პირველ-ხარისხოვანი შედარებით იმ პოზიციებთან, რომლებზეც რევოლუციის სამხედრო და ეკონომიურ საკითხებს.

როდესაც გაისმის იარაღის კლარუნი—ხელოვნების ღმერთები სდუმან მაშინ.

როდესაც—დამონებულთ და ყოველგვარ ადამიანურ და კლასიურ უფლებებს აყრილი—პროლეტარიატი 1917 წელს თებერვალში და შემდეგ ოქტომბერში სამკედრო-სასიცოცხლო კიდილში ჩაება ძველ ქვეყანასთან და, როდესაც ეს კიდილი წყდებოდა სრული ასი პროცენტით იარაღით და სამხედრო საშუალებით—განა მაშინ პროლეტარიატს შეეძლო, ან და მის მეთაურ პარტიას უფლება ჰქონდა თუ გინდოდა შეემციობებინა თავისი სამხედრო ძლიერება ხელოვნებისთვის ძალების გამოყოფით, მისთვის თავის ენერჯის ნაწილის დახარჯვით? ცხადია—არა.

თებერვლის და ოქტომბრის გამარჯვებაში—ხელოვნებას უშუალო ხელსახეები როლი არ უთამაშია. ძირითადი საკითხი პროლეტარულ რევოლუციისა იმ ისტორიულ დღეებში გადასწყვეტა ვინტოვკამ, ვინტოვკის გამსროლმა და ვინტოვკის მოხმარებამ.

ნურკავინ ნუ მოითხოვს იმ ადგილს, რომელიც მას ისტორიულად არ ეკუთვნის. ნურც ხელოვნება „გაუჯერდება“ რევოლუციის მეთაურ კლასს და პარტიას, რომ მას აქცევენ ყურადღებას მაშინ და იმდენა, როდესაც და რამდენსაც ამას მოითხოვს რევოლუციის და მისი გამარჯვების ინტერესები,—მხოლოდ.

მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა გაიმარჯვა ოქტომბერში და ძირითადი საკითხი პროლეტარული რევოლუციისა:—ძალა-უფლების დაპყრობა თავის სასარგებლოთ გადაქრა—კიდევ განულო კვირებმა, თვეებმა და წლებმაც—მანამ ხელოვნების საკითხები მნიშვნელოვან პოზიციებს დაიკავებდნენ. იმიტომ, რომ ძალა-უფლების დამპყრობი პროლეტარიატი—ჯერ კიდევ არ იყო გამარჯვებული მოწინააღმდეგეთა სამხედრო ძალებზე. პირველი საკითხი იყო ოქტომბრის გამარჯვების შენარჩუნება. ეს კი შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ კი მოხერხდებოდა საკმაო რიცხვის და საჭირო ხარისხის შეიარაღებულ ძალის შექმნა. არმიის საკითხი—გახდა პროლეტარულ რევოლუციის გადაარჩენის საკითხი—და კიდევაც მთელი ძალა, ღონე და ენერჯია, სიმდიდრე—ამ საქმეს მოახმარა პირველ-რიგში გამარჯვებულმა პროლეტარიატმა და მისმა მეთაურმა პარტიამ.

ისტორიულად გაუმართლებელი სისულელე და სიბეცე იქნებოდა, დანაშაული რევოლუციის მეთაურ პარტიისაგან, რომ ეს ასე არ მომხდარიყო, ე. ი. რომ მთელი ყურადღება და არსებული გონებრივი და მატერიალური სიმდიდრე—ამ საქმეს არ მოხმარებოდა. ტროცკი მაშინ არ სწერდა წერილებს ლიტერატურაზე, დემიან ბედნი წითელ-არმიელებს მარშებს ასწავლიდა და მაიაკოვსკი მხოლოდ ბრძოლის პლაკატებს ხატავდა. ბევრი მათ შორის, რომლებიც დღეს მრავალ სქელ და არა სქელ ტანიან ტურნალებს, კრებულებს და აღმანახებს ავსებენ მოთხრობებით, ლექსებით და კრიტიკულ წერილებით—მაშინ ვინტოვკით ხელში იბრძოდნენ სამოქალაქო ომის სხვადასხვა ფრონტებზე და პოზიციებ-



ზე. არა ერთი და ორი კალმის ნიჭიერი რაინდი ჰყავს ნამსუსის რეგოლიუციის ბრძოლის ფრონტებს.

ასეთი იყო რეგოლიუციის დღეები მაშინ და რეგოლიუციის ადამიანებიც შესაფერად მოქმედებდნენ. ნაყოფიც შესაფერი გამოვიდა. სახელოვანი არმია შექმნა პროლეტარიატმა და სახელოვანი გამარჯვებებიც მოიპოვა.

შედგათ ამისა—სამოქალაქო ომის ცეცხლი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ჩაჰქრა. მტრები დამარცხდნენ. შინაურები საბოლოოდ განადგურდნენ,—გარეშეთ კი დაეკარგათ ყოველივე სურვილი და... საშუალება ჩვენზე შემოტყვისა.

მაგრამ მარტო სამხედრო საქმეების მნიშვნელოვანი მოგვარებაც არ იყო საკმაო იმისთვის, რომ ახალ ქვეყნების—საბჭოთა ქვეყნების,—მეთაურ კლასს და პარტიას—ეხლა უკვე შესძლებოდა საკმაო ძალები მიეცა, საჭირო სიმდიდრე დაეხარჯა—საერთოდ კულტურის და, კერძოდ, ხელოვნების ფრონტის აღსადგენათ. არ იყო საკმაო იმიტომ, რომ სამოქალაქო ომში აჯანყებულ ბურჟუაზიის და შემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, და, მათ დამარცხების შემდგომ განსაკუთრებით,—უდიდესი მნიშვნელობის საკითხად დაისვა საკითხები სამეურნეო, ეკონომიურ ფრონტის გამაგრებისა, განმტკიცებისა და წინ-წყაენისა. გარდა იმისა, რომ თვით სამხედრო გამარჯვებისათვის საჭიროა ეკონომიური სიძლიერე, გამოირკვა, რომ თვით ეს სამხედრო გამარჯვებები მხოლოდ დროებით სწყვეტენ საკითხს პროლეტარულ ხელისუფლების არსებობისა: ე. ი. მარტო სამხედრო ფრონტებზე გამარჯვება—ვერ გვაძლევს პირობებს ხანგრძლივ, ნორმალურ არსებობისა და განვითარებისა, თუ კი პროლეტარიატმა ვერ შესძლო გადაჭრა მეორე—უდიდესათ მნიშვნელოვან და თითქმის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხისა—მოვაწყობთ თუ არა ჩვენ ახლო დღეებში და თვეებში ჩვენს მეურნეობას, აღვადგენთ თუ არა ტრანსპორტს, მოვაგვარებთ თუ არა ფინანსებს, შევძლებთ თუ არა ეკონომიურათ დაუკავშიროთ გლეხი ქალაქს, მუშა სოფელს—ე. ი. შევძლებთ თუ არა მოგვარებას და შემდეგ წინ წაყვანას ჩვენი,—საბჭოთა ქვეყნების,—მეურნეობისა, ეკონომიკისა, თუ კი გამოირკვეოდა, რომ ჩვენ ამას ვერ შევძლებთ, რომ სამოქალაქო ომებიდან გამარჯვებულათ გამოსული მუშათა კლასი—უძღურია მოავაროს ქვეყნის მეურნეობის საკითხები, უძღურია აღადგინოს ტრანსპორტი, გააჯანსაღოს ფინანსები—ცხადია, მაშინ საკითხი პროლეტარულ ხელისუფლების არსებობისა თავისთავად გადაწყდებოდა მისრ აუცილებელი დალუპვით. ვერავითარი მარტო სამხედრო გამარჯვებანი—კიდევ რომ დაუშვათ მათი ხანგრძლივი შესაძლებლობა ეკონომიურად განადგურებულ ქვეყანაში—ამას ვერ ავაშორებდა; ეკონომიურად ძირ-გამოთახრილი—ჩვენ აუცილებელი დაინერგოდით და ეს იქნებოდა არა მარტო ჩვენი დალუპვა, არამედ საერთაშორისო მასშტაბით პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული დისკრედიტაცია და სოციალიზმის განხორციელების შანსების უდიდესათ შემცირება მთელ მსოფლიოში—ამ ისტორიულ ხანის გასწვრივ.

ასეთი მნიშვნელობა მიეცა მეურნეობის საკითხებს და, ცხადია, რომ მთელი პროლეტარიატი და მისი ავანგარდი—კომუნისტურ პარტიის სახით, წარ-



მოუდგენელი ენერჯით, თავგანწირვით და შრომის მოყვარეობით ამ საკითხების გადაწყვეტას.

და, აი, აქაც ხელოვნება—ლიტერატურის საკითხები—ცხადია, ვერ ითავაშებდნენ ისეთ როლს, ვერ დაიკავებდნენ ისეთ პოზიციებს, რომლებიც მნიშვნელოვნად დაეხმარებოდნენ პარტიას და ხელისუფლებას ამ საკითხის მოგვარებაში. უკანასკნელნიც ვერ შიამოკნებდნენ ასეთ პირობებში საკმაო ყურადღებას და ვერც საკმაო მორალურ, მატერიალურ და ცოცხალი ძალებით დახმარებას მისცემდნენ მას. თუმცა, თავისთავად გასაგებია, რომ საბჭოთა ქვეყნების არსებობის ამ პერიოდში—დანგრეულ მეურნეობის აღდგენის ცდის პერიოდში—შედარებით უფრო წინ წამოიჭრა, უფრო მალღობი პოზიციები დაიჭირა საკითხებში ხელოვნება—ლიტერატურის,—ობიექტიურად და ფსიქოლოგიურად უფრო მეტად შეიქნა შესაძლებელი მასზე ფიქრი და ზოგიერთ არა ბევრი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება:—მაგრამ მთელი სიგრძე-სიგანით თავის შინაარსისა და მნიშვნელობისა ხელოვნება, ცხადია, ახლაც ვერ გაიშლებოდა.

ხელოვნების ღმერთები სდუმან არა მარტო მაშინ, როდესაც ხმაურობს იარაღი და გაჩაღებულია სამხედრო ბრძოლა, როდესაც ვინტოვკას უჭირავს სიკვდილ-სიცოცხლის დღის წესრიგის პირველი ადგილი, როდესაც სისხლი იღვრება და ფიზიკური ძალა სწყვეტს საკითხს, თუ ვინ უნდა იყოს:—წითელი თუ შავი—არა მარტო ასეთ დროს სდუმან პოეზიის ღმერთები—არამედ მაშინაც, როდესაც სდუმან გუშინ ხმაურობა-გრივანში მომუშავე ფაბრიკა-ქარხნები, როდესაც ქვეყანას ენერჯია ეკონომიური საფუძველი და განადგურებულია მისი მატერიალური სიმდიდრის შექმნელი წყაროები.—თურმე მაშინაც სდუმს მუშა. და ეს იმიტომ, რომ კულტურა საერთოდ, კერძოდ, ხელოვნება იკვებება და საზრდოობს იმ სასმელ-საჭმელით, რომელიც შეუძლია მისცეს მას ქვეყნის მეურნეობამ. რამდენად უფრო დაბეჭავებული და დატინებულია ეს უკანასკნელი, ცხადია, იმდენით ნაკლებ საკვებს მიიღებს მისგან კულტურა-ხელოვნება.

თვეების განმავლობაში პროლეტარიატმა შესძლო სამხედრო გამარჯვებების შეტევა—მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი ხასიათის გამარჯვებების მოპოება სამეურნეო ფრონტზეც.

საბჭოთა ქვეყნების თვალუწვდენელ მიწა-წყალზე გაფანტული კლასი—სოციალიზმის მშენებელი, კვლავ შეიკრება თავის ქვეყნის დოვლათის და სიმდიდრის შექმნელ ლაბორატორიებში, სიკვდილის სუდარით შემოსილი ფაბრიკა-ქარხნები კვლავ ამოძრავდნენ და ამუშავდნენ, —სოფელი, რომელმაც იცოდა მხოლოდ ბრძოლები და შეილების გზაზეა ამ ბრძოლებში,—მაგრამ არ იცოდა დათვისად პურს მოიმკიდა თუ არა და თუ მოიმკიდა, მოიხმარდა თუ არა თავისთვის,—თან და თან ნორმალურ არსებობის და მუშაობის კალაპოტში ჩადგა; მემამულეთაგან ამდენი მსხვერპლის გაღების საფასურით—ჩამორთმეული მიწა—მას შეუძლია იღეს დახანა-დათესოს და ნაყოფი თავის სასარგებლოთ, თავის ეკონომიურ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ და სამეურნეო საფუძველის გასამაგრებლათ მოიხმაროს. ანავე დროს თან-და-თანობითვე გაიბა და გაიმაგრდა ეკონომიური კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის. გლეზმა ნათლად, სინამ-



დვილესი დაინახა, რომ ახალ, —მუშათა კლასის, —პატრონიზმის განხორციელება არა მარტო მიწების ჩამორთმევა შემამულეთაგან და შემდეგ სისხლის მატარებელი ომები ამის შესანარჩუნებლად — არამედ, აგრეთვე საჭირო საქონელ-საგნების მიღება ქალაქიდან და თავისი საქონლის გატანა და გაყიდვა იქ.

შეიქმნა პდგომარეობა, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია უწოდოთ —საბჭოთა რესპუბლიკების მუშაობის, არსებობის და განვითარების შედარებითი მშვიდობიანური ხანა. სამოქალაქო ომი შინა ტერიტორიაზე დამთავრდა, ვარგზე მტრები მოგერებულ იქნა დროებითი მაინც, —ეკონომიურ აღორძინების ფრონტზე მრავალ მნიშვნელოვან გამარჯვებებს მივაღწიეთ; ქვეყანაში შეიქმნა შესაძლებლობა არა მარტო ძველის აღდგენის და განახლების, არამედ ახალ მატერიული სიმდიდრეთა შექმნისაც, ამავე დროს ისიც ნათლად გამოიჩინა, რომ ამ სიმდიდრეთა შექმნა ზდება თავის უდიდეს ნაწილში სოციალისტურ საფუძველზე აგებულ წარმოების საშუალებით — რაიც, ცხადია, თავის დაღს ამზნევს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

გლებობის გადადგომის საფრთხე თავიდან იქნა აცილებული —პარტიის მიერ ამ საკითხში სწორი და ზიზან შეწონილი დათმობითი ხაზის აღებით. წინათ —იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე —დასაგრულ ნაციებს შიგნით ყოველგვარი საშუალება და დახმარება მოაწყონ თავიანთი ცხოვრება და ბედ-იღბალი თავიანთ სურვილების მიხედვით.

საბჭოთა რესპუბლიკები შეიქმნენ საერთაშორისო პოლიტიკის და ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამავე დროს გაირღვა ჩინეთის კედელი, რომელიც ოქტომბრის დღეებიდანვე აღმართა პროლეტარულ ქვეყნების გარშემო მსოფლიო ბურჟუაზიამ: კედელი —ბლოკადისა და ბოიკოტისა. მოკლეთ: შეიქმნა პირობები შედარებით ნორმალურ, მშვიდობიანურ, „ჩვეულებრივ“ არსებობა —განვითარებისა. მუშათა კლასის და კომუნისტური პარტიის, როგორც მისი ავანგარდის, ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყნების მრავალ-მილიონიანი ხალხები და ნაციები ჩაებნენ ყოველ-დღიურ აღმშენებლობითი —საქვეყნო სიმდიდრის დამგროვებელ მუშაობაში.

რევოლუციის გადაარჩა დამარცხების უშუალო საფრთხეებს —სამხედრო და სამეურნეო საკითხების დროულ დასმით და სათანადო მოგვარებით.

შესაძლო შეიქმნა უკვე მნიშვნელოვან ყურადღების მიქცევა მესამე —კულტურის ფრონტის საკითხებისადმი —მათ შორის ხელოვნების საკითხისადმიც.

და იმდენათ, რამდენათაც ჩქარი ტემპით და ნაბიჯით იწყო წინსვლა ჩვენმა მეურნეობის აღორძინებამ —იმდენათვე კულტურის საკითხები თან-და-თან უფრო იშლებიან, უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობის და ყურადღების ღირსს პოზიციებს იკავებენ.

— მეორე მხრივ, გამარჯვებულ კლასს და მის პარტიას —საშუალება მიეცა ეხლა უკვე მეტი ყურადღება მიექციონ მე-3 ფრონტის საკითხებს, მეტი ენერჯია დაახარჯონ მათ, მეტი ძალები —თავის თავად არა ბევრი ჯერ კიდევ, მაგრამ შედარებით წარსულთან საქმათ ბევრი ძალები გამოჰყონ. და ეს მით უმეტეს, რომ სამეურნეო აღმშენებლობითი მუშაობის პროცესში გა-



მოიძრება: კულტურა და ხელოვნება—არა მარტო იკვებება მათგან, არამედ ხარჯ-ზე, არამედ უდიდესათ შინაშენლოვან გავლენას ახდენს თვით შინაგანწიარება—აღორძინებაზე. კულტურის სხვა საკითხებში—ხელოვნების საკითხმაც მიიპყრო ყურადღება: ეხლა მისთვისაც მოინახა ქვეყნის მეურნეობაში საჭირო საკვები და პროლეტარიატსაც აღმოაჩინდა თავისუფალი ძალები ამ დარგში სამუშაოთ. მეორე მხრივ, —რასაც აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს—საერთოდ შეიქნა პსიქოლოგიური შესაძლებლობანი ხელოვნების საკითხებით დინტერესებისა—და ეს არა მარტო მათგან, ვინაც ხელოვნების სპექტბათ ითვლებიან—არამედ საერთოდ ხალხის ფართო მასებისაგან.

— თუ ერთის მხრივ ჩვენ ვხედავდით—როგორ იცვლებოდა და ძალიან ჩქარაც ვინტოვებები კალმით მათ ხელში—ვინაც თავის თავს უკანასკნელის სპეცად უფრო თელის, ვიდრე პირველის—მეორე მხრივ ხალხის ფართო მასები გასაკვირველი და ჯერ არ ნახული ინტერესით ეკიდებიან კულტურის საკითხებს, ხელოვნებაც გამოდის ფართო ისპარეზე საკმაოდ გაშლილ ფრონტით.

ხალხის ფართო მასების აქტივობის ზრდა, თვალთახედვის ჰორიზონტის გიგანტიური გაშლა—რაც საერთო შედეგი იყო იმ უდიდესი გადატრიალებას, რომელიც რევოლიუციამ მოახდინა მასებში—კულტურის და, კერძოთ, ხელოვნებისადმი ინტერესის არაჩვეულებრივ ზრდაშიც იჩენს თავს. იზრდება მოთხოვნილებანი კულტურული საკითხებისადმი. ობიექტიურადაც შესაძლებელი ხდება ამ მოთხოვნილებებისათვის საჭირო ანგარიშის გაწევა და მათი, ნაწილობრივ მაინც, დაკმაყოფილება. ყოველივე ეს ღებულობს გიგანტიურ ხასიათს თავისი მასიურობით და სიღრმით.

იწყება ეპოქა მთელი კულტურული რევოლიუციისა—მთელი ხალხების ცხოვრებაში. ახალი საფუძვლები ეყრება თვით კულტურას, ახალ მოთხოვნებს უყენებენ მას. რევოლიუციის განვითარების, წინ-სელის ხანაში ახალი დრო დადგა და რევოლიუციის ადამიანებიც შესაუფრისად მოქმედებენ: კულტურის ფრონტს ძალები და ენერგია შედარებით საკმაოდ ეძლევა.

იარალის ელარუნე წყენს მუხას—ფაბრიკა-ქარხნების ხმაური და ვლესის მშვიდობიანური ღიღინი კი—პირიქით. მათთან ერთად იგიც ხმაურობს—თუმცა ხშირად არა სავსებით მათ კილოზე და მათ სასარგებლოდ. რევოლიუცია უდიდესი „უტილიტარისტია“. რევოლიუციონერებიც ამდაგვარები არიან. ყოველგვარ საკითხს ისინი უდგებიან უტილიტარული თვალთახედვით: სასარგებლოა უმთავრეს მიზნისათვის—ეს კი არის რევოლიუციის გამარჯვება, სოციალიზმისაკენ სვლა—თუ არა? სარგებლიანობის თვალთახედვა—რევოლიუციის უდიდესი კანონი არის. იდეალისტები აქ რევოლიუციის შეურაცყოფას დაინახავენ! მერმეთ რა!? განა ისინი ვაიგებენ ოდესმე იმას, რომ რევოლიუციის ეს უსაშინელესი უტილიტარიზმი—კარგია ის, რაც სასარგებლოა—ემსახურება კაცობრიობის უკეთილშობილეს და უმშვენიერეს ოცნების და იდეალების განხორციელებას—კომუნისტური წესწყობილების დამყარებას?! რევოლიუციისაგან „კუთხეულია“ ის ტყვია, რომლითაც განიგმირება გული იმ მთავარსარდალისა,



რომელიც რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ ძალებს ხელმძღვანელობს! რადუნდა გენიოსი არ იყოს ის მთავარსარდალი: შეიძლება მით უფრო!

რევოლუცია არასდროს არ აბატობს გილიოტინას რომესპიერის თავს! ლაეუაზიეს სიცოცხლის მოსპობას კი — მხოლოდ გაუგებრობათ სთვლის!

— სარგებლიანობის კანონით უდგება რევოლუცია კულტურა — ხელოვნების საკითხებსაც. დღეს ეს კანონი მოითხოვს უდიდეს ყურადღებას ამ საკითხებისადმი. რადგან ეს აუცილებელია და სათანადო საშუალებანიც არის. მაგრამ — ყველამ ვიცოდეთ:

დადგება დრო — ჩვენ ვერ ვიტყვით, როდის დაპკრავს მისი ეამი — ვიმედოვნებთ მოვესწრებით! — კვლავ ახმაურდებიან ბრძოლის უფრო ავტორიტეტული საშუალებანი — ვიდრე კალამი და ქალაღია: თოფ-ზარბანენი, დადგება ოქტომბრის დღეები იქ, სადაც დღეს მეფობს ცანკოვის საბრძოლელა და მორგანის ჯიბე — და ჩვენ კვლავ ვიქნებით ისეთი, როგორიც ვიყავით ჩვენი ოქტომბრის და შემდგომ ბრძოლების დღეებში. და თუ კი ჩვენი ძალა და ღონე საჭირო შეიქნა „იქ“ — ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს აუცილებელივ ასეც იქნება — მაშინ ბევრი მათგანი, რომლებიც დღეს კალმით და ქალაღლით ემსახურებიან გამარჯვებულ რევოლუციას — კვლავ შეცვლიან მათ ვინტოვებზე პოეზიის მოედანზე ცოტანი დარჩებიან მათ შორის, რომლებიც რევოლუციის ბანაკში ყოფნას არჩევენ მოწინააღმდეგეთა ბანაკს. და ვინც დარჩებიან — ისინიც ან დაწმენდებიან სულ, ან და მუზას სამხედრო სამსახურში გაიყვანენ.

ისტორიულ მნიშვნელობის შეიარაღებულ შეტაკებების დროს კალამს ეკარგება საფასური.

პოეზიის და საერთოდ ხელოვნების ოსტატებმა ეს კარგად იცოდნენ! რადგან ვინ იცის რას გვპირდება ხვალინდელი დღე!

„В 18 и 19 гг. на фронтах не редкость было встретить воинскую часть, движение которой открывалось конной разведкой и замыкалось телегами с артистами, артистками, декорациями и всяческим реквизитом. Место искусства вообще — в обозе исторического движения. При разных переменах на наших фронтах телеги с актерами и декорациями оказывались нередко в затруднительном положении, не зная, куда податься. Попадали и к бедям. Не менее затруднительно положение всего искусства, застигнутого резкой переменой на историческом фронте.“¹⁾

და თუმცა „ხელოვნების უმანკო ინსტიტუტებს“, რომლებიც მხოლოდ სიზმარში თუ არ ყოფიან — არანც თუ ხელოვნებას? — თავის საკუთარ თავსაც — ძალიან ეწყინებთ, —

ჩვენ მაინც ვიტყვით:

ეს მშვენიერად არის ნათქვამი:

„Место искусства - в обозе исторического движения.“

მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ ჩვენ ოდნავათაც ვამცირებთ ხელოვნების მნიშვნელობას, ოდნავათაც უარეყოფთ იმ წონას და ფასს, რომელიც მას

¹⁾ Л. Троцкий „Искусство революции и социалистическое искусство“.



აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საერთოდ ადამიანის წინსწობებაში. ჩინაკვირველია არა. ჩვენ მხოლოდ ვაქუთნებთ მას იმ ადგილს, რომელიც მისი ხეცს სინამდვილეში და აღწინააღმდეგეთ იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს მისა და რევოლუციას შორის.

ცხადია—„არა მარტო პურით ცხოვრობს ადამიანი“; უკანასკნელი, სხვათა შორის, მითაც განიჩრჩევა ცხოველებისაგან—რომ მისში ეს მისწრაფება „არა მარტო პურისადმი“—ულრესად განვითარებულია, როგორც მისი ძირითადი თვისება. ეს რომ ასე არ იყოს მაშინ—ლორსა და ადამიანს შორის—დიდ გარჩევას ვერც ვნახავდით. და ეს მისწრაფება—„არა მარტო პურისადმი“ მით უფრო ძლიერება, რაც უფრო წინ-წასულია კულტურულად ადამიანი, რაც უფრო მეტად აქვს შეგნებული მას ცხოვრების და განვითარების კანონები. რასაკვირველია ეს ასეა—მაგრამ ისიც ასეა—და ამას გვერდს ვერ შევუვლით,—რომ ადამიანი იმ საზოგადოებრივ წესწყობილებაში უფრო ახერხებს „კულტურულ წინ-სულას“, რომელშიაც „პურის“ საკითხი მოგვარებულია. რაც უნდა უწინა და ულამაზო არ იყოს ეს—მაინც ასეა: ტვინს საზრდოს კუჭი აძლევს. გიოტეს გენიალური აზროვნების უჯრედები არარაობათ იქცეოდნენ, რომ გიოტეს კუჭს უარი ეთქვა მათთვის საზრდოს მიცემაზე.

სენტინენტალობის ნასახივ არ არის, როდესაც ამბობენ: რამდენი ნიჭი იკარგება შიმშილობის გამო. ყველაზედ უკეთ ეს თვითონ ხელოვნების შეილება იციან!

იმ ადამიანთა საზოგადოებაში, რომელთა „კუჭი“ შიმშილობას განიცდის „უპრობით“—ხელოვნებას ძალიან ნაკლები ადგილი აქვს და ყურადღებაც. იმ საზოგადოებრივ წესწყობილებაში კი—სადაც პურის საკითხი საბოლოოდ იქნება მოგვარებული—ხელოვნებაც დიდიკვებს ადგილს, რომელიც მას არას დროს არც ერთ ეპოქაში და წესწყობილებაში არა ჰქონია. სოციალისტური რევოლუცია,—რომელიც იარაღით ხელში იგერიებს თავის პოზიციებს—პურის საკითხის გადაჭრით—საბოლოოდ სწვევს ხელოვნების საკითხსაც.—იმ ვაგებით, რომ მას ენიჭება კაცობრიობის ისტორიაში, ჯერ არ ნახული, უდიდესი და უმშვენიერესი პოზიციები ადამიანის ცხოვრებისა.

კაცობრიობის ისტორია დღევანდლამდე, სხვათა შორის, იყო ისტორია კუჭის ბატონობისა—ტვინზე. სოციალისტური რევოლუცია მიზნად ისახავს მოხპობს ეს: სოციალიზმი ანთავისუფლებს აზროვნებას კუჭის ასეთ დიქტატორისაგან მით, რომ საბოლოოდ სწვევს პურის საკითხს. კაპიტალისტური წესწყობილებაში—ასეულ მილიონების ტვინი მხოლოდ იმაზედ ზრუნავს და ფიქრობს, რომ როგორმე კუჭს საზრდო მისცეს—სოციალიზმი თითქმის სრულებით ანთავისუფლებს ადამიანის აზროვნებას ასეთ „სამუშაოსაგან“. კამა-სმის საკითხი—არ იქნება მნიშვნელოვანი საკითხი—აზროვნებისათვის. იგი თავის-თავად მოგვარებული იქნება. ადამიანის გონება—ფიქრი—ოცნება—იქით იქნება მიმართული—რომ გაიგოს, შეისწავლოს და... დაიპყროს მთელი ბუნება.

კომუნისმის ადამიანი—სიტყბობებს ნახავს არა კამა-სმაში, არამედ ბუნების ახალ-და-ახალ საიდუმლოებათა ახსნა-გაგებაში. მაშინ იქნება ადამიანი ნამდვი-



ლი „მეფე ბუნებისა“. კეშმარიტად, რომ შეუძლიათ იამაყნენ ხელოვნების მებაირახტრეთ!

რადგან ხელოვნებაც სწორედ ამას ემსახურება!!

II. ხელოვნება... ვისთვის?

იდეალისტები—ასეთები კი ბლომათ მოპოვებიან ხელოვნების ხელოსნებში—ამ კითხვაზე ტუჩებ აწვეით უპასუებენ, რახაკვირველია: ხელოვნებისათვის. სხვა მნიშვნელობა და დანიშნულება ხელოვნებას—გარდა იმისა, რომ „თავის თავს ემსახუროს“—მათი აზრით, არა აქვს. ხელოვნება თავის თავში ნახულობს მიზანს და დანიშნულებას. ის—თვითფასურია, თვითმიზანია.

ხელოვანი—ნამდვილი ხელოვანი (ხშირად უმატებენ ხელოვნების იდეალისტები—როდესაც რაიმეს ქმნის:—სწერს, აქანდაკებს, ხატავს,—ის არავითარ გარეშე ამოცანას და მიზანს—თავის მოქმედებას, თავის შრომას არ უსახავს გარდა ერთისა; ავტორი, ნაწარმოების ავტორი—ე. ი. თვითონ ის—დარჩეს მით კმაყოფილი—როგორც „წმინდა“ ხელოვნების სალაროში ახალი განძის შემტანი.

იქ სადაც ხელოვანი—პოეტი, მოქანდაკე, მხატვარი, მუსიკოსი—გარდა ამისა:—ნაწარმოები ნაწარმოებისათვის—კიდევ სხვა რაიმე დანიშნულებას აძლევს თავის შრომას, მოქმედებას—იქ—ხელოვნება ილაზება, მისი პრინციპები თითქმის ტალახში იხვრება და შედეგიც შესაფერი იქნება: ნაწარმოები არ ვარგა; ხელოვნების სალაროში ის ვერ შევა, როგორც რაიმე მნიშვნელოვან ფასის მქონე. შრომა დაკარგულია—შედეგი უნაყოფო.

ასეთი ხელოვანი ვერ ამართლებს დანიშნულებას—ხელოვნებაშივე: ნახოს თავის გამართლება და საფასური—ის არ მიდის ხელოვნების სწორი გზით; ის ამახინჯებს ხელოვნების არსს და სულს.

ასეთი ხელოვანი—ხელოვნების ქურღმი არ არის.

კითხვა—პასუხი.

კითხვა: საზოგადოებრივი ინტერესები?

პასუხი: ჩვენ იგი არ გვესმის ხელოვნებისათვის.

ხელოვნებას თვით აქვს საკუთარი ინტერესები—რატომ მათ არ უმორჩილებთ საზოგადოებრივ ინტერესებს?

კითხვა: ხალხის სამსახური?

პასუხი: ეს იგივე კითხვაა. თუ ვნებავთ, ჩვენ უდიდესი მოსამსახურენი ვართ ხალხის—მას ვაძლევთ უძვირფასეს საგანძურს—ჩვენს ხელოვნებას. ვისაც შეუძლია—დატკბეს მით, ვისაც არა—ეს ჩვენი საქმე და ბრალი არ არის. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვაძლევთ მას იმას,—რის მიცემის სურვილი და უნარი გვაქვს. და ბოლოს სხვა რომ არა იყოს რა, ნაჩუქარ ხარს კბილს არ უშინჯვენ.



ასე მსჯელობენ „წმინდა“ ხელოვნების „წმინდა“ იდეალიზატორები? ხშირათ შეიძლება გულწრფელათაც. ეს ხომ ასეა: იწამეთ და „წმინდა“ სასწაულის აუცილებელი მოახდენს მსჯელობენ და ფიქრობენ: ისეთ სიმაგრეზე ვდგევართ— აბა ვინ შეგვარყვესო!

კითხვა: შეიძლება თქვენ მართლაც ასე ფიქრობდეთ,— მაგრამ როგორ გვინათ,— როდესაც თქვენ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ პრინციპების მიხედვით რაიმეს „ჰქნით“— თქვენდა დაუკითხავათ, თქვენგან დამოუკიდებელი, თქვენს ნაწარმოებში— ნახულობს თუ არა ასეთ თუ ისეთ ასახვას და გამოძახილს— თქვენს გარშემო არსებული პირობები: ადამიანთა ურთიერთობისა, საზოგადოებრივ აზრის მდგომარეობისა, წარმოიდგინეთ პოლიტიკური ვითარებისა და... არ შეშინდეთ! შეიძლება: ზენა-თესვის მანქანების, ფაბრიკა-ქარხნების მიღების (თუ კი ასეთები არსებობენ), ბაზრისა და ფულის მდგომარეობისა—?

აბა დაუკვირდით: შეიძლება თვით ეს თქვენი მტკიცე შეხედულება— ხელოვნების არსზე და მნიშვნელობაზე, — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“— ანარქელი, შედეგი იყოს, რაიმე სრულებით არა ხელოვნების და ესთეტიკის დარგის პირობებისა: თუ გინდ, აი, თვით პოლიტიკურ ხასიათის პირობებისა.

აბა დაუკვირდით.

პასუხი: სისულელეა. ჩვენ სრულიად თავისუფალნი და დამოუკიდებელნი ვართ ჩვენს შემოქმედებაში. ესწერთ იმაზე რაზედაც გვსურს, ან რას უფრო ვგუბა ჩვენი ნიჭი. მე-20 საუკუნეში ჩვენ ვაღვიძებთ, საშუალო საუკუნეებს, საშუალო საუკუნეებში კი ვხედავთ და სხვებსაც ვაძეკვრინებთ მომავლის სახეს. ჩვენ თავისუფალნი ვართ.

Не кливите мудрые, что Вам до меня!

Я ведь только облачко полное огня,

Я ведь только облачко, видите, плыву

И зову метателей, Вас я не зову!!

(ქ. ბალმონტი).

„მზის პოეტის“ ისტორია.

რომ ბალმონტი— „მზის პოეტით“ წოდებული— მეოცნებეთ ეძახდა და ეძახის ეს, რასაკვირველია, არაფერს ამბობს— ხელოვნების მეოცნებეთა წინააღმდეგ.

მაგრამ— ჩვენ ვიცით ის, თუ რა პირობებში და როდის იყო ბალმონტი განსაკუთრებით მეოცნებე და ხშირად თუ როგორ ხასიათს ლებულობდა მისი ოცნებობა. ჩვენ ეს კარგათ ვიცით, იმიტომ რომ კარგათ ვვახსოვს: იყო დრო, როდესაც „მზის პოეტი“ მჭედლის გრდემლს უმღეროდა— ხელოვნებას ამსახურებდა „ხალხს“. მართალია, ეს ძალიან ხან მოკლე ვადის გამოდგა— სულ რამოდენიმე თვე გაგრძელდა ეს „სამსახური“— სწორედ იმდენი, რამდენიც ვასტანა



ხანამ—1905 წლის რევოლუციის მეთაურ კლასის შედარებითი წევრულულებისა, იმ ხანამ—რომლის დროსაც საფიქრელი იყო, რომ „ხალხი“ ცარიუტყუბდა.

ბალმონტი ხალხის გამარჯვების—უკავშირდება ხელოვნების საკითხს; ემსახურებოდა მას. „მზის პოეტი“ ფიქრობდა, რომ გამოიხატეს საერთო ენა—მისმა ლექსმა და პიტერის მუშის არამც თუ ჩაქურმა,—არამედ ვინტოვკამაც იგი ცდებოდა:

მან გამოიხატა საერთო ენა არა მუშის ჩაქურთან და აჯანყებულ ვინტოვკებთან,—არამედ იმ შესაძლებლობასთან, რომელსაც იგი ხედავდა მუშის გამარჯვებაში და, რომელიც მისთვის ნიშნავდა: „თავისუფლების“, „ძმობის“ და „ერთობის“ გამარჯვებას.

და, როდესაც ეს გამარჯვება არ მოხდა,—აჯანყებულთა ვინტოვკები და-მარცხდნენ მეფის მთავრობის ვინტოვკებისგან—მაშინ: თავის თავად გაქრა და „დაწყდა“ ის ძაფები, რომელიც შექმნა „მზის პოეტის“ თანტახიამ—თავისა და 1905 წელს შორის. მაშინ სთქვა მან:

И зову мечтателей, Вас я не зову!

და წაეიდა ბალმონტი საბოლოოდ წმინდა ხელოვნების ცაში. სწერდა იმას, რაც მას სურდა და ისე, როგორც მას სურდა. და... გამოდიოდა: ის, რაც მას სურდა და როგორც სურდა—აგრეთვე სურდა—ევროპის კულტურით გარედან შეღამაზებულ შვილებს—რუს კაპიტალისტებისა და მემამულეებისა, რომლებმაც ძალიან ეხერხებოდით მამათა და მამების მამათა ქონების შეთანხმება მათი ხანდისხან სიტყვიერ ლანძღვასთან და... წმინდა ესთეტიზმთან.

„თავისუფალი“ პოეტი ბალმონტი სასწაულებრივ სწორედ ამით „გემოვნებას“ აკმაყოფილებდა. სწერდა იმას და ისე—რაც და, როგორც ახალგაზრდა განათლებულ რუს შოინტელიგენტო... როგორ ვთქვათ?,—კომერსანტებს—ამ სიტყვის ყოველმხრივი გაგებით,—მოესურვებოდა.

აბა დააკვირდით კარგათ,—ხელოვნების იდეალისტებო—„მზის პოეტის“ ბედს—როგორ ანგრავს, აცამტვერებს იგი—თქვენს მაგარ და აუღებ პოზიციებს: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“!

ჩვენ არაფიქრობთ იქვი არ შეგვდის, თუმცა საბუთები კი გვაქვს ამისაც—ვიფიქროთ, რომ ბალმონტს გულწრფელად არ სწამდა თავის სამსახური მხოლოდ „მზის“ წინაშე! მაგრამ სინამდვილეში კი გამოდიოდა ის, რაც მოხდა. მოხდა კი: მას მერე რაც ევროპის კულტურით დამყარდა რუს... კომერსანტებმა*) დაკარგეს ოქტომბრის რევოლუციით ბევრი თავისი იდეალები და... მამა-პაპათა მიერ დატოვებული ფაბრიკა-მამულები და მეფის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ლამაზ და ხვევრდოვან სიტყვებით აფერადებული ოპოზიციის შესცვალეს—სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლის პოზიციით—წითელ-დროშავან „შავ“ მუშების და „ტილიან“ გლეხების წესწყობილების მიმართ—მის მერე—სად გაჰქრა ბალმონტის „მზის პოეტობა“, სად გაჰქრა მისი საოცარი ხმები სილამაზის, მშვენი-

*) რომ არავინ დაგვრჩეს ნაწვენი ვიმეორებთ: ძალიან ფართოდ და ღრმად გაიგეთ ეს სასელწოდება—განსაკუთრებით თქვენ—ხელოვნების იდეალისტებო! თქვენთვისაც გვაქვს ამ ცნებაში საკმაოდ ფართე ადგილი. ვ. ბ.



ერების და ოცნებობის შესახებ.. „ხელოვნება ხელოვნებისათვისაა და არა მხოლოდ მათთვის, ვინც იცის—ხელოვნებად: კალენდინის და იუდენიჩის ხიშტებზე მრავალჯერა დასაჯებისა—პიტერის და მოსკოვის პროლეტართა თავების!!“

რა შუაშია ხელოვნება იუდენიჩის ხიშტებთან და... მათზე აგებულ რევოლუციონერთა თავებთანო—პრანკვა-გრებით შემოგვედავებიან წმინდა ესთეტიზმის მოციქულები და ინვალიდები. ჩვენ ამ კითხვას უკანვე დავაბრუნებთ და... განვაგრძობთ.

პარიზის... თუ პრაგის—ეს სულ ერთია—კაფეებიდან და ჯერ კიდევ ბრილიანტების მქონე ნაღამების სალონებიდან ბალმონტი დრო გამოშვებით გვიგზავნიან—რევოლუციის ქვეყანას—სიძულვილის შხამით და ბოროტების ლეარდლით „ნიჭიერთა“ აშენებულ ლექსებს... რასაკვირველია, ეს ლექსები რევოლუციის ქვეყნისათვის ისევე საშიშია და საინტერესო, როგორც მათი ავტორის დღევანდელი წვერები—მაგრამ ჩვენი თემისათვის კი მეტად საინტერესოა. ისინი—ბოროტებით და სიძულვილით აღესილი ლექსები—ნათლად მოწმობენ: „უაზროდ“ ამ ქვეყნათ არაფერი კეთდება; ყველა ადამიანი რალიცის ემსახურება და, რაც უფრო დიდია ის, თავის გონებით, ან ნიჭით—მით უფრო დიდ საზოგადოებრივ წრეს—ემსახურება ის. მასთან არის დაკავშირებული: თუ გინდ არც იცოდეს მან თვითონ ეს. ასევე პოეტებიც.—საერთოდ ხელოვანებიც.

ისტორია იმის შესახებ—თუ როგორ ვადიქცა „მზის“ პოეტი პოეტად იმ „მზისა“, რომელიც ჯიბეში ჰქონდა ფულის სახით რუს კაპიტალისტს და მემამულეს და იმ „მზისა“, რომელიც გულ-მკერდს ბრჭყვიალით უმშვენებს იუდენიჩს, ან დენიკინს შეფის ორდენების სახით—ისტორია ამის შესახებ—ბევრს რამეს, ნათელს და ყველასათვის გასაგებს—ამბობს ვასაბათილებლათ იმ „სიმავრისა“, რომელზედაც უდარდლათ სხედან... ცხოვრებისა და მის განვითარების კანონებისგან „სრულიად თავისუფალი“ ზოგიერთი მოქალაქენი ხელოვნების სამყაროსი.

ჩვენ დავინახეთ თუ როგორ დასდევს განუწყრკლად ეს „თავისუფლება“ და „პატროსნურად“ ემსახურება ინტერესებს იმ კატეგორიის ადამიანებისა—რომლებთანაც რწმენით და მდგომარეობით ახლოსაა პატრონი ამ „თავისუფლებისა“, მაშასადამე, თვით ხელოვნებაც...

ხელოვნება ხელოვანების სახით ყოველთვის ემსახურება რაიმეს და ვისმეს, შეიძლება სრულიად დამოუკიდებლათაც მათგან, ვინც ამ სამსახურს ეწევა. ისტორია ამას ნათლად ამტკიცებს.

კერძოთ „მზის პოეტის“ ისტორიაც.

ლოცვა და მათრახი.

და არა მარტო მზე—ნამდვილი, სიცოცხლის სხივების მფენი მზე,—იქცევა საჭიროების და მიხედვით გენერალ იუდენიჩის გულზე მიკრულ, სიკვდილის და განადგურების მთესავ ბრჭყვიალი მედლათ—არამედ ხშირად ლოცვა ცის წინაშე, ცოემლები დაღვრილი „მაცხოვრის“ ხატთან—ხაზრჩობელათ იცვლება, რომელზედაც—წინათ ლოცვის მოყვარულს და მაცხოვრის ხატის წინაშე ცრემლათ-



მღერეს—მრავლად აყავს დღეს ადამიანები იმ ბანაკიდან, უჩვეულებურ ვეშ-
ებთან... რას?

ნუ თუ ლოცვა-კურთხევას, ქრისტეს ხატის წინაშე ცრემლების ღვრას?!
ადამიანებს იმ ბანაკიდან,—რომლებმაც გაბედეს და სთქვეს: ჩვენც გვინდა ვი-
არსებოთ ისე, როგორც შეფერის ადამიანს. ჩვენ გვინდა ავმაღლდეთ კულტუ-
რულათ, მოვიპოვოთ პირობები ამისათვის საჭირო; ჩვენ—სხვათა შორის—გვინ-
და ლექსებიც ვიკითხოთ. ამის საშუალებას არ გვაძლევს თანამედროვე წეს-
წყობილება; ეს „უსამართლობაა“ და ჩვენ—მილიონები ვებრძვიით მას: რომ მო-
ვიპოვოთ პირობები ადამიანური არსებობისა—ჯერ-ჯერობით მხოლოდ.

მერმეთ! შენ რა გაქვს ამის საწინააღმდეგო—ლოცვის და მაცხოვრის ხატ-
ის პოეტო! შენ ხომ მხოლოდ შენს თავს და შენს ხელოვნებას ენახებრები—
ლოცვით და ხატის ცრემლებით?!—როგორც თვითონ ამბობ!

—ადამიანის ბუნების აუცილებელი და ბუნებრივ მოთხოვნილებათ მიმან-
ნია მე—ლოცვა. ყოველივე ადამიანი ან ლოცულობს აუცილებელი ან და მის-
წრაფვის ლოცვისაკენ. სულ ერთია ესმის მას ეს თუ არა, სულ ერთია როგორ
ფორმაში ისხმება ეს მისი ლოცვა და რომელ ღმერთს მიმართავს. ის, ფორმა
დამოკიდებულია თვითეულ ჩვენთაგანის ნიჭზე და მიდრეკილებაზე. პოეზია სა-
ერთოდ, კერძოდ ლექსი, სიტყვიერი მუსიკა—ეს მხოლოდ ერთი ფორმათაგანია
რომელსაც ღებულობს ჩვენს სულში ლოცვა.*)

Беспощадна моя дорога,
Она меня к смерти ведет,
Но люблю я себя, как бога,
Любовь мою душу спасет.

ქალბატონი ვიბუსი აგრძელებს „განა ჩვენ დამნაშავენი ვართ იმაში,
რომ თვითეული „მე“ შეიქმნა რაღაც განსაკუთრებული, მარტოხელი,
მოწყვეტილი სხვის „მე“-ს, და ამიტომ სავსებით უცნობი და უნა-
ყოფო მისთვის? ჩვენ ყველას წარმოდგენელი სიძლიერით გვინდა,
გვესმის, ჩვენთვის წარმოდგენელი ძვირფასია—ჩვენი ლოცვა,
ჩვენი ლექსი,—გამოსახვა ჩვენი გულის წუთიერი ავსილობისა.
მაგრამ მეორეს, რომელსაც აგრეთვე აქვს საკუთარი, საყ-
ვარელი „თავისი“—მას არ ესმის, მისთვის უცნობა ჩემი ლოცვა. შეგ-
ნება მარტოობისა კიდევ უფრო აცალკევებს ადამიანებს, აცილებს
ერთი მეორეს—ისინი მიდიან და იმალებიან თავთაგანთ „სულში“.
ჩვენ გვრცხვენია ჩვენი ლოცვის და, ვიცი რა, რომ სულ ერთია
შაინც ვერ შევერთდებით მათში ვერავისთან—ვამბობთ, ვაწყობთ
მათ—ლოცვებს—ჩემათ, ნახევარი ხმით, ჩვენთვის, ნიშნებით—რომ-
ლებიც ვასაგებია მხოლოდ ჩვენთვის.*)

მხოლოდ იმიტომ, რომ ყველას ვაჩვენოთ, თუ როგორი იდეალისტი, „უშან-

*) В. Гиппиус, Сборник стихов, Предисловие.

*) იქიდანვე.



კო^ა და „წმინდა“ აზრების მტარებელი პოეტია—ქალბატონი მარტოზა მყოფი-
ნეთ ჩვენ ასეთი ვეებერთელა ამონაწერი მას დასახელებულ წერილიდან.

მარტოზაში მყოფი, მხოლოდ ლოცვა-კურთხევის და ცრემლების შემხედ-
ვარე—პოეტი ქალი რამ უნდა დააინტერესოს „აქაურობაში“!

ადამიანი მას ვერ გაუგებს და მასაც არ ესმის სხვისი. საზოგადოება მის-
თვის არ არსებობს.—რადგან: ყველას—თითოელს—თავის საკუთარი „თავისი“
აქვს, რომელსაც იგი არავის არ ანდობს და რომლისაც არავის არაფერი ესმის:
ყველანი მაგრად იხურავენ კარებს—თავის პატარა ოთახებისა. პოეტი ქალიც
ვისაგებია—ღმერთისაკენ მიისწრაფვის;—მეტი რა დაარჩენია, საბრალოს, აქ ამ
„წყელ“ ქვეყანაზე—და იგიც „წარმოუდგენელ მწუხარებაში“—კვდება.

„Увы, в печали безумной я умираю,

И умираю,

Стремлюсь к тому, чего не знаю,

Чего не знаю.

И это желание не знаю откуда

Пришло откуда.

Но сердце хочет и просит чуда

Чуда!

О пуст будет то, чего не бывает

Никогда не бывает!

Мне бледное небо чудес обещает

Оно обещает.

Но плачу без слез о неверном обете

О неверном обете...

Мне пужно то, чего нет на свете

Чего нет на свете.

(3. Гивინუს „შენია“).

ასე სწერდა და მღეროდა ზ. გიბიუს მაშინ, როდესაც მეუობდა მაგრად
დაღურსმული ჩეკმა სისხლიან მეფის ტანდარშისა, როდესაც საუკეთესონი ადამ-
იანთა შორის—კბილთა ღრქენით—ხედებოდნენ ამ ბატონობას ჩეკმის ქუსლისა,
როდესაც მრავალი ამ საუკეთესოთა შორის—სიცოცხლის ფასით, ნამდვილ სი-
ცოცხლის და არა მხოლოდ ვარიიმულ ლექსებში—ეწირებოდენ მსხვერპლად
ამ საქმეს—ჩეკმის ქუსლის ბატონობისაგან განთავისუფლებას...

მაშინ სწერდა და მღეროდა ნალელიანი გიბიუს, ნალელიან ლექსებს იმის
შესახებ, თუ როგორ სურს და სწყურს მას: „თო, чего не бывает, никогда не
бывает“.—გიბიუსი არ იყო მაშინ მარტო. მთელი მრავალ-რიცხოვანი წრე რუს
ინტელიგენტებისა, რომლებსაც ბრძოლის უნარი არ ჰქონდათ, არც იყენენ მის
შინაარსში დაინტერესებული—არსებული რეჟიმი კი არ მოსწონდათ—იგი მე-
ტად უხეში და უღამაზო იყო მათთვის და მათ „განათლებულ“ ინტელექტის-
თვის... აი, ეს წრე—გიბიუსთან ერთად ლოცვა-კურთხევაში და ხშირად .. ქვემო-
ბაშიც ატარებდა დღეებს.. მაგრამ ეს ლოცვა-კურთხევი და, ცხადია, ქვემოც



არ იყო სრულებით პროტესტი იმ წესწყობილების საფუძველზე, რომელიც არსებობდა. ამიტომაც ვერ მონახეს მათ—ამ წესს შეცვლიან და—
 ლა, რომელიც ნამდვილათ, საქმით ებრძოდა ამ საფუძველს. თუმცა: ვინ იცის? შეიძლება კიდევ მონახეს, მაგრამ თავისი „მე“ იქ ვერ ნახეს, მისთვის ადგილი ვერ იპოვეს—ამ ძალაში. ეს უკანასკნელი კი არ იყო მოსურნე სრულებითაც, მხოლოდ გაელამაზებინა, შეეფერადებინა ეს რეჟიმი; იგი, პირიქით, სრულ ძირ-
 ფესვიანად ანგრედა მას. საზოგადოების იმ წრეს კი—რომლის გამოხატველი იყო ზ. გიპიუსი—სრულებითაც არ უნდოდა ეს...

ამიტომ ბუნებრივად მოხდა, რომ ძველი რეჟიმის უხეშობით და ტანთსაცმე-
 ლით უკმაყოფილო, მაგრამ არ შინალები იმ ძალის, რომელიც სინამდვილეში ებრძოდა
 ამ რეჟიმის შინაარსს და საფუძველს—ეს კათეგორია რუსეთის საზოგადოებისა
 —არ შეეცდებოდა თუ მას დავარკმევთ აგრეთვე სახელს „კულტურულ კომერსან-
 ტებისა“—ნაწილობრივ ვატაცებულ იქნა—რასაკვირველია ოცნებაში და
 ფიქრებში—პრაქტიკაში კი ის თავის საქმეს კარგად აგეარებდა—წმინდა ბე-
 ლოვნებით, წმინდა ესთეტიზმით. აქ ეძიებდა იგი—„სულის დაკმაყოფილებას“.

ის, რაც იყო,—მეტად უხეში და უღამაზო იყო, მომავლისათვის მებრძოლი
 ძალა კი სავსებით მიუღებელია, და ამიტომ

„Мне нужно то, чего нет на свете

Чего нет на свете“.

„ხელოვნება ხელოვნებისათვის“—მაგრამ...

ცხოვრების ერთი მდინარე, სხვათა შორის არც თუ ისე წმინდა და ანკარა
 ზინაიდა გიპიუსის ლექსებში და პოეტურ ფილოსოფიაში—მაინც ნახულობს
 თავის გამოხატულობას.

ციხკენ ლოცვას ყოველთვის მიწის ამბები მიიქვს. მხოლოდ საქმე იმა-
 შია: ხან ვისი და ხან ვისი... რადგან მიწია, ხომ მარტო გიპიუსის კავალრებით
 არ არის დასახლებული!

„ნეიტრალურ ხელოვნების“, რომელიც ლოცვების სახით მიემართება და
 ხან იამბებით და ხან ხორეებით—ციხკენ, იმ ქვეყნისკენ, ამ ხელოვნების სარ-
 ჭელს და საფუძველს წარმოადგენდა სწორედ ეს მიწის ამბები, მხოლოდ არა
 იმათი, ვინც ამ მიწაზე აპირებენ—როგორც პრაქტიკამ და სინამდვილემ და-
 გვანახვა არც ისე უიმედოთ არის მათი საქმე!—სამოთხის მოწყობას; რომლე-
 ბიც ამისათვის არ ზრგავენ შრომას, ენერჯიას, თვით საკუთარ სიცოცხლეს,—
 იბრძვიან, ომობენ, ხან ვისთან და ხან ვისთან—ხან მარცხდებიან, ხან იმარჯვე-
 ბენ, მხოლოდ ყოველთვის წინ მიდიან საბოლოო ანგარიშში—ჰო და არა იმათ
 ამბებს გამოხატაედა ცხადია—ქალბატონ გიპიუსის „ნეიტრალური“ ხელოვნება.
 —იგი გამოხატაედა მათ აზრებს, და... ამბებს, რომლებიც კარგათ თუ ცუდათ
 მაგრამ მაინც იღვანენ საფუძველზე კერძო საკუთრებისა და მისი არსებობის
 აუცილებლობისა; არსებულ ეკონომიურ წყობილების საფუძველზე.

ამით აიხსნება ის საკვირველი და წმინდა ესთეტიზმის მომხრეთათვის
 სრულებით გაუგებარი მოვლენა, რომ რადესაც კერძო საკუთრების საფუძველ-
 ზე მაგრად მდგომნი თუ მწოლიარენი ოქტომბრის რევოლუციის შეტევით შე-



ირყენ და შემდეგ კიდევ ვადმოკვიდენ—საფუძველ დანგრეულ წარწერებში ვინ
სად.—აი მაშინ—გაბრაზებულ შეილებს დამკარგველ ძე ლომასკოვს! მსხინსადა
„დამა მშვენიერი ყოველ მზრია“ ზ. ვიპიუს. ერთი ხელის მოჭნევით ვაჭკრა
—მთელი მისი მისტიკა, მთელი მისი ნაზი მწუხარება და ციური სევდა-ნაღველი.
აღ-ჭაჯს დაემზგავსა ქალი-პოეტი, რომელიც მხოლოდ გუშინ სწერდა:

Увы, в печали безумной я умираю

Я умираю.

ეხლა ის დორბლ მოყრილი მათრახით ხელში ასე მღერის (დააკვირდით,
დააკვირდით იდეალისტებო ყველა ქვეყნისა, როგორ იცვლება პოეტის, თვით
უნაზეს ქალ-პოეტის ჩირაღდან, რომელიც მას ხელთ უჭერია იმის და მიხე-
დვით, თუ ვის ეკუთვნის პუტილოვის ქარხანა და რომიანკოს მამულები—თვით
მათ, თუ „შავ მუშებს“ და „ტილიან გლეხებს!").

И скоро в старый хлев ты будешь загнан палкой
Народ не уважающий святых!

(З. Гиншпуе. Последние стихи).

ჩვენ გვესმის, ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის...

ო! როგორ მწარე—ჯოჯოხეთურათ მწარე არია—როდესაც დაღურსმულ
ქუსლით გაგისრუენ თუ გინდ პატარა ნეკსაც!

რასაკვირველია, ზევით მოყვანილი ეს ორი სტრიქონი ვიპიუსის ახალი
შემოქმედებისა „მხატვრობის“ მზრია არც თუ ისე შესაძმწნევია, მაგრამ თავის
„იდეურობით“—მართლაც რომ შედეგია.

მე რომ მოსწავლე ბავშვთათვის სახელმძღვანელოს შედგენა შემეძლოს,
აუცილებლივ შევიტანდი შიგ ამ სტრიქონებს:

И скоро в старый хлев ты будешь загнан палкой
Народ не уважающий святых!

დღე, ბავშვმაც იცოდნენ თუ როგორ „უყვართ“ ხალხი მათ, რომლებიც
ვაიქცნენ იქ და იქედან გვებრძვიან, ვითომც ამ ხალხის საკეთილდღეოთ.

მაგრამ ესეც არ იქმარა პოეტესამ... და როდესაც თვეები გავიდა და
არც მათრახი მოინახა და არც სალორე, რითაც და სადაც შესაძლებელი იქ-
ნებოდა ხალხის შერევა—ვიპიუსმა მიმართა უფრო დამაშინებელ ზომებს. ის
სწერს ლექსს „სახრჩობელაზე“. გართიზული იგი არ მახსოვს, აზრი კი ასეთია:
უბედნიერესი ადამიანი იქნება დედამიწაზე ვიპიუსი, როდესაც მოსკოვის შუა-
გულ ადგილას აღიმართება სახრჩობელები და მათზე ჩამოკიდდებენ ბოლშევი-
კებს და ყველა მათ მომზრეთ, ლექსში—ვიპიუსი არწმუნებს ყველას, რომ
ეს ასე მოხდება აუცილებლივ. ჩვენ არ ვიცით ახლაც ასეთი რწმენისაა ვიპი-
უსი თუ არა! ეს არც საინტერესოა, ჩვენთვის საინტერესო იყო მხოლოდ ის,
თუ როგორ ხდება ხშირათ: ლოცვა იცვლება მათრახით, და თუ საჭირო იქნა,
სახრჩობელითაც.—პოეტური ლოცვა!

ვიპიუსის „შემოქმედება“—ნათლად მოწმობს ამას.

დასამრახი აქ მაინც და მაინც არადერია. ვასაკვირი მით უფრო. რო-
გორც პლენაროვი ამბობს: „თუ კი ვაშლის ხემ უნდა დაბადოს ვაშლი, მსხლი-



სამ კი მსხალი—ბურჯუაზიის თვალთახედვის პოზიციაზე მდგომარეობაშია, უნდა სათანადოთ დაიცივას კიდევაც ბურჯუაზია“. ვრანგელს და დენსიკინის ბურჯუაზიის პოეზიას დღეს შეუძლია მოგვეცეს მხოლოდ ზ. გიპიუსები. გასაკვირი აქ, ვიმეორებთ, არაფერია.

ჩვენ არ ვიცით ზნაიდა გიპიუსი შევა თუ არა ისტორიაში. თუ კი ეს მოხდა და ის ისტორიაში მოხედა, მის ლიტერატურულ მოღვაწეობას ალბათ დაარქმევენ: „ჩვეულებრივი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გადიქცა ლოცვა მათრახათ და სახრჩობელათ“. წარსულის არ მცოდნეთ ეს ამბავი ალბათ გააკვირვებთ, რადგან მაშინ, მომავალში, ასეთ რამეებს ადგილი არ ექნება. წარსულის მცოდნეებს კი ის ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს იმ საანბანო ჭეშმარიტებას, რომელიც დღეს ზოგიერთთათვის კიდევ დასამტკიცებელი ხდება: „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას“ და... ლოცვადაც. დასკირდება—სახრჩობელათაც აქცევს მას.

და ვერავინ ამ კანონს ვერ გარდაუვლის.

ლორდებთან ერთად.

ღამაში სიტყვის მსოფლიო მაცეტრო—ოსკარ უაილდი იტყოდა: „ყოველივე ხელოვნება უნაყოფოა“.

ინგლისის ლორდები არ ფიქრობდნენ ასე. მათ უაილდის „უნაყოფო“ ზღაპრებშიც დაინახეს იმდენი—მათთვის არა სასარგებლო რეალობა, რომ საკატორლო ციხეში მოამწყვდიეს ის:

„ეს მართლაც რომ ძლიერ სასაცილო ამბავი იყო მოგვითხრობს განსევერსი:—ოთხი ბირჯაზე მოთამაშე, ხუთი მოვაკრე ბამბით, ფეხილით თუ სპირტით, ორი სკალის მასწავლებელი და ერთიც მეტად პატივსაცემი მეყასბე—იყვნენ ის სამართალი, რომელმაც ოსკარ უაილდი საკატორლო საპრობილეში გაგზავნა“.

ლორდებს ხშირათ არ უყვართ თავის ხელებით გააკეთონ ის, რაც შესაძლოა გაკეთდეს სხვების საშუალებით. ყოველ შემთხვევაში ინგლისელ ესთეტიკის ამდაგვარი გასამართლებით მასზე ზური იძია არა ინგლისელმა ყასაბმა და სპირტით ძოვაკრემ—შეიძლება ამათმაც: ლორდის ცილინდრსა და მეყასბის დანას ზორის მანძილი არც თუ ისე დიდია—არამედ იმ ლორდების წესწყობილებამ, — რომ ღმაც უაილდის „ნეიტრალურ“ ზღაპრებში—თავის საბის ზოგიერთი მახინჯი მხარეები დაინახა.

უაილდის მიერ საკატორლო ციხეში გატარებული თვეებიც საკმაოა ჩვენთვის, რომ უდიდესი პატივისცემით მოვეპყრათ მას—მაგრამ მიუხედავათ ამისა, უნდა ესთევათ, რომ იგი სტყვის, როდესაც ამბობს: „ყოველივე ხელოვნება უნაყოფოა“. ინგლისელი ლორდები და მეყასბეებიც მართალი იყვნენ, როდესაც არ ეთანხმებოდნენ მას ხელოვნების ასეთ შეფასებაში.

ამ შემთხვევაში ჩვენ ინგლისელ ლორდებთან ვართ.



„უტკბილესი ლეგენდა“.

არა უკანასკნელი ადამიანი მათ შორის, რომლებიც მეფობდნენ ოსეთის პოეზიის მოედანზე მე-20 საუკუნის დასაწყისში—თედორე სოლოგუბი—ერთ-ერთ თავის რომანს ასე იწყებს:

„Вери кусок жизни грубой и бедной и творю из него сладостную легенду, ибо я поэт. Косней во тьме, тусклая и бытовая, или бушуй яростным пожаром жизнь, я поэт — воздвигну творимую мною легенду об очаровательном и прекрасном.“ *).

ამ პატარა ამონაწერში საუკეთესოთაა გამოთქმული მთელი არსი და საფუძველი ცხოვრებიდან გაქცეულ ხელოვნებისა. „უხეში“ და „ლარიბი“ ნაკერი ცხოვრებისა და პოეტი, რომელიც ჰქმნის ლეგენდას „მომხიბვლელზე და მშვენიერზე“.

როგორც არ უნდა იყოს ცხოვრება—ჩვეულებრივი და უფერული, თუ ციცი-ხლივით ამომოქრებელი—შენ ნუ მიაქცევ მას ყურადღებას,—რადგან—პოეტი შექმნის ლეგენდას და ეს ლეგენდა იქნება „უტკბილესი და ულამაზესი“.

ჩვენ ვიცით, რომ სოლოგუბმა მართლაც შექმნა ასეთი ლეგენდა: ეს არის ის, რაც მოგვცა ჩვენ მან თავის ხელოვნებით. სინამდვილეში გამოირკვა: ეს ლეგენდა—მშვენიერი და უტკბილესი—იყო სწორედ ისეთი, როგორც სურდა—რევოლუციის გულ-გატეხილ, ლმერთების საქმბნელად წასულ—რუს ინტელიგენციას ერთის მხრივ და მეორე მხრივ მათ, რომლებიც—ცხოვრების სინამდვილით საკმაოდ კმაყოფილი—ხანდისხან მოსვენების წუთებში—წინააღმდეგი არ იყვნენ—ბანაობა დაეწყათ საოცნებო ტბაში სასწაულებისა და... პორნოგრაფიისა: თედორე სოლოგუბის „უმშვენიერესი“ ლეგენდა სწორედ პორნოგრაფიულ სასწაულების ლეგენდაა—შეიძლება მეტად ლამაზ და მეტად მომხიბვლელ სიტყვებით მოქარვული. ამ ოსტატობას სოლოგუბს ვერავინ წაართმევს.

იმათ კი—რომლებსაც ყველაზე მეტად ესაქიროებოდათ „სინამდვილის ლეგენდა“—ქეშარიტ მშვენიერებაზე და მომხიბვლელზე—დამონებულ და დაჩაგრულ შეილებს რუსეთის ხალხისა—ამათ სოლოგუბის ლეგენდაში არავითარი მომხიბვლელი და ლამაზი არ უნახავთ: არც მაშინ, როდესაც „მეფობდა ცხოვრება ჩვეულებრივი და უხეში“, არც ეხლა, როდესაც „მეფობს ამომოქრებულ ცეცხლის მზგავსათ“.

სოლოგუბმა დასწერა ლეგენდა და ეს ლეგენდა სასწაულებრივ გამოდგა ისეთი—როგორც უნდოდა—ყოველ შემთხვევაში არა მშრომელ ხალხს. საიდანაც არ უნდა გარეკო—ცხოვრება თავის ადგილს მაინც ყველგან იჭერს: თვით ცხოვრებიდან გაქცეულ უნიჭიერეს პოეტის ლეგენდაშიაც. ამის ახსნა და გავება არც ისე მწელია, საჭიროა მხოლოდ არ გავექცეთ მას. არ დაგვაფიწყდეს: სოლოგუბმა დასწერა „Навыи чары“ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ჩვენ ვიცით ეს ეპოქა—საშინელი უკუნეთის ბატონობისა, როდესაც

*) О. Соллогуб. „Навыи чары“.



წინ-სვლის ჩირაღდანი შერჩა მხოლოდ პატარა ჯგუფს, უცნაურობებისა-
არციბაშევი, ანდრეევი, სოლოგუბი, როზანოვი და... ვერბიტცაძის ციხე-სიმალი-
სიმბოლოები ამ ეპოქისა...

სოლოგუბმა ნიკიერად გადმოგვცა—ცხოვრებიდან გაქცეულთა—ტენის-
უჯრედების ავიადყოფობა.

Быть с людьми—какое бремя!
О зачем же надо с ними жить!
Отчего пальцы все время,
Чары деять—тихо ворожить.

(„Быть с людьми“).

როგორც ვიცით, სოლოგუბს არავენ უშლიდა მაინც და მაინც ხელს

Чары деять—тихо ворожить!—

არც მაშინ, როდესაც მეფობდენ „ისინი“, არც ესლა, როდესაც ბატონობს „ლეგენდის“ ცხოვრებაში შემქმნელი კლასი. შეიძლება სინიღისი უშლიდა ამაში ხელს პოეტს?.. ვინ იცის! უოველ შემთხვევაში ეს სინიღისი არც თუ ისე მძლავრი ყოფილა, რადგან:

Преодолев тяжёлые коснения
И долгий путь причин,
Я сам творец, я сам свое творение
Бесстрастен и один.

(„Преодолев“).

И верен я, отец мой Дьявол,
Обету данному в злой час,
Когда я в бурном море плывал,
И ты меня из бездны спас.
Тебя, отец мой, я прославляю,
В укор неправедному дню
Хулу над миром я восставлю
И соблазняя—соблазнию.

მობტუცი სოლოგუბი დღესაც სწერს ლექსებს: თუმცა იშვიათად თუ ვინმე კითხულობს მათ. ვისაც კი წააუკითხავს—ამბობენ: „ეშმაკისთვის“ მიცემულ სიტყვას იგი არც დღეს ღალატობსო. მით უარესი მისთვის, რევოლუციისათვის კი სოლოგუბი დღეს მხოლოდ საინტერესო... საკითხს წარმომდგენს.

„ოკროს ფეხი“ და... ილიას დაკრილი „შუბლი“.

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში რეალიზმს—ხელოვნება ცხოვრებიდან და ცხოვრებისათვის—უფრო გაბედულად გრიშაშვილი შეებრძოლა. მან მოინდომა პოეზიის „გამოთრევა“ „ხელოვნება—ხელოვნებისათვის“ შარა გზაზე. მიიმე იყო ეს საქმე, იმიტომ რომ ქართული მხატვრული ლიტერატურა თავიდანვე მტკიცედ იდგა რეალიზმის საფუძველზე. ამ საფუძველს ისეთი



სიმაგრენი ამშვენებენ—როგორც ილია, აკაკი, ევნატე. თვით ცხელი—საზღვე-
 გიც—პირველ შეხედვით უდიდესი რომანტიკოსი და იდეალისტი—იმდენათ
 გაუღწეოთლია სამოქალაქო მოტივებით, რომ რეალიზმის მდინარეს—ვერც მის
 მტკუნარე პოეზიას დააშორებ. გრიშაშვილმა არ მიიღო არც ბარათაშვილი,
 არც ილია, არც ყაზბეგი, არც ევნატე. მან თავისი საკუთარი გზა გამოიხაზა.
 სრულებით არ იქნება გადამეტებული—თუ ვიტყვი—გრიშაშვილმა საქართვე-
 ლოში საკუთარი სკოლა შექმნა; მართალია ეს სკოლა დღეს სინამდვილეში არ
 არსებობს—ისევე, როგორც თვით გრიშაშვილი, როგორც პოეტი—მწერალი არ
 არსებობს—მაგრამ ეს მიეწერება მხოლოდ იმას, რომ რევოლუცია არ მიიღო
 ამ სკოლამ და რევოლუციამაც „ჯაფარი იყარა“ მასზე... ბევრი რამ გაანადგუ-
 რა ძველთა „ცხოვრებაში“ ახალმა ეპოქამ და სხვათა შორის... უკანასკნელ რი-
 გებში ლიტერატურული სკოლა—„კოცნის“ პოეტისა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო
 ე. ი. რევოლუცია არ მომხდარიყო—ვინ იცის კიდევ რამდენხანს დარჩებოდა
 ქართველ მკითხველ საზოგადოების ერთი ნაწილის—გრძობათა და გონება-
 თა „საყვარელ“ ლიტერატორათ—გრიშაშვილი.

გრიშაშვილმა სრულებით განდევნა პოეზიიდან სამოქალაქო მოტივები—
 ის, რითაც ასე ხასიათდება ქართული ლიტერატურული ხელოვნება—ქაჯუაძე,
 წერეთელი, ნინოშვილის მეთაურობით და ზე-გაუღწეოთ. ხელოვნება გრიშა-
 შვილმა „თვით-მიზნათ“ გახადა და ეს „თვით-მიზანი“ გამოხატა გარეგნულ
 სილამაზეში, —ფუქსავატურ სიყვარულში, სქესობრივ გრძობების ამღვლეველ
 ქალში... მთელი მისი პოეზია—ეს არის „ოქროს ფეხი“ და „კოცნა“. იშვიათად
 მოინახება სხვა პოეტი, რომლის ნაწერებშიაც—ამდაგვარად იყოს დაცული ერ-
 თი მთლიანი ხაზი და მიმართულება—როგორც გრიშაშვილია.

„კოცნა კუბოს ნაგლეჯია—შივ მარხია მუხათ კენესა,
 „თვით სატანაც კოცნას ეძებს—კოცნა ეძებს სიციცხლესა“

რასაკვირველია აქ კუბო არაფერ ზღაშია და „სიციცხლის ძებნაც“, —მაგ-
 რამ გრიშაშვილის „მუხათ კენესა“ სწორედ რომ „კოცნაში მარხია“—ეს კი
 მართალია. აკაკისაც უყვარდა—ხანდის ხან კოცნაზე სიმღერა—მაგრამ ეს კოც-
 ნა არასოდეს არ ყოფილა მის „მუხათ კენესათ“.

პოეზიის—და განა მართო პოეზიის?—შახმატის დაფაზე—ყველას თავისი
 ადგილი უკავია. გრიშაშვილსაც ჰქონდა ეს ადგილი. ის სრულებითაც არაა
 დამნაშავე, რომ მას სწორედ ის ადგილი ხვდა—სადაც ეწერა: გაართუ და ამ-
 ხიარულე ისინი, რომელიც ამის მეტი არაფერი დარჩენიათ. უნდოდა გრი-
 შაშვილს თუ არა—მისი პოეზია,—ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს ასი
 პროცენტით დამორებული—გახდა ნამდვილი ამსახველი და მოსამსახურე იმ
 ცხოვრებისა—რომელიც არსებობს ამ მნიშვნელოვან საკითხების გარეშე—იქეთ.

გრიშაშვილის ლექსების ზერელე გარჩევიताც შეიძლება მათემატიკური
 სისწორით გამოიკვლიო ის, თუ რა ზომის და წონის იყო გონებრივი და სუ-
 ლიერი მოთხოვნებიანი ქართველ საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც გა-
 ვიებული სიყვარულით ტაშს უკრავდა და ვაშას ეძახდა უმაგალითო რაინდს..
 „ოქროს ფეხისა“ და „ლამაზ ხელთათმანისა“ და იმას კი თუ ვინ იყო საზოგა-



ქართული

დღების ეს ნაწილი, გაცივებით იმ უბრალო ფაქტიდან, რომ **კოცნის** კანსაკუთრებით უყვარდა თავის „სალამოების“ მოწყობა ზაფხულობით ავარაკებზე ეს კი მაშინ იყო, როდესაც ავარაკებზე დასასვენებლად დადიოდნენ **უმთავრესად** ისინი, რომელთა ჯიბე მაინც და მაინც „დასვენებას“ არ ითხოვდა. მაშინ ბევრი იყვნენ წერა-კითხვის მცოდნე კლექიანები—რომლებიც ისე დაიბოცნენ, რომ არც იცოდნენ, თუ კლექით დაზიანებულ ფილტვებს—აბასთუმანი და წაღვერი ძალბან შევლოდა.

მაღამ ვერბიციკლის დაღნის გვირგვინი—საქართველოში გრიშაშვილმა მიიღო. ვერაჟინ იტყვის, რომ აქ სამართლიანი დამსახურება არ იყო.

საინტერესო ფაქტი: გრიშაშვილი დღეს არაფერს სწერს, თითქმის არაფერს: რასაც კი სწერს,—ის არა გავს იმას, რასაც უწინ სწერდა.

„კოცნა“ და „ოქროს ფები“ უკვე არ შეადგენს მის „მუხათ კენესას“. რატომ? შეიძლება იმიტომ, რომ მან რევოლიუციის ნახა ახალი შინაარსი თავის შემოქმედებისათვის, ახალი მასალები ახალ ცხოვრებიდან, რომელთა ასახატავთ ცხადია უკვე არ გამოდგება „კოცნის“ მუხა? სრულებითაც არა. გრიშაშვილი—საუბედუროთ—არ მისულა რევოლიუციისთან ოდნავითაც. არც ისე ადვილათ შეიძლება ეს. რადგან წინააღმდეგი—ესე იგი მისი დაახლოება პროლეტარულ რევოლიუციასთან.—თუ გინდ მხოლოდ როგორც ხელოვნების ობიექტთან—თითქმის სასწაული იქნებოდა. ჩვენ—რასაკვირველია—ასეთი სასწაულის უდიდესი მოხარულნი ვიქნებოდით, მაგრამ... სასწაულები როგორღაც არ ხდებიან—საუბედუროთ... მაშ, რა მოხდა? მხოლოდ ის, რომ საზოგადოების იმ ნაწილში—რომლის პოეტი იყო გრიშაშვილი,—გრძნობათა და შესედულუბათა ერთგვარი „გადახალისება“ მოხდა.

ვიტყვიან პირდაპირ: საქართველოში 1921 წ. მომხდარმა პოლიტიკურ წესწყობილების შეცვლამ, რომელსაც ცხადია თან ახლდა—საქართველოს მცხოვრებთა მატერიალურ სიმდიდრის მნიშვნელოვანი გადაჯგუფება—საკმაოდ გააბოროტა საზოგადოების ეს ნაწილი. როგორც ვიცით,—„კოცნა“ ძალიან ბშირად დამოკიდებულია იმაზე—თუ რა მდგომარეობაშია ჯიბე!* და რადგან ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა,—კოცნის პანგებიც უკვე ვერ გამოხატავდა საფსებით გრძნობებს, ეხლა უფრო შესაფერი და სწორი იქნებოდა—ისეთი პანგები, რომლებიც უფრო შეეთანაბრებოდნენ—შექმნილ განწყობილებას: უკანასკნელი კი—უმთავრესად იხატებოდა—სიძულელიში და გაბოროტებაში საზოგადოების ამ ნაწილისა—ახალ წესწყობილებისადმი... და თუმცა—საკვირვლად უხეში და არა ლაშაზი გამოდის ასეთი დასკვნა—მაგრამ მაინც მოხდა ეს: გრიშაშვილმა—უნდოდა მას ეს თუ არა, შეგნებულათ მოხდა ეს თუ არა—ეს სულ ერთია,—შესაფერი პოხა მიიღო მოქალაქობრივ გრძნობების გამოხატველ პოეტისა და ეზოპური ენით (სხვა საშუალება არ ჰქონდა) დაიწყო ამის „თქმა“ თავის ლექსებში...

*) ჯიბის საჭონის ხეიმეტათ მოვარულებმა—„ესთეტიზმის“ კანონების უბნში დარღვევით რომ არ დაეწამონ ვაცხადებთ: „ჯიბეს“ ჩვენ უფრადღებას ვაქცევთ—ამ შემთხვევაში—მხოლოდ მაშინ და იმდენათ, როდესაც და რაზდენათ ოგი გავლენას ახდენს ტერისა და გულზე. ე. ბ.



„მწიამს სახელები: თამარ, რუსუდან,
 ლაშა გიორგიმ ერთა ვადაწაწა, —
 დამაცოსნიზე რძე მაგ ძუძუდან
 ოი, ტფილისის დედაო მიწაე!
 მაგრამ არ მწყალობს ბედი ფიცხელი,
 მიწა ვამსკდარი, ცა მონალრუბლი,
 და პოეზიაც ისე მიცქერის,
 როგორც ილიას დაქრილი შუბლი.“

ვისაც ვრიშაშვილი ახსოვს—ის დავუთმანებდა აუცილებლივ: ასეთი ცხ-
 ნით გრიშაშვილი არასოდეს არ სწერდა...

„ილიას დაქრილი შუბლი“—ეს ხომ ცდაა უდიდეს ტრადიციის ჩვენებისა,
 უდიდეს მწუხარების გამოთქმისა... როგორც ვიცით პოეტ ილიას—მართლაც
 ბუმბერაზ და დაუფიწყარ შუბლით,—ბევრი მწერალი ბაღლინჯო—პატრიოტიზმის
 გამოცდებს აბარებდა... გრიშაშვილს ჩვენ სრულუბითაც არ ურევთ მათ რიცხვში,
 მაგრამ—ფაქტი ხომ სინამდვილეა! პოეზია გრიშაშვილს ყოველთვის უცქერდა
 როგორც „ოქროს ფეხი“ და ლამაზის „ხელთათმანი“—და თუ კი ესლა მას პოე-
 ზია უცქერის, როგორც „ილიას დაქრილი შუბლი“—ეს იმას ნიშნავს, რომ რა-
 ლაც დიდი რამ მომხდარა სადღაც. ეს დიდი რამ რაღაც მომხდარი სადღაც—
 გრიშაშვილმა პოეზიაში გადაიტანა! ეს კი იყო ის, რომ ქართველი საზოგადოე-
 ბის ის ნაწილი, რომელიც ძველად პოლიტიკას და „მთავრობის“ საკითხებს
 წელიწადში ერთხელ თუ გაიხსენებდა—მდგომარეობა მაინც და მაინც არ ში-
 ქანებდა მას ოპოზიციის პოზიციებისაგან—ესლა კი იგი რევოლუციის მიერ
 ყოველ-შხრივ—ჯიბეს გარშემო—შევიწროებული იქნა და მანაც დაიწყო „პო-
 ლიტკაში“ თამაში, ხშირად ძალიან სერიოზულადაც. სრულებით სამართლიან-
 ნათ დაინახა მან საბჭოთა წესწყობილებაში—გამარჯვებულთა პოლიტიკაში—მი-
 ზეხი თავის უბედურებისა და ბუნებრივად მთელი თავისი ძალ-ღონით შეეცადა
 „პოლიტიკის“ შეცვლას—რევოლუციის დამარცხებით. ეს იყო იისი ახალი პო-
 ლიტკა და რადგან ეს პოლიტიკა—მეტად მატერიალური და მიწიერი ხასია-
 თის—უფრო მეტ ნაყოფს ვამოიღებდა—პატრიოტიზმის ტანთსაცმელში გამოწყო-
 ბილი—მანაც შესაფერი პოეზია მიიღო და „საქართველოს დამოუკიდებლობის“
 დროშით ბრძოლაში გადაეშვა პროლეტარულ ხელისუფლების წინააღმდეგ. გრიშა-
 შვილმა თავის რამოდენიმე ლექსებში—რომლებიც მან დაბეჭდა რევოლუციის
 შემდეგ—გვამცნო მხატვრულათ ეს ფიქრების და გრძნობების ცვლილება ქარ-
 თველ საზოგადოების ერთი ნაწილისა, ასე გარდატყდა ეკონომიკა პოლიტიკაში
 ეს უკანასკნელი კი პოეზიაში.

— ამიტომ არის, რომ დღეს „იდეური“ ვარლამ რუხაძე და „წმინდა ეს-
 თეტიზმის“ ქურუმი გრიშაშვილი ერთად არიან პოეზიაში. რევოლუციამდე ეს
 ამბავი—სასწაულათ ჩაითვლებოდა... დღეს კი იგი ფაქტია. განა ეს არ გვაძ-
 ლეგს საკმაო საბუთს ვთქვათ, რომ გაერთიანებული ფრონტი ქართულ კონტრ-რე-
 ვოლუციონურ ნაციონალიზმისა—ეკლესიებში მლოცველ მომაცვდე ბებრუხა-
 ნებთან ერთად—თავის დაღს აჩენს... პოეზიასაც?!

* „ეკვასიონი“. 1—2.



ესთეტიკები ვაგეიჯავრდებიან: რა შეაშია ან ერთი, ან მეორე მათგანი? ჩვენ ჩვენს თავს ამ შემთხვევაში არავითარ სხვა დავაშენას არ ვაშლევთ, გარდა იმისა, რომ ფაქტები სწორათ დავალაგოთ და აქედან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. არავინი ბრალი არ არის და არც ჩვენი, რომ პოეზიის ფაქტები იმავე ხაზებით ლაგდებიან, როგორითაც სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრების. ნერვებ აშლილთ შეუძლიათ—გაბრაზდნენ—ჩვენ ჩვეულებაში არა ვვაქვს ისტორიას—თუ გინდ მის პატარა კუთხესაც—ვაუჯავრდეთ. მით უმეტეს მაშინ როდესაც იგი ჩვენს სასარგებლოთ მუშაობს და ლაპარაკობს!!—„მემარცხენე“ ვარდინმა გრიშაშვილი თანამგზავრად გამოაცხადა! ჩვენ ძალიან შორს ვართ გაეზიაროთ ვარდინის „მემარცხენე“ შეხედულებანი ლიტერატურა-ხელოვნებაზე—მაგრამ ამ შემთხვევაში, იძულებული ვხდებით—ვარდინზე „მარცხნივ“ დავდგეთ: გრიშაშვილის რევოლუციის თანამგზავრ პოეტათ გამოცხადება—იხსნება ან უდიდესი ვაუგებრობით, ან და „თანამგზავრობის“ საერთო გამასხარავებით.

„თანამგზავრი ლიტერატურაში ისევე, როგორც პოლიტიკაში არის ის, ვინც—ბორძიკით და კოკლობით—მიდის რომელიმე წერტამდის იმავე გზით, რომლითაც ჩვენ—კომუნისტები—მივდივართ ვაცილებით უფრო შორს*, *)—ასე ახასიათებს ტროცკი თანამგზავრს და ჩვენ არ შეგვიძლია მას არ დავეთანხმოთ. „თანამგზავრობის“ სხევევარად ვაგება არ შეიძლება. „ის, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მიდის—ის თანამგზავრი არ არის, ის ჩვენი მტერია, მას შემთხვევისა და მიხედვით ჩვენს საზღვარ-გარეთაც ვასახლებთ, რადგან რევოლუციის კეთილდღეობა ჩვენთვის უმაღლესი კანონია“—აგრძელებს ტროცკი. ამ მხრივ, რომ მიუდგეთ გრიშაშვილს—და სწორედ ამ მხრივ უნდა მიუდგეთ,—როდესაც ვარკვეთ მის დამოკიდებულებას, როგორც პოეტისა რევოლუციისთან—ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ გრიშაშვილი პროლეტარულ რევოლუციის თანამგზავრ პოეტათ არ ჩაითვლება,—ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით. არც პირდაპირ და არც ბორძიკით—გრიშაშვილი არ მიდის რევოლუციის გზით—იგი არც შენდგარა ამ გზაზე. რასაკვირველია—არავინ არ მოითხოვს მის გადასახლებას საქართველოდან—პირიქით—მაგრამ ეს აიხსნება არა იმით, რომ იგი „თანამგზავრია“, არამედ იმით, რომ ამის საჭიროება სრულებითაც არ არის.

— თანამგზავრობა არც ისე მსგებუქი წონის—მიმდინარეობაა, რომ მასში შესავალი „ინტელექტულები“ ვარიგათ დაუფიქრებლივ მარცხნივ და მარჯვნივ. ვინც არ უნდა იყოს ის—პოეტი თუ ინჟინერი, პროფესორი თუ მსახიობი—ამ სახელწოდებას „თანამგზავრისა“ მიიღებს მხოლოდ სათანადო დამსახურებით რევოლუციის წინაშე. საქართველოში ჩვენმა პარტიამ უდიდესათ ვადავართოვა ის ჩარჩოები, რომლებშიაც მწერლებს საშუალება ეძლევათ მუშაობის. ვერც ერთი კვლავ მყოფი ადამიანი ვერ იტყვის, რომ პროლეტარულ ხელისუფლების თვალთახედვით—შეიძლებოდეს ამ ჩარჩოების კიდევ უფრო გაწვანა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ საქართველოში მწერლების მიმართ ვაცილებით უფრო ასე ვთქვათ „ლიბერალური“ პოლიტიკა არის ვატარებულნი, ვიდრე რუსეთში.

*) ლ. ტროცკი, „მართობა“ № 3(11).



ეს ასეც უნდა იყოს.—მაგრამ აქედან ის დასკვნები არ უნდა გავყავით...
 ყველა ქართველი მწერლები თანამგზავრებათ გამოვაცხადოთ, ~~სტატუს-კვოს~~ მათ
 ინიტომ, რომ თუ გრიშაშვილი „თანამგზავრი“, მაშინ ვინ არ არის თანამ-
 გზავრი!!

— არაერთი თანამგზავრობის ნიშნები—რევოლუციასთან თანამშრომ-
 ლობის გაგებით—გრიშაშვილს ჯერ არ გამოუჩენია არც ერთ თავის ლექსში.
 „ახალ კავკასიონში“ მოთაყვებული მისი ლექსი „დუღუღის საარი ქარს აღარ
 მოაქვს“—ლექსი, რომელმაც მისცა საბაბი ჩვენს „მემარცხენე“ ლიტერატორებს
 „თანამგზავრად“ გამოეცხადებინათ გრიშაშვილი—არის მხოლოდ ნიჭიერათ ქა-
 ლაღზე გადატანილი მწუხარება და სევდა პოეტისა—ძველი ტფილისის სიკე-
 დილის გამო! მხოლოდ... ვინც წაქითხულის გაგება იცის—სხვას იგი იქ ვერ
 ნახავს—რაღ უნდა ამის სურვილი არ ჰქონდეს...

რა მოხდა ახალი გრიშაშვილში?

მან შესცვალა მხოლოდ წერის ტონი,—თუ რა იყო ამის მიზეზი—ეს ჩვენ
 უკვე აღვნიშნეთ;—ვიმეორებთ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გრიშა-
 შვილი—როგორც პოეტი, ამსახველი,—ჩამოშორდა იმ სოციალურ წრეს, რომელ-
 საც შეეზარდა ის და მისი პოეზია. მანამ, სანამ ეს ასე დარჩება—ე. ი. გრიშა-
 შვილი თავის მოქმედების შინაარსს არ ჩამოაცილებს ამ წრეს ქართველი საზო-
 გადობისა—ეს კი არც ისე ადვილი საქმეა და არც ავრე ხშირათ ხდება ასეთი ამბავი
 მითუმეტეს მაშინ, როდესაც საქიროა ისეთი ნახტომის გაკეთება—როგორც: „ოქროს
 ფეხიდან“—საბჭოთა წესწყობილებამდე—მანამ გრიშაშვილი რევოლუციის თანა-
 მგზავრი პოეტი ვერ იქნება. სუბიექტიურად ჩვენ უდიდესი მოხარული ვიქნებო-
 დით ამის... მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ყოველ შემთხვევაში ეს მომავ-
 ლის საქმეა: დღეს-დღეობით გრიშაშვილი რევოლუციის გარეშე მყოფ ლი-
 ტერატურულ ბანაკში იმყოფება. ამას ამტკიცებს მისი ტირილი ძველ ტფი-
 ლისზე:

„და პოეზიაც ისე მიცქერის
 როგორც ილიას დაქრილი შუბლი!“

„პოლიტიკურ-პარტიული ხეები და ესთეტიური ღირებულების ტყვე“.

ასეთი სიტყვებით ამთავრებს სეთ დედარიანი თავის ერთ წერილს ხე-
 ლოვნებაზე: „მარქსს შესაძლებლადაც და აუცილებლადაც მიაჩნდა დამოუკიდებელი
 ესთეტიური მიდგომა ხელოვნების საკითხებთან, დამოუკიდებელი იმ მხრით,
 რომ პოლიტიკური პარტიული მოსაზრება არ უნდა ახდენდეს გავლენას ამ მიდ-
 გომაზე. ეს კარგათ უნდა დაიხსომონ იმ მარქსისტებმა, რომლებიც პოლიტი-
 კურ—პარტიულ ხეებს იქით ვერ ხედავენ ესთეტიური ღირებულების ტყვეს.“*)

ყველასათვის მისახვედრია, რომ აქ დედარიანი კომუნისტებისკენ იშვერს
 თითს სწორედ კომუნისტებია ისეთი მარქსისტები (აღბათ მორიდებით თუ არ

*) ს. დედარიანი, „მარქსიზმი და ხელოვნება“, „მნათობი“ № 9.



პარტიულნი

არის სიტყვა ფრჩხილებში!)—რომლებიც ვერ ხედავენ—~~დღესდღეობის~~ პოლიტიკურ პარტიულ ხეებს იქით ესთეტიზმის ტყეს!

პირველად ყოვლისა, ამ ამონაწერში ჩვენ ხაზს უსვამთ ერთს „უმნიშვნელო“, მაგრამ დევდარიანის პოზიციის მეტად დამახასიათებელ გარემოებას. მისთვის—პოლიტიკა და პარტია მხოლოდ „ხეებია“, ესთეტიკა კი ტყე. რაიც ნიშნავს—ყოველ შემთხვევაში ასე გამოდის: ესთეტიკა უფრო მეტია, უფრო მნიშვნელოვანია, უფრო მეტი ყურადღების ღირსია, ის „ტყეა“,—ვიდრე პოლიტიკა და პარტია—ეს უკანასკნელი მხოლოდ „ხეებია“. ჩვენ გარკვეულათ ვამბობთ: დღევანდელ ეპოქაში—რევოლიუციის და კონტრარევოლიუციის ბრძოლების ეპოქაში,—პოლიტიკის და პარტიის საკითხები ჩვენთვის თითქმის ყველაფერია—მათ უმეტეს ესთეტიკის საკითხებთან შედარებით. ყოველ-შემთხვევაში პარტიული და პოლიტიკური ინტერესები—რაიც ფაქტიურად ნიშნავს რევოლიუციის ინტერესებს—ჩვენთვის არის პირველ ხარისხოვანი ინტერესები—და მათ უმოიჩილებთ ჩვენ ყოველგვარ სხვა ინტერესებს—მათ შორის ესთეტიკის ინტერესებსაც. ჩვენთვის პარტია და პოლიტიკა **აქვია**, ესთეტიკა კი ხეები, არას დროს არ მოხდება, რომ კომუნისტისათვის—რომელმაც იცის თუ რას ემსახურება ის—მეორემ დაფაროს პირველი... შესაძლოა კი მოხდეს,—პარტიამ და პოლიტიკამ არამც თუ დაფაროს, არამედ დროებით სრულებითაც მიივიწყოს ესთეტიკის საკითხები. ასეთი დრო გვჭონდა ჩვენ.

რასაკვირველია ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარყოფით თვით ესთეტიკის ღირებულებებს და მათ მნიშვნელობას. ოდნავათაც არა,—ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ესთეტიური ღირებულებანი ფაქტიურად კარგავენ თავის ღირებულებას, თუ კი მიმართულნი არიან „პარტიის და პოლიტიკის“ ე. ი. რევოლიუციის წინააღმდეგ, ვინაიდან „პარტიაში და პოლიტიკაში“ ჩვენ ვგულისხმობთ ამ შემთხვევაში კომუნისტურ პარტიას და კომუნისტურ პოლიტიკას. ის მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მიმართულია პროგრესის წინააღმდეგ, რომელიც—დღევანდელ ეპოქას თუ ავიღებთ—მიმართულია პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების წინააღმდეგ—ასეთი ნაწარმოები, ჩვენ ვამბობთ, კარგავს ყოველგვარ ესთეტიურ ღირებულებებს, ის არ არის ფაქტიურად „მხატვრული“, რაც უნდა ლამაზი და მოხდენილი ფორმით არ იყოს იგი აშენებული. ასეთი შეფასების უფლებას აუცილებლივ იტოვებს რევოლიუციის მეთაური პარტია და უაღრესათ შემცდარი იქნება ის, ვინც აქ დაინახავს „ტყის“ მიჩქმალვას, „ხეებს იქით“. აქ ლაპარაკია არა იმაზე თუ როგორი პოლიტიკური რწმენისაა, რა პარტიას ეკუთვნის—რასაკვირველია ამასაც აქვს მნიშვნელობა, ხშირად ძალიან დიდიც—ნაწარმოების ავტორი, არამედ იმას თუ როგორია „იმპერატივი“, „ბრძანებითი კილო“ თვით ნაწარმოების.

მარქსს შესაძლებლათ და აუცილებლათაც მიიჩნდა დამოუკიდებელი ესთეტიკური მიდგომა ხელოვნების საკითხებთან, დამოუკიდებელი იმ მხრივ, რომ პოლიტიკური, პარტიული მოხაზობა არ უნდა ახდენდეს ვაგლენას ამ მიდგომაზე—ამზობს დევდარიანი და მოყავს მარქს-ენგელსიდან შემდეგი ამონაწერი:



„ვიოტეს თავის თხზულებებში ორნაირი დამატებითი აქტს თავისი დროის გერმანიის საზოგადოებასთან. ხან მტრულად უყურებს, ცდილობს გაექცეს იმის სისაძაგლესმაგალითად „ფიგენიაში“ და საერთოდ იტალიაში მოგზაურობის დროს.

„ის აჯანყებულია იმ ხანებში საზოგადოების წინააღმდეგ, როგორც პრომეთეოსი და ფაუსტი. ის მაშინ მეფისტოფელური მწარე დაკინებით უმასპინძლებდა იმ საზოგადოებას. არც ის შეიძლება ითქვას, რომ ვიოტე იწონებდა ზოგიერთ მხარეს გერმანიის ცხოვრებისას და იწუნებდა სხვა მხარეებს.

„უფრო ხშირად, რომ სხვადასხვანაირ გუნებაზე. გაუთავებელი ბრძოლა იმის გულში. ხან გენიოსი პოეტი ებრძვის საძაგელ გარემოებულ სულიერ სიცილიერეს, ხან როგორც ფრთხილი, მაღალი მოხელის შვილი ვეიმარში სახეო ურთიერთობას იკავებს იმასთან და ეჩვევა. ამნაირათ ვიოტე ხან უზარმაზარია, ხან დაპატარავებულია, ხან ამაყი დამკინავი, ქვეყნიერების მოძულარი გენიოსი, ხან ანგარიშის გამწევი კმაყოფილი და დახურდავებული ფილისტერი. ვიოტეს არ შეეძლო დაეძლია გერმანიის სულიერი სიცილიერე, პირიქით, ეს სიცილიერე სჯობნიდა ხოლმე უდიდეს ვიოტეს. და ეს არის საუკეთესო მაგენტბელი იმისა, რომ „შიგნიდან“ არ დიძლევა ის. ვიოტე იყო მეტად უნივერსალური, მეტად აქტიურ ბუნების, საესე იყო სასიცოცხლო ძალებით და შილერივით ვერ გაექცოდა სინამდვილის სივლახეს, თავს ვერ ამოაფარებდა კანტის იდეალს, რომ თავი გადაერჩინა. ის იყო მეტად შორს—მჭვრეტელი და არ შეეძლო არ დაენახა, რომ ამნაირი გაქცევა და თავის ამოფარება გამოვიდოდა ბოლოს უარესი სიცილიერის მიღწევა. მისი ტემპერამენტი, მისი ძლიერება, მთელი მისი სულიერი მიდრეკილება ისეთი იყო, რომ ის გვერდს ვერ აუხვევდა პრაქტიკულ ცხოვრებას. და ცხოვრება, რომელსაც ის ხედავდა იყო დაგლახაკებული. სძულდა ეს ცხოვრების სფერო, მაგრამ მიჯაჭვული იყო ამ სფეროზე, რადგან აქ უხდებოდა მოქმედება. ეს დიღემა იყო მუდამ ვიოტეს წინ და რაც ხანი გადაიოდა მით უფრო იღლებოდა ბრძოლისაგან ეს მძლავრი პოეტი და ეფარებოდა ვეიმარის უმნიშვნელო მინისტრის კალთას. ჩვენ ვიოტეს არ უსაყვედურებთ ვერნესავით და მენკელივით, რომ ის არ იყო ლიბერალი, უსაყვედურებთ რომ ხან-დახანობით ფილისტერი ხდებოდა; არ უსაყვედურებთ, რომ გერმანიის თავისუფლებისათვის არ ყოფნიდა აღფრთოვანება. ჩვენ იმას უსაყვედურებთ, რომ ანგარიშს უწევდა მოსახლეობრივ შიშს დიდი ისტორიული მოძრაობის დროს და მსხვერპლად მოქონდა ამ შიშის წინ ადგილ-ადგილ გამოჩქეფილი, სწორი ესთეტიური გრძობა. უსაყვედურებთ იმას კი არა, რომ სასახლის პიროვნება იყო, იმას, რომ როცა ნაპოლეონი ახუთთავებდა გერმანიის „ავგივის თავლებს“ — ის



ჩაფლული იყო სულ პატარა სასახლის პატარა ინტერესებში. ეს საყვედური ვვაქვს ჩვენ არა მორალური, არა პარტიული მისჯებით, არამედ უალბესათ ესთეტიური და ისტორიული თვალთახედვით.

მოყავს ეს ამონაწერი ს. დევედარიანს და ფიქრობს: ამერიკა აღმოაჩინა „პოლიტიკურ-პარტიულ ხეების იქით ესთეტიურ ღირებულებებს“ ვერ მხედვარე მარქსისტების წინააღმდეგ. ჩვენ განგებ მოვიყვანეთ მარქს-ენგელსიდან ეს დიდი ამონაწერი.—რადგან დევედარიანს თავისი ყალბი და მავნე შეხედულებანი ხელოვნებაზე სწორედ აქედან გამოყავს. მაგრამ რას ამბობს ეს ამონაწერი? მხოლოდ იმ საანბანო კეშმარიტებას—გენიალური სიღრმით გამოთქმულს—რომ გიოტეს უნდა მიუდგე არა როგორც პოლიტიკოსს, არა როგორც ადამიანს—არამედ როგორც პოეტს, მწერალს—ავტორს „ფაუსტისა“ და „ვერტერისა.“ კრეტინობა და იდიოტობა იქნებოდა „ფაუსტის“ შეფასება იმის და მიხედვით, თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდა გიოტე. „ფაუსტს“ გიოტე კი არ აფასებს, არამედ თუ გნებავთ „ფაუსტი“ აფასებს გიოტეს, უკანასკნელი ჩვენთვის შარშანდელი თოვლი იქნებოდა, რომ მას „ფაუსტის“ და სხვა ნაწერთა ავტორს არ ეძახდნენ. ვის რათ ეინტერესება, თუ რა იყო გიოტე—მინისტრი თუ კოროლი—მის ნაწერების გარეშე. არავის არ აინტერესებს ლიბერალი იყო გიოტე, თუ კონსერვატორი. არავინ არ „უსაყვედურებს მას“—როგორც მარქსი ამბობს—რომ ის ლიბერალი არ იყო. საინტერესო და აღსანიშნავი ის არის.—თუ რას წარმოადგენს, რას ემსახურება, როგორი ღირებულებისაა ის ნაწერები—რომლებითაც სახელგანთქმულია გიოტე. არავის არ უთქვამს ჯერ, რომ „ფაუსტი—რეაქციის წისკილზე ასხამს წყალსაო, პირიქით: ფაუსტში ნახა გენიალური გამოხატულება მაშინდელ დროის კაცობრიობის საერთოდ და კერძოდ გერმანიის—უდიდესმა სურვილმა წინ-სვლისა, განვითარებისა. გენიალურად აშენებულ მხატვრულ ფორმებით—აილაპარაკა გიოტემ ფაუსტში ადამიანის აზროვნება და გრძნობები. კაცობრიობის განვითარების—მისი თუ გნებავთ რევოლიუციონურ გარდატეხაში—უდიდესი როლი ითამაშა „ფაუსტმა“. გამარჯვებული სოციალიზმი კიდევ უფრო დააფასებს მას. „ფაუსტის ესთეტიური ღირებულებანი“ სრულებითაც არ ეწინააღმდეგებიან—პროგრესის და წინსვლის საქმეს. სწორედაც ამიტომ არის გენიოსი გიოტე. ს. დევედარიანი თუ დავიმიტკიცებს, რომ „ფაუსტი“—როგორც მხატვრული ნაწარმოები ეწინააღმდეგება პროგრესს და წინ-სვლას—ჩვენი ეპოქისათვის რომ ესთქვათ რევოლიუციას—და მარქსმა არ მიაქცია მას ყურადღება—მაშინ ჩვენ გამარჯვებას მიულოცავთ მას. მარქს-ენგელსის ნაწერიდან ეს სრულებითაც არა სჩანს: პირიქით ს. დევედარიანი ყურადღებას არ აქცევს ერთ მეტად საინტერესო წინადადებას მარქსის ამონაწერიდან: „უსაყვედურებთ იმას კი არა, რომ სასახლის პიროვნება იყო, არამედ იმას, რომ როცა ნაპოლეონი ასუფთავებდა გერმანიის „ავგიევის თავლებს“, ის ჩაფლული იყო სულ პატარა სასახლის პატარა ინტერესებში“. აი უსურეთ ამბ. სეთ—როგორი საზომით უდგება მარქსი გიოტეს მაშინ, როდესაც ხედავს, რომ მწერალი გიოტე უდიდესი ამბების დროს, როდესაც „ავგიევის თავლები“ იწმინ-



მარტინენული

დებოდა—ჩაფლულია სასახლის პატარა ინტერესებში*. როგორც ვხედავთ, ეს პოლიტიკური მიდგომა, იმ გავებით, როგორც ეს ჩვენ დღეს გვაქვს ე. ი. რეაქტივის და რევოლუციის ინტერესების გავებით.

რა უნდა დედარიანს დაამტკიცოს? რატომ ამაზინჯებს იგი მარქსს, ჩვენ არაფერს ვამბობთ პლენანოვზე—რადგან უკანასკნელის შეხედულებანი ხელოვნებაზე ისეთი სიაშკარავით სცემს დედარიანის შეხედულებებს, რომ პლენანოვის ვერც ერთ წინადადებას ვერ მოიყვანს ის თავის სასარგებლოთ. რატომ სურს დედარიანს მაინც და მაინც დაამტკიცოს—რომ ხელოვნება—ლიტერატურა—სრულებით დამოუკიდებელია, სრულებით თავისუფალია ცხოვრების სხვა და სხვა გავლენისაგან—კერძოთ პოლიტიკისაგან? უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში ასეთი?!. ჩვენ დიდი საბუთები გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ პოლიტიკის უარყოფაში „პატარა“, მაგრამ დიდი ხუნიანი პოლიტიკა იმარხება. ეს პოლიტიკა გაგრძელებაა ხელოვნების საკითხებში იმ პოლიტიკის, რომელსაც საერთოდ ქადაგებს პარტიკულური სეითი. ს. დედარიანი—ტეგლათაც სწერდა—აი მეფის ბატონობის დროს, მისი პარტიის ბატონობის დროსაც მგონი—ლიტერატურულ წერილებს—მაშინ იგი ასეთ აზრს არ ქადაგებდა. მაშინ იგი არ სტანჯავდა მარქს-ენგელსის ციტატებს—დაუმტკიცებელის დასამტკიცებლათ.

—დედარიანის პოლიტიკა არის—ჩუმათ, ფრთხილათ, „უმტკიცებულათ“ განთავისუფლება საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა და სხვა დარგებისა დღეს გაბატონებულ კომუნისტურ პოლიტიკის გავლენისაგან.—კერძოთ ხელოვნებისაც. აი სად არის ძალის თავი დამარხული. დემაგოგობათ არაეინ ჩამოგვართვას და ვიტყვი: დედარიანის მიერ ხელოვნების განთავისუფლება თანამედროვე რევოლუციონურ პოლიტიკის გავლენისაგან არის რეაქციონური პოლიტიკა, რომელიც ძალიან ადვილად გასაქვრეტ ტანსაცმელით იფარება—„ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

„ხელოვნებას არ არგია პოლიტიკური ფეხის ხშირი აყოლა. პუშკინსაც კი შეეშალა მუსიკა, როცა აყვა და დასწერა ცნობილი „Клеветникам России“, ამბობს სეითი. ჩვენ დიდი და გაუსწორებელი „ევგონისტები“ ვართ და ვამბობთ: ხელოვნებას არ არგია რეაქციონური (თუ ვინდა მენშევიკური, სეით!) „პოლიტიკის ფეხის აყოლა“—მაგრამ სრულებით არაფერს აენებს მას, თუ კი იგი აყვება კომუნისტების პოლიტიკის ფეხის ხმას. პირიქით: ვფიქრობთ, რომ დაეხმარება, წარმატებას მისცემს კიდევ მას, რადგან—ეს იქნებოდა მხოლოდ ის, რომ ხელოვნება კი არ დაუპირდაპირებდა თავის გზას, თავის პოზიციებს კომუნისტურ პოლიტიკას—ე. ი. რევოლუციის გზას და პოზიციებს—რაიც იქნებოდა ფაქტიურად მისი სიკვდილი—არამედ რევოლუციის—მასიურ, პროლეტარულ, ნაციონალურ რევოლუციის—დიდათ ფართო მდინარეს შეუერთებდა თავის ნაკადსაც. როდესაც დედარიანი ურჩევს ხელოვნებას არ აყვეს პოლიტიკურ ფეხის ხმას—ის ამით ხელოვნებას სრულებით აშორებს ეპოქას, თანამედროობას—რითაც—საუბედუროთ ასე გავლენილია ჩვენი დღევანდელი ქართული ლიტერატურა, მისი ჯერ ვიდევ ცოცხალ „კლასიკების სახით“. აქ ვამ-



სახურდიას და დედარიანს შორის თითქმის არაერთი არაერთი სხვადასხვა კერძი. ჩვენ ვუტიკობთ, რომ დედარიანი არც ასე მოხარული იქნება ამ შეზოლობით.

მართალია ის, რომ პუშკინს მუსიკა შეეშალა და ძალიანაც—დამატებთ ჩვენ—როცა დასწერა სამარცხვინო ლექსი „Клеветникам России“—მაგრამ ეს იყო შედეგი არა იმის, რომ ის საერთოდ „აყვა პოლიტიკის ფეხის ხმას“—როგორც ეს უნდა გვაჩვენოს სეითმა—არამედ იმის, რომ აყვა რეაქციონურ პოლიტიკის ფეხის ხმას... იი რაშია საქმე სეით! ეს რომ ასე არ იყოს—მაშინ საუკეთესო შედეგები პუშკინის პოეზიაში—სადაც ის უმღერის თავის მეგობარ დეკაბრისტებს, სადაც ის წყველა-კრულვით იხსენიებს მეფის მთავრობას—აგრეთვე „მუსიკის შემლა“ იქნებოდა. საქმე პოლიტიკაში კი არ არის—საქმე იმაშია, თუ რომელი პოლიტიკაა: რეაქციის თუ რევოლუციის. ვერაინ ვერ დაამტკიცებს იმას, რომ ლექსი „Клеветникам России“—ცუდი ხელოვნებით და მხატვრობით არის დაწერილი;—გარეგნული მხარეები ამ ლექსისა—მისი ფორმა სწორედ ისეთია, როგორც შეშენის პუშკინს—მაგრამ ის ჩვენ გვეძიება, იმიტომ, რომ მისი პოლიტიკაა საძაგელი და ჩვენთვის მიუღებელი. იმიტომაც არის მოკლებული იგი ჩვენთვის ყოველგვარ ესთეტიურ ღირებულებას. რახ იზამთ—ხშირათ პოლიტიკა ესთეტიკის კანონებს იმუშავეთ! სანდრო ყაზბეგის მთელი შემოქმედება—უაღრესი და უფიქროესი მხატვრულად ასხმული პოლიტიკაა. ამა გაბედოს და დაამტკიცოს ვინმემ, რომ სანდრო ყაზბეგი დარჩებოდა სანდრო ყაზბეგად—რომ მის ნაწერებში ეს აშკარა და ყველასათვის ხელსახები პოლიტიკა არ იყოს; უსაზღვრო სიძულვილი გაბატონებულ მეფის ბიშტისადმი და აგრეთვე უსაზღვრო სიყვარული თავისუფლებისათვის მებრძოლ მოხვევთა და მთიულეებისადმი. რასაკვირველია სანდრო ყაზბეგი პოეტი იყო—და დიდი ნიჭის პატრონი პოეტი—უამისოთ, ცხადია ვერაერთი მისი სიძულვილი მეფის ბიშტისადმი და სიყვარული თავისუფლებისადმი—ვერ მოგვეცემდა იმას, რაც მან მოგვცა. პოეტი—პოეტი უნდა იყოს. მაგრამ—პოეტობა სრულებით არ ანობს იმას, რომ იგი აუცილებლივ უნდა უარყოფდეს ცხოვრების მხარეების შეფასებას—პოლიტიკას—ამ სიტყვის ფართო გაგებით. არაინ არ მოითხოვს არაფისკან—მით უმეტეს პოეტისაგან, რომ იგი მიინც და მიინცვაბდეს კომუნისტურ პარტიის წევრი—ბუნებრივად მომხდარი ეს „ამბავი“ არც თუ ისე მაინც იქნებოდა პოეტისათვის!—არაინ არ ავალებს პოეტს—აქოს მიინც და მიინც ეს და აძაგოს ის;—ჩვენ მხოლოდ ერთ რამეს ვამბობთ: რევოლუციის ინტერესები მოითხოვს, რომ არაფის მოქმედება, არაფის მუშაობა არ უნდა სკილდებოდეს მეტად ფართოდ გაშლილ ფარგლებს რევოლუციის სარგებლიანობისა, ეპოქის მოთხოვნილებებისა. ამ ფარგლების იქით რევოლუცია დაუსჯელად არაფის არ გაუშვებს; ამ ფარგლებს იქით არსებობს მხოლოდ აშკარა და გაუსწორებელი კონტრრევოლუცია. ხელოვნებას მასთან არავითარი საერთო არ უნდა ჰქონდეს—არც შეიძლება რომ ჰქონდეს, თუ კი იგი ნამდვილი ხელოვნებაა... ჩვენ—ეზლაც არ გვინდა დაუჯეროთ თვალებს, როდესაც ვკითხულობთ; „ნამდვილი მხატვარი ბუნებრივად ჰქმნის ესთეტიურ ღირებულებას, რომელიც ვერ თავსდება იმის საზოგადოებრივი იდეოლოგიის ფარგლებ-



ში*) ამაზე შორს მარქსიზმის გაყალბება ძნელათ თუ წავა... აქ ჩნდება მარქსის-პირებაა საზოგადოებრივი იდეოლოგიის—ე. ი. აზროვნების, რომელიც აქვს მწე-რალს—მის მხატვრულ მუშაობასთან, შემოქმედებასთან, რომ იფიქრებ: ამას სწერს არა მარქსიზმთან რამოდენიმეთ მაინც ახლოს მდგომი ადამიანი, არამედ ვინმე ხელოვნების ზეციურობის მორწმუნე იდეალისტი. ის ფაქტი, რომ ზში-რად პოეტი ვერ თავსდება თავის „საზოგადოებრივ იდეოლოგიის ფარგლებ-ში“—განა იმის მაჩვენებელია—რომ ნამდვილი ხელოვანი საერთოდ არ შეიძლება მოთავსდეს თავის მუშაობაში—რომელიმე საზოგადოებრივ იდეოლოგიასთან, რომელიც მას აქვს გამოუმუშავებული? და განა-ეს ფაქტი—სასიხარულოა და მისაღები? ამ გზას თუ დავადეკით—მაშინ ხომ უნდა უჩიოთ ყველა პოეტებს, მწერლებს, მსახიობებს—ნუ გეჰყენებთ ნურავითარი საზოგადოებრივი იდეოლო-გია, გაექცით სრულებით და რაც შეიძლება შორს, ყოველგვარ საზოგადოებრივ აზროვნებას—თქვენთვის ის მავნე და ხელის შეშლელი არის... ჩვენ კი ვფიქრობ-დით: ნამდვილი ხელოვანი—ნამდვილი პოეტი, მხატვარი, მოქანდაკე—ნამდვი-ლი, ჰემმარიტი ხელოვანი იქნება მხოლოდ მაშინ და იმდენად,—რამდენათაც ის მოახერხებს თავის ხელოვნების ნიჭთან ერთად გამოიყენოს ყოველივე ის, რაც კაცობრიობის კულტურას შეუქმნია—სხვათა შორის საზოგადოებრივი იდეოლო-გიაც. მხოლოდ სწორი და ისტორიულად პროგრესიულ საზოგადოებრივ იდე-ოგიის მქონე ხელოვანს შეუძლია—საბოლოოდ ამოწუროს თავის ნიჭის ყველა შესაძლებლობანი, საშაგალითოდ გაშალოს იგი და ნამდვილი განძი შეიტა-ნოს კაცობრიობის ხელოვნების საუნჯეში. ამის წინააღმდეგ გამოსვლა იქნებოდა საერთოდ კულტურის წინააღმდეგ გამოსვლა.—ამას კი პარზაროსობის ნიშანი აზის...

ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ დეცდარიანი—კომუნისტურ პოლიტიკით უკმა-ყოფილებამ—აქამდის მიიყვანა.

ჩვენ ძალიან ვწუხვართ!!

(გაგრძელება იქნება).

*) ს. დეცდარიანი. მარქსიზმი და ხელოვნება.

უპტონ სინკლერი.

მოკლე მიმოხილვა.

I.

ჯეკ-ლონდონი, ო. გენრი, უპტონ სინკლერი—აი, სამი სახელი, რომელიც დიდი პოპულიარობით სარგებლობს დღეს არა მარტო ამერიკის, არამედ,— შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიო ლიტერატურაში.

სამივე ამერიკის თანამედროვე ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლებია. ერთ მათგანს,—სახელდობრ—ლონდონს ქართველი მკითხველი უკვე იცნობს. მისი ერთ-ერთი რომანი: „რკინის ქუსლი“ გადმოთარგმნილია ქართულად. რაც შეეხება დანარჩენ ორს,—ო. გენრის და უპტონ სინკლერს,—მათი ნაწარმოების თარგმანი ქართულად დღემდე არ მოგვეპოება.

სამივე დასახელებულ მწერლის შემოქმედებას უმთავრესად ახასიათებს ის, რაც, საზოგადოთ, დამახასიათებელია მთელი ამერიკის თანამედროვე პროზისთვის: ეს არის: უარყოფა ფსიქოლოგიზმის, მეტი ყურადღება ფაბულის, სიუჟეტის და მოქმედების განვითარების მიმართ.

ეს მწერლები თავის ნაწარმოებში უმთავრეს ყურადღებას აქცევენ იმას, რომ, რაც შეიძლება, მოთხრობის ამბავით მეტად დააინტერესონ მკითხველი. ასეთია, მაგალითად, ჯ. ლონდონის მოთხრობები, რომლებიც დაწერილია ცოცხლად, ლამაზად და, რომლებიც სუნთქავენ ცხოვრებისადმი უაღრესი სიყვარულით და პატივისცემით.

ჯ. ლონდონმა სახელი გაითქვა თავისი რომანებით „ოქროს მაძიებლების“ ცხოვრებიდან. ამ რომანებში ის გვიხატავს ოქროს ძიებაში ველურობამდის დასულ ადამიანის ტიპებს.

ეს ადამიანები ოქროს გულისთვის ყველაფერს ივიწყებენ. ისინი არ ინდობენ ერთმანეთის სიცოცხლეს, ხშირად ილღობს ქვეშ ამოფარებული დანით იძინებენ.

ჯ. ლონდონისგან რამოდენიმეთ განსხვავებულად დგას ო. გენრი. მის მოთხრობებში ძლიერია იუმორი და სანტიმენტალობა. მოქმედ პირებად გენრის თავის მოთხრობებში გამოჰყავს უმთავრესად პირწივარდნილი ავანტიურისტები,



მასურები, „თავზე ხელაღებული ხალხი“. ამ პირების მიმართ მწიფე კლასიკური-ველთის გრძობს ღრმა პატივისცემას და სიყვარულს.

სულ სხვაა რედაქციის სინკლერი. სინკლერს ბედმა არგუნა პროლეტარიატის პოეტობა.

სინკლერი არის მებრძოლი მწერალი, რომელიც იტანჯება პროლეტარიატის საერთო ტკივილით. შისთვის მუშათა კლასის ინტერესები ყველა ინტერესებზე მაღლა დგას. სინკლერი თავის ნაწარმოებს კი არ იგონებს, არამედ ის იღებს მას სინამდვილის წიაღიდან.

ხოლო ამისთვის იგი პირადად ეცნობა ცხოვრების ამა თუ იმ დარგს: თითონ დგება შვე მუშათ, მექანიკოსათ, მეფხოვეთ, შოფერათ—იმის მიხედვით თუ რომელი წრის ცხოვრების გამოხატვა სურს.

ამერიკაში არ არის ინდუსტრიის დარგი, რომელშიაც სინკლერს არ ემუშავოს. ყველაფერი ის, რასაც სწერს სინკლერი, თითონ ნას აქვს პირადად განცდილი. მთელი მისი შემოქმედება მუშათა კლასის მდგომარეობისადმი მიძღვნილი. თითქმის ყველა მის რომანში დამუშავებულია სოციალური მოტივი. მის რომანებში არის სიმღერა ამერიკელ მუშის ტანჯვაზე და წამებაზე, აუტანელ ყოფაზე. ამ მხრით, მას, როგორც სოციალურ რომანების ავტორს, ბადალი არა ჰყავს მთელ მსოფლიო ლიტერატურაში.

თავის შემოქმედებით სინკლერი სასტიკ პროტესტს უცხადებს მსოფლიო კაპიტალიზმის პირატებს. მისი რომანების ფონია: ხან ჩაბნელებული ჯურღმულები, სადაც სინათლე არასოდეს არ ატანს, სადაც, როგორც კლბოში, ჩაქვდილი არიან კაპიტალის ათეული მილიონი მონები; ხან ვეებუროულა ვერებები, ფაბრიკები, სასაკლაოები.

სინკლერი სეისმოგრაფივით გვიჩვენებს თანამედროვე მუშათა სულიერ მოძრაობის ყველა ფენებს; იგი ყველგან გამოადის როგორც იშვიათი ოსტატი და მუშის პსიქოლოგიის ზედმიწევნით მკოდნე.

II.

— ბევრი, ძალიან ბევრი საიდუმლოს გამგლავნება შეუძლიათ ძველ მღა-როებს ლაპარაკი რომ შეეძლოთ...

აქ არსებობდა სრულებით განსხვავებული რასა მიწის ქვეშა გნომების, რომლებიც ნახშირის მეპატრონეთა კამპანიამ თავის ანგარულ მიზნით ჩაქვეტა ამ ჯურღმულში და მძიმე ბორკალი დაადო ქედზე.

გარეთ მზის ნიაღვარით დაფარულ სივრცეზე მიჰქროდა გამალებით გრძელი რიგი ვაგონების დატვირთული ნახშირით, რომელიც მიწედება ქვეყნის ყოველ კუთხეს, ისეთ კუთხეს და აღავს, რომელთა შესახებ მღაროებში მომუშავეთ არასოდეს არ სმენიათ. ნახშირი მოძრაობაში მოიყვანს ინდუსტრიის ბარბლებს, რომლის ნაყოფს მღაროებში მომუშავენი ვერასდროს ვერ ნახავენ. ნახშირის შემწეობით მოქსოვენ საუცხოვო აბრეშუმის ქსოვილებს—დიდაკების ცოლებსთვის, დაფერავენ ძვირფას თელებს და სამკაულებს, გააჭროლებენ უდაბნოებში და მთებში მთელ წყება ვაგონებს რბილი ხავერდის საჯდომებით, ნახ-



შირი წაიყვანს სასახლის მზგაეს გემებს თოვლიან ქვეყნებში და მათში ტროპიკულ ზღვების ნაპირებისკენ.

„აბრეშუმის კაბებში მდიდრულად შორთული, დიდკაცების ცოლები განცხრომით მიირთმევენ საკმელს, დაიძინებენ, აკვილად დაისვენებენ რბილ სავარძელში და მათ ექნებათ წარმოდგენა-ბნელეთის საცოდავ ქმნილებებზე იმდენათვე, რამდენათაც ამ უქანასკნელებს დიდკაცების ცოლებზე...“

„როცა ხოლმე აკვირდებოდა სამუშაოზე გაჩქარებით მიმავალ ხალხს—მას აგონდებოდა, რომ სახელმწიფო სტატისტიკის თანახმად თითოეულ ათას კაცზე ცხრა კაცს აუცილებლად დაღუბვა ნოვლოდა, და დასახიზრება კი ოცდა ათს მაინც. მუშებმაც იცოდენ ეს, იცოდენ შეიძლება უფეთაც, ვიდრე ყველა ქვეყნის სტატისტიკოსებმა, მაგრამ მაინც მიდიოდენ სამუშაოზე“ („მეფე ნახშირი“)

ასეთი სტრიქონებით გვიხატავს სინკლერი იმ ფონს, რომელზედაც, უმთავრესად უხდება არსებობისთვის მოქმედება და ბრძოლა მუშათა კლასს. ეს ფონი, რა თქმა უნდა, შავი ფერებით არის შეხავებული. მაგრამ, რა ვუყოთ, ასეთია შკაცრი სინამდვილე.

გაცილებით უარესია კიდევ მდგომარეობა იმ მუშების, რომლებიც მუშაობის საძებრად დღე და ღამ დაძაწიან შვიერ-ტიტველნი, და, რომელთა ცოლ-შვილიც „ნაგავივით ქუჩებში ჰყრიან“.

—საშინელ ხამთარში, თოვლში და ქარბუქში ადამიანების ბრბო დაკალიერებული ჯიბით და სიმშოლისაგან მისუსტებული მთელი დღე აწყდებოდა ფაბრიკის კარებს. ისინი თვეობით იდგენ ამ კარებთან იმ იმედით, რომ როგორმე ბოლოს ვლირსებიან არსებობის წყაროს. მათ არ აშინებდათ სიცივე და ქარი...“

„ისინი ყოველთვის განდებოდენ ხოლმე იქ ორი საათით ადრე მზის ამოსვლამდის. მათ ეუჩნებოდათ ხელფები, პირისახე, ხანდახან მთელი ტანიც, მაგრამ მაინც მიდიოდენ და იდგენ, რადგან სხვა გზა არ ჰქონდათ. („ჯუნგლი“)

პირველი რომანი, რომელმაც სინკლერს მსოფლიო სახელი მოუპოვა იყო: „ჯუნგლი“. ეს რომანი გამოვიდა 1906 წ. იგი ამერიკის ლიტერატურაში ვაგვარდა, როგორც ყუმბარა. გამოსვლისთანავე მან მოახდინა სენსაციის მსოფლიოს ყველა კუთხეში. იგი იქმნა გადათარგმნილი 17 ენაზე.

ეს რომანი ამერიკის ბურჟუაზიისთვის იმდენად საშიში გამოდგა, რომ პრეზიდენტმა რუზველტმა მის შესახებ შეკითხვა შეიტანა კონგრესში, კონგრესმა კი დანიშნა გამოძიება. რაში იყო საჭმე, რითი გამოიწვია ამ რომანმა ასეთი მოულოდნელა სენსაცია? ამის შესახებ მოუსმინოთ თითონ ავტორს:

„მე შევეცადე დამეინტერესებია აგრეკლები საკონსერვო ფაბრიკებში არსებულ მუშაობის პირობებით. ამაზე საზოგადოება აღელდა. როგორც მაშინაც ვსთქვი,—მე ვუმიზნებდი საზოგადოებას გულში და კუჭში კი მოხვდა შეიქნა ერთი აურზაური და ხმაურობა“.

„კონგრესი იძულებული იყო გამოეცა კანონი, რომელიც ამ უბედურებს უშეელოდა. ეს კანონი არსებითად იყო ფარსი, მაგრამ საზოგადოება მაინც დაკმაყოფილდა და ჩქარა სრულიად დაივიწყა ეს ისტორია“.

ამ რომანში მოცემულია ჩიკაგოს სასაკლაოების მუშების სინკლერობა. სინკლერმა ამ სასაკლაოებში თავის თვალთ შინა მთელი ის საშინელება, რომელიც მან შემდეგ უბრალო სიტყვებით გადმოგვცა თავის რომანში. ასეული მანქანები ათი-ათასობით ზოცავენ საქონლის ჯოგს. ხორციდან აკეთებენ ძებვებს, აქოთებულ ნაწლევიდან ამზადებენ სიმებს, რქებიდან—საეარცხლებს.

ასე, რომ საქონლისგან თითქმის არაფერი არ რჩება გამოუყენებელი. ტყვილა კი არ ამბობენ სასაკლაოებში: „ლორისაგან ყოველივე სასარგებლოა—ხრტუნის გარდა“. უფრო მეტ სარგებლობას მოითხოვენ მუშებისგან. მუშებისგან სხეულს გარდა, სულიც კი სასარგებლო უნდა ყოფილიყო.

რომანში გამოყვანილია მსაჯულები, რომლებიც „შაშხის შეფეებისაგან“ ტელეფონით ღებულობენ განკარგულებას „ურჩ“ მუშებისადმი სასჯელის მინიჭების შესახებ. აქვეა გამოყვანილი პოლიცია, რომელიც ღებულობს ჯამაგირს კაპიტალისტებისაგან.

დასასრულ, რომანში მოცემულია არჩევნების სურათები, რომლებიც წარმოადგენენ უფრო სამხიარულო კომედიას გულუბრყვილო მოქალაქეებისთვის, რადგან არჩევნებამდის ყველა ადგილი წინდაწინვე მოყიდული და დარიგებულია „შეურიგებელ“ პოლიტიკურ „მოწინააღმდეგეთა“ შორის.

რომანი თავდება სოციალისტური აგიტაციით. აქ არის მოწოდება მოქმედებისაკენ. რომანის დასასრულს, ორატორი, რომელიც სიტყვას ამბობს არჩევნების შესახებ ესტრადიდან ასე ათავენს მას:—ჩვენ იმედი გვაქვს: ჩვენ დროშას შემოუერთდება ყველა ჩაგრული. ჩვენ გაუძლებით მათ, ჩვენ მოვდრეკავთ ოპოზიციის, მოვსპობთ მას ჩვენს გზაზე და ჩიკაგოსაც ავიღებთ, ჩიკაგო ჩვენი იქნება!“-ო.

ამ რომანის გამოსვლის შემდეგ სინკლერს დაუწყეს დენა, სინკლერის წინააღმდეგ ამხედრდა ამერიკის ყველა კაპიტალისტები.

მის წიგნების დაბეჭვდაზე ამერიკის წიგნის გამომცემლებმა მკაცრი უარი განაცხადეს. ამის საპასუხოდ სინკლერმა გამოსცა წიგნი „სპილენძის მარკები“.

ამ წიგნში მან გამოაქვეყნა 12 წლის განმავლობაში შეგროვილი ფაქტები, დაასაბუღა ასეული საბელი, გაზეთი, მისამართი და ცოცხალი მაგალითებით დამტკიცა, რომ მთელი ამერიკის ბეჭვდითი სიტყვა, გაზეთები, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რასაც უწოდებენ „საზოგადოებრივ სინდისის ხმას“—მოყიდულია; ყოველივე რაც იწერება მოყიდულია ნაეთის, ოდევალონის, ფოლადის, ძებვების, ნახშირის და სხვა შეფეების მიერ.

სინკლერი ამტყუნებდა ბევრ გამომჩენილ მოღვაწეებს, მას უნდოდა სასამართლოს წინაშე დაემტკიცებია თავის მიერ წამოყენებული ბრალდება, მაგრამ ამის ნებას არ აძლევდნენ. ყველა სდუმდა. ან კი რა უნდა ეთქვათ მის წინააღმდეგ?

სინკლერი ერთ ალაგას გვიამბობს იმას თუ როგორ მისცეს მას ნება ერთ-ერთ გაზეთში დაეწერა წერილ ფაბრიკაში ჩადენილ ბოროტმოქმედების შესახებ. მაგრიამ, სმაგიეროთ, მას ნება არ დართეს დაეწერა რამე უძლიერესი ფოლა-



დის ტრესტის ქარხნის შესახებ, იმ ქარხნების სადაც შეიძლება უფრო მეტი განვითარებაში მუშები მუშაობდნენ 12 საათს, სადაც ფული წარმოადგენდა მხოლოდ მუშების ცხოვრება კი ვროშადაც არ ღირდა.

ამ ტრესტის ერთ-ერთ ქარხანაში მანქანის ატრიალებულ ბორბალში მუშის ჩაღვარდა ფეხები, მუშის ფეხების გადასარჩენათ საჭირო იყო მთელი მანქანის დარღვევა, ეს კი, რა თქმა უნდა, დიდ ფულს მოითხოვდა. ამიტომ ისევ მუშის ფეხების მოწყვეტა ამჯობინეს—მანქანის დარღვევის. გაზეთმა, როგორც ვთქვი, ეს წერილი არ დაბეჭდა და შემდეგ გამოუცხადეს სინკლერს, რომ რედაქცია მის თანამშრომლობას აღარ საჭიროებს. ერთი სიტყვით ხსენებულ რედაქციის აზრით გამოდიოდა, რომ დიდ წარმოებებზე შეიძლება მხოლოდ სარეკლამო წერილების წერა.

რომანი „ჯუნგლი“ გამოსვლამ ამერიკის მწერალთა ერთ ჯგუფში დიდი აღტაცება და სიხარული გამოიწვია. ასე, მაგალითად, ჯექ ლონდონმა ამ წიგნის შესახებ საგანგებო ღია წერილით მიმართა მუშებს.

ამ წერილში იგი ურჩევდა მუშებს ნებურაღე მონაწილეობა მიეღოთ სინკლერის რომანის ფართოდ გაერცელებაში. აი, სხვათა შორის, რას სწერდა იგი:

„გაავრცელეთ ჯუნგლი“!

„აი, წიგნი, რომელსაც ჩვენ ველოდით მთელი წლების განმავლობაში.— „ბიძია თომას ქობი“ დაქირავებული მონების! ამხანაგ სინკლერის რომანი „ჯუნგლი“! რაც „ბიძია თომას ქობი“ გააკეთა შავ კანიან მონებისთვის, მასვე, —დარწმუნებული ვართ,—გააკეთებს „ჯუნგლი“ ჩვენი დროის თეთრი მონებისთვის.

„ეს წიგნი, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეა. მშვენიერი თეორიები ბელამის რომანის: „ასი წლის შემდეგ“—ძალიან კარგია. მათ შესარღვლეს თავისი საქმე და ძალიან კარგადაც. მაგრამ, გაეხედავ და ვიტყვი რომ „ჯუნგლი“, რომელშიაც არ არის არავითარი ლამაზი თეორიები, უფრო კარგი წიგნია.

„იგი დაწერილია სიხლბით და ოულით, ოხვრით და ცრემლებით. ეს წიგნი გვიამბობს იმის შესახებ თუ როგორია ჩვენი ქვეყანა სინამდვილეში: ქვეყანა ჩავგრის, მოყიდული სასამართლოსი, ჯოჯოხეთი იდამიანების, უღრანი ტყე, სადაც დამრწინ მხოლოდ მხეცები.

„ამხანაგებო, ამასთანავე მიიქციეთ ყურადღება და დამიხსოვრეთ შემდეგი: „ჯუნგლი“ თავიდან ბოლომდის პროლეტარული წიგნია. მას არც შეუძლია არ იყვეს პროლეტარული, ვინაიდან იგი დაწერილია გონებრივი შრომის პროლეტარის მიერ და დაწერილია იგი პროლეტარიატისათვის.

„მას უშვებს პროლეტარული გამოცემლობა. მას წაიკითხავს პროლეტარიატი და დამიჯერეთ: თუ პროლეტარიატმა თითონ არ მოჰკიდა ხელი მის გაერცელებას—მას არ ეღიროსება ფართე მასსები.

„გაბსოვდესთ, რომ ეს წიგნი უნდა წარსდგეს ჩვენი მტრების წინაშე. ზოგიერთები მას დასცინებენ, ზოგიც გინებას დაუწყებენ, მაგრამ უმრავლესობა



საქართველო

რაც ყველაზე საშიშია, მას სიჩუმით შეხედება, რადგან ასეთმა სიჩუმემ ბრძოლის საშუალება.

„ამხანაგებო, არ დაგავიწყდეთ სიჩუმის კონსპირაცია. სიჩუმე ყველაზე საშიში მტერია იმ განსაცდელთან, რომლებიც შეხედება ამ წიგნს. ყველაზე მეტად მას ესაპიროება მოსწენა.“

„თქვენ უნდა მისცეთ საშუალება მას სთქვას თავისი სიტყვა. თქვენ უნდა აიმალოთ ხმა ამ წიგნის შესახებ ყველა ტერიდან, ყოველ იდეილას და ყოველ დროს.“

„დაე, წაიკითხოს ეს წიგნი ყოველმა მუშამ. ის მონახავს ნიადაგს ჩვენი სწავლისთვის, ის ათასობით მისცემს მიმდევრებს ჩვენს რიგებს. ამხანაგებო, სიტყვა თქვენ გვეუფნისთ.“

რევოლუციის სახელით თქვენი

ჯეკ ლონდონი.

რომანში: „**ქრისტეს თავგადასავალი**“ — ქრისტეს ზნეობრივ მოვლინების ფონზე გაშლილია ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა კურონები. ორნაირი ძალაუფლება ხედება ქრისტეს ამერიკაში: ერთი — მთავრობის და მეორე — კაპიტალისტურ წარმოებათა, რომელთაც ჰყავთ საკუთარი მეფეები. ეს მეფეები არა ნაკლებ ძლიერა არიან ვიდრე თვით მთავრობა. ტეხნიკის უაღრესი განვითარება, და ცხოვრების ფუქსავატობა ჰქმნიან ამერიკის სინამდვილეს საზიზღრად და აუტანელს.

„**არტურ სტირლინგი**“ — ისმის მხილების ნოტა. თავის შემოქმედების განმტკიცებისათვის ბრძოლაში ნაფ-იორკის ვიწრო, მივარდნილ ქუჩებში იღუპება ახალგაზდა, ლირიკული პოეტი. რომანი წარმოადგენს ვრცელ დღიურს, რომელშიაც მოყოლილია პოეტის უკანასკნელი დღეები.

არტურ სტირლინგი ბედი მეტათ მკიდროთ არის დაკავშირებული მის ხელთნაწერებთან, რომლებიც ამაოდ მოგზაურობენ ხელიდან ხელში, ერთი რედაქციიდან — მეორეში, მწერლიდან მწერალთან, მაგრამ მათ არავენ ბეჭდავს.

ქაობში გაქევაებული ამერიკის ბურჟუაზია, სავაზეთო კვლისების ქსელი, მადრუღი კმაყოფილება „სახელ მოხვეჭილი პირების“ — აი, ფონი, რომელზედაც იღუპება პროლეტარი პოეტი, და ეს იმიტომ რომ მან ვაზედა თამაში ოცნება.

სინკლერს აქვს ერთი რომანი, რომელშიაც ის დროებით ლალატობს თავის ჩვეულებას: იყვეს მხოლოდ თანამედროვე მწერალი. ეს არის: „სამხრეთი და ჩრდილოეთი“.

აქ იგი მიმართავს მე-19 საუკ. ორმოცდა ათიან — სამოციან წლებს, და გვიხატავს ჩრდილოეთ შტატების ბრძოლას სამხრეთ შტატებთან — ნეგროების განსათავისუფლებლად. ამ ბრძოლის მონაწილეთ გამოდის რომანის გმირი — ალანა მონტეგიუ, რომელიც ცნობილია აგრეთვე სხვა რომანებშიაც: „ოთხასი“, „ფულები“, და პიესა: „მანქანაში“.

ალანა მონტეგიუ რწმუნდება თანამედროვე საზოგადოების სიყალბეში.



იშვიათი პირდაპირობით და წმინდა, ამერიკული უნარით და ^{ინტერესი} ინტერესით იწყებს თანამედროვე წყობილების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას.

აღლანა დაიბადა სამხრეთში, ბამბის პლანტაციების მფლობელის მდიდარ ოჯახში. ბავშობისას მას ეზიზღებოდა ისინი, ვინც წინააღმდეგნი იყვნენ მიწათმფლობელობის. მაგრამ, აი, ის წაიყვანეს ჩრდილოეთში, ბოსტონში, სადაც მან გაატარა თავისი სიყმაწვილე. აქ მან გამოიბეჭადა სულ სხვა შეხედულება საგნებზე.

შემდეგ სამხრეთში, მოკლე ხნის განმავლობაში ის ახლოს გაეცნო მონაწილეობის მდგომარეობას და საბოლოოდ მიემხრო მათ განათავისუფლების იდეას. აღლანმა გასწყვიტა კავშირი თავის მშობლებთან და შემდეგი წლების განმავლობაში უფრო მეტი ენერჯით მოჰკიდა ხელი საზოგადოებრივ მუშაობას.

სამოქალაქო ომის დროს ის შედის ფედერატიულ ჯარში. — აქ წყდება მოთხოვნა. რომანი უნდა მივიღოთ როგორც შესავალი დანარჩენი რომანების მთელი სერიისთვის, რომელიც მიძღვნილი იქნება მე-მ წლების შეერთებული შტატების სამოქალაქო ბრძოლის ისტორიისადმი.

ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარების ცალკე პიროვნების ბედთან ერთ ნაწარმოებში დაკავშირება არც ისე ადვილი საქმეა.

ამიტომ ამ რომანსაც აქვს ნაკლი: თითონ აღლანა მონტეგის ტიპი ვერ არის დამაჯერებელი. ამასთანავე ის დახასიათებულია რამოდენიმე პრიმიტიული და მის დახასიათებაში ბევრია სანტიმენტალობა. ისტორიული ეპიზოდები მჭიდროდ არ არიან ერთმანეთში დაკავშირებული.

მთელ რომანს აზის სიჩქარის დალი. იგი თითქოს ნაწყვეტებს მოგაგონებთ. მხოლოდ ზოგიერთ თავებში (გაქცეული ნეკრის გამოდევნება, აჯანყება ჯონ-ბრაუნის, ჯარზე თავდასხმა ბალტიმორის) სინკლერი აღწევს იშვიათ ოსტატობას, რომელიც ახასიათებს მის საუკეთესო რომანებს.

III.

სინკლერი ცნობილია აგრეთვე, როგორც პუბლიცისტი. მას აქვს აუარებელი პუბლიცისტური ნაწერები. იგი წარმოადგენს ინგლისს-ამერიკის სოციალიზმს. თავის credo მან მოგვცა **„წიგნში საზოგადოების შესახებ“**... აქ სინკლერი თანამედროვე საზოგადოებას უკეთებს ანალიზს და ამტკიცებს რომ კაპიტალიზმს აუცილებლად უნდა მოჰყვეს სოციალიზმი.

თუმცა, უნდა ითქვას სიმართლე, სოციალიზმის საკითხი და გზები სოციალიზმისკენ მიმავალი სინკლერს ვერ აქვს საკმაოდ ნათლად გაშუქებული. ბუნდოვანობა სოციალიზმის თეორეტიულ საკითხებში ინგლისს-ამერიკის მწერლებიდან მართო სინკლერს არ ახასიათებს. ასეთ ბედს იზიარებენ მწერლები: ბ. შოუ და გერბარტ უელსი.

საქიროა გაკვრით მაინც შევეხოთ სინკლერის შეხედულებებს. ავიღოთ, მაგალითად, თეორია. როგორი შეხედულებისაა სინკლერი ამ საკითხის შესახებ? იგი თეორიას უყურებს უარყოფითად. — თეორია ნაცრისფერია, მაგრამ სავანეროთ, მუდამ ჰყვავის ცხოვრების წარადიული ხე. სინკლერი კლასთა ბრძოლის



ვაშუქებს ამნაირად იწყებს: „არსებობს სოციალური ევოლუციის თეორია, რომელსაც უწოდებენ ხან მატერიალისტურს და ხან ეკონომიურ გაგებას ისტორიისას. ეს გაგება ჩვენ მოგვცა კარლ მარქსმა. ასეთი გაგების შესახებ არსებობს დაფა არა მარტო სოციალისტების და ორტოდოქსალურ ეკონომისტების შორის, არამედ, თვით რევოლუციონურ იდეოლოგიის სხვადასხვა წარმომადგენლებს შორისაც. რაც შემეხება მე, — მე არასდროს არ ვიყავი გატაცებული განუყენებელი თეორიებით, ჩემთვის სულ ერთია თეორია ძველი იქნება თუ ახალი, მე ერთნაირად ვუყურებ, როგორც მარქსის თეორიის, ისე მარტინ ლიუტერის და პაულე მოციქულის მოძღვრებას. ჩემი რჩევაა: შეიცნო ცხოვრება საყოთარი გონების თვლით და შემდეგ დაკვირვებიდან გამოიყვანო უბრალო და ნათელი დასკვნები.“

სინკლერის ასეთი შეხედულება, რა თქმა უნდა, დამყარებულია თეორიისა და ცხოვრების შორის არსებულ დამოკიდებულების გაუგებრობაზე. ცხოვრება თავისთვის, თეორია თავისთვის, მათ შორის არავითარი დამოკიდებულება არ არსებობს! თუ ასეა, მაშინ, რასაკვირველია, სულ ერთია — გვექნება საქმე მარქსის თეორიასთან თუ მარტინ ლიუტერის მოძღვრებასთან. მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ სინკლერი უარყოფდეს თეორიის მნიშვნელობას სავსებით, მაგალითად, ისეთ სავსებისთვის, როგორცაა ფიზიკა, მექანიკა, მათემატიკა. მაგონია, სინკლერი დაგვერწმუნოს იმაში, რომ მარტო „სალი გონებით“ ვერ ააშენებ ელექტრონის სადგურს, ან და ვერ გააკეთებ ავტომობილს.

სინკლერის ასეთი მსჯელობა მოგაგონებთ მოლიერის გმირს, რომელიც პროზით ლაპარაკობდა და თითონ ამას ვერც კი ამჩნევდა. ამას გარდა სოციალიზმის სასარგებლოდ სინკლერის ასეთი შეხედულება მოწინააღმდეგეს შეუძლია სულ ადვილათ დაარღვიოს.

შემდეგ უცნაურია აგრეთვე მისი შეხედულება საზოგადოების არსის შესახებ. მისი აზრით საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი არსი გამოიხატება ადამიანის გარშემო არსებულ ბუნებრივ და სოციალურ წრესთან შეგუების თანდათანობით ზრდაში. ასეთი შეხედულების შემდეგ რამოდენიმეთ მოულოდნელია მისი უცარი დასკვნა: „შორიდან, ზერუელდაც რომ ვაღაველოთ ცხოვრებას, ადვილად ღაერწმუნდებით იმაში, რომ ჩვენ ვერ კიდევ შორსა ვართ ამ „შეგუები“ სპრობლემის განხორციელებისაგან. ამას გვიმტკიცებს აუარებელი მსხვერპლი იმ პირთა, ვინც უსარგებლოთ დაიღუბა მიუწვდომლისთვის ბრძოლაში. რამდენი ხალხი იტანჯება ციხეებში მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ვაბედდეს ნოეთხოვათ თავისთვის ის სიკეთენი, რომელსაც მათ თანამედროვე სოციალური წყობილება არ აძლევს. რამდენი ადამიანი დაიღუბა ბარიკადებზე, ზარბაზნების ყუმბარებით, ტყვიისმფრქვეველების ტყვიით მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ვერ გაიგეს თანამედროვე წყობილების არსი და დაბრმავებულები მიდიოდნენ ომში“. ეს სიტყვები ამტკიცებენ სინკლერის კეთილ გულს, მის სიყვარულს ჩაგრულებისადმი, მაგრამ სინკლერს ავიწყდება ის, რომ ბურჟუაზიას ლამაზი სიტყვებით ვერ ააღებებ ხელს პროლეტარიატის ჩავკრაზე.

თუ ბუნებაში არსებობს შეგუების პროცესი და კაცობრიობაც ვერ კიდევ



შეგუების უმდაბლეს საფეხურზე დგას, მაშინ კაპიტალისტური წესრიგის მომხრეს აწაიარაღვე შეუძლიან დაამტკიცოს რომ პირველყოფილ კლასთან შედარებით კაცობრიობა გარემო ბუნებასთან ძალიან კარგად არის შეგუებული. აწაიარაღ ეს არგუმენტაცია სრულდებით უნაყოფოა.

თავის წიგნის მეორე თავში სინკლერი ასაბუთებს სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე და თავის (სჯელობაში იგი ეყრდნობა იმ იდეებს, რომელნიც აქვს განვითარებული ანარქისტ კოპოტკინს თავის წიგნში: „ერთიერთ დახმარება, როგორც რევოლუციის ფაქტორი“. სინკლერის შეხედულება კონკურენცია და კოოპერაციაზე ატარებს განყენებულ ხასიათს. კონკურენციის ცნების ქვეშ სინკლერი აქუჩებს ერთად სრულიად სხვა და სხვა ხასიათის მოვლენებს: ეკონომიურ კონკურენციას, შეჯიბრებას ცოდნაში, ტალანტების შეჯიბრებასა და სპორტს. კონკურენციის ასე ფართოდ გაგების გამო, ცხადია, სინკლერი ვერ დაუშვებს ყოველგვარ კონკურენციის მოსაზრებას. სინკლერის იდეალია კონკურენციის და კოოპერაციის შებამება. შავრამ რაში უნდა იქნეს თანამშრომლობა და რაში კონკურენცია—ამის გამოკვლევა სინკლერის თეატრალურად მდგომი ადამიანისთვის მართლაც რომ ძნელია.

გულბრყვილო და უტოპისტურია მისი შეხედულება ადამიანთა საზოგადოების პოლიტიკურ ევოლიუციის შესახებ. პოლიტიკურ ევოლიუციას სინკლერი გეხატავს ეკონომიურ განვითარებისგან დამოუკიდებლად. მისი ფორმულაა: პირველყოფილი საზოგადოება—თეოკრატია—თეომატკრობელობა—დემოკრატია, რომელიც ხორციელდება სპირალის გზით: ისე, რომ სპირალი მოივლის წრეს და შემდეგ უბრუნდება ისევე ძველ ადგილს მხოლოდ უფრო მეტ სიპრტყეზე“. თუ ეს ასეა, თუ პოლიტიკური დემოკრატია რამოდენიმეთ, არის დაბრუნება პირველყოფილ საზოგადოებისაკენ, მაშინ ჩვენ, ალბათ, ხელახლა უნდა გავიაროთ ხოლმე თავიდან ის საფეხურები, რომელიც ერთხელ უკვე განველეთ.

ეკონომიური განვითარების ანალიზის შემდეგ სინკლერი დაასკვნის, რომ საჭიროა წარმოების განსაზოგადოება, რომელიც უნდა მოვიდეს მილიარდობების თეომატკრობელობის გამოსაცვლელად. შემდეგ სინკლერი ცალკე თავებს უძღვნის კაპიტალისტურ წესწყობილებების კრიტიკას, სადაც იგი გვაძლევს ცოცხალ, მხატვრულ სურათებს. ასეთებია 8-9-10 თავები. კარგია აგრეთვე XIV თავი. აქ სინკლერი ამტკიცებს თუ რამდენი სიყვით შეუძლია მოუტანოს მცხოვრებლებს, როცა მრეწველობა ეწყობა ფართოდ მისების ინტერესების მიხედვით.

სოციალურ საკითხებში სინკლერის უტოპიზმის მიზეზი იყო ის, რომ ამერიკაში,—თუ არ მივიღებთ მხედველობაში უკანასკნელ დროს,—კლასთა ბრძოლა არ იყო გამწვავებული. ბურჟუაზია რაც ძალი და ღონე ჰქონდა სკდილობდა შედარებით დავემაყოფილებია მუშათა მოთხოვნილება—კლასიური ბრძოლის მისაძინებლად. სოციალიზმი ამერიკაში დიდხანს წარმოადგენდა იმპორტს და ისიც ემიგრანტულ წრეებში. ამიტომ იქაური ინტელიგენციის სოციალიზმსაც ხელოვნური ხასიათი აქვს. იგი (სოციალიზმი) არ არის დაკავშირებული მასების რევოლუციონურ ბრძოლასთან. სამაგიეროთ, უკანასკნელ ხან-



ებში შემჩნეული ზრდა რევოლუციონურ მოძრაობაში ნიადაგის სოციალიზმს, რომელსაც არ შეუძლია არ მიიღოს რევოლუციონური პროლეტარიატის თეორია—მარქსიზმი.

ამ წიგნს გარდა, სინკლერს აქვს მეორე პუბლიცისტური წიგნი: „რელიგიის სარგებლიანობა“. ხალხის მასის სილატაკე და რელიგიური კემპარიტების მქადაგებლების ნაძლარი მუცელი—ასეთია ამ წიგნის ფონი. ამ წიგნში სინკლერს ნათლად და შეუცდომლად აქვს განმარტებული კაპიტალისტურ წეს-წყობილებაში რელიგიურ საკითხების არსი. ეს არის—პრობლემა შრომელთა სიმშვილობის ორგანიზაციის და უმისიდაც ნაძლარ ქვეყნის ბატონების გამდიდრების. საეკლესიო ორგანიზაციები იმავე სოციალურ მოვლენათა კატეგორიას ეკუთვნიან, როგორც ფაბრიკები ღორის კონსერვების. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ განსხვავებულ საშუალებებში, რომლებითაც ისინი მიილტვიან საერთო მიზნისკენ; მიზანი კი არის: გაბატონებულ კლასების ძალა-უფლების უზრუნველყოფა.

მოკლეთ: ამერიკის საეკლესიო თავისუფლების სისტემა მიმართულია ატეისტური განათლების წინააღმდეგ.—ერთის მხრით. მეორეს მხრით—სასულიერო პირთა ყველა დანაშაულს არ სდევნის ამერიკული კანონები.

ამ წიგნის მიზანი არის: რაც შეიძლება დროზე მოისპოს ამერიკის ძირ-გამომჰალი ეკლესია და დაჩქარდეს მისი სავსებით გადაგვარება.

სინკლერს აქვს კიდევ მრავალი პუბლიცისტური ნაწერი. მათ შორის აღსანიშნავია: „მატეზი“, რომელშიაც იგი ჰკიცხავს სწავლა-აღზრდის დაყენების საქმეს ამერიკაში და დაუზოგავად იბრძვის იმ წესის წინააღმდეგ რომელიც კაპიტალის ბრძანებით გამეფებულია დღევანდელ ამერიკის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

სინკლერი პუბლიცისტი ბევრად ჩამორჩება სინკლერს მხატვარს. მისი ძლიერება უფრო მხატვრულ შემოქმედებაშია, მხატვრული შემოქმედებით მოიპოვა მან ის სიყვარული და მხურვალე პატივისცემა, რომლითაც იგი, სამართლიანად—სარგებლობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშებში.

მეცნიერება და კულტურისტიკა

გაერთიანებული
საზოგადოებრივი

მოსე ბოგიბერიძე.

„ორგანოტროპიკი“

Amicus Plato, magis amica veritas.

მე ვერ დავეთანხმები პატივცემულ კონსტანტინე კაპანელს იმაში, რომ ქართველებს სკანდალებისა და ჭორიკანობის მტეხი არაფრის გაკეთება შეეძლოთ. ჩემი აზრით ამა თუ იმ ერის ისტორიული ნაკლი ისტორიული კანონების და პირობების პირმშო შეილია და შეიცვლება თუ არა ეს პირობები, თანვე შეიცვლებიან ეს თუ ის სოციალური რეფლექსები. ძველის ძველ შემჩნეული, აზიური კულტურის დამახასიათებელია სხეი, სიბუღვილი თეორიისა და ვადახრა პრაქტიკისაგან ერთი მხრით, ხოლო არ-დანდობა ლოლიკური აზრისა და თაყვანის ცემა მისტიურ-მეტაფიზიკური რელიგიური კულტისა, — არ შეიძლება ჩაითვალოს აზიური სისხლის დამახასიათებელ ატრიბუტით. აქ სისხლი არაფერ შუაშია, არამედ თავისებური ისტორიული პირობები. დღეს დასავლეთის ისტორიკოსებს შორის გამეფებული კულტურული დაყოფა „აზიური“ და „ევროპიული“, ყოველივე ისტორიულ მცენიერულ საფუძველს მოკლებული საქმეა. აზიის შესაფერ პირობებში ვაუკეთებია ისეთი, რასაც დასავლეთი აკეთებდა და აკეთებს. ამის საუკეთესო მაგალითია ახლო წარსულში შესწავლილი აღმოსავლეთის, განსაკუთრებით ინდოეთისა და შუა აზიის ფილოსოფოსთა მონუმენტალური შრომები. ჩემს საწერ მაგიდაზე დევს ბუდისტი დიდი ფილოსოფოსისა და არმაკირტი სქელ ტანიანი ლოლიკის სახელმძღვანელო. ვასაკვირია, რომ ეს შრომა, თუმცა-ღა სხვა ფერებით და სახეებით, მაგრამ უკანასკნელ სიტყვამდე იმ ამბავს შეიცავს, რასაც კონსტანტინე კაპანელის მიერ ათასჯერ დაწყებული არისტოტელის ორგანონი და დასავლეთელ მცენიერების მონუმენტალური ლოლიკის შრომები.

ერთხელ მეც მეგონა, რომ ეს ლოლიკა და ეს გნოსეოლოგია დასავლეთის — ბერძნებ-გერმანელების — „სისხლის“ საკუთრება იყო, მაგრამ ინდოეთისა და საშუალო აზიის წარსულის ფილოსოფიური კულტურის ზერელე გაცნობისათანვე დავრწმუნდი, რომ სასაჩიკად ვცდებოდი. და მეგონია, თუ პატივცემული ავტორი „ორგანოტროპიკისა“ მცენიერებისა და ფილოსოფიური პრობლემების ძიებას სერიოზულად შერჩება, ბოლოს და ბოლოს დარწმუნდება იმაში, რომ მის ახირებულ ომს ლოლიკის „საროსკიპოს“ — წინააღმდეგ სწორედ ისე



აქლია ისტორიული საფუძველი, როგორც მის უსაზღვრო პენსიის შესრულებული ხალხის შემოქმედებითი უნარიანობაში.

ეს უკანასკნელი პრობლემა დღესაც გადაჭრილათ უნდა ჩაითვალოს და თუ გსურთ იმ ფაქტითაც, რომ ახლო წარსულში კონსტ. კაპანელმა ორი ნაშრომი ქართულ ენაზე გამოცა. ამისათვის საჭირო იყო, არა ორგანოტროპიული მეტაფიზიკური გავლენები უბილავ სულზე, არამედ უბრალოდ შემოქმედებითი დატრიალება ისტორიისა ე. ი. რევოლუტია. ყოველივე ცხოველყოფილი რევოლუტია საუკეთესო მაგალითია ამა თუ იმ ხალხის ისტორიული ვადახალისების და გაახალგაზრდების, რის საუკეთესო მაგალითი ისტორიის ყველა კუთხეში მოიძებნება. ეს კანონი ამ ახლო წარსულში ჩვენ ქართველებმა საკუთარ თავზე განვიცადეთ. რუსეთის „ცარის“ ტახტის დანგრევისთანავე რევოლუტციამ ხალხის შეკვეცილი ფრთები გაანთავისუფლა და იმ დღიდანვე იწყება ჩვენში აწერული სიჩაბრით წინ მიმავალი კულტურული რენესანსი. პატივემულ კაპანელს არ სწამს შეიძლება არც ჩვენი მეცნიერება, არც ჩვენი კულტურა და არც ჩვენი უნივერსიტეტი, მაგრამ მან ის ხომ მაინც კარგად იცის, რომ რევოლუტციის წინა კვირაში მან პირველი თავისი ნაშრომი რუსულ ენაზე დაწერილი გამოაქვეყნა. ხოლო რევოლუტციამ ისიც — ნებით თუ უნებლიეთ, — მოაქცია ეროვნულ შემოქმედების ორბიტში და მან სულ მცირე დროის განმავლობაში ორი ასე ესაქვათ ფილოსოფიური შრომა გამოაქვეყნა ქართულ ენაზე, სადაც ავტორი — ის კი არა — საბოლოოდ გადაჭრას გვარდება ყველა იმ უკუღმართი, პრობლემებისა, რომლებიც კაცობრიობას მისი კულტურის პირველ დასაბამიდან დღემდე აწუხებდა და აწუხებს. —

ამ წერილის მიზანს სწორედ პატივემულ ავტორის ამ ახალი თეორიის ჯეროვანი განხილვა — დაფასება შეადგენს. შევეცდები ბოლომდე დაერჩე სამართლიანი და მოწინააღმდეგის აზრის საფუძვლიანი მომსმენი, თუმცაღა აქედან უნდა გავაცხადო, რომ არ შემიძლია უღალატო იმ აკადემიზმს, რომელიც ასე საშინლად სძავს ორგანოტროპიზმის პატივემულ ავტორს. ის კი არა თავი უნდა ვამზილო და ესაქვა, რომ კონსტ. კაპანელის წიგნის ყოველივე მუხუთე გვერდს დაკინებით უმეორებ იმ ყველა მეცნიერისათვის საბედისწერო ფრაზას, რომელიც ეწერა პირველი აკადემიის შესასვლელ კარებზე...

1. ორგანოტროპიზმის ზოგადი პრინციპები.

ა) აზროვნების ფორმალ — ლოლიკური პრინციპები.

ყოველივე სწავლას — ახალი იქნება ის თუ ძველი ეს სულ ერთია, — რამოდენიმე საფუძველმდებელი ზოგადი ხასიათის პრინციპი უნდა ახასიათებდეს. რომელიმე მსოფლმხედველობის ავტორი ყოველივე პრინციპის მიღმა დგომას რომ სცდილობდეს, მის კონცეპტიაში მაინც შეიპარება პრინციპი და მას ბოლომდე წითელ ზონარად გადაელება. მთავარ-პრინციპის სიახლესა და სიძლიერეზე დამყარებულია ამა თუ იმ სწავლის გამძლეობა, სიღრმე და გავლენა. პრინციპის სიძლიერეზე უნდა ემყარებოდეს ავტორის პრეტენზიები, მასზევე დაემყარება ახალი სწავლის სოციალური შედეგიც. —



საჭიროა ორგანოტროპიზმის მისი საფუძველმდებელი პრინციპების ნათესაობისა და სიღრმის მხრივ ჯეროვანი განხილვა. ჩვენ არ შეუდგებოდა ორგანოტროპიზმის კუჭმაროტების მხრით განხილვას, რადგან მისი ავტორი კუჭმაროტების დაუსვენარი მტერია და მისთვის ჩვენთვის ცნობილი აზრის ნორმებით შემუშავებული კუჭმაროტების საზომი მისაღები არ არის. ჩვენ დაგვრჩენია ორგანოტროპიზმის ავტორი თავის პრინციპების პრეტენზიებზე განვიხილოთ და შევაშროშოთ, თუ რამდენად კანონიერია მისი თამამი განცხადება:

„ჩვენ სრული სიამაყით აღვნიშნავთ იმ დიდ ფაქტს, რომ ქართული აზროვნება, რომელიც წარსულში კომენტარიებსა და თარგმანებს ვერ გამოკრებია, რომელიც დღესაც ქართულ უნივერსიტეტში ჩვეულებრივი იდეოლოგიური ტრაფარეტებით იკვებება, ჩვენ მიერ აწყობილ ორგანოტროპიზმის ფილოსოფიური სისტემაში იძლევა აზროვნების სრულებით ახალ ფორმას არა მარტო ქართული კულტურის გასაქანით, არამედ ევროპის მასშტაბითაც.“¹⁾

როგორც ხედავთ ორგანოტროპიზმს პატარა პრეტენზიები არა აქვს. ის სიამაყით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მასში აზროვნების სრულიად ახალი ფორმაა მოცემული, რომლის მნიშვნელობა გეოგრაფიის საზღვრებით არ შემოიფარგლება და სხვ. და სხვ.

ჩვენი აზრით ყველა ავტორს სრული უფლება აქვს სთქვას, რომ მის ნაწერში მოცემულია აზრის საესებით ახალი შინაარსი. მაგრამ განცხადება, რომ ამა თუ იმ სწავლაში მოცემულია აზროვნების სრულიად ახალი ფორმა, ერთობა პასუხსავე საქმეა და თან სახიფათოც. პატივცემული კონსტ. კაპანელი ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ მის ორგანოტროპიზმში მოცემულია აზროვნების ისეთი ახალი ფორმა, რომელიც სილოგიზმებსაც კი არაობად აღქცევს. ასეთი გაბედული აზრი მე არ მახსოვს, რომ ჯერ რომელსამე სერიოზულ მოაზრეს გამოეთქვას. ჰეგელი, რომელმაც მართლა საფუძვლიანად შეარყია ჩვეულებრივი ფორმალური აზრის სააზროვნო საშუალებანი, არსად არ ამტკიცებდა, რომ ის უარყოფს და უკუაგდებს ჩვენი აზროვნების ფორმალ-ლოგიკურ მოაზრებას, არამედ ის ამტკიცებდა რომ შემეცნების გასამართლავად ეს უკანასკნელი საყოფი არ არის, რომ ის ძალიან შემოფარგლული და ახლოსმჭვრეტელია და რომ მის მიღმა და მის მალა არსებობს უფრო ღრმა აზროვნების ფორმა, დილექტიური გააზრება და სხვ. ის კი არა ისეთი ყოველმხრივი რეველიოუციონერი, როგორც ფრიდრიხ ენგელსი იყო ფორმალურ ლოგიკას არამც თუ არ უარყოფდა, არამედ მას დიალექტიკასთან ერთად ფილოსოფიური სისტემების და მეტაფიზიკური კონცეპციების ნაგრევე იტოვებდა, როგორც ფილოსოფიურად და მეცნიერულად საჭირო და აუცილებელ დისციპლინას.

კონ. კაპანელი არამც თუ უარყოფს ფორმალურ ლოგიკას და დიალექტიკას, არამედ ის პირველ აზრს შემდეგნაირად ასაბუთებს: „ლოგიკა თავის სილოგიზმებით და ვერბალური იმპერატივებით წააგავს იმ როსკისს, რომელიც დღეს ერთს ვუთვანის, ხვალ მეორეს და ამავე დროს ურცხვად სდგას ორღენის ქალის რაინდულ პოზაში.“ (იქვე. გვ. 36).

1) იხილეთ კონსტ. კაპანელი: სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. 181.



რაც შეეხება დიალექტიკის უარყოფას—ამის შესახებ ავტორის განცხადებები არ მოჰყავს, ხოლო ორგანოტროპიზმის საფუძვლებთან გამოცხადებული ინტელექტუალისმი და ეოლუნტარიზმი ნათლად მოითხოვს ამას.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტი, რასაკვირველია ვერც ერთ ინტელექტუალისტს ვერ დაარწმუნებს იმაში რომ, მისი აზროვნების ლოლიკური მოაზრების ფორმები „ქალწულის პოზაში გამოწყობილი როსკიპია“ და ორგანოტროპიზმის ავტორი უფრო სარწმუნო არგუმენტს მიმართავს. მაგრამ საუბედუროთ ეს ახალი არგუმენტი შეიძლება გენიალურია, მაგრამ მაინც არ ეხება იმ საქმეს, რასაც ლოლიკა ეხება, ინტელექტუალისტი იძულებულია ქვეით მონახოს საფუძვლები და ის დასახელებული წიგნის პოლოში ნახავს, რომ „ლოლიკა თავის სილოვოგიზმებით და იმპერატივებით, თავის „მარადიული“ პრინციპებით და ალეთოლოგიით, როგორც როსკიპი, ხან ანტიურ ქვეყანას ეძლევა, ხან ქრისტიანულ თეოლოგიას, ხან პოზიტივისტებსა და სოციალისტებს“ (გვ. 208). უნდა გამოვტყდე და ვსთქვა, რომ მე კაპანელის წიგნში ამაზე უფრო მძლავრი არგუმენტი ლოლიკის საწინააღმდეგოთ ვერ ვნახე. ასეთი არგუმენტაციით კი, არ მგონია, რომ ის პრობლემა გადაიჭრას, რის არსებობა თავის ისტორიულ წარსულში რამოდენიმე ათასწლეულ წელს ითვლის.

მთელი დანაშაული სილოვოგისტური ლოლიკისა თურმე იმაში მდგომარეობს, რომ ის მდგომარეობის განცდას ვერ სახავს სწორი მეტყველების ფორმით. მას სუბიექტსა და პრედიკატს შორის სტატიური ურთიერთობა დაუმყარებია. მას არ სკოდნია, რომ ცხოვრების საქრობებიდან წარმოშობილი განცდის ინტენსიობა არღვევს ამ სტატიურობას. ეს არის კაპანელის წიგნის ის ერთადერთი ადგილი, რომელიც ცდილობს დისკურსიული წესით რაიმე დამატაციოს. სინამდვილეში კი ის არაფერს არ ამტკიცებს, რადგან ეს საკვებით არ ეხება ლოლიკის საგანს, არამედ გრამატიკის იმ ნაწილს, რომლის საფუძველი ფსიქოლოგიაში დევს და რომელიც ლოლიკის საქმეს გარეგნულად და მართლაც ფორმალისტურად ჰგავს. ამის დასამტკიცებლათ ავიღოთ და გავარჩიოთ კაპანელის მიერ მოყვანილი მაგალითი. „მე ვიყიდე წითელი ქათამი“, ამ წინადადებაში, გვასწავლის კაპანელი, ლოლიკის აზრით „მე“ სუბიექტია, „ვიყიდე“ პრედიკატი, „წითელი“ განმარტება და სხვ. რეალურ ცხოვრებაში თურმე ასეთი შემეცნების ვალდებულობა არ არსებობს, აქ თურმე დამოკიდებულება სუბიექტისა და პრედიკატს შორის საქრო განცდის მიხედვით იცვლება და მასთან ერთად მეტყველობის ფორმებიც ცვალებადი ყოფილა. მეტყველობის ფორმის ცვალებადობასთან ერთად იცვლება აზრის მიმართება და ამიტომ ყოველ სიტყვას წინადადებაში შეუძლია მიიღოს, როგორც სუბიექტის, ისე პრედიკატის ხასიათი. წინადადებაში—მე ვიყიდე წითელი ქათამი—წინადადების აზრი შეიძლება იყოს „წითელი“ ე. ი. წინადადების სუბიექტათ „მე“-ს მავიერად „წითელი“ იქნება, ასეთ შემთხვევაში ზემ სულიერ განცდას სურს აუხსნას იქ მყოფთ, რომ მიყიდია სახელდობრ წითელი და არა თეთრი ქათამი. თუ მე მსურს ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მე ვიყიდე ქათამი და არა ღორი, მაშინ მდგომარეობის განცდა ინტენციას ახდენს სიტყვა-



ზე „ქათამი“ და ეს სიტყვა იჭერს სუბიექტის ადგილს. ასეთმა კაპანელმა დაწინაურების ლოლიკის სისტემი.

დაუშვათ რომ ეს მართალი მოსაზრებაა, ამ შემთხვევაშიაც დამტკიცებული იქნებოდა მხოლოდ სუბიექტის ადგილის შეცვლის შესაძლებლობა, ის კი რასაც ორგანოტროპიზმი დაგვიბრდა ე. ი. წინადადებაში სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთ ადგილის შეცვლა, დაუძტკიცებელი კი არა, დაუსახელებელი დარჩა. სტატისტიკური და თუ გნებავთ დინამიური სუბიექტის გარშემო რომ პრედიკაცია ზდება ეს უცვლელი დარჩა სამივე შემთხვევაში: ყოველთვის ყიდვაზე არის მასღათი, და რომ ორგანოტროპისტი ბაზრიდან დაბრუნებისას პრედიკატზე „ვეყიდვ“ ახდენდეს რაღაც უცნაურ მდგომარეობის გამოხატულ ინტენციას, აქ ლოლიკური აუცილებლობით არაფერი არ იქნება გამოთქმული, არამედ რეალურით, თუ გნებავთ მისი ოჯახური საქმიანობის ანალოგიით: მას სურს ნამდვილად თავის ცოლს ანიშნოს, რომ მან დღეს ქათამი იყიდა და არ მოუპარავს.

რა სოციალური საჭიროებაც არ იდგეს აზროვნების წინაშე, ის ისე არ აიბნევა, რომ ყიდვა და მყიდველი ერთი მეორეში აურთიოს. სუბიექტი პრედიკატზე არასდროს არ ვადავა, იმიტომ რომ ისინი ორივე ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ. არც ერთ წინადადებაში ორი ამბავი არ არის გამოხატული, არამედ მხოლოდ ერთი. არც „მე“ და „ვეყიდვ“, არც „წითელი“ და „ვეყიდვ“ არ გამოხატავენ ორ რაიმეს. წინადადების აზრში ორი ამბავი კი არ არის გამოთქმული, არამედ ერთი. აქ ქათამზე და ყიდვაზე, ან წითლის ყიდვაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ერთ განსაზღვრულ აქტზე, ვიდრე ეს აქტი არ განსაზღვრულა, მანამდე არც ლოლიკისათვისა და საინტერესო საკითხი დასმული. რომ კაპანელი მართალი იყოს და მის მიერ მოყვანილი წინადადების დაშლა სინამდვილეს უღრიდეს, ვარაუდობენ რომ ამ შემთხვევაშიაც ეს ამბავი ლოლიკას არ შეეგებოდა. ჯერ უნდა დაშალო წინადადების აზრი, საჭირო ინტენცია მოახდინოს და მერე უნდა მიმართო ლოლიკას. ის, რაზეც კაპანელი ლაპარაკობს, ფსიქოლოგიის საგანია და არა ლოლიკის. ლოლიკის სფეროში მოქმედულ წინადადების აზრს არაეითარი ორ ერთეულს შორის მსჯელობა არ შეუძლია, რადგან ის მხოლოდ ერთად ერთ ერთეულს გამოხატავს. ლოლიკის დღევანდელ ძიების დონეზე ამის არ ცოდნა არ მგონია რომ რაიმე ახალის და პროგრესიულის მარცხენებელი იყოს.

კონსტ. კაპანელის ლოლიკის კრიტიკა საუბედუროდ ემყარება იმ ძველ სქოლასტიკურ აზრს, რომელსაც ლოლიკა რაღაც აზროვნების მეგზური და დარჯი, ან კიდევ კოდექსების მწერალი ეგონა. აზროვნების შესაძლებელ პროცესებს დღეს ფსიქოლოგია შეისწავლის და ლოლიკა უკვე ფაქტით ქცეული ნააზრების არქიტექტონიკის შესწავლით და ანალიზით კმაყოფილდება. თუ ამაში ვერ შევთანხმდით, ჩვენ ისევ ნეტარ ხსენებულ ჩელპანოვის ლოლიკის სახელმძღვანელოს ვერ გავშორდებით და ყოველი პრინციპიალური დავა ამით დაფუძი იქნება.

კონ. კაპანელი რამოდენიმეჯერ იმეორებს, რომ ორგანოტროპიზმი მოითხოვს სილოგისტური მსჯელობის რეფორმისო. მაგრამ როგორი იქნება ეს რე-



ფორმა, ამის შესახებ გარკვეულ აზრს ვერ ვნახულობთ მის სილოგიკურ ფორმულების მაგიერ ჩვენ შენაშინაში სოციალური საჭიროების კოროლარიებსა, გვეუბნება ავტორი და იქვე შენიშვნაში დასძენს: „სოციალური საჭიროებათა კოროლარიებს ჩვენ დეტალურად ვაწყობთ წიგნში: „ცხოვრება როგორც ესთეტიური ღენომენი“, სადაც ვარღვევთ სილოგიზმის აქსიომებს“. (გვ. 131).

ასე რომ ამ წიგნში მოთავსებული განცხადების დასაბუთებას მეორე წიგნის გამოსვლამდე უნდა უცადოთ. საუბედუროთ ამ განცხადების ტექსტში შეპარულია ერთი ისეთი შეცდომა, რომელიც მკოდნის თვალში ძალიან ამცირებს ნონაველი გამოკვლევის ღირებულებას. ავტორი აცხადებს, რომ ის არღვევს სილოგიკის აქსიომებს. ეს სავსებით აზრს მრკლებული თქმა არის. ფილოსოფიური სისტემების ავტორს უნდა მოეხსენებოდეს ის ანბანური კეწმარიტება, რომ აქსიომის დარღვევა შეუძლებელია. თუ ჩვენი შემეცნების ჯაქყულში თანმიმდევარი გამოკვანის რგოლი გაწყვეტილია და შემაერთებელ ელემენტის როლში აქსიომა გამოდის, თუ აქსიომის აუცილებლობა აღიარებულია, მაშინ არავითარ ახალ თეორიას არ შეუძლია აქსიომის დარღვევა. აქსიომა შეიძლება მოიხსნას, მაგრამ მის ადგილს ახალი აქსიომა დაიჭერს. მეცნიერება, რომლის ცოდნით ჩვენ ვამყობთ, მთელი თავისი კონსტრუქციით აქსიომების ასეთ ვარიაციას ემყარება, მაგრამ მე არ გამიგონია ვისმეს დღემდე რიცხვის თეორიის, ან და გეომეტრიული პოსტულატების აქსიომების „დარღვევის“ შესახებ სერიოზულად ელაპარაკოს. ამ მოსაზრების დასამტყიცებლად თანამედროვე აქსიომატიკიდან უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგრამ მე პატივცემულ კაპანელს ვერ დავაეალებ აქსიომატიკის „ინტელექტუალიზმის“ ცოდნას, მაგრამ მან, როგორც ფილოსოფიური წიგნის მწერალმა, კარვით უნდა იცოდეს საშვანზომილებიანი და შრავალვანზომილებიანი გეომეტრიის აქსიომათა ბედი. ლობაჩევსკის, რამანის, ლის და სხვების გეომეტრიებში რათ ვერ „დარღვივს“ ევკლიდეს გეომეტრია? იმიტომ რომ, გეომეტრიულა შემეცნების ასაშენებლად ყველა შემთხვევაში აუცილებელი დარჩა აქსიომა და აქსიომის „დარღვევა“ შეუძლებელი საქმეა. რამოდენიმე საუკუნე კაცობრიობა ერთად ერთ გეომეტრიის იცნობდა, დღეს კი სხვა და სხვა გეომეტრიათა რიცხვი უთვალავია, მაგრამ ერთი მეორეს ვერ არღვევს, იმიტომ რომ ყოველგვარი გეომეტრია აქსიომატიური შეცნიერება არის.

უნდა დაგვერწმუნოთ, პატივცემულო კონსტანტინე, რომ აქსიომის დარღვევა შეუძლებელი საქმეა, ასეთ შემთხვევაში თქვენ შემეცნების საერთო პირობა უნდა დაგერღვიათ. ეს ძალიან ახირებული საქმე იქნებოდა, თუმცადა ორგანოტროპიზმი არც აქ დაიხვეს უკან, რადგან მისი ავტორის პირით მან განაცხადა:

„საროსკიპოში ვინც შედის საკუთარი პრინციპით, მის დარჩენია მხოლოდ შეებრძოლოს უზნეობას, მაგრამ რასაც ჩვენ უზნეობას ვეძახით, ვაი თუ უდიდესი ტეშმარიტი უზნეობა არის“. (გვ. 165).

ორგანოტროპიულ გონებას თუ ამდენი აქსიომატიური განსჯის უნარი არ



აქვს, რომ განსაზღვრულ დროისა და პირობისათვის ზნეობა და ქვეყნისა გაარჩიოს, მაშინ მართლაც რომ ძნელია ჩვეულებრივი გონების მხნობის შექმნათება. ეს ზომ რაღაც საზღაპრო ინდიფერენტობისა ყოვლის შემძლე და უცნობ მდგომარეობის მიმართ და ვასაკეობია რათ სუბრდება ორგანოტროპიზმს მარქსისმთან რაღაც ნათესაური კავშირის მონახება. მარქსიზმი ზომ არამც თუ ზნეობასა და უზნეობას ერთი მეორედან არჩევს, არამედ მთელ ისტორიულ ფორმაციას, სახელმწიფოს და საზოგადოებას გარკვეულად ეუბნება: „შე ვიცის შენ სიკვდილისა და განადგურების ღირსი ხარო“.

ბ. აზროვნების დიალექტიური ფორმები და ინტელექტუალიზმი.

უცვლელი ამა ქვეყნად არაფერია და არც აზროვნების ფორმალ-ლოგიური პრინციპები დაარჩებიან უცვლელად, ზოლო ორგანოტროპიზმი არ იძლევა არავითარ საბაზს იმისა, რომ ისინი მალე შეიცვლებიან. ის ამბავი, რომ *modus barbarus*, — რომელიც არავითარი ჯადოსნობა არ არის, არამედ ყოვლად უბრალო ფორმალური სახე ყოველივე კანონისა, — როდისმე ორგანოტროპიული კოროლიარებით შეიცვლება, ჯერჯერობით დაუმტკიცებელი დარჩა. ამის დასამტკიცებლად ფსიქოლოგიზმისა და სუბიექტიური რელატივიზმის უსაფუძვლო სიტყვები კი არ არის საკმარისი, არამედ ჩვენი აზროვნების შესაძლებლობის უშუალოესი რევიონების განხილვა.

მსჯელობის შემსრულებელი აზრის მიერ სილლოგიზმის მოხდენა სავსებით არ ამოწურავს აზრის ბუნებას სიერითოდ. არამც თუ სილლოგიკტიკა, არამედ, ლოლიკური მოსაზრებების მთელი ის ნაწილი, რომელიც ფორმალ ლოლიკაში განიხილება, არ შეადგენს ჩვენი აზროვნების ერთად ერთ დამახასიათებელ თვისებას. აზროვნებას აქვს სულ სხვა და ამათხე უფრო მაღალი ატრიბუტები და ვისაც აზროვნების ფორმების რეფორმა სურს მოახდინოს, მან ამ ძველის ძველ შემჩნულ მაღალ ფორმებს უნდა გაუწიოს ანგარიში.

დისკურსიული ანგარიშების მწარმოებელი ინტელექტი გამოირდება თუ არა შემოფარგლულ და დამოლოცებულ თვალთახედვის არეს ე. ი. მოექცევა თუ არა დაუბოლოვებელი აზრის ორბიტრაში, ის ხელად იქცევა დაუბოლოვებელ ანუ დიალექტიურ გონებათ. ფორმალ-ლოლიკური გონება გვაძლევდა საშუალებას გავგებინა მყარი მდგომარეობა რომელიმე საგნისა, — საგანი როგორც გაჩერებული და განსაზღვრული ობიექტი. მაგრამ მის ფორმებს არ აქვს საშუალება განიხილოს საგანი მოძრაობის და განვითარების პროცესში. ფორმალ-ლოლიკურ გონებას არ ევალება მოახდინოს არც წარსულის პრეზენტაცია და არც მომავლის გამოანგარიშება. ყველა ეს დიალექტიურ გონების საქმეა. ორივე ფორმა გონებისა ისევე აუცილებელი ნაწილებია ერთი მეორისა, როგორც დაბოლოვებული და დაუბოლოვებელი. — თუ აზრმა კონკრეტულად და სტატისურად ვერ განიხილა საგანი, ის მაშინ თავის დღეში ვერ მოგვეყვამს გამოცალკეებულ მთლიანობის შემეცნების და კოსმოსურ კალენდესკოპად ვარდაიქცევა; მეორე მხრით, თუ მან ცალკეული მთლიანი ერთი მეორეს ვერ გადააბა და ის საერთო განვითარების პროცესში ვერ ამოიკითხა, ის მაშინ აივსება ერთი მეორე-



საგან დამოუკიდებელი ნაგლეჯებით და ვერ მიალწევს ვერაფერს ვანერყიერების და აუცილებლობის იდეას ვერც ადამიანთა და ვერც შენგზისასტრუქტურაში. დიალექტიური გონება აკეთებს ამ უკანასკნელ საქმეს და ამით ის იქცევა განვითარებისა და მოძრაობის გონებად. და რადგანაც კერძო საგანი ნაწილია საერთო საგანთა ჯაჭვეულისა, რადგანაც მყარი კერძო შემთხვევაა მოძრაობისა, ამიტომაც სტატიური ფორმები გონებისა კერძო შემთხვევა და ნაწილია დიალექტიური ანუ დაუბოლოვებელი აზრისა.

ამიტომაც არის, რომ ფორმალ-ლოლიკური ატრიბუტები სავსებით არ ეწინააღმდეგება დიალექტიურ ლოლიკას. ის ამის მონაწილეა და არა მოწინააღმდეგე. ეს უკანასკნელი პირველისათვის საფუძველი და ნავსაყუდელია და არა მომსპობი. ერთი და იგივე კანონები ამოძრავებენ ორივეს. სწორედ ამიტომ უდიდესი მეცნიერული აღმოჩენები ჩვენი აზროვნებისა ამ დიალექტიურ კანონს ქვეშ მიმდინარეობდნენ: დიფერენციალი აღრიცხვა პირველათ იმ მოსაზრებიდან აღმოაჩინა ლაიბნიცმა, რომ დაბოლოვებულის კანონები ტრიალობენ დაუბოლოვებელშიაქო და ჩვენი დროის ექსაქტი მეცნიერება განვითარდა იმ პრინციპიდან, რომ დაუბოლოვებულში მოთავსებულია დაბოლოვებულის საფუძველი. ე. ი. ფორმალ ლოლიკის საფუძველი მოთავსებულია დიალექტიურ ლოლიკის რეგიონებში.—ვინც ასე არ მიუდგება საკითხს ის ლოლიკის მაგივრად ქარის წისქვილებს ებრძოლება, ან და უკეთეს შემთხვევაში საკუთარ თავში შემუშავებულ იმაგინაციას.

მერმე იმ ახალმა ფილოსოფიამ, რომელსაც ჩვენ ამ წერილში განვიხილავთ გაუწია თუ არა ანგარიში ზემოთ მოყვანილ საქმის მდგომარეობას? ის ინტელექტუალიზმთან ბრძოლის დროს შეეხო თუ არა ინტელექტუალიზმის მთავარ სიმაგრეს ე. ი. დიალექტიურ გონებას? საუბედროთ ორგანოტროპიზმი ერთი სიტყვითაც კი არ შეხებია ამ საქმეს. მან ლოლიკასთან ბრძოლა გრამატიკის საშუალებით აწარმოა, სწორედ იმიტომ თვით ლოლიკა ე. ი. დიალექტიური ლოლიკა, ეს საფუძველი აზრის ყოველივე ლოლიკური მოსაზრების, მთელი თავისი ციხე-სიმაგრეებით ხელუხლებელი დარჩა. და ორგანოტროპიზმის რიხიანი განცხადებანი მას სავსებითაც არ შეხებია. ინტელექტუალიზმის გასანადგურებლად ის კი არ არის საკმარისი, რომ თქვენ, შედგით თუ უშედეგოთ, პრედეკაციის შეებრძოლოთ წინადადებაში,—ეს გრამატიკის საქმეა—არამედ ის, რომ თქვენ არარაობათ აქცევთ დაუბოლოვებელი, ანუ დიალექტიური გონების რეგიონებს. აი მაგ. ჰეგელის დიალექტიკის ენით რომ დაველაპარაკოთ ორგანოტროპიზმს: ჩვენ მივიღებთ ორგანოტროპიზმს და ანტი-ინტელექტუალიზმს. მაშინ, როდესაც ორგანოტროპიზმი დაგვიმტკიცებს, რომ დაუბოლოვებელი სიმკირისაჲდა სიდიდის გადასასვლელ საზღვრებზე რიცხობრიობა არ გადადის ხარისხობრიობაში, ან ამ შემეცნების ვაგრძელბის სფეროში არ იწყება აქტუალურად დაუბოლოვებელის არსებობის პრობლემათ წამოკრა და სხვ. თუ ორგანოტროპიზმი დიალექტიური გონების, ამ უშუაღლეს რეგიონებს მოხსნის და მის ადგილს „სიტყვის გასაქირში ვამოთქმის ინტონაციას“ დასტოვებს და თანამედროვე მათემატიკა მაინც ისე დარჩება როგორც არის—მაშინ ორგანოტროპიზმი მისაღები საქმე



იქნება. საბედნიეროდ ჯერ ეს არ მომხდარა და ის რაიციპატივიზაციის კაპანელის წიგნში ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ გაკეთებულ რაიციპატივიზაციას იმ ახირებულ კაცს, რომელსაც სურდა გაენადგურებია მანქანური წარმოება, ამ მიზნით მან დაამტვრია ყველა საქართველოს გლეხების ოჯახებში არსებული ურმები და დარწმუნდა რომ ქვეყნად მანქანა აღარ არსებობს; ამ ბედნიერ მოქალაქეს კ. ნიუბერგში დიზელის ქარხნის და ესსენში კრუპის ქარხნის არსებობის შესახებ კი ჯერ არაფერი ვიცვინა.

ორგანოტროპიზმი უპირველეს ყოვლისა თავის თავს ახასიათებს როგორც ანტიინტელექტუალიზმი. მას სძავს ჩვენი დისკურსიული გონების ანგარიშები და კანონები, მას სურს შეიქნას შემთხვევების აპოლოგია. მისი ავტორი გვარწმუნებს, რომ დასაბამის საკითხში არც თეოლოგები¹⁾ და არც გავით, არ იყვენ სწორი. მისი აზრით პირველ დასაბამში განცდა ყოფილა.²⁾ ძალიან კარგი მაგრამ განცდითვე რომ არ ამოიწურება შემეცნების გაშლა და გასაჭანიც? ორგანოტროპიზმის სუბიექტივისტური რელატივიზმი ასეთ რაიმეს უნდა ამტკიცებდეს; ჩვენი ავტორი რამოდენიმეჯერ იმეორებს ამას, მაგრამ მას შემდეგ რაც კაცობრიობის აზროვნებამ ლაიბნიცის ზეგავლენა განიცადა, ასეთი ახირებული აზრის შენარჩუნება შეუძლებელი საქმეა და ორგანოტროპიზმი, გვერდი რომ აუხვიოს ინტელექტუალიზმს, ვოლუნტარიზმის გაშლილ პლაკატებში ნახულობს ნავსაყუდელს. კონ. კაპანელი გვისწავლის: „ჩვენი საუკუნე ინტელექტის მაგიერ ნების ყოფას აქცევს ყურადღებას: ინტელექტის პერიოდი ისტორიაში ტრაგედიის და შეუთანხმლობის პერიოდაა: ყოველთვის, როდესაც ადამიანი ნებისყოფას უმოკრილებს გონებას, იწყება უბედურება ადამიანის ყოფისა“.³⁾ დასამტკიცებელი ფაქტი: ჰამლეტს რომ ნების ყოფა გონებისათვის არ დაემორჩილებია, ის ბედნიერი იქნებოდა. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ არ მგონია, რომ ასეთი არგუმენტაციით ანტიინტელექტუალისტური ფილოსოფია აშენდეს. უპირველეს ყოვლისა ის განცხადებაც კეშმარიტებას მოკლებულია, რომ ჩვენი საუკუნე ნებისყოფის პრიმატის საუკუნე იყოს. პირიქით, ისეთი ინტელექტუალისტური და რაციონალისტური საუკუნე, როგორც ჩვენი, ისტორიას ჯერ არ ჰქონია. ჩვენი დრო დაუსრულებული სისწორით ანგარიშობს ყველა თავის ისტორიულ თუ საერთო კულტურულ ნაბიჯს: ანგარიში კი ინტელექტის საქმეა და ჩვენ ჯერ არაფერი გვსმენია მონაგარიშე ნებისყოფის შესახებ.

თანამედროვე კულტურული საქმიანობის სათავეში მატერიალური კულტურის წარმოება სდგას, ეს უკანასკნელი კი დაყრდნობილია სწორ და ხაზგამართულ ანგარიშებზე და სწორედ ამ ანგარიშების ფილოსოფიური ანარეკლი არის ინტელექტუალიზმი. ჩვენი დროის ყოველივე ჯანსაღი მოვლენა უსათუოდ

¹⁾ თეოლოგები კი არა, აქ ნავსისმზედი ამბავი ეფთვნის ითანეს სახარების პირველ ფრაზას.

²⁾ იბილ. „სული და იდეა“ გვ. 45.

³⁾ სოც. ესოტ. საფუძ. გვ. 189.



ინტელექტუალიზმშია. სოციალიზმი უაღრესად ინტელექტუალიზმის, მარქსიზმი აი—უკანასკნელ დასკვნამდე მიყვანილი ინტელექტუალიზმის მარქსიზმს მაგ. ბურჟუაზიული სოციალოგია იმაში დებს ბრალს, რომ მას ნებისყოფის მომენტი აკლია, რომ ის მშრალი ინტელექტუალიზმი და სხ. ავტორიტეტის დასახელება საჭირო არ არის, რომელ ბურჟუაზიული სკოლის დიდ მწერალსაც არ აიღებ, ამ ამბავს იქ უსათუოდ ნახავ. რევიზიონისტები სწორეთ ნებისყოფის მომენტის შეტანას ცდილობდნენ მარქსისტულ მსოფლმხედველობის შენობაში. რევიზიონისტების ცდა მარცხით დამთავრდა და არ მგონია, რომ ორგანოტროპიზმის ცდამ ამ მიმართულებით რაიმე გააკეთოს.

დღემდე კაცობრიობის აზრის განვითარების ისტორიაში ნებისყოფის მეტაფიზიკის პაროლით ყოველთვის უკანსვლა ტ რეაქცია შემოსულა ტ არ გვეგონია, რომ ორგანოტროპიულმა ნებისყოფამ აქ რაიმე ახალი გვეითხრას. ნებისყოფა უძღურია ინტელექტთან ბრძოლაში, უძღურია იმიტომ, რომ მას არ შეუძლია ის გააკეთოს, რასაც ინტელექტი აკეთებს, მას არ შეუძლია ინაგზარისოს, გამოიყვანოს, დაასკვნას, ის ვერ მოგვეცემს ჩვენი დროის მათემატიკისა და ფიზიკის დასაბამს, თუ ეს არ გვექნა—არ გვექნება ტენიკა, ტენიკის პროგრესის უჭონლობა კი ეკონომიის საფუძვლების დანგრევას მოასწავებს და სხ.

მე არ მინდა უარყო ის ფაქტი, რომ ადამიანთა ისტორიაში არის მომენტი, როდესაც ნების ყოფა (მეტნაწილად მასიური) შემომქმედის როლში გამოდის ეს არის რევოლუციონური ეპოქები, მაგრამ ორგანოტროპიზმს მარტო რევოლუციის ფილოსოფია ხომ არ უნდა იყოს, (ამაზე ერთი სიტყვასაც არ ამბობს მისი ავტორი) არამედ მას სურს იყოს თეორია ყველა კოსმიური თუ სოციალური მოვლენების მიმართ. ამ ფართო და სახიფათო ასპარეზზე ნებისყოფის გამოსვლა კი უსათუოდ ღმერთთან მიგვიყვანდა სათხოვნელად. იქ კი, სადაც ღმერთის ამბავი იწყება, ჩვენ გონებას და მასთან ერთად ჩვენ მეტწიერებას საქმე აღარ აქვს. ამისათვის საველეი და სამოქმედო გზა იმთავითვე აღკვეთილია.

2. რა არის თვით ორგანოტროპიზმი.

ჩვენ აქამდე ორგანოტროპიზმის საერთო მეთოდოლოგიურ საფუძვლების შესახებ ვილაპარაკეთ, ახლა კი უნდა შევხებით ორგანოტროპიზმს, როგორც მთლიან მსოფლგაგებას, როგორც სისტემას და ფილოსოფიურ კონცეპციას.

მისი ავტორი გვარწმუნებს რომ ეს სიტყვა მის მიერ არის პირველად ხმარებული, ჩვენ ამის საწინააღმდეგეთ არაფერს ვიტყვით.¹⁾ სიტყვა შეიძლება ახალი იყოს, მაგრამ საკითხავია თუ რამდენად ახალია თვით საქმე?

მეცნიერული მსჯელობისათვის უცხო, პოეტური ფერებით გაღამაზებული და ამიტომ მეცნიერული მოხმარებისათვის ბევრჯერ ბუნდოვანი სტილით მოგვითხრობს ავტორი, რომ წუთისოფელში არაფერი არ არსებობს დამოუკიდებლად და თავისთვის. ყოველივე არსებობას აქვს რაიმე დამოკიდებულება სხვა არსებობასთან და არის მისგან დამოკიდებული და განსაზღვრული, ერთი მდგომარე-

¹⁾ თუმცაღა მანს ფაჩინგერის ცნობილ წიგნში ჩვენი აზრების ტროპიულ საქმიანობაზე ერთბაშე ბეჭობა დაწერილი!



ქვემოთაა

ობა ახდენს მეორეზე გავლენას, იცვლება და სცვლის მას შემდეგ, ვიდრე მყოფს და ეს ცვალებადობა იქცევა შემოქმედებითი ურთიერთობათ. მდგომარეობა შემოქმედობს არსებობაზე. „შემოქმედებითი ურთიერთობას, მდგომარეობასა და არსის შორის, რომელიც სამყაროს ყოველ კუთხეში თავისებურია, ჩვენ ვეძახით ორგანოტროპიზმს“ (გვ. 20) სწორედ ამიტომ არ არსებობს არავითარი ქეშმარიტება, არავითარი სავალდებულო ნორმა, არავითარი გონების აუცილებელი კატეგორია; ქვეყნიერების ყველა კუთხეს თავისი საკუთარი ქეშმარიტება, საკუთარი აუცილებლობა და საკუთარი კანონიერება ახასიათებს. თვით უნივერსი და წუთისოფელი დაკუთხულია და კუთხობრივ თვალსაზრისი ბატონობს ყოველგან და ყოველთვის. რაციონალიზმი და ინტელექტუალიზმი იმიტომ არის უაზრობოდა, რომ მათ ყველასთვის სავალდებულო ნორმა და ქეშმარიტება სურთ განმოვიკანონო. წუთისოფლის ყველა კუთხეს თავისი ქეშმარიტება და თავისი ნორმა აქვს; ყველასთვის კი არა, ერთიდან მეორე კუთხემდე სავალდებულო ნორმის შესახებაც ზედმეტია ლაპარაკი.

ერთი სიტყვით დაკუთხულია უნივერსი და წუთისოფელი და ყველა რეალექსიურ იდეოლოგიური მოვლენები მასში. აზრი თავისთავად არაფერი არ არის, ის არც საგანში არის მოთავსებული, ის კუთხური მოთხოვნილებისამებრ ჩნდება საგანში. ჩნდება ე. ი. ის უნდა შეიტანოს იქ ადამიანმა. ამიტომ არის, რომ განცდა საფუძველია შემეცნებისა და არა ცნება. მდგომარეობა განიცდება და არა ლოლიკურად აითვისება. ყოველგვარი ქეშმარიტების ძიება, თუ ნას საფუძვლად კუთხური და ადგილობრივი სოციალური საკიროების განცდა არ უდევს, არის უსაგნო პრეტენზია ადამიანის სულისა. კუთხურ და ადგილობრივ შეფარდებებში და პირობებში უნდა განისაზღვროს ყოველგვარი შემეცნების ბუნება.

წუთისოფლის ასეთ დაკუთხებას განსაკუთრებული სიძლიერით ვამჩნევთ ჩვენ ისტორიაში. ისტორია ორგანოტროპიზმის სრული ასპარეზია. ვითომც ოსვალდ შვენგლერს დაუწერიამო, ისე სწერს კაპანელი: „ყველაფერს, რასაც ისტორიაში ერთ დროს დიდი აზრი ჰქონდა, რაც უდიდეს ქეშმარიტებად ითვლებოდა, რისთვის თავს იკლავდნენ და ერთმანეთს ხოცავდნენ შეუბრალებლად, დღეს მას ირონიით ვუყურებთ: დრომ და პირობებმა თან წაიღეს აზრი ცხოვრებისა, სული ეპოქების. ყოველ ეპოქას, ყოველ ტერიტორიას, ყოველ კუთხეს, ყოველ ჯგუფს აქვს სული და სტილი, თავის საკუთარი მეობა, საკუთარი განცდა და ინდივიდუალობა, რომელსაც ბუნება არ იმეორებს მთლიანი იგივეობით და რომლის ნაწილები დაუსრულებელ ხეტიალსა და ცვალებადობაში არიან.“ (გვ. 45)

ამ სოციოლოგიურ ტერმინებში გამოთქმული აზრის უკან იმალება ძალიან ძველი და ჩვენი შეხედულობით საეჭვო მსოფლმხედველობა. ამ მსოფლმხედველობის სახელია ფილოსოფიური რელატივიზმი ე. ი. რელატივიზმი დამყარებული ადამიანური შემეცნების ცვალებადობასა და რელატივობაზე. მისი გნოსეოლოგიური მრწამსი არის უკიდურესი გნოსტიციზმი, ხოლო საერთო მსოფლმხედველობა პესიმიზმი და სკეპტიციზმი. კონ. კაპანელი ავითრა მოდერნიზმეერ



აღნიშნავს თავის წაგნში, რომ ორგანოტროპიზმი რელატივიზმურ მექანიზმების საშუალებით ქვეყნის გავების არაფერი სწამს და სხვადასხვა

თავისი რელატივიზმი, რომ მეცნიერულათა ცვადაცროს, ორგანოტროპიზმის ავტორი მიმართავს ერთ ახირებულ მაგალითს; ის ჩვენ გვიჩვენებს წარმოვიდგინოთ, რომ ერთ მშვენიერ ღამეს მთელი სამყარო ათასჯერ გაიზარდა, სახლი, რომელშიც ვცხოვრობთ, ტახტი რომელზედაც ვეცდინა, ერთი სიტყვით ყველაფერი. მერე შევამჩნევდით ჩვენ მეორე დღილაზე ამ მოვლენის შესახებ რაიმეს, შევითვობდით რომ ქვეყანა ათასჯერ გაზარდილა? რასაკვირველია არა, გვიპასუხებს ორგანოტროპიზმი და თან დასძენს: «ვინ იცის—შეიძლება სამყაროში ასეთი ცვლილება შეთარღებათა ყოველ წუთს ხდება, მაგრამ ჩვენ ვერ ვამჩნევთ. (იხ. კონ. კაპანელი. სოც. ესთ. საფ. გვ. 35) თუ ეს ამბავი მართალია, თუ მართლა ჩვენი ქვეყანა ყოველ წუთს შეიძლება ათასჯერ იზრდებოდეს და მკირდებოდეს და ამას ჩვენ ვერ შევამჩნევთ, მაშინ ორგანოტროპიზმის ბრძოლა ლოლიკისა და ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ მართლაც რომ კანონიერი ყოფილა, თუ ექსაქტი ბუნებათ-მეცნიერება, რომლითაც კაცობრიობა ამოდენა ხანია ამყობს ისე უსაფუძვლო და გზაბნეულია, ისე მოკლებულია ყოველივე შესატყვისობას და თავისი დებულებების კემპირიტობის კრიტიკიუმს, რომ ყოველწუთიერ ცვალებადობას თავისი ობიექტისა ვერ ამჩნევს და ვერ აღნიშნავს, მაშინ მართლაც რომ მასობა ყოფილა მთელი ჩვენი ცოდნა და შემეცნება. ჩვენი კულტურის საბედნიეროდ ეს ამბავი ასე არ არის, კ. კაპანელის მიერ მოყვანილი მაგალითის განმარტება ფიზიკის ზოგიერთი კანონების უბრალო არ-ცოდნაზეა დამყარებული. მაგალითი მსოფლიოს ასჯერ თუ ათასჯერ გაზარდისა და ამის შეუშინელობის შესახებ მოყვანილია აგრეთვე ჩემს მიერ ამ ერთი წლი-ნახევრის წინ გამოცემულ წიგნში¹⁾, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მე ამ ამბავის მოფიქრება მკითხველისათვის არ მიჩვენია, არამედ მას უთხარი რომ ეს საქმე დიდი ხანია ჰანრი პუანკარეს მიერ მოფიქრებული და დაწერილია; განსხვავება კიდევ ის არის, რომ მე იქ დავსძინე, მსოფლიო სივრცის ასეთი დეფორმაციის ფიქციას აქვს გამართლება გეომეტრიული მეტრიკის საშუალებით და ის ფიზიკალურად ყოველივე შინაარს მოკლებული ამბავია-თქო, და მართლაც, როდესაც ჰანრი პუანკარემ ამ მოფიქრებას მათემატიკური სახე მისცა, მისი ერთად ერთი მიზანი იყო ეჩვენებინა გეომეტრიული სივრცის რელატიური ბუნება, ეჩვენებინა შესაძლებლობა სხვა და სხვა გეომეტრიებისა, ამით რასაკვირველია არ თქმულა, რომ ჩვენი ქვეყანა, ამავე კანონს ექვემდებარება. ასეთ დეფორმაციას არავითარი ფიზიკალური შინაარსი არ აქვს. და აირატომ: მოგესხენებათ, რომ ჩვენი ბუნება მარტო გეომეტრიული თვისებით არ ამოიწურება. მასში მეფობს მაგალითად მასის კონსტანტობის (უცვლელობის) კანონი (აინშტაინის თეორიის შემდეგაც ყოველი განსაზღვრული, ცალკეული სისტემისათვის ეს კანონი ძალაში რჩება). ახლა, პატივცემულო მკითხველო! ავიღოთ ნიტრონის ატრაქციის ფორმულა, გაგაგრძელოთ ქვეყანა ასჯერ და ჩავსწეროთ ეს შივ, მასის ადგილზე დარჩება ძველი რიცხვი და დაიშლება მთი-

¹⁾ იხილეთ: Dr. მოსე გოგიბერიძე: აინშტაინის რელატივიზმის თეორია და სხ. გვ. 18—19



ლი მუზიკა, ქვეყანაზე არსებული სხეულები დღეს 10.000^{ქვეყნის მთლიანი} იქნება ვიდრე გუშინ იყო. რომ ფიქციები ვაეაგრძელოთ, მაგალითად დაუშვათ, რომ მასის რაოდენობაც გაზრდილა და სხვა, ჩვენ გავებმებით ახალი უზრობების გამოუვალ ხეულში, თუ გნებავთ ამას ისიც დაუმატეთ, რომ ჩვენი უფრო და თვალი თან იცვლებოდა, ფიზიკოსი ამ ამბავიდან მისთვის საჭირო შინაარსს ვერ გამოიყვანს და მთელი ეს ამბავი დარჩება ლამაზათ შეთხზული ფიქცია და არა სინამდვილე. თანამედროვე ფიზიკამ უკვე გამოიხატა სასეხებით ახალი გზები მკვირვ სხეულთა სისტემის რელატიური ბუნების დასამტკიცებლად, მაგრამ ამას ორგანოტროპისტულ რელატივიზმთან იმდენი საერთო აქვს, როგორც რუსულ სიტყვასა „სამოვარ“ და ქართულს „სამაჟრი“.

ერთი სიტყვით ფიზიკალური მაგალითით ორგანოტროპიზმის დასაბუთება ისეთივე მოუხერხებელი ცდა არის, როგორც კაპანელის სურვილი აინშტაინის სახელის მრავალჯერ გამოყობებით რელატივიზმის თეორია თავის რელატივიზმს გაუნეთსავოს. ამ ორ ამბავს შორისაც მხოლოდ სიტყვების პგერათა ნათესაობა არსებობს, სხვა კი არაფერი.

ათასჯერ უფრო ნაყოფიერი იქნება თუ ორგანოტროპიზმს მის კანონიერ წინაპარს ძველ და ახალ ფილოსოფიურ რელატივიზმს შევადარებთ და კრიტიკის ცენტრსაც აქ ვადმოვიტანთ.

რას გვასწავლიან ყველა დროის რელატივისტები? თითქმის იმას, რასაც ორგანოტროპიზმი გვასწავლის, მხოლოდ გამოთქმის საშუალება შეცვლილა. ბერძნების გენიალურ—ლოლიკური სოფიზმების, ინგლისელების წმიდა ფსიქოლოვისტურ, მახის ბიოლოგიურ და ავენარიუსის საკუთარ ენისა და გამოთქმის მაგიერ, კაპანელის ორგანოტროპიზმში მოცემულია სოციალურ-ისტორიული თქმის ბადეში გახვეული რელატივისტური მსოფლ-გაგება. ეს გადაზრა ისტორიისაკენ, ეს ბიოლოგიის ფაქტების სოციალურ ღირებულებებში გათქვეფა, რასაც ორგანოტროპიზმში ენახულობთ, გასაკვირი აღარ არის იმ კოლოსალურ გაელენის შემდეგ, რაიც ახლო წარსულში ოსვალდ შპენგლერის ისტორიოსოფიამ პოეტურად განწყობილ და რელატივისტურად მოაზროვნე ხალხზე იქონია. კაპანელსაც თავის წიგნის საუკეთესო ადგილებში უაღრესად ემჩნევა შპენგლერის სტილის გაელენა. მე არაფერს ვიტყვი შპენგლერის იდეების გაელენაზე, რადგან ამ იდეების სესება შპენგლერიდან საჭირო არ იყო. აზროვნების ისტორიას ის შპენგლერზე უწინ ჰქონდა. შპენგლერში მთავარი მისი გამოთქმის ხერხია და ეს ხერხი ხშირად არ ლატობს არც კაპანელს. ალაგ-ალაგ გგონია რომ, შპენგლერს ჰკითხულობ, ასე მაგ. მე-97 გვ. ეპკლიდეს გეომეტრიის შესახებ გამოთქმული აზრი და ის ამბავი რომ სოკრატეს დროის ბერძნები 1-სა და 3-ს შორის მხოლოდ ერთ რიცხვს, სახელდობრ 2-ს იცნობდენ, ოსვალდ შპენგლერის ორგინალობის ნაყოფია. შეიძლება ეს გარეგნული მზგავსებაც იყოს. მაგ. შპენგლერის ნათქვამს მხოლოდ გარეგნულად ჰგავს კაპანელის თქმა: „ძველ ეგვიპტეში გეომეტრია თავისი დანიშნულებით იყო სოციალური, საშუალო საუკუნეში ფეოდალური, ახალ დროში—ბურჟუაზიული“ (გვ. 215). (სხვათა შორის საშუალო საუკუნეს არავითარი გეომეტრია არ ჰქონია, მხოლოდ მე-13 საუკუნეში



მარტინეშვილი

არაბმა მათემატიკოსმა ნასირ ედინმა დასწერა ერთი გეომეტრიული თეორემა, რომელიც მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ევკლიდი მართალი არისო.)

თუ რამდენად კეშმარიტია ეს გადაკარბებული ისტორიციზმი და სოციოლოგიური რელატივიზმი ამას ვნახავთ ორგანოტროპიზმის მარქსიზმთან შედარების დროს, აქ კი რელატივიზმის ფილოსოფიურ უსაფუძვლიანობასთან გვაქვს საქმე.

რელატივიზმის მთავარი ნაკლი არის მისი თვალსაზრისის სიმოკლე. ის თავის საშოკმედო ასპარეზს რაიმესადმი უპირატესობის მინიკებით იწყებს და ათავებს. მას ყველა მოვლენა მეტ ნაწილად ფსიქიურ აქტებში ევლინება, ყველაფერზე ადამიანის თვალსაზრისია გამეფებული და რადგანაც ეს ადამიანის თვალსაზრისი და ცოდნა ერთობ მერყევი და ცვალებადია, ამიტომ დაასკენის რელატივიზმი, რომ თვით ცოდნის საგანიც ცვალებადია, ან და კიდევ ის საერთოდ უარყოფს ობიექტიური ანუ საგანთა ტეყენის კანონიერ შემეცნების შესაძლებლობას. ასე განვითარდა რელატივიზმი ისტორიულად, ასეთია ეს სისტემატიური თვალსაზრისითაც.

ამის საუკეთესო მაგალითია ორგანოტროპიზმის ის ადგილი, სადაც კაპანელი ანტიურ რელატივისტებისა და სეკპტიკოსების მზგავსად უარყოფს საგნის კანონიერი შემეცნების შესაძლებლობას და აქედან, ცხადია, საკითხი ისმება საგნის არსებობის შესახებაც. „შეიძლება კაცი დაეთანხმოს დროებით იმ აზრს,— ამბობს კაპანელი,— რომ საგანი არსებობს მანამდე, სანამდე ჩვენ მას შევიცნობთ, მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენ მიერ შეცნობილი საგანი ისეთია, როგორც ჩვენ შევიცნობთ“. (იხ სული და იდეა, გვ. 70). ეს აზრი მკაფიოთ არის ვამოთქმული, ის მარტო ორგანოტროპიზმის ავტორს არ ეკუთვნის, იმას იმეორებს სუბიექტივისტური ფსიქოლოგიზმი და იდეალიზმი დღიდან თავის გაჩენისა.

ამისვე წინააღმდეგ ილაშქრებს ფილოსოფიური კლასიციზმი, რომელიც ფილოსოფიური რეფლექსიის პირველ დაწყებიდანვე ჩვენს მიერ შეცნობილ საგანსა და ნამდვილ საგანს შორის ნაწილობრივ, თუ სრულ იგივეობას უშვებს. სპინოზა იყო იგივეობის პრობლემის დიდი კლასიკოსი და მან ამ ბუნქტში გააერთიანა ობიექტიურ-ლოგიური იდეალიზმი და რეალისტური-მატერიალიზმი. სწორედ ამ მოსაზრებით შიაჩნდა ფრ. ენგელსს სპინოზა შემდგომი რეალისტურ-მატერიალისტური ფილოსოფიის მამამთავარად, ხოლო პლენაროვი მატერიალიზმის სხვა და სხვა სკოლებს სპინოზიზმის სხვა და სხვა სახეებს უწოდებდა.

მხოლოდ სუბიექტივისტური ფსიქოლოგიზმი ვერ იწელებს იმ აზრს, რომ ჩვენი შემეცნება ცდუნება და ვზა აბნევა არ არის, არამედ როგორც კანონიერებაზე აშენებული ფენომენი. ორგანოტროპიზმის რელატივისტური ფსიქოლოგიზმი იმდენად ძველია, რომ მის მიერ წამოყენებული საკითხების სრული გამოშუქება ანტიური რელატივიზმისა და სეკპტიციზმის არგუმენტების განხილვით შეიძლება.

როცა ძველი საბერძნეთის ჯანსაღი სხეული სოციალურმა უკუღმართობამ და კლასთა ბრძოლამ საგრძნობლად დააავდა, როცა ძველი ბერძენის მსოფლ-



მხედველობაში ცენტრალური ადგილი დაიკავა სოციალურმა ქმედებებმა, უფროსა საკითხმა, როცა საბერძნეთი სულიერად დაადამყოფდა, სწორედ მაშინ წარმოიშვა იქ პროტაგორის რელატივიზმი, რომელიც სხვას კი არაფერს ამბობდა გარეშე იმისა, რომ ადამიანი და მისი ყოფა საფუძველია ყოველივესი; და რადგანაც ადამიანის ცოდნა და საფუძვლიანობა მერყევი და ცვალებადია, ამიტომ დროული, გარდამავალი და მერყევია მის მიერ შეცნობილიც და გაკეთებულიც. მთელ ამ დროს ახასიათებს საშინელი რეაქცია ბუნების მეტყველების და სწორი ცოდნის მიმართ. თუ რამდენად მძაფრი იყო ეს რეაქცია იქიდან სჩანს, რომ სოკრატე პლატონის ერთ დიალოგში ერთი ძველი სახელგანთქმული ბუნების მეტყველის შესახებ ამბობს, რომ იქ ქვების ანბების გარეშე არაფერი სწერია და იქ ქუთა არ ისწავლებათ.

ამასვე მოგვითხრობს ჩვენი ორგანოტროპიზმი მხოლოდ გამოთქმისა და პრობლემისადმი მიდგომის პოზა შეცვლილია. როგორც იქ, ისე აქ მსოფლმხედველობა ემყარება ადამიანის თვალსაზრისს და მის ფსიქიურ შესაძლებლობას. უარყოფილია თვით რეალობის პრობლემა, რადგანაც რეალობაც იმდენ ხანს არის რეალი, რამდენ ხანს მას ადამიანი ვანიცდის. აქედან, რასაკვირველია, არაფითარ გაკვირვებას არ იწვევს ორგანოტროპიზმის მიერ პსიქოლოგისტებიდან და წინამორბედი რელატივისტებიდან ნასესხები ფორმულა, რომელიც ამბობს, რომ ყველა თეორიული კეშმარიტების, თუ სხვა ფილოსოფიური პრობლემის უკანასკნელ გადაჭრისათვის კომპენტენტური მეცნიერება ფსიქოლოგია არის, სხვა კი მოკოროლი ამბავიაო. ასეთ მტკიცებაში მოქცეული ლოლიკური შეცდომა კრიტიკულად მოაზრე მკითხველისათვის თავისთავად ცხადია. ორგანოტროპიზმი ვერ ხედავს პრობლემის სიფართოვს და სიღრმეს მისი, თვალსაზრისი ჰგავს იმ ახირებული ქიმიკოსის თვალსაზრისს, რომელსაც ბრილიანტი მხოლოდ ქვანახშირის ერთი სახე ჰგონია და სხვა არაფერი. ქიმიკოსი, როგორც ქიმიკოსი მართალია, ბრილიანტი მართლაც ქვანახშირია, ის ქიმიკაში სწორედ ასე უნდა განიხილოს, მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი დანიშნულება, ის მეტია ვიდრე ქვანახშირი, მაგ. კრისტალოგიაში ის არის უფმაგრესი ქვა, დედაკაცისათვის სილამაზისა და კოპწიობის გამომხატველი საგანი, ეკონომიაში ღირებულებათა საზომი და სხვ. და სხვ.

ასეთივეა ჩვენი შემეცნებაც; მართალია რომ მისი პირველი საფუძველი და დასაწყისი ფსიქიურ აქტში უნდა გარდაიწილოს, მაგრამ როგორც ბრილიანტი მარტო ქვანახშირის ქიმიური თვისებებით არ განისაზღვრება, ასე არ შეიძლება ჩვენი შემეცნების ფსიქიურ პროცესებათ და გენეზისებათ დაშლა. ის ყოველთვის მეტია და სხვაა, ვიდრე ის ნიადაგი, საიდანაც ის პირველ ჩასახვაში წარმოშობილა. ორი და ორი ხომ ოთხი არის, ესეც უსათუოდ საერთო ეკონომიურ განვითარებისა და ფსიხიკის განსაზღვრულ ორგანიზაციის ზეგავლენით გაიგო პირველყოფილმა საკაცობრიო კულტურამ, მაგრამ დღეს ჩვენი ვაწევა უბრალოდ აპრიორულად იხმარს ამ კეშმარიტებას და არც ერთ ქუთაზე მყოფ კაცს აზრათ არ მოუდის მის სინამდვილეში სოციალური საჭიროების და ამათი განცდის მიხედვით რაიმე შესწორება შეიტანოს. ორგანოტროპიულ სოციალურ



კოროლაციებს დიდი არაფერი აქვთ ამ დარგში სათქმელი და უფრო მეტი უნდა ვის განცდების მიხედვით ამ ქეშმარიტებაში ეჭვი შეიტანა, ჩვენ მაშინ ფილოსოფიას დავეთხოვით და ამ კაცს ფსიხიატრიულ კლინიკისაკენ წაიყვანოთ.

ორგანოტროპიზმის პირველი ნახევარი, ის რომ არსებობასა და მის გარშემო მყოფ მდგომარეობასთან კორრელიტიური კავშირი არსებობს სწორია, მაგრამ მისი მეორე ნაწილი, რომ ეს ზეგავლენა „დაკეთხულია“ და მასში არავითარი კანონიერება და ვალდებულება არ არსებობს, მცდარი ამბავია. პირველი ნაწილი საერთოდ სწორია, მაგრამ გნოსეოლოგიურად მაინც უკმარი. კ. კაპანელი გვასწავლის რომ ის ურთიერთობა შემოქმედებითი ხასიათის არისო. სწორედ ეს შემოქმედება არის ძალიან საეჭვო საქმე და თან იმ იდეალისტებიდან ნასესხები ცნება, რომლებსაც ასე ებრძოლებოდა ორგანოტროპიზმი. ეს შემოქმედების აზრი აქ იმიტომ გამოდის ასპარეზზე, რომ ორგანოტროპიზმი, მიუხედავად მისი სოციალობაზე ბევრი ლაპარაკისა, მაინც სუბიექტივიზმია. ადამიანური სუბიექტია ის, რაიც ამ სისტემაში ცენტრალურ ადგილზე სდგას. ასეთი აზრების აწყობაში ყველაზე უფრო გაუგებარი ჩემთვის ის გარემოება არის, რომ ორგანოტროპიზმის ავტორი მის მიერ გნოსეოლოგიის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის მიუხედავად, უცხრად საკუთარ გნოსეოლოგიის ჩამოყალიბებას იწყებს და სწორედ ისე, ვითომცდა მის მიერ ათვალისწინებული რომელიმე გერმანელი გნოსეოლოგი.

კაპანელი გვასწავლის, რომ ჩვენს მეობას აზროვნების დაწყების დროს საგანში რეგვა შეაქვს და ჩვენი შემოქმედების ზეგავლენით საგანი იშლება და იტყვევს საგნობრიობის დროულ მოდუსათო, „სუბიექტი ქურდულათ კი არ შედის თავის ინტუიციით საგანში,—გვასწავლის ჩვენი ავტორი,—არამედ რეველიუციურ სპექტრში ითვისებს საგნის ობიექტივობას, ინტეგრალობას, რომელიც ბოლოს და ბოლოს ორგანოტროპიული, სუბიექტიური და ილიუზიურია, იმიტომ რომ შემეცნების პროცესი ერთგვარი პოემაა და ამ პოემის მთავარი გმირი ვაჭური ელემენტი მხოლოდ სუბიექტია; (ხაზი ჩვენ გაუსვით. ნ. გ.) სუბიექტსა და ობიექტს შორის ფილოსოფიური დიოლოგი რომ ვაიმართოს, ობიექტი ეტყოდა სუბიექტს მე ის მინდა რაც შენ გინდაო“. (იხ. კ. კაპ. გვ. 129). ამ მოყვანილი დებულების შინაარსი თავიდან ბოლომდე ის არის, რაიც რიხარდ ავენარიუსის პრინციპიალი გლორდინაციის შინაარსია (მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ავენარიუსი არ იტყოდა ობიექტიურობა ბოლოს და ბოლოს ილიუზია არისო. რელატივისტური ფსიქოლოგიზმის დიდმა სისტემატიკოსმა ავენარიუსმა შასცა შემეცნებას ასეთი განუყრელი აუგმის სახე, სადაც სუბიექტი არის ვაჭური ელემენტი—ავენარიუსის ენაზე (Zentralglied) და ობიექტი პასიურ-კალური—(Gegenglied) მათი მთლიანობა კი შემეცნება.

ამასვე ამბობს კაპანელის მიერ ათვალწუნებული შუაპე და ცოტა შეფარდებით ამასვე იტყოდა ყველა იდეალისტი და სუბიექტივისტი. კაპანელს აქ ორგინალობა არ ეკუთვნის, ხოლო ორგინალური ის არის ორგანოტროპიზმში, რომ მისი ავტორი სიტყვებში და განცხადებებში გერმანულ გნოსეოლოგებს



ლანძღავს, მაგ. შუპპესა, ხოლო როდესაც თავისი სწავლისათვის ვინმე კირდება, ამას ამ შუპპე და მისი უფროსი ავენარიუსიდან სესხულობს.

მთელ ნააზრებს, საერთოდ აღებული, ძალიან ემზნევა ფრანგი ფილოსოფოსი A. Fouillée და მისი ერთგული მოწაფის J. Guyau ზეგავლენა, როგორც გიუიოს იდეალისტური ევოლუციონიზმი ცდილობს რეალობა ინდივიდის და ქვეყნის სოციოლოგიური სინთეზის საშუალებით გამოთქვას ე. ი. ქვეყანა მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლის ფენომენით ახსნას, სწორედ ასე სწადს კ. კაპანელის ორგანოტროპიზმს იყოს სიცოცხლის ფილოსოფიით და ცხოვრების აზრის ესთეტიურ ფენომენში გამოთქმით ახსნას სინამდვილის ყოველივე საიდუმლოება, მაგრამ იქ, სადაც დასახელებული ფრანგები ემყარებიან ერთ განსაზღვრულ პრინციპზე, მათ ქარველ მიმდევარს სხვისგანაც უსესხებია პრინციპები, რაიც ცოტა არ იყოს გაუგებრობის გამომწვევეი ამბავია.

მოკლეთ: ორგანოტროპიზმა გვითბრა და გვასწავლა ის, რასაც იდეალიზმი და სუბიექტივიზმი სამი ათასი წელია გვეუბნებოდა და გვასწავლიდა. მაგრამ იქ, სადაც ორგანოტროპიზმის დასავლეთელი თანამოაზრენი დიდი სისტემატიურობით და საქმეში ჩახედულობით აწენებენ თავიანთ სისტემებს, ორგანოტროპიზმი მოკლებულია სისტემატიურობას და პოეტური გამოთქმებით სცდილობს დააკმაყოფილოს მოაზრე მკითხველის მოთხოვნილება, მან ამით ვერ გამოიჩინა სიახლე და ორგინალობა, რადგანაც დღეს იდეალიზმის ბანაკი უკვე სდუმს და რეალისტური მსოფლვაგება არის ფილოსოფიური საქმიანობის მორიგი ამოცანა.

3. ორგანოტროპიზმი და მარქსიზმი.

ერთი თავისებურება ახსიათებს ორგანოტროპისტულ რელატივიზმს: მისი დებულებანი მეტნაწილათ ისტორიის და სოციოლოგიის ტერმინებით არის გამოთქმული. ნამდვილად ამიტომ ჰკონია მის ავტორს, რომ მისი სწავლა მარქსიზმის და ბიოლოგიზმის შვერთებაა. ფილოსოფიურ საქმეებში ჩახედულ მკითხველისათვის კი თითქმის წარმოუდგენელია ისეთი ორი ჰეტერონომიული და მოურიგებელ პრინციპებზე აწენებული სწავლა, როგორიც არის ორგანოტროპიზმი და მარქსიზმი. მე არაფერს ვიტყვი წმინდა გნოსეოლოგიურ მეთოდოლოგიურ სხვაობაზე, რაიც მათ შორის არსებობს—მარქსიზმი აწენებულია დიალექტიურ ინტელექტუალიზმზე, ხოლო ორგანოტროპიზმი ინტუიტიურ განცდაზე.

მე მინდა აქ იმაზე ვილაპარაკო, რომ ამ ორი სწავლის მიერ ისტორიული კანონების გაგება და შეუასება დიალექტიულად ერთი მეორეს უნდა ეწინააღმდეგებოდეს. პირველ შეხედვით მათ დებულებებში ვითომც და რაღაც საერთო არსებობს, მაგრამ ეს არის მხოლოდ გარეგნობა. ნამდვილად ამ გარეგნობამ გადააყდინა სეით დევდარიანი, როდესაც მან გახ. „კომუნისტი“ კაპანელის წიგნის შესახებ მოთავსებულ რეკენზიაში ორგანოტროპიზმი მარქსიზმს არამც თუ გაუწათესავეა, არამედ პირდაპირ გაუთანასწორა. პატივეცემულ სეითს უნდა მოვახსენო, რომ ეს ძალიან დაბნეული ამბავია და აი რატომ: ორგანოტროპიზ-



მის ავტორმა თავისი მსოფლგაგების რეზიუმე მოგვცა შემდეგ წინათქმულაში: „მიწის ძერისა, კატასტროფებისა და შემთხვევების წინაშე ლოლიკა თავის სილლოგიზმით ისე საცოდიათ გამოიყურება, როგორც სოველი ქათამი ქარიშხლის დროს ტრიალ მინდორზე“. აბზაცი რომელშიაც ეს დებულება მოყვანილია, იწყება სიტყვებით: „ისტორია დემონსტრაციაა კოშმარული შემთხვევების, ამორალური გლეჯის გაძლიებისა და განდიდებისათვის“ (იხილეთ გვ. 194).

თუ პატივცემული სეთი დაამტკიცებს, რომ ამ ორ დებულებას რაიმე საერთო აქვს მარქსის მარქსიზმთან, მაშინ სწორი ვითბრათ, მართალი ყოფილა ედუარდ ბერსტაინი, როდესაც ამბობდა, რომ მარქსით ყველაფრის დაამტკიცება შეიძლებაო, მარქსის მარქსიზმი, როგორც სწავლა და მსოფლგაგება ნწორედ ამ ისტორიული შემთხვევებისა და კოშმარების საწინაამდღევით განვითარდა. ორგანოტროპიზმი ისტორიულ ფაქტთა მსვლელობაში უარყოფს ერთ პროცესზე დამყარებულ სავალდებულო კანონიერების განვითარებას. მარქსიზმი კი ამ პროცესის აუცილებლობასა და ვალდებულობაზეა დამყარებული. ორგანოტროპიზმი უარყოფს ისტორიაში მომქმედ სავალდებულო კანონს. მარქსიზმი კი ამ კანონის აღმოჩენას უდრის. ორგანოტროპიზმი უარყოფს კავხალობას, მარქსიზმი ისტორიულ ფაქტის კავხალორ წყების შემცნობას ემყარება. ავილით კონკრეტული მაგალითი. ორგანოტროპიზმი ამბობს: ყოველ ეპოქას, ყოველ ტერიტორიას, ყოველ კუთხეს აქვს საკუთარი სტილი და მეობა; ყველაფერი, რასაც ისტორიაში ერთხელ დიდი აზრი ჰქონდა, დღეს ის სისულელეა, დრომ და პირობებმა წაიღეს ეპოქის სული, ცხოვრების აზრი. მარქსიზმი ასწავლის: ისტორიაში არ არსებობს ყველა ეპოქებისათვის სავალდებულო ქეშმარიტება, ყოველი ისტორიული ქეშმარიტება მოვლინდება განსაზღვრულ დროსა და პირობებში, ამიტომ ქეშმარიტება არსებობს როგორც კონკრეტული მოვლენა, ისტორიას არა აქვს ყველა დროისათვის სავალდებულო მორალი, განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქას აქვს თავისი საკუთარი მორალი და სხე. ეს ორი თვალსაზრისი გარეგნულად ერთი მეორეს ჰგავს; ისინი დამყარებულნი არიან ორ სულსხვა და სხვა პრინციპზე და ამიტომ მოურიგებელია მათი საბოლოო თვალსაზრისი. მარქსიზმის აზრით თუმცაღა ისტორიული ფენომენების გარეგანი სახე კალეიდოსკოპიური და ცვალებადია, მაგრამ ამ ცვალებადობის და ტრიალის უკან იმალება ერთი ურყევი და შეუდრეკელი კანონიერება, ამ კანონიერებამ არ იციან არავითარი გამონაკლისი, არავითარ შემთხვევებს არ აქვს მასში ადგილი. კაცობრიობის ისტორია დღიდან მასში კულტურის ჩანასახის გაჩენისა მიდის წინ და განიცდის სწორედ რომ ამრიორული კანონის რკინისებურ ზეგავლენას. ის იწყება პირველყოფილ კომუნიზმიდან, გაივლის (აუცილებლად) სხვა და სხვა ისტორიულ ფორმაციებს და დაუბრუნდება უკან კომუნიზმს; წინააღმდეგობა, რომელიც ამდენხანს ადამიანთა ისტორიას ამოძრავებდა აქ მოიხსნება და დაიწყება ე. წ. ნამდვილი ისტორია. თავის უკედავ 1859 წლის წინასიტყვაობაში, კ. მარქსმა პირდაპირ გენიალური ოპტიმიზმით გამოთქვა ეს აზრი; კაპიტალისტური ეპოქის დამთავრებით, ამბობს აქ მარქსი, დამთავრდება საკაცობრიო ისტორიის წინა პერიოდი და აქედან დაიწყება კაცობრიობისა-



თვის შესაფერი და ნამდვილი ისტორიით. მთელი მარქსიზმი და მარქსისტული აზროვნების კანონის ოპტიმისტურ ძიებას და მის აუცილებლობას მარქსისტულ აზრში წინასიტყვაობის აზრით ადამიანთა ისტორია დღიდან თავისი გაჩენისა თანდათანობითი დიალექტიკური აუცილებლობით ემზადება იმისათვის, რომ გადაიქცეს ადამიანისათვის შესაფერ, ან ნამდვილ ისტორიად, ნამდვილ ისტორიაში ე. ი. კომუნისმთან მისულ ისტორიაში, ადამიანი იგრძნობს თავს სრულ და თავისუფალ ადამიანად, აქამდე მას ბოქაედა ისტორიის კანონები, ახლა ის თვით გააქეთებს ისტორიას.

ასეთია მარქსის მიერ დაწერილი მარქსიზმი. არ ვიცი რა საერთო არის ამასა და იმ კონზერვულ შემთხვევების აპოლოგობას შორის, რასაც ისტორიული რელატივიზმი ქადაგობს. ამ უკანასკნელში უარყოფილია ყოველივე კანონი და სავალდებულო განვითარება. აქ ისტორია თავის საკმეს იწყებს, როგორც ეს შემთხვევით დაიწყო, მარქსიზმში კი ისტორია იწყება და ვითარდება ისე, როგორც უნდა დაწყებულიყო და განვითარებულიყო. ფრაზები ისტორიული მორალის ცვალებადობაზე და კენზორიტების არ არსებობაზე, რომ მარქსიზმი იყოს, მაშინ ოსვალდ შპენგლერი უდიდესი მარქსისტი იქნებოდა ამ ქვეყანაზე. პატივცემულ სკიით დედარაიანს უნდა მოესხენებოდეს ის ამბავი, რომ შპენგლერის ორ ტომიანი წიგნი სწორედ ისტორიის ისეთ დახასიათებას და განმარტებას იძლევა, როგორც ორგანოტროპიზმის ზოგიერთ ადგილებშია მოცემული, გარეგნულად ისიც მარქსიზმს ჰგავს და ესეც, ხოლო იმ განსხვავებით, რომ შპენგლერი თვითონ გარკვეულად გრძნობს, რომ მას მარქსიზმის არაფერი სწამს, ორგანოტროპიზმს კი ჰგონია, რომ ის მარქსიზმით არის გამართლებული.

ახალი ფილოსოფიური სისტემის ავტორი მგონია უნდა გაერკვეს იმაში, რომ იმისი სწავლის ამოსავალი წერტილი და რომელიმე სტვისის, სულ სხვა და სხვა არის. და თუ ეს ასეა მაშინ მარქსიზმი, როგორც სწავლა ჩამოყალიბდა იმ პრინციპებიდან, რაიც ორგანოტროპიულ რელატივიზმში იმთავითვე უარყოფილი უნდა იყოს. მარქსიზმი პირველი იყო ახალი დროის მეცნიერული მეთოდის, სწორედ იმ ინტელექტუალიზმის და ნაწილობრივად რაციონალიზმისაც, რაიც ასე ათვალისწინებულია კ. კაპანელის წიგნში. ყოველივე მოვლენის და კანონის რაციონობრივ გამოანგარიშებით ახსნა, რაიც პირველად ექსპაქტ ბუნებათ მეცნიერებაში შემოვიდა, პირველად მარქსმა შემოიტანა ისტორიის საკითხებში და ამით შეეცადა ისტორიიდან ისეთი მეცნიერება აეშენებია, როგორიც იყო სხვა მეცნიერებანი.—ისტორიაში კლასთა ბრძოლის, როგორც მამოძრავებელი ძალის, აღმოჩენა მეთოდოლოგიურად ისეთივე მიღწევა იყო, როგორც ნიუტონის მიერ გრავიტაციის კანონის აღმოჩენა და ისე ემყარებოდა ინტელექტუალიზმს, როგორც ლაიბნიცის დიფერენციალი კვოციენტი. ფრ. ენგელსი საუკეთესოდ მოგვითხრობს, თუ როგორ ეს ახალი მეთოდი ნელ-ნელა დაეუფლა ცოდნის ყველა დარგს და ბოლოს ის მარქსის მიერ გადატანილი იქნა ისტორიის სარბიელზე, ხოლო დარვინის მიერ ბიოლოგიაში. მეთოდოლოგიურად ამავე ნაკადს ეკუთვნოდა გერმანული იდეალიზმი და ფრ. ენგელსი საკმის სრული შეგნებით ამბობდა, რომ გერმანიის მუშათა კლასი გერმანული ფილოსოფიის



მემკვიდრე არისო. ამას ამბობდა ენგელსი, ხოლო ორგანოტროპიზმის კვლევას-
წავლის, რომ ამ მეცნიერების და ამ ფილოსოფიის მეთოდური უფარვის იყო
და მისი შინაარსი, შეიძლება ეს ასეა, მაგრამ მაშინ მარქსიზმი იმათი პირ-
მშო შეილიც უფარვის და ორგანოტროპიზმისთვის მიუღებელი უნდა იყოს.

და ბოლოს ხომ უნდა ვავერკვეთ იმაში, რომ მარქსიზმი მკაცრი ობიექტი-
ვიზმია და თუმცა ისტორიის ცალკე ფენომენებს ის რელატიურ ღირებულებას
ანიჭებს, მაგრამ ყველა ამ რელატივებს ის აცვამს ობიექტიური განვითარების ერთ-
დიალექტიურ ხაზზე, სადაც ყოველგვარი შემთხვევისათვის სავლელი გზა იმ თა-
ვითვე აღკვეთილია. ისტორიული ეპოქების რელატიური ოველექციების ერთი მეო-
რეზე გადაჯაჭვა მარქსიზმისთვის იმიტომ არსებობს, რომ აღმოჩენილი იქნას
ერთი და ყველა დროისათვის სავალდებულო ისტორიის კანონი, ისტორიული
მატერიალიზმი ამ კანონს გამოთქვამს დებულებებით: საწარმოვე ძალთა წარ-
როება საფუძველია ყოველივე ისტორიული განვითარებისა. ორგანოტროპიზმი
ამას თუ მოეშრობა, მაშინ მან თავისი საფუძველი უნდა უარყოს, საროსკიპოში
პრინციპით შებრძანდეს და იმაშიც უნდა გაერკვეს „ვინ არის მართალი“. ან
ისე და ან ასე, tertium non datur.

ისტორიის შემთხვევებით განვითარება და ორგანოტროპიზმის მიერ შექე-
ბული ლოლიკის უძღურობა „მიწის ძვრისა და კატასტროფის“ წინაშე, ისე მიუ-
ღებელია მარქსიზმში, როგორც მარქსიზმისათვის ისეთი ისტორიული წარსუ-
ლის გაგებაც მიუღებელია, როგორსაც ორგანოტროპიზმი მოითხოვს. ისტო-
რიული წარსული კეთხოზრივი მოვლენა კი არ არის, არამედ ერთი მთლიანი
და აუცილებელი დიალექტიური განვითარების პროცესი, რომელშიაც წარსული
არასდროს კატასტროფებს და განადგურებას არ განიცდის, არამედ კანონიერ
აუცილებლობით შორდება ისტორიის სარბიელს; შორდება, მაგრამ არ კვდება,
არამედ ახალ აშენებულ ორგანიზმში იჭერს საპატიო ადგილს. ეს განვითარება
ისტორიული აუცილებლობით „წუთისოფლის ყველა კუთხეში“ დამოუკიდებელი
და თავისებური კი არ არის, არამედ ის იმ „კუთხოპრიობას“ უმორჩილებს ისტო-
რიული განვითარების სავალდებულო და რკინის კანონებს. ისტორიის პროგრე-
სი და თუ ვნებათ სოციალიზმი, ისტორიის თავიდან კი არ იწყებს, არამედ
ანვითარებს და ანხორციელებს ძველის ძველ დაწყებულ საქმეს. და ეს აუცილ-
ებლობის პროცესი მიმდინარეობს ყოველ ისტორიული მოვლენისათვის ერთნა-
რი ვალდებულებით. ვინც კი არ უნდა გამოჩნდეს ისტორიის სარბიელზე, მან
თავზე უნდა მოიხვიოს ეს აპრიორული კანონი და მას დაემორჩილოს. თუ
კ. კაპანელს არა, მე მგონია სეით დევედარიანს კი უნდა მოეხსენებოდეს კარლ
მარქსის უკვდავი ფრაზა:

«საქმე შეეხება არა იმას, რომ ხაზღვარი გადებული იქნას წარხულხა და
მოშავალხ შორის, არამედ იმას, რომ წარხულხის აზრი განხორციელდეს: კაცობ-
რიობა ახალ მუშაობას კი არ იწყებს, არამედ ძველი საქმე ბოლომდე შეგნე-
ბულად მიჰყავს».

4. ზოგიერთი ინტერპრეტაცია. დასკვნა.

მთავარი ნაკლი კაპანელის წიგნისა იმაში მდგომარეობს, რომ მის ავტორს



არ ემჩნევა ერთი საბოლოოთ გარკვეული პრინციპით ხელმძღვანელობა. აქვენი ჩახედულ შკითხველს ეგონება, რომ ორგანოტროპიზმის აქტორში რამოდენიმე პეტერონომიული მსოფლმხედველობას და მსოფლგაგებას უბრძოლია და ამ სხვის აზრთა პლურალიზმს ეკლექტიციზმის ბეჭედი დაუსვამს მთელი ნააზრებისათვის: აქ სამკედრო სასიცოცხლო ომი ყოველივე გნოსეოლოგიას, იქ საკუთარი შენობის ვიწრო გნოსეოლოგიის საფუძვლებზე დაშენება, აქ უსაზღვრო ბრძოლა კანტის წინააღმდეგ. იქ საკუთარ მიმოხილვაში რეალობის კანტისებური ორად გაყოფა (გვ. 128) აქ ბრძოლა ლოლიკის და კანონის აუცილებლობის წინააღმდეგ, ანტი-ინტელექტუალიზმი და ეოლუნტარიზმი, იქ მარქსიზმის მიღება და მისი დებულებების (ვერბალური) გამეორება. და როდესაც ერთი გარკვეული პრინციპით მოაზრე ამ წიგნს გადაიკითხავს, მისთვის მიუღებელ პრინციპს გვერდით ნახავს ისეთსაც, რომელზედაც თვითონვე მოაწერდა ხელს. ასე მაგალითად ყველა მარქსისტი გაიზიარებდა ჰეგელის ძველ აზრს იდეოლოგიის თვითარსებობითი ხასიათის, მაგრამ მაინც მატერიალი ნიადაგიდან წარმოშობის შესახებ (გვ. 179) ან და კიდევ კაპანელის მიერ უთვალავჯერ დაწყვეილი იდეალისტი ფილოსოფოსები ორივე ხელს მოაწერდენ იმ დიალოგს, რომელიც გაამართვია ორგანოტროპიზმის აქტორმა სუბიექტსა და ობიექტს!—ობიექტი ეუბნება სუბიექტს: მე ის მინდა რაც შენ გინდაო.—

ამ მსოფლგაგებათა პრინციპების არეულობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ ორგანოტროპიზმის აქტორი როდესაც ინტერპრეტაციას უშვრება ზოგიერთ ნეკნიერულ თუ ისტორიულ ფაქტებს, ეს ფაქტები ჰკარგავენ თავიანთ საკუთარ აზრს და ერთობ უცხო სამოსელში გვევლინებიან. ასე მაგალითად, იმის დასამტკიცებლად, რომ იდეალიზმი პრაქტიკას არასდროს ანგაიროს არ უწევს, კაპანელს მოჰყავს ჰეგელის ცნობილი თქმა: თუ ფაქტები ჩემ თეორიას არ ეთანხმება მით უარესი ფაქტებისათვისო. და თან გაგვიმართავს, რომ ამ თქმაში გამოხატული პრუსიელი ბიურგერის არისტოკრატიზმი და ინდივიდუალიზმი, მართალი მოგახსენოთ ვინც ჰეგელს იცნობს ძალიან გაკვირვებული დარჩება ასეთი ახსნა-განმარტებით და ის კი არა, პატივცემულ კაპანელს საქმის უკადინარობაში ბრალს დასდებს. და მართლაც, ჰეგელი მამლაყინწასავით კი არ ამტკიცებდა, რომ რასაც მისი თეორია იტყოდა იმას უნდა დაქვემდებარებოდა ყველაფერი, არამედ მის ნათქვამს აქვს სულ სხვა და მოგახსენოთ თუშცა მეტაფიზიკური, მაგრამ ერთობ ღრმა აზრი.

ჰეგელი ფიქრობდა, რომ საესებით ერთი და იმავე კანონისა და პრინციპის მიხედვით აშენებულია ზენი ლოლიკურ დიალექტიკური აზროვნება და გარემდებარე ბუნება. და რადგანაც ლოლიკურ დიალექტიკური აზროვნების ნამოქმედარი თვით მოაზრეს ხელთ აქვს, გარემყარი კი მისგან უფრო შორს სდგას, ამიტომ თუ ლოლიკურ კანონსა და ბუნების ფაქტს შორის წინააღმდეგობა აღმოჩნდა მაშინ ნამდვილად ის ბუნების მოვლენა არ არის თავის ადგილზე, შეცდომაა მასწია და არა გონებაშიო. თავისთავად ეს შეიძლება ჰეგელის პანლოგისტურ-იდეალისტური სიბრძყვე იყოს, მაგრამ ეს ის არ არის, რაიც ორგანოტროპიზმის აქტორს ჰგონებია. ყოველ შემთხვევაში პირდაპირ აუტანელია ის



განმარტება, რომ ეს ინდივიდუალიზმი და არისტოკრატიზმი ეს იყოს კაზარმა და ეშალონი, ჯოჯების და მონების აბოლოგია, მაგრამ აქ არისტოკრატიზმზე და ინდივიდუალიზმზე ლაპარაკი არ არის.

სრულ გაუგებრობაზეა აგრეთვე აშენებული ყველა ის აზრები, რაიც კანტს შეეხებოდა. შეიძლება კანტის მომხრე არ იყო, მაგრამ კანტის აზრები მაინც არ უნდა დაამახინჯო. მაგ. პატივცემული კაპანელი უთვალავეჯერ იმეორებს: კანტმა ვერ გაიგო, რომ გონება არასდროს წმინდა არ ყოფილაო. მართალი გითხრათ მეც ვერ ვაგვიგე თუ რაშია აქ საკმე. კანტი თავის წინამორბედ მეტაფიზიკას იმას უმტკიცებდა, რომ წმინდა გონება არ არსებობს, მისგან ვერაფერს მეცნიერებისა და სწორი ცოდნისათვის საჭიროს ვერ მივიღებთო და სხ.. ამის დესამტკიცებლად დასწერა თავისი „წმიდა გონების კრიტიკა“ და აღარაფერი გამეგება იმისა, თუ როგორ ვერ გაიგებდა ეს კაცი რომ წმიდა გონება რეალური ნოხმარებისთვის არ არსებობს!.

ასეთივე გაუგებრობას მიეწერება კ. კაპანელის მსჯელობა: კანტი, ბიურგერულ-ინდივიდუალიზმის წარმომადგენელი გეომეტრიის უძახის „წმიდა მეცნიერებას“, მას ვერ გაუგია რომ გეომეტრიის უოველდლიურ ცხოვრებასთან აქვს კავშირი ე. ი. ის პრაქტიკული მეცნიერებაა (გვ. 215). მე, მართალი მოგახსენოთ, რომ ერთი რამ ვერ ვამიგია, თუ კანტი მართლაც იმდენი პრიციპი იყო რომ მან გეომეტრიის პრაქტიკული და სოციალური მნიშვნელობა არ იცოდა, თუ მან, მაგალითად, არ იცოდა რომ გეომეტრიის საშუალებით მიწას ზომავენ და საზღვებს აშენებენ, მაშინ როგორ მოხდა ის რომ ეს კვება თხელი კაცი ეგროპის აზროვნებას მთელი ერთ საუკუნით დაეფულო!! მაგრამ საუბედუროთ, თუ საბედნიეროთ, კანტმა ძალიან კარგათ იცოდა, რომ გეომეტრია პრაქტიკული და სოციალური მეცნიერება არის, და თუ გეომეტრიის „წმიდა მეცნიერებას“ უძახოდა, აი რა მოსაზრებით. კანტმა მეცნიერებანი ორ ნაწილად გადამიჯნა, წმიდა და ემპირიული. თუ თქვენ მაგალითადო,—ეტყოდა კანტი პატივცემულ კაპანელს აიღებთ გეომეტრიის საფუძველ მდებელ ცნებას, მაგალითად სამკუთხედს. სამკუთხედის ცნებაში იმთავითვე მოცემულია მისი წინაარსი. მაგ. ევკლიდეს გეომეტრიის სამკუთხედის ცნების განმეორებაში უკვე მოცემულია რომ $\angle a + \angle b + \angle c = 2d$ ან და $\angle a + \angle b = \angle c$ და აუარებელი სხვა ამგვარი, ამის მისახვედრათ არავითარი გამოცდის მოწყობა არ არის საჭირო, უნდა იცოდე გეომეტრიული ხერხი და მთელ ამ ამბავს ხელად გაიგებ. ასეთ მეცნიერებას კანტი უწოდებდა აპრიორულს, ან „წმიდას“. მაგრამ თუ თქვენ აიღებთ მამაკაცს, მაგ. კონსტანტინე კაპანელს, მის ცნებაში არას დროს არ არის მიცემული ის ცოლიანია, თუ უცოლო. ამისათვის ეს უნდა გამოსცადო და შეიტყო. აი ასეთ მეცნიერებას, რომელსაც თავის საგნის მისაღწევად და გასარკვევად ესაქიროება ცდა და ექსპერიმენტი, კანტი უწოდებდა ემპირიულ მეცნიერებას.—კანტს შეიძლება ზეენ დავეთანხმოთ ან და არ დავეთანხმოთ ეს სხვა ამბავია, მაგრამ ის კი ნათელია, რომ კანტის ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც ორგანოტროპიზმშია მიცემული, მეცნიერული მორიგება არის.—

ინტერპრეტაციებსაც რომ თავი გავანებოთ, უნდა აღინიშნოს, რომ რა-



ლაც მოსაზრებით პატივცემულ კაპანელს არც ერთი კანტის ცრუ-საქმით არ მოუყვანია. ასე მაგ. 160 გვერდზე კაპანელის კანტი ამბობს: „ვარსკვლავიანი სივრცე მე დამყურებს, მორალური კანონი ჩემშია“. თვითონ კანტს ეს კი არ უთქვამს, არამედ: „მე ორი დიდი საიდუმლოება გამაჩნია ამ ქვეყნად, ცი მოკედლილი ვარსკვლავებით ჩემს ზევით, მორალური კანონი ჩემშია“. ეს სულ სხვაა, ის კიდევ სხვა და მათ შორის კარგი მოზრდილი ზღვარი გახლავთ.

კ. კაპანელის წიგნის უკანასკნელ ნაწილში ორგანოტროპიული მეთოდი გამოკვდილია ქართული კულტურის საკითხების გადასაქრელად და ზოგი ისტორიული საკითხის, თუ პერსპექტივის განსაზღვრავად. საუბედუროდ ქართული კულტურის ისტორიის მკოდნეთ თავს არ ვთვლი, მაგრამ მაინც არ მგონია რომ მე-19 საუკუნეში ჩვენში მეტი „ევროპიელობა“ შემოსულიყო, ვიდრე ეს მე-12 საუკუნეში იყო. თქვენ რომ მე-12 საუკუნის საფეიქრო წარმოებების შესწავლა გინდოდეთ, ამისათვის ფაქტიურ მასალათ საუცხოვოთ გამოგადგებათ მაშინდელი საქართველო, ისე კარგათ. როგორც მაშინდელი გერმანია, მაგრამ მე-19 საუკუნის წარმოების ფორმები და წესები რომ ვინმემ საქართველოს მავალითზე შეისწავლოს, სასაცილო კურიოზებს ვერ გაშორდება.

კონ. კაპანელის უსაზღვრო საყვედურები ქართული მეცნიერების და ჩვენი უნივერსიტეტის მიმართ რაღაც კერძო ხასიათის ამბავი უნდა იყოს და სხვა ქვეყანაში ასეთ საქმეებს „ფილოსოფიური სისტემის“ მომცემ წიგნში, მართალი მოგახსენოთ, რომ არ სწერენ. არც ის ამბავია დიდი აზრმახვილობის ნაყოფი, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ქართულ ისტორიის არხივია, იქ ხალხი ვილაყებების curriculum vitae-ს სწერენ და სხვას არაფერს აკეთებს. ეს ფრაზა გარეგნულად დიდი რადიკალიზმის ნაყოფს ჰგავს, სინამდვილეში კი ის ყალბია, როგორც რადიკალიზმის მხრით, ისე მეცნიერულად. ისეთ რადიკალურად მოაზროვნე კაცი, როგორც ფრიდრიხ ენგელსი იყო, ამ საქმეში რომ მსჯავრდებულად მოიწვიოთ, ულაპარაკოდ curriculum vitae-ის მწერლებს გაამართლებს და მართლაც „ანტი-დიურიზმი“ ენგელსი შეეხო ერთს საეხებით ანალოგიურ საკითხს. აქ მან არისტოტელს წარსულის უნივერსალესი გენია უწოდა და თან განმარტა, შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ არისტოტელს სინთეზის უნარი აკლდო, მაგრამ კაცობრიობას ჯერ ხომ ცოდნის მასალა უნდა დაეგროვებია, ისე ყოველივე სინთეზი ხომ დაეშობა გამოვიდოდაო, არისტოტელე იყო შეუდარებელი მასალის შემკრები და სწორედ ამიტომ მისი დამსახურება კაცობრიობის წინაშე აჭარბებს ყველა სხვის დამსახურებასო. ამისვე თქმა შეეძლო მას (რასაკვირველია სხვა მასშტაბით) ჩვენი curriculum vitae-ის მწერლების მიმართ. ახირებულმა თავებმა რაც არ უნდა ილაპარაკონ, მათი დამსახურება განუსაზღვრელად დიდია. ისინი აკეთებენ იმას, რის გაკეთება პირველ რიგში საჭიროა ე. ი. ჩვენი ჯერ კიდევ გაურკვეველი წარსულის მასალებს აგროვებენ, ამუშავებენ.

ამ რიგით ჩვენ თითქმის ყველაფერს ხაზი გაუსვით, რაიც კაპანელის წიგნში ხაზგასმული იყო. სამართლიანია ეს კრიტიკა თუ არა, ამას საქმის მკოდნე მკითხველი იტყვის.

საბჭოები, რომორც პროლეტარულ დემოკრატიის ორგანოები.

1. საკითხის ისტორია.

საბჭოთა აღმშენებლობის სათათბირო სპეციალურმა კომისიამ მოახდინა ქალაქის საბჭოების მუშაობის შესახებ საკითხის ხანგრძლივი გადაამუშავება, რომელიც გაგრძელდა ოთხი თვე.

საბჭოთა აღმშენებლობის სათათბიროს მიიღო დადგენილებების სამი ძირითადი პროექტი: პირველად — საბჭოების პლენუმის მუშაობის, მეორედ საბჭოების სექციების მუშაობის შესახებ და მესამედ — ქალაქის საბჭოების მოქმედების და ორგანიზაციის ძირითადი დასაწყისი.

ამ დადგენილებებს ჩვენ საფუძვლად დავუდეთ ერთი მხრით ქალაქის საბჭოების მუშაობის მთელი რიგი მასალების შესწავლა, და მეორე მხრით ზოგიერთი პრინციპიალური დებულებანი, რომელნიც გამომდინარეობენ საბჭოთა დემოკრატიის შესახებ ლენინის მოძღვრებიდან. საბჭოებს, როგორც პროლეტარულ დიქტატურის განსაკუთრებულ ფორმას ორი სახე აქვს: ერთი მხრით ის არის ვამოხატულება ორგანიზაციის, ომელიც ამსხერვეს გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგობას, მეორე მხრით ის არის მშრომელთა ნამდვილი დემოკრატიის ორგანიზაცია.

პირობებთან შეფარდებით პირველ ადგილს იკერს საბჭოების ესა თუ ის პირი, ესა თუ ის მხარე. ეზღანდელი პირობები ისეთია, რომ პროლეტარიატის დიქტატურისთვის პირველ ადგილს იკერს საბჭოების მნიშვნელობა, როგორც პროლეტარულ დემოკრატიის ორგანოები (საბჭოების გაძლიერება, როგორც პროლეტარულ დემოკრატიის, ქმნის დღევანდელ პირობებში ახალ შესაძლებლობას, ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვის, რამდენადაც აფართოებს პროლეტარულ ხელისუფლების ბაზას) ამ პრინციპიალურ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა ჩვენი კომისია, ქალაქის საბჭოების შესახებ საკითხის შემუშავების დროს, ამასთანავე, რასაკვირველია, შესაძლებელი სამაგალითო მიღწევები განისაზღვრება მით, რაც ჩვენ დღეს გვაქვს ადგილებზე.

კიდევ ერთი წინასწარი შენიშვნა. როგორც ქალაქის, ისე სოფლის საბ-



კოების, როგორც კოლექტიურ ორგანოების მუშაობა შევიწყვიტეთ. ენაწილობითი ხანაში. მათი ფუნქციები პირველად გადადიოდა აღმასკომებში, შემდეგ მათ პრეზიდიუმზე. ამგვარად საბჭოების როლი თან და თან ვიწროვდებოდა, ასე რომ ომის დასასრულს ე. ი. 1920—1921 წ. საბჭოები თავის პრაქტიკულ მუშაობაში შეიცვალა მისი აღმასრულებელი ორგანოთი, ე. ი. რამდენიმე კაცი-საგან შემდგარ კოლევით.

ვევლია ეს ხდებოდა სამი მიზეზის გამო: პირველად, პოლიტიკური პირობები ისეთი იყო, რომ ის მოითხოვდა ძალაუფლების მაქსიმალურ შეპოკრებას, ერთეულ ხელისუფლებისადმი მაქსიმალურ დაახლოვებას; მეორედ—ესეც უნდა აღინიშნოს აქ—ქალაქები მომხმარებელ ცენტრებად გადაიქცენ, სამეურნეო ნაწილის მიზანი შეიქმნა უმთავრესად ის, რომ ქალაქები უზრუნველყო პურით; ბუნებრივად ეს ხელს უშლიდა ქალაქების საბჭოების მუშაობას და ზღუდავდა საბჭოების როლს და მნიშვნელობას; დაბოლოს მერმედ სამხედრო კომუნიზმის დროს ქალაქის წარმოებანი და ქალაქის სამრეწველო წამოწყებანი ადგილობრივ საბჭოების ხელიდან გადადიოდა უმაღ. სამეურ. საბჭოს და სხვა ორგანოების ხელში. ამგვარად მათ მოქმედებას ეცლებოდა სამეურნეო ბაზა.

1921 წლის დასაწყისში განხრახული იყო ამ მდგომარეობის შეცვლა. ამოიკცა სრ. რუს. აღმ. კომ. ორი დადგენილება, მაგრამ არც ერთს სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონია. ქალაქთა საბჭოების დებულებამ 1922 წელს, მკაფიოდ „აღინიშნა“ ის მდგომარეობა, როდესაც ქალაქის საბჭო არსებითად საბჭო არ იყო მას არ ჰქონდა საკმარისი სამეურნეო საფუძველი, ის მხოლოდ ვიწრო კოლევით წარმოადგენდა, ვერცდ წოდებულ პრეზიდიუმს. რომელიც ფაქტიურად საბჭოს მავიერობას ეწეოდა.

შეუქმევეთი პროცესი იწყება 1922 წლიდან და არსებითად შიღის ორი გზით. პირველი გზა არის კომუნალურ მეურნეობის აღდგენის გზა; კომუნალურ მეურნეობის აღდგენას თან მოჰყვება ქალაქის ბიუჯეტი. იეორე გზა არის გზა—სექციების საშუალებით თან და თანობით წელს იმავრებს კომუნალურ მეურნეობა, შენდება სახლები, ეწყობა ელექტრონიული განათება, კეთდება ტრამვაი, — ჩნდება ქალაქის ბიუჯეტის საფუძველი, ამასთან ერთად მუშავდება კანონების მთელი რიგი, რომლებიც ხელს უწყობენ ქალაქების აღორძინებას, სისწორით რომ ესთქვათ ქალაქის აღმასკომებს და ამ დროს სისტემატიურად სრულიად ყურადღებებს არ აქცევენ ქალაქთა საბჭოების არსებობას. მაგალითად 1922—1924 წლების არც ერთ კანონში, რომლებიც ეხებიან კომუნალურ და საბინაო აღმშენებლობას ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ქალაქის საბჭოების შესახებ, „ადგილობრივ ფინანსების დებულებაში“, რომელიც მიიღო მესამე სესიამ 1923 წლის ბოლოს ქალაქის შემოსავალ გასავალი საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებისთვის ისაზღურება საგუბერნიო და სამაზრო აღმასკომების მიერ, მასში მონაწილეობას არ იღებს ქალაქის საბჭო. მიუხედავად ამისა, რამდენათაც იქნებოდა შესაფერი საფუძველი, იმდენათ უფრო მეტად გამოცოცხლება დაეტყო ქალაქის საბჭოებს.

ამასთან ერთად შესაფერი როლი ითამაშეს სექციებმა. სექციები ყოველ-

ვან აღმოცენდა. ისინი თანდათან გადაიქცენ ძირითად ორგანიზაციულ-მეშემბო და წითელ არმიულეზი საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაითრიეს.

ყველაფერი ეს ნათლად გვიჩვენებს რაში იყო პრაქტიკული მიზანი, რომელიც საუფუძლად დაედგა ქალაქის საბჭოების შ სახებ საკითხის შემუშავებას. მდგომარეობა ასეთია — ერთი მხრით ჩვენ გვაქვს ქალაქის საბჭოები, რომლებიც ოპის პირობების გამო მნიშვნელოვანად შესცვალეს საგვებრიზო და სამაზრო აღმასკოსებმა; მეორე მხრით ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ჯანსაღი ტენდენციებისა, რომლებიც უპირველეს ყოვლისა წარმოიშვა ქვეყნისა და მუშათა კლასის ზრდა-განვითარების წყალობით; ჩვენ გვაქვს აგრეთვე შემუშავებული მთელი რიგი საორგან. ზაციო გვემების, ქალაქის საბჭოების გაჯანსაღების საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხის გადასაწყვეტათ, რომლებიც გამოიხატებიან ერთი მხრით ქალაქის საბჭოების სამეუ-ნეო ბახის ზრდა-განვითარებით, და საბჭოების სექციების მუშაობას ზრდით მეორე მხრით. ამისდა მიხედვით საბჭოების მუშაობა ისეთ ნიადაგზე უნდა დააყენოს პარტიამ, რომ ამ სამუშაოს შეეძლოს სახელმწიფოს მათევა-გამგეობის საქმეში ჩაითრიოს უპარტიოთა მეტი ზილი.

თვითეული ცალკე ამოცანები, რომლებიც პარტიის წინაშე დგას, საესე-ბით უერთდებიან ამ ამოცანას, არ შეიძლება ისე საბჭოთა ხელისუფლების გან-მტ იცება, არც საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება, არც ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, არც მშრომელთა საკიროების გაუმჯობესება, თუ არ იქნება ნამდვი-ლი საქმიანი საბჭო, რომელშიც უნდა შეისრუტოს, სულ მთლად შეისისხლზო-რცოს ქალაქის მთელი ძირითადი მუშაობა.

როგორ უნდა გაუმჯობესდეს საბჭოთა აპარატი, როგორ უნდა ვებრძო-ლოთ ბიუროკრატიზმს? ლენინი სულ მუდამ გვასწავლიდა ჩვენ, რომ ბიუროკრა-ტიზმისგან თავის დასახსნელად საკირო იყო და არის უპირველეს ყოვლისა, რომ მშრომელთა მასებმა თავიანთ მუშაობის დროს მეტი ინიციატივა და დამოუკი-დებლობა გამოიჩინონ. ამის შესახებ ის 1921 წლის დასაწყისში ამბობს:

„საბჭოების გამოცოცხლება, უპარტიოთა მიზიდვა, უპარტიოთა მიერ პარტიულების მუშაობის შემოწმება — აი ის „სადაც აუარებელი სამუშაოა, სადაც არის ხელუხლებელი კუთხე მუშაობის“.

1917 წელში კი ის სწერდა:

„ნუ შეგეშინდებათ მასების დამოუკიდებლობის და ინიციატივის, მიენდეთ მასების რევოლიუციონურ ორგანიზაციებს — და თქვენ დაინახაუთ სახელმწიფოს ცხოვრების უფედ სფეროში ისეთივე ძალას, სიდიადეს, მუშების და გლჯე-ბის დაუპარცებლობას, როგორიც გამოიჩინეს მათ თავიანთ მკიდრო შეკავშირე-ბით და აღურთოვანებით კორნილოვშინის წინააღმდეგ.“

მასებისადმი უნდობლობა, მათი ინიციატივის და დამოუკიდებლობის წი-ნააღმდეგ შიში, მათი რევოლიუციონურ ენერჯის წინაშე კანკალი, ყოველ-მხრივ მთელი სული და გულით მათი მხრის დაჭერის მაგიერ, აი რა ცოდვის სწადიოდენ ყველაზე მეტად ესერების და მენშევიკების ბუღადები“.

ბოლშევიკურმა პარტიამ შეასრულა ლენინის აღთქმა და სწორეთ იმიტომ გაიმარჯვა. ჩვენ თავის დღეში არ გვეშინოდა მუშათა მასების რევოლიუციო-



ნურ ენერჯის. მათ მიერ საქმის დაწყების და თვითმოქმედების უმეტეს გვმართებს მიემართოთ ამ თვითმოქმედებას, რველით ციხურ ენერჯიას, ინიციატივას, ამ ენერჯიას, რომ ზღვრო მეტათ გავამაგროთ და გავაფართოვოთ პროლეტარულ დიქტატურის ბაზა.

დღევანდელ მომენტში ამ საზოგადო დებულებებიდან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა დაეხმარონ პარტიულ და უპარტიო მუშებს მიახწიონ იმ მიზანს, რომ ნათელი იყოს საბჭოების ანგარიშები, რომ მუშებს შეეძლოთ დაიკვირონ ბიუროკრატია და გაიწვიონ ის საბჭოდან ამომრჩეველთა სრულ უფლებიან დადგენილებით. პარტიის ამოცანა არის, რომ საბჭოს ყოველი წევრის მოხსენება განხილულ იქნას სერიოზულათ, იმის და მიხედვით თუ ის რამდენათ ემსახურება მშრომელთა მოთხოვნილებას და საჭიროებას: პარტიის ამოცანაა—შეასწავლოს მუშებს და გლეხებს მიმართონ თავიანთ საბჭოებს საბჭოების ამა თუ იმ ნაკლის გამოსასწორებლად. ამისათვის საჭიროა, რომ საბჭოები შეიქმნენ ნამდვილ მომქმედ ორგანოებათ, რომლებიც შეაერთებენ ყველა მშრომელ მასებს სახელმწიფო მართვაგამგეობაში, აქტიურ სამეურნეო აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ: საკითხებს, საბჭოების მუშაობის შინაარს და მუშაობის მეთოდებს და ფორმებს.

საბჭოების პლენუმების მუშაობის შესახებ.

პირველი რაც პრაქტიკულად შემუშავებულ იქნა, იყო პლენუმების მუშაობა. აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება: მრავალ საგუბერნიო, საზაზრო და მსხვილ ქალაქების საბჭოების უმეტეს ნაწილში ჯერ კიდევ განდევნილი არ არის ომის დროის ნაშთები, როცა მეტის მეტათ შეზღუდული და შევიწროებული იყო სამეურნეო და კულტურული მუშაობა. ქალაქის მეურნეობის და მართვაგამგეობის საკითხები ქალაქების უმრავლესობაში არ მუშავდება თვით საბჭოების მიერ. საბჭოების სხდომებს უმეტესად ინფორმაციულ—საზეიმო—ელფერი აქვს. მაგალითად ეკატერინოსლავის საბჭოში 12 სხდომიდან 8 იყო საზეიმო, ბობრიუსკის საბჭოში იყო 5 საზეიმო სხდომა, სულ კი ჭონდათ 7 სხდომა; კურსკის საბჭოში 7 სხდომიდან 4 საზეიმო იყო. რასაკვირველია ზეიმი და საზეიმო სხდომა სასარგებლო რამ არის, მაგრამ ისინი სასარგებლო ვერ სჭრიან იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც გვიკარნახებს ჩავებათ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში მუშები. ეს საკითხი პირდაპირ წინ უდგას ქალაქის საბჭოებს. საზოგადოთ უკანასკნელ წლებში ქალაქის საბჭოებში საქმიანი სხდომები ფრთად გაიზარდა და გახშირდა.

მაგრამ არ შეიძლება დამაკმაყოფილებლათ ჩავსთვალოთ საქმიან საკითხების შესახებ მუშაობის მეთოდები.

მხორია ასეთი მეთოდი: მოისმენენ ანგარიშს და მოხსენებას. მოხსენების შესახებ ოდნავ მსჯელობენ, მაგრამ ძალიან ძვირად ვადააქვსთ სექციაში. თითქმის არასოდეს არ სცნობენ, რომ მოხსენება არ არის დამაკმაყოფილებელი. ფაქტია, რომ ერთი წლის განმავლობაში 35 საბჭოში იყო მხოლოდ ერთი შემთ-



ხედავ, როდესაც საბჭომ სკნო განყოფილების მუშაობა არა დასაბუთებულად, დანარჩენ შემთხვევებში კი მოიწონა. ეს იმას ამტკიცებს, რომ საბჭოების საქმიან მუშაობის სფეროში ყველაფერი რიგზე ვერ არის.

რა კონკრეტული დასკვნები შეიძლება გამოვიყვანოთ აქედან?

შემდეგი:

1. ინფორმაციულ—დეკლარატიულ და სახეიმი მუშაობიდან უნდა გადავიდეთ კონკრეტულ კულტურულ მუშაობაზე.

2. საქმიან საკითხების შესახებ მუშაობა უნდა ისე უნდა ხდებოდეს, რომ ყოველივე საკითხი და მოხსენება სასტიკ კრიტიკის ქვეშ იქნას გატარებული.

3. არას შემთხვევაში არ შეიძლება მთელი რიგი საკითხების განსახლება მარტო კომუნალურ საკითხებათ. საბჭო არ არის ძველი ქალაქის სათათბირო, რომლებიც არკვევდნენ მხოლოდ ელექტრონის და ტრამვაის საკითხებს, საბჭო არის ხელისუფლების ორგანო, რომელიც შეიცავს სამეურნეო, პოლიტიკურ და სხვა საკითხებს, რომლებიც წინ უდგას ქალაქის მშრომელ ხალხს.

4. საბჭოს შემადგენლობაში უნდა შეტანილ იქნას მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც გარანტიას მოგვცემს შემცირებულ იქმნეს საბჭოს პასუხისმგებელ მუშაკთა ნაწილი. თითქმის ყველა ანგარიშები მოწმობენ, რომ პასუხისმგებელი მუშაკები—საბჭოს წევრები—წარმოადგენენ ბალასტს. ახალმა არჩევნებმა ამ მხრით დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ, მაგრამ საბჭოებში უპარტიოთა და დაზვის მუშათა წამოყენებამ ჯერ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. ციფრების ანალიზმა იმის შესახებ თუ რამდენი კომუნისტი არის ქალაქის საბჭოებში, ცხადდა გვიჩვენა თუ რამდენათ საჭიროა დიდი ნაბიჯების გადადგმა უპარტიოთა ქალაქის საბჭოების სამუშაოში ჩასათრევთა.

5. რომ გავითვალისწინოთ, რომ საშუალოდ თვენახევარზე მოდის საბჭოს ერთი სხდომა, რომ დასწრება სუსტია, რომ ის პროგრესიულად თან და თან ძირს იწვეს, რომ დაგვიანება სისტემატიური ხდება, სხდომების გადადება და მოხსენებების შემუშავების უყურადღებობა, როგორც სამაზრო ისე საგუბერნიო და სამრეწველო ქალაქებში, აშკარა ყოფს რომ სექციებში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოხსენების შემუშავებას, აქედან შეგვიძლია გამოვიყვანოთ ძირითადი დასკვნები. ეს დასკვნები იმაში მდგომარეობენ რომ, პლენუმები იკრიბებოდნენ, მორიგ სხდომების გარეშე, სამ თვეში ერთხელ და სერიოზულად მოისმინონ სექციების და კომისიების მუშაობა და მათი შემწეობით მოახდინონ საკითხის შემდეგი გადაწყვეტა.

6. საკითხი, რომელსაც ფრთხილ დიდი მნიშვნელობა აქვს, არის საკითხი შეუკავშირებელ მოსახლეობის შესახებ. ამ სფეროში ჩვენ თითქმის ვერაფერს მივახწიეთ. ჩვენ ხშირათ ხელს ვკრავთ ქალაქების ამ შეუკავშირებელ მოსახლეობას. ჩვენ წინასწარ მუშაობის დროს არა ერთხელ გავგიგონია კითხვა: სად იშოვნეთ ეს შეუკავშირებული მოსახლეობა? მაგრამ როგორც შინაგან საქმეთა კომისარიატის ცნობებიდან სჩანს 1.400.000 ამომრჩეულიდან პროფკავშირებზე და წითელარმიელებზე მოდის მხოლოდ 53 $\frac{1}{2}$ %, ხოლო 46 $\frac{1}{3}$ % მოდის არა შეუკავშირებულ მცხოვრებლებზე, ე. ი. დიასახლისებზე. შინამრეწველებზე, მებაღე-



ებზე, მეზოსტენებზე და სხვა. რასაკვირველია ამ ამომრჩეველთა უმეტესობა ქალაქებში მეტია ვიდრე დიდრონში.

რადგან უამისოდაც ნაკლები პროცენტი ღებულობს მონაწილეობას არჩევნებში (1922 წ.—36%, 1923 წ.—32%, 1924 წ.—30,7%). ამიტომ წვრილ ქალაქებში სკარბობს შეუკავშირებელი მოსახლეობა, ვიდრე მსხვილში.

აქედან გამომდინარეობს აუცილებელი საჭიროება მცხოვრებთა ამ ფენების ჩათრევის საბჭოთა მუშაობაში.

7. კითხვა, ქალაქის საბჭოების აღმასრულებელ ორგანოების შესახებ საკითხით აქ შეიძლება აღენიშნათ შემდეგი გარემოება. პირველი—როდესაც არ არის აღმასრულებელი ორგანოები ქალაქის საბჭოების, ამით უპირველეს ყოვლისა ზარალობენ ქალაქები და სოფლები. როცა ქალაქის საბჭოს არ ჰყავს თავისი პრეზიდიუმი, ხოლო სამაზრო ან საგუბერნიო აღმასკომი ერთ და იმავე დროს ქალაქის საბჭოს როლს თამაშობენ. აქედან გამომდის ის, რომ ეს საგუბერნიო ან სამაზრო აღმასკომი არის უმთავრესად ქალაქის ორგანო და მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს ქალაქის ბიუჯეტს და სხვა დარგის სამუშაოებს. აქ ზარალობენ როგორც მუშები ისე გლეხები. ამიტომ თათბირმა საჭიროდ დაინახა წამოეყენებინა ქალაქის საბჭოების პრეზიდიუმის შექმნის საკითხი, რომელიც იქნება საგუბერნიო აღმასკომის ნაწილი, (რომ დაცულ იქნას მართვა-ვაგმევობის მთლიანობა) იმავე დროს უნდა იყოს ქალაქის საბჭოს ისეთი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც უნდა შეიცავდეს ქალაქის ყველა საქმეებს, აწარმოებდეს მიმდინარე საქმეებს, ხელმძღვანელობდეს სექციებს და სხვა. ასეთ პრეზიდიუმს ჩვენ წარმოვიდგენთ არა როგორც საგუბერნიო აღმასკომის კონკურენტს, არამედ როგორც ორგანოს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მუშათა რაზმს საბჭოთა აღმშენებლობაში.

პრეზიდიუმების შექმნას მიზნით აქვს საბჭოების მუშაობის შემსუბუქება, როგორც ორგანოების, რომლებმაც მუშები უნდა ჩააბან საბჭოთა აღმშენებლობაში. ამიტომ პრეზიდიუმმა კი არ უნდა შესცვალოს ქალაქის საბჭო, არამედ იყოს მისი ნამდვილი აღმასრულებელი ორგანო.

მე-8 კითხვა—ანგარიშის და კავშირის შესახებ. ანგარიშების წარმოების საქმე ძალიან სუსტად არის. 34 ქალაქში მხოლოდ ოთხ ქალაქში არის ანგარიში ჩაბარებული ქალაქის საბჭოების მიერ პლენუმის წინაშე (ამ ოთხში შტდის ლენინგრადი და მოსკოვი) და მხოლოდ რვა ქალაქში უკვე მოწესრიგებულია საბჭოების ანგარიშები ამომრჩეველების წინაშე. მაგრამ სულ სხვა საქმეა ანგარიშის „დაყენება“ და სხვა საქმეა ნამდვილათ მისი სისრულეში მოყვანა. აქვე უნდა აღენიშნათ, რომ მსჯელობა ანგარიშების შესახებ არ ხდება. უკეთეს შემთხვევებში აძლევენ მხოლოდ კითხვებს. რეზოლიუციებს ღებულობენ ერთხმად და უმეტეს შემთხვევაში რასაკვირველია მოწონებითი ხასიათისას. არავითარი საბუთი არ არის, რომელიც ნებას აძლევდეს სიტყვას, რომ ამომრჩეველთა კრების მიერ მიღებულ დადგენილებებში მართლაც რაიმე მუშაობა იყოს. აქედან გამომდინარეობს ვეჭვებს ნუხლში წამოყენებული დებულება საბჭოების პლენუმების მუშაობის შესახებ, რომლებიც აწესებენ ამ ანგარიშების ფორმას და ნორმას. ამ მუხ-

ლის მიზანი—დაიყენოს საბჭოები ამომრჩეველთა სასტიკი ჩხრისთვის ქვეშ, რომ სურვილი დაუბადოს საბჭოს წევრებს სწორე ანგარიშის ჩანაწერის.

„საკიროა ხშირათ შეამოწმონ ამომრჩეველებმა საბჭოების მუშაობა, ამიტომ წესათ უნდა იქნას შემოღებული საბჭოებში სისტემატიურად ანგარიში ჩაბარონ ამომრჩეველებს. ამ ანგარიშების შემოწმების შემდეგ ამომრჩეველთა კრებებზე, მისი გაკრიტიკების, საბჭოს მთელი მუშაობის შემოწმების შემდეგ ამომრჩეველთა მიერ, და იმ ნაღვლოვანებებზე ჩვენების შემდეგ საბჭოს წევრების და მთელი საბჭოს მუშაობაში უნდა გამოსწორდეს მთლიანად საბჭოების მუშაობა.

ცაქის პრეზიდიუმი ამასთანავე მოაგონებს როგორც ამომრჩეველებს ისე საბჭოს წევრებს, რომ საბჭოთა კონსტიტუციის მეორე დამყარებული ერთ დებულებათაგანი ის არის, რომ ამომრჩეველებს უფლება აქვთ გაიწვიონ საბჭოს ის წევრი, რომლის მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

აქ უნდა სამწუხაროდ აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ერთი შემთხვევა არ ვიცით, როცა ამომრჩეველს ესარგებლოს თავის უფლებით და გაეწვიოს საბჭოს ის წევრი, რომლის მუშაობა არ ყოფილა დამაკმაყოფილებელი. ჩვენ კი არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ გამოუტყლებლივ საბჭოს ყოველი წევრი კარგად მუშაობდეს.

ამომრჩეველებსა და საბჭოს წევრებს შორის არ არის საკირო კავშირი, ამასთანავე პრაქტიკაში არ არის მიღებული, რომ საბჭოს წევრები ლებულობდნენ საჩივრებს და განცხადებებს: მთელი რიგი დასკვნებისა, რომლებიც მოყვანილია ჩვენს დებულებაში. გვეუბნებიან, რომ მთავარი ამოცანაა—ჩავაყენოთ საბჭოების წევრები ამომრჩეველებთან ისეთ დამოკიდებულებაში, რომ მათ ისწავლონ სისტემატიურათ ანგარიში ჩაბარონ ამომრჩეველებს და მით ჩაბან ისინი საბჭოთა მუშაობაში. უკეთეს ის ამას არ შერება, ის მათ შიშობდება კონსტიტუციის იმ მუხლის ქვეშ, რომელიც ითვალისწინებს ყოველ შემთხვევაში გაიწვიონ ამომრჩეველებმა საბჭოს წევრი, როგორც მუშაობისათვის უფარვისი.

III სექციების მუშაობის შესახებ.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ არ შეიძლება იყოს ნამდვილი მომუშავე საბჭო მისი აქტიური წევრებით, აქტიურ ამომრჩეველებით, უკეთეს არ მუშაობენ სექციები. სექციები ჩვენში გარდაიქმნა თავისებურ გარდამავალ ორგანიზაციებად მუშათა მასებიდან საბჭოებისაკენ. სექციების წევრები შედგებიან საბჭოების წევრებისა და მუშათა კლასის ორგანიზაციის დელეგატებისაგან. ეს სექციები მკიდრო კავშირს აბამენ საბჭოებსა და მუშათა მასებს შორის, უფრო მკიდრო კავშირს ვიდრე თვით საბჭოები. ფაქტიურად სექციების მდგომარეობა ასე იხატება:

1. სექციების ორგანიზაცია მოხდა თითქმის ყველა საგუბერნიო ქალაქებში და სანახევროდ სამაზროებში. აქედან შეგვიძლია შევადგინო დასკვნა გამოვიყენოთ: უნდა ვეცადოთ, რომ სექციები შევქნათ გამოუტყლებლივ ქალაქის ყველა საბჭოებში, მათ რიცხვში სამაზრო ქალაქის საბჭოებში.



2. იმ საკითხის გარჩევის დროს თუ რა სამუშაოებს აწარმოებენ სექციებში, გამოირკვა, რომ მთავარი ყურადღება მიქცეულია კომუნალურ სექციაში, ესპალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე. საბჭოების უმრავლესობას აქვს კიდევ საფინანსო და ეკონომიურა სექციები. პირველ სამ სექციაში სექციის წევრთა უმრავლესობა იღებს მონაწილეობას, თანაც ისინი აწარმოებენ დადებითი მუშაობას.

აქედან სჩანს რომელი სექციები არიან ძირითადი. ჩვენი მიზანია გამოვარკვიოთ რომელი სექციები უფრო ცხოველმყოფელია, უფრო საქმიანი და რომლები იწვევენ მეტ ინტერესს. ეს იმისათვის არის საჭირო, რომ იმ ქალაქებში სადაც სექციები არ არსებობენ, შექმნან და იმუშაონ ისე, როგორც საუკეთესო სექციები.

3. სექციების შემადგენლობის შესახებ საკითხი. სექციების შემადგენლობაში საკმარისი არ არის დაზღვის მუშა: საზოგადოთ მათი რიცხვი ირავება 8—65 % მდე.

ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ სექციებში იყოს ძლიერ კოტა რიცხვი პასუხისმგებელ მუშაკების, სექციის ძირითადი შემადგენლობა უნდა იყოს დაზღვის მუშები და წითელარმიელები. ეს ჩვენ გარანტიას მოგვცემს სექციის მუშაობის გაფართოებისას.

4. კითხვა იმის შესახებ თუ რა უნდა გააკეთონ სექციებმა. აქ უნდა აღვნიშნათ შემდეგი: ხელოვნების სიმცირე, (ბევრჯერ არ შემდგარა, რადგან ქვორუში არ იყო) ხშირი არ დასწრება, (50 % დასწრება იდეალია) მასიური ინფორმაციული სამუშაო, როცა მომხსენებელი ერთს „წაიბუტბუტებს“ და მორჩა და გათავდა, სამუშაოს გეგმის უქონლობა, უცაბედათ წამოჭრილი საკითხები და იშუდის დაჯარვვა, სექციის წევრთა უფულობა თავიანთ სამუშაოებისადმი. რომ გამოვავითოთ მდგომარეობა, სექციის მუშაობა ისე უნდა დაეაყენოთ, რომ სექციამ გასინჯოს განყოფილების მუშაობის გეგმა, მისცეს საბჭოებსა და პრეზიდიუმს განყოფილებების მუშაობის შესახებ თავისი დასკვნა, მკიდროთ დაუკავშიროს ქალაქის წარმოებებს სექციის წევრები, რომ მათი მოხსენების მიხედვით საჭირო ზომები მიიღონ. ერთი სიტყვით საჭიროა სისტემატიური გეგმიანი მუშაობა, საბჭოს ზომების გადასინჯვა და გადაიმუშავება, სარევიზიო-საკანტროლო სამუშაო, და სხვა.

სამავალითო მუშაობის ნიმუშს იძლევა მოსკოვი, ლენინგრადი, ნიენი, და რამოდენათმე-ეიტერინოსლაეი და სხვა ქალაქები.

5. საკითხი სექციების და განყოფილებების ურთიერთობის შესახებ: ძველი დებულებით სავალდებულო იყო სექციებში თავმჯდომარეობა განყოფილების გამგის. ეს ჰქლავს სექციის მუშაობას, რადგან მუშაობა ისაზღვრება ინფორმაციულ-საზეიმო მოხსენებით. ამიტომ საჭიროა სექციის ბიუროს თავისი თავმჯდომარე პყავდეს. რასაკვირველია ბიუროში უნდა შედიოდეს წევრად განყოფილების გამგეც.

6. სექციების და პლენუმის მუშაობის შედეგების შესახებ საკითხი: რომ სექციამ გააფართოოს თავისი მუშაობა, რომ მუშები და წითელარმიელები დაინ-

ტერესდნენ, საჭიროა რომ ეს მუშაობა შედგებულ იყოს მუშაკებისა და მოსახლეობის პლენუმმა მოსამართლის სექციის მოხსენებები და დასკვნები, რომ ყოველთვის უნდა გაიაროს პლენუმმა პრეზიდენტის ანუ თუ იმ დადგენილების შესახებ სექციების პროტესტი და სხვა. აი ძირითადი ზომები.

უნდა ითქვას, რომ 34 გამოკვლეულ საბჭოების მუშაობის გადასინჯვის დროს აღმოჩნდა მრავალი საჩივრები იმის შესახებ, რომ სექციები უსიციო-ხლოა, სხდომაზე ვერ სჭირან საკითხებს, ყველადრის გადაწყვეტა უნდება აღმა-სკომს, რომ სექციები კულდათ ეპრობიან თავიანთ შოვალეობას, რომ სექციები ვერ მომხადების საფეხურს ვერ ვასცილებია და სხვ. მაგრამ ის გარემოება, რომ მთელ რიგ ქალაქებში ეს სექციები უკვე შეუდგენ მუშაობას, იმის მაჩვენებელია, რომ სექციები კულდი არის იქ, სადაც კულდია საბჭოების ხელმძღვანელები ან და იქ, სადაც საბჭოების ხელმძღვანელებმა ვერ შეიგნეს სექციების დიდი მნიშვნელობა დღევანდელ პირობებში. აქ ჩვენ შევხედვით ზოგიერთ ამხანაგების სასტიკ წინააღმდეგობას ისეთ საკითხების გატყევაში, როგორც საკითხი იმის შესახებ თუ ვინ იქნეს სექციის თავმჯდომარეთ—განყოფილების გამგე თუ სექციის მიერ სპეციალურად არჩეული პირი. ის ამხანაგები რომლებიც დაეინებით მოითხოვენ, რომ სექციის თავმჯდომარეთ წინანდებურათ განყოფილების გამგე იყოს, არსებითად სულს უწყობენ ეხლანდელ მდგომარეობის განმტკიცებას, როცა სექცია უსიციოხლო და განყოფილების „ზედ დაწოლილად“ ხდება. ჩვენი წინანდების მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ განყოფილების მუშაობა ჩაიშლება თუ გამგე სექციის თავმჯდომარეთ არ იქნება, რომ ეს გამოიწვევს უბრალო შეხლა-შემოხლას, რომ მოხდება მრავალი არა კომპეტენტური ჩარევა მუშების, რომლებმაც შესაფერი საქმე არ იციან და სხვ. ყველა იმაზე ჩვენ ერთს ვეტყვი: ყველა ასეთ წინააღმდეგობას ის ხასიათი აქვს, რომ ეშინიათ მუშების, ეშინიათ მისი ინიციატივის, მისი დამოუკიდებელ მოქმედების, რომლის წინააღმდეგ ასე ენერგიულად აფრთხილებდა ლენინი. დიდი ხანი არ არის რაც ჩვენ არ გვეზინოდა აგველო მთელი სახელმწიფოს აპარატი და ყველა განყოფილების სათავეში ჩაგვეყენებია ისეთი პირები, რომლებიც მთელი თავისი წინანდელი მუშაობით არ მომხადებულან ადმინისტრაციულ როლისათვის. ნუ თუ ეხლა მოელის შიში ჩვენ ადმინისტრაციულ მანქანას, უკეთუ თავმჯდომარე იქნება მუშა, რომელსაც ვერ სულ მთლად არ შეესწავლია საბჭოთა ადმინისტრაციულ მანქანის საიდუმლოება, მაგრამ რომელიც იმუშავებს ორ-სამ თვეს და შეისწავლის ისე, როგორც შეისწავლეს საბჭოთა ადმინისტრატორების ახალმა თაობამ.

ამიტომ ჩვენ ყოველად მძულვლად მიგვაჩნია რაიმე დაუფთმით საბჭოთა იმ ადმინისტრატორებს, რომლებმაც ასე ეშინიათ გამოპყონ თავიანთი სექციებში არჩეული თავმჯდომარე.

IV. საჭიროა ახალი დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ.

ახალი ამოცანები და რამდენიმე ქალაქის საბჭოთა მუშაობის ახალი ფორმა უნდა განმტკიცდეს ქალაქის საბჭოების შესახებ ახალი დებულების გამო-



ცემით. ძველი დებულება წარმოშვა სამხედრო ხანამ. ძველი ^{საქართველოს} ~~საქართველოს~~ მუქმე-
და ქალაქის საბჭოების ყველა აღმასრულებელ ორგანოს. ის უზრალოთ დეკ-
რეტს სცემდა, რომ სამაზრო და საგუბერნიო აღმასკომების პრეზიდიუმი, აგრე
ესთქვათ „თანამდებობით“ არის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი.

ქალაქის საბჭოს ფუნქციების შესახებ ის ჩერდებოდა საზოგადო საგნებზე,
რომლებიც არიან სოფლის საბჭოების და ყრილობების დებულებებში. (საქიროა
ავსწიოთ კულტურა, დავიცვათ წესიერება, ვუბელმძღვანელოთ საბჭოთა მოქმე-
დებას და სხვ.) ერთი სიტყვაც არ იყო ნახსენები ქალაქის ბიუჯეტის და კო-
მუნალურ წამოწყებათ შესახებ; პლენუმის მუშაობის შესახებ საკითხი ამ დებუ-
ლებაში ისე იყო შემუშავებული, რომ პირველ რიგში იდგა საზოგადო სახელ-
მწიფოებრივი და საზოგადო პოლიტიკური საკითხები, ამას მიუმატეთ საგუბერ-
ნიო, სამაზრო და ქალაქის აღმასკომების ანგარიში და სხვ. (უკეთუ ყველანი
ანგარიშს იძლევიან და პასუხისმგებელი კი არაიან არის, რასაცვირველია ეს
არავეითარი ანგარიში არ არის).

სექციების შესახებ საჭიროდ სთვლიდენ მის ორგანიზაციას. არ იყო სა-
ვალდებულო სექციების ორგანიზაცია. სექციის ბიუროს სთვლიდენ, როგორც
განყოფილების განუყოფელ ნაწილს, ერთი სიტყვით. 1922 წელს ამ ძველ დე-
ბულებაში განმტკიცებული იყო საომარი დროის ცდა.

ახალ დებულებას საფუძვლად უნდა დაედვას ის, რომ არავერი არ გამო-
ვიგონოთ, ერთი მუხლიც არ შევიტანოთ, რომელსაც არ ქონდეს გამოხატულე-
ლება ამა თუ იმ ადგილობრივ პრაქტიკაში. ახალ დებულებაში უნდა გამტკიც-
დეს უფრო მოწინავე ქალაქების პრაქტიკა, რამოდენიმედ სოფლის საეოლსტო
აღმასკომების, როცა საბჭოთა აღმშენებლობაში უპარტიოთა ჩაბმა დიდ მნიშ-
ვნელოვან ამოცანად გადაიქცა:

ამიტომ ახალ დებულების პროექტს, რომელიც მიიღო საბჭოთა აღმშენებ-
ლობის ცაკის თათბირმა, შემდეგი სახე აქვს: 1—4 მუხლები ამბობენ საბჭო-
ების კომპენტენციის შესახებ. მუხლი 5—სავალდებულოთ ყველგან საბჭოების
მოწყობის შესახებ (რადგან ჩვენ სამუხარო მდგომარეობაში ჩაეკვიდით, რო-
ცა ქალაქების მთელმა რიგმა, მათ რიცხვში მკიდროდ დასახლებულ მუშათა უბ-
ნებში, ჩვენ უარს ვყოფდით საბჭოების მოწყობას და ამით ვარღვევდით საბ-
ჭოთა კონსტიტუციას, რომელიც მოითხოვს ყველა ქალაქებში და მუშათა უბ-
ნებში საბჭოების მოწყობას) მე 6—7 მუხლი იძლევა პლენუმის მუშაობის სა-
ფუძველს. მე 8 მუხლი—სექციების ზელმძღვანელობის სფეროში პლენუმის მუ-
შაობის საფუძველს. მუხლი 9—12 იმუშავებენ საბჭოების მუშაობის მეთოდს და
ტეხნიკას, საზღვრავენ მათი მუშაობის სათავეს. მუხლი 13—34 იხილავენ სექ-
ციის მუშაობის შინაარსს, მათ ურთიერთობას საბჭოებთან, განყოფილებებთან,
მათ შემადგენლობას, ამასთანავე დებულება ცდილობს მოაწყოს ისინი ისე, რომ
იყოს სრული გარანტია ჩაბან მუშები საბჭოთა აღმშენებლობაში. 49—56 მუხ-
ლები იხილავენ საკითხს საბჭოთა ორგანიზაციულ შემადგენლობის შესახებ. მუხ-
ლი 35—40 გარანტიას აძლევს ნამდვილად მიიღონ მონაწილეობა საბჭოს
ყველა მუშაობაში საბჭოს წევრებმა, მუხლი 41—48 და 57—64 გარანტიას იძ-



ლევა შვიდროს კავშირი არსებობდეს საბჭოსა და ამომრჩეველებს შორის და საბჭოს წევრები პასუხისმგებელი იყვენ ამომრჩეველების წინაშე.

V. ორმაგი მოწოდება.

დასასრულ საჭიროა შევჭრდეთ კიდევ ორ მომენტზე. თუ განვიხილავთ, როგორ შეიცვალა მ წლის განმავლობაში საბჭოების მუშაობის შინაარსი, მეთოდი და ფორმა, ჩვენ ვაევიგებთ, რომ საბჭოები დიდ ანგარიშს უწევდა მუშათა და გლეხთა იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რომლებიც გამოწვეული იყო ცხოვრებისაგან. დიდი ხანი არის, რაც ქ. პრაგაში თეთრმა იურისტებმა გამოსცეს ორი ტომი საბჭოთა კანონმდებლობის შესახებ, რომლებიც შეიცავენ ბევრ სიმძლავრეს საბჭოებისადმი, მაგრამ ამავე დროს ძიუბედავით ამ სიძულელიისა, ეს იურისტები იძულებული არიან აღიარონ, რომ საბჭოთა სისტემა განსხვავდება თავისი ელასტიურობით. სიმწრით სწორენ, რომ საბჭოებმა მართლა შეასრულა თავისი მიზანი და ყოველთვის ომის, სამხედრო კომუნისმის და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დროს მუდამ იცვლიდა მუშაობის მეთოდს და ფორმას.

არსებითად ჩვენ წინ ეხლა დგას საკითხი როგორ უნდა შევუქმარდეთ საბჭოები ქალაქებში და სოფლებში იმ პირობებს, რომ ის გაძლიერდეს და განვითარდეს და ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა და გლეხთა მასების კულტურულ და სამეურნეო საქმეს, ამიტომ საბჭოების მუშაობა ისე უნდა დავაყენოთ, რომ სათადარიგო საკითხები საბჭოებმა დაუყოვნებლივ და სრულად გადასწყვიტონ. ამიტომ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ საბჭოების შესახებ საკითხის გადაწყვეტას უნდა ქონდეს ორმაგი მოწოდების ხასიათი: ერთი მხრით მიმართვა საბჭოთა მუშაკების კადრებისადმი. „არ არის უკეთესი, საშუალება გამოასწორო კომუნისტების მუშაობა—ბევრჯერ ამბობდა ლენინი—როგორც უპარტიოთა მიერ მათი გაკრიტიკება. ამიტომ საბჭოების შესახებ ყოველ გადაწყვეტილებას უპირველეს ყოვლისა უნდა ჰქონდეს ის სახე, რომ მოეწოდოთ უპარტიო მუშებს და გლეხებს შემდეგი წინადადებით: გააკრიტიკე საბჭოებში კომუნისტების მუშაობა, ჩაერიე შენ თვითონ ამ მუშაობაში და პასუხი აეცე ამ მუშაობისთვის ბუშებისა და გლეხების წინაშე“. მეორედ ეს გადაწყვეტილებები არის შემდეგი მოწოდება საბჭოთა მუშაკების იმ კადრებისადმი, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოების საფუძველს. მათ შესახებ პარტია ამბობს: საჭიროა ცოტა რამეს შეეცლა მათი მუშაობის მეთოდში, ის, ვისაც შეუძლია ამ ცვლილებების შეტანა, მას დღევანდელ პირობებში შეუძლია იყოს მუშების და გლეხების რწმუნებული.

ჩვენ ყოველთვის ზომები უნდა მივიღოთ, რომ ნაკლები გვეყავდეს ისეთი პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშებს და გლეხებს.

ზიგლიოგრაფია.



„ლისაბონის ტუსაღები“.

პიესა 3 მოქ.

პოლიკარპე კაკაბაძე.

თანამედროვე თეატრის კრიზისი, თავის უმთავრეს ნაწილში, დრამატურგიის კრიზისია. მართალია თეატრი თავის მხრივ იმპულსს აძლევს დრამატიულ შემოქმედებას, სცენიური ტენზიკა საკმაოდ განსაზღვრავს დრამატურგის შემოქმედების ფსიქოლოგიას, მისი მასალის გაშლის არეს. მაგრამ დღეს იმდენათ ღრმა გარდაქმნას განიცდის სოციალური ცხოვრება, რომ შეუძლებელი ხდება თეატრის ევოლუტია თუ ახალმა დრამატურგებმა არ მისცა მას ახალი ყოფის რიტმი და სახე.

რევოლუციონური რეპერტუარი ჯერ საკმაოდ ლარბია. უმთავრესად ის აგიტაციების, პუბლიცისტური გადახრის გავლენის ქვეშ სდგას.

3. კაკაბაძის პიესა რევოლუციონურ პიესათა შორის მნიშვნელოვანი შოვლენაა. ის არ ატარებს საერთო ნაკლს რევოლუციონური პიესებისას. ავტორმა მოხერხებულად აიღო ლისაბონის მიწისძვრის ფაქტი. ისტორიულ პრიზმაში რევოლუციონური სულისკვეთების აღება საშუალებას იძლევა ტრაგიკულ ფრაზეოლოგიის თავიდან აცილებისათვის, ამ მხრივ ავტორს მოხდენილად აქვს გამოყენებული ლისაბონის ისტორიული ამბავი, მიწის ძვრის დროს ტუსაღებისაგან ქაღაქის დაქვრა. ამ ისტორიულ ამბავს აქვს შეორე ღირებულება სცენიური ტენზიკის მხრივ. ეს ღირებულებაა გეოლოგიური სტიქიის გადატანა სცენაზე. რაც ეგუება თანამედროვე ეპოქის შავსციემას. ამ მხრივ პიესის ინტერესი იზრდება. მასსის მოძრაობა, სოციალური სტიქია, დამონებულია აღდგომა, ტუსაღთა მიერ ნანგრევებში მოკოებული თავის-

უფლება, მოცემული გეოლოგიურ სტიქიასთან სკენიურათ შევრთებული, უძველია შექმნის მძაფრ დინამიკას.

პიესა საინტერესოა, როგორც მასობრივი მოქმედების ფონი. აქ მასა არ არის ვისიმე იარაღი და მასალა, ის აქტიური მებრძოლია თავის ბედისათვის. პედრო და ანტონიო, რომლებიც რელიეფურად გამოდიან პიესაში, ვიდრე სხვები, არ არიან „მთავარი გმირები“, რომლის ირგვლივ ანსამბლი უნდა იქნებოდეს. ისინი მასის სულისკვეთების გამომხატველებია, ორი სახეა მასობრივი იდეოლოგიის და ფსიქოლოგიის. ამ ორ სახეშია მოცემული დაახლოებით ის პოლიტიკური მიჯნა, რომელიც არსებობს მიხიმალიზმსა და მაქსიმალიზმს, შემარჯვენებასა და შემარცხებობას შორის.

ანტონიო დამძიმებულია ძველი კულტურით. მასზე ბატონობენ ძველი კულტურის საგნები, მისთვის დასასვრევათ მისაბწევია არა სოციალური შენობის საძირკველი, არამედ ჩამპალი სახურავი, შეძველებული და ფერწახული ფასადი. ეს საშუალო ზნის, საშუალო ხაზის მებრძოლია, რომელიც ბრძოლის დანაზე არ აურდნობს ეპოქის მთელი სიმძიმის გადაქვას. თანამედროვე თერმინით ანტონიო მენშევიტური სულისკვეთების ადამიანია.

სხვაა პედრო. მასშია ძველი წყობილების მთელი სიმძლავილი თავმოყრილი. მასშია უდიდესი შურის ძიება უდიდეს გმირობასთან შეხამებული ის დიდი პრაქტიკული იდეალიზმის წყარო, რომელიც მიუძღვება განთავისუფლებულ მასას წინ და სურს ყოველივე წილკოს, რასაც აქვს ტირანიისა და უწინ-



დურობის ნიშანი, პედროს სახით უეჭველად სწორად არის მოცემული რევოლუციონერის ფსიქო-სოციალური კომპლექსი, მას არა აქვს არავითარი შინაგანი დამაბრკოლებელი მომენტები. მისთვის არსებობს გაოგ მოვლენები, მოწინააღმდეგენი, როგორც დაბრკოლებათა სისტემა და შეუფერხებელი, დაუზოგველი დაპირისპირება ამ სისტემისადმი მუხუფუს ის დასწავეს, რადგან მუხუფუსის ღირებულებანი მცირეა მონათა თავისუფლების ფასთან, საყვარელსა და შეილს გაწირავს, რადგან ისინი მოწინააღმდეგე ბეფური აღზრდით (დედოფალი და მემკვიდრე, პედროს საყვარელი და ვაჟი).

ამ მხრივ პედროს გაფოლადებული ადამიანია. ის მიზნობრივი მოქმედების გზაზე არავის ინდობს. მისმა ბუნებამ არ იცის პედანტიური წუწუნის და ინტელეგენტური სანტიმიენტალობა. პედროს ჩვენი გვაგონებს ოქტომბრის გმირებს.

პიესის ფინალი არ არის აჯანყებულთა სასარგებლო. მეფის ჯარი ამარცხებს აჯანყებულთ. ეს ისტორიული სიმართლე არ ჰქმნის პესამისტურ განწყობილებას. პიესის მთელი კონსტრუქცია იქითაა მიმართული, რომ უღიღეს განაწამებ ადამიანთა დამარცხება უხეშ

ძალის მიერ ჰქმნიდეს მუხუფუსის სიმპატიის დამარცხებულად. უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტის და შინაგანის სიძლიერის მომენტი მოცემულია პირველი აქტის დასასრულს. შემდეგ ორი აქტი უკვე მომხდარი ფაქტის გავრძელებაა, მოღვაწეებელი ხალხის შინაგანი აგონიაა, დაბნეული გონების ამო ხეტილია გამოსავლის ძიებისათვის. ამ მხრივ უნდა ვიფიქროთ, რომ პიესა მოთვება, რომ მისი განვითარება თანდათან დაჭიმვის, დინამიკის გზით მიდიოდეს და ფინალი წარმოადგენდეს, როგორც სოციალურ და გეოლოგიურ სტიქიათა ამოძრავებას, მიწის ძვრისა და ძალა-უფლებების აღების სცენას, ისე მის დამარცხებასაც მეფის ჯარების მიერ.

პიესის ენა თავისუფალია, ცეცხლიანი და მაგარი. პიესა რევოლუციონურ რემპოტურში უეჭველად დაიჭერს მნიშვნელოვან ადგილს. ქართული დრამა ზამთრის სეზონისთვის ამზადებს აღნიშნულ პიესას.

უნდა ვითქვოდეთ, რომ ეს პიესა არ დამარცხდება ჩვენს სცენაზე. დრამატურგის კრიზისის დროს, ასეთი პიესის გაჩენა მეტად სასინარულოა.

პ. ზიზინაძე. ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსანის“ პრობლემა. 193 გვ. ტ. 1200.

რუსთაველმა საუკუნეების ჩაქუჩს გაუფლრა. ის დღესაც გვიბღვავს თავის „ჯადოსნურ სილამაზით“. ცხადია „ვეფხისტყაოსანი“ მნიშვნელოვან არ ამოიწურება მისი შინაარსით. შინაარსი აქ მხოლოდ უბრალო მასალას წარმოადგენს. ეს ელემენტარული ჰქმარიტებაა. აიღეთ, თუ გნებავთ, პოემის შინაარსი და დასწერეთ პროზით. მიიღებთ ჩვეულებრივ საგმირო ეპოსს, რომლის მზგავსი ქართულ პოეზიაში ბლომათ მოიპოება. მაშასადამე, მთელი პოემის ღირე-

ბულება მის ფორმალურ მიღწევებშია. მაგრამ ეს სხვათა შორის.

თუ ასეთი გაგებით მივალთ „ვეფხისტყაოსან“თან, მაშინ უნდა ვთქვათ პირდაპირ, რომ ეს პოემა მსოფლიო პოეზიის უნიკუმია.

ფორმალური მეთოდით დღემდის რუსთაველთან არავინ მისულია. დღემდის „ვეტ.“ შეადგენდა მხოლოდ ისტორიკოსების და ფილოლოგების ნიჭიერი თუ უნიკო კვლევის საგანს. იყო დავა იმის შესახებ თუ რომელ საუკუნეში სცხოვ-



იომბაშ. რუსთაველი, ის იყო მართლა პოემის ავტორი თუ სხვა, როველი იყო ა. ვ. ტყაოსანში* ყალბი და რომელი ჰემ-მარიტი ადგილი? არაფის არ უკ-დია გამოერყვია პოეტის ბუნების თა-ვისებურება, რასაც ვადაძკრული მნიშ-ვნელობა აქვს ავტორობის საკითხი-სათვის. ყოველ დიდ პოეტს და საზოგ-დოთ, — ჰემარიტ პოეტს, — აქვს ლექსის საკუთარი კანონი, საკუთარი პოეტი-კა. ამ შიით ვუყას ლექსი განსხვავდ-მა აკაკის ლექსისგან, პუშკინის პრიუ-სოვისგან და სხვა...

მე იკის კანონი ლექსში — ემყარება სალექსო სტრუქტურაში, სტროფაში (ტა-ემში) შემდეგ მთელ ლექსში, თანხმოვან-ნი და ხმოვანი ბგერების დალაგებას (ალიტერაცია, ასონანსი). რა თქმა უნ-და, პოეზიის ფორმალური მხარე არც ამით ამოიწურება. არსებობს კიდევ „ბგერწერა“, ლექსის „ინსტრუმენტო-კა“ და სხვა.

კან. ჰიკინაძის გამოკვლევა არის პირ-ველი ცდა, სადაც ავტორი, თუ შეიძ-ლება ასე ვთქვათ, — ალიტერაციის მე-თოდით უღებდა „ვეფ. ტყაოსანი“-ს პრობ-ლემს. უნდა ითქვას რომ ეს ცდა არის მეტად ორიგინალური და მასთან საინ-ტერესოა. წიგნის ხონჩი შეიძლება წარ-მოვიდგინოთ ასე: შესავალი — ალიტერა-ციის საკითხი, — რეტროსპექტიული ექს-პერისი ჰართულ პოეზიაში; კრიტიკა: ყალბი ადგილების, მკვლევართა დებუ-ლებებისა და შემდეგ რუსთაველის შე-მოკმედების პროცესი. მთელი ამ გამო-კვლევის სიმძიმის ცენტრი ეყრდნობა ალიტერაციას. ამიტომ ჩვენც ყველაზე მეტად გვიანტერესებს გათვალისწინის ეს ნაწილი, პირველად უნდა ითქვას რომ ავტორს ალიტერაცია მეტად ელემენტ-ტარულად აქვს ვაგებულ იგი იღებს ალიტერაციის მხოლოდ ერთ ფორმას — ანაქორას (ვ. ბრიუსოვის კლასიფიკა-ციით) ე. ი. თანხმოვანი ბგერების გან-მეორებას სიტყვის დასაწყისში და იმის მიხედვით ახდენს ექსპერიმენტებს მთე-ლი თავისი გამოკვლევის სიერეზე, მა-შინ, როცა არსებობს ალიტერაციის ათასნაირი კომბინაცია და ა. ვ. ტყაო-

სან* სწორედ ეს ადგილებზე მოა-ცალ საბოლოა ახსენებდა ვილტერა-ციის სხვადა სხვა სახეები რუსთაველის ვარდა, სხვა პოეტების შემოკმედებაში, გურამიშვილის და ბესიკის გამოკლებით, იმეიათად ან და სრულებით არ ვცხე-დება. ამ მხრით რუსთაველს არც წარ-სულში და არც, — მით უმეტეს — შემდეგ პრეცედენტი არა ჰყავს.

მე აღვნიშნავ ა. ვ. ტყაოსან“-ში კი-დეც ალიტერაციის სამ ძირითად ფორ-მას: ეპიფრა (განმეორება დაბოლოე-ბის), ზევგმა (განმეორება წინასიტყვის უკანასკნელი ბგერის და შემდეგი სიტ-ყვის დასაწყისი ბგერა), რინდო ანუ რგოლი — (განმეორება წინასიტყვის და-საწყისი ბგერის და მეორე სიტ-ყვის უკანასკნელი ბგერის). აი, ამის შემთხვევითი მაგალითები: ეპი-ფრა: „რა ესმოდის მღერა ყმისა სმნად მუკნი მოვილიან ისმნლიან, გაჯეირლიან“, „ეთივან სხლიან, უბნო-ბლიან“. ზევგმა: „მოხედეს ტარისხა ამრსხა რთად“: „ვამ სოველო რა ში-გან ხარ და არ. სხ.

რუსთაველს აქვს აგრეთვე რთული ალიტერაციები, რომლის მაგალითებს ჩვენ აქ ალაო მოვიყვანთ. ფაქტია ის, რომ ლექსის ასეთი თავისებურება ერთ-ნაირად ახასიათებს პოემის სამივე ნა-წილს: პროლოგს, შინაარს და ეპილოგს. ესეც საკმარისია მისთვის, რომ „ე. ტ.“ ავტორად ერთი პირი ვლინროთ.

რაც შეეხება ჰიკინაძის გამოკვლე-ვის დანარჩენ ნაწილებს — ექვამ ბვერი საინტერესო მოსაზრობები აქვს გამო-თქმული. განსაკუთრებით საყურადღე-ბოა უკანასკნელი ნაწილი, რომელშიაც არის რუსთაველთან ინტიმიური მის-ვლის ცდა. უდათა ის გარემოება, რომ მთელ წიგნს აზის სიჭარბის დალი-სუსტია მეცნიერული დასაბუთება. მაგ-რამ ცხადია ერთი რამ: ამ წიგნს შე-აქვს ახალი ერა „ე. ტ.“ პრობლემის ვადაქრაში. სწორედ ამაშია ხსენებულა წიგნის მნიშვნელობაც. ჰიკინაძემ ამ წიგნით დაამტკ-ცა, რომ მას შესწევს დიდი კრიტიკული უნარი.

ვახო გორგაძე.



შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

გვერ.

საძაბოთველო

| | |
|---|-----|
| 1. ა. ბუმერანგ-მაშაშვილი—ღარიღალი, ავდარი მანდარინი და ირა. | V |
| 2. ვარლამ ქურთული—პირობე | IX |
| 3. კონ. ლორთქიფანიძე—წერილი სატრფოს | X |
| 4. ვ. ბესოშვილი—ანეული. | XII |
| 5. მიხეილ ჯავახიშვილი—ოქროს კბილი. | XV |
| 6. ტრიფონ რამიშვილი—გაქირვების ტალკვესი | 46 |

რუსეთი.

| | |
|--|----|
| 7. ზორის პილნიაკი—შიშველი წელი (დასასრული) თარგ. დემნა შენგელაიასი | 81 |
|--|----|

დასავლეთი

| | |
|---|-----|
| 8. უპტონ სინკლერი—მეფე ნახშირი (რომანი) თარგ. კ. კიკინაძისა | 101 |
|---|-----|

კრიტიკა, მხატვრობა და მემუარები

| | |
|---|-----|
| 9. შ. რადიანი—შეწირული—მაქსისტული კრიტიკის პინციპები ✓ | 139 |
| 10. ელისაბედ ყაზაკვი—დ. ყაზბეგის და ალ. ყაზბეგის ბიოგრ. მასალები (დასას. პირვ. ნაწილისა). ✓ | 145 |
| 11. დავ. კლდიაშვილი—ჩემი ცხოვრების გზაზედ ✓ | 190 |
| 12. ვალია ბახტაძე—ხელოვნების ადგილი და დრო. და დრო. | 226 |
| 13. ვასო გორგაძე—უპტონ სინკლერი | 256 |

მეცნიერება და კულტურისტიკა

| | |
|--|-----|
| 14. მოსე გოვიბერიძე—„ორგანოტროპიზმი“. | 266 |
| 15. ი. ა. იაქოვლევი—საბჭოები, როგორც პროლეტარულ დემოკრ. ორგანოები. | 289 |

ბიბლიოგრაფია

| | |
|---|-----|
| 16. თეატრალი—პ. კაკაბაძე. „ლისაბონის ტუსაღები“ | 300 |
| 17. ვასო გორგაძე—კ. კიკინაძე. ალიტერაცია ქართულ შაირში და -ეფესხის ტყაოსანის“ პრობლემა. ✓ | 301 |

გრიგ. ვეზაველის

რედაქტორობით შარიში კაძოდან კაზეთი:

„ასალი საქართველო“

რომლის მექენა შეიძლება საქართველოს უველა წიგნის
ქაღაზიებში და სავაზეთო კაოსკებში.